ალექსანდრე გვეჯაძე

აზრთა კონა

ცოდნა
სწავლა
განათლება

ხიმ. ყაუხჩიშვილისა და გ. ქვანიას რედაქციით

სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“
თბილისი
1962

ГРС
8—84
З 459

წიგნში მოცემულია ყველა დროისა და ხალხების კლასიკოსთა, გამოჩენილ და ცნობილ ადამიანთა აფორიზმები, ბრძნული, ხატოვანი და სხარტული თქმები, აზრები, ეპიგრამები, მაქსიმები, მოსწრებული და ფრთოსანი სიტყვები, სენტენციები, დაკვირვებები, დახასიათებები, პარადოქსები, ანდაზები.

წიგნს ერთვის ცნობარი ავტორთა შესახებ.

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებული „აზრთა კონა“ (ცოდნა, სწავლა, განათლება) წარმოადგენს ავტორის, ალექსანდრე გვეტაძის, ხანგრძლივი მუშაობის შედეგს და შეიცავს მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა (მწერალთა, მეცნიერთა, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა და, საერთოდ, სახელგანთქმულ მოაზროვნეთა) შეხედულებებს ცოდნის, სწავლისა და განათლების შესახებ.

ავტორმა დაისახა კეთილშობილური მიზანი — გააცნოს ჩვენს მკითხველ საზოგადოებას სახელმოხვეჭილ ადამიანთა ნაზრევი ცოდნისა და განათლების სხვადასხვა დარგის საკითხთა შესახებ და ამით ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის გონებრივ განვითარებას და ზნეობრივ გაფაქიზებას.

ამ კრებულში თავმოყრილი აზრები გაბნეულია მოაზროვნეთა სხვადასხვა თხზულებებში და მათი მიგნება, ამოკრეფა და გამოსაცემად მომზადება უთუოდ დიდ შრომას მოითხოვდა ალ. გვეტაძისაგან. რომლის დაუღალავმა ენერგიამ, წყაროებისადმი უანგარო სიყვარულმა თავისი ნაყოფიც გამოიღო: ჩვენს წინ დევს წიგნი, რომელიც დიდი ინტერესით იკითხება.

კრებულში ხუთასამდე მოაზროვნის შეხედულებებია მოთავსებული. ამ მოაზროვნეთა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მარქსიზმის კლასიკოსები, რომელთა ბრძნულმა აზრებმა კაცობრიობას გაუკვლია გზა ნათელი მომავლისაკენ; ეს მომავალი ერთ დროს შორეულად მოჩანდა, ხოლო ოქტომბრის მზემ იგი მოაახლოვა და რეალურ სინამდვილედ აქცია.

მეცხრამეტე საუკუნის მოწინავე რუსი საზოგადოება თავგამოდებით იბრძოდა კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის: ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, უშინსკი და სახელმოხვეჭილი მწერლები და პოეტები (პუშკინი, ტოლსტოი, ჩეხოვი და სხვები) ის პიროვნებები იყვნენ, რომლებმაც თავიანთი პროგრესული შეხედულებებით აღზრდასა და განათლებაზე დიდად შეუწყეს ხელი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის საქმეს.

ზემოხსენებულ რუს მოაზროვნეებს გვერდში ამოუდგნენ ქართველი მოღვაწეები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი

პრძოლის ბაირახტარნი — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ისევე როგორც XX საუკუნის დანარჩენი ქართველი პოეტები და პროზაიკოსები, რომელთა შეხედულებები ცოდნისა და სწავლა-განათლების შესახებ უხვად არის შემოტანილი ალ. გვეტაძის წინამდებარე კრებულში.

ამ წინასიტყვაობაში მკითხველის ყურადღება საგანგებოდ შევაჩერეთ რუსეთისა და საქართველოს მოღვაწეებზე, მაგრამ წინამდებარე კრებულში საპატიო ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკათა მოღვაწეებს (აბოვიანი, ნალბანდიანი, თუმანიანი, მირზა-შაფი, ალიშერ ნავოი, ხეთაგათი და სხვები), რომელთა ნააზრევი შეიცავს მრავალ ძვირფას რჩევა-დარიგებას სწავლასა და განათლებაზე.

მსოფლიოს სახელმოხვეჭილი კორიფეები (ჰომეროსი, სოფოკლე, არისტოტელე, დემოკრიტე, ციცერონი, ფირდოუსი, რუსთაველი, ნიზამი, დანტე, შექსპირი, ს. ორბელიანი, ვახტანგი, ლომონოსოვი, გოეთე და შილერი, ჰიუგო და მოპასანი და რამდენიმე ათეული სხვაც) დედა-ბოძებად დგანან კაცობრიობის კულტურის სადარაჯოზე, საერთოდ, და კერძოდ ცოდნისა და სწავლა-განათლების საკითხებში სწორედ ისინი იყვნენ გზის გამკვლელნი მომდევნო თაობათა მოღვაწეებისათვის. ამიტომ ბუნებრივია, რომ მათმა ნააზრევმა ფართო გამოსახულება ჰპოვა წინამდებარე კრებულში.

კრებულს დართული აქვს მოკლე ბიოგრაფიული ცნობები იმ მოღვაწეთა შესახებ, რომელთა აზრები მოყვანილია თვით კრებულში. ეს დართული ცნობარი, ვფიქრობთ, ჯეროვან სამსახურს გაუწევს მკითხველს.

დასასრულ, მკითხველის საყურადღებოდ უნდა ითქვას შემდეგიც. წინამდებარე კრებულში მოყვანილი ციტატები გამოჩენილ მსოფლიო მოღვაწეთა თხზულებებიდან შემოწმებულია ამ თხზულებათა უახლეს გამოცემებში. მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებიდან მოყვანილი ადგილები ამოღებულია ამ შრომათა ქართული გამოცემებიდან. სხვა უცხო ავტორთა აზრებიც, სადაც შესაძლებელი იყო, მოყვანილია ამ ავტორთა ქართული გამოცემების მიხედვით. დანარჩენ შემთხვევებში ტექსტები ქართულად თარგმნილია ალ. გვეტაძის მიერ.

ამ მოკლე წინასიტყვაობის მიზანი იყო მკითხველისათვის მიგვეწოდებინა წინამდებარე კრებულის შესახებ ზოგადი ცნობები, ხოლო კრებულის ღირებულებას თვით მომხმარებელი. მკითხველი უკეთესად შეაფასებს და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ კრებულის პირუთვნელი შეფასება მისი შემდგენელის სასარგებლოდ იქნება.

სიმ. ყაუხჩიშვილი

შემდგენელისაგან

წინამდებარე შრომა, რომლის მასალა 45 წლის მანძილზე შეკრებილი მასალის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს, განკუთვნილია უმთავრესად ჩვენი ახალგაზრდობისათვის, თუმცა, ვიმედოვნებთ, ის უფრო მომზადებულ მკითხველთა ყურადღებასაც დაიმსახურებს.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მიერ შეკრებილ 1400-მდე ავტორის 18 000-მდე აზრიდან, რომლებიც ეხება და სხვადასხვა მხრივ აშუქებს კერძო, საზოგადოებრივი და საერთაშორისო ცხოვრების, უფლებისა და ვალდებულების, ეთიკისა და მორალის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმისა. ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და მრავალ სხვა საყურადღებო საკითხებს, ამ შრომაში მოცემულია მხოლოდ 500-მდე ავტორის * 3000-მდე აზრი ცოდნის, სწავლის და განათლების შესახებ და აგრეთვე იმ საკითხთა შესახებ, რომლებიც, ასე თუ ისე, უშუალოდ და მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ თემებთან. ასეთებია თემები: აზროვნება, მეცნიერება, კაცობრიობის პროგრესი და მომავალი, აღზრდა, მშობლიური ენა, წიგნები, ლიტერატურა და სხვ.

მასალა წიგნში დალაგებულია თემატიკურად და იმავე დროს აზრთა შინაარსის თანმიმდევრობის დაცვით. ამიტომ ამ წიგნს ჩვენ დავარქვით „აზრთა კონა".

მთელი შრომა შესავლის გარდა, შეიცავს სამ ძირითად თემას (ცოდნა, სწავლა, განათლება) და დამატებას (წიგნები, ლიტერატურა). ყველა ეს თემები თავის მხრივ შედგება ქვეთემებისაგან, ხოლო ქვეთემები შეი-

---

* შრომაში მოყვანილია მხოლოდ მიცვალებულ მოაზროვნეთა და მოღვაწეთა აზრები.

ცავს აზრთა სერიებს ანუ ჯგუფებს, რომლებიც შეეხება და აშუქებს ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხს.

თემები, ქვეთემები და აზრთა სერიები გამოყოფილია ფერადი ორნამენტებით. ორნამენტები სამი სახის და ზომისაა. დიდი (მრგვალი) ორნამენტებით გამოყოფილია თემები, საშუალო ზომის (მოგრძო) ორნამენტები საზღვრავენ ქვეთემებს, ხოლო მცირე ორნამენტები საზღვრავენ აზრთა სერიებს.

ეს ორნამენტები ასრულებენ ერთგვარი სასვენი ნიშნების როლს და მოცემული გვაქვს იმ განზრახვით, რომ შევაჩეროთ მკითხველი, თუ ის მოინდომებდა მთელი წიგნის ერთბაშად, ასე ვთქვათ, „სულმოუთქმელად" წაკითხვას, ისე, როგორც მაგალითად იკითხება საინტერესო რომანი, მოთხრობა ან ზღაპარი. ჩვენი წიგნის კითხვის დროს კი მეტად საჭიროა შეჩერება არამცთუ ამ სასვენი ნიშნების, — ორნამენტების მიხედვით, არამედ ხშირად თითოეული ცალკე აზრის წაკითხვის შემდეგაც კი, რადგან ისინი საჭიროებენ ჩაფიქრებას, დაკვირვებას * და, მაშასადამე, შეჩერებას, შესვენებას.

კერძოდ, ახალგაზრდა მკითხველთ კი ჩვენ ვურჩევთ: ამოსწერეთ აქედან და სხვა, თქვენ მიერ წაკითხული წიგნებიდან როგორც ის აზრები, რომლებიც თქვენ მოგწონთ და რომლებსაც თქვენ იზიარებთ, ისე ის აზრებიც, რომლებსაც თქვენ არ ეთანხმებით, ყოველმხრივ შეადარეთ და დაუპირისპირეთ ისინი ერთიმეორეს, გაარჩიეთ ისინი, გაუკეთეთ მათ ანალიზი, ჩასწვდით მათ სიღრმეს, რადგან „ახალგაზრდობისათვის ნათელი აზრების გაცნობა საუკეთესო გონებრივი ვარჯიშია. ის ანაყოფიერებს ჭკუას და ამახვილებს აზრს" (ი. ჰერდერი).

გადაიქციეთ ჩვეულებად ყოველი წიგნის, გაზეთის, ჟურნალის კითხვის დროს ეძებოთ მასში ლამაზი, სხარტული და ღრმაშინაარსიანი აზრები, აგროვეთ და შეისწავლეთ ისინი. ეს გაამდიდრებს თქვენს გონებას და მიგაჩვევთ აზროვნებას. ხოლო აზროვნების მნიშვნელობის და მოაზროვნე ადამიანის ფასსა და ღირსებას თქვენ ამ წიგნის პირველივე გვერდებზე გაეცნობით. გახსოვდეთ, რომ მ ხ ო ლ ო დ მ ო ა ზ რ ო ვ ნ ე

* ამიტომ იყო, რომ დიდმა ილიამ ამ წიგნის შორეულად ანალოგიური თავის წიგნს, გამოჩენილ ადამიანთა აზრების კრებულს „დ ა მ ა კ ვ ი რ დ ი" დაარქვა.

ადამიანია სრულიადამიანი—ადამიანი სასარგებლო სამშობლოსათვის და კაცობრიობისათვის.

წიგნის თემატიკისა და აღნაგობის შესაბამისად და მკითხველისათვის რთული მასალის ათვისების გასაიოლებლად ღრმაშინაარსიანი აზრების გვერდით, ჩვენ, ლექსით თუ პროზით, ვიძლევით სახუმარო, ჰუმორისტულ აზრებს, თქმებს, ხალხურ ანდაზებს და პარადოქსებსაც კი. თუ, „უზუსტეს მეცნიერებაშიაც კი „უაზრობაა ფანტაზიის უარეოფა“ და „...მათემატიკაშიაც კი საჭიროა იგი...“ (ვ. ლენინი). რადგან ის აღაფრთოვანებს და ახალ პერსპექტივებს უშლის მკვლევარს, ვფიქრობთ ასევე, და არა ნაკლებ, საჭიროა ფანტაზია და ჰუმორი არა მარტო ლიტერატურაში, არამედ მეცნიერებაშიც და ფილოსოფიაშიც.* ასეთ ფანტაზიასა და ჰუმორის უნარიანობას არ იყვნენ მოკლებულნი არც დიდი მწერლები და პოეტები და არც გამოჩენილი ფილოსოფოსნი და მოაზროვნენი.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ყველაფერი ამქვეყნად, ყოველი საგანი, იდეა და მოვლენა, და მათ შორის წიგნიც, უნდა ემსახურებოდეს კაცობრიობის პროგრესს, ადამიანის წინსვლას, ბედნიერებას და სიხარულს, ხოლო დაღვრემილ, უიმედო, უხალისო და უსიხარულო პესიმისტებს ჯერ არაფერი საზრიანი და სასარგებლო არ გაუკეთებიათ კაცობრიობისათვის, ადამიანისათვის...

აი რატომ არის კიდევ ჩვენს წიგნში მოცემული პარადოქსებიც, ჰუმორიც და გროტესკიც კი.

მთელს წიგნში 30-მდე აზრი ან მთლიანად ან ნაწილობრივ განმეორებულია ორ სხვადასხვა ადგილზე, რაც გამოწვეულია თვით წიგნის აღნაგობით. ეს აზრები ერთ შემთხვევაში აშუქებენ ერთ რომელიმე საკითხს, ხოლო მეორე შემთხვევაში აღრმავებენ მეორე საკითხს. წიგნში მოცემულ აზრთა შორის არის 40-მდე უავტორო აზრი, რომელთაც ან პირველწყაროებში არ ჰქონდა დასახელებული ავტორი, ან ავტორი საეჭვო იყო. ასეთ აზრებს ბოლოში დასმული აქვს ნიშანი (—).

---

* უფრო ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხ. მ. გორკის, ა. ლუნაჩარსკის, ვ. ლენინის, და დ. პისარევის აზრები 671—675 (გვ. 114—115)

წიგნში მოცემულ აზრების ავტორთა და მოხსენებულ პირთა ვინაობის შესახებ მოკლე ცნობები დართული გვაქვს წიგნის ბოლოში. ეს ცნობები, რომელთა შედგენამ დიდძალი ენციკლოპედიური მასალის შესწავლა და გამოყენება მოითხოვა, ბევრ შემთხვევაში ასრულებენ მოცემული აზრების კომენტარების როლს, უფრო ღრმად აშუქებენ მათ და, ვფიქრობთ, თავისი შინაარსით და ისტორიულობით არ იქნება მკითხველისათვის მოკლებული თავისებურ ინტერესს.

ცხადია, ამ შრომაში არ არის მოცემული ბევრი საინტერესო და საყურადღებო აზრი ცოდნის, სწავლისა და განათლების შესახებ, რომელთა სავსებით შეკრება ცალკეული კომპილატორის ძალ-ღონეს აღემატება, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით შევძელით გაგვეკეთებია ეს მცირე საქმე; უფრო მეტისა და უკეთესის გაკეთებას კი მოველით ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებისგან.

ვიმედოვნებთ, ეს მეტად არასრული ნაშრომი ნაწილობრივ მაინც შეავსებს იმ დიდ ხარვეზს, რომელიც რუსულ და უცხო ლიტერატურასთან შედარებით, ჩვენი ლიტერატურის ამ დარგში არსებობს, დააინტერესებს მკითხველს და სარგებლობას მოუტანს ჩვენს ახალგაზრდობას. თუ რამდენად მივაღწიე დასახულ მიზანს — მიმეწოდებია მკითხველისათვის საინტერესო და სასარგებლო წიგნი, განსაჯოს თვით მკითხველმა.

ალ. გვეტაძე

შესავალი

1

ცხოვრობდე — ნიშნავს გრძნობდე და აზროვნებდე, იტანჯებოდე და ნეტარობდე; ყოველი სხვა სიცოცხლე—სიკვდილია.

ბ. ბელინსკი

2

მე მინდა ვიცოცხლო, რომ ვიაზროვნო და ვიტანჯო.

ა. პუშკინი

3

ცოცხლობდე — ნიშნავს აზროვნებდე (Verire est cogitare).

ციცერონი

4

ცოცხლობდე — და აზროვნებდე ერთი და იგივეა.

პარმენიდე

5

ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ (Cogito, ergo sum).

რ. დეკარტი

6

მაშ რა შეადგენს ადამიანის სიდიადეს თუ არა აზრი?

ა. პუშკინი

7

ადამიანსა და ცხოველს შორის ის განსხვავებაა, რომ ადამიანი წარმოადგენს მოაზროვნე ცხოველს, ცხოველი კი არ წარმოადგენს მოაზროვნე ადამიანს.

ა. ბებელი

8

თითქმის ყველა ანტიკურ ქანდაკებას, მხოლოდ მცირეოდენის გამონაკლისით, თავი ოდნავ დახრილი აქვს. ეს ადამიანის დამახასიათებელი ჩაფიქრების ნიშანია, ვინაიდან ადამიანი — მოაზროვნე ცხოველია.

ლ. ჭიდრო

9

აზროვნება—ყველა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანის მოვალეობაა.

მ. გორკი

10

აზროვნება არ არის რაღაც პროფესიული რამ, რომელიც [მხოლოდ] ეგრეთწოდებულ ფილოსოფოსთა და პროფესიულ მოაზროვნეთა გამგებლობაში შედის. ყველაზე უკეთესი ფილოსოფოსი ისაა, ვისაც ყველაზე მარტივად შეუძლია აზროვნება.

ჯ. გროტი

11

არც ცოდნა, არც აზროვნება არ იწყება სრული ჭეშმარიტებებით... აზროვნება არ იქნებოდა საჭირო, რომ მზა ჭეშმარიტებანი არსებულიყო.

ა. ი. გერცენი (მამა)

12

...ჭეშმარიტების მიღწევა შეიძლება მხოლოდ სინამდვილის ზუსტი, ყოველმხრივი შესწავლით.

ნ. ჩერნიშევსკი

13

... ადამიანის გონების სილამაზე და სიდიადე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოუსვენებლად, შეუჩერებლად, დაუღლელად, განსაცდელის შეუშინებლად მარად ეძებდეს ჭეშმარიტებას, რომელიც მას მუდამ უსხლტება.

ა. ფრანსი

14

ჭეშმარიტების სამეფო — აღთქმული ქვეყანაა და გზა მისკენ — არაბეთის უდაბნო.

ბ. ბელინსკი

15

აღთქმული მხარე ყოველთვის მთის გადაღმაა.

უოშ. ირვინგი

16

აზროვნება—ეს სულის სუნთქვაა.

მ. საფირი

17

აზრები—სულის ფრთებია.

პ. ბოვი

18

აზრი—ეს სინათლეა.

ვ. ჰიუგო

19

მეცნიერული აზრი — ადამიანთა ნებისყოფის, გონების, თვითშეგნების და თავდაცვის განვითარების ერთ-ერთი და ყველაზე მძლავრი იარაღია.

მ. გორკი

20

მხოლოდ ისაა თავისუფალი, ვინც დამოუკიდებლად აზროვნებს და არ იმეორებს სხვის სიტყვებს, რომელთა აზრი მას არ გაეგება.

ბ. აუერბახი

21

ვისაც თავისი საკუთარი შეხედულება არა აქვს და დამოკიდებულია სხვების შეხედულებებზე და გემოვნებაზე, ის—მონაა.

კ. კლოპშტოკი

22

ცხადია, რომ ადამიანები, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობის დაკარგვით იწყებენ, თავიანთი ენერგიის დაკარგვით ამთავრებენ.

პ. ბოკლი

23

აზრი—ადამიანის მთავარი ნიჭია: მისი გამოთქმა—ერთ-ერთი მისი მოთხოვნილებათაგანი, მისი გავრცელება — უძვირფასესი მისი თავისუფლება.

პ. ბუასტი

24

აზრის თავისუფლება — ადამიანისათვის მისაწვდომი ერთადერთი და ყველაზე ძვირფასი თავისუფლებაა.

მ. გორკი

25

აზრის თავისუფლება—უდიდესია ყველა ბედნიერებათა შორის; შესაბრალისნი არიან ისინი, ვისთვისაც ის უცნობია.

რ. როლანი

26

ბედნიერი ხარ, თავისუფლად აზრს რომ გამოთქვამ.

დანტე

27

სინდისისა და აზრის თავისუფლების გარეშე განათლება არ არსებობს.

მ. ნალბანდიანი

28

განათლება საფუძვლიანია იმდენად, რამდენადაც ის თავისუფალი და დამოუკიდებელია: განათლების ყლორტებს არ შეუძლია მონობაში იხაროს.

მ. ნალბანდიანი

29

თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა.

ი. ჭავჭავაძე

30

არა მარტო გონებით დაჯილდოებული ადამიანები, არამედ გონებას მოკლებული მხეცებიც კი ყველაფერზე უფრო მაღლა თავისუფლებას აფასებენ.

მ. სერვანტესი

31

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.

ი. ჭავჭავაძე

32

თავისუფლება საზოგადოებრივ ორგანიზმისათვის იგივეა, რაც ჯანმრთელობა ინდივიდუუმისათვის. როდესაც კაცი თავის

ჯანმრთელობას ჰკარგავს, არაფერი ქვეყნად აღარ ახარებს მას; თუ საზოგადოება თავისუფლებას ჰკარგავს, ის შეწუხებულია და მისთვის აღარ არსებობს ბედნიერება.

ჰ. ბოლინგბორკი

33

არსებითად, ადამიანის ღირსება მდგომარეობს მისი აზრის უსაზღვრო თავისუფლებაში; თუ ისიც გათელილი იქნება ამა თუ იმ ავტორიტეტით ან სისტემით, რაღაშია მაშინ ადამიანის ღირსების სიმშვენიერე?

მ. ნალბანდიანი

34

ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?

ნ. ბარათაშვილი

35

ხელი აიღო თავისუფლებაზე,—ეს ნიშნავს ხელი აიღო ადამიანურ ღირსებაზე, კაცობრიობის უფლებაზე და მის მოვალეობაზე.

ჟ.-ჟ. რუსო

36

რა კაცი უთხრა იმასა,
ვისაც არა სძულს მონება?

ვაჟა ფშაველა

37

მომეცით თავისუფლება, სწავლის, აზროვნების, რწმენისა და იმის ლაპარაკის, რასაც ჩემი სინიდისი მიკარნახებს, და მე ამ თავისუფლებას ვამჯობინებ ყველა დანარჩენთ.

ჯ. მილტონი

38

პიროვნების თავისუფლება — უდიდესი რამაა; მასზედ და მხოლოდ მასზედ შეიძლება აღმოცენდეს ხალხის თავისუფლება. ადამიანი თავის თავში უნდა პატივს სცემდეს თავისუფლებას და პატივს სდებდეს მას არანაკლებ, ვიდრე მოყვასში და მთელს ხალხში.

ა. ი. გერცენი (მამა)

39

როდესაც დედამიწაზე არის თუნდაც ერთი ადგილი, სადაც გონება და თავისუფლება მეფობენ, მაშინ ამ თავისუფლებას შეუძლია ნელა და ხანგრძლივად უფრო შორს გავრცელდეს.

რაპელი

40

თავისუფლება, თუ კი მან ერთხელვე ფესვები გაიდგა, სწრაფად იზრდება.

ჯ. ვაშინგტონი

41

ჭეშმარიტებასა და თავისუფლებას ის კარგი მხარე აქვთ, რომ რასაც კი მათ წინააღმდეგ ან მათ სასარგებლოდ აკეთებენ, ყველაფერი სასარგებლოდ რჩება მათთვის.

ვ. ჰიუგო

42

ვინც გონივრულ ჭეშმარიტებათა წინააღმდეგ ილაშქრებს, ის აღვივებს ცეცხლს, რომლის ნაპერწკლები ყველგან მიმოიფანტება და ანთებს სინათლეს.

ვ. გოეთე

43

იქ, სადაც უხეში ძალა ფიქრობს განამტკიცოს რაიმე ჭეშმარიტება, ის მას ანგრევს, იმიტომ, რომ საეჭვოდ ხდის ჭეშმარიტების შინაგან ძალას; ჭეშმარიტებისათვის გაცილებით უმჯობესია უხეში ძალა იყოლიოს მტრად, ვიდრე დამხმარედ და თანამშრომლად.

მ. ნალბანდიანი

44

ჭეშმარიტება ზოგჯერ შეიძლება დაჩრდილულ იქნეს, მაგრამ ის არასოდეს არ ქრება.

ტიტუს ლივიუსი

45

ჭეშმარიტება შეიძლება დროებით დაიფაროს, მაგრამ საბოლოოდ მისი დამარცხება — შეუძლებელია.

ავგუსტინე

46

ჭეშმარიტება, ისევე როგორც მზე, შეიძლება დაბნელდეს, მაგრამ მხოლოდ დროებით.

ა. ბოვი

47

ჭეშმარიტების საუკეთესო მეგობარი—დროა, უცუდესი მტერი კი — ცრურწმენა.

კ. კოლტონი

48

ჭეშმარიტება შვილია დროისა, და არა ავტორიტეტისა.

ფრ. ბეკონი

49

... აზრი, იდეა არსებითად უკვდავია და მას ვერას დააკლებს ვერც „დამამშვიდებელი რაზმები" და ვერც ტყვია-ზარბაზნები.

ა. წერეთელი

50

...იდეა იმისთანა რამ არის, რომ მას ვერც ხმალი მოერევა, ვერც თოფი.

ი. ჭავჭავაძე

51

აზრი ემსგავსება მსუბუქ ქროლას, მაგრამ ეს ქროლა ყველაფერს აყირავებს. გონება, კიდეც რომ მას ავიწროებდნენ და უგულველჰყოფდნენ, საბოლოო ანგარიშში ყოველთვის იმარჯვებს, რადგან უიმისოდ სიცოცხლე შეუძლებელია.

ა. ფრანსი

52

როგორც ორთქლი, როდესაც ვეღარ პოულობს საჭირო გამოსავალს, გლეჯს ქვაბებსა და მანქანებს, სწორედ ისევე, თავის ნორმალურ განვითარებაში შეკავებული აზრიც სწყვეტს შემოქმედებითი საწყისის საქმიანობას და იქცევა დამანგრეველ ძალად.

ვ. ოდოევსკი

53

გონება, ისევე როგორც თოფის წამალი, სახიფათოა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეზღუდულია.

ა. ბესტუჟევი (მარლინსკი)

54

საშიშარია მხოლოდ შებორკილი სიტყვა; დახშული სიტყვა შურს იძიებს, წარმოთქმული სიტყვა კი—ფუჭად არ იკარგება.

ლ. ბერნე

55

დესპოტები ხელს უწყობენ მოაზროვნეთა მუშაობას. შებორკილი სიტყვა—საშინელი სიტყვაა. როდესაც მბრძანებელი თავს ახვევს ხალხს დუმილს, მაშინ მწერალი აძლიერებს თავის სიტყვას... ტირანია აიძულებს მწერალს შეამციროს თავისი სამოღვაწეო ასპარეზი, რის წყალობითაც ძლიერდება სიტყვა.

ვ. ჰიუგო

56

ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავის დღეში არა.

ი. ჭავჭავაძე

57

კაცობრიობის ისტორია გამუდმებული მოძრაობაა წინ თავისუფლების შემეცნებისაკენ.

გ. ჰეგელი

58

თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ აკეთო ყველაფერი ის, რაც ნებადართულია კანონებით. თუ რომელიმე მოქალაქეს შეეძლებოდა იმის ჩადენა, რასაც კანონები კრძალავენ, მაშინ თავისუფლება უკვე აღარ იქნებოდა, რადგან სხვებიც სწორედ ასევე მოიქცეოდნენ.

შ. მონტესკიე

59

მხოლოდ ის საზოგადოება, რომელშიაც უმაღლესი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს, არის საგანძური თავისუფლების, იმ თავისუფლებისა, რომელიც ყოველივე სიკეთეზე მაღლაა და

რომელიც, თუ ის ერთნაირი არაა ყველასათვის. უკვე აღარ არის თავისუფლება.

ციცერონი

60

განა ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ ჩვენს ქვეყანას (ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებს) თავისუფალი ქვეყანა? რა აზრი აქვს პოლიტიკურ თავისუფლებას, თუ ის არაა გამოყენებული ზნეობრივი თავისუფლების მისაღწევ საშუალებად?... იქნებ ჩვენი შვილიშვილები და შვილთა-შვილები ნამდვილად იქნენ თავისუფალნი.

ჰ. თორო

61

მხოლოდ მათ იციან რა არის თავისუფლება. ვინც მზადაა თავი შესწიროს მას.

ა. სტალი

62

საპყრობილეში სიცოცხლეს სჯობს თავისუფლებაში სიკვდილი.

მ. ნალბანდიანი

63

ბევრით სჯობია სიკვდილი
სიცოცხლეს გალიაშია.

ვ. ორბელიანი

64

... უმჯობესია ბრძოლაში დაცემა, ვიდრე დამცირების ფასად სიცოცხლის ყიდვა!

უ. შექსპირი

65

... სად. მითხარ, როდის იყო უმსხვერპლოდ მოპოვებული თავისუფლება?

კ. რილეევი

66

ვინ ნახა თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითა?

ა. წერეთელი

67

არ არსებულა ჯერ ქვეყნად მსხვერპლი, გაღებული სრულიად ფუჭად.

ი. ტურგენევი

68

... ყოველი საქმე, და მით უმეტეს თავისუფლება, მსხვერპლსა თხოულობს.

ლ. ტოლსტოი

69

უმსხვერპლოდ არსად რა გაკეთებულა, არც გაკეთდება.

ვაჟა ფშაველა

70

თავისუფლება თავის თავად არ ვარდება პირში.

ვ. მაიაკოვსკი

71

ვიბრძოლოთ... თავისუფლებისათვის, სანამ გვერჩის ახალგაზრდობა და სავსენი ვართ ცეცხლისებური ძალით; ვინ იცის, შეიძლება, აღარც კი გვექნეს ამის უნარი, როდესაც ჩვენ სიბერე შემოგვეპარება.

ფრ. ენგელსი
„ბერმანის მოგონებანი“,
К. Маркс и Фр. Энгельс, Соч., II, 88*

72

თითოეულ ეპოქაში გაბატონებული კლასის აზრები არის საერთოდ გაბატონებული, ე. ი. კლასი, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების გაბატონებულ მატერიალურ ძალას, არის ამავე დროს მისი გაბატონებული სულიერი ძალა.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი
„გერმანული იდეოლოგია“,
М. Э. Соч., IV, 36.

73

აბა, რას ამტკიცებს იდეათა ისტორია თუ არა იმას, რომ გონებრივი წარმოება გარდაიქმნება ხოლმე მატერიალურ წარ-

* ეს გამოცემა ქვევით ყველგან მითითებულია შემოკლებით: М. Э. Соч.

მოებასთან ერთად? ამა თუ იმ ხანის გაბატონებული იდეები ყოველთვის იყო გაბატონებული კლასის იდეები.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი
„კომუნისტ. პარტიის მანიფესტი", 74, 1948.

74

ყოველ ეპოქაში მოქმედებს ერთი რომელიმე, სხვაზე უფრო მძლავრი იდეა, რომელიც მოვლენებს ანიჭებს გარკვეულ ფორმას და განსაზღვრავს მათ საბოლოო შედეგს.

ჰ. ბოკლი

75

აზრი! დიადი სიტყვაა! მაშ რა შეადგენს ადამიანის სიდიადეს თუ არა აზრი? დაე, აზრი თავისუფალი იყოს, როგორც თავისუფალი უნდა იქნეს ადამიანი: კანონის ფარგლებში, ყველა იმ პირობის დაცვით, რომლებსაც საზოგადოება გვაკისრებს.

ა. პუშკინი

76

ნუ დაუტყვევებთ კაცს აზრსა,
თუმც იყოს არა მცნებისა;
დეე, მაღლა თქვას, წარმოთქვას, —
მაშია ყოფა ნებისა.

ვ. ორბელიანი

77

ნუ ვიქნებით მცირე რწმენის, პირად მოუთმენლობას ნუ მოვახვევთ მასებს.

ვ. ლენინი

78

იყავ ჭეშმარიტების მეგობარი მოწამეობამდე, მაგრამ ნუ იქნები მისი დამცველი შეუწყნარებლობამდე.

პითაგორა

79

... აზრი სხვა არა არის რა გარდა იმისა, რომ საქმეა ჯერ განუხორციელებელი, და საქმეც აზრია უკვე განხორციელებული.

ი. ჭავჭავაძე

80

სიტყვა სხვა არა არის რა, რაც აზრის შორეული და შესუს-ტებული გამოძახილი.

გ. ფლობერი

81

ძალა მართავს ქვეყნიერებას და არა აზრი, მაგრამ ძალა სარგებლობს აზრით.

ბ. პასკალი.

82

მთელი საქმე აზრებშია. აზრი ყველაფრის საწყისია. მართვა შეიძლება აზრებისაც და, ამიტომ, გასრულადების მთავარი პირობა — აზრებზე მუშაობაა.

ლ. ტოლსტოი

83

იმუშავე შენი აზრების გაწმენდაზე. თუ არ გექნება ცუდი აზრები, არ გექნება ცუდი საქციელიც.

კონფუცი

84

დათესეთ საქციელი—და თქვენ მოიმკით ჩვეულებას, დათესეთ ჩვეულება—და თქვენ მოიმკით ხასიათს, დათესეთ ხასიათი—და თქვენ მოიმკით ბედს.

უ. თეკერეი

85

ჩვეულება ჩქარა გადადის ზნეში.

ბ. მანი

86

ჩვეულება ბუნებრივ თვისებად იქცევა.

არისტოტელე

87

ღრმა აზრები—ეს რკინის ლურსმნებია ჩაჭედილი გონებაში ისე, რომ მათი ამოგლეჯა არაფრით არ შეიძლება.

დ. დიდრო

88

კაცი ღრმა აზროვნებას უნდა ესწრაფვოდეს და არა ღრმა ცოდნას.

დემოკრიტე

89

ახალგაზრდობისათვის ნათელი აზრების გაცნობა საუკეთესო გონებრივი ვარჯიშია: ის ანაყოფიერებს ჭკუას და ამახვილებს აზრს.

ი. პერდერი

90

ყოველდღე უნდა მოისმინო თუნდ ერთი პატარა სიმღერა, ნახო ერთი კარგი სურათი და თუ შესაძლებელია, წაიკითხო თუნდ ერთი ბრძნული წარმონათქვამი.

ვ. გოეთე

91

ამონაწერები, ამონაკრეფები და სხვ. ემსგავსებიან გამადიდებელ შუშებს—ისინი აგროვებენ ჭკუისა და ცოდნის სხივებს, რომლებიც გაფანტულია მწერალთა თხზულებებში და მძლავრად და ცხოვლად თავს უყრიან ამ სხივებს მკითხველის შეგნებაში.

ჯ. სვიფტი

92

ჭკვიანური სიტყვები ემსგავსებიან კურსივით დაბეჭდილ სტრიქონებს.

კოზმა პრუტკოვი

93

აზრებს, მსგავსად ყვავილებისა, უფრო მეტი მომხიბვლელობა აქვთ, როდესაც მათ ცალკ-ცალკე ვიღებთ.

პ. ბუასტი

94

დრო ვერაფერს აკლებს დიად აზრებს, რომლებიც ისევე ახალია დღესაც, როგორიც იყვნენ მაშინ, როდესაც პირველად, მრავალი საუკუნის უკან, ჩაისახნენ მათ ავტორთა გონებაში; რაც ოდესღაც ნაფიქრევი და ნათქვამი იყო, მას ახლაც ისევე ცხოვლად გვეუბნება ნაბეჭდი ფურცელი.

ს. სმაილსი

95

ბრძენთა მიერ ერთხელ აღმოჩენილი მაღალი ჭეშმარიტებანი უკვდავნი არიან. ეს ისეთი ლითონის ფულებია, რომელთა სიქა * არ იშლება, არამედ, პირიქით, უფრო მკაფიო ხდება. აი რატომაა, რომ ძველ ბრძენთა არც ერთი ჭეშმარიტება არ დაიკარგა ჩვენთვის.

კ. რილეევი

96

კარგი აზრი, საიდანაც არ უნდა იქნეს ის ამოღებული, გაცილებით უფრო უკეთესია, ვიდრე საკუთარი სულელური აზრი, — საწყენად ნუ დარჩებათ მათ, ვინც არ მიმართავს არავის და ყველაფერს პოულობს თავის თავში.

ფ. ლამოთ ლე ვაიე

97

განა არსებობს ვინმე იმ ადამიანზე უუბედურესი, ვინც საკუთარი მონაგონის მონად გამხდარა?

ლათინური თქმა

98

ყველაზე მეტად ბრიყვულად ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ჰკარგავს თავის ორიგინალობას, თუ სხვების მიერ უკვე აღიარებულ ჭეშმარიტებას აღიარებს.

ვ. გოეთე

99

ვინც მეტის-მეტად ზრუნავს თავის ორიგინალობის შენარჩუნებაზე, მან შეიძლება ის კიდეც დაჰკარგოს.

რ. შუმანი

---

* სიქა (არაბ.—სიქკა)—თეგი, ბეჭედი, შტამპი ოქროს, ვერცხლის ან სხვა რაიმე ლითონის ნივთზე ან ფულზე.

100

განზრახ ორიგინალური ვერ გახდები.

მ. გორკი

101

დიადი აზრები გულიდან გამომდინარეობენ.

ლ. ვოვენარგი

102

სათნო წესები, რომლებიც გულიდან გამომდინარეობენ, ისევე სასარგებლოა, როგორც კარგი მაგალითები.

სენეკა

103

უფრო სასარგებლოა ცოდნა რამდენიმე ბრძნული წესისა, რომლებიც შენ სამსახურს გაგიწევენ, ვიდრე შენთვის უსარგებლო ბევრი რისამე დასწავლა.

სენეკა

104

ნუთუ უფრო სასარგებლოა ვისწავლოთ თუ სად დაეხეტებოდა ოდისევსი, ვიდრე ვიზრუნოთ იმაზე, რომ თვით არ გვებნეოდეს გზა?

სენეკა

105

დიადი ნაწარმოებები ყველასათვის არაა ხელმისაწვდომი და, თუმცა უკეთესია მათი ცოდნა სავსებით, ვიდრე ნაწყვეტებში, მაინც საქებარი საქმეა — მიეცეს თუნდ ცოტა რამ მათ, ვისაც არა აქვს არც დრო, არც საშუალება ამოკრიფოს იმათგან უფრო მეტი.

ს. კოლრიჯი

106

„ხალხს“ დრო არა აქვს დიდი წიგნები იკითხოს.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 33, გვ. 435*.

---

* წიგნში მოცემული ვ. ლენინის აზრები ციტირებულია ვ. ლენინის თხზულებათა მე-4 ქართული გამოცემიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მითითებულია სხვა წყარო.

107

მეცნიერებანი ისე მრავლადაა, გადმოცემულია ისინი ისე ვრცლად, დაწერილია იმდენი ურემი მეცნიერული წიგნებისა, რომ ადამიანის გონებისათვის არ არის მათი შესწავლის არაკითარი შესაძლებლობა. იმავე დროს შეუძლებელია ჩამოიყალიბო მსოფლმხედველობა და ცხოვრებაში სახელმძღვანელო საწყისები, ყველა მეცნიერებათა გაუცნობლად, ე. ი. სამყაროს საერთო შეცნობის გარეშე. და აი, მე მინდა ვიყო ჩეხოვი: მოუმზადებელი ან ნაკლებმომზადებული მკითხველისათვის მისაწვდომ პატარა ნარკვევებში გადმოვცე კოსმოსის შესახებ ყველაზედ სარწმუნო მოძღვრების სერიოზული და ლოგიკურად დასაბუთებული ცოდნა.

კ. ციოლკოვსკი

108

მხოლოდ სწავლულთ შეუძლიათ დედანში იკითხონ უცხო მოაზროვნეთა ნაწარმოებები. აი ამიტომაცაა, რომ უცხო ლიტერატურათა ესოდენი სილამაზენი ასე დიდი ხნით რჩება უცნობი ჩვენს ქვეყანაში.

ო. სენტ-ბევი.

109

მსგავსად იმისა, როგორც ვარსკვლავები მოწმენდილ ღამეში ამშვენებენ ცას და ყვავილები გაზაფხულზე ამშვენებენ მწვანე მინდვრებს, ისე გონებამახვილობის ნაკვესები ამშვენებენ პატიოსან ადამიანთა შეკრებილობას და სასიამოვნო საუბრებს.

ჯ. ბოკაჩიო

110

სხარტული გამონათქვამი აღიბეჭდება ადამიანის გონებაში, უშვებს ფესვებს, იძლევა ყვავილებს, მოაქვს ნაყოფი და განაგრძობს თავისი გავლენის მოხდენას შემდეგშიაც.

ფრ. ბოდენშტედტი

111

მოკლე სიტყვები ყოველთვის უფრო შინაარსიანია და მათ შეუძლიათ გამოიწვიონ ძლიერი შთაბეჭდილება.

მ. გორკი

112

სიტყვის ძალა მდგომარეობს ცოტა სიტყვებით ბევრის გამოთქმაში.

პლუტარქე

113

კარგი ნათქვამი ორმაგად კარგია, როდესაც ის მოკლეა.

ბ. გრასიან-ი-მორალესი

114

მოკლე სიტყვა—სულია ჭკუისა,
გრძელი სიტყვა კი მხოლოდ მისი სამოსელია.

უ. შექსპირი

115

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი.

რუსთაველი

116

მორალი უკეთ გამოითქმება მოკლე თქმებში, ვიდრე გრძელ სიტყვებში და ქადაგებებში.

კ. იმერმანი

117

მჭევრმეტყველება არის ხელოვნება — სთქვა კარგად მხოლოდ ის, რაც სათქმელია.

ს. ლაროში

118

იულიუს კანდიდუსი მახვილგონიერად ამბობს, რომ ერთია მჭევრმეტყველება, ხოლო სულ სხვაა მრავალმეტყველებაო.

პლინიუს უმცროსი

119

მრავალსიტყვაობა ჩვეულებრივად წარმოშობს მოწყენილობას.

მ. სერვანტესი

120

... მრავალსიტყვაობა აგულისებს მსმენელს და ვნებს მთქმელსაც.

ფ. როხასი

121

მრავლის მეტყველი საძულველ იქნეს მკლე * გონიერებით.

არჩილი

122

სადაც ბევრი ღვარძლია, იქ ცოტა პურია, სადაც ბევრი სიტყვებია, იქ ცოტა აზრებია.

არაბული ანდაზა

123

სიტყვის სიმრავლე სასმენელს ავნებს და ვერ აამებსა.

არჩილი

124

გრძელი სიტყვა ისევე არ უწყობს ხელს საქმეს, როგორც გრძელი ტანსაცმელი არ ეხმარება სიარულს.

შ. ტალეირანი

125

უნდა შევიგნოთ, რომ მრავალსიტყვაობა იმავე შედეგს იძლევა, რაც სიტყვაძუნწობა.

ეპიკურე

126

მძლავრი, მოკლედ გამოთქმული აზრები ბევრად უწყობენ ხელს ცხოვრების გაუმჯობესებას.

ციცერონი

127

საუკეთესო ის სიტყვებია, რომლებიც მარტივია, გასაგებია ყველასათვის და რომელთაც ღრმა აზრი აქვთ.

აღმოსავლური თქმა

128

ყველა აზრი, რომელთაც უდიდესი შედეგები მოჰყვება ხოლმე, მუდამ მარტივია.

ლ. ტოლსტოი

129

ყველაფერი ჭეშმარიტად ბრძნული — მარტივი და გასაგებია.

მ. გორკი

---

* მკლე — ნაკლული, მოკლე.

130

დიადი ადამიანები თავიანთ აზრს გამოთქვამენ ხოლმე ბუნებრივად, — ე. ი. მარტივად; ისინი ერთდროულად გავლენას ახდენენ თავისი სიმარტივით და დამაჯერებლობით: ისინი ლაპარაკობენ დამრიგებლური კილოთი და ხალხიც მათ უჯერებს.

ლ. გოგენარგი

131

არა სიტყვები და არა მათში ჩაქსოვილი აზრი მოქმედებს ხალხზე, არამედ სულისკვეთება, რომლითაც ისინია გაცხოველებული.

ა. მიცკევიჩი

132

უდიდესი სიბრძნე სიტყვის სიმარტივეშია.

მ. გორკი

133

ხელოვნებაში და ცხოვრებაში ყველაზედ მნიშვნელოვანია სიმარტივე; სიბრძნე სიმარტივეშია.

ო. თუმანიანი

134

სიმარტივე — ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა სილამაზისა.

დ. დიდრო

135

ყველაფერი დიადი — მარტივი, ნათელი და ლამაზია.

კ. ბიკოვი

136

გოეთე ოდნავადაც არ ცდილობს იყოს ლამაზი, ის არ ეძებს ღვლარჭნილსა და ზვიადს, რადგან ის თვით არის ბუნებით ლამაზი.

ბ. აუერბახი

137

ლამაზი სიტყვა — იგივე ლამაზი ქალია, რომელიც მარტოდ მარტო თავის სილამაზით ამაყობს. და როდესაც სილამაზეს

სილამაზე გამოპყავს დამცველ ფარად, იქ, იმ ადგილას ეთხრება მას სამარე.

ჭ. ლომთათიძე

138

შოპენჰაუერი ამბობს: „ვინც ნათლად აზროვნებს, ის ნათლად გადმოგვცემს"-ო, მე ვფიქრობ, რომ ამაზედ უკეთესი მას არაფერი უთქვამს.

ვ. ლენინი
М. Горький, „В. Ленин",
Собр. соч., т. 17, 21, 1952.

139

„უნდა ლოგიკურად აზროვნებდე და ნათლად გამოსთქვამდე შენს აზრს"—გვინერგავდა ის (მარქსი) ჩვენ, „ახალგაზრდებს", ყოველი შესაფერი შემთხვევის დროს და გვაიძულებდა გვესწავლა.

ვ. ლიბკნეხტი

140

თუ კაცის ენა მოდუნებული, მძიმე, არეულ-დარეული, უძლური, გაურკვეველი და გაუნათლებელია, ასევე იქნება, უთუოდ, ამ ადამიანის გონებაც...

ი. პერდერი

141

ნათელი ენა ნათელი აზროვნების შედეგია, ნათელი აზრი კი აუცილებელი პირობაა ნათელი ფორმისა.

ვ. ლიბკნეხტი

142

სიზუსტე და სხარტულობა — პირველი ღირსებაა პროზისა, ის მოითხოვს აზრებსა და აზრებს — უმათოდ ბრწყინვალე გამონათქმები არაფრის მაქნისია.

ა. პუშკინი

143

აზრის სინათლე და გამოთქმის სინათლე ჩვეულებრივად ერთად გვხვდება ხოლმე, ბუნდოვანობა და ღვლარჭნილობა — სტილის ორი უდიდესი ნაკლია.

თ. მაკოლეი

144

მკაცრ ჭეშმარიტებას არ ესაჭიროება ბრწყინვა და ფერადები.

უ. შექსპირი

145

ჭეშმარიტების სიტყვები მუდამ მოურთველი და მარტივია.

ა. მარცელინე

146

ჭეშმარიტების ენა მარტივია და ყველასათვის გასაგები; სიცრუის ენა კი, — მუდამ ბუნდოვანია.

ჯ. ჰოლბახი

147

ენა, რომელიც არ იცნობს მშვენიერ გამოთქმებს, არ იმსახურებს ენის სახელწოდებას: ეს მხოლოდ და მხოლოდ ხორცის ნაჭერია, შერჭობილი ხახაში იმ მოსაზრებით, რომ ის ყვავმა არ აწაპნოს.

პინდური თქმა

148

სადაც აზრი არ არის, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია... აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას.

ი. ჭავჭავაძე

149

სხვისი აზრების გაგება მეტად ადვილია, როდესაც საკუთარი არის თავში. საკუთარი აზრი—პატიოსანი ცეცხლია: მასთან სხვის სიყალბეს უცებ ხედავ.

მ. გორკი

150

მხოლოდ ისინი შეიცნობენ და ესწრაფვიან მშვენიერებას, რომელთაც საამისო ბუნებრივი ნიჭი მომადლებიათ.

დემოკრიტე

151

მოსწრებული სიტყვის წარმატება დამოკიდებულია მსმენელის ყურზე და არა მთქმელის ენაზე.

უ. შექსპირი

152

სიტყვა სანახევროდ ეკუთვნის მას, ვინც ლაპარაკობს, სანახევროდ კი მას, ვინც ისმენს.

მ. მონტენი

153

... კარგად ის უსმენს,
ვინც მონასმენს აღიბეჭდავს ხსოვნაში კარგად.

დანტე

154

კაი მთქმელს კაი გამგონე უნდაო.

ქართული ანდაზა

156

... როგორც ყვავილებია ბრმისათვის: ყოველგვარი ჭკუა შეუმჩნეველი დარჩება მისთვის, ვისაც ის თვით არა აქვს.

(—)

157

ცალკეული აზრების მთელი სიტკბოება დამოკიდებულია მათი გამოთქმის შეკუმშულობაზე, ვინაიდან აზრები ემსგავსებიან შაქრის ან მარილის ნამცეცებს, რომლებიც უნდა გაიხსნან წვეთ წყალში.

ჟ. პეტი-სენი

158

შეკუმშულობა ძალას მატებს ენას. არის ისეთი გამოთქმები, რომლებსაც მზის სხივების თვისება აქვთ. რაც უფრო მეტად არიან ისინი შემჭიდროებულნი, მით უფრო მძლავრად სწვავენ.

რ. სოუთი

159

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მაქსიმები და აფორიზმები — ჭეშმარიტი საყოველდღეო სიბრძნეა და ლიტერატურის მარილი. რომ ის წიგნებია ყველაზე ნოყიერი, რომლებიც მდიდარია მაქსიმებითა და აფორიზმებით; ეს წარმონათქვამები — მთავა-

რია, და მათ ადამიანები უნდა ეძებდნენ წიგნების კითხვის დროს.

ჯ. მორლი

160

ხალხური სიბრძნის წარმონათქვამები ხშირად ჭეშმარიტების მნიშვნელოვან მარცვალს შეიცავენ. ამიტომ საჭიროა მათი გულდასმით შესწავლა.

მ. ნორდაუ

161

მაქსიმები — ერის შეკუმშული საღი აზრია.

ჯ. მაკინტოში

162

ანდაზა — ძველი ფილოსოფიის ნამსხვრევია.

არისტოტელე

163

ხალხის გენიოსობა, სული და ხასიათი მის ანდაზებში მჟღავნდება.

ფრ. ბეკონი

164

საიგავ-არაკო ანდაზებში საზოგადოდ დიდი ეროვნული გრძნობა-გონება მარხია და თვით უბრალო მათგანშიაც უფრო მეტი სიბრძნეა, ვიდრე ზოგიერთა ჩვენი კალმოსნების ნაწარმოებში. მართალია, ბევრი მათგანი დღეს გაუგებარია, მაგრამ ჩვენვე ვართ შემცდარი, რომ აღარ ვიცით, თუ რას გამოუწვევია ძველად ის თქმულება.

ა. წერეთელი

165

... სხარტული ანდაზები ბევრს რასმე გვეუბნებიან გარდასულიდგან, მაგრამ... მაგრამი ის არის, რომ „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“.

ა. წერეთელი

166

ანდაზები გამოხატავენ ეპოქის ან ერის სულსა და პრაქტიკულ ფილოსოფიას.

(—)

167

ანდაზები, ფორმულებში ჩამოყალიბებული, ყველა ხალხთა გამოცდილების ნაყოფი და ყველა საუკუნეთა საღი აზრია.

ა. რივაროლი

168

ადამიანთა უმრავლესობისათვის ანდაზები ზნეობისა და პრაქტიკული ცხოვრების წესებია.

(—)

169

დიადი ადამიანის აზრების შესწავლა ყველაზე უფრო გასართობი მეცნიერებაა.

ა. პუშკინი

170

კარგის კაცისა შესწავლა ჰგავს წყლულისაგან მალამსა *.

თეიმურაზ I

171

გამოჩენილი ადამიანის ტვინზე უფრო მეტად მომხიბვლელი სამყარო არ არსებობს.

მოპასანი

172

მეტად ახალი და ორიგინალური იქნებოდა ის წიგნი, რომელიც ჩვენ ძველ ჭეშმარიტებებს შეგვაყვარებდა.

ლ. ვოვენარგი

173

ყოველთვის არის ხელსაყრელი შემთხვევა და საკმაო ადგილი ახალი აზრების წარმოშობისათვის, მსგავსად იმისა, როგორც ყოველთვისაა ადგილი უფრო მეტი სინათლისათვის კაშკაშა დღის სინათლეზე; ახალი სხივები არ იქნება უწინდელის განმეორება და ხელს არ შეუშლის მათ.

ჰ. თორო

174

მეცნიერების სუფრაზე ყველასათვის არის ადგილი და ყველას შეუძლია თავისი დაკვირვებები სხვების დაკვირვებებს შეუერთოს.

მ. ნორდაუ

---

* მალამსა — მალამოს.

175

ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 2, გვ. 217.

176

დამწყები მწერლის მიმართ ჩემი პირველი შეკითხვაა: მოაქვს თუ არა მას რაიმე ახალი, ან ამჟღავნებს თუ არა იგი ნიშნებს, რომლებიც ამ ახალს გვპირდება.

ო. თუმანიანი

177

ყოველი ჭეშმარიტება ახალია, როდესაც ავტორი მას გამოთქვამს განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი იერით.

ლ. ვოვენარგი

178

საუკეთესო ის წიგნია, რომელიც მეტ ჭეშმარიტებებს შეიცავს.

პ. ბუასტი

179

აი, ეს მცირე წიგნაკი
ბევრ ტომზე უფრო მძიმეა *.

ა. ფეტი

180

წიგნის მოცულობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როდესაც ის შინაარსიანია.

მ. ნორდაუ

181

უდიდესი საუნჯე იქნებოდა ადამიანის კარგი და ლამაზი აზრების კრებული.

ჟ. დელილი

---

* მძიმეა, ე. ი. ღრმა, მდიდარი. შინაარსიანია.

182

წიგნის მაღაზიის ფანჯარაში რომ დავინახე წიგნი ჩემთვის უცნობი სათაურით: „აფორიზმები და მაქსიმები“, აღვენთე სურვილით წამეკითხა ის... ეს იყო ჩემ მიერ ნაყიდი პირველი სერიოზული წიგნი, ის დღესაც. შენახული მაქვს.

მ. გორკი

183

ის უღირსია, რომელიც ბრძენთა
დიად აზრების არის მგმობელი.

„რამაიანა“

184

აწ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო?
ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?

დ. გურამიშვილი

185

ჭეშმარიტად ცოდვა უძღვის კაცსა კაცის განმკითხავსა,
მაგრამ ავზედ ავი ითქმის, კარგს არავინ გაჰკიცხავსა!

დ. გურამიშვილი



ცოდნა

186

კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 344.

187

ახალგაზრდობის სწავლა, აღზრდა და განათლება უნდა გამომდინარეობდეს იმ მასალიდან, რომელიც ძველმა საზოგადოებამ დაგვიტოვა. ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ კომუნიზმი ცოდნათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მხოლოდ იმ ჯამით, ადამიანთა ძალებისა და საშუალებების იმ მარაგით, რაც ძველი საზოგადოებისაგან დაგვრჩა.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 339.

188

... დაჟინებით დაეუფლე კაცობრიობის განკარგულებაში არსებულ ცოდნის მთელ მარაგს... დაეუფლე ადამიანთა მთელი ცოდნის მარაგს და არ ჩაიკეტო ერთ ვიწრო სპეციალობაში.

ნ. ზელინსკი

189

განათლება, სწავლა ისაა, რომ გამოვიყენოთ, ავითვისოთ მთელი ის სულიერი მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენ წინაპრებმა დაგვიტოვეს.

ლ. ტოლსტოი

190

განათლებული გონება შესდგება, ასე ვთქვათ, ყველა წინანდელ საუკუნეთა გონებებიდან.

შ. ფონტენი

191

თითოეული საუკუნე ღებულობს რა ახალ იდეებს, იძენს ახალ თვალებს და ხედავს ბევრს ახალს გონების ძველ ქმნილებებში.

ჰ. ჰაინე

192

იმისათვის, რომ კარგად იცოდე ყველაფერი რაც არის, უნდა იცოდე ყველაფერი რაც იყო და ყველაფერი რაც უნდა იქნეს.

მ. გორკი

193

ისტორია იმისა, რაც არის, ეს ისტორიაა იმისა, რაც იყო და რაც იქნება.

ჟ. ბერნარდენ დე სენ-პიერი

194

თუ კულტურის ისტორია არ იცი, შეუძლებელია კულტურული ადამიანი იყო; თუ წარსული არ იცი, შეუძლებელია დღევანდელი დღის ჭეშმარიტი აზრი და მომავლის მიზანი გაიგო.

მ. გორკი

195

წარსულისაკენ უკან მოხედვა საჭიროა, ისტორია — ცუდი მასწავლებელი არაა.

მ. გორკი

196

ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ იწყება. როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა

ეკარგება თავის წარსულისა... დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა.

ი. ჭავჭავაძე

197

დედა თავის შვილს აკვანთან უმღერის მშობლიურ სიმღერებს, უყვება ძველთაძველ ზღაპრებს და ნამდვილ ამბებს, და ცუდია ის შვილი, რომელიც გაიზარდა და არ ისურვა სცოდნოდა თავისი დედა. ისტორიის ცოდნა თითოეული ადამიანის მოვალეობაა.

ა. ტოლსტოი

198

პატრიოტიზმის აღზრდა იწყება საკუთარი სამშობლოს გაღრმავებული შეცნობით.

მ. კალინინი

199

სამშობლოს შეგრძნობა — ეს თავისი ხალხის ისტორიასთან საკუთარი კავშირის შეგრძნობაა. კაცი, რომელმაც თავისი სამშობლოს წარსული არ იცის, თავის წარმოშობას მალავს.

ა. ტოლსტოი

200

.. ვისაც არ უყვარს მშობელი დედა,
ის მის მაგიერ ვის შეიყვარებს?
ვისაც სძულს თავის სახლი და კარი,
ვინღა გაუღებს სამოყვროდ კარებს?

ა. წერეთელი

201

სიველურე. სულმდაბლობა და უვიცობა პატივს არ სცემს წარსულს და მლიქვნელობს აწმყოს წინაშე.

ა. პუშკინი

202

... ადამიანები, რომლებიც არასოდეს არ იცქირებიან უკან,

თავიანთ წინაპრებისაკენ, არასოდეს არ გაიხედავენ წინ, თავიანთ შთამომავლობისაკენ.

ედ. ბორკი

203

მხოლოდ პირუტყვი ივიწყებს წარსულს, არ ჰფიქრობს მომავალზე და მარტო აწმყოთია კმაყოფილი. კაცი კი, როგორც ბონიერი და უმაღლესი არსება, სათავეს ერთმანეთზე აბამს და აკავშირებს, წარსულიდან გამოჰყავს აწმყო და აწმყოდან ჰსურს წარმოშობოს მომავალი.

ა. წერეთელი

204

ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზედაც ხელს იღებს და, მარტო აწმყოზე შეჩერებული, უსულდგმულო, საპირუტყვო ფარგალში რჩება. და ჩვენ კი გვინდა მისთანა მომავალი თაობა, რომელიც უარისმყოფელი-კი არ არის წარსულისა, მკვლევარია და მამა-პაპის ანდერძს დღესაც კიდევ გამოსადეგ საფუძვლად უდებს მომავალს, რომ კავშირ-განუწყვეტლად განაგრძოს ისტორიული ცხოვრება.

ა. წერეთელი

205

არ დაგავიწყდეთ, რომ მომავალი ისევე გაგასამართლებთ თქვენ, როგორც თქვენ დღეს ასამართლებთ თქვენს წინაპრებს და, რაც უფრო წინ წავიწევთ ამ დროიდან, მით უფრო მეტად მკაცრი იქნება მსჯავრი; ეცადეთ უანდერძოთ თქვენს მემკვიდრეებს ნათელი ხსოვნა თქვენზე.

მ. ნალბანდიანი

206

იმას შვილად ვერ მივიღებ,
წინაპრების აკვანს სწვავდეს,
სირცხვილი იმ გუთნისდედას,
თავის მამის საფლავს ხნავდეს.

იეთიმ გურჯი

207

მამის გალანძღვა შვილს ვერ ადიდებს,
ცუდ-მეტყველებით ვერ ამაღლდებით.

გრ. ორბელიანი

208

იმისათვის, რომ კარგად შეაფასოთ ის, რაც აწმყოშია, თქვენ კარგად უნდა იცოდეთ წარსული. ნუ გაექცევით წარსულის ცოდნას. ეს დაგეხმარებათ უკეთ გაიგოთ აწმყო, გიჩვენებთ გზებს, რომლიდანაც არ უნდა გადაუხვიოთ არც მარჯვნივ და არც მარცხნივ.

მ. გორკი

209

აწმყო, შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავალისა *.

გ. ლაიბნიცი

210

... აწმყო ნაშობი წარსულისაგან, მშობელია მომავლის და, მიტომაც, ეს სამი დრო განუწყვეტელი ჯაჭვით არის ერთმანეთზე გადაბმული.

ა. წერეთელი

211

წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა... ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისევე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი.

ი. ჭავჭავაძე

212

... წესიერად მოწყობილ ცხოვრებაში დღევანდელი დღე შვილია გუშინდელისა და დედაა ხვალისა.

ი. ჭავჭავაძე

213

აღდგენა ისტორიისა — ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან.

---

* თარგმანი ი. ჭავჭავაძისა. ი. ჭავჭავაძე

214

აწმყო შედეგია წარსულისა და მითითება მომავალზე.

ბ. ბელინსკი

215

მომავლის საუკეთესო წინასწარმეტყველი — წარსულია.

ჯ. ბაირონი

216

შეისწავლე წარსული და მომავალი გეცოდინება.

ინგლისური ანდაზა

217

წარსული ცხოვრების საქმენი მიმართულებას აძლევენ აწმყო ცხოვრებას.

ლ. ტოლსტოი

218

თუ ჩვენ წინ წასვლა გვსურს, მაშინ ერთი ფეხი უნდა გვედგას ერთ ადგილზე, როდესაც მეორე ფეხი აკეთებს შემდეგ ნაბიჯს. ეს ყოველი პროგრესის პირველი კანონია, რომელიც თანაბრად გამოიყენება როგორც ყველა ხალხთა, ისე ცალკეულ ადამიანთა მიმართ.

ი. ეტვეში

219

„თუ თქვენ არ დაეუფლებით მთლიანად ძველ კულტურას, თქვენ ვერ შესძლებთ ახალი ააგოთ“ — ამბობდა ლენინი.

ა. ლუნაჩარსკი

220

ადამიანს არაფრის გამოგონება არ შეუძლია, თუ არ დაეყრდნო რამეს, რაც მანამდე. მისთვის ან მის წინააღმდეგ გაკეთებულა.

მ. გორკი

221

კრომველმა და ინგლისის ხალხმა ძველი აღთქმიდან გადმოიღო ენა, აღგზნება და ილუზიები, თავისი ბურჟუაზიული რევოლუციისათვის.

კ. მარქსი

„რჩეული ნაწერები“, ტ. I. გვ. 269, 1950.

222

საჭიროა ლამაზი შევინარჩუნოთ, ავიღოთ ის, როგორც ნიმუში, დავეყრდნოთ მას, თუნდაც ის „ძველი" იყოს. რატომ უნდა შევაქციოთ ზურგი ჭეშმარიტად მშვენიერს, უარვყოთ ის როგორც გამოსავალი პუნქტი შემდგომი განვითარებისათვის მხოლოდ იმის საბაბით, რომ ის „ძველია"? რატომ უნდა მოვიხაროთ ქედი ახლის წინაშე, როგორც ღმერთის წინაშე. რომელსაც მხოლოდ იმიტომ უნდა დავემორჩილოთ, რომ „ეს ახალია?" უაზრობაა, სრული უაზრობა!

ვ. ლენინი

კ. ცეტკინი, „მოგონებანი ლენინზე", „ვ. ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ", გვ. 609, 1957.

223

„რისთვის გვჭირდება ჩვენ უარვყოთ ჭეშმარიტი მშვენიერება, როგორც შემდგომი განვითარების წერტილი, — მარტოოდენ იმიტომ რომ იგი ძველია?"

„ჭეშმარიტი მშვენიერების, როგორც შემდგომი განვითარების გამოსავალი წერტილის" უარყოფას ვლადიმერ ილიას-ძე „უაზრობას, სრულ უაზრობას" უწოდებდა. ხოლო იგი, — ლენინი, — არნახული გიგანტური გაქანების რევოლუციონერია, და იგი — ახალი, სოციალისტური კულტურის ფუძემდებელი არის.

მ. გორკი

224

პროლეტარიატი წარსული კულტურის მემკვიდრეა და არა მისი გამაუქმებელი.

ა. ლუნაჩარსკი

225

პროლეტარიატი გადასინჯავს წარსულ ხელოვნებას და ეკითხ გადაარჩევს მას, რაც მას ესაჭიროება.

ა. ლუნაჩარსკი

226

დანგრეული მონარქიის მასალებიდან რესპუბლიკის აშენება, რასაკვირველია, მეტად ძნელი პრობლემაა. საქმე ვერ გაი-

მართება, სანამ თითოეული ქვა ხელახლა არ იქნება გადაკეთებული. ამისათვის კი საჭიროა დრო.

გ. ლიხტენბერგი

227

კულტურული ამოცანა ვერ გადაწყდება ისე სწრაფად, როგორც პოლიტიკური და სამხედრო ამოცანები... კრიზისის გამწვავების ხანაში პოლიტიკური გამარჯვების მოპოვება რამდენიმე კვირაში შეიძლება. ომში შეიძლება გაიმარჯვო რამდენიმე თვეში, ხოლო კულტურის დარგში გამარჯვება ასეთ ვადაში შეუძლებელია, თვით საქმის არსის გამო აქ საჭიროა უფრო გრძელი ვადა...

ვ. ლენინი

თხზ., ტ. 33, გვ. 73.

228

კულტურის საკითხებში აჩქარება და წრეგადასულობა ყველაზე მავნებელია. ბევრმა ჩვენმა ახალგაზრდა ლიტერატორმა და კომუნისტმა ეს კარგად უნდა დაიხსომოს.

ვ. ლენინი

თხზ., ტ. 33, გვ. 575.

229

ეს სისულელეა — ილაპარაკო. რომ კულტურა ბურჟუაზიულია და ჩემთვის სავნო. კულტურა ჩვენია, კანონიერი ჩვენი საქმე და მემკვიდრეობაა. ჩვენ თვით გავარჩევთ, რა არის ზედმეტი და სავნო, თვითონვე უკუვაგდებთ. ჯერ უნდა ვნახოთ რა. რის ღირსია. ჩვენს გარდა არავის არა აქვს ნება განაგოს.

მ. გორკი

230

მართალია, ერთი საუკუნე ხშირად მეორეს არ ჰგავს და მათი მოთხოვნილებაც სხვადასხვა გვარია, — ასე რომ ზოგი რამ, რაც ძველად სასარგებლო ყოფილა, დღეს აღარ არის გამოსადეგი, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ჰნიშნავს, რომ ყოველგვარი დაყოლიფერი ძველებური უარსაყოფელი იყოს...

გარჩევა უნდა, ჩვენ იმათ უნდა დავუკვირდეთ, გამოვიკვ-

ლიოთ, რაც საჭირო და გამოსადეგი აღარ არის, მოვაშოროთ და-
გაშალაშინებული მივიღოთ. რასაც არ ეჭირვება შეცვლა, ის
ისევ შეუშლელად დავსტოვოთ და რაც სრულიად საჭირო აღარ
არის, ის ისტორიას დავუტევოთ.

ა. წერეთელი

231

ყოველგვარი ნაშთი ძველთაგანი, რომელიც კი გვიმტკიცებს
ჩვენი წინაპრების გონიერებას და მათ შემოქმედების ძალას.
დღესაც კიდევ საჭიროა, შესაწყნარებელი და არა უარსაყო-
ფელი.

ა. წერეთელი

232

ის, რაც საკუთარი ვარგისი იყო ასი წლის წინათ, არ შეიძ-
ლება ასევე ვარგისი იყოს დღესაც, თუმცა ზოგ რამეში, და ალ-
ბათ ბევრშიაც. ის შეიძლება ჩვენთვის სასარგებლო გამოდგეს.

თ. დრაიზერი

233

განა მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც არ მოეპყრო-
ბოდა პატივისცემით ძველს, რომელიც დადასტურებული და
ჩვენთვის გადმოცემულია ესოდენ სახელოვანი ძეგლებით?

ციცერონი

234

უნდა ავიღოთ კაპიტალიზმის მიერ დატოვებული მთელი
კულტურა და მისგან ავაშენოთ სოციალიზმი. უნდა ავიღოთ
მთელი მეცნიერება, მთელი ტექნიკა. მთელი ცოდნა, ხელოვ-
ნება. უამისოდ კომუნისტური საზოგადოების ცხოვრებას ვერ
ავაშენებთ.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 29. გვ. 66.

235

თუ თქვენ შენობის აგება არ შეგიძლიათ ბურჟუაზიული
სამყაროს მიერ ჩვენთვის დატოვებული მასალით, მაშინ თქვენ

საერთოდ ვერ ააშენებთ მას, და თქვენ კომუნისტები კი არა, ცარიელი ფრაზიორები ყოფილხართ.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 29, გვ. 7.

236

მერწმუნე, რომა გამოცდილია, —
თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია!

გ. ჭალადიდელი

237

პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, მოხელური საზოგადოების უღელქვეშ.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 343.

238

... პროლეტარული კულტურის შენება შესაძლებელია კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილი კულტურის მხოლოდ ზუსტი ცოდნით, მხოლოდ მისი გადამუშავებით.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 343.

239

... რატომ შეძლო მარქსის მოძღვრებამ რევოლუციური კლასის მილიონობით და ათეული მილიონობით ადამიანთა გულის დაპყრობა[?]... — ეს მოხდა იმიტომ, რომ მარქსი ემყარეზოდა კაპიტალიზმის დროს მოპოვებული კაცობრიული ცოდნის მტკიცე საძირკველს...

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 342--343.

240

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს საკმარისი იყოს მხოლოდ კომუნისტური ლოზუნგების, კომუნისტური მეცნიერების

დასკვნების შეთვისება, იმ ცოდნათა ჯამის შეუთვისებლად, რომელთა შედეგიცაა თვით კომუნიზმი.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 342.

241

... კომუნისტი მხოლოდ უბრალო მკვეხარა იქნება, თუ მის შეგნებაში არ გადამუშავდა მთელი მიღებული ცოდნა.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 344.

242

მარქსიზმმა, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიამ, თავისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვა იმით, რომ მან, მარქსიზმმა, არათუ უკუაგდო ბურჟუაზიული ეპოქის უძვირფასესი მონაპოვარნი, არამედ, პირიქით, შეითვისა და გადაამუშავა ყველაფერი, რაც კი ძვირფასი იყო ადამიანის აზრისა და კულტურის ორიათას წელზე უფრო ხანგრძლივ განვითარებაში.

ვ. ლენინი
თხზ, ტ. 31, გვ. 381.

243

ნაკლულევანებად იმის მიჩნევა. რაც გამოსადეგია, ცოდვა უნდა იყოს.

ვაჟა ფშაველა

244

თუ საფუძველი კარგია ძველი,
წუნს როგორ დასდებს ხუროთმოძღვარი?
ეცდება კიდეც, რომ ზედ ააგოს
საშვილიშვილო წმინდა ტაძარი!..

ა. წერეთელი

245

...საშინლად სახიფათოა მეცნიერებაში ზერელე მოპყრობა ტრადიციისადმი, ყოველივე იმისადმი, რაც გაკეთებულია წინამორბედთა მიერ, ზოგჯერ ათასწლოვანი მეცნიერული მემკვიდრეობისადმი: ეს მემკვიდრეობა უდიდესი განძია. ის აღმოცენდა

და დაკრისტალდა ადამიანის აზრის შეუპოვარი მუშაობის შედეგად, ბრძოლის, კამათის, მოძღვრებათა ცვლის ჯამში... უგულველყოფა ამ მეცნიერებისა, თავის არიდება ადამიანის კოლოსალური გამოცდილებისაგან, რომელიც შეგროვილია მეცნიერულ დასკვნებში და ფორმულებში, — ეს მიუტევებელი შეცდომაა, დაუშვებელი გენიოსისათვისაც კი.

ს. ვავილოვი

246

ის ახალი დგმა ანუ ახალთაობა, რომელიც ვერ სარგებლობს წინა დგმის ცხოვრებით და იმეორებს იმათ შეცდომებს, საიმედო ვერ არის და მისგან ბევრს არ უნდა მოველოდეთ!

ა. წერეთელი

247

გახსოვდეს წარსული, მაგრამ იცოდე ახალიც.

ჩინური ანდაზა

248

ძველის ავტორიტეტს არ ძალუძს შთანთქას თანამედროვის უფლება და დღევანდელი დღის მოთხოვნილებანი.

მ. ნალბანდიანი

249

წარსულის ეტლით ვერსად ვერ გაემგზავრები.

მ. გორკი

250

მკვდრების ხსოვნა და პატივისცემა იმ ზომამდე არ უნდა მივიყვანოთ, ცოცხლები იმათ მსხვერპლად შევეწიროთ.

ვაჟა ფშაველა

251

არ უნდა იყოს სიდიდით მკვდარი
იმაზედ მეტი, რაც იყო ცოცხლად.

„მანასი"

252

არ არის იმაზე უფრო მძლავრი ძალა, ვიდრე ცოდნა. ცოდნით შეიარაღებული ადამიანი უძლეველია.

მ. გორკი

253

რომ შესაძლებელი ყოფილიყო ყოვლისმცოდნეობის წარმოდგენა ყოვლისშემძლეობის გარეშე, ეს იქნებოდა უსაშინელესი ჯოჯოხეთური ტანჯვა.

ი. ეტვეში

254

ხალხს... ცოდნა სწყურიან, სწავლამ და ცოდნამ იგი უნდა ჩოამზადოს ერთი მხრით ბუნებასთან ბრძოლისათვის, მეორე მხრით, სოციალურ, სანატრელ ცვლილებისათვის.

ი. გოგებაშვილი

255

ის საუცხოო ციხე-სიმაგრე, რომელსაც ცოდნა, განათლება, კულტურა, ცივილიზაცია ეწოდება აგებულია კაცობრიობის საუკეთესო შვილთა, მოღვაწეთა და მოაზროვნეთა მიერ მრავალი საუკუნის მანძილზე, ახლის ძიების, ბრძოლის, დამარცხებებისა და წარმატებების შედეგად და მასში შესვლა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც დაჯილდოებულია თავდადებული შრომისმოყვარეობით, სწავლის უშრეტი სიყვარულით, მუდამ წინსვლის გზნებით. უანგარო და სპეტაკი სინიდისით.

(—)

256

მხოლოდ უვიცობა, უკულტურობა, თავის თავზე დიდი წარმოდგენა და სიზარმაცეა ჩვენი შეურიგებელი და დამაბრკოლებელი მტერი ცოდნისაკენ მიმავალ ფართო შარაგზაზე.

(—)

257

მძიმეა, მაგრამ საინტერესო და წარმტაცია შრომა სწავლის დასაუფლებლად. ამ შრომას სიყრმიდანვე უნდა შევუდგეთ.

(—)

256

თუ ჩვენ გვსურს ღირსეული მემკვიდრენი გავხდეთ იმ გამოჩენილ წინაპართა, რომელთაც თავდადებულად უმოღვაწნიათ კაცობრიობის პროგრესისათვის, ჩვენი კეთილდღეობისათვის. ჩვენც ვალდებულნი ვართ ასევე, და უფრო მეტი, თავდადებით ვიღოღვაწეოთ ჩვენი შთამომავლობისათვის. ამ მოღვაწეობისათვის საჭიროა მძლავრი იარაღი — ცოდნა, განათლება, ხოლო ცოდნა და განათლება შეუპოვარი სწავლის ნაყოფია.

ამიტომ თითოეულ ახალგაზრდას მუდამ უნდა ახსოვდეს. რომ ცოდნის შეძენით, მუყაითი სწავლით ის ერთის მხრივ ვალს უხდის ჩვენს ღირსეულ წინაპართ და მეორეს მხრივ მძლავრ საჭურველს აძლევს მომავალ თაობას უკეთესი ცხოვრებისათვის.

(—)

260

ახალგაზრდა მუშებსა და მუშა ქალებს ესაჭიროებათ მეტი ცოდნა, რომ უფრო უკეთესი მომავლისათვის შეგნებული მებრძოლნი იქნენ.

ნ. კრუპსკაია

261

ცოდნას შეიძენს ის, ვინც გულმოდგინედ სწავლობს და არა ის, ვინც მხოლოდ ლაყბობს და თავი მოაქვს თავისი ვითომითი ცოდნით. ასეთი მოლაყბე პირველ რიგში ატყუებს თავის თავს და არა სხვებს, რომელთა წინაშე ის მხოლოდ სასაცილოდ ხდება.

(—)

262

ლაყბობა უფრო ადვილია და მოხერხებული, ვიდრე გამოკვლევა და ახალი აღმოჩენების მოხდენა.

მ. ნორდაუ

263

რაც შეიძლება ნაკლები მაღალფარდოვანი ფრაზები, რაც შეიძლება მეტი უბრალო, ს ა დ ღ ე ი ს ო საქმიანობა...

ვ. ლ ე ნ ი ნ ი
თხზ., ტ. 29, გვ. 501.

264

მუშაობის გარეშე, ბრძოლის გარეშე კომუნიზმის მწიგნობ-რული ცოდნა კომუნისტური ბროშურებიდან და ნაწერებიდან სრულებით არაფრად არ ღირს...

ვ. ლ ე ნ ი ნ ი
თხზ., ტ. 31, გვ. 341.

265

არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაო არ არის...

ტვინი თუ ნაჩვევი არ არის თვითმსჯელობასა, თუ თავით თვისით ნავარჯიშები არ არის, თუ მის პატრონს დაბადებითვე ნათხოვრობით გამოუზრდია, „ვერ მოგართვის" მეტს ვერას ეტყვის გაფითრებულს პატრონსა.

ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

266

მეცნიერებაში არ არსებობს ფართო შარაგზა, და მხოლოდ მას შეუძლია მიაღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს, ვისაც არ აშინებს დაღლა მის კლდოვან ბილიკებზე ასვლისას.

კ. მ ა რ ქ ს ი
„კაპიტალი", ტ. 1, გვ. 27, 1954.

267

ჭეშმარიტი ცოდნისაკენ გზა არასოდეს არ მიდის შროშანით მოფენილ მდელოზე. მის მისაღწევად ადამიანს ყოველთვის სალ კლდეებზე ასვლა სჭირდება.

ჯ. რ ი ო ს კ ი ნ ი

268

მაღალ მიზნებს აღწევენ დიდ სიძნელეთა გადალახვით (Ad augusta per angusta).

ლ ა თ ი ნ უ რ ი თ ქ მ ა

269

ვისაც გზის მცირეოდენი უსწორმასწორობა ჰქანცავს, ვისაც მცირეოდენი წინააღმდეგობისაგან თავგზა ებნევა, ის, დაე, ნუ ივლის, ნუ იფიქრებს, დაწვეს ლოგინში და დახუჭოს თვალები.

ბ. ჰაინე

270

გახსოვდეთ, რომ მეცნიერება ადამიანისაგან მოითხოვს მთელ მის სიცოცხლეს და ორი სიცოცხლეც რომ გქონდეთ, ისიც არ გეყოფოდათ თქვენ. დიდ დაძაბვას და დიდ გზნებას მოითხოვს მეცნიერება ადამიანისაგან. იყავით მგზნებარე თქვენს მუშაობაში და თქვენს ძიებებში!

ი. პავლოვი

271

უწინარეს ყოვლისა — თანმიმდევრობა. ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობის ამ მნიშვნელოვანი პირობის შესახებ მე ვერასოდეს ვერ შევძლებ ლაპარაკს აუღელვებლად. თანმიმდევრობა, თანმიმდევრობა და თანმიმდევრობა! შეაჩვიეთ თქვენი თავი ზუსტ თანმიმდევრობას ცოდნათა დაგროვებაში. შეისწავლეთ მეცნიერების ანბანი, სანამ ეცდებოდეთ მის მწვერვალებზე ასვლას. წინმავალის შეუთვისებლად ნურასოდეს ნუ მოჰკიდებთ ხელს მომდევნოს.

ი. პავლოვი

272

შრომა ცოდნისათვის ჩვენ უნდა სიტკბოებად ვაქციოთ. აი ჩვენი, მატერიალისტების, რევოლუციონერების, ლენინელების ნიზანი.

მ. გორკი

273

მეცნიერება დაფუძნებულია სამ „ვეშაპზე", — ესაა ცოდნა, გამოცდილება და შრომისმოყვარეობა.

კ. ბიკოვი

274

... სოციალიზმი მას შემდეგ, რაც ის მეცნიერებად იქცა, მოითხოვს, რომ მას სწორედ ისე მოექცნენ, როგორც მეცნიერე-

ბას, ე. ი. შეისწავლონ იგი. საჭიროა, რომ ამრიგად შეძენილი და სულ უფრო გარკვეული შეგნება სულ უფრო მეტი გულ-მოდგინებით გავავრცელოთ მუშათა მასებში.

ფრ. ენგელსი
„გლეხთა ომი გერმანიაში", გვ. 21, 1956.

275

სოციალიზმი არის გამოყენებითი მეცნიერება, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის მოღვაწეობის ყველა დარგის ნათელ შეგნებაზე და სავსებით შესწავლაზე.

ა. ბებელი

276

... ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ სოციალიზმი დაკავშირებულია ნამდვილი ცდისა და გაანგარიშების მეცნიერებასთან და არა ერთი და იგივე გაზეპირებული საწყისების ისტორიულად განმეორების მეცნიერებასთან...

ნ. ოგარიოვი

277

...მარქსიზმი არ არის მკვდარი დოგმა, არ არის რომელიმე დასრულებული, მზამზარეული, უცვლელი მოძღვრება, არამედ მოქმედების ცოცხალი სახელმძღვანელოა...

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 17, გვ. 32.

278

ჩვენი მოძღვრება,—ამბობდა ენგელსი თავის თავზე და თავის სახელგანთქმულ მეგობარზე,—მოქმედების სახელმძღვანელოა და არა დოგმაო.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 17, გვ. 28.

279

მარქსსა და ენგელსს მრავალჯერ უთქვამთ, ჩვენი მოძღვრება დოგმა კი არ არის, არამედ მოქმედების სახელმძღვანელოაო. და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ეს უწინარეს ყოვლისა და ყველაზედ მეტად უნდა ვიქონიოთ მხედველობაში.

მარქსისა და ენგელსის მოძღვრება როდია დოგმა, რომელსაც ჩვენ ვიზეპირებთ. იგი უნდა მივიღოთ, როგორც მოქმედების სახელმძღვანელო... მე ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, რომ ეს მოძღვრება დოგმა კი არ არის, არამედ მოქმედების სახელმძღვანელოა.

ვ. ლ ე ნ ი ნ ი
თხზ., ტ. 28, გვ. 258.

280

თეორია, ჰიპოთეზა ჩვენთვის არ არის რაღაც „წმიდათა წმიდა", ჩვენთვის ის სამუშაო ინსტრუმენტიაო—ამბობდა ლენინი.

მ. გ ო რ კ ი
М. Горький, „В. И. Ленин",
Собр. соч., т. 17, стр. 34, 1952.

281

... მარქსისტმა ანგარიში უნდა გაუწიოს ცოცხალ ცხოვრებას, ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს ზუსტ ფაქტებს, და კვლავინდებურად არ ჩაებღაუჭოს გუშინდელი დღის თეორიას, რომელიც, როგორც ყოველი თეორია, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ სახავს ძირითადს, ზოგადს, მხოლოდ უ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ა იმას, რომ მოიცვას ცხოვრების სირთულე.

„უფერულია, ჩემო კარგო, აქ თეორია, და ოქროს ხე კი სიცოცხლისა მარად მწვანეა". *

ვ. ლ ე ნ ი ნ ი
თხზ., ტ. 24, გვ. 31.

282

მხოლოდ ერთი რამ ჰქმნის ნამდვილ საზოგადოებას და ამაღლებს ადამიანს,—ესაა მეცნიერება, მხოლოდ საჭიროა მისი ათვისება... მეცნიერება,—ეს ჩვენი წინაპრების მემკვიდრეობაა და ჩვენ ჩვენს საპატიო მოვალეობად უნდა ვთვლიდეთ ეს მემკვიდრეობა გადიდებულად და გაფართოებულად გადავსცეთ ჩვენს მემკვიდრეებს.

ლ. გ ა მ ბ ე ტ ა.

---

* ეს ციტატი ვ. ლენინს მოპყავს გოეთეს ნაწარმოებიდან „ფაუსტი".

283

ადამიანისათვის საკმარისი არ არის ცოდნათა შეძენა; უნდა იცოდე აგრეთვე ცოდნის სარგებლით გაცემაც.

პანინი

284

ცოდნა—არა ინერტული, პასიური მომსვლელია, რომელიც ჩვენთან მოდის, გვსურს ეს ჩვენ თუ არა; ის უნდა ვეძებოთ, სანამ ჩვენი გახდება; ის დიდი მუშაობის და ამიტომ დიდი მსხვერპლის შედეგია.

პ. ბოკლი

285

გენიოსის ბეჭდით დაჯილდოებული ხელოვანი არაფერს არ მოგვცემს არც დიადს და არც საშუალოს, თუ ის ჯოჯოხეთურად არ იმუშავებს; ზეშთაგონება არ ევლინება უქნართ, რადგან ის იბადება შრომისაგან და შრომის დროს.

პ. ჩაიკოვსკი

286

ცოდნას იძენენ მეცადინეობით და არა ფულით.

აზერბაიჯანული ანდაზა

287

გზა კომუნიზმისაკენ—წიგნი და ცოდნაა.

ვ. მაიაკოვსკი

288

ცოდნა—ძალაა. არ არსებობს უვიცობაზე უფრო მეტი საშიშროება... არაფერი არ არის უფრო მეტად ღირსეული, ვიდრე სიბრძნე, რომელიც ჰფანტავს უვიცობის წყვდიადს... ამაზეა დამოკიდებული მთელი ქვეყნიერების კეთილდღეობა.

როჯ. ბეკონი

289

ცოდნა—სამოთხეა და არცოდნა—ჯოჯოხეთი.

ქართული ანდაზა

290

ცოდნა სინათლეა, უცოდინარობა — სიბნელეო.

ქართული ანდაზა

291

ცოდნისგან გულში აღინთება კაშკაშ სინათლე,
ვით ჯავშანია ხიფათისგან ის კაცთ დამცველი.

რუდაკი

292

დღიდან სამყაროს არსებობისა, არ იყო კაცი,
რომელსაც ცოდნა არ სჭირვებოდეს.

რუდაკი

293

რომელი ტომიც და საუკუნეც ავიღოთ უნდა,
ცოდნას ელტვოდა ძე კაცის ყველგან და მუდამ-

რუდაკი

294

ბრძენთა, იმისთვის, რომ მათ უსმენდნენ,
ქება ცოდნისა კლდეზეც ამოსჭრეს.

რუდაკი

295

ცოდნა ერთადერთი ხელისუფლებაა, რომლის შეძენა შეიძ-
ლება, თუ ის არა გვაქვს; ხელისუფლება—ძალაა, ძალა კი ყვე-
ლაფერია.

რაპელი

296

ცოდნა—ძალაა, რომელიც ჩვენ მრავალ ტანჯვისაგან გვა-
თავისუფლებს.

ჯ. ლებოკი

297

ცოდნა ისევე საჭიროა ცხოვრებაში, როგორც შაშხანა
ბრძოლაში.

ნ. კრუპსკაია

298

... პროლეტარიატმა გაიგო, რომ იგი ამთავითვე უნდა დაე-
უფლოს მეცნიერებას და ხელში აიღოს ის მძლავრი იარაღი,
რომელსაც ცოდნა იძლევა.

ა. ფრანსი

299

სხეულის ნეტარება ჯანმრთელობაშია, ჭკუის ნეტარება კი—ცოდნაში.

თალესი

300

... ვის სწავლულთაგანს არ გამოუცდია, თუ როგორ სასიამოვნოა სხვადასხვა საგნების შესწავლა და შეძენა ცოდნისა სხვადასხვა საგანთა ზედა.

გაბრ. ქიქოძე

301

ყველა სხვა საქმიანობიდან ნაყოფს ამ საქმიანობის დამთავრების შემდეგ ვღებულობთ. ფილოსოფიაში კი სიხარული ჩნდება ცოდნასთან ერთად. სიამოვნება ცოდნის შემდეგ კი არაა, არამედ ცოდნა და სიამოვნება ერთდროულადაა მოცემული.

ეპიკურე

302

ფილოსოფოსის სიცოცხლე ყველაზე უფრო ბედნიერი სიცოცხლეა.

არისტოტელე

303

დაე, ნურავინ ახალგაზრდობაში ნუ გადადებს მეცადინეობას ფილოსოფიაში და მოხუცებულობაში ნუ დაიღლება მეცადინეობით ფილოსოფიაში: ხომ არავინ არაა მოუმწიფებელი ან გადამწიფებული სულის ჯანმრთელობისათვის. ვინც ლაპარაკობს: ჯერ არ მოსულა ან [უკვე] წავიდა დრო ფილოსოფიაში მეცადინეობისათვისო, ის ემსგავსება მას, ვინც ამბობს, რომ ბედნიერებისათვის ჯერ კიდევ არაა ან უკვე აღარაა დროო. ამიტომ, ფილოსოფიაში მეცადინეობა მართებს ჭაბუკსაც და მხცოვანსაც.

ეპიკურე

304

ცოდნა—გონებრივი საზრდოა და გონებისათვის წარმოადგენს იმასვე, რასაც საჭმელი სხეულისათვის.

ჯ. რიოსკინი

305

გონებრივი სიამოვნებანი ახანგრძლივებენ სიცოცხლეს.

პ. ბუასტი

306

რა საქებარი იქნებოდა, რომ ადამიანები იმდენადვე ავარ-ჯიშებდნენ თავიანთ ტვინს, რამდენადაც სხეულს, და ისევე მონდომებით მიისწრაფოდნენ სათნოებისაკენ, როგორც მიისწ-რაფიან სიამოვნებისაკენ.

სენეკა

307

სიბრძნე სძლევს ბედისწერას.

იუვენალი

308

ბრძენი ჭეშმარიტად თვით სჭედს თავის ბედნიერებას.

პლავტე

309

როცა ცოდნით ავსრულდებით,
სიტკბოებით დავბერდებით.

ქართული ანდაზა

310

ღრმა ცოდნა—ბედნიერების პირველი პირობაა.

სოფოკლე

311

ცოდნა ბედის სათავეაო.

ქართული ანდაზა

312

მე არ ვიცი სხვა სიამოვნება, გარდა ცოდნის შეძენისა.

ფრ. პეტრარკა

313

რაც უფრო მაღლა დგას ადამიანი გონებრივი და ზნეობ-რივი განვითარების მხრივ, მით უფრო მეტს სიამოვნებას ანი-ჭებს მას ცხოვრება.

ა. ჩეხოვი

314

რაც უფრო ფართოა ადამიანის ცოდნა და რაც უფრო ღრმა და ძლიერია მისი გრძნობები, მით უფრო ფართოა მისთვის ქვეყნიერება.

ი. კანტი

315

ჩვენ გვანათლებს არა იმდენად სწავლა, არამედ უფრო მეტად მეცნიერებისადმი შინაგანი სიყვარული.

ნ. ბესტუჟევი

316

მეცნიერების ჭეშმარიტი მოყვარული დგას მაღლობზე, საიდანაც ის უკან სამყაროს უცქერის და წინ ადამიანთა მთელი შთამომავლობების იქით იცქირება.

ჯ. რიოსკინი

317

მეცნიერება — კვერთხია კაცთა გონების,
და სიცოცხლე იფარება უკვდავი მასში.

ესარ თებრიზი

318

ცოდნა სიმდიდრის უმნიშვნელოვანეს ელემენტს შეადგენს.

დ. ჭისარევი

319

ცხოვრებაში უმცირესი სიმდიდრე ფულია, უდიდესი კი— სიბრძნე.

გ. ლესინგი

320

მდიდარი ბურჟუები დაცინვით მიუთითებენ იმაზე, რომ ჭკვიანი ადამიანი ხშირადაა ატუზული მდიდრის კარებთან, ხოლო მდიდარი — არასოდეს ჭკვიანის კარებთან. „ეს იმიტომაა,—ამბობს პოეტი საადი,—რომ ჭკვიანმა კაცმა იცის სიმდიდრის ფასი, ხოლო მდიდარმა არ იცის ჭკუის ფასი“...

ამასთანავე, როგორ შეუძლია სიმდიდრეს მეცნიერების პატივისცემა? სწავლულს შეუძლია უვიცის გაგება, იმიტომ რომ ის თვით იყო ბავშვობაში უვიცი: უვიცს კი არ შეუძლია სწავლულის გაგება, რადგან ის არასოდეს სწავლული არ ყოფილა.

კლ. ჰელვეციუსი

321

უხეშსა და ვულგარულ ადამიანებს მუდამ უფრო მეტი პატივისცემა ექნებათ სიმდიდრისადმი, ვიდრე ნიჭისადმი.

კ. კოლტონი

322

უბადრუკი ადამიანი იშვიათად არის ხოლმე სულგრძელი, და არასოდეს ის ისე თავხედი არ არის ხოლმე, როგორც მაშინ, როდესაც ის მაღალი ღირსების ადამიანს თავის წინაოთახში ალოდინებს.

ჟ. ლაბრუიერი

323

ნარგიზი და ვარდია ქონება და გონება,—
ერთად რომ არ ხარობენ, ალბათ გაგეგონება.
ის ვინც გონიერია, მას ცოტა აქვს ქონება,
ხოლო ვინც მდიდარია, მას ცოტა აქვს გონება.

შაჰიდ ბალხელი

324

ჭკუით სიმდიდრესაც შეიძენ. სიმდიდრით კი ჭკუას ვერ მოიპოვებ.

„ყაბუს-ნამე"

325

ნერონმა უბრძანა მოეოქროვებიათ და ამით გააფუჭა ალექსანდრეს * ქანდაკება. თუმცა, ეს მე მომწონს: სასიამოვნოა, როცა მტარვალი მოკლებულია გემოვნებას; სიმდიდრე მუდამ ღვლარჭნილია.

დ. დიდრო

326

სადაც ოქროა, იქ იღუპება
ნაზი გრძნობების წმინდა ღაღადი.

კ. ხეთაგათი

327

იქ სიმართლეს რა უნდა, სადაც ბევრი ფულია.

ეთიმ გურჯი

328

იმ ადამიანებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ფულით ყველაფრის გაკეთება შეიძლება, თვით შეუძლიათ ყველაფრის ჩადენა ფულისათვის.

პ. ბუასტი

---

* ნაგულისხმევია ალექსანდრე მაკედონელი.

329

არ შეიძლება ფულით ნიჭის შეძენა, არ შეიძლება ფულით ბისი მოკვლაც.

ბ. ბელინსკი

330

დიდება და სიმდიდრე, თუ მათ არ ახლავს შეგნება, არასაიმედო ქონებაა.

დემოკრიტე

331

თუ თავი შენი შენ გახლავს,
ღარიბად არ იხსენები.

რუსთაველი

332

ვისაც ჭკუა აქვს, სიღარიბით არა აქვს თმენა.
ღარიბი არის, ვისაც არა აქვს ჭკუა და რწმენა.

ნასირ ხოსროვი

333

ცოდნით სიცოცხლეს მოიპოვებ შენ მარადიულს,
არცოდნით ვერა, ვერ მიაღწევ შენ სიცოცხლეს სრულს.
შენთვის ყოფადში არაფერი დაიფარება,
ქვეყნის ნაღველი გულს ახლოს არ მიეკარება.

ნასირ ხოსროვი

334

ღონიერი და ჭირთა-მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია.

ი. ჭავჭავაძე

335

კარგი ის არის, როცა ჭკუა და ცოდნა ორივე ერთად შეკავშირებულან! ერთს მეგრელს უთქვამს: „ჭკუა მასპინძელია და სწავლა კი მოსული სტუმარიო. თუ მასპინძელი მწყრალად არის და ღირსეულად ვერ დაუხვდა მოსულს სტუმარს, მაშინ აღარც სტუმარი მოიცდისო“. ერთმა ჩვენმა მწერალთაგანმა კიდევ უფრო სათვალდათვალოდ სთქვა: „ჭკვიანი კაცი, მაგრამ

უსწავლელი და უმეცარი, ჯაჭვით დაბმული ლომიაო და უჭკუო, მაგრამ ნასწავლი კი მაღლა-მაღლა, ქარის საფარფატო კაჭ-კაჭიაო".

ა. წერეთელი

336

სწავლა სტუმარს ჰგავს მომსვლელსა,
ჭკუა კი მასპინძელია...
თუ სტუმარს მწყრალად დაუხვდა
მათი თანხმობა ძნელია!...

ა. წერეთელი

337

ცოდნა, ეს—ერთადერთი რამაა, რაც ყველაზე მეტად არსებითად ამაღლებს ერთ ადამიანს მეორეზე.

ჯ. ადისონი

338

განათლება ჰქმნის განსხვავებას ადამიანთა შორის.

ჯ. ლოკი

339

ჭეშმარიტი ცოდნა დამოუკიდებელია.

ლ. ტოლსტოი

340

ფრინველს ფრთებით იცნობენ, ადამიანს ცოდნით.

აზერბაიჯანული ანდაზა

341

ცოდნა ჩვენ გვასწავლის ნებაყოფლობით ვაკეთოთ ის, რასაც უვიცები ძალდატანებით აკეთებენ.

(—)

342

სიბრძნე ისევე შორსაა უგუნურებისაგან, როგორც სინათლე წყვდიადისაგან. ბრძენი თვალხილულია, უგუნური კი წყვდიადში დაეხეტება.

სოლომონ ბრძენი

343

შეგნებულად შეძენილი სასარგებლო ცოდნა არასოდეს არ არის ზედმეტი თავისთვის და დიდადაც არ დაამძიმებს თავს.

მ. გორკი

344

ყოველგვარი ცოდნა სასარგებლოა, სასარგებლო არის გონების ცთომილების, გრძნობის შეცდომის ცოდნაც.

მ. გორკი

345

ცუდი წიგნები ურიცხვი რაოდენობით წავიკითხე, მაგრამ ისინიც სასარგებლონი იყვნენ ჩემთვის. ცხოვრებაში ცუდი ისევე კარგად უნდა იცოდე, როგორც კარგი. რაც შეიძლება მეტი უნდა იცოდე. გამოცდილება, რაც უფრო მრავალმხრივია, მით უფრო ფართო ხდება მისი მხედველობის არე.

მ. გორკი

346

უსარგებლო ცოდნა არ არსებობს.

მ. გორკი

347

დიდ ხელოვანთა მიერ დაშვებული შეცდომები ოდესმე საყოველთაო ჭეშმარიტებად იქნებიან აღიარებული.

დ. დიდრო

348

ზოგიერთი დიდი ხნის მიტოვებული. ზოგადი ხასიათის იდეა უცებ გამოჩნდება ხოლმე გაბრწყინვებული ახალი შუქით.

ჯ. ბიჩერ-სტოუ

349

არასოდეს არც ერთი აღმოჩენილი ჭეშმარიტება არ დაკარგულა და არც ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა არ გაკეთებულა უიმისოდ, რომ მათ ადრე თუ გვიან არ მიეზიდოთ ყველაფერი.

ჯ. ბოკლი

350

შეისწავლეთ ისტორიულ პირთა ცხოვრება... შეისწავლეთ მათი შეცდომები და აერიდეთ მათ, შეისწავლეთ მათი სათნოებანი და, თუ შეიძლება, მიბაძეთ მათ.

ი. გონჩაროვი

352

...განათლებულმა ადამიანებმა ადამიანთა ყოველ მცდარობაში რაიმე ჭკუის სასწავლებელის პოვნა იციან.

ფ. ლოპე დე ვეგა

353

დიადი ადამიანის მცდარობანი უფრო ყურადსაღებია, ვიდრე უფერული ადამიანის შეუმცდარობა, და როდესაც პირველი ასცდება ხოლმე გზას, ის გვიჩვენებს სწორ გზას, მაგრამ მხოლოდ სხვა საშუალებით.

ლ. ბერნე

354

არ არსებობს ისეთი უდიდესი რამ შეუსაბამობა, რომელიც არ ყოფილიყოს ნათქვამი რომელიმე ფილოსოფოსის მიერ.

ციცერონი

355

ცდომილებათა მიუხედავად ჭეშმარიტება უფრო და უფრო მტკიცდება.

ნ. ტურგენევი

356

ბრძენის მცდარობანი უდავოდ უფრო მეტად საყურადღებოა, ვიდრე უვიცის ჭეშმარიტებანი, ვინაიდან ბრძენი დალივლივებს ამაღლებულ დარგებში, საიდანაც ყველაფერი შორს ჩანს, უვიცი კი ტოკავს დაბლობ გათელილ გზებზე.

თ. კარლაილი

357

განათლებულთა იმედები სჯობს უვიცთა სიმდიდრეს.

დემოკრიტე

358

საზოგადოება მაინც უფრო მეტს იგებს იმ ადამიანის მცდარობიდან, რომელიც ხანგრძლივი შესწავლისა და მომზადების შემდეგ დამოუკიდებლად ფიქრობს, ვიდრე იმ ადამიანთა სწორ შეხედულებებიდან, რომელნიც მათ მხოლოდ იმიტომ აღიარებენ, რომ თავს არ იწუხებენ ფიქრით.

ჯ. სტ. მილი

359

ყოველი მცდარობა შეიცავს ჭეშმარიტების მარცვალს და ყოველი ჭეშმარიტება შეიძლება გახდეს მცდარობის მარცვლად.

ფრ. რიუკერტი

360

ჭეშმარიტება კალეიდოსკოპურია და იცვლება ხოლმე იმ თვალსაზრისის მიხედვით, რომლისგანაც მას უცქერიან.

ჯ. სტ. მილი

361

არასოდეს არ ხდება, რომ ორი ადამიანი ერთ და იმავე საგანზე ერთნაირად მსჯელობდეს, და შეუძლებელია ორი, სრულიად ერთნაირი შეხედულების აღმოჩენა არამც თუ ორ სხვადასხვა ადამიანში, არამედ ერთ და იმავე ადამიანშიც კი სხვადასხვა დროს.

მ. მონტენი

362

... ხშირად ერთი და იგივე საგანი ზოგს აცინებს, ზოგს ატირებს... შეიძლება ერთი და იგივე ამბავი სატირალიც იყოს და საცინარიცა, — ეგ იმაზედ არის დამოკიდებული, როგორი აგებულობისა ხარ...

ი. ჭავჭავაძე

363

ის, რაც ერთ ქვეყანაში უტოპიად წარმოუდგენიათ, მეორეში არსებობს როგორც ფაქტი.

ნ. ჩერნიშევსკი

364

არ არსებობს არც ერთი სისულელე, რომლის გამოსწორება არ შეიძლებოდეს ჭკუისა და შემთხვევის დახმარებით, და არც

ისეთი სიბრძნე, რომლის გაფუჭება არ შეიძლებოდეს სისულელისა და შემთხვევის საშუალებით.

ვ. გოეთე

365

ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანვე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ. წინა კაცსა უკანა მომდევარი იმისათვის უყურებს, რომ, ვინიცობაა, წინამ ფეხი წამოჰკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს. მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანდით.

ი. ჭავჭავაძე

366

ერთი კაცის შეცდომა მეორისათვის გაკვეთილია.

ინგლისური ანდაზა

367

წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო.

ქართული ანდაზა

368

წინა კაცი უკანასი
ხიდიაო ნათქომია, *
დღეის ვაგლახს ამით დასძლევს,
ვინცა ხვალისა მდომია.

ი. ჭავჭავაძე

369

ზოგჯერ დამარცხება გამარჯვებას სჯობია, რადგან ყველასათვის აშკარად გამოჩნდება დამარცხების მიზეზი, ყველა გაიგებს, ყველა შეიგნებს და სამერმისოდ აღარ გაიმეორებს იმ შეცდომებს და უკეთეს ბრძოლის და შრომის საშუალებას მოაპოვინებს.

კაჟა ფშაველა

370

როდესაც საკითხი ეხება არა სახელმწიფოებრივ საქმეებს, რომლებშიაც მცირეოდენ შეცდომასაც კი შეუძლია გავლენა

* ნათქომია — ნათქვამია.

იქონიოს ხალხის ბედნიერებაზე თუ უბედურებაზე, არამედ მხოლოდ მეცნიერებას, მაშინ გენიალურ ადამიანთა შეცდომებიც კი იმსახურებს ხალხისაგან ქებასა და მადლობას, რადგან მეცნიერებაში საჭიროა უსასრულოდ ბევრ ადამიანთა მიერ შეცდომის დაშვება, იმისათვის, რომ დანარჩენები არ სცდებოდნენ.

კლ. ჰელვეციუსი

371

თავიდან აცილებული შეცდომა სტოვებს სწორ შეხედულებას; ასე, შეცდომების მეშვეობით იზრდება ჭეშმარიტების საგანძური.

ფრ. რიუკერტი

372

გუშინდელი დღის შეცდომების ანალიზით ჩვენ ვსწავლობთ შეცდომების თავიდან აცილებას დღესა და ხვალ.

ვ. ლენინი,
თხზ., ტ. 26, გვ. 43.

373

„შეცდომებზე ჩვენ ვსწავლობთ"-ო ხშირად იმეორებდა ლენინი.

მ. გორკი
М. Горький, „В. И. Ленин",
Собр. соч., т. 17, 26, 1952.

374

კაცი შეცდომებზე სწავლობსო.

ქართული ანდაზა

375

... სხვანაირად ვერ შესძლებ თავი აარიდო შეცდომებს, თუ ხშირად არ შეცდები და არ შეიცნობ და არ გამოასწორებ ამ შეცდომებს.

ი. ა. კომენსკი

376

როდესაც ადამიანის აზრი მიისწრაფვის ამოხსნას ცხოვრების ამოცანები, მას შეცდომების უფლებაც აქვს.

ნ. ანენსკი

377

საცა სიმართლე ღაღადებს,
იქვეა აზრთა ცდომაცა!..

ვაჟა ფშაველა

378

წმინდად განმძრახველსა და წმინდის მიზნისაკენ მიმავალ კაცს უნებურად რომ გზაც დაებნეს, ცოდვათ არ ჩაეთვლება.

ა. წერეთელი

379

ჩვენ ვიცით, რომ უშეცდომებოდ მართვა-გამგეობა არ შეიძლება.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 28, გვ. 262.

380

... მხოლოდ ის არ წამოჰკრავს ფეხსა და არ გადაუხვევს, ვინც მკვდარსავით გაშხვართულია და ნებიერ ძილს ეძლევა. უმჯობესია კეთილ გზაზედ უნებურად რამდენჯელმე დაეცეს კაცი და ბოლოს მაინც მიაღწიოს იმ წმინდა მიზნამდი, ვიდრე უწმინდურ გზაზედ ფეხმარჯვედ იყოს და ან სულ არ ინძრეოდეს, იწვეს ნებიერად.

ა. წერეთელი

381

ვინც დარბის, ის უფრო ხშირადაც ეცემა, ვიდრე ის, ვინც ხოხავს, მაგრამ ამ უკანასკნელს, თუმცა ის არ ეცემა, არავითარი სახელი არ ხვდება წილად, პირველს კი ის აქვს, თუმცა ის ეცემა.

პლინიუს უმცროსი

382

ხოხვისთვის შობილს ფრენა არ ძალუძს.

მ. გორკი

383

ვინც შეცდომას არ უშვებს, ის არც აკეთებს რამეს.

ინგლისური ანდაზა

384

... არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს არ აკეთებს.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 33, გვ. 271.

385

... ბრძენს მიაჩნია, რომ უმჯობესია იყო გონიერი და უბედური, ვიდრე უგუნური და ბედნიერი, და მართლაც პრაქტიკულ ცხოვრებაში უმჯობესია, რომ რამე კარგად განზრახულმა მარცხი განიცადოს, ვიდრე ცუდად განზრახულს შემთხვევის წყალობით წარმატება ხვდეს.

ეპიკურე

386

ყოველთვის უმჯობესია შესცდე კეთილი ზრახვებით, ვიდრე ცუდით.

მ. გორკი

387

მთავარი ადამიანში კეთილი განზრახვებია.

ფ. როხასი

388

ადამიანის ისტორიაში ყველაზედ მნიშვნელოვანია, თუ რისკენ მიისწრაფვოდა ის. ყველაფერი მის მიერ შესრულებული ყოველთვის და მნიშვნელოვნად დამოკიდებული იყო შემთხვევითს გარემოებებზე და, უკეთეს შემთხვევაში, იყო მისი განზრახვების მეტად არასრული განხორციელება. და ყველა უდიადეს ადამიანთა ცხოვრებაც ისახებოდა უფრო მეტად მათ მისწრაფებებში და ძალვაში, ვიდრე ამ მისწრაფებათა განხორციელებაში; ამიტომაც სამართლიანად მათი შეფასება შეიძლება მათივე მისწრაფებებისა და გრძნობების კვალობაზე და არა იმის მიხედვით, თუ რის გაკეთება მათ ვერ შესძლეს.

ჯ. რიოსკინი

389

დიადი ადამიანის შესახებ მსჯელობენ მხოლოდ მისი მთავარი საქმეების და არა მისი შეცდომების მიხედვით.

ვოლტერი

390

იმისათვის, რომ სამართლიანნი ვიქნეთ დიად შემოქმედთა მიმართ, არ უნდა შევჩერდეთ იმ ცრურწმენებზე, რომელთაც ისინი, შესაძლოა, იზიარებდნენ.

ე. რენანი

391

მიუდგომლად რომ ვილაპარაკოთ, ძველი ცრურწმენა ყოველთვის უფრო ნაკლებად დამღუპველია, ვიდრე ახალი: დროთა განმავლობაში ის ხშირი ხმარებისაგან იხვეწება და უვნებელი ხდება.

ა. ფრანსი

392

ცხოვრება — სკოლაა, რომელშიაც დამარცხება უფრო უკეთესი მასწავლებელია, ვიდრე წარმატება.

არაბული თქმა

393

... თუ ჩვენ ომში უსასტიკესი დამარცხებანი განგვიცდია მტრებისაგან, სამაგიეროდ, კიდევაც ვსწავლობდით ამ დამარცხებებით და სრულ გამარჯვებას მივაღწიეთ... ყოველი დამარცხებიდან ჩვენ უნდა გამოვიტანოთ ცოდნა...

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 454.

394

ჩვენი თაობა რომ კიდეც დამარცხდეს ძველთაობასთან ბრძოლაში და ჯერ-ჯერობით ვერ გაიმარჯვოს, ეს კიდევ არ ნიშნავს დამარცხებას, თუ კი სწორი გზით უმოქმედია, რადგანაც შემდეგ თაობას მათი ზნეობით ძალა ემატება...

ა. წერეთელი

395

... საკუთარი გამოცდილებით გავიგე მე, რომ უბედურების სკოლა — ყველაზედ უკეთესი სკოლაა.

ბ. ბელინსკი

396

უბედურება — უდიდესი მასწავლებელია.

უ. თეკერეი

397

უბედურებას აქვს თვისება გამოავლინოს ნიჭი, რომელიც ბედნიერ პირობებში მიძინებული დარჩებოდა.

ჰორაციუსი

398

სიღარიბე ბევრ მანკთა დედაა, მაგრამ ის უდიდეს აღმოჩენათა დედაცაა.

ჟან პოლი (რიხტერი)

399

უდიდეს უბედურებათა ეპოქები ჩვეულებრივ დიად გენიოსებს წარმოშობენ ხოლმე: უწმინდესი ოქრო უმხურვალესი ქურიდან მიიღება და უმკვეთრესი ელვა ბნელ ქარიშხალში ელვარებს ხოლმე.

კ. კოლტონი

400

დიახ, ჩვენ, რევოლუციონერები, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ რეაქციულ პერიოდების რევოლუციური როლი უარვყოთ... „აზრისა და გონების ჯერი" კაცობრიობის ისტორიულ პერიოდებში ზოგჯერ დგება სწორედ ისევე, როგორც პოლიტიკური მოღვაწის საპყრობილეში ჯდომა ხელს უწყობს მის მეცნიერულ მუშაობას და მოღვაწეობას.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 10, გვ. 303.

401

როგორც კომეტები ზოგჯერ გამოჩნდებიან ხოლმე მზის დაბნელებისას, ისევე გმირებიც ხშირად გამოვლინდებიან ხოლმე მოულოდნელი უბედურების დროს.

ს. სმაილი

402

ზოგიერთ შემთხვევაში გენიოსი, მსგავსად რკინისა, რომელსაც კაჟს ურტყამენ, საჭიროებს ბედის მოულოდნელ სწრაფ დარტყმას, რომ ღვთაებრივი ნაპერწკალი წარმოშვას.

ს. სმაილსი

403

ვისაც გაჭირვება უნახავს, ვინც უბედურებაში გამოფოლადებულა, კაციც ის არის. ძველი დროის მწერლები, როდესაც გამოხატავდენ გმირს თავის თხზულებაში, მაგ. ესხილოსი, ჯერ სამოთხიდან ჯოჯოხეთში ჩაუძახებდა, გამოაცდევინებდა სიმწ-

რის წვენს და ბოლოს კლდე-კაცად გადაქცეულს გმირის სახელით აგვირგვინებდა.

ა. წერეთელი

404

ჭირნახულობა არის კაცის სიმტკიცე და გვირგვინი. თუ კაცი სულ ბედნიერებაში და ფუფუნებაში ყოფილა, ის სულით ვერ ამაღლებულა და პირუტყვივით გადაყოლია თავის მძორს.

ა. წერეთელი

405

შეიძლება ჩაითვალოს, რომ წვრილი მარცხები, რომლებიც წამდაუწუმ გულს გვიწყალებენ, თითქოს ჩვენს სავარჯიშოდ არსებობენ, და არსებობენ იმისათვის, რომ ძალა, რომელიც დიდ უბედურებათა გადატანაში გვეხმარება, არ შესუსტდეს კმაყოფილებაში.

ა. შოპენჰაუერი

406

ტანჯვა — სიბრძნის მამაა, სიყვარული — მისი დედა.

ლ. ბერნე

407

ნიჟარა დასნეულებით მარგალიტს აძლევს სიცოცხლეს: უმადლე ზეცას ტანჯვებისათვის, რომლებიც შენ გასპეტაკებს.

ფრ. რიუკერტი

408

სათნოება სიძნელეებთან ერთად იზრდება.

სენეკა

409

ადამიანი მოწაფეა, ტანჯვა მასწავლებელია.

ქართული ანდაზა

410

ტანჯვა — პირველია, რაც უნდა ვისწავლოთ და რაც შემდეგში ყველაზედ მეტად დაგვჭირდება.

ჟ.-ჟ. რუსო

411

ტანჯვა რომ არ არსებულიყო, საჭირო შეიქნებოდა მათი

გამოგონება! ის ბუნების ერთ-ერთი კეთილისმყოფელი და სასარგებლო ნახელარია.

მ. ნორდაუ

412

ყველაზედ უფრო დიდი გულისტკივილისა და იმ მწუხარების დღეებში, რომელსაც მე ცხოვრება მაყენებდა, მძიმე დღეებში, რაც მე მეტისმეტად განვიცადე. სწორედ ასეთ დღეებში, მხნეობისა და სიჯიუტის გრძნობა მიზნის მიღწევაში განსაკუთრებით მიმაღლდებოდა.

მ. გორკი

413

ყოველგვარი ზღუდე, ყოველგვარი დამაბრკოლებელი გარემოება გამოყენებული უნდა იქნეს წყაროდ და შესაგულიანებლად მოღვაწეობისათვის — ახალი ძალ-ღონისათვის.

მ. ნალბანდიანი

414

ყოველ ცოდნას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როდესაც ის ჩვენ გვხდის უფრო ენერგიულად მოღვაწეობისათვის.

ი. ეტვეში

415

... მოთენთავს, მოერევა ძლიერი სული,
ყოველგვარ ბრძოლას ის მოიგებს გამარჯვებული.
ვის მხნეობასაც ვერ დათრგუნავს ტვირთი ხორცისა.

დანტე

416

კაცის ძლიერება მხოლოდ სულშია. ხორცი მიწაა და მიწამვე უნდა ბრედ* მიიბაროს!..

ა. წერეთელი

417

გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში.

ი. ჭავჭავაძე

418

ჩვენი მოღვაწეობა, მისწრაფება, ძალ-ღონე და ძლიერება —

* ბრე — „მტვერი ბზენარევი“ (საბა).

მატულობს და ძლიერდება იმ ზომით, რა ზომითაც ძლიერდება და მატულობს გაჭირვება და მოთხოვნილება.

მ. ნალბანდიანი

419

გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო.

ქართული ანდაზა

420

ზოგჯერ სიმამაცე შიშისგან წარმოიშობა ხოლმე.

ჯ. ბაირონი

421

ძლიერი სურვილი და იძულება, აი ყველა ჩვენი მოქმედებათა წყარო; სურვილი იწვევს ნებისმიერ მოქმედებებს, იძულება კი — უნებლიე მოქმედებებს.

ბ. პასკალი

422

უსაყვარლესო ახალგაზრდებო! თქვენივე ინტერესებისათვის ვულწრფელად ვისურვებ, რომ ცხოვრებამ ერთი კარგად დაგიტიოთ, რომ თქვენს კანზე იგრძნოთ მისი მძიმე, გახევებული ხელი, — ხელი უდიდესი შეუბრალებელი მასწავლებლისა.

მ. გორკი

423

... მე უაღრესად ვაფასებ იმ ადამიანებს, რომელთაც ბედმა, პატარაობიდანვე წაარტყა შუბლშიც და კეფაშიც.

მ. გორკი

424

მხოლოდ ის სიცოცხლე აძლევს ადამიანს საშუალებას მიაღწიოს დიდების გვირგვინს, რომელმაც ტანჯვა და გაჭირვება განიცადა.

ლ. კამოენსი

425

დიდების ყოველი გვირგვინი მასთანვე ერთად ეკლის გვირგვინიცაა.

თ. კარლაილი

426

არ არსებობს იმ ადამიანზე უსაცოდავესი არსება, ვისაც უბედურება არ განუცდია.

ი. ტეილორი

427

ის სიცოცხლეში ვერ იგრძნობს შვებას,
ვისაც სიმწარე არ უნახია.

კ. ხეთაგათი

428

... წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა!

ი. ჭავჭავაძე

429

მე მინდა ვიცოცხლო, რომ ვიაზროვნო და ვიტანჯო!

ა. პუშკინი

430

მხოლოდ ცოდნას შეუძლია გაავრცელოს და განამტკიცოს ადამიანთა შორის ბედნიერება. მხოლოდ ცოდნას შეუძლია დაეხმაროს კაცობრიობას გულდასმით შეისწავლოს მისივე უბედურებების მიზეზები, მიხვდეს თუ როგორ მოსპოს ეს მიზეზები და მოიკრიფოს ძალები ამის მისაღწევად. მხოლოდ ცოდნა დაეხმარება ადამიანს შეისწავლოს თავისივე თავი და გარემო ბუნება. მხოლოდ ცოდნის ზრდა მისცემს კაცობრიობას საშუალებას დარწმუნდეს, რომ დღევანდელი მისი მდგომარეობა, რომელშიც ის იმყოფება, არის უვიცობის შედეგი... მხოლოდ ცოდნის ზრდა მისცემს კაცობრიობას საშუალებას შეაფასოს მის განკარგულებაში არსებული ძალები, რომ დაამყაროს მსოფლიო ერთობა და ჰარმონია.

რ. ოუენი

431

ცოდნა ემსგავსება ლამპარს, რომლისგანაც აინთება მრავალი სინათლე, და ადამიანები ამის შემწეობით იპოვიან გზას და გამოვლენ სიბნელიდან.

ნიზამ-ალ-მულკი

432

... მხოლოდ ცოდნა წარმოადგენს მხსნელს, მხოლოდ მას შეუძლია გვაქციოს სულით ძლიერებად. იმ პატიოსან, გონივრულ ადამიანებად, რომელთაც უნარი შესწევთ გულწრფელად უყვარდეთ ადამიანი, პატივი სცენ მის შრომას და სულითა და გულით დასტკბენ მისი განუწყვეტელი დიადი შრომის მშვენიერი ნაყოფით.

ყველაფერში, რაც კი გაკეთებულა და რაც ადამიანის მიერ კეთდება, ყოველ ნივთში ადამიანის სული არის ჩაქსოვილი: ყველაზე მეტი ამ პატიოსანი სულისა მეცნიერებაში, ხელოვნებაშია...

მ. გორკი

433

მეცნიერებას თავისთავად კიდეც რომ რაიმე პრაქტიკული სარგებლობა არ მოჰქონდეს, მაშინაც კი არ შეიძლებოდა მისი უსარგებლოდ ჩათვლა, ოღონდ კი ის მხოლოდ ავარჯიშებდეს და აწესრიგებდეს გონებას.

ფრ. ბეკონი

434

ერთადერთი წამალი ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ — ეს ცოდნაა. არაფერს სხვას არ შეუძლია გამოიყვანოს შავი ჭირის ეს ლაქა ადამიანის გონებიდან.

ჰ. ბოკლი

435

როდესაც ცრუმორწმუნეობა დაიბუდებს ხალხის გონებაში, ის იქ სისულელეთა მარაგს სტოვებს დიდი ხნით.

ჰ. ბუასტი

436

უბრალო და გაუნათლებელ ხალხს მიდრეკილება აქვს მრავალღმერთიანობისაკენ.

დ. ანიჩკოვი

437

ცრუმორწმუნეობით დაავადებული ხალხი უკურნებელია და ის ყოველგვარ თაღლით ადამიანთა ნადავლად ხდება ხოლმე.

პ. ბუასტი

438

უვიცობა უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე ცრურწმენა.

ფრანგული თქმა

439

უვიცობა სწორედ იმიტომაა ასე საზიზღარი, რომ ის ასაზრდოებს ცრურწმენებს... უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანებიც კი უნებლიეთ დამნაშავეებად ხდებიან. რელიგიის ისტორია ამის აურაცხელ მაგალითს იძლევა: ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, რელიგიური ომები, დევნა, კოცონზე დაწვა, ბერ-მონაზვნური აღთქმები, საზიზღარი წესჩვეულებანი, წარმოშობილნი არა იმდენად ადამიანთა ავზნეობით, რამდენადაც მათივე სისულელით. რომ დაფიქრდე იმ უბედურობებზე, რომლებიც უხსოვარ დროიდან და ჩვენს, ჯერ ისევ ბარბაროსულ, დღემდე ბედშავ კაცობრიობას ძლევს, მის მიზეზს ჩვენ თითქმის ყოველთვის ვიპოვით ბუნების მოვლენათა ყალბ ახსნაში და რომელიმე რელიგიურ მოძღვრებაში, რომლებიც ჩვენს გარემომცველ სამყაროს ველურსა და აბსურდულ ახსნას აძლევენ.

ა. ფრანსი

440

დაიხსომეთ, რომ ყველაზედ მეტად ცრუმორწმუნე ეპოქები ყოველთვის უსაშინელეს დანაშაულთა ეპოქები იყო.

ვოლტერი

441

რელიგია ხშირად წარმოშვებდა ხოლმე დანაშაულებრივ და ბიწიერ მოქმედებებს.

ლუკრეციუსი

442

ცოდნა — ძალაა და ამ ძალას ვერ გაუძლებენ ყველაზედ უფრო მეტად გაქვავებული მცდარობანიც კი, როგორც მას ვერ გაუძლო ჩვენი გარემომცველი ბუნების ინერციამ.

ა. გერცენი (მამა)

443

რელიგია იბადება უვიცობის მარადიულ წყვდიადში, გაჭირვებაში, ტექნიკურ უილაჯობაში, უკულტურობაში.

ლ. ფეიერბახი.

444

ბნელ დროში ხალხები ხელმძღვანელობდნენ რელიგიით მსგავსად იმისა, როგორც ბრმას საუცხოოდ მივყავართ კუპრივით ბნელ ღამეში: ის თვალხილულზე უკეთ იკვლევს გზებსა და ბილიკებს — მაგრამ სისულელეა გზების ძებნისას ბრმა მოხუცის მომსახურეობით სარგებლობა მაშინ, როდესაც უკვე გათენდა.

ჰ. ჰაინე

445

განათლების, ლიტერატურის, პოეტისა და მწერლის მოვალეობაა გასწმინდოს ხალხის შეგნება, გაჰფანტოს ცრურწმენათა და ცრუმორწმუნეობათა წყვდიადი.

მ. ნალბანდიანი

446

... ხალხის სიღარიბიდამ გამოყვანა და სწავლა და ცოდნა ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ იმათ უერთმანეთოდ მნიშვნელობა არა აქვთ რა.

ი. ჭავჭავაძე

447

რამდენადაც უფრო დიდია ხალხის სიღარიბე, იმდენად უფრო ესაჭიროება სკოლა, რომელიც სამართლიანად ითვლება სიღარიბის უებარ წამლად.

ი. გოგებაშვილი

448

რომელ ქვეყანაშიაც კი უმრავლებიათ სკოლები, ყველგან

მათ მოუხდენიათ საოცარი ძირითადი ცვლილება: ერი გამდიდრებულა ცოდნით, ამაღლებულა ზნეობით, აღვსილა დოვლათით.

ი. გოგებაშვილი

449

... ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისი ნიჭის სრული განვითარებისა, და სახელმწიფო ჩადის ორმაგ დანაშაულს პიროვნების წინაშე, თუ იგი (სახელმწიფო) უვიცობას ჰქმნის სიღარიბის აუცილებელ შედეგად.

ფრ. ენგელსი
„ელბერფელდის სიტყვიდან," M. Ə. Соч., III, 282.

450

მხოლოდ იმათ შეუძლიათ იყოლიონ ხალხი უვიცობაში, ვისაც მისი მოტყუება და თავის სასარგებლოდ მართვა სურს.

ნაპოლეონ I

451

წყვდიადი აუცილებლად საჭიროა ყველა მათთვის, ვისაც მოტყუება სურს; იმიტომ რომ ბოროტმოქმედს სინათლის ეშინია.

პ. პოლბახი

452

თქვენ, რომელთაც უვიცობაში გსურთ იყოლიოთ ხალხი, უფრთხილდით, — თქვენ ყველაზედ მეტად გელოდებათ საფრთხე! განა თქვენ ვერ ხედავთ, რა ადვილად შეიძლება უხეში ცხოველის სასტიკ მხეცად გადაქცევა?

ო. მირაბო

453

მტარვალთ არ უყვართ მოძღვრება,
სიბრძნისა გამომჩენელი.

ვაჟა ფშაველა

454

... მეტისმეტად კეთილგონიერი ადამიანები საეჭვო და საძულველნი არიან ხოლმე დიდი მეფეებისათვის, კეისარს ეშინოდა ბრუტუსისა და კასიუსისა, მაგრამ არავინ შიშს არ განიცდიდა ლოთ ანტონიუსის წინაშე, ნერონს სძულდა სენეკა, დიო-

ნისეს * — პლატონი. და, პირიქით, — მონარქები მუდამ სწყალობდნენ უმეცარსა და გონებაჩლუნგ ადამიანებს.

ერაზმ როტერდამელი

455

რომელ დესპოტს ჰყვარებია მეცნიერება? განა ქურდს უყვარს ღამის ფარანი?

კ. ვებერი

456

... ცოდნა, სწავლა-განათლება, მარტო სამკაული კი არ არის კაცისა, პირველი წყების საჭიროებაა, როგორც პური, როგორც წყალი, როგორც საჭმელი და სასმელი, ერთი სიტყვით, როგორც ყოველივე ის, ურომლისოდაც კაცს გაძლება და ხეირი ამ ქვეყნად არ შეუძლიან.

ი. ჭავჭავაძე

457

... მთავარი ძალა, რომელიც გამარჯვებას ანიჭებს ერსა საარსებო ბრძოლაში, არის ცოდნა, განათლება. ყოველი ერი მიისწრაფება ბედნიერებისაკენ და ცდილობს სხვებზედ ადრე ბივიდეს აღთქმის ქვეყანაში. მაგრამ ამ გულის წადილს მიაღწევენ მხოლოდ ისინი, ვისაც გზა-კვალი აღთქმის ქვეყნისა ცხადად და სავსებით გათვალისწინებული აქვს, ვისაც წინ მიუძღვის და უნათებს ჩირაღდანი ცოდნისა... ხოლო რომელ ერსაც ხეირიანად არ გაეგება არც გზა და არც კვალი წარმატებისა, ბედნიერებისა, ვისაც წინ არ უძღვის ჩირაღდანი, არამედ ჭრაქიც განათლებისა, ის უგზო-უკვლოდ იხეტიალებს, გზაზედ ამოუვა სული და აღთქმის ქვეყანას თვალსაც ვერ მოჰკრავს.

დიაღ, დიდია, ფრიად დიდი მნიშვნელობა ცოდნისა, განათლებისა. იგი იმდენადვე საჭიროა ერის არსებობისა და წარმატებისათვის, რამდენადაც პური სუნთქვისა და სიცოცხლისათვის.

ი. გოგებაშვილი

458

... სწავლა, ცოდნა, მეცნიერება. აი წამწყმედელი ყოვლის უთანხმოებისა, დამადგინებელი ყოვლის ერთობისა, ამამაღ-

* მხედველობაშია დიონისე სირაკუზელი.

ლებელი ადამიანისა! აი ჭირთა ამხდელი სახსარი, კეთილ-
დღეობის მომფენი ღონისძიება. სწავლა, ცოდნა, მეცნიერება
ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვერ უდგება:
ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა
უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიები-
სათვის.

ი. გოგებაშვილი

459

ცოდნა, სწავლა, განათლება—აჰა უმთავრესი სურვილი და
საზოგადო მეცადინეობა ახლა ყოველთა კაცთა, განსაკუთრე-
ბით მშობელთა. ჩვენი საუკუნე მომეტებულად განსხვავდება
მისწრაფებითა სწავლისა და განათლებისადმი. ჩვენს დროში
კაცი მოკლებული სწავლასა საცოდავ კაცად ითვლება, ხოლო
უმეცრება—ყოველივე ბოროტების წყაროდ; მსგავსადვე ამისა,
მეორე მხრით, ყველა ხალხის წოდებაში განათლების გავრცე-
ლება ითვლება წამლად ყოველთა უბედურებათა.

გაბრ. ქიქოძე

460

ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო
დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარ-
ბაზნებზედაც უფრო ძლიერია.

ი. ჭავჭავაძე

461

იდეები საქვეყნოდ ჭექენ ქვემეხებზე უფრო ხმამაღლა,
აზრები არმიებზე უფრო ძლიერია, პრინციპებმა უფრო მეტი
გამარჯვებები მოიპოვა, ვიდრე ცხენოსანმა ჯარებმა და საო-
მარმა ეტლებმა.

უ. პაკსტონი

462

კაცობრიობის ისტორია არის განუწყვეტელი ბრძოლა იდე-
ებსა და ინტერესთა შორის; წუთით იმარჯვებენ ინტერესები,
დიდი ხნით კი—იდეები.

ემ. კასტელარი

463

საზოგადოებაზე მტკიცე გავლენა აქვს მხოლოდ იდეებს და არა სიტყვებს.

ბ. ბელინსკი

464

მცდარი იდეები ემსგავსებიან უსწორმასწორო ქვებს, რომლებიც შენობის ასაგებად გამოუსადეგარია.

ბ. ფონტენელი

465

რაც მე ამ ქვეყნად მაოცებს—ესაა ძალის უძლურება; ორ მძლავრ ფაქტორთა—ძალასა და გონებას შორის გონება ბოლოს და ბოლოს მუდამ გამარჯვებული გამოდის.

ნაპოლეონ I

466

აზრი ემსგავსება მსუბუქ ქროლას, მაგრამ ეს ქროლა ყველაფერს აყირავებს. გონება, კიდეც რომ მას ავიწროვებდნენ და უგულველყოფდნენ, საბოლოო ანგარიშში ყოველთვის იმარჯვებს, რადგან უამისოდ სიცოცხლე შეუძლებელია.

ა. ფრანსი

467

ბრძენს ეცხოვრება ძლიერთა შეუწყალებლადაც, ხოლო ძლიერნი ვერ იცხოვრებენ ბრძენთა დარიგებას მოკლებულნი.

ვაზეპი მირზა-შაფი

468

შეიძლება დაუთმო ძალას, მაგრამ უსიტყვოდ მხოლოდ გონებას ემორჩილებიან.

ლ. ბლანკი

469

ბოლოს და ბოლოს, ცხოვრებისათვის აუცილებელი სიმართლე იმარჯვებს.

მ. გორკი.

470

გონებას აქვს თავისი უფლებები, რომლებზედაც ადრე თუ გვიან უნდა დაიმსხვრეს სისულელე და ცრურწმენა.

(—)

471

ჭკუა ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს.

ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ უ ლ ი ა ნ დ ა ზ ა

472

ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს სწყვეტს გონება, — სწორედ ის არის ის ბერკეტი, რომელიც დროთა განმავლობაში გადაატრიალებს სამყაროს.

მ. გ ო რ კ ი

473

ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად გ ა ნ მ ა რ ტ ა ვ დ ნ ე ნ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ სამყარო შ ე ც ვ ლ ი ლ ი იქნეს.

კ. მ ა რ ქ ს ი

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 487, 1954.

474

მებაღე ან მესაქონლე კი არ ჩერდებიან მათთვის საინტერესო მცენარეთა და ცხოველთა არსებული ბუნების წინ, არამედ სახეს უცვლიან მათ საჭიროებისამებრ. სწორედ ასევე სწავლულმა ფილოსოფოსმა ადამიანის თანამედროვე ბუნებას უნდა უცქიროს არა როგორც რაღაც ურყევ რამეს, არამედ ეცადოს შეცვალოს ის ადამიანთა საკეთილდღეოდ.

ი. მ ე ჩ ნ ი კ ო ვ ი

475

თავის ჩარევით ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა აიძულოს ცხოველისა თუ მცენარის თითოეული ფორმა იცვლებოდეს უფრო სწრაფად და ამასთან ერთად ადამიანისათვის სასურველი მიმართულებით. ადამიანისათვის იხსნება ყველაზედ სასარგებლო მოღვაწეობის ასპარეზი.

ი. მ ი ჩ უ რ ი ნ ი

476

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბუნების დასამორჩილებლად, ადამიანთა სასარგებლოდ მისი ძალების გამოსაყენებლად და სამყაროს გარდასაქმნელად ცოდნასთან ერთად ხელთ უნდა გვქონდეს ძალა-უფლებაც.

(—)

477

თუ არა ძალადობა მოძალადეთა მიმართ, რომელთაც ხელთ უპყრიათ ძალაუფლების იარაღები და ორგანოები, ხალხის ხსნა მოძალადეთაგან შეუძლებელია.

ვ. ლ ე ნ ი ნ ი
თხზ. ტ. 10, გვ. 288.

478

... რა-კი ხალხებს სურთ სამართლიანობა და რა-კი ხალხები — ძალაა, დაე თვით მათ დაამყარონ სამართლიანობა დედამიწაზე.

ა. ბ ა რ ბ ი უ ს ი

479

რომ მქონდეს ძალა ღვთის და არა ადამის ძისა,
მე ზეცის ჩარხებს დავამხობდი, დავცემდი ძირსა
და სხვას შევქმნიდი, რომ ხალხს ეგრძნო თავისუფლება,
რომ ქვეყნად ბოლო მოღებოდა ვარამს და ჭირსა.

ო მ ა რ ხ ა ი ა მ ი

480

დადგება... დრო, როდესაც მზე გააშუქებს ქვეყნიერებას, დასახლებულს მხოლოდ თავისუფალი ადამიანებით, რომლებიც არავის არ იცნობენ ბატონად გარდა თავისივე გონებისა.

ჟ. კ ო ნ დ ო რ ს ე

481

ავსა და კარგს აქვს დროებითი მოქმედება, რომელიც მალე ჭქრება და თავის შემდეგ კვალს არ სტოვებს, ხოლო რაც გონებამ მოგვიპოვა, ის სამარადისოდ დარჩება.

ჯ. ბ ო კ ლ ი

482

ძალდატანებით მოხდენილი რევოლუციები ხშირად იწვევ-
დნენ ხოლმე რეაქციას; გონების მიერ ერთხელ მოპოვებული
გამარჯვება კი მოპოვებულია სამუდამოდ.

უ. შექსპირი

483

... გაუმარჯოს გონებას! ის არის მზე სპეტაკი და დაე იკაშ-
კაშოს! როგორც ლამპარი ფითრდება განთიადისას, ისე ცრუ
სიბრძნეც ბჟუტავს და იფუჭება უკვდავ გონების მზის წინაშე.
გაუმარჯოს მზეს და გაჰქრეს წყვდიადი!

ა. პუშკინი

484

სიცრუე მოკრძალებული ხდება, როდესაც მას გონების ია-
რაღით შეუტევენ ხოლმე. მარტო ცრურწმენაზე დამყარებულ-
მა ძალამ სამართლიანობაზე და ჭეშმარიტებაზე დამყარებულ
ძალას უნდა დაუთმოს [ადგილი].

პ. ჰოლბახი

485

ამ დედამიწის ფართობზე რომ გაჰქრეს გონება,
თავის ჭკუით ვერ იცხოვრებდა ადამისშვილი.

საადი

486

სახელი და სიმდიდრე სწრაფწარმავალია, თუ კაცმა გო-
ნიერება არ მიაშველა. დემოკრიტე

487

სამხედრო ძალაა — ხმალი და ფარი, ნასწავლის ძალა კი —
ცოდნა და ენა.

ქართული ანდაზა

488

სიბრძნე ებრძვის სიბრიყვესა უთოფოდ და უზარბაზნოდ.

ქართული ანდაზა

489

ერთის კაცისა გონება თემსა დაიპყრობს კიდითა,
რომელი მძლავრთა ლაშქართა არა შეუდრკეს რიდითა.

„ქილილა და დამანა"

490

რომელმანც კაცმა ჭკუასა საქმე მიანდო, აზიდა,
მას ჭირის მახემ ვერ ავნო, ვერც დასარჩობად აზიდა.

„ქ ი ლ ი ლ ა დ ა დ ა მ ა ნ ა“

491

დიადი დედამიწაზე — მხოლოდ ადამიანია, დიადი ადამიანში მხოლოდ ჭკუაა.

უ ჰ ა მ ი ლ ტ ო ნ ი

492

გონება — ცხოველისაგან განმასხვავებელი ადამიანის ერთ-ერთი უპირატესობაა.

პ. ჰ ო ლ ბ ა ხ ი

493

ადამიანები ამაოდ ჟინიანობენ, როდესაც რჩევისათვის თავიანთ გულს მიმართავენ. ადრე თუ გვიან, ჩვენ იძულებული ვართ გონებას მივმართოთ.

ბ. კ ო ნ ს ტ ა ნ ი

494

თუ გსურს ყველაფერი დაიმორჩილო — დაუმორჩილე შენი თავი გონებას.

ს ე ნ ე კ ა

495

მსოფლიო ვიწროა, ადამიანის ტვინი კი — უსაზღვრო.

ფრ. შ ი ლ ე რ ი

496

ადამიანის ფიქრისა ერთი საქებური თვისება — მოვლენათა მიზეზის ძიებაა. როცა ადამიანის ფიქრი კითხულობს: „რად? რისთვის? საიდან და როგორ?!“ ეს ნიშანია ადამიანის კეთილგონიერებისა. სწორედ ამისთანა ფიქრების ბრალია კაცობრიობის წინსვლა: რკინის გზა, ტელეგრაფი, ტელეფონი, ფონოგრაფი და სხვა ათასი მანქანა, ადამიანის ფიქრისა და ცოდნის ნაყოფი. ახლა ამას ისიც დავუმატოთ, რამდენს რასმე კიდევ მომავალში გააკეთებს ადამიანის ფიქრი, და მაშინ ცხადად დავინახავთ ფიქრისა და ცოდნის ძალას.

ვ ა ჟ ა ფ შ ა ვ ე ლ ა

497

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი... ოცნება — ჩემს მიერ თეორიულად დასაბუთებული პლანეტათშორისი მოგზაურობანი — სინამდვილედ იქცევა. ორმოცი წელიწადი ვიმუშავე მე რეაქტიულ ძრავაზე და ვფიქრობდი, რომ მარსზე გასეირნება დაიწყება მხოლოდ რამდენიმე ასეული წლის შემდეგ. მაგრამ ვადები იცვლება. მე მრწამს, რომ ბევრი თქვენთაგანი იქნება პირველი ატმოსფეროსიქითა მოგზაურობის მოწმე *.

კ. ციოლკოვსკი

498

საბჭოთა კავშირში ჩვენ გვყავს მრავალი ყრმა მფრინავი — ასე ვუწოდებ მე ავიამემოდელე-ბავშვებს, მეპლანერე-ბავშვებს, ჭაბუკთ თვითმფრინავებზე. ისინი ათეული ათასობით გვყავს ჩვენ. მათზე ვამყარებ მე ყველაზე გაბედულ იმედებს. ისინი დაგვეხმარებიან ჩემ გამოგონებათა განხორციელებაში და მოამზადებენ პირველი საპლანეტაშორისო ხომალდის ნიჭიერ მშენებელთ.

გმირნი და გულადნი გაკვალავენ პირველ საჰაერო ტრასებს: დედამიწა — მთვარის ორბიტი, დედამიწა — მარსის ორბიტი, და კიდევ უფრო შორს: მოსკოვი — მთვარე, კალუგა — მარსი.

კ. ციოლკოვსკი

499

... [ჯერ] არ ყოფილა შემჩნეული არავითარი საზღვარი ადამიანის უნარის განვითარებაში... ადამიანის უნარიანობა გასრულადებაში მართლაც რომ უსაზღვროა... წარმატება ამ გას-

* ფირფიტაზე ჩაწერილი კ. ციოლკოვსკის მისასალმებელი სიტყვიდან: („ხორციელდება კაცობრიობის ოცნება"), რომელიც ტრანსლირებული იყო წითელ მოედნიდან 1935 წ. 1 მაისს. ეს წინასწარმეტყველება ასრულდა 1961 წ. 12 აპრილს, როდესაც, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, განხორციელდა საბჭოთა ადამიანის, მაიორ იურა გაგარინის კოსმოსში გაფრენა.

საბჭოთა მეორე კოსმონავტმა გერმანე ტიტოვმა კი, იმ. წ. 6 და 7 აგვისტის თანამგზავრ-ხომალდით „აღმოსავლეთი-2" კოსმოსში დაჰყო 25 საათი და 18 წუთი, შემოუფრინა ირგვლივ დედამიწას 17-ჯერ, გაღალახა 170 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი და წარმატებით დაეშვა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

რულადებაში ამიერიდან დამოუკიდებელია რაიმე ძალისაგან, რომელსაც მისი გაჩერება სურს... ეჭვს გარეშეა, რომ პროგრესი შეიძლება იქნეს მეტად თუ ნაკლებად სწრაფი, მაგრამ მისი განვითარება არასოდეს უკან არ წავა.

ჟ. კონდორსე

500

ადამიანის უნარიანობა, რამდენადაც ამას ჩვენ გამოცდილება და ანალოგია გვასწავლის, განუსაზღვრელია; არ არსებობს არავითარი საბუთი ვივარაუდოთ რაიმე საზღვარიც კი, რომელზედაც ადამიანის გონება შეჩერდება.

ჰ. ბოკლი

501

სამყაროში, ბუნებაში არ არსებობს არც ისეთი ნივთი, არც ისეთი მოვლენა, რომლის შეცნობა და ახსნა არ შეიძლებოდეს დროთა განმავლობაში. არსებობს მხოლოდ ჯერ შეუცნობელი და აუხსნელი ნივთები, რომლებიც, დღეს თუ არა ხვალ, შეცნობილი იქნება ადამიანის გონებისა და მეცნიერების მიერ და გამოყენებული იქნება ადამიანთა სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ. (—)

502

როდესაც რაიმე მოვლენის ახსნას შეუდგები, არ შეიძლება გამომდინარეობდე იმ დებულებიდან, რომ ის გამოუცნობია.

კ. ტიმირიაზევი

503

ადამიანმა უნდა განაგრძოს სწამდეს, რომ შეუცნობელი შეიძლება შეცნობილ იქნეს; სხვარიგ ის თავს დაანებებდა კვლევას.

ვ. გოეთე

504

ყველაფერი, რაც კი რამ არის მშვენიერი, ლამაზი, იდეალური, შექმნილია არა ღმერთის, არამედ ადამიანის მიერ და ადამიანის გონებით.

მოპასანი

505

ჩვენი გონება
არს ჩვენი ღმერთი.

გრ. ორბელიანი

505

ადამიანის გონებას სამი, ყველაფრის ამომხსნელი, გასაღები აქვს: ცოდნა, აზრი, წარმოსახვა, — ყველაფერი ამათშია.

ვ. ჰიუგო

507

გონება პროგრესულია, ინსტიქტი უძრავია; ხუთი ათასი წლის მანძილზე ვერც ფუტკარმა ისწავლა თავისი სკის უკეთესად აშენება, ვერც თახვმა * თავისი პატარა სახლის აგება.

კ. კოლტონი

508

უდიადესი უპირატესობანი, რომლებითაც ადამიანის ბუნებაა დაჯილდოებული, — ეს გონება და მეტყველების ნიჭია.

პლუტარქე

509

მხოლოდ გონება ჰქმნის სასწაულებს.

ლ. შეფერი

510

ადამიანი განსაკუთრებით კარგია, როდესაც მას ესმის, რომ... ყველაფერი კარგი დედამიწაზე იქმნება მისი ნებისყოფით, მისი წარმოსახვით, მისი გონებით.

მ. გორკი

511

ადამიანი რამდენადმე იზრდება, როდესაც თავის თავს და თავის სიმძლავრეს შეიცნობს ხოლმე. ჩაუნერგეთ ადამიანს შეგნება იმისა, თუ რაცაა ის, და ის მალე ისწავლის იქნეს აგრეთვე იმად, რაც ის ნამდვილად უნდა იყოს.

ფრ. შელინგი

512

ბევრი რამ არის ქვეყნად ძლიერი, მაგრამ ადამიანზე უძლიერესი არაფერია.

სოფოკლე

---

* თახვი (Castor fiber) — ძვირფასბეწვიანი მოზრდილი ძუძუმწოვარი ცხოველი. განთქმულია როგორც წყალზე თავისი საცხოვრებელი ბინა-ჯებირის დახელოვნებული მშენებელი. მასალად იყენებს ხის ტანს, ტოტებს, ქვას და შლამს. დიდად აზიანებს და ანადგურებს ტყეებს.

513

ჩვენ, ადამიანები, ვემსგავსებით ცხოველმყოფელ წვიმას; თითოეული ჩვენთაგანი წარმოადგენს თითქოს ერთ წვეთს, რომელიც თუმცა მეტად მცირედია, მაგრამ მაინც ხელს უწყობს ჭინდვრის გაპოხიერებას.

ტ. ლაფონტენი

514

ბუნების უნატიფესი მშვენება, ღვთაებრივი ქმნილება — ეს ადამიანია.

ლ. ოკენი

515

ადამიანი თავისი ბუნებით სუფთა და მოხდენილი ცხოველია.

სენეკა

516

ადამიანი სამყაროს ყველაზე დიდი სასწაული და დედამიწაზე ყველა სასწაულის შემოქმედია.

მ. გორკი

517

ადამიანები და არა კედლები ჰქმნიან ქალაქებს.

ჩინური ანდაზა

518

ადამიანი — ქვეყნიერების ღერძია.

მ. გორკი

519

ადამიანი — ყოველი არსებულის საზომია.

პროტაგორა

520

ადამიანი — ეს ჟღერს ამაყად.

მ. გორკი

521

როდესაც გავიხსენებ, რომ ადამიანი ვარ, სულით ავმაღლდები ხოლმე.

ვ. ჟუკოვსკი

522

გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი.

მ ა მ ი ა გ უ რ ი ე ლ ი

523

საშუალო საუკუნეებში მნიშვნელობას ანიჭებდნენ შთამომავლობის ხეს; ჩვენს დროში მთავარ როლს თამაშობს ფული, მომავალში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ადამიანის, როგორც ასეთის,. ღირებულებას. მომავალი კი, — სოციალიზმის განხორციელებას ნიშნავს...

ა. ბ ებ ე ლ ი

524

მიუხედავად ყველა მათი ნაკლოვანებებისა, ადამიანები ამ ქვეყნად მაინც უღირსეულესი არსებანი არიან.

ვ. გ ო ე თ ე

525

ლმობიერება — ყოველივე სხვა რამეზედ მეტადაა დამსახურებული ადამიანის მიერ.

მ. გ ო რ კ ი

526

ადამიანებისადმი ღირსეული მოპყრობა—ყოველგვარ ცოდნაზე მაღლაა.

ძ ვ ე ლ ი ებ რ ა უ ლ ი

527

ვისიმე ღირსება რომ დააფასო, თვითონაც ეს ღირსება რამდენადმე უნდა გქონდეს.

უ. შ ე ქ ს პ ი რ ი

528

კაპიტალისტების სამყაროში ადამიანური ღირსების ძებნა ამაოა.

ვ. ლ ე ნ ი ნ ი
თხზ., ტ. 24, გვ. 14.

529

იცოდე, რომ კაცს, რომელსაც სათნოება უყვარს სხვებში, თვით ჭარბად აქვს ის.

პ ლ ი ნ ი უ ს უ მ ც რ ო ს ი

530

ცხოვრება არასოდეს არ ყოფილა ისე ღრმად ჭკუის სასწავლი და ადამიანი ისე საინტერესო, როგორც ჩვენს დროში.

მ. გორკი

531

თუ ქვეყნად არსებობს რაიმე ჭეშმარიტად წმინდა და დიადი, ეს არის განუწყვეტლივ მზარდი ადამიანი, — ძვირფასი მაშინაც კი, როდესაც ის მე მძულს.

მ. გორკი

532

როგორც არ უნდა იცხოვრო, კაცუნავ, არავინ შენს გარდა ცხოვრებას არ ხელმძღვანელობს.

მ. გორკი

533

ადამიანი — ეს ყველაფერია. ის არის დედამიწის მეუფე. უმისოდ არც განთიადი ბრწყინავს ზეციდან.

ს. ვურგუნი

534

ადამიანი — ცხოვრების ბატონ-პატრონია, ცხოვრება მისთვისაა, და ყველაფერი, რაც მას ხელს უშლის იცხოვროს — განადგურებულ უნდა იქნეს.

მ. გორკი

535

თუ ავსა ავი არ უყო, ვის ჰკითხონ დანაშავები?

ვახტანგ VI

536

ყველგან ხედავ, როგორ მოჰყავს წესრიგში დედამიწა ადამიანის გონივრულ ხელს, და გრწამს, რომ დადგება დრო, როდესაც ადამიანი მიიღებს უფლებას თქვას: „ქვეყანა შეეკმენი მე ჩემი გონებით და ჩემი ხელებითო“.

მ. გორკი

537

შრომა — ყოველგვარი სიმდიდრის წყაროა, ამბობენ პოლიტიკო-ეკონომისტები. ის მართლაც ასეთია ბუნებასთან ერთად; ბუნება მას აწვდის მასალას, რომელსაც შრომა სიმდიდრედ

აქცევს. მაგრამ იგი კიდევ რაღაც ამაზედ უსასრულოდ უფრო მეტია. იგი პირველი ძირითადი პირობაა ადამიანის მთელი სიცოცხლისა. თანაც იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ ერთგვარი აზრით უნდა ვთქვათ: შრომამ შეჰქმნა თვით ადამიანი.

ფრ. ენგელსი
„შრომის როლი მაიმუნის გადამიანების პროცესში", 1945.

538

... შრომისათვის მოვსულვარ ქვეყნად.

ნიზამი განჯელი

539

წარმოდგენამ შრომაზე, როგორც რაღაც საცოდავ და არაკეთილშობილურ რამეზე, ბევრი [ადამიანი] საკუთარი არარაობის აღიარებამდე მიიყვანა.

პლინიუს უმცროსი

540

სიმდიდრეს, რაც არ უნდა ბრწყინვალე იყოს ის, არ შეუძლია სახელი გაუთქვას უსაქმურ არისტოკრატს, მაშინ როდესაც შრომამ მრავალი ღარიბი და უბრალო წარმოშობის ადამიანი უკვდავჰყო.

(—)

541

რაც უფრო მაღლა დგას კულტურა, მით უფრო დიდი პატივით სარგებლობს შრომა.

ვ. როშერი

542

შრომა სსრ კავშირში წარმოადგენს შრომისუნარიან თითოეული მოქალაქის მოვალეობის და ღირსების საქმეს პრინციპის მიხედვით: „ვინც არ მუშაობს, ის ვერც ჭამს".

სსრკ კონსტიტუცია
(მუხლი 12)

543

არ უნდა არსებობდეს ისეთი მიწა, რომლის განაყოფიერება არ შეეძლოს ადამიანის ყოველისდამძლე შრომას, არ შეიძლება არსებობდეს! ფინლანდიის ქვები და ჭაობები, ბრანდენბურგის

ქვიშა დამაჯერებლად გვეუბნებიან ჩვენ, რომ როდესაც ადამიანს სურს თავის სასარგებლოდ ამუშაოს თუნდ უნაყოფო მიწაც კი, ის მას ამუშავებს.

მ. გორკი

544

პირობები კი არ ქმნიან ადამიანს, არამედ ადამიანი ჰქმნის პირობებს.

ბ. დიზრაელი

545

... მიწა, რომელზედაც შენ შრომობ, კეთილმოწყობილია ადამიანის შრომით, ამ მიწისადმი სიყვარული მიიჩნიე შენს მოვალეობად.

ნიზამი განჯელი

546

მიწის ნაყოფთა შეეხო შენ არა გაქვს ნება,
თუ თვით არ მიეც ამის ნაცვლად მიწას ნაყოფი.

უ. შექსპირი

547

მხოლოდ გონებას შეუძლია ადამიანთა გაუმჯობესება.

პ. ჰოლბახი

548

ბუნებრივი ნიჭის სრული და საყოველთაო კულტურა შეუძლებელი არ არის არც ერთ ხალხისათვის, თვით ბარბაროსებისათვისაც კი, თუ ხალხი მოინდომებს იხელმძღვანელოს გონებით.

ი. ა. კომენსკი

549

იხელმძღვანელე გონებით.

სოლონი

550

ადამიანის გონებას ყველაფრის უნარი აქვს.

მოპასანი

551

რა დაუდგება კაცის შვილს,
ძნელია ის, თუ ადვილი,

რკინის მთაც გადაეღობოს,
გაჭრის, გახვრეტს და გადივლის.

ნიზამი განჯელი

552

ადამიანის ძლიერება მის ზნეობრივ ძალაშია და არა ფიზიკურ ძალაში. არა სხეული, არამედ გონება აძლევს მას საშუალებებს დაცვისათვის და დაუფლებისათვის. არა სხეული, არამედ სული შეიცავს ხასიათის სიმტკიცეს, ვაჟკაცობას, მორჩილებას, მოთმინებას, თავგანწირვისათვის მზადყოფნას.

ჟ. სისმონდი

553

კაცის ძლიერება მხოლოდ სულშია. ხორცი მიწაა და მიწამვე ბრედ * უნდა მიიბაროს!..

ა. წერეთელი

554

ხშირია ხოლმე, როცა სული ჭლექდება, ხორცის დღეობა მაშინ არის, როცა ხორცი ყვავის — სული დნება.

ი. ჭავჭავაძე

555

ადამიანს დიდად ხდის არა სიმაღლე და ფიზიკური ძალა, არამედ გონება.

კ. ფლამარიონი

556

არა განიერი მხრები და მაღალი ტანი, არამედ გონება გვიქადის ომში გამარჯვებას.

უ. შექსპირი

557

რა სიდიადეს წარმოადგენს ადამიანი! რა კეთილშობილებაა მის გონებაში, უსაზღვროება უნარიანობაში, სიმშვენიერე ფორმებში, — ეს არის ზეციური სული, ქვეყნიერების სამკაული, მთელი ბუნების ნიმუში.

უ. შექსპირი

---

* ბრე — „მტვერი ბზენარევი“ (საბა).

558

საუცხოო თანამდებობაა — იქნე ქვეყნად ადამიანი.

მ. გორკი

559

ყველაფერი ცოცხლობს, ყველგან სიცოცხლეა და ყველგან საიდუმლოებებია. ტრიალებდე ღრმა და საუცხოო გამოცანათა სამყაროში, ხარჯავდე შენი ტვინის ენერგიას მათ ამოხსნაზე— აი ნამდვილი ადამიანური ცხოვრება, აი სად არის დაუშრეტელი წყარო ბედნიერებისა და ცხოველმყოფელი სიხარულისა. მხოლოდ გონების სამყაროშია ადამიანი თავისუფალი, მხოლოდ მაშინ არის ის ადამიანი, როდესაც გონიერია, და, თუ ის გონიერია, ის პატიოსანი და კეთილია! კეთილი შექმნილია გონების მიერ, შეგნების გარეშე კეთილი არ არსებობს!

მ. გორკი

560

შრომა, დაბრკოლებებთან ბრძოლა — ეს ისეთივე მოთხოვნილებაა ადამიანისათვის, როგორც თხუნელასათვის მიწაში ჩიჩქნა. მთავარი მისი სიამოვნება — დაბრკოლებათა დაძლევაა იქნება ეს დაბრკოლებანი მატერიალური, როგორც ფიზიკური შრომის დროს საყოფაცხოვრებო საქმეებში, თუ სულიერი, როგორც მეცნიერებაში და გამოკვლევებში — სულ ერთია — მათთან ბრძოლა და გამარჯვება ბედნიერებას გვანიჭებს.

(—)

561

„სიცოცხლე მდგომარეობს მოძრაობაშიო“ — სამართლიანად თქვა არისტოტელემ; როგორც ჩვენი ფიზიკური სიცოცხლე მდგომარეობს მუდმივ მოძრაობაში და შესაძლებელია მხოლოდ ამ პირობაში, ისევე ჩვენი შინაგანი, სულიერი სიცოცხლეც თხოულობს მუდმივ დატვირთვას რაიმეთი, აზრებით ან საქმით; ამის დამამტკიცებელია ის, რომ უსაქმო ადამიანები, რომლებიც არაფერზე არ ფიქრობენ, განუწყვეტლივ აბრახუნებენ მაგიდაზე ან სხვა რაიმე საგნით.

(—)

562

მე პატივს ვსცემ იმ ადამიანს, მზად ვარ გამორჩეული ვუწოდო მას, ვინც, რაიმეს მოლოდინში და საქმით დაუკავებელი, არ დაიწყებს ბრახუნს ან კაკუნს ყველაფრით, რაც კი მას ხელთ მოხვდება — ჯოხით, ჯაყვით, ჩანგლით ან სხვა რაიმეთი; ეს მე მაჩვენებს, რომ ის ფიქრობს.

(—)

563

ჩვენი დროის უდიდესი პოეზია — ეს მეცნიერებაა თავის აღმოჩენათა საოცარი აყვავებით, მატერიის დაპყრობით, რომელიც ფრთებს ასხამს ადამიანს, რომ გააათკეცოს მისი მოღვაწეობა.

ე. ზოლა

564

მომეცით მატერია, და მე თქვენ გიჩვენებთ, თუ როგორ უნდა წარმოიშვას მისგან სამყარო. მომეცით მატერია და მე მისგან ავაგებ სამყაროს.

ი. კანტი

565

მომეცით მატერია და მოძრაობა და მე შევქმნი სამყაროს.

რ. დეკარტი

566

თავის განძეულობას ბუნება ხშირად ისეთ ადგილებში მალავს ხოლმე, რომლებიც მეცნიერების დაუხმარებლად არავის არ შეიძლება აზრად მოუვიდეს.

ჯ. ლებოკი

567

ბუნება — ისეა, როგორც ძველი დროის მედუქნე: საუკეთესო საქონელს ის არასოდეს ფანჯარაში არ გამოაფენს ხოლმე.

ჯ. ჯერომი

568

ისწავლე, შეიარაღდი! არ არსებობს უნივერსიტეტი იმაზე უფრო უნივერსალური, როგორც ბუნებაა, ჯერ კიდევ მდიდარი ჩვენ მიერ გამოუყენებელი ენერგიით, და სინამდვილე, რომელიც ადამიანის ნებისყოფითა და გონებით იქმნება.

მ. გორკი

569

ბუნება — ერთადერთი წიგნია, რომელიც ყოველ თავის კაბადონზე ღრმა შინაარსს შეიცავს.

ვ. გოეთე

570

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თითოეულმა მნიშვნელოვანმა ნაბიჯმა ბუნების შეცნობაში, მეშვეობით თუ უშუალოდ, ადამიანში სათანადო ზნეობრივი გასრულადება უნდა გამოიწვიოს.

ე. ჰეკელი

571

ჩვენი სიცოცხლე მოკლდება უვიცობისაგან. ჩვენ უნდა მივილტვოდეთ ჩვენივე ბუნებისა და გარემო სამყაროს შეცნობისაკენ. ჩვენ უნდა დავადგინოთ არსებობის პირობები და გამოვნახოთ მათი გამოყენების საშუალებები.

ჰ. სპენსერი

572

თავისი არსებობის შესანარჩუნებლად ორგანიზმმა უნდა იცოდეს ბუნების ძალებით სარგებლობა და თავის დაცვა ყოველგვარ საზიანო გავლენებისაგან. ამისათვის კი მას ესაჭიროება ამ ძალებისა და საზიანო პირობების შესწავლა, და რაც უფრო სრული იქნება ეს შესწავლა, მით უფრო მეტ სარგებლობას გამოიტანს ის ბუნების ძალებიდან.

მ. ნორდაუ

573

არ იცნობდე — ნიშნავს არ ფლობდე, დაუფლება გვასწავლის ოსტატობას გამოვიყენოთ, ხოლო, რაც უფრო უკეთ ეხერხება ადამიანს ბუნების ძალთა გამოყენება, მით უფრო უხვი და სრულყოფილია მისი იარაღი ცხოვრებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მ. გორკი

574

ბუნება ემორჩილება მხოლოდ მას, ვინც მისი კანონების ცოდნით არის აღჭურვილი, მისთვის არის სიმდიდრის წყარო, ვი-

საც მის ძალთა გამოყენება სარგებლობა შეუძლია. უმეცარს კაცს ბუნებისა არაფერი გაეგება. თვით ღატაკი ბუნება შეიძლება ადამიანმა შექმნას სიმდიდრის წყაროდ, თუ მან ზედმიწევნით იცის, საიდან უნდა მოუაროს ამ ბუნებასა და როგორ გახადოს იგი მოსამსახურედ თავის მოთხოვნილებისა.

ი. გოგებაშვილი

575

ბუნების კანონები — მკაცრი, ულმობელი ძალებია, რომლებმაც არ იციან არც მორალი და არც შეგუება.

კ. ფოგტი

575-ა

ჩვენს პლანეტაზე ბუნება ბოროტი მტერია, რომელთანაც ჩვენ მუდამ იარაღდაუყრელად უნდა ვიბრძოლოთ.

მ. ნორდაუ

576

ბუნება — ცეცხლია, — გშანთქამს, თუ უშუალოდ უხეშად მოეპყარ მას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბუნება არაა დაუძლეველი, თუ მის წინააღმდეგ გეგმაზომიერებით, მოფიქრებით, ბუნებრივივე საშუალებებით გაილაშქრებ.

მ. ნალბანდიანი

577

ბუნების ადვილად დამორჩილება შეიძლება მისადმი დამორჩილებით.

ფრ ბეკონი

578

... ჩვენ დღითი-დღე ვსწავლობთ ბუნების კანონების სულ უფრო და უფრო მეტი სისწორით გაგებას და ბუნების ჩვეულებრივ მსვლელობაში ჩვენი ჩარევის როგორც უახლოეს, ისე უფრო შორეულ შედეგთა შეცნობას... ხოლო რაც უფრო მეტად მოხდება ეს, მით უფრო მეტად ადამიანები არა თუ კვლავ იგრძნობენ, არამედ კიდევაც შეიგნებენ თავის ერთიანობას ბუნებასთან და მით უფრო შეუძლებელი გახდება ის უაზრო და

ბუნებისსაწინააღმდეგო წარმოდგენა რაღაც დაპირისპირებაზე სულსა და მატერიასა, ადამიანსა და ბუნებასა, სულსა და სხეულს შორის, რაც ევროპაში გაჩნდა კლასიკური ანტიკურობის დაცემის დროიდან და რამაც თავის უმაღლეს განვითარებას ქრისტიანობაში მიაღწია.

ფრ. ენგელსი
„შრომის როლი მაიმუნის გადამიანების პროცესში", 1945.

579

.... ცხოველი მხოლოდ სარგებლობს გარე ბუნებით და მასში ცვლილებებს ახდენს მხოლოდ თავისი არსებობით; ადამიანი კი მის მიერ შეტანილი ცვლილებებით ბუნებას აიძულებს ემსახუროს მის მიზნებს. ბატონობს მასზე.

ფრ. ენგელსი
(იქვე)

580

ადამიანი არა მარტო ფიზიკურად, არამედ ზნეობრივადაც განიცდის ბუნების გავლენას; ბუნების გულის ცემა უშუალოდ გამოძახილს პოულობს ადამიანის გულში. თავის იდეებს ადამიანი ბუნებიდან იღებს.

მ ნალბანდიანი

581

ადამიანები ბუნების კანონებს ემორჩილებიან მაშინაც კი, როდესაც მათ წინააღმდეგ იბრძვიან; ისინი მოქმედებენ ბუნებასთან ერთად მაშინაც კი, როდესაც მისი კანონების წინააღმდეგ მოქმედება სურთ.

ვ. გოეთე

582

ყველაფერი, რაც კი ბუნების თანახმად კეთდება, უნდა მიჩნეულ იქნეს კარგად.

ციცერონი

583

ადამიანი ბუნების გამოხატულებაა.

ვ. ნალბანდიანი

584

...ყოველ ნაბიჯზე ფაქტები მოგვაგონებენ, რომ ჩვენ ბუნებაზე სრულიადაც ისე არ ვბატონობთ, როგორც დამპყრობელი ბატონობს უცხო ხალხზე, არ ვბატონობთ ბუნებაზე ისე, როგორც ბუნების გარეშე მდგომი ვინმე, — რომ ჩვენ პირიქით, ჩვენი ხორცით, სისხლითა და ტვინით ბუნებას ვეკუთვნით და მასში ვიმყოფებით, რომ მასზე მთელი ჩვენი ბატონობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ, იმ უპირატესობის გამო, რაც ყველა სხვა ქმნილებასთან შედარებით გვაქვს, შეგვიძლია შევიცნოთ ბუნების კანონები და სწორად გამოვიყენოთ ისინი.

ფრ. ენგელსი
„შრომის როლი მაიმუნის გადამიანების პროცესში“. 1945.

585

ურყევ კავშირშია გენიოსი ბუნებასთან: რასაც პირველი გაისაზრებს, იმას იძლევა უთუოდ მეორეც.

ფრ. შილერი

586

არის „ბუნებასთან შერწყმის“ პოეზია, მისი ფერადებით და ხაზებით გატაცება, ეს — მხედველობით და გონებით ჭვრეტით მონაცემებისადმი პასიური დამორჩილების პოეზიაა. ის სასიამოვნოა და დამამშვიდებელი, და მხოლოდ ამაშია მისი საეჭვო ღირებულება. ის — ცხოვრების მორჩილ მაყურებელთათვისაა, რომლებიც ცხოვრობენ მისგან მოშორებით, სადღაც ისტორიის ნაკადის ნაპირებზე.

მაგრამ არის ადამიანის ნებისყოფის ძალით ბუნების ძალთა დაძლევის პოეზია, გონებითა და წარმოსახვით გამდიდრების პოეზია, ის დიდებული და ტრაგიკულია, ის აგზნებს ნებისყოფას ქმედებისაკენ. ეს მებრძოლთა პოეზიაა მკვდარი გაქვავებული სინამდვილის წინააღმდეგ, სოციალური ცხოვრების ახალი ფორმების ახალი იდეების შემქმნელთათვის.

მ. გორკი

587

ჩვენ ვერ დაველოდებით წყალობას ბუნებისაგან: ჩვენი ამოცანაა — წავართვათ ეს წყალობა მას. ი. მიჩურინი

588

ადამიანი იმ აზრით კი არ არის ბუნების მიერ გამორჩეული, რომ ბუნებამ ყველაფერი გააკეთოს ადამიანისათვის, არამედ იმით, რომ ადამიანმა ბუნების მიერ მისთვის მინიჭებული ძალების დახმარებით, თვით გააკეთოს ყველაფერი თავისთვის.

კ. ცახარია

589

ერთად-ერთი პროგრესი, რომელსაც ნამდვილი ღირებულება აქვს, დამოკიდებულია არა ბუნების ძალებზე, არამედ ადამიანის ძალღონეზე.

ჰ. ბოკლი

590

თანამედროვე მეცნიერების სასწაულები ბევრით აღემატებიან ძველი მითოლოგიის სასწაულებს.

რ. ემერსონი

591

... დადგება დრო, როდესაც მეცნიერული გამოგონებანი ყოველგვარ ფანტაზიას აღემატებიან.

ჟ. ვერნი

592

ადამიანი თავის თავად არის ფრაგმენტი ანუ ნაწყვეტი: მხოლოდ მისივე მსგავს არსებებთან და ბუნებასთან ერთად ის წარმოადგენს ერთ მთელს.

ნ. კარამზინი

593

ადამიანი თავის ბუნებით — საზოგადოებრივი ცხოველია.

არისტოტელე

594

უკეთუ ადამიანი თავისი ბუნებით საზოგადოებრივი არსია, მაშინ მას მხოლოდ საზოგადოებაში შეუძლია განავითაროს თა-

ვისი ნამდვილი ბუნება, და მისი ბუნების ძალის შესახებ უნდა ვიმსჯელოთ არა ცალკე პირების, არამედ მთელი საზოგადოების მიხედვით.

კ. მარქსი
„წმინდა ოჯახი", M. Ə. Соч., III, 160.

595

... მხოლოდ კოლექტივში ღებულობს ინდივიდი იმ საშუალებებს, რომლებიც აძლევენ მას თავის მიდრეკილებათა ყოველმხრივ განვითარების შესაძლებლობას და, მაშასადამე, მხოლოდ კოლექტივში არის შესაძლებელი პირადი თავისუფლება.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი
„გერმანული იდეოლოგია",
M. Ə. Соч., IV, 65.

596

ი ც ო დ ე კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ში მ უ შ ა ო ბ ა. დღევანდელ მეცნიერებაში მხოლოდ კოლექტივს შეუძლია ნამდვილად ნაყოფიერად მუშაობა. როგორი განსაკუთრებული ნიჭის პატრონიც არ უნდა იყო, შენ მარტოდმარტო ვერ გააკეთებ დიდ აღმოჩენებს მეცნიერებაში. პირიქით, კოლექტივი მუდამ იქნება შენი იდეების, ასე ვთქვათ, რეზონატორი, გამაძლიერებელი ისე, როგორც შენც, როგორც კოლექტივის ნაწილი, იქნები სხვების მიერ გამოთქმული იდეების გამაძლიერებელი.

ნ. ზ ე ლ ი ნ ს კ ი

597

ი ც ო დ ე კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ში მ უ შ ა ო ბ ა — ე ს პ ი რ ვ ე ლ რ ი გ ში ნ ი შ ნ ა ვ ს — ი ც ო დ ე ს წ ო რ ა დ მ ი ი ღ ო კ რ ი ტ ი კ ა დ ა ა რ დ ა ე რ ი დ ო ს ხ ვ ი ს ი შ ე ც დ ო მ ე ბ ის კ რ ი ტ ი კ ას, რაც უნდა მაღალი ადგილი ეჭიროს იმ ადამიანს, რომელსაც შენ აკრიტიკებ. ნაკლოვანებები არედან უფრო ჩანს. კრიტიკა შენ დაგიცავს თვითდაიმედებისაგან, ქედმაღლობისაგან, ის დაგეხმარება შენ თავიდან აიცილო შეცდომები.

ნ ზ ე ლ ი ნ ს კ ი

598

ნიჭს კრიტიკა ვერას ავნებს,
შნოს შეჰმატებს კიდეც იმას,
მხოლოდ ყალბი ყვავილები
შეჰყურებენ შიშით წვიმას.

ი. კრილოვი

599

იცოდე კოლექტივში მუშაობა — ეს ნიშნავს იყო პრინციპიალური, შეგეძლოს ყოველთვის კოლექტივის დიდი ინტერესები ამჯობინო საკუთარ პირად ინტერესებს, რარიგ მნიშვნელოვნადაც არ მიგაჩნდეს ეს შენი პირადი ინტერესები. ვისაც დიდ კოლექტივში მუშაობა არ შეუძლია, ის ვერ იქნება მეცნიერი.

ნ. ზელინსკი

600

... სწორად გაგებული საზოგადოებრივი ინტერესი — ესაა ჩემი პირადი ინტერესი.

ა. მაკარენკო

601

კაცი ის არის, ვინც საზოგადო საქმის დროს პირადობას ივიწყებს...

ა. წერეთელი

602

პირადი სარგებლობისა,
იცოდე, ძებნას დაეხსენ!

ა. წერეთელი

603

ბედნიერია, ვინც დიდებულ საქმისთვის იღწვის...
მას უსათუოდ ამხნევებს დიდად,
რომ მისი ყველა გმირობანი ქვეყანამ იცის,
მაგრამ ასევე ნეტარია, ვინც შრომობს მშვიდად,
შრომობს უჩინრად, არ იშურებს ძალას და ღონეს,

არ ელის პატივს, არც ეროვნულ ადიდებს, აქებს,
და ერთი აზრი მას აცისკროვნებს:
სჯერა — აკეთებს საერთო საქმეს.

ი. კრილოვი

604

იმ კოლექტივში, რომლის ხელმძღვანელობაც მე მიხდება, ყველაფერს ჰქმნის ატმოსფერო. ჩვენ ყველანი ჩაბმული ვართ ერთ საერთო საქმეში, და თითოეული თავის ძალ-ღონისა და შეძლების მიხედვით წინ სწევს მას. ჩვენთან ხშირად ვერც კი გაარკვევ, რა არის „ჩემი" და რა არის „შენი", მაგრამ ამით საერთო საქმე მხოლოდ იგებს.

ი. პავლოვი

605

ბედნიერების საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ გქონდეს უნარი საკუთარი „მე"-ს წრიდან გამოხვიდე.

გ. ჰეგელი

606

კოლექტივი ჰქმნის სულ სხვა ინდივიდუალური ფსიქიკის ადამიანს, უფრო აქტიურს, უდრეკს, რომელიც ნებისყოფას მოქმედებისათვის, ნებისყოფას ცხოვრების შენებისათვის კოლექტივის ნებისყოფიდან სესხულობს.

მ. გორკი

607

კაცობრიობის კულტურა არის კაცობრიობის დაგროვილი კოლექტიური მუშაობა. თითოეული კულტურული მოქმედება — კოლექტიური მუშაობაა.

ვ. ლიბკნეხტი

608

ხალხი თვით თავისი რიცხვმრავლობით იძენს რაღაც დიდ კოლექტიურ აზრს და მათ, რომელთაც ცალ-ცალკე ცოტა გონება აქვთ, ერთად მოხვედრისას ის უხვად აქვთ.

პლინიუს უმცროსი

609

რამდენიც თავია, იმდენი ჭკუაა.

ქართული ანდაზა

610

ბრძენთ უთქვამთ „ერთის მსჯელობა ისეა, როგორც ერთი კაცის ღონე, ათის მსჯელობა კი ისე, როგორც ათი კაცის ღონეო“.

ნიზამ-ალ-მულკი

611

ღონით, ნიჭით ან სიმამაცით განსაკუთრებულად დაჯილდოებულმა ადამიანმა იცის, რომ ყველაფრისათვის ის უნდა უმადლოდეს საზოგადოებას, ურომლისოდაც ის არარაა.

პ. პრუდონი

612

იმისათვის, თუ რაც ვართ, ჩვენ სხვებს უნდა ვუმადლოდეთ.

ვ. გოეთე

613

თუ ერთისათვის ასე ბევრს აკეთებენ სხვები, მაშინ ეს ერთიც ანგარიშს უნდა უწევდეს მას, რაც სარგებლობას ანიჭებს სხვებს.

ვ. გოეთე

614

ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ ვაფასებდეთ ერთიმეორის ურთიერთ სამსახურს, ეს საჭიროა თანაცხოვრებისათვის.

მ. გორკი

615

ჩვენ შექმნილნი ვართ ერთობლივი მოღვაწეობისათვის, როგორც ფეხები, ხელები, წამწამები, ზედა და ქვედა ყბები.

მარკუს ავრელიუსი

616

ჩვენ დაბადებულნი ვართ ერთად ცხოვრებისათვის; ჩვენი საზოგადოება ქვის თაღია, რომელიც ჩამოინგრეოდა, რომ ერთი ქვა არ ამაგრებდეს მეორეს.

სენეკა

617

„ერთი ყველასა და ყველა ერთისათვის!“ ეს არის განათლების უკანასკნელი და დიდ-მოძღვრის სიტყვა.

ა. წერეთელი

618

მხოლოდ ერთ მთლიანში ადამიანთა შეერთებას შეუძლია ბიანიჭოს თითოეულის ძალვას ღონე და ქმედება.

ნ. ტურგენევი

619

სადაც ერთი პიროვნება მთელ წელს დადის და ადგილზე ტოკავს, იქ საქმეს საზოგადოება უცებ აგვარებს.

ვ. მაიაკოვსკი

620

რაც განცალკევებულს ღონეს არ შეუძლია, მას ადვილად განახორციელებს შეერთებული ძალა.

ი. გოგებაშვილი

621

სად აგვარებენ საქმიან საქმეს,
იქ სამუშაო დუღს საარტელო.

ვ. მაიაკოვსკი

622

ხალხის შეერთებული ძალა სტიქიონია და ასტიქიონება — გამარჯვებაა!.. წინ ვერა დაუდგება-რა!..

ა. წერეთელი

623

... ერთიანი თუ არის დასი,
მთას რომ შეებას — მთაც აფრინდება!

კ. ხეთაგათი

624

ძალა ერთობაშია.

ქართული ანდაზა

625

ადამიანისათვის ადამიანებთან დაახლოება წარმოადგენს გონებრივი განვითარების უმძლავრეს საშუალებას: ადამიანი საზოგადოებაში უფრო სწრაფად გაიგებს და თავის სასარგებ-ლოდ გამოიყენებს გამოცდილებას და დაკვირვებას; საზოგა-დოებაში ის სწორადაც აზროვნებს.

დ. პისარევი

626

საზოგადოებაში ტრიალი გვასწავლის მრავალ პრაქტიკულ მხარეს და გვმატებს ჩვენი გონებისა და ენერგიის მიერ დასახულ მიზნების მისაღწევ საშუალებებს. საზოგადოება ხელს გვიწყობს ჩვენი მტრებისა და მეგობრების გამოცნობაში, ხელს უწყობს ჩვენს თვითკონტროლს.

ქრ. ბოსტრემი

627

დიად ამოცანებს ერთეულები არ სწყვეტენ.

ვ. ობრუჩევი

628

მარტოობაში ადამიანი სუსტი არსებაა. სხვებთან ერთობაშია ის უფრო ძლიერი.

ი. ჰერდერი

629

ცალკეული ადამიანი ისევე უძლურია, როგორც ბედის ანაბარა მიტოვებული რობინზონი *; მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაში შეუძლია მას ბევრის გაკეთება.

ა. შოპენჰაუერი

630

იზოლირებული ადამიანი ვერასოდეს ვერ მიაღწევს მიზანს.

ვ. გოეთე

631

ბევრ რამეში იოლად წავა ადამიანი, მაგრამ უადამიანოდ კი, — ვერასოდეს.

ლ. ბერნე

632

არასოდეს ბედნიერებას არ აუყვანია კაცი ისეთ სიმაღლეზე, რომ მას სხვები აღარ დასჭირვებოდეს.

სენეკა

633

წაართვით ადამიანს საზოგადოება და ის მარტოობაში დარჩება.

ა. მონიე

---

* რობინზონი — დ. დეფოს ავანტიურულ-სათავგადასავლო რომანის „რობინზონ კრუზო“-ს მთავარი გმირი.

634

მარტოობა უდაოდ სახიფათოა გამრჯელი გონების მქონეთათვის. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ადამიანთა შორის, რომლებიც აზროვნებენ და ლაპარაკობენ.

მოპასანი

635

ყველაზე უსასტიკესი მარტოობა, — ეს სულის მარტოობაა.

პ. ბუასტი

636

ძნელი არის მარტოობა სულისა,
მას ელტვიან * სიამენი სოფლისა...

ნ. ბარათაშვილი

637

ეული სული ღვთის სამეფოშიაც კი სრულიად უბედური იქნებოდა.

ჟ. ბერნარდენ დე სენ პიერი

638

განმარტოებული კაცი — მეტი არაფერია, თუ არა მოკვდავის ლანდი.

ჟორჟ სანდი

639

მარტოობა შენი მოტეხილობაა მშობლიური მთელიდან, სულის უძლურებისა და მისი სიბრმავის ნიშანია; მთელში შენ უკვდავებას ნახავ. მარტოობაში კი გარდაუვალ მონობასა და წყვდიადს, უნუგეშო კაეშანსა და სიკვდილს იპოვი.

მ. გორკი

640

სევდა — მარტოობის მეგობარია.

ფ. როხასი

641

გული საჭიროებს გულს, გაზიარებული სიხარული—ორმაგი სიხარულია, გაზიარებული მწუხარება — ნახევარი მწუხარება.

კრ. ა. ტიდგე

---

* ელტვიან — ძვ. გაურბიან.

642

მწუხარება ამხანაგთან ყოველთვის სიმსუბუქით აიტანება.

ა. ყაზბეგი

643

ერთი კაცი — მიქარვაა, ერთი კაცი ნულია,
ერთი კაცი მაშინაც კი, როცა ის ფრიად წარჩინებულია —
ვერ ასწევს უბრალო ხუთგოჯიან დირეს,
და, მით უფრო, სახლს, ხუთსართულიანს.

ვ. მაიაკოვსკი

644

მარტოხელა კაცი პურის ჭამაშიაც ბრალიაო.

ქართული ანდაზა

645

ვინც სულ მარტოობაში ცხოვრობს, ის აუცილებლად ხდება ღვარძლიანი და ავი, და ის აღარ არის განწყობილი სიკეთე მიანიჭოს თავისივე მსგავსთ.

ბ. ჰოლბახი

646

ვინც მარტოა, ის თითქოს არც არის ამ ქვეყნად.

უ. შექსპირი

647

ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა. წუთისოფელი ვის აცლის მარტოობისათვის?

ი. ჭავჭავაძე

648

როგორიც არ უნდა იყოს სახელმწიფოში მართვა-გამგეობის ფორმა. ის [სახელმწიფო] ემყარება არა მარტო ხალხის მასის ერთსულოვნობას და პატრიოტიზმს, როგორც ამას ჩვეულებ-

რივად ფიქრობენ, არამედ იმ დიდ პიროვნებათა სულიერ ძალასაც, რომლებიც ამ მასას ხელმძღვანელობენ.

ჰ. ჰაინე

649

ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორსმხედველობა, დროებაზე უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამ სვლაში შემოიბერტყავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულუშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამითი ვამბობდეთ ვითომც გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავისი დროებისა, როგორც სხვანი. მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავისი ძლიერი მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თვითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგ-მდებარესა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავლისა.

ი. ჭავჭავაძე

650

გენიოსს წინასწარგანჭვრეტის ნიჭი აქვს.

ა. ფრანსი

651

გენიოსთა სიზმრები ჭეშმარიტებაა. დიად ადამიანთა წინასწარმეტყველებანი გასაოცარი და ზედმიწევნითი სიზუსტით ჩართლდება. უფრო ხშირად ისინი მოულოდნელად და უჩვეულოდ სრულდება ხოლმე, მაგრამ მათ ყოველთვის აზრი წარმოშობს *.

ა. ფრანსი

* გავიხსენოთ კ. ციოლკოვსკის წინასწარმეტყველება (იხ. გვ. 85, აზრი 497) კოსმოსში ადამიანის გაფრენის შესახებ, რომელიც მან გვამცნო 1935 წ. 1 მაისს და, რომელიც პირველად განხორციელდა სსრ კავშირში 1961 წ. 12 აპრილს.

652

ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულსა... თავის ხატსა და მაგალითს... [ისტორიული დიდი პიროვნებები] ერის გულის ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და განმახორციელებელნია, რომელნიც ამის გამო თითქოს შემოქმედობენ. თითქოს ჰქმნიან ისტორიასა.

ი. ჭავჭავაძე

653

მძლედ მობურთალნი ქვეყნიერების მოედანზედ მარტო დიდხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთასრულობა, დიდხასიათობა, იმისდა მიუხედავად, — ტრიალი ემარჯვება თუ ემარცხებათ" *.

ი. ჭავჭავაძე

653-ა

გენიოსები ნათლად და ზედმიწევნით გრძნობენ მას, რასაც სხვები ბუნდოვანად გრძნობენ.

ე. რენანი

653-ბ

დიადი ადამიანი არის სწორედ მოთავე, იმიტომ რომ ის ხედავს სხვებზე უფრო შორს და სურს სხვებზე უფრო მეტი.

გ. პლეხანოვი

654

ადამიანები თვით ჰქმნიან საკუთარ ისტორიას, მაგრამ ჰქმნიან არა თვითნებურად, არა ნებაყოფლობით არჩეულ პირობებში, არამედ უშუალოდ არსებულს, მოცემულს და გადმოცემულს პირობებში.

ფრ. ენგელსი
„თვრამეტი ბრიუმერი ლუი
ბონაპარტისა". გვ. 9, 1932.

---

* პიროვნებას შეუძლია... შეასრულოს როგორც პროგრესული, დადებითი, ისე რეაქციონული, უარყოფითი როლიც.

«Основы марксистской философии» ст. 608. М., 1959.

655

თუ ჩემს ცხოვრებას... რაიმე აზრი ჰქონდა, ეს იმისაგან წარმოსდგება, რომ ჩემსა და ეპოქას შორის გარკვეული ნათესაობა არსებობს.

ჰ. იბსენი

656

თითოეული დიდი ხელოვანი ვალდებულია იქნეს თავისი ეპოქის წარმომადგენელი.

რ. როლანი

657

მხოლოდ მაშინ შეუძლია კაცს რაიმე გააკეთებინოს ადამიანებს, როდესაც ის თვით არის თითქოს განხორციელება საერთო აზრისა, განსახიერება იმ მოთხოვნილებათა, რომელნიც ადრინდელ მოვლენათა მიერ გამომუშავდა.

ნ. დობროლიუბოვი

658

ცხადდება გენიოსი — და აუწყებს ადამიანთ ახალ ცხოვრებას, რომლის საწყისებს ისინი უკვე ატარებდნენ თავის თავში და რომლის ფესვები უკვე იფატრებოდა თვით წარსულში. მაგრამ ბრბო არ სცნობს თავის მონაწილეობას გენიოსის საქმეში, ველურად და მტრულად უცქერის ის აზრისა და ფორმის ახალ სამყაროს, რომელიც იშლება მის შემოქმედებაში, და მხოლოდ ცოტანი ემხრობიან მას, და მხოლოდ ახალი თაობანი განამტკიცებენ გამარჯვებას.

ბ. ბელინსკი

659

...ხალხს... ბიწიერება, სიგიჟე და ახირებულობა ჰგონია ნამდვილი ჭკვიანების მოქმედება და სდევნის დაუზოგავად, სადამდისაც კი ძალა და ღონე მიუწვდება!.. რომ გადავათვალიეროთ წარსული საუკუნეები, რამდენს მაგალითს დავინახავთ: ზოგი ჯვარზედ უცვამთ, ზოგი დაუწვავთ, ზოგი საპყრობილეში ჩაულპიათ და ზოგიც სამშობლოდან გაუძევებიათ! და მხოლოდ შემდეგ დგმას აუხელია თვალი და დაუნახავს მათი სიმართლე, მაგრამ რაღა დროს?! შეუნანებიათ წინაპრების

წარსული შეცდომა, მაგრამ იმგვარსავე შეცდომაში კი ხელ-ახლად ჩავარდნილან და ჭკუა მაინც ვერ უსწავლიათ. ხშირად რაც ჩვენზე უფრო ახლოა, იმას ვერ ვხედავთ და შორეულს კი ნათლად შევყურებთ.

ა. წ ე რ ე თ ე ლ ი

660

ცრურწმენებმა და წინასწარშთაგონებამ, შეუწყნარებლობამ და განსაზღვრულობამ, შურმა და სიძულვილმა მიიყვანა ადამიანები ფანატიკოსობამდე დიად პიროვნებათა წინააღმდეგ. შთანომავლობა ცდილობს გამოასწოროს წინაპართა მიერ მათ წინაშე ჩადენილი დანაშაული, ადიდებს აზრის ამ მნათობთა ხსოვნასა და სახელს, უდგამს მათ ძეგლებს, მაგრამ ყველაფერი ეს, სამწუხაროდ, დაგვიანებულია.

ფრ. კ ი რ ხ ნ ე რ ი

661

მეცნიერებას, ისევე როგორც სარწმუნოებას, ჰყავს თავისი წამებულნი, იმიტომ რომ ახლადაღმოჩენილი ჭეშმარიტებანი მხოლოდ დიდი გაჭირვებით იკაფავენ გზას თანამედროვეთა წინასწარშთაგონებისა და განსაზღვრულობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველა გამომგონებლები და აღმომჩენლები თავდაპირველად სასაცილოდ იყვნენ აგდებულნი. მათ სთვლიდნენ ფანტაზიორებად და გიჟებადაც კი. განსაკუთრებით მძაფრი მოწინააღმდეგენი გენიოსის — ძველი დროის მომხრენი არიან. გ უ ტ ე ნ ბ ე რ გ ი ს მიერ წიგნის ბეჭდვას ისინი ეშმაკის „შავ ხელოვნებად" ნათლავდნენ; გ ა ლ ი ლ ე ი, რომელიც კ ო პ ე რ ნ ი კ ი თ ა ნ ერთად ამტკიცებდა, რომ დედამიწა მზის ირგვლივ ბრუნავს, აწამეს; ჯ. ბ რ უ ნ ო დასწვეს, კ ა მ პ ა ნ ე ლ ა მ, ტ ე ლ ე ზ ი უ ს მ ა და სხვა ბუნებისმეტყველებმა სასტიკი დევნა განიცადეს; ორთქმავლის გამომგონებელს ს ტ ე ფ ე ნ ს ო ნ ს და ორთქლის ძალის აღმომჩენს უ ა ტ ს თანამედროვენი საგიჟეთში გაგზავნასაც კი უპირებდნენ.

არა ნაკლებ მძიმე და მწვავე იყო ის სულიერი ტანჯვა, რომელსაც მეცნიერების მნათობნი ხშირად განიცდიდნენ. თ ო მ ა ზ ი უ ს ი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა „ჯადოქართა" და

„კუდიან ქალთა“ გასამართლებას, განდევნილ იქნა ლაიპციგიდან, კ უ ნ ო ფ ი შ ე რ ი ჰაიდელბერგიდან...

ფრ. კ ი რ ხ ნ ე რ ი

662

მიუხედავად ყოველგვარი უხეში დევნისა მეცნიერი, მკვლევარი ვალდებულია და მხოლოდ იმით იჩენს გმირობას, რომ ის მაინც მყუდროობაში თავდადებულად განაგრძობს მუშაობას. სწირავს მას თავის ძალ-ღონეს, ჯანმრთელობას, სიამოვნებას და კეთილდღეობას და არ უშინდება არავითარ გაჭირვებასა და დაბრკოლებას.

ფრ. კ ი რ ხ ნ ე რ ი

663

გენიას შეუძლია გაიმარჯვოს ყოველგვარ დაბრკოლებაზე, რასაც კი მას მტრული ბედი შეახვედრებს.

ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი

664

მეცნიერისათვის ვენიოსი იგივეა. რაც სარდალი ჯარისათვის; მას მხოლოდ სათანადო სიმწყობრე შეაქვს მის რიგებში და ჯარიც იმარჯვებს.

მ. ს ა ფ ი რ ი

665

გენიოსი გზას ხსნის, ნიჭიერი კი. — ამ გზაზე დადის.

მ. ე ბ ნ ე რ-ე შ ე ნ ბ ა ხ ი

666

ნიჭიერს მხოლოდ ბედნიერ წუთებში უხერხდება წერტილებისაგან ხაზის შედგენა. რომელსაც გენიოსი კალმის ერთი გასმით ავლებს ხოლმე.

მ. ე ბ ნ ე რ-ე შ ე ნ ბ ა ხ ი

667

ნიჭი — მთვარეა, გენია — მზე.

შ. პ ი ე რ მ ო ნ ი

668

თქვენ არ უნდა გეშინოდეთ სულის მუშაობის, ვინაიდან ნამდვილია მხოლოდ ის ენთუზიაზმი. რომელიც არწივის მსგავსად არ უშინდება სპეკულაციის მოღუშული ღრუბლებისა და

აბსტრაქციის მაღალი ფენების გაუხშოებულ ჰაერს, მაშინ როდესაც საქმე ეხება ჭეშმარიტების გზისაკენ სრბოლას.

ფრ. ენგელსი
М. Э. Соч., II, 88.

669

ცილისწამება და სიცრუე — მეშჩანთა პოლიტიკის დაკანონებული მეთოდია, მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ჩვეულებრივი ხერხია. ამ ქვეყნის დიდ ადამიანთა შორის ძნელად თუ მოიპოვება თუნდ ერთიც, რომლის ტალახში ამოსვრა არ ეცადათ. ეს — ყველასათვის ცნობილია.

გარდა ამისა, ყველა ადამიანს მისწრაფება აქვს არა მარტო დაამდაბლოს გამოჩენილი ადამიანი თავის გაგების დონემდე, არამედ შეეცადოს ჩაიგდოს ის ფეხქვეშ, იმ რბილ შხამიან ტალახში, რომელიც მათ შეჰქმნეს და „ყოველდღიური ცხოვრება“ უწოდეს.

მ. გორკი

670

მას, ვინც დიადისაკენ მიისწრაფვის, არაფერი არა აქვს საშიშარი, თუ მას მეოცნების, ენთუზიასტის და ფანტაზიორის მეტსახელს შეარქმევენ, რადგან მეტსახელები უფრო მათ შემრქმევთ უტეხს სახელს, ვიდრე შერქმეულთ.

ფრ. იაკობსი

671

ფანტაზიორობა ყოველთვის როდია საზარალო: ჩემი მეგობარი, პროლეტარიატის დიდი მასწავლებელი ვლადიმერ ლენინი იცავდა ცხოვრებასა და მუშაობაზე ოცნების უფლებას.

მ. გორკი

672

ცუდია ის კომუნისტი, რომელმაც ოცნება არ იცისო — ამბობდა ლენინი.

ა. ლუნაჩარსკი

673

ტყუილა ფიქრობენ, რომ ფანტაზია მხოლოდ პოეტისთვისაა საჭირო. ეს სულელური ცრურწმენაა! მათემატიკაშიც კი

საჭიროა იგი, დიფერენციალურ და ინტეგრალურ გამოთვლათა აღმოჩენაც კი უფანტაზიოდ შეუძლებელი იქნებოდა. ფანტაზია უდიდესი ღირებულების თვისებაა.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 33, გვ. 373

674

ადამიანი რომ სავსებით მოკლებული იყოს... ოცნების უნარს, მას რომ არ შეეძლოს ხანდახან წინ გაუსწროს და გონებით წარმოიდგინოს მთლიან და დასრულებულ სურათში სწორედ ის ქმნილება, რომელიც ეს-ეს არის ისახება მის ხელში, — მაშინ მე სრულებით არ ძალმიძს წარმოვიდგინო, რა აღმძვრელი მიზეზი აიძულებდა ადამიანს დაეწყო და დაესრულებინა უდიდესი და დამქანცველი სამუშაოები ხელოვნების, ნეცნიერებისა და პრაქტიკული ცხოვრების სფეროში...

დ. პისარევი

675

ოცნებასა და სინამდვილეს შორის უთანხმოებას არავითარი ზიანი არ მოაქვს, თუკი მეოცნებე პიროვნებას სერიოზულად სწამს თავისი ოცნება, თუ ის ყურადღებით უკვირდება ცხოვრებას, თავის დაკვირვებას ადარებს თავის საოცნებო კოშკებს და საზოგადოდ კეთილსინდისიერად მუშაობს თავისი ფანტაზიის განსახორციელებლად. როდესაც რაიმე კავშირი არსებობს ოცნებასა და ცხოვრებას შორის, მაშინ ყველაფერი თავის რიგზეა.

დ. პისარევი

676

უვიცობა ჩვენ გვაქეზებს ცოდნისაკენ. უვიცობა გახსნილია ოცნებისათვის, ცნობისმოყვარე ოცნება კი—ძალაა... კოლუმბს რომ კოსმოგრაფია უფრო კარგად სცოდნოდა, ის ვერ აღმოაჩენდა ამერიკას.

ვ. ჰიუგო

677

შესაძლებლისა და შეუძლებლის გარჩევის ცოდნა — აი რა ასხვავებს გმირს თავგადასავალთა უბრალო მაძიებლისაგან.

თ. მომზენი

678

მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვის გათვალისწინება იმისა, თუ სად რაა შესაძლებელი.

ლუკრეციუსი

679

... უზუსტეს მეცნიერებაშიაც კი უაზრობაა ფანტაზიის უარყოფა.

ვ. ლენინი

«Заметки о метафизике Аристотеля». «Ленинский сборник», XII.

680

ფანტასტიკური წარმოადგენს სინამდვილეს არსს.

ფ. დოსტოევსკი

681

— კომუნიზმი არამცთუ არ ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას, გონებას და გულის ნადებს, არამედ იგი არ წარმოადგენს აგრეთვე არც ისეთ თეორიას, რომელიც ანგარიშს არ უწევდეს სინამდვილეს და მხოლოდ ოცნებით ცხოვრობდეს.

ფრ. ენგელსი

„ელბერფელდის სიტყვიდან".

М. Э. Соч. III, 282.

682

დიდად ნიჭიერნი იწვევენ ხოლმე სიძულვილს—ასევე რკინაიფარება ჟანგით; მხოლოდ უფერულ ადამიანთ არა ჰყავთ მტრები.

ჟ. დალამბერი

683

უნაყოფო ხის ტოტებს ქვას როდი ესვრიან.

საადი

684

კრიტიკა გადასახადია, რომელსაც დიადი ადამიანი საზოგადოებას უხდის.

ჯ. სვიფტი

685

ყველა გონებაშეზღუდული ადამიანი მუდამ ცდილობს სახელი გაუტეხოს საფუძვლიანი და ფართო გონების ადამიანებს.

კლ. ჰელვეციუსი

686

უგუნურებს [ისევე] არ შეუძლიათ გონიერთა [გულგრილად] დანახვა, როგორც ბაზრის ძაღლებს მონადირე ძაღლისა. ისინი ყეფას ასტეხენ, ახლოს [კი] ვერ მიბედავენ. სულმდაბალი კაცი, როცა ხედავს რომ ღირსეულის ოდენობას ვერ შეიძლებს, ღირსეულის ნაკლზე დაიწყებს ლაპარაკს.

ს ა ა დ ი

687

სულმდაბალ ადამიანისათვის არაფერი არაა იმაზედ უფრო მეტად სასიამოვნო, როგორც თავისი არარაობისათვის შურისძიება, როდესაც ის ყოველივე წმინდასა და დიადს თავისი შეხედულებათა ტალახს ესვრის.

ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი

688

დაცინვა ხშირად გონების შეზღუდულობის მაჩვენებელია: იმას იშველიებენ მაშინ, როდესაც დამაჯერებელი საბუთები აღარ ყოფნით.

ფრ. ლ ა რ ო შ ფ უ კ ო

689

ჭკვიანი ადამიანის დაცინვა, — ეს სულელთა პრივილეგიაა; ისინი ქვეყნად ისევე არიან, როგორც კარის მასხარები: მათგან მაგალითს არავინ არ იღებს.

ჟ. ლ ა ბ რ უ ი ე რ ი

690

ყველგან, ყველაფერში სასაცილო მხარის დანახვის ჩვეულება წვრილმანი ადამიანის ნიშანთვისებაა, იმიტომ რომ სასაცილო მუდამ ზედაპირზეა.

ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე

691

უბადრუკი ადამიანი ლანძღავს ყველაფერს, რაც კი მის გაგებას აღემატება.

ფრ. ლ ა რ ო შ ფ უ კ ო

692

ლანძღვა-გინება მტყუანთა საბუთია.

ჟ.-ჟ. რ უ ს ო

693

დიდ ნიჭს უდიდეს ცოდვად ხედავს ბოროტის თვალი.
საადი — ვარდი — მტრების თვალში არის ეკალი.

საადი

694

ვინც თავის გულისთქმას და არა ბაზრულ ყაყანს უგდებს ყურს და ვისაც გამბედაობა აქვს სწავლებით ავრცელოს ის, რაც მას მისმა გულმა უკარნახა, ის მუდამ ორიგინალური დარჩება.

ლ. ბერნე

695

ქებამ არ შეაცდინოს, გაკიცხვამ არ ააღელვოს... მედგრად უნდა მიდიოდეს რეფორმატორი თავისი გზით. ის არ საჭიროებს ქებას; ვიტყოდი მეტსაც: „ვაი მას, თუ ყველა კარგს ლაპარაკობს მის შესახებ".

ჰ. ბრუგჰამი

696

უტოპია — ასეთია სახელი, რომლითაც უვიცობა, სისულელე და უნდობლობა ნათლავდნენ დიად ჩანაფიქრებს, აღმოჩენებს, წამოწყებებს და იდეებს, რომლებმაც დიდებით შემოსეს თავიანთი საუკუნე და, რომლებიც ადამიანის პროგრესში ეპოქად იქცა.

ე. ქირარდენი

697

ის რაც ერთ ქვეყანაში უტოპიად წარმოუდგენიათ, მეორეში არსებობს, როგორც ფაქტი.

ნ. ჩერნიშევსკი

698

უტოპიური ოცნებები ხშირად ნაადრევი, ჯერ მოუმწიფებელი ოცნებებია.

ა. ლამარტინი

699

დიდი საქმეა სურვილი!.. უზომოც რომ იყოს ის, მაინც არ დაეშლება კაცს, თუ საკეთილო საქმეა!

ა. წერეთელი

700

პატიოსანია თუ არა ადამიანი — გამოიცნობა არა მხოლოდ საქმით, არამედ სურვილითაც.

დემოკრიტე

701

... მთავარი ადამიანში კეთილი განზრახვებია.

ფ. როხასი

702

როდესაც ქვეყნად ჭეშმარიტი გენიოსი ჩნდება, მისი გამოცნობა თუნდაც იმის მიხედვით შეიძლება, რომ ყველა გონებაჩლუნგნი მის წინააღმდეგ ბრძოლაში შეერთდებიან ხოლმე.

ჯ. სვიფტი

703

როდესაც პითაგორამ თავისი ცნობილი თეორემა აღმოაჩინა, მან ღმერთებს მსხვერპლად ჰეკატომბე * შესწირა. მას შემდეგ ყოველთვის, როდესაც ქვეყნად ახალი ჭეშმარიტება გამოჩნდება, ხარები შიშისაგან ცახცახებენ.

ლ. ბერნე

704

რაც უფრო დიდია ადამიანი, მით უფრო მეტია მის ახლოს უხამსობა... აი ასევე ქარი მიაყრის ხოლმე ყოველგვარ ხარახურას მაღალი შენობის კედელს.

მ. გორკი

705

დიადი ღირსების ადამიანებს ადვილად არ აპატიებენ ხოლმე მცირე შეცდომებსაც კი.

მ. ებნერ-ეშენბახი

706

როდესაც ღრმა უფსკრულზე გადაბრილ კოლუმბს სურდა ოკეანის გადაღმა ეხილა შორეული ქვეყანა, მისი არ სჯეროდათ და სიცილს აყრიდნენ მას კვალდაკვალ და მაინც გაემგზავრა ის ახალი ქვეყნის საძებრად.

მოპასანი

---

* ჰეკატომბე — ძველ საბერძნეთში საზეიმოდ და საჯაროდ ღმერთებისათვის ასი ხარის მსხვერპლად შეწირვა.

707

თავ-სიცილს კაცი არ მოუკლავს. კაცი რომ სულელების კბილთა ღრეჭას აჰყვეს, სად წავა?

ი. ჭავჭავაძე

708

ვისაც დაცინვის ეშინია, ის უფრო მეტად მხდალია, ვიდრე ის, ვისაც მტრის ეშინია.

პლუტარქე

709

თუ ადამიანი ძლიერია, იმას, — გულითაც რომ გინდოდეს, ვერ დასცინებ, რადგან ძლიერს უნდა ებრძოლო, თუ ამხანაგად ვერ გაიხდი; თუ უჭკუოა, იმას უნდა ასწავლო რამე და ხომ იცი, რომ დაცინვით ვერ გაწვრთნი, მეტადრე იმას, ვისაც დასცინი. თუ სუსტია ადამიანი, — იმის დაცინვა დამცინავს უფრო ამცირებს.

ჭ. ლომთათიძე

710

თუ ქვეყნის თვალში შესაძლებელი ყოფილიყო ვისიმე, ან რისიმე დამცირება სიცრუით ან ცილისწამებით, ქვეყანაზე დაუმცირებელი მოღვაწე გაწყდებოდა. ბედად ხდება სრულიად წინააღმდეგი: ცრუპენტელა და ცილისმწამებელი... თავის თავს ამცირებს ფართო საზოგადოების თვალში.

ი. გოგებაშვილი

711

ბევრი მტრები ჰყავს მხოლოდ კარგსა და პატიოსან მებრძოლს.

მ. გორკი

712

მხოლოდ მდარე ადამიანს არა ჰყავს მტრები.

ჟ. დალამბერი

713

სად, როდის, რომელი დიადი ადამიანი იყო, რომ ირჩევდა უფრო გატკეპნილსა და იოლ გზას?

ვ. მაიაკოვსკი

714

არ შეიძლება იგრძნო ძალა, თუ არ არის წინააღმდეგობა, სიძნელის კვალობაზეა — ჯილდოც.

მ. ნალბანდიანი

715

ბრბოს მოწონება, პოპულარობა მარქსისათვის დამამტკიცებელი იყო იმისა, რომ ადამიანი შემცდარ გზას დასდგომია, და მისი საყვარელი გამოთქმა იყო დანტეს ამაყი სიტყვები:

„Segui il tuo corso e lascia dir le genti!"*

„იარე საკუთარი გზით. და დაე ხალხმა ილაპარაკოს რაც უნდა".

ვ. ლიბკნეხტი

717

მე არასოდეს არ მივისწრაფვოდი თავი მომეწონებია ბრბოსათვის. რაც მას მოსწონდა, ის მე არ მისწავლია: რაც კი მე ვიცოდი, ის შორს იყო მისი გრძნობებიდან.

ეპიკურე

718

ბრბოს შეხედულებებზე უსაზიზღრესი არაფერი არ არის.

ტიტუს ლივიუსი

719

ამბობ: „კაცი ისეთი უნდა იყოს, რომ ქვეყანა ერთ პირად შენატროდესო". რა ვქნა? ვერ გეთანხმები: კაცი იმისთანა უნდა იყოს, რომ ქვეყნის აზრი იმაზედ ორად იყოფოდეს: ერთი კარგი

* ციტირებულია მარქსის მიერ „კაპიტალის" გერმანული გამოცემის წინასიტყვაობაში დეკეზად მოყვანილი სიტყვები დანტეს „ღვთაებრივი კომედიიდან" (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად, ტ. I, 1948, გვ. 412. რუს. გამოც.).

რომ აქებდეს — ათასი ცუდი აძაგებდეს და ათას ბოროტს რომ სძულდეს — ერთს კეთილს უყვარდეს... ყველასათვის თვალის ჩხირი უნდა იყოს... ზოგისთვის ისარ-ეკალი, ზოგისათვის ვარდ-მალამო... ზოგისათვის ნაღველი და ზოგისათვისაც თაფლი. დიაღ, ეს არის ადამიანის ნიშანი.

ა. წ ე რ ე თ ე ლ ი

720

[რჩეულ-ჭკვიანები] ...იმას კი არა ჰფიქრობენ, რომ ხალხს თავი შევაყვაროთ, პატივი ვაცემინოთ, და დიდ რამედ მივაჩნევიოთ ჩვენი თავიო. მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ შეაყვარონ სხვებსაც ის კეთილი საქმე, რომლისთვისაც იმათ თავი გაუწირავთ და გაიყვანონ სხვებიც სამუშაოდ იმ გზაზე, რომელზედაც თვითონ დგანან! — მათთვის არ არსებობს წამიერი აწმყო!.. იმათა სწამთ მხოლოდ ხანგრძლივი მომავალი!!

ა. წ ე რ ე თ ე ლ ი

721

ძლიერი ისაა, ვინც თვითონ შეიცნო კაცობრიობის ძალა. პატიოსანი ადამიანისათვის საკუთარი რწმენა უფრო ძლიერია, ვიდრე ხალხის მითქმა-მოთქმა.

ა. კ ა ხ ო ვ ს კ ი

722

რა ფასი აქვს უგნურების
ან გინებას და ან ქებას.

ი. კ რ ი ლ ო ვ ი

723

უაღრესად მნიშვნელოვანია პატივისცემა კეთილგონიერი ადამიანებისა, რომლებსაც ამ პატივისცემის [აზრი] ესმით.

დ ე მ ო კ რ ი ტ ე

724

... ჰეშმარიტად და ყურადღების ღირსად ითვლება ის სიტყვები და პატივი, ან ის შეძაგება და სახელის გატეხა, რომლებიც გამომდინარეობენ შეგნებულ აზროვნებიდან. სულელი კაცის პატივისცემა თუ უპატივცემლობა უმნიშვნელოა ჩემთვის, რადგან ის სულელია და ჩემთვის სამარცხვინოა მისგან მსჯავრს ველოდე.

მ. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი

725

კარგი ადამიანი არაფრად აგდებს ცუდი ადამიანების კიცხვას.

დემოკრიტე

726

ქებათა სიყვარული მეტ-ნაკლებად ყოველ ადამიანის გულშია დაფარული. მედიდური ადამიანი, რომ მან ქება დაიმსახუროს, მზადაა აიტანოს ათასი უსიამოვნება; მოკრძალებული კი ქებას გაურბის მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო მეტი დარწმუნებით დაიმსახუროს იგი.

რ. შუმანი

727

თუ ქება დამსახურებულად არ მიგაჩნია, პირმოთნეობად ჩათვალე.

დემოკრიტე

728

გონიერთაგან პირს ქება გინებად შეირაცხება.

არჩილი

729

რისხვა ბრძნისა სჯობს ცრუთასა ალერსსა სიტკბოებასა.

არჩილი

730

ჭკვიანისაგან ძაგება გიჯობს სულელის ქებასა.

ქართული ანდაზა

731

უფრო სასიამოვნოა ბრძენისაგან მხილების მოსმენა, ვიდრე სულელისაგან ხოტბა.

სოლომონ ბრძენი

732

ყველაზედ უცუდესი რამ, რაც კი ადამიანს შეიძლება შეემთხვეს — ეს არის გაიძვერისაგან ქების დამსახურება.

(—)

733

დაინტერესებული იყავ შენი პატივისმცემლების არა რაოდენობით, არამედ ღირსებით: ცუდებისაგან დაწუნება ადამიანისათვის საქებარია.

სენეკა

734

როდესაც მე მაქებს ბურჟუაზია, მე ვეკითხები ჩემს თავს: ბებერო ბებელ, რა სისულელე ჩაიდინე შენ ისეთი, რომ ამ კაციჭამიების მხრივ ქების ღირსი გახდი?

ა. ბებელი

735

მოშურნენი, რასაც კი შეხედავენ, მუდამ ყეფას ასტეხენ; შენ კი წადი შენი გზით: იყეფენ და ჩამოგცილდებიან.

ი. კრილოვი

736

ვინც რა უნდა სთქვას, ნუ დასდევ,
შენვე ხარ შენი მსაჯული!

ა. წერეთელი

737

სხვების აზრისათვის მეტისმეტად ანგარიშის გაწევა — საყოველთაო ცრურწმენაა.

(—)

738

მძიმე და ეკლიანი იქნება გზა მისი, ვინც ხალხის სამსახურს შეესწირა თავი.

მ. ნალბანდიანი

740

მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო.

ქართული ანდაზა

741

დიდების ყოველი გვირგვინი მასთანვე ერთად ეკლის გვირგვინიცაა.

თ. კარლაილი

742

წარმოიდგინეთ სოკრატე, — არა იმ წუთში, როდესაც კი სცლის საწამლავით სავსე თასს. არამედ მაშინ, როდესაც ისმენს ლაპარაკს, რომ ის, კეთილისა და ჭეშმარიტების მაძიებელი, — „ახალგაზრდების გამრყვნელი და ღმერთების მაძაგებელია", — განა სიმწარე და წამება არ იყო მაშინ მის სულში?

მულტატული

743

ბევრ ტანჯვას და ვაი-ვაგლახს გამოივლის ახალი აზრის მქადაგებელი, ვიდრე დაიყოლიებს საზოგადოებას და ჩააგონებს თავის საკუთარ რწმენას.

ი. პავპავაძე

744

ახალი იდეა, — ეს სოლია, რომელიც მხოლოდ მსხვილი ბოლოთი შედის.

ბ. ფონტენელი

745

ყოველ ქვეყანაში და ყოველ დროში მოაზროვნე ადამიანთა რიცხვი მეტად განსაზღვრული იყო. იმათი კი, ვინც თავიანთი თამამი აზრების გამოთქმას ბედავდა, კიდევ უფრო ცოტა იყო. პირდაპირობას არსად არ აქეზებდნენ. ეს ყველაზედ ანტისოციალური სათნოებათაგანია.

ა. ფრანსი

746

ვინც ქვეყნის მუშად გამოდის, იმან წინდაწინვე უნდა იცოდეს, რაც მოელის და მზად უნდა იყოს, რომ ყოველგვარი უსამართლო დევნა, გულგრილად თუ არა, მოთმინებით მაინც აიტანოს.

ა. წერეთელი

747

დიდი მოთმინება დიდმა მცოდნემ იცისო.

ქართული ანდაზა

748

გონიერი მეტს მოითმენსო.

ქართული ანდაზა

749

გული მშვიდი და დაბალი ძრახვას არ გაიკვირვებსა.

ვახტანგ VI

750

როგორც შეუძლებელია სალი კლდის ადგილიდან დაძვრა, ისევე უდრეკია ბრძენი ქებათა და ლანძღვათა შორის.

პინდური თქმა

751

გაბედულად დაასვი ხოლმე გონების ბეჭედი თითოეულ შენს მოქმედებას, რათა შენი მახლობლები გიცნობდნენ; გაბედულად აუწყე მთელს ქვეყანას შენი იდუმალი აზრი, რათა შორეულებმაც გისმინონ.

ფრ. შლეიერმახერი

752

ვინც ჩასწვდა რაიმე ჭეშმარიტებას და ცხოვლად გრძნობს მას, მას არაფერი არა აქვს საშიშარი გამოთქვას ის, თუნდაც ის უკვე იყოს გამოთქმული სხვების მიერ. ყოველი ჭეშმარიტება ახალია, როდესაც ავტორი მას გამოთქვამს განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი იერით.

ლ. ვოვენარგი

753

მეცნიერების სუფრაზე ყოველთვის არის ადგილი და ყველას შეუძლია თავისი დაკვირვებები სხვების დაკვირვებებს შეუერთოს.

მ. ნორდაუ

754

ვით მაღლით ჩაგონებული,
საქმეს რომ მისდგე, აღეგზენ,
რომ ნაშრომს დასდო ბეჭედი.

ა. წერეთელი

755

დაე, იცვალოს გარემოება,
თუნდ ხალხის ხმამაც მოგცეს ზიანი,
თვით ნუ იცვლები! მოვა დროება,
გიცნობენ რომ ხარ ადამიანი.

მ ა მ ი ა გ უ რ ი ე ლ ი

756

თუ თანამედროვენი შურით გვაჩუმათებენ, მაინც მოვლენ სხვები, რომლებიც მიუდგომლად დაგვაფასებენ ჯეროვნად.

ს ე ნ ე კ ა

757

სენეკამ სამართლიანად თქვა, რომ დამსახურებას ისევე ნიადაგ თან ახლავს სახელი, როგორც ყოველივე სხეულს მისივე ჩრდილია, თუმცა ისევე, როგორც ჩრდილი, ის ხან წინ უძღვის და ხან უკან მისდევს მას.

(—)

758

ჩვეულებრივად, რაც უფრო გვიან მოდის სახელი, მით უფრო მტკიცეა ის: როგორც ყველაფერი მშვენიერი, ისიც ნელა მწიფდება.

(—)

759

წარსული და მომავალი ანათებს დიად ადამიანებს, სწორედ ისევე, როგორც მზის ამოსვლა და ჩასვლა აოქროებს მხოლოდ მთების მწვერვალებს.

ჟ. პ ე ტ ი-ს ე ნ ი

760

სოკრატეს სიკვდილი მიესაჯა, მაგრამ მისი ფილოსოფია ანაღლდა ვით მზე ზეცაზე და მთელი სულიერი სამყარო გააასხივოსნა.

ჯ. სტ. მ ი ლ ი

761

არისტოტელე ცნობილი შეიქმნა საშუალო საუკუნეებში მხოლოდ არაბულიდან მისი ნაწარმოებების თარგმნის წყა-

ლობით, და, პირველ ხანებში დევნილმა მისმა ფილოსოფიამ, ჩალე ყველა სკოლებში გაბატონებული ადგილი დაიკავა.

ტ. კონდორსე

762

მოესწრება თუ არა თვით ავტორი სახელს,—ეს გარეშე პირობებზე და შემთხვევაზეა დამოკიდებული და მით უფრო იშვიათად ხდება ეს, რაც უფრო მაღალი და მძიმეა * მისი ქმნილებანი.

(—)

763

თითქმის არასოდეს არაფერი დიადი არ გაკეთებულა ქვეყნად გენიოსის მონაწილეობის გარეშე, გარეშე ერთეული ადამიანის სიმტკიცისა, რომელიც ან ებმებოდა ბრბოს ცრურწმენათა წინააღმდეგ ბრძოლაში, ან თვით ნერგავდა ამ ცრურწმენათ.

ვოლტერი

764

მძლედ მობურთალნი ქვეყნიერების მოედანზედ მარტო დიდხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთასრულობა, დიდხასიათობა, იბისდა მიუხედავად, — ტრიალი ემარჯვებათ თუ ემარცხებათ.

ი. ჭავჭავაძე

765

ყოველივე დიდებული საქმე, რითაც კი კაცობრიობა ჰქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისიმე სხვისაგან, ამიტომაც ხასიათიან კაცის წინაშე ყველა უნებლიეთ თავს იხრის მოწიწებით და სასოებით.

ი. ჭავჭავაძე

766

.. ჩვენ ვალდებული ვართ პატივს ვსცემდეთ გენიასა და გონებას. — ამ ღვთაებრივ ბრძმედებს, საიდანაც პირველად გამოიკვესა თავისუფლების ნაპერწკლები.

მ. ნალბანდიანი

767

სინიდისიანი, ბეჯითი, გონიერი, ზნეობიანი ოსტატი ღირსია

* მძიმეა — ე. ი. ღრმაშინაარსიანია.

დიდის პატივისცემისა ყოვლის კაცისაგან, რომელიც გონებით გახსნილია და მიხვედრილია.

ი. გოგებაშვილი

768

ყველაზე მეტად სამართლიანობას და სიკეთეს ის უწყობს ხელს, ვინც ყველაზე დიდ პატივსა სცემს ყველაზე უფრო პაციენტსაცემ ადამიანს.

დემოკრიტე

769

ბრძენის პატივისცემა უდიდესი სიკეთეა პატივისმცემელთათვის.

დემოკრიტ

770

ყველასათვის სასარგებლო კაცი — პატივისცემის ღირსია.

მხითარ გოში

771

თითოეული ხალხი საიუბილეო დღესასწაულზე იუბილიარის სახით პატივს სცემს და ადიდებს თავის თავს, თავის ნიჭიერებას, თავის გონებრივ და სულიერ ძალ-ღონეს, რომელთაც შეუძლიათ პატივისცემა შთააგონონ არა მარტო თავის ხალხს, არამედ სხვა ხალხებსაც კი.

ო. თუმანიანი

772

სიყვარულსა და პატივისცემასაც თავისი კანონები და წესრიგი აქვს. სიყვარული რომელიმე მოღვაწე მუშის ის კი არ არის, რომ შორიდან ტაშის კვრით „ვაშა, ვაშა" უკიჟინოთ და სადღეგრძელოები სვათ!.. ეს რა სასურველია? სასურველი მისთვის ის არის, რომ იმ უღელს, რომელშიაც ის გაბმულია, თანაუგრძნოთ და მძიმე ტვირთი შეუმსუბუქოთ!.. პლატონიური სიყვარული არავისთვის სასარგებლო არ არის.

ა. წერეთელი

773

როგორც დიდ გულს მხოლოდ დიდივე გული იცნობს სავსებით და ყველაზედ მეტად თანაუგრძნობს და უყვარს. ისე დი-

დის ნიჭის ღირსება სრულად ესმის მარტო დიდ-ნიჭიერსა, ის გრძნობს განსაკუთრებულს ძალას თავის ტოლისას, მარტო ის აფასებს მას ღირსეულად.

ი. გოგებაშვილი

774

... მარტო ჭკუაგახსნილმა და გულგაწმენდილმა კაცმა იცის... ღირსეულად დაფასება და... პატივით ხსენება დიდბუნებოვან კაცისა.

ი. ჭავჭავაძე

775

ერთნაირი თვალსაზრისის მქონე ადამიანები მალე პოულობენ ერთი მეორეს, თითქოს ისინი რაღაც ძალის მიერ იზიდავდნენ ურთიერთს.

(—)

776

შექსპირი და სერვანტესი! ჰამლეტი და დონ-კიხოტი! ეს მათ გაათავისუფლეს ადამიანის აზრი საშუალო საუკუნეების მისტერიებისაგან... გამოიყვანეს ხელოვნება და ლიტერატურა სასახლეებისა და მონასტრების კედლების გარეთ გაშლილ და უსაზღვრო მზიურ სამყაროში... დიდების შარავანდედი მოაცილეს ხალხების წინაშე მათ მბრძანებლებს და გადაუშალეს მას ადამიანის გულისნადები.

ო. თუმანიანი

777

ადამიანის მოღვაწეობის რა დარგშიაც არ უნდა გამოვლინდეს გენიოსი, ის მუდამ არის სულის შემოქმედებითი ძალის განსახიერება, ცხოვრების განახლების მაუწყებელი. მისი დანიშნულებაა — შეიტანოს ცხოვრებაში ახალი ელემენტები და ამით წინ წასწიოს ის უფრო მაღალ საფეხურზე. გენიოსის მოვლენა — ეპოქაა ხალხის ცხოვრებაში. გენიოსი უკვე აღარ არის, ხალხი კი დიდხანს ცხოვრობს მის მიერ შექმნილ ცხოვრების ფორმებში, ცხოვრობს დიდხანს — ახალ გენიოსის მოსვლამდე... არაა გენიოსი ის, ვისი ქმნილებაც მასთან ერთად

ქვდება: გენიოსი თავის სიკვდილის შემდეგ დიდი ხნით სტოპებს ისტორიის გზაზე თავისი არსებობის ღრმა კვალს.

ბ. ბელინსკი

778

უდიდესი მოაზროვნენი და მწერალნი აქამდე იპყრობენ ჩვენს ყურადღებას და გავლენას ახდენენ ჩვენს განათლებაზე. ერთს, სოკრატეს მსგავსს ადამიანს, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის, ვიდრე რამდენიმე შტატს, როგორიც არის, მაგალითად, სამხრეთ კაროლინას შტატი;* ამ შტატმა კიდეც რომ ახლავე შესწყვიტოს თავისი არსებობა, ეს უფრო ნაკლებ კვალს დატოვებდა მსოფლიოს ისტორიაში, ვიდრე დატოვა სოკრატემ.

ს. სმაილსი

779

...საზოგადოებრივი წყობილების საფუძველს წარმოადგენს უბრალო ხალხი. კერძო პირებს **, რომლებიც მისი წრიდან მაღლდებიან თავიანთი კერძო მოღვაწეობით, კერძო შეგნებით შეუძლიათ მრავალი მხრივ ემსახურონ კაცობრიობის განათლებისა და პროგრესის დიად საქმეს. მაგრამ მათ რისამე კეთება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ღრმა ფესვები ექნებათ უბრალო ხალხში, თუ უბრალო ხალხსა და მათ შორის იქნება უწყვეტი და ცხოველი კავშირი და აგრეთვე ურთიერთგაგება.

მ. ნალბანდიანი

780

ეროვნულობის საყრდენი და ბერკეტი უბრალო ხალხია. დაე, ესა თუ ის ერი დიდად მდიდარიც იქნეს შესანიშნავი ადა-

---

* სამხრეთ კაროლინას შტატი — შტატი ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების სამხრეთ-აღმოსავლეთით. ფართობი 80 432 კმ². მოსახლეობა 2 283 ათასი კაცი (1955), ადმ. ცენტრი — ქ. კოლუმბია.

** უბრალო ხალხში მ. ნალბანდიანი გულისხმობს ხალხის მასას, ხოლო კერძო პირებში — ცალკეულ გამოჩენილ პიროვნებებს, ანუ ილიას შახვილი და ღრმაშინაარსიანი გამოთქმებით „დიდბუნებოვან“, „დიდხასიათიან“ ადამიანებს.

მიანებით, მაინც, მიუხედავად ამისა, ამ ერის ეროვნულობის მანქანა უბრალო ხალხით მოძრაობს. ხალხი — ამ მანქანის ღერძი, ბერკეტი და საყრდენია.

მ. ნალბანდიანი

781

ხალხი არა მარტო ძალაა, რომელიც ჰქმნის ყველა მატერიალურ ღირებულებებს, — არამედ ის სულიერ ღირებულებათა ერთადერთი და დაუშრეტელი წყაროა, ის დროის, სილამაზისა და გენიალობის მიხედვით პირველი ფილოსოფოსი და პოეტია.

მ. გორკი

782

როგორ, რა გზით და რა საშუალებებით ხორციელდება პროგრესი? ის ხორციელდება წინააღმდეგობაში და ბრძოლაში. ყოველი წყობილების დროს ყოველი ძველი იდეის გვერდით იზრდება ახალი და არავის არ ძალუძს ამას ხელი შეუშალოს. თუ მას საშუალებას აძლევენ თავისუფლად განვითარდეს, ის იმარჯვებს დარწმუნებით, აშკარა გამოსვლით... როდესაც კი მასა ამ თავისუფლებაზე უარს ეუბნებიან, მაშინ ის ყეთქდება, როგორც თოფის წამალი, და ათას ნამსხვრევებად აქცევს თავის მტერთა და მდევნელთა ტახტს.

ემ. კასტელარი

783

ახალს, აღმავალს არ შეუძლია უცებ დაამარცხოს ძველი, ის აწარმოებს ბრძოლას ძველთან და დრო-ჟამამდე თანაარსებობს მასთან. განვითარების პროცესი არის წინააღმდეგობათა გაშლის, გახსნის პროცესი, რომელიც, საბოლოო ანგარიშში, ახალის, პროგრესულის გამარჯვებით გვირგვინდება. სწორედ ამიტომ არის ბრძოლა ახალსა და ძველს შორის განვითარების წყარო. ახალი რომ არ გამოდიოდეს ძველის წინააღმდეგ, არ

იქნებოდა არავითარი განვითარება, გამეფდებოდა ერთ წერტილზე გაყინვა, უძრაობა.

Б. Сов. Энц., Т. 14, ст. 289, 1952.

784

განვითარება არის დაპირისპირებულთა „ბრძოლა“.

ვ. ლენინი

თხზ., ტ. XIII, გვ. 301, მე-3 რუს. გამოც.

785

მართალი იყო ფილოსოფოსი ჰეგელი, ღმერთმანი: ცხოვრება წინ მიდის წინააღმდეგობებით, ცოცხალი წინააღმდეგობები კი ბევრით მდიდარი, მრავალმხრივი, შინაარსიანია. ვიდრე ადამიანის გონებას თავდაპირველად ეჩვენება.

ვ. ლენინი

ვ. ლენინის წერილიდან გორკისადმი
16 ნოემბ. 1906;

786

უანტაგონიზმოდ არ არსებობს წინმსვლელობა: ეს არის კანონი, რომელსაც ცივილიზაცია ემორჩილებოდა დღემდე.

კ. მარქსი

„ფილოსოფიის სიღატაკე“, გვ. 106, 1931

787

მსგავსად იმისა, როგორც ჩვენ (ადამიანები) წინ მივდივართ ისე, რომ ვიხრებით ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. ასევე ხალხებიც წინ მიიწევენ კულტურისაკენ.

ი. პერდერი

788

ჭეშმარიტება ინასკვება და იბადება მოპირდაპირე აზრთა დუღილში.

კლ. ჰელვეციუსი

789

აზრთა შეჯახებაში იბადება ჭეშმარიტება.

ფრანგული ანდაზა

790

ეგ წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი.

ი. ჭავჭავაძე

791

ყველაფერი ცხოვრებაში კონტრაპუნქტია. *.

მ. გლინკა

792

პროგრესი შეიძლება იქნეს მეტად თუ ნაკლებად სწრაფი, მაგრამ მისი განვითარება არასოდეს უკან არ წავა.

ჟ. კონდორსე

793

ცხოვრება მიმდინარეობს მხოლოდ ერთი მიმართულებით, და სახელდობრ, — წინ.

მ. ნალბანდიანი

794

ყოველი ახალი თაობა ამსხვრევს ძველი თაობის მსოფლმხედველობას; რაც უწინ ურყევად გვეჩვენებოდა, ის დღეს ინგრევა: აბსოლუტური, მარადიული ჭეშმარიტებანი მხოლოდ არაისტორიული ხალხებისათვის არსებობენ.

ა. გერცენი (მამა)

794-ა

ბრძოლისა და შეხლა-შემოხლის გარეშე არაფერს არ ჰქმნის ყოველივე არსებულის დედა — ბუნება.

ფრ. პეტრარკა

795

ბრძოლა — ეს თვით სიცოცხლეა, მხოლოდ ისაა სიცოცხლე.

ლ. ტოლსტოი

795-ა

სიცოცხლე — ბრძოლაა, ბრძოლა კი — სიცოცხლე.

პ. ბომარშე

796

თვით ადამიანის ცხოვრება, თუ დავაკვირდებით მას, ბავშვობის ასაკიდან ღრმა მოხუცებულობამდე, სხვა არა არის რა გარდა ბრძოლისა.

ფ. როხასი

---

* კონტრაპუნქტი — მუსიკაში მთელ რიგ დამოუკიდებელ მელოდიათა ერთდროული და ჰარმონიული შეწყობა.

797

ის, რაც მკვდარია და დამპალი, თავის თავად უნდა ჩავარდეს სამარეში.

დ. პისარევი

798

ცხოვრება სხვა არა არის რა, თუ არა მუდამ დაძლეული წინააღმდეგობა.

ი. ტურგენევი

799

ცოცხალი იცვლება ორგანულად — ზრდით... განვითარება, როგორც ყოველი ზრდა, გარდაუვალად დაკავშირებულია ავადმყოფობასთან, მწვავე კრიზისებთან.

ი. ტურგენევი

800

კვდება მხოლოდ სნეული და სუსტი; ჯანმრთელი და ძლიერი კი არსებობისათვის ბრძოლაში მუდამ გამარჯვებული გამოდის.

ჩ. დარვინი

800-ა

იმარჯვებენ არა უკეთესნი, არამედ უფრო ამტანნი.

ი. მეჩნიკოვი

801

მე ვერ ვხედავ ისტორიაში შეგნების განვითარების ვერც ერთ მაგალითს, რომ მბრძანებელი უმცირესობა დათმობაზე წასულიყოს.

ნ. ოგარიოვი

802

რაც ძალადობით წაიღეს,
ვინ დააბრუნებს ნებითა?

ა. წერეთელი

803

აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად.

ი. ჭავჭავაძე

804

ბებერი განა მარტო ცხოველები შეიძლება იყოს ბუნებაში? არა, ჩვენს ცხოვრებაში ბებერი აზრი, ბებერი ჩვეულება, ბებერი გრძნობა ძალიან ბევრია, ხოლო გარჩევა ერთსა და მეორეს შორის ისაა, რომ ბებერი აზრები და ჩვეულებანი დიდხანს სცოცხლობენ, თუ ადამიანმა ძალად არ მოუსპო მათ არსებობა; ამ მოსპობით, რასაკვირველია, უკეთესდება ცხოვრება, ადამიანს ბედნიერება ემატება. მაგრამ მაგარი ის არის, რომ ადამიანს ძალიან ეძნელება ამ ბებერი აზრების განდევნა, თავიდან მოშორება, რადგან ისინი უკვე ჩვეულებად ქცეულან.

ვაჟა ფშაველა

805

ყოველთვის ახალი წყობილება ებრძვის ძველს, სინათლე — სიბნელეს, სათნოება — მცდარობას; ჭეშმარიტება — სიცრუეს.

ბ. ნალბანდიანი

806

არაფერი არაა ისე სახიფათო ახალი ჭეშმარიტებისათვის, როგორც ძველი მცდარობა.

ვ. გოეთე

807

არის ისეთი მცდარობაც, რომელსაც ჩვენ მაგრად ჩავსჭიდებივართ ცხოვრებაში და რომლის შემოწმებას ვერ ვბედავთ იმის შიშით, რომ არ დავრწმუნდეთ, თუ რა დიდი ხნის მანძილზე გვწამდა სიცრუე და ვიცავდით მას.

(—)

808

იქონიეთ მხედველობაში, რომ არცოდნა არასოდეს არ წარმოშობს ბოროტებას; დამღუპველია მხოლოდ მცდარობა. ცდებიან კი ადამიანები არა იმიტომ, რომ არ იციან, არამედ იმიტომ, რომ თავიანთი თავი მცოდნედ წარმოუდგენიათ.

ჟ.-ჟ. რუსო

809

წარმოშობა არის განადგურების დასაწყისი და განადგურება, თავის მხრივ, წარმოშობის დასაწყისი. ამ სამარადისო

წინააღმდეგობებისაგან სამყარო იძენს თავის მარადიულ არსებობას.

ანანია შირაკაცი

810

მარქსიზმი — ეს კონკრეტული სიბრძნეა, რომელიც ბუნებრივად აქეზებს ნგრევისა და შექმნის ორმაგ მუშაობისაკენ.

ა. ბარბიუსი

811

... განა ჩვენ ვანგრევთ მხოლოდ და მხოლოდ ნგრევის გულისათვის? ჩვენ ვანგრევთ იმისათვის, რომ შევქმნათ უკეთესი რამ.

ვ. ლენინი

კ. ცეტკინი, „მოგონებანი ლენინზე", „ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ", გვ. 610, 1957.

812

დრომ ხომ სხვა სწორი გზა არ იცის. გარდა იმისა, რომ ერთი დაანგრიოს, მეორე გააუმჯობესოს.

ნიზამი განჯელი

813

სიტყვამ „რევოლუცია" არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია დაწყნარების სათავეა. ესეა ყოველიფერი ამ ქვეყანაზედ: ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, დაირიოს და მერე დაწმნდება* ხოლმე.

ი. ჭავჭავაძე

814

სიცოცხლე სხვა არა არის რა, თუ არა მოძრაობა, გადასვლა ფორმიდან ფორმაზე. მუდმივი, დაუდგრომელი გარდაქმნა, ნგრევა და შექმნა, რომლებიც ერთიმეორეს მისდევს და ერთიმეორისაგან გამომდინარეობს.

დ. პისარევი

815

სიცოცხლის უმაღლესი ფორმა იბრძვის არსებობისათვის და სპობს უმდაბლეს ფორმებს.

ა. აბაშელი

---

* დაწმნდება — დაიწმინდება.

816

მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი.

ი. ჭავჭავაძე

817

არისტოტელემ სამართლიანად შენიშნა: „სიცოცხლე მდგოგარეობს მოძრაობაშიო". მოძრაობა ცხოვრების არსია.

(—)

818

მომეცით მატერია და მოძრაობა და შევქმნი სამყაროს.

რ. დეკარტი

819

სიცოცხლე ემყარება სიკვდილს.

ნიზამი განჯელი

820

ჩვენ დაბადებისთანავე ვკვდებით: დასაბამიდან წარმოიშვება დასასრული.

მანილიუსი

821

ჩვენი სიცოცხლის პირველივე დღემ შეამოკლა ის.

სენეკა

822

სიცოცხლე და სიკვდილი ამხანაგები არიანო.

ქართული ანდაზა

823

ბუნება — მოძრაობაა. ზრდა, შიმშილი, აზროვნება, შეგრძნობა — ყველაფერი ეს მოძრაობაა: უძრაობა — სიკვდილია. მოძრაობის გარეშე არ არსებობს ტკივილი. არ არსებობს განცხრომა, არ არსებობს გრძნობა.

მულტატული

824

არავითარი მოქმედება არ ხდება უმოძრაოდ, თვით სიცოცხლე განუწყვეტელ მოძრაობაში მყოფნდება.

მ. ნალბანდიანი

825

ჩვენს გარემომცველ სამყაროში ყველაფერი, დაწყებული უწვრილესი „ელემენტარული“ ნაწილაკებით და გათავებული ბუმბერაზ პლანეტებით და ვარსკვლავთა სისტემებით, იმყოფება [მუდმივ] მოძრაობაში, ცვლილებაში. ცოცხალ ორგანიზმებში ნივთიერებათა მუდმივი გაცვლა-გამოცვლა ხდება... დედამიწა, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ, ბრუნავს თავისი ღერძის ირგვლივ და მოძრაობს მზის ირგვლივ. მაგრამ არც მზე არის უძრავი. მის ირგვლივ მბრუნავ პლანეტათა მთელ სისტემასთან ერთად, ის თვით მოძრაობს სამყაროს სივრცეში... თითოეულ სხეულში მისი შემადგენელი ატომები იმყოფება განუწყვეტელ მოძრაობაში და თითოეული ატომი კი აღსავსეა შინაგანი მოძრაობით.

არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს მატერია უმოძრაოდ. სხვა სიტყვებით: მ ო ძ რ ა ო ბ ა — ე ს მ ა ტ ე რ ი ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ს ა მ ა რ ა დ ი ს ო ფ ო რ მ ა ა.

«Основы марксистской философии», М. 1959, ст. 122.

826

ყველაფერი მიმდინარეობს, ყველაფერი იცვლება და არ არსებობს ძალა, რომელიც შეძლებდა შეეჩერებინა ეს მუდმივი დინება, გაეჩერებინა ეს სამარადისო მოძრაობა, არ არსებობს ძალა, რომელიც შეძლებდა წინააღმდეგობა გაეწია მოვლენათა დიალექტიკისათვის.

გ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი

827

ცხოვრება შეუჩერებლივ მიდის წინ... ყველაფერი, რაც კი ერთ ფორმაზე და ერთ ადგილზე ჩერდება, გარდაუვალად განწირულია მოსაკვდავად. ცოცხალ ორგანიზმთა ყველა ფორმები არის გარდამავალი მოვლენები და არასოდეს ისინი სავსებით არ მეორდებიან.

ი. მ ი ჩ უ რ ი ნ ი

828

... ყველაფერი იცვლება, ყველაფერი ინგრევა. კლდეები რომ არის, ისინიც კი ხანმოკლენი არიან, და სამყაროს ცხოვ-

რება სხვა არა არის რა, თუ არა განუწყვეტელ გარდაქმნათა რიგი.

ა. ფრანსი

829

... როგორც ერთ და იმავე მდინარეში არ რჩება მუდმივად წყალი,,ისე არაფერი არაა ქვეყნად მუდმივი.

ნიზამი განჯელი

830

ყველაფერი მიმდინარეობს, ყველაფერი მოძრაობს.

პერაკლიტე

831

არავინ არასოდეს არ ყოფილა ორჯერ ერთ და იმავე მდინარეში.

პერაკლიტე

832

პერაკლიტე ამბობს, რომ ყველაფერი მოძრაობს და არაფერი არ დგას, და, ამსგავსებს რა არსებულს მდინარის მოძრაობას, დასძენს, რომ ორჯერ ერთ და იმავე მდინარეში შესვლა შეუძლებელიაო.

პლატონი

833

სიბრძნე — ადამიანის ერთადერთი მარადიული საკუთრებაა.

ბიასი (ბიანტი)

834

სიბრძნე არასოდეს არ ხდება სამხედრო ნადავლად.

სტილპონი

835

ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თვითონ თავისთავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოპპარავს, ვერცა ვინ წინ გადაუდგება.

ი. ჭავჭავაძე

836

შეიძინე ის სიმდიდრე, რომელსაც ქურდები ვერ მოგპარავენ, რომელიც დაგრჩება სიკვდილის შემდეგაც, რომელიც არასოდეს არ მცირდება და არ იხრწნება. „მაპაბპარატა“

837

ნიჭით მოსილი თვით სასწაულს ადვილად აღწევს,
ნიჭი დარჩება სამუდამოდ, ვერვინ წაართმევს.

ფირდოუსი

838

ბრძენმა ლოყმანმა თქვა: „არ არსებობს ქვეყნად კაცისათვის ამაღლებულ ცოდნაზე უფრო უკეთესი მეგობარი; ამაღლებული ცოდნა სჯობს განძეულობას, რადგან განძეულობას დაცვა უნდა, ცოდნა კი თვით იცავს თავის თავსო“.

ნიზამ-ალ-მულკი

839

ცოდნა განძია, რომელიც თან დაჰყვება მის მქონეს.

ჩინური ანდაზა

840

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომცა დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეკარების,
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების.

დ. გურამიშვილი

841

ცოდნა კაცს არც ამძიმებს და არც დაეკარგებაო.

ქართული ანდაზა

842

ვსძებნე და ვერა ვჰპოვე რა მჯობი ამ სწავლა — მცნებისა:
ბრძენსა აქვს თავის უფლება, სოფელში ყოფნა ნებისა;
ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა.

დ. გურამიშვილი

843

მცოდნე კაცი, სადაც არ უნდა წავიდეს, ყველგან იქნება დაფასებული, უვიცი კი სადაც არ უნდა წავიდეს, მუდამ ნამცეცობით ლუკმა-პურის მძებნელი იქნება და გაჭირვებული.

საადი

844

ცოდნა შესძინებს არძანგსა*, ვინცა ვინ სად იქნებიან,
ქვედას ხარისხით საზეოდ ავლენ და ამაღლდებიან.

„ქილილა და დამანა"

845

სიბრძნეს უცადე, სიბრძნითა პატივი მოიგებიან...

„ქილილა და დამანა"

846

„სადაური ხარ დიოღენ?" უთხრა: ვარ ამ სოფლისანი;
მით თევზთა ჰქვიან წყლისა და ფრინველთა ჰაერისანი;
ბრძენი სად მივა, იქნება მკვიდრი მის ადგილისანი,
ამისთვის ყველა სწორეა, სად გზანი ჰქონან ვლისანი.

ვახტანგ VI

847

ყველა ჩვენთაგანს აქვს გონებრივი სამშობლო, ისე როგორც აქვს ტერიტორიალური სამშობლო. ერთშიაც და მეორეშიაც ჩვენ გვყავს თანამოქალაქენი და ძმები, რომლებისკენაც ჩვენ ბუნებრივი სიმპათია გვიზიდავს.

ე. გიუიო

848

გოეთე თავის თავს ყოველი ეპოქის თანამედროვედ გრძნობდა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

ბ. აუერბახი

849

მცოდნისათვის — ყველგანაა ადგილი.

აზერბაიჯანული ანდაზა

850

სიბრძნეს ვერ სწორავს ვერა რა, არც ისე მოსახმარია,
მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ გამხმარია;
სად წახვალთ თან გამოგყვებათ, საგზლადაც მგონ სახმარია,
სხვა დაგრჩება და ის არა, გვერდთ გახლავს, ცათ კამარია.

არჩილი

---

* არძანგი — საფერი, მართებული პატივი.

851

ვინც ბრძენია, იგი ყველგან შესძლებს სასარგებლო იყოს და ყველგან შემთხვევითობას მზად დახვდება.

ი. ა. კომენსკი

852

ნეტარ არს კაცი, რომელმაც მოიპოვა სიბრძნე, და კაცი, რომელმაც შეიძინა გონიერება!

იმიტომ, რომ მისი შეძენა ვერცხლის შეძენაზე უმჯობესია და მოგება მისგან უფრო მეტია, ვიდრე ოქროსგან.

ის ძვირფას ქვებზე უფრო ძვირფასია; ვერავითარი ბოროტება ვერ გაუწევს წინააღმდეგობას მას. მას შეიცნობს ყველა, ვინც კი მას უახლოვდება, და ვერავითარი ნანატრი ვერ შეედრება მას.

„იგავნი სოლომონისნი"

853

მეცნიერება ბრძენთანი ღვარისებრ განმდიდრდებიან,
ბრძენთ ზრახვა ცხოვრების წყაროდ ისმის და ედინებიან.

არჩილი

854

ზეცასაც რომ ასწვდეს მძაფრ ფათერაკთა ტალღები, ბრძენთა ხვედრი და მონაგარი არ შესველდება წყლით.

ჰაფეზი



855

... ცოდნა... სიმდიდრეა... მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრე, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთ სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოველე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი დაიწყებს ლაპლაპსა.

სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბჟუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, — სჩანს ჰღვიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ აქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო.

სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება ჩაიწვის და გაჰქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავისდღეში არა: მამიდან შვილზედ. გადადის, შვილიდამ შვილის-შვილზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული.

ი. ჭავჭავაძე

856

ცოდნა ემსგავსება ლამპარს, რომლისგანაც აინთება მრავალი სინათლე, და ადამიანები ამის შემწეობით იპოვნიან გზას და გამოვლენ სიბნელიდან.

ნიზამ-ალ-მულკი

857

მხოლოდ გონების განძეულობა არის ჭეშმარიტი სიმდიდრე. მისი გაზიარება სხვებისთვის შეიძლება რაიმეს დაუკარგავად; პირიქით. ის მრავლდება კიდეც გაზიარებისას. ასეთი სიმდიდრის შესაძენად საჭიროა შრომა.

დემოფილე

858

ადამიანისათვის საკმარისი არ არის ცოდნათა შეძენა: უნდა იცოდე ცოდნის სარგებლით გაცემაც.

პანინი

859

მოაზროვნეთა შორის არსებობს კაპიტალის კანონიერი საზიარობა: ჭეშმარიტების დარგში ერთის მიერ შეძენილი ყველას საკუთრებად ხდება.

ფრ. შილერი

860

გენიოსთა ნაყოფები — ეს ყველას გამაერთიანებელი საკუთრებაა.

კ. რილეევი

861

სთესეთ გონიერი, კეთილი, მარადიული,
გულწრფელ მადლობას გეტყვით თქვენ ხალხი.

ნ. ნეკრასოვი

862

მიამბე რა დათესე შენ დღეს, — და მე გიწინასწარმეტყველებ, რას მოიმკი ხვალ.

მ. სერვანტესი

863

ავსა და კარგსა კაცისას
როდი ივიწყებს სოფელი!

ვაჟა ფშაველა

864

ნეტავი იმას, ვისაც კ..
მადლიერი ჰყავს ქვეყანა.

ვაჟა ფშაველა

865

ზნეობის თესლი, ხალხში ჩავარდნილი, გვიან ამოდის, მაგრამ მით უფრო საიმედოდ და სახანგრძლიოდ!

ა. წერეთელი

866

სიტყვა თესლია! ხნული კი კაცის გული; აქ ჩავარდნილი სიტყვა არა ჰქრება, მხოლოდ დრომდე მიმალულია და ნელ-ნელა ღვივის, რომ შემდეგ თავი იჩინოს.

ა. წერეთელი

867

ხშირად პატარა მარცვალი თესლად ხნულში ჩავარდნილი, იკარგება, აღარა ჩანს, ბნელში მიყრუებული. მაგრამ ერთხელაც არის, მოვა დრო, იჩენს თავს, გაიზრდება და ნაყოფსაც მოიტანს. სიტყვაც იგივე თესლია...

ა. წერეთელი

868

სიტყვა თესლია, ხალხია ნიადაგი. თამამად და პატიოსნურად ხალხში გატყორცნილი მართალი სიტყვა უნაყოფოდ არ რჩება... რომ არ გვგონია, იმ დროს და მისთანა ალაგს ამოდის, არ იკარგება!..

ა. წერეთელი

869

დედამიწიდან მცენარე საღად
მხოლოდ საღ თესლზე ამოიზრდება.

საადი

870

როგორიცაა თესლის როლი დედამიწის მიმართ, ისეთივეა ცოდნის როლი ადამიანის სულის მიმართ.

ი. ა. კომენსკი

871

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურებდეს!

ა. წერეთელი

872

რად მოველით ამ ქვეყანას,
ან მიწაზე რისთვის დავალთ.
ყველამ თითო რამე ვთესოთ,
სანამ ამ სოფლიდან წავალთ.

იეთიმ გურჯი

873

მელნის ერთი წვეთი საკმარისია, რომ აღუძრა აზრი ათას და მილიონ ადამიანსაც კი.

ჯ. ბაირონი

874

უნდა მისდიო არა მრავალცოდნას, არამედ მრავალგონიერებას.

დემოკრიტე

875

ადამიანებს ბედნიერებას ანიჭებს არა სხეული ან ფული, არამედ სიმართლე და მრავალგონიერება.

დემოკრიტე

876

კარგის ცოდნა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრის ცოდნა.

ჟ.-ჟ. რუსო

877

ცხოვრების კანონების ცოდნა შეუდარებლად მნიშვნელოვანია ყველა სხვა მრავალ ცოდნაზე; ის ცოდნა კი, რომელსაც ჩვენ თვითგაუმჯობესებისაკენ და თავდაცვისაკენ მივყავართ, უპირველესი მნიშვნელობის ცოდნაა.

ჰ. სპენსერი

878

უნდა ურტყა ცოდნით და არა რიცხვით.

ა. სუვოროვი

879

ომობენ არა რიცხვით, არამედ ცოდნით.

ა. სუვოროვი

880

ის კი არ არის ბრძენი, ვინც მეტი იცის არაბულად და ჭლობს დიდძალ ლამაზ გამოთქმებს და არაბული ენის სიტყვებს, არამედ ის, ვინც მცოდნეა ცოდნის ყოველ დარგში.

ნიზამ-ალ-მულკი

881

შეცდომაა იმის ფიქრი, რომ ბევრისმცოდნეობა ღირსებაა. მნიშვნელოვანია ცოდნათა არა რაოდენობა, არამედ მათი ხარისხი. შეიძლება ძალიან ბევრი იცოდე, და არ იცოდე უსაჭიროესი.

ლ. ტოლსტოი

882

საღი, პრაქტიკული აზრის მქონე ადამიანი უფრო სწრაფად იპოვის გამოსავალს არსებობისათვის ბრძოლაში, ვიდრე ის, ვისი თავიც უამრავ მოუნელებელ ენციკლოპედიურ ცოდნითაა გაჭედილი.

(—)

883

რამდენადაც უფრო იტვირთება მეხსიერება მრავალი ფაქტებით, მით უფრო სუსტდება და ქრება გენიოსი და მისი შემოქმედებითი უნარიანობა.

რ. დეკარტი

884

ჭეშმარიტი ცოდნა მდგომარეობს არა ფაქტების ცოდნაში, რაც კაცს პედანტად ხდის, არამედ ფაქტების გამოყენებაში, რაც მას ფილოსოფოსად ხდის.

ჰ. ბოკლი

885

პედანტობა აუცილებლად გულისხმობს გონების უბადრუკობას.

ი. რახელი

886

არ გადაიქცეთ ხოლმე ფაქტების არქივარიუსებად.

ი. პავლოვი

887

შემცდარია ის სისტემა, რომელიც ვარაუდობს, რომ ყველაფერი ცოდნათა შეძენაში მდგომარეობს, და იმავე დროს ივიწყებს, რომ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ამ ცოდნათა მოწესრიგება და რომ მათ მოსაწესრიგებლად საჭიროა დრო და დამოუკიდებელი აზროვნება.

ჰ. სპენსერი

888

საქმე ის კი არ არის, რომ ზერელედ შევიძინოთ ყოველგვარი დარგის რაც შეიძლება მეტი ცოდნა და გადავიქცეთ მოარულ ენციკლოპედიად. საქმე ისაა, რომ თანდათანობით ვაღრ-

ვავოთ არსებული ცოდნა, რომ ახლად შეძენილი ცოდნა დავუკავშიროთ ძველს...

მნიშვნელოვანია არა მარტო ის, რომ ცოდნა იქნეს, არამედ ის, რომ ცოდნა სათანადოდ მოწესრიგებული იქნეს.

ნ. კრუპსკაია

889

ცნობილ მეცნიერს პასტერს ახსოვდა უამრავი ყოველგვარი ფაქტები და წვრილმანები, რომელთაც კავშირი ჰქონდათ მეცნიერებასთან მიკრობებზე, მაგრამ მან მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ შესძლო დაემახსოვრებინა საღამოს ლოცვა, რომელსაც ის ყოველდღიურად იმეორებდა საღამოობით თავისი ცოლის კარნახით... ცნობილი ფსიქოლოგი ჯემსი ამბობს: „ენციკლოპედიური ერუდიცია შეიძლება ეთავსებოდეს ასეთივე ენციკლოპედიურ უვიცობასაო“.

ნ. კრუპსკაია

890

შეიძლება კაცი დიდი ჭკუა-გონების პატრონი იყოს, მაღალნიჭიერიც, რომელიმე საზენაო საქმეში დაგვირგვინებულ სხივოსანი, მაგრამ ცხოვრებაში გამოსაყენებელ საწვრილმანო კანონების კი უვიცი და უმეცარი...

ა. წერეთელი

891

შეიძლება კაცი გენიოსიც იყოს, მაგრამ რომლისამე საქმისათვის-კი გამოუსადეგარი. შექსპირი და გიოტე ვერ მოახერხებდნენ მოცარტობასა და ბეთჰოვენობას და აგრეთვე ვერც ესენი შესძლებდნენ გიოტე-შექსპირობას.

ა. წერეთელი

892

ერთი რამისადმი ძლიერი სწრაფვა აბრმავებს სულს ყოველივე დანარჩენის მიმართ.

დემოკრიტე

893

რამდენადაც ადამიანი იგებს მრავალმხრივობაში, იმდენად ის ზარალობს ძალაში. ვინც ყველაფერს ეპოტინება, ის თი-

თოეულ მათგანში სუსტად ამჟღავნებს თავის თავს. ასე, ძალა და განათლება მუდამ უკუპროპორციულ ურთიერთობაში ზარიან.

ვ. ჰუმბოლტი

894

ვისაც სურს ყოვლისშემცველი იქნეს, ის არაფერი არ იქ-ნება.

ვ. გოეთე

895

ნუ მიისწრაფვი იცოდე ყველაფერი, რომ არ გახდე უვიცი ყველაფერში.

დემოკრიტე

896

უგვანად დიდთა მძებნელთა პატარაც დაეკარგება.

დ. გურამიშვილი

897

ბევრის მდომმა ცოტაც დაჰკარგაო.

ქართული ანდაზა

897-ა

ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო.

ქართული ანდაზა

898

დილეტანტი—ეს კურიოზული ადამიანია, რომელიც სიამოვ-ნებას პოულობს იმის კეთებაში, რისიც მას არა გაეგება რა.

პ. ჰეიზე

899

დილეტანტობა მეცნიერებაში მეტად შორსაა ჭეშმარიტ მეცნიერებისაგან.

(—)

900

ვინც რაიმე საქმეს აკეთებს, როგორც დილეტანტი, ის უფ-რო მეტს იმაზედ ფიქრობს, რომ თვითონ გააკეთოს რამე, ვიდ-რე იმაზე, რომ რაიმე გააკეთოს.

ვ. გოეთე

901

დილეტანტი ბნელს იჩნევს ღრმად, ველურს—ძლიერად, გაურკვეველს—უსასრულოდ, უაზროს—ზეგრძნობიერად.

ფრ. შილერი

902

ხელს ნუ ჰკიდებ ისეთ საქმეს, რომელშიაც შენ უვიცი ხარ, რადგან ამით შენ გექნება ზარალი და მოგება არავითარი.

ვარდან აიგეკცი

903

საფათერაკოა, თუ ღვეზელის ცხობა დაიწყო მეჩექმემ და ჩექმების ჯღანვა მეღვეზელემ.

ი. კრილოვი

904

ხარაზი რომ ხაბაზობას დაიწყებს, პური კუტი * გამოვაო.

ქართული ანდაზა

905

... იმუშავეთ თქვენი ძალ-ღონის მიხედვით, ხელს ნუ მოჰკიდებთ. ისეთ სამუშაოს, რაც თქვენს ძალ-ღონეს აღემატება, იმუშავეთ უფროსების ხელმძღვანელობით.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 29, გვ. 375.

906

საჭიროა ხელი მოჰკიდო ისეთ სამუშაოს, რომელიც შენს ძალას არ აღემატება...

ნ. კრუპსკაია

907

არ დაივიწყოთ... ვისაც სურს თავისი თავის რწმენა ჰქონდეს, უნდა მუშაობდეს შეძლებისგვარად.

კ. ლიბკნეხტი

908

ბევრის ცოდნა კიდევ არ გვასწავლის ვიქნეთ ჭკვიანი.

ჰერაკლიტე

---

* კუტი — თონეში ჩავარდნილი და ნაკვერცხლებზე გამომცხვარი პური.

909

ბევრს ბევრის მცოდნეს ჭკუა არა აქვს.

დემოკრიტე

910

ყველაფრის ცოდნა — არაფრის ცოდნაა.

ინგლისური ანდაზა

911

ვინც ფიქრობს, რომ ყველაფერი იცის, იმან არა იცის რა.

ინგლისური ანდაზა

912

ყოველი ცოდნა დაკვირვებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარეობს.

ი. სენტ-ბიოვი

913

მთელი ჩვენი ცოდნა იწყება შეგრძნებებიდან.

ლეონარდო და ვინჩი

914

თითქმის ყველა ფილოსოფოსთა საერთო აზრი... მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ჩვენი ცოდნა თავის საწყისს გრძნობებიდან ღებულობს, აქედან: არაფერი არ არის გონებაში ისეთი რამ, რაც მანამდე გრძნობებში არ ყოფილიყოს.

დ. ანიჩკოვი

915

ადამიანის ბუნებას ეწინააღმდეგება იწამოს ის, რაც აზრითა და წარმოსახვით წარმოუდგენელია.

დ. ანიჩკოვი

916

... გრძნობები შეუმცდარია და შეადგენენ ყოველგვარი ცოდნის წყაროს.

როჯ. ბეკონი

917

თუ გრძნობები იტყუება, ეს იმას ნიშნავს, რომ გონებაც სტყუის.

ლუკრეციუსი

918

პედაგოგიური აქსიომაა, რომ საგანი იმდენად უფრო ადვილად შეითვისება და უფრო მკვიდრს შთაბეჭდილებას მოახდენს, რამდენადაც უფრო მომეტებული ორგანოების შუამავლობით ჩაისახება კაცის გონებაში.

ი. გოგებაშვილი

919

... უგუნურებას ჩაიდენს ის მასწავლებელი, რომელსაც ცოცხალი სიტყვისათვის წელი სწყდება, მარტო წიგნზედ არის მინდობილი, მხოლოდ ბავშვების თვალს ამუშავებს და ყური კი უმოქმედოდ აქვს დატოვებული... შეერთებული შრომა თვალისა და ყურისა მით უფრო საჭიროა, რომ ზოგ ბავშვს თვალის შთაბეჭდილება უფრო შერჩება, ზოგს ყურისა.

ი. გოგებაშვილი

920

მასწავლებელი, რომელიც წიგნის ანაბარა დაარჩენს მოწაფეებსა და თავის ცოცხალ სიტყვას კი არ ამოქმედებს, ბინძურ მოჯამაგირეზედ უარესია და ოცდაოთხს საათს უნდა ჩამორთმეული ჰქონდეს მას ის მაღალი და წმინდა თანამდებობა, რომელიც მას აბარია.

ი. გოგებაშვილი

921

რაცა გამოჩნდეს, გიყვარდეს გასინჯვა ყოვლის ფერისა,
სიბრძნე სჯობს ყველას რაც არის ქვეყნისა ანუ სფერისა.

ვახტანგ VI

922

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?
ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვნის ხელფასადაო?
ვით რემა * ხნარცვს ** არ ჩავარდეს ულაგმო და უსადაო.

დ. გურამიშვილი

---

* რემა — ცხენის ჯოგი.
** ხნარცვი — ორმო.

923

არაფერი არაა უმნიშვნელო ღრმად დამკვირვებლისათვის.

ე. ბულვერი

924

ბრძენია ის ადამიანი, რომელმაც იცის ყველგან იმის შემჩნევა, რაც შესწავლის ღირსია, და თითოეულ უმნიშვნელო რაიმესაგან თავისთვის სასარგებლო გაკვეთილის გამოტანა შეუძლია.

პინდური თქმა

925

მეცნიერება—გამოცდილების შვილია.

ლეონარდო და ვინჩი

926

გამოცდილება—ნამდვილი მასწავლებელია.

ლეონარდო და ვინჩი

927

გამოცდილება... იყო მასწავლებელი ყველა მათი, ვინც კარგად წერდა... გამოცდილება არ ცდება, ცდებიან მსჯელობანი.

ლეონარდო და ვინჩი

928

გამოცდილება—მასწავლებელია, რომელიც მეტად ძვირს გვახდევინებს გაკვეთილებში, მაგრამ, სამაგიეროდ, მასზე უკეთესად არავინ არ გვასწავლის.

თ. კარლაილი

929

გამოცდილება—ეს სკოლაა, რომელშიაც გაკვეთილები მეტად ძვირად ღირს, მაგრამ ეს—ერთადერთი სკოლაა, სადაც მართლა შეისწავლი.

ბ. ფრანკლინი

930

გამოცდილება — გონიერების სკოლაა.

ინგლისური ანდაზა

931

სიბრძნე გამოცდილების შვილიაო.

ქართული ანდაზა

932

გამოსწმედს ბრძმედი ოქროსა და კაცსა გამოცდილება.

ვახტანგ VI
(არისტოტელედან)

933

ფილოსოფოსის გამოცდილება ისევე, როგორც მესაჭის გამოცდილება, მდგომარეობს იმ წყალქვეშა ქვების ცოდნაში, რომლებზედაც დაიმსხვრნენ სხვები; ამ ცოდნის გარეშე ვერავითარი კომპასი ვერ უხელმძღვანელებს მას.

ე. კონდილიაკი

934

ქარიცა და ტალღებიც ყოველთვის დახელოვნებული მეზღვაურის მხარეზეა.

ედ. გიბონი

935

მეზღვაურმა, რომელსაც სურს ასცდეს წყალქვეშა კლდეებს, უნდა იცოდეს, თუ სად არის ისინი.

ჯ. ვაშინგტონი

936

ფილოსოფოსნი შემოკრბენ, ამაზედ ჰქონდათ ცილობა.
ბატონი ყმასა ასაქმებს და ჭკუას გამოცდილობა.

ხალხში გავრცელებული
რუსთაველის სახელით

937

სამ გზას მივყავართ ცოდნისკენ: გზა ფიქრისა, — ეს არის უკეთილშობილესი გზა, გზა მიბაძვისა, — ეს არის უადვილესი გზა, და გზა გამოცდილებისა, — ეს არის უმძიმესი გზა.

კონფუცი

938

შემეცნების პირველდაწყებითი და ნამდვილი წყარო — არა წიგნებია, არამედ ცხოვრება, გამოცდილება, საკუთარი აზროვნება, მგრძნობიარობა და მოქმედება.

ჯ. ბლეკი

939

საკუთარი შრომით მოპოვებული ცოდნა აღიბეჭდება ისე მტკიცედ, როგორც არც ერთი სხვისი მოთხრობა.

ქ. ბოსტრემი

940

ის, რასაც ჩვენ თვითონ ვსწავლობთ, ნამდვილად უფრო სასარგებლო უნდა იყოს იმაზედ, რასაც სხვებისაგან ვსწავლობთ.

ჯ. ლებოკი

941

არაფრის შესახებ არ შეიძლება მსჯელობა სხვისი აზრის მიხედვით. ადამიანთა მისწრაფებანი ხომ სხვადასხვაგვარია, და მათი აზრები ხომ პირადი კეთილგანწყობილებით თუ სიძულვილით არის ნაკარნახევი. მხოლოდ ის შეგიძლია ჩათვალო შენთვის გარკვეულად, რაც თვით შეიცანი.

ფედრი

942

თითოეულ ადამიანს ორი განათლება აქვს:— ერთი სხვებისაგან მიღებული, მეორე კი, უფრო მნიშვნელოვანი, მის მიერვე შეძენილი.

ედ. გიბონი

943

ყველაზე მეტი საფუძვლიანი პრაქტიკული სიბრძნის შეძენა მხოლოდ გამოცდილების საშუალებით შეიძლება.

ს. სმაილსი

944

რეგვენი ბრძენზე ბრძენია, რაშიაც გამოცდილია.

ქართული ანდაზა

945

გამოუცდელ ანგელოზს გამოცდილი ეშმაკი სჯობიაო.

ქართული ანდაზა

946

... თეორიული მუშაობა, მხოლოდ პასუხს იძლევა იმ კითხვებზე, რომლებსაც პრაქტიკა აყენებს.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 1, გვ. 352.

947

თეორია გამოცდილებაზე უნდა იყოს დამყარებული, ფაქტებიდან უნდა იყოს გამოყვანილი და არა უკუღმა, ე. ი. ფაქტები თეორიიდან არ გამოიყვანება... აქსიომები მარტო მათემატიკაში არიან მისაღებნი, ისტორიაში და ფილოსოფიაში ძნელად მოიპოვებიან ისინი.

გაბრ. ქიქოძე

948

ცხოვრებისა და პრაქტიკის თვალსაზრისი შემეცნების თეორიის ძირითად და უპირველეს თვალსაზრისად უნდა იქცეს.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 14, გვ. 241.

949

თეორია თავისთავად არაფრის მაქნისია, ის საჭიროა იმდენად, რამდენადაც გვარწმუნებს მოვლენათა კავშირში.

ვ. გოეთე

950

ყოველგვარი თეორიის საცდელ ქვად რჩება პრაქტიკა.

ვ. გოეთე

951

თეორია და პრაქტიკა შეადგენენ ერთ მთელს, და ისევე, როგორც სული და სხეული, ისინიც ხშირად არ არიან ხოლმე ურთიერთთანხმობაში.

მ. ებნერ-ეშენბახი

952

ყოველგვარი ძიების შემწეობით გამოცდილებამ შეჰქმნა ხელოვნება, რომლისკენაც გზას მაგალითები უჩვენებენ.

მანილიუსი

953

არ არსებობს ლტოლვა უფრო მეტად ბუნებრივი, ვიდრე ლტოლვა ცოდნისაკენ. ჩვენ ყოველგვარ საშუალებას მივმარ-

თავთ ხოლმე მის დასაუფლებლად. როდესაც კი ამისათვის აზროვნების უნარი არ შეგვწევს, ჩვენ გამოცდილებას ვიყენებთ.

მ. მონტენი

954

ადამიანთა გასაბედნიერებლად საკმარისია გამოცდილებით გამდიდრებული გონება.

ე. კაბე

955

ამ ქვეყნად თითოეული [ადამიანი] მხოლოდ თავისი გამოცდილების საფუძველზე სწავლობს ჭკუას.

ბ. კონსტანი

956

გამოცდილებას სკოლა როდი აქვს, ის თითო-თითოდ ასწავლის ყველას.

ინგლისური ანდაზა

957

ერთი შეძენილი გამოცდილება შვიდ ბრძნულ წესზე უფრო მნიშვნელოვანია.

არაბული თქმა

958

ცხოვრებაში ცუდი ისევე კარგად უნდა იცოდე, როგორც კარგი. გამოცდილება, რაც უფრო მრავალმხრივია, მით უფრო ამაღლებს იგი ადამიანს, მით უფრო ფართო ხდება მისი მხედველობის არე.

მ. გორკი

959

თუმცა გულადობა, მხნეობა და მამაცობა ყველგან და ყოველ შემთხვევაშია საჭირო, მაგრამ ისინი ამაონი არიან, თუ არ გამომდინარეობენ ხელოვნებიდან, რომელიც გამოცდილებიდან იზრდება.

ა. სუვოროვი

960

ვინც გატაცებულია პრაქტიკით მეცნიერების გარეშე, ის თითქოს ედარება იმ მესაჭეს, რომელიც ადის უსაჭო და უკომპასო ხომალდზე. ის არასოდეს არ არის დარწმუნებული საით

მიცურავს. ყოველთვის პრაქტიკა აგებული უნდა იყოს კარგ თეორიაზე.

ლეონარდო და ვინჩი

961

ცხოვრების ასპარეზზე ცოდნა, მოკლებული გამოცდილებას, თვალხილულია მისთვის უცნობ გზაზე. ცოდნას მოკლებული გამოცდილება კი — ბრმაა მისთვის ნაცნობ გზაზე. ყოველგვარი ცვლილება ამ გზაზე მას აბნევს.

შ. პიერმონი

962

გამოუცდელი გონება თავს მტერსა დაამონებსა.

ვახტანგ VI

963

საკითხი ის კი არ არის — საჭიროა თეორია, თუ გამოცდილება, არამედ ის, რომ ორივე შემთხვევაში საჭიროა სიფრთხილე.

ე. ფეიხტერსლებენი

964

მეცნიერება ჭაა, თვით ოკეანეზე ულრმესი.

შ. მონტესკიე

965

სიბრძნე და მეცნიერება უძირო ზღვა არის.

ქართული ანდაზა

966

რაზომცა დიდად ბრძენ იყო
ნუ ეჭვობ სიბრძნე-სრულობას,
რაზომ სვამ წყლისგან წყაროსა,
შეატყობ, ვერ ნაკლულობას.

არჩილი

967

ცოდნა უსასრულოა, და კაცი, რომელიც სხვა ადამიანთა აზრით ყველაზედ უფრო სწავლულია, ისევე შორსაა სრული ცოდნისაგან, როგორც წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი.

ჯ. რიოსკინი

968

... იდუმალის ვეებერთელა ოკეანით ვართ გარემოცული ჩვენ. და რაც მეტი ვიცით, მით უფრო მეტ გამოცანას გვისახავს ჩვენ ბუნება... ოკეანის ფსკერი და ატმოსფერა, დედამიწის, პლანეტებისა და მზის სისტემის წიაღები ჯერ კიდევ ელოდებიან თავიანთ კოლუმბებსა და პრჟევალსკებს. გიგანტური, ჯერ კიდევ ამოუხსნელი ამოცანები დგას საბჭოთა მეცნიერების წინაშე.

ვ. ობრუჩევი

969

დავამთავრებდი მეცნიერებას ზეცის შესახებ, რომ საერთოდ შესაძლებელი ყოფილიყო მეცნიერების დამთავრება*.

პ. ლაპლასი

970

მეცნიერებათა საზღვრები ემსგავსებიან ჰორიზონტს: რაც უფრო უახლოვდებიან მას, მით უფრო ისინი შორს იწევენ.

პ. ბუასტი

971

მეცნიერი უკვე ადრეულ ახალგაზრდობაშივე უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ მის გარემომცველ უზარმაზარ სამყაროს შესახებ მას ბედად უწერია იცოდეს ძალიან ცოტა.

ა. ფრანსი

---

* ეს სიტყვები ლაპლასმა უთხრა შ. ფურიეს.

972

რაც უფრო მეტი ვიცით, მით უფრო მეტი გვრჩება შესასწავლი. ცოდნასთან ერთად იზრდება... ჯერ კიდევ შეუცნობელის ოდენობის ჩვენი შეცნობა.

ფრ. შლეგელი

973

ცოდნის წყურვილი, ისევე როგორც სიმდიდრის წყურვილი, ძლიერდება, რაც უფრო მეტს ვიძენთ.

ლ. სტერნი

974

ცოდნის წყურვილი მიისწრაფვის ერთი დაპყრობიდან მეორისაკენ.

ჰ. იბსენი

975

რაც უფრო მეტს ვაზროვნებთ, მით უფრო შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ არაფერი არ ვიცით.

ვოლტერი

976

ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ მხოლოდ ის, რომ არაფერი არ ვიცით. და ეს არის ადამიანის სიბრძნის უმაღლესი მწვერვალი.

ლ. ტოლსტოი

977

აი სანატრელი ატესტატიც მიღებულია! მაგრამ მკითხეთ გულახდილად, რა ვიცი, და მე უნდა გიპასუხოთ: მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი.

მ. სალტიკოვ-შჩედრინი

978

რაც უფრო ნაკლები იცი, მით უფრო ნაკლებად ეჭვობ; რაც უფრო ნაკლები აღმოაჩინე, მით უფრო ნაკლებს ხედავ აღმოსაჩენს.

ა. ტიურგო

979

ბევრი სწავლაა საჭირო შესაგნებად იმისა, რომ ცოტა იცი.

მ. მონტენი

980

ბევრმა არ იცის, თუ რაოდენ ბევრი ცოდნაა საჭირო, რომ ვიცოდეთ, თუ რამდენად ცოტა ვიცით.

(—)

981

ის, რაც ჩვენ ვიცით—განსაზღვრულია, ის კი, რაც არ ვიცით — უსასრულოა. *

პ. ლაპლასი

982

ვინც შეგნებულად სთვლის თავის თავს საზღვარდებულად, ის ყველაზე ახლოსაა უნაკლობასთან.

ვ. გოეთე

983

საკუთარი ნაკლოვანების ნათელი შეგნება ადამიანს სრულყოფასთან აახლოვებს.

ვ. გოეთე

984

ჭეშმარიტად, ადამიანთა შორის მე უფრო მეტად უვიცი ვარ, ვიდრე სხვა ვინმე.

სოლომონ ბრძენი

985

ვინც ლაპარაკობს მე არაფერი არ ვიცი, ის ჭკვიანია; ვინც ლაპარაკობს: მე სწავლული ვარო,—ის ყბედია; ვინც სდუმს,—ის ყველაზედ ჭკვიანი და უკეთესია.

პინდური თქმა

986

მე ვიცი მხოლოდ, რომ არაფერი არ ვიცი.

სოკრატე

---

* პ. ლაპლასის უკანასკნელი სიტყვები სიკვდილის წინ.

987

სოკრატეს სიბრძნე იმაში მდგომარეობდა, რომ ის არ ფიქრობდა, რომ იცოდა ის, რაც არ იცოდა.

ციცერონი

988

„მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არა ვიცი-რაო!" უთქვამს ერთს ფილოსოფოსს.* „ჩვენ ყველაფერი ვიცით, მაგრამ სხვები არ გვიჯერებენო", დაუჟინიათ სულელებს.

როგორც პირველი ისე მეორეებიც, ცხადია, გულწრფელად აღიარებენ იმას, რასაც ჰგრძნობენ და რაც ჰგონიათ, მაგრამ რა არის მათი „ჰგონიაობის" მიზეზი? ის, რომ სულელი ყოველთვის ჭიანჭველას აღარებს თავის თავს და, ცოტა უპირატესობას რომ იგრძნობს, მართლა ჰგონია, თუ დიდი ვინმე ვარო და იბერება. ჭკვიანი კი ცდილობს გამოჩენილ დიდებულებს მიეტოლოს და, ზომა-წონაში რომ ჩამოურჩება, თავი აღარაფრად მიაჩნია. ამით აიხსნება ის მოვლინება, რომ ჭკუა-ნაკლებ კაცებს დიდად მოაქვთ თავი, თავის ქერქში ვეღარ ეტევიან და გაბერილები დაიარებიან, მაშინ, როდესაც ნამდვილი ჭკუიანები კი უბრალო-კაცობენ. რა სჯობია, რომელი უფრო გამოსაყენებელია ცხოვრებაში და სასარგებლო პირადად: ჭკვიანების არარაობაზე ფიქრი, თუ სულელების დიდ-ვინმეობა? რა-საკვირველია, მეორე!...

ა. წერეთელი

989

ერთხელ სოკრატ ფილოსოფოსს უთხრეს: „შენ ყოლიფერი იციო". იმან უპასუხა: „მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არა ვიცი რაო!" მას აქეთ საუკუნეები გარბიან, კაცობრიობამ წინ ბიჯი წადგა, ზღვა და ხმელეთი დაიმონა, ჰაერი დაიმორჩილა და სოკრატი რომ ცოცხალი იყოს, ისევ იმასვე გაიმეორებდა, რაც ადრე უთქვამს!... და თუ სოკრატი ამას იტყვის, ჩვენ რაღა გვეთქმის უბრალო მომაკვდავებს... მე კი ჩემდაფავად ვიტყვი, რომ არა ვიცი რა!...

ა. წერეთელი

---

* იგულისხმება სოკრატე, რომლის აზრი ზევითაა მოყვანილი (986).

990

თუ მე ვიცი, რომ ცოტა ვიცი, მაშინ მივაღწევ იმას, რომ მეტი ვიცოდე, მაგრამ თუ ადამიანი დაიწყებს ლაპარაკს, მე კომუნისტი ვარ და ჩემთვის არც არის საჭირო რაიმე მტკიცედ ვიცოდეო, მისგან კომუნისტის მსგავსი არა გამოვა რა.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 345.

991

გაუგებლობა მუდამ იმპულსია შემოქმედებისათვის.

ა. ტოლსტოი

992

... უცოდინარობის აღიარება, ჩემის აზრით, გონიერების ერთ-ერთი უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია.

მ. მონტენი

993

შეგნებული ჭირი ადვილი გადასაკვეთია...

ა. წერეთელი

994

ყოველგვარ ავადმყოფობას მხოლოდ მაშინ მოევლება, როდესაც ნამდვილ მიზეზს ვიპოვით.

ი. გოგებაშვილი

995

საკუთარი ცოდვილიანობის შეგნება—პირველი ნაბიჯია ხსნისაკენ.

ბ. ბელინსკი

996

ცოდვის ცოდნისგან გამოვა ცხოვნების აღსავალია.

ვახტანგ VI

997

ვინც თავის საკუთარ ნაკლოვანებებს აკვირდება, ის სხვების ნაკლის დანახვას ვეღარ ასწრებს.

აღმოსავლური თქმა

998

საკუთარი თავის დაცინვის ნუ გეშინიათ, თვითკრიტიკა ისევე აუცილებელია, როგორც პირის დაბანა. მ. გორკი

999

თავის მიმართ ადამიანი მკაცრი უნდა იყოს, თორემ ის წუმპეში გადაეშვება.

კ. ლიბკნეხტი

1000

ყველაზედ მთავარია სათნოებისა და მანკიერებათა მიხვედრა გვქონდეს. თუ ეს მიხვედრა არ გვაქვს, ყველაფერი მერყევი ხდება.

ციცერონი

1001

საკუთარი ცოდვის დავიწყება უსირცხვილობას ბადებს.

დემოკრიტე

1002

ჩვენი ნაკლოვანებები ზიანს ვერ გვაყენებენ, როდესაც ისინი ჩვენთვის ცნობილია.

ჟან პოლი

1003

არავინ არაა ქვეყნად თავისუფალი ნაკლოვანებებისაგან, უცოდველია მხოლოდ ის, ვისაც ისინი ყველაზედ ცოტა აქვს.

პორაციუსი

1004

ის ადამიანები, რომელთაც მეტად ბევრი ნაკლოვანებები აქვთ, უწინარეს ყოვლისა მათ სხვებში ამჩნევენ.

ლ. ბერნე

1005

ჩვენი უნაკლობის არსებითი ნაწილი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენივე ნაკლოვანებები შევამჩნიოთ.

ფრ. ლამოთ-ლეგაიე

1006

ჭეშმარიტ განათლებას მოკლებული ყოველი ადამიანი გაურბის ისეთ ლაპარაკს, რომელიც ეხება მის ნაკლოვანებებს, თუმცა ის ნაწილობრივ გრძნობს კიდეც მათ. ასეთი ადამიანისათვის გაცილებით უფრო მძიმეა თავის ნაკლოვანებებში გა-

მოტეხა, ან მათ შესახებ სხვისაგან მოსმენა, ვიდრე თავის თავში მათი აღიარება.

მ. ნალბანდიანი

1007

... ადამიანს ყოველთვის სურს და ცდილობს, მის სამარცხვინო და ცუდს საქმეებს ყოველთვის ბნელი ადგეს, რომ სხვებმა ვერ დაინახონ და შეიტყონ მისი მოქმედება.

ა. წერეთელი

1008

ჩვენ ადვილად ვივიწყებთ ჩვენს შეცდომებს, თუ მათ შესახებ ჩვენს გარდა არავინ არ იცის.

ფრ. ლაროშფუკო

1009

რატომ არის, რომ არავინ არ აღიარებს თავის ნაკლოვანებებს? იმიტომ, რომ ნაკლოვანებები ეხლადაც რჩება მათში. საკუთარი სიზმრის მოსაყოლად საჭიროა გაღვიძება.

მ. მონტენი

1010

ძლიერ ცოტაა ისეთი ადამიანები, რომლებიც ისურვებდნენ თავიანთ შესახებ სიმართლის მოსმენას.

ფრ. ლაროშფუკო

1011

მსგავსად იმისა, როგორ საკუთარი სხეულის სიმძიმეს ჩვენ ვეზიდებით ისე, რომ ვერ ვგრძნობთ მას და ვგრძნობთ ხოლმე გარეშე წონადი სხეულის სიმძიმეს, — ასევე ჩვენ ვერ ვამჩნევთ საკუთარ შეცდომებსა და მანკთ. სამაგიეროდ თითოეულს ჩვენთაგანს სხვების სახით აქვს სარკე, რომელშიაც ნათლად მოჩანს მისი საკუთარი მანკები, შეცდომები და ნაკლოვანებები. მაგრამ ადამიანი ჩვეულებრივად იქცევა ისე, როგორც ძაღლი, რომელიც უყეფს სარკეს, რადგან არ იცის, რომ სარკეში მოჩანს მისივე ორეული და ჰგონია, რომ იქ სხვა ძაღლია.

ა. შოპენჰაუერი

1012

ცილისწამებასაც კი უფრო ადვილად გაპატიებენ ადამიანები, ვიდრე ჭკუის სწავლებას.

ჟან პოლი. (რიხტერი)

1013

უფრო მიზანშეწონილია თვით განიწმინდო, ვიდრე განრისხდე იმ ადამიანზე, რომელიც, შენი მანკიერების შემხედვარე, გულახდილად მიგითითებს მათზე.

მ. ნალბანდიანი

1014

აი უკვე ათი წელია, თქვა ფილოსოფიის ერთმა მოსწავლემ, რაც მე ყოველ დილას ვიღვიძებ იმ განზრახვით, რომ ბრძენი გავხდე, და ყოველ საღამოს ვწვები დამწუხრებული, რომ ისევ უვიცად დავრჩი.

(—)

1015

ბევრი ცოდნა შევიძინე, ბევრი ვტეხე ღამე,
ბევრი სიბრძნე შევიცანი, ძლიერ ბევრი და მე
მოვიპოვე ამის გამო იმოდენა ცოდნა,
რომ მივუხვდი—ქვეყანაზე არ მცოდნია რამე.

ომარ ხაიამი

1016

... აღიჭურვეთ ულმობელი თვითკრიტიკით, თავმდაბლობით, რომელიც ასე დამახასიათებელია ჭეშმარიტების თითქმის ყველა მაძიებელთათვის, მადლობით მოისმინეთ საფუძვლიანი შეპასუხება ყველა თქვენს დასკვნაზე... აღორძინების ხანის გენიალური თანამედროვის ლეონარდო და ვინჩის გამოთქმით: „თქვენი შეცდომების გამომმჟღავნებელი მტერი უფრო სასარგებლოა თქვენთვის, ვიდრე მათი დაფარვის მსურველი მეგობარი“.

ა. კარბინსკი

1017

რაც არ უნდა დიდი იყოს თქვენი წარმატება, მზად იყავით

კრიტიკის მოსასმენად. თუ მგრძნობიარე ხართ, თქვენ უფრო ნაკლებად შეურაცხყოფთ მტერთა თავდასხმები, ვიდრე მეგობართა ქომაგობა.

დ. დიდრო

1018

თვით მტერზე უფრო საშინელი იგია შენთვის,
შენს შეცდომაზე ვინც აშკარა შენდობას გეტყვის.

ნასირ ხოსროვი

1019

იკითხე არა მარტო წიგნები, არამედ ადამიანებიც, და განსაკუთრებით საკუთარი თავი: თუ რაიმე გაუგებრობას ნახავ, უფრო ისარგებლე მკაცრი მეგობრის შენიშვნით, ვიდრე ტკბილმოუბარი პირმოთნის აზრით; არასასიამოვნო სიმართლისაგან უფრო მეტი სარგებლობაა, ვიდრე მაცდუნებელი სიტკბოებისაგან.

(—)

1020

კიცხვავე უკეთესია ცუდ ხოტბას მელულობასა.

არჩილი

1021

სიმართლე—ისევე, როგორც მწარე წამალი, არასასიამოვნოა გემოთი, სამაგიეროდ ჯანმრთელობის აღმდგენელია.

ო. ბალზაკი

1022

პირფერობა მუდამ ტკბილია, როგორც შაქარი.

ჰ. ჰაინე

1023

სარწმუნოს მოყვსის შერისხვა
სჯობს მტრის პირისპირ ქებასა.

არჩილი

1024

მეგობრისაგან უნდა მოისმინო სასიამოვნოც და საწყენიც.

„შუქასაპტატი“

1025

კეთილგონიერი მეგობრისაგან რჩევის მოსმენა იგივეა, რაც ოქროს თასით წამლის მიღება.

სოლონი

1026

ვინც ნახავს ბრძენს, რომელიც ნაკლოვანებებზე გვითითებს და მათ გამო საყვედურობს, დაე ის გაჰყვეს ამ ბრძენს, როგორც განძის მაჩვენებელს.

ჰინდური თქმა

1027

ჭეშმარიტი სიტყვა არასოდეს არ არის სასიამოვნო, სასიამოვნო სიტყვა კი— იშვიათად მართალი.

ქართული ანდაზა

1028

მართალი სიტყვები არა ყოველთვისაა ხოლმე სასიამოვნო და სასიამოვნო სიტყვები არა ყოველთვისაა ხოლმე მართალი.

ლაო-ცზე

1029

მართალს თვალი თვალში უნდა გაუყარო უშიშრად. მადლი მაგასა აქვს.

ი. ჭავჭავაძე

1030

მხილება წარმატებისაკენ წარმტაცი ძალაა.

ა. წერეთელი

1031

სადაც ბევრი კრიტიკაა, იქ ბევრი აზრია, და სადაც ბევრი აზრია — იქაა სიცოცხლეც.

მ. გორკი

1032

ჩვენი შემოქმედებითი განვითარების ერთ-ერთი მძლავრი საშუალება არის მიუდგომელი კრიტიკა.

ო. თუმანიანი

1033

ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ მათ, ვინც გვითითებს ჩვენს ნაკ-

ლოვანებებზე; თუმცა ჩვენი ნაკლოვანებები ამ მითითებით არ ჰქრება, რადგან ისინი მეტად ბევრი გვაქვს, მაგრამ სამაგიეროდ, როდესაც ჩვენი ნაკლოვანებები ჩვენთვის ცნობილია, მაშინ ისინი აწუხებენ ჩვენს სულს, არ აძლევენ სინიდისს დაყრუების საშუალებას და ჩვენც ვცდილობთ გამოვსწორდეთ და გავთავისუფლდეთ მათგან.

ბ. პასკალი

1034

განა შეიძლება ჩვენთვის იქნეს იმ მეგობარზე უფრო მეტად სასარგებლო ვინმე, ვინც ჩვენივე შეცდომებისათვის გვისაყვედურებს?

შ. სენტ-ევრემონი

1035

დროზე ნათქვამი ერთი საყვედური ასეულ ქებას გვიმზადებს.

ო. შტეინბერგი

1036

საკუთარი ნაკლოვანებების დანახვა უფრო ადვილია სხვისი თვალებით. მათ შესახებ შეიძლება ჰკითხო ნაცნობებს, მაგრამ თვით ძნელად თუ შეამჩნევ.

მოპასანი

1037

საკუთარი ნაკლოვანებები ზურგზე მოკიდებული ჩანთაა, რომელსაც ვერ ხედავ.

ერაზმ როტერდამელი

1038

მხოლოდ სხვისი თვალებითაა შესაძლებელი საკუთარი ნაკლოვანებების დანახვა.

ჩინური ანდაზა

1039

სხვა სხვისა მეცნიერია.

ქაიხოსრო

1040

მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია?

ი. ჭავჭავაძე

1041

მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე.

ი. ჭავჭავაძე

1042

არავინ არ ისმენს გაკიცხავს უფრო მეტი მოთმინებით, ვიდრე ის ადამიანი, ვინც ყველაზედ უფრო მეტად იმსახურებს ქებას.

პლინიუს უმცროსი

1043

საყვედურის მშვიდად მოსმენა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც ხშირად ისმენს ქებას.

პლინიუს უმცროსი

1044

გული მშვიდი და დაბალი
ძრახვას არ გაიკვირვებსა.

არჩილი

1045

კარგმან კაცმან კარგი სიტყვა არასოდეს არ იწყინა.

ქაიხოსრო

1046

რადგან ქება გიამება მხილებაც რამ შეისმინე.

არჩილი

1047

[შეაჩვიეთ თქვენი თავი] თავმდაბლობას. ნურასოდეს ნუ იფიქრებთ, რომ თქვენ ყველაფერი იცით და, რაც უნდა მაღლა არ გაფასებდნენ, მუდამ იქონიეთ ვაჟკაცობა, უთხარით თქვენს თავს „მე უვიცი ვარ". ნებას ნუ მისცემთ ქედმაღლობას დაგეუფლოთ თქვენ. მის გამო თქვენ დაიწყებთ ჯიუტობას იქ, სა-

დაც საჭიროა დათანხმება. მის გამო თქვენ უარს იტყვით სასარგებლო რჩევაზე და მეგობრულ დახმარებაზე, მის გამო თქვენ დაჰკარგავთ მიუდგომლობის ზომიერებას.

ი. პავლოვი

1048

სიამაყე, როგორც კეთილშობილური გრძნობა, მუდამ ერძნობს თავის ნაკლოვანებებს; მათ მხოლოდ ქედმაღლობა ვერ ამჩნევს.

გ. ლიხტენბერგი

1049

ჭეშმარიტი სიდიადისაკენ ხშირად ქედმაღლობაა დაბრკოლება.

სტ. ჟანლისი

1050

ქედმაღლობა კარგს არაფერს გამოიღებს.

გერმანული ანდაზა

1051

ვინც ქედმაღლობით თავს იდიდებს და აჩქარდება
უღრმეს მორევში თავისთავად ის ჩავარდება.

საადი

1052

თავის თავზე დიდი წარმოდგენა მოკლე ჭკუის ერთ-ერთი ნიშანია.

სოფოკლე

1052-ა

უზომოდ თვითგანდიდება შეჰფერით მხოლოდ უგუნურთ.

პინდარე

1053

ჩვენ არასოდეს არ გვაქვს სიხარულის უფლება კანონიერი ნიზეზის გარეშე, ასეთი კი საქმეებია. მანამდე, ვიდრე არ შეგვისრულებია საქმე, რომლითაც მართებულია გახარება, ყოველი სიხარული ყალბი და ბავშვურია. ამასთანავე, ასეთი სიხარული ჩვენთვის შეიძლება გახდეს მეტად საზიანო, რადგან ამაში ჩვენი მისწრაფება სუსტდება. მიზეზი: სიხარული მოსდევს სრულ დაკმაყოფილებას, დაკმაყოფილება კი ძლიერებისა და მისწრაფების მომაკვდინებელია. პირიქით, ჩვენი მოღვაწეობა, მისწრაფება, ძალ-ღონე და ძლიერება მატულობს და ძლიერდება იმ ზომით, რა ზომითაც მატულობს და ძლიერდება გასაჭირი და მოთხოვნილება.

მ. ნალბანდიანი

1054

გამარჯვების იმედი გამარჯვებას გვანიჭებს, გამარჯვებაში დარწმუნებულობა კი მას გვართმევს.

ტიტუს ლივიუსი

1055

დაბალი სული წარმატებისაგან ამაყდება, წარუმატებლობისაგან კი კნინდება.

ეპიკურე

1056

გაიმარჯვებ—გამარჯვებით ხალხში თავს ნუ მოიწონებ.

არქილოქე

1057

... ნუ აღგიტაცებს დიდება, ნურცა პირისპირ ქებანი.

არჩილი

1058

კაცს მართებს დაბლაც დახედვა,
რაგინდ მაღლამდის აროსა.
სიამპარტავნით ხარისხსა
ძირი არ განებძაროსა.

დ. გურამიშვილი

1059

ვინც გულახდილად აღიარებს, რომ მან არ იცის ის, რაც არ იცის, მაგულიანებს დავუჯერო მას ყოველივე ის, რის ახსნასაც ის დამიწყებს.

დ. დიდრო

1060

რაზომცა დიდად ბრძენ იყო, ნუ ეჭვობ სიბრძნე-სრულობას.

არჩილი

1061

რაგინდ ბრძენ იყოს მკურნალი,
კარგად ატყობდეს მაჯასა,
სხვისას შეიტყობს, თავისას
ვერას ატყობდეს ხვანჯასა. *

დ. გურამიშვილი

1062

რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯისაცა შემტყობარი.

რუსთაველი

1063

როგორც წყალი არ გროვდება მწვერვალზე, ისე არც ცოდნა აქვთ მედიდურთ. როგორც ერთი, ისე მეორე ეტანება დაბალ ადგილს.

სპარსული თქმა

1064

ჭეშმარიტ სწავლულ ადამიანებს ისევე მოსდით, როგორც პურის თავთავებს: სანამ ისინი ცარიელია, ამაყად და მაღლა სწევენ თავს; როდესაც კი მწიფდებიან და მარცვლებით ივსებიან. მაშინ იწყებენ მორცხვად თავის დახრას.

მ. მონტენი

1065

როდესაც მე ოცი წლის ვიყავი, მე ვსცნობდი მხოლოდ ჩემს თავს. ოცდაათი წლისა მე უკვე ვამბობდი: „მე და მოცარტი“,

* ხვანჯა — ხლართი, ხრიკი.

ორმოცის: „მოცარტი და მე“, ეხლა კი ვამბობ მხოლოდ: „მოცარტი“.

შ. გუნო

1066

არ არის სამარცხვინო და არ არის საზიანო არცოდნა, ყველაფრის ცოდნა არავის არ შეუძლია; სამარცხვინო და საზიანოა თავის მოჩვენება, რომ იცი ის, რაც არ იცი.

ლ. ტოლსტოი

1067

მე არ მერცხვინება გამოვტყდე იმის უცოდინარობაში, რაც არ ვიცი.

სენეკა

1068

თუ რომ არ იცი, ნუ გერცხვინება,
სხვათა კითხვისთვის არ დაიძრახო,
ამით შენ შესძლებ აუცილებლად
ჭეშმარიტ ცოდნის გზა გამონახო.

საადი

1069

ნურასოდეს ნუ დაირცხვენ იკითხო იმის შესახებ, რაც არ იცი.

არაბული თქმა

1070

ნუ ითაკილებ იკითხო—არცოდნა უფრო სათაკილოა.

იაპონური ანდაზა

1071

სჯობს ათჯერ კითხო, ვიდრე ერთხელ წახვიდე მცდარად.

ინგლისური ანდაზა

1072

თუ სახლში არავინ გყავს, კედელს მაინც დაეკითხეო.

ქართული ანდაზა

1073

თუ შენი არ იცოდე, მცოდნეს დაეკითხეო.

ქართული ანდაზა

1074

კითხვის მიცემით არა იკარგება რა.

ინგლისური ანდაზა

1075

... სოლომონმა თქვა: „ბრძენი ის კი არ ყოფილა, ვინც მარტო თავის ჭკუაზე დადის, ის ყოფილა, ვინც სხვებსაც დაეკითხება ხოლმეო".

ა. წერეთელი

1076

ცნობილ მოჰამედ ყაზალის ჰკითხეს, თუ როგორ შეიძინა მან ესოდენ დიდი ცოდნა. უპასუხა: მით, რომ, რაც არ ვიცოდი, მის კითხვას არ ვთაკილობდიო.

საადი

1077

ვინც კითხულობს იმის შესახებ, რაც არ იცის,—ბრძენია; ვინც კი ქედმაღლობით არ კითხულობს, ის თვით არის თავისი თავის მტერი.

ალიშერ ნავოი

1078

რა არის ცოდნა? თუ იცი ამტკიცე, რომ იცი, თუ არ იცი— ამტკიცე, რომ არ იცი. ესაა — ცოდნა.

კონფუცი

1079

ცოდნა, რომელიც ყოველდღიურად არ ივსება, ყოველდღე კლებულობს.

ჩინური ანდაზა

1080

ვინც არ მიდის წინ, ის აუცილებლად რჩება უკან.

ი. მიჩურინი

1081

გაჩერება უკან სვლას უდრის.

გერმანული ანდაზა

1082

შემეცნების გზაზე შეჩერება უკან დახევას ნიშნავს.

(—)

1083

ყმაწვილებო, მეცნიერება უნდა გიყვარდეთ — ადამიანებს იმაზე უფრო მძლავრი და ძლევამოსილი ძალა, ვიდრე მეცნიერებაა, არ გააჩნიათ.

მ. გორკი

1084

ცოდნა იარაღია და არა მიზანი.

ლ. ტოლსტოი

1085

არ კმარა ცოდნა, საჭიროა აგრეთვე მისი გამოყენებაც; არ კმარა სურვილი, საჭიროა აგრეთვე კეთებაც.

ვ. გოეთე

1086

აზრები, — ეს კვირტებია, სიტყვები — ყვავილებია, ნოყიერი ნაყოფი კი — მხოლოდ სასარგებლო საქმეშია.

ვ. გოეთე

1087

ადამიანი კარგ საქმეებსა და საქციელს უნდა ბაძავდეს და არა [კარგ] სიტყვებს.

დემოკრიტე

1088

სიტყვა საქმის ჩრდილია.

დემოკრიტე

1089

საქმე უმაღლესია სიტყვაზე...

გაბრ. ქიქოძე

1090

სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუაზე უზის დიდი ზღვარი.

ქართული ანდაზა

1091

თქმა სხვაა, საქმე სხვაო.

ქართული ანდაზა

1092

სიტყვა უსაქმოდ მკვდარიაო.

ქართული ანდაზა

1093

არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილასოფოსთა ბრძნობისა?

რუსთაველი

1094

სათნოება და სიბრძნე მათი გამოყენების უცოდნელად თითქოს უცხო ენას წარმოადგენენ. უსწავლელ კაცს ის არ ესმის.

ფრ. ბეკონი

1095

ადამიანი უნდა შეფასდეს არა მისი ნიჭის, არამედ ამ ნიჭის მოხმარების უნარის მიხედვით.

ფრ. ლაროშფუკო

1096

ადამიანი უნდა განვსაჯოთ
მხოლოდ ქცევისა და ღვაწლის დარად.

„რამაიანა“

1097

ცხოვრებას აცისკროვნებს
სული, საქმით მეტყველი...

ი. ჭავჭავაძე

1098

საქმემან შენმან გამოგაჩინოს.

ქართული ანდაზა

1099

უნდა რომ კაცმან იხმაროს მისი ჭკუა და გონება.

თეიმურაზ I

1100

ჭეშმარიტი ცოდნა მდგომარეობს არა ფაქტების ცოდნაში, რაც კაცს პედანტად ხდის, არამედ ფაქტების გამოყენებაში, რაც მას ფილოსოფოსად ხდის.

ჯ. ბოკლი

1101

არ გადაიქცეთ ხოლმე ფაქტების არქივარიუსებად. შეუპოვრად ეცადეთ ჩასწვდეთ მათი წარმოშობის საიდუმლოებას. დაქინებით ეძებეთ კანონები, რომლებიც მათ მართავენ.

ი. პავლოვი

1102

ცოდნისაკენ უნდა ვისწრაფოთ არა პაექრობისათვის, არა სხვების ათვალისწუნებისათვის, არა სარფისათვის, დიდებისათვის, ძალაუფლებისათვის ან სხვა რაიმე ქვენა მიზნებისათვის, არამედ იმისათვის, რომ ცხოვრებაში სასარგებლონი ვიყოთ.

ფრ. ბეკონი

1103

ცოდნათა შეძენა კიდევ არაა ადამიანისათვის საკმარისი, საჭიროა ცოდნის სარგებლით გაცემის ცოდნაც.

ვ. გოეთე

1104

მე რომ სიბრძნე იმ პირობით შემომაძლიონ, რომ ჩავიკეტო ჩემშივე და იქიდან არაფერი არ გავუზიარო სხვებს, მე უკუვაგდებდი ასეთ სიბრძნეს.

სენეკა

1105

კაცი ის არის, ჩემო ძმაო, რომელიც თავის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს, ხიდად გასდებს, რომ, თუ არ თითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს.

ი. ჭავჭავაძე

1106

ტყუილია სულთქმა, უში,
კაცი უნდა კაცად იყვეს,
სანთელივით თვით დაიწვას
და სხვას კი გზას უნათვიდეს.

ი. ჭავჭავაძე

1107

დიადი ადამიანები ემსგავსებიან მეტეორებს: გაიელვებენ, გაანათებენ, ქვეყნიერებას და იწვებიან.

ნაპალეონ I

1108

დიდი წამება დიდბუნებოვანობის ნიშანია. როგორც დიდი ძლევამოსილობა, დიდი წამება იგივ გამარჯვებაა, რომელიც წილად ხვდება ხოლმე დიდბუნებოვან კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ, რომ თვითონაც ტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს, და წამებული კი იწვის სანთელივით და სხვას უნათებს.

ი. ჭავჭავაძე

1109

ბევრი რამისგან ვიწოდი,
ვიწოდი და ცეცხლად გავხდი,
ცეცხლად გავხდი—ვანათებდი,
ვანათებდი და ვქრებოდი.

ო. თუმანიანი

1110

სანთელი ჩემი ხორცია,
სიცოცხლე — მოკლე პატრუქი;
ნათელი—ჭკუა-გონება,
იმათგან გამონაშუქი.

ა. წერეთელი

1111

რაც არ იწვის. არ ანათებს,
უჩინარად ლპება ნელა.

ა. წერეთელი

1112

მძიმე და ეკლიანი იქნება გზა მისი, ვინც ხალხის სამსახურს შესწირა თავი; ვიწროა ქვეყანა მისთვის, ვინც თავისუფლება შეიყვარა.

მ. ნალბანდიანი

1113

ხალხის პატიოსან ბელადთა თანამდებობა უაღრესად ძნელია.

მ. გორკი

1114

კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებობს ერთი კანონი: გსურს გააუმჯობესო ცხოვრება? მზად იყავ სიცოცხლე შესწირო!

ლ. ტოლსტოი

1115

ვისაც სხვების საკეთილდღეოდ სურს იცოცხლოს, მან საკუთარი სიცოცხლეც კი არ უნდა დაზოგოს.

ჟ. გიუიო

1116

სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა და მერე დედა და მამა.

ი. ჭავჭავაძე

1117

ძველად ებრაელმა ბრძენმა ჰილელმა მოგვცა ადამიანის ინდივიდუალური და სოციალური ყოფაქცევის საოცრად მარტივი და ნათელი ფორმულა: „თუ მე თვით არ ვსარგებლობ ჩემთვის,— მაშინ ვინღა არსებობს ჩემთვის? მაგრამ, თუ მე მხოლოდ ჩემთვის ვარსებობ, — მაშინ რაღად ვარსებობ?“.

მ. გორკი

1118

ყოველი ადამიანის მუდმივი მოვალეობაა—შეძლებისდაგვარად დაეხმაროს გაჭირვებულ მოყვასს, ქართველი იქნება ისა, სომეხი, რუსი, თათარი თუ სხვა.

ი. გოგებაშვილი

1119

ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულს მომავალსა ჰქმნის.

ვაჟა ფშაველა

1120

თუ თქვენ იმუშავებთ აწმყოსათვის, თქვენი მუშაობა გამოვა უმნიშვნელო... საჭიროა მუშაობა მომავლის მხედველობაში მიღებით.

ა. ჩეხოვი

1121

... საჭიროა მივილტვოდეთ იმისაკენ, რომ ცალკე ადამიანის კერძო ინტერესი ემთხვეოდეს საერთო საკაცობრიო ინტერესს.

კ. მარქსი
„წმინდა ოჯახი", M. Э. Соч., III, 160.

1122

არაფერი ქვეყნად არ ასპეტაკებს სიყრმის ასაკს ისე, როგორც მძლავრად აღგზნებული საკაცობრიო საქმე.

ა. გერცენი (მამა)

1123

საყოველთაო ინტერესი—აი სათნოების საზომი და საფუძველი.

ჰელვეციუსი

1124

აკეთე მხოლოდ ის, რაც სულიერად გამაღლებს შენ და იმავე დროს სასარგებლოა საზოგადოებისათვის.

ა. ჰენდერსონი

1125

ჩვენ გვინდა და მივისწრაფვით სკოლაში აღვზარდოთ ახალი ტიპის ადამიანი, რომელიც გამსჭვალულია კომუნისტური მორალით, რომელიც ყველა საკითხებს უდგება არა მხოლოდ თავისი პირადი ინტერესის თვალსაზრისით, არამედ საზოგადოებრიობის თვალსაზრისით.

ნ. კრუპსკაია

1126

ჯერ ერთი: არ უნდა მოიქცე განუსჯელად და უმიზნოდ. მეორეც ის, რომ საჭიროა შეფარდება მხოლოდ ერთ მიზანთან — საზოგადო კეთილდღეობასთან და არა სხვა რამესთან.

მარკუს ავრელიუსი

1127

„მაშ ვინღა არის ღირსი, რომ ჰაერი სუნთქოს და იცოცხლოს?"... ის, ვინც თავისთვინაც არის და სხვისთვინაც, ვისაც საბოლოო ესმის და აკეთებს საშვილიშვილო საქმეს.

ვაჟა ფშაველა

1128

ადამიანთა და საგანთა შესაფასებლად გონებამ იცის მხოლოდ ერთი საზომი — რეალური და მუდმივი სარგებლობა, რომელსაც მათგან ადამიანთა მოდგმა ღებულობს. ადამიანთათვის სარგებლობის მომტან ყოველ ადამიანს უფლება აქვს მათგან პატივისცემაზე.

პ. ჰოლბახი

1129

ვინც მხოლოდ თავის თავისთვის ცხოვრობს, ის ქვეყნად ცხოვრების ღირსიც არ არის.

პ. მეტასტაზიო

1130

ვისაც აწმყოში წილი არ უდევს, იმას მომავალი აღარ ერგება და არც წარსულს უნდა ეპოტინებოდეს.

ა. წერეთელი

1131

... ჭეშმარიტი ღონე და ძლიერება იმაშია, რომ ადამიანებს მოვუტანოთ სარგებლობა და არა ზიანი. მთავარი ადამიანში კი — კეთილი განზრახვებია.

ფ. როხასი

1132

სიბრძნე ხელოვნებისა და სიბრძნე მეცნიერებისა მდგომარეობს ადამიანთა სასარგებლოდ უახგარო სამსახურში.

ჯ. რიოსკინი

1133

...ბავშვებო... თქვენ ყველამ კარგად უნდა გაიგოთ, რომ სწავლობთ არა მარტო თქვენი თავისათვის, არა მხოლოდ იმისათვის, რომ თქვენი ნათესავები და თქვენი ტომის ადამიანები გაათავისუფლოთ დედამიწის დახავსებულობის ტყეობიდან,— თქვენ სწავლობთ იმისათვის, რომ თქვენი თავისუფალი ენერგია დედამიწის მთელი მშრომელი ხალხის მუშაობაში ჩააქსოვოთ. მსოფლიოზე მშრომელთა ძალა-უფლების მოსაპოვებელ მუშაობაში, მუშაობაში მჩაგვრელთა, მტაცებელთა, პარაზიტთა მოსასპობად.

მ. გორკი

1134

... ძვირფასო მასწავლებელნო და საყვარელო მოსწავლენო!.. ბევრი ფრონტია ომში, მაგრამ ყველაზედ დიადი — თქვენია, იმიტომ რომ თქვენ იბრძვით ნათელი იდეებისათვის, რომლებმაც უნდა მოუტანონ ერებს ძმობა და სოლიდარობა, თანასწორობა, სინათლე და სამართლიანობა. თქვენ უნდა იბრძოლოთ. რომ ხალხებს მხრებიდან მოხსნათ ტანჯვა და სიღატაკე.

ო. თუმანიანი

1135

სწავლაში, შრომაში, მეცნიერებაში, ხალხისადმი თავდადებულ სამსახურში შენ ჰპოვებ შენს ბედნიერებას.

ნ. ზელინსკი

1136

ისტორია დიდ ადამიანად აღიარებს იმათ, რომლებიც მუშაობენ საერთო მიზნებისათვის.

კ. მარქსი

К. Маркс и Фр. Энгельс, Из ранних произведений, стр. 3, 1956.

1137

დიად ადამიანთა დამახასიათებელი ნიშანთვისება,—ეს მათი გენიისა და ნიჭის საერთო კეთილდღეობისათვის გამოყენებაა.

პ. ბუასტი

1138

ქვეყნის სამსახურისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა საფუძვლიანი განათლება, მრავალგვარი ცოდნა.

ი. გოგებაშვილი

1139

ყველა თქვენს ნიჭსა და ცოდნას უცქირეთ, როგორც სხვებისათვის დასახმარებელ საშუალებას.

ჯ. რიოსკინი

1140

ზეშთაგონებულ პიროვნებებს სულ მუდამ ჰგონიათ, რომ მათ კიდევ ცოტა მოასწრეს გაეკეთებინათ თავიანთვის და ქვეყნისათვის: მათ სურთ: თითოეულ წუთში, თითოეული თავისი ამოსუნთქვით ჰქმნიდნენ ბედნიერებას, განამტკიცებდნენ ქვეყნად რაიმე ამაღლებულ იდეას.

ბ. აუერბახი

1141

... საზოგადო ასპარეზზე მოქმედი ადამიანი მხოლოდ მაშინ ეწევა გულის წადილს და იმარჯვებს, როდესაც მას გამორკვეული აქვს გზა ცხოვრებისა და შემუშავებული აქვს გეგმა და პროგრამა მოქმედებისა, ერთი სიტყვით აღჭურვილი არის ნათელი, განსაზღვრულის მიმართულებით, და ამასთან ერთად მხნედ ახორციელებს ამ თავის მიმართულებას, პროგრამასა.

ი. გოგებაშვილი

1142

ცხოვრებაში წარმატებას აღწევს ის, ვინც. დაისახა რა თავისთვის უდიდესი ამოცანები, იცის მათკენ მიმავალი გზის ეტაპებად დაყოფა, რომ თვალი ადევნოს მას, თუ რამდენად შესძლო მან თითოეულ ეტაპის მანძილზე შორეულ მიზნისაკენ მიახლოება.

კ. ტიმირიაზევი

1143

ადამიანი ვალდებულია აძლიოს საზოგადოებას თავისი ცოდნა, ნიჭი, ხელოვნება, დახმარება. რომ ხელი შეუწყოს

ადამიანთა ერთობის მიზანს. ის უნდა იჩენდეს თავის მახლობელთა მიმართ სამართლიანობას, კეთილისმყოფელობას, შემწყნარებლობას და სიყვარულს: ერთი სიტყვით, მან უნდა გაჩოიჩინოს მათ მიმართ ის სათნოებანი, რომლებსაც ის თვით საჭიროებს მათგან საკუთარი ბედნიერებისათვის.

პ. ჰოლბახი

1144

რად მინდა გრძნობა, თუ არავის გავუზიარებ?
რად მინდა ცოდნა, თუ მეგობარს არ მივეც რჩევა?

ა. წერეთელი

1145

ჭირში მოძმეთ არ ვუშველოთ?
მაშ ცოცხალნი რისთვისა ვართ,
თუ ბრძენი ხარ, სწავლა მომე,
თუ ჩვენ ვიცით, თქვენთვისა ვართ.

იეთიმ გურჯი

1146

ტალანტის, ქველობის და ყოველგვარი ჩვენი ნიჭის ნაყოფები უფრო ტკბილად გვეჩვენება, როდესაც მათ სხვა ვინმეს ვუზიარებთ.

ციცერონი

1147

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

ნ. ბარათაშვილი

1148

კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, —
აბა მე დღეს ვის რა ვარგე?

ი. ჭავჭავაძე

1149

არ მოკვდება, ვისაც კარგი საქმე შეუძლია,
კარგ წარსულით უკვდავსა ჰყოფს იგი თავის სახელს.

სიადი

1150

დარჩება კვალი მას უნათლესი,
ქვეყნის სამსახურს თავს ვინც შეალევს.

ა. აბაშელი

1151

ვინც იცოდა ქვეყნისთვის
ბრძოლა და გამარჯვება,
ის უკვდავად მარადის
ხალხის გულში დარჩება.

ა. აბაშელი

1152

ვინ დაკარგულა უკვალოდ
მშობელ მიწისთვის მშრომელი?

ა. აბაშელი

1153

„ადამიანის“ მაღალი წოდების ტარების ღირსია ის, ვინც არასოდეს არ სტოვებდა თავის ზრუნვას ხალხზე.

ალიშერ ნავოი

1154

თუ სახელის შოვნა გინდა,
დღეს ისეთი ნერგი დარგე,
რომ ხვალემა მადლობით სთქვას:
ნანერგითა შენით მარგე.

ი. ჭავჭავაძე

1155

დიდებას ეძებთ? კეთილი ჰქმენით.

გრ. ორბელიანი

1156

კაცი უნდა ერთი რამით
ამ სოფელში ანათებდეს,

ჭკუით, ენით ანუ ხელით
კეთილ საქმეს აკეთებდეს.
სწავლა-განათლების გზაზე
ყველას იქით აქეზებდეს,
უკვდავ ძეგლსა თავის ხელით
სიცოცხლეში აშენებდეს.

იეთიმ გურჯი

1157

კაცი ის არის, ვინც არის
ზეგარდმო მადლით ცხებული,
მხოლოდ მის ღვაწლი არს კეთილ,
მით მხარე დამშვენებული.

გრ. ორბელიანი

1158

ჩვენ მოცემული გვაქვს ხანმოკლე სიცოცხლე—დავსტოვოთ მაინც რაიმე, როგორც საბუთი იმისა, რომ გვიცხოვრია.

პლინიუს უმცროსი

1159

სანამ ცოცხალნი ვართ, ვეცადოთ, რომ სიკვდილს დარჩეს რაც შეიძლება ნაკლები იმისა, რის განადგურებაც მას შეუძლია.

პლინიუს უმცროსი

1160

ხანმოკლე სიცოცხლე ჩვენ მოცემული გვაქვს ბუნებისაგან, მაგრამ კარგად გატარებულ სიცოცხლეზე ხსოვნა სამარადისოდ რჩება.

ციცერონი

1161

ცუდია ავადმყოფობა, უფრო ცუდია სიკვდილი, მაგრამ ავადმყოფობა და სიკვდილი იმ ფიქრით, რომ შენს შემდეგ არაფერი არ დარჩება ქვეყნად,—ყველაზედ უარესია.

ბ. ბელინსკი

1162

[უნდა] გააკეთო რაიმე სასარგებლო ადამიანთათვის, არ

განვლო ცხოვრება ამაოდ, თუნდ ოდნავ მაინც წასწიო კაცობრიობა წინ.

კ. ციოლკოვსკი

1163

მოხუცებულობაში არ არსებობს იმაზედ უკეთესი ნუგეში, როგორც შეგნება, რომ შესძლე სიყრმის მთელი ძალა განგეხორციელებია ისეთ ქმნილებებში, რომლებიც არ ბერდება ადამიანთა მსგავსად.

ა. შოპენჰაუერი

1164

უძვირფასესი, რაც კი ადამიანს აქვს — ეს სიცოცხლეა. ის ენიჭება მას ერთხელ, და ისე უნდა იქნეს ის განვლილი, რომ არ გრძნობდე მწვავე ტკივილს გატარებულ წლებისათვის, რომ არ გწვავდეს სირცხვილი გათახსირებულ და წვრილმანურ წარსულისათვის და სიკვდილისას შეგეძლოს სთქვა: მთელი სიცოცხლე და მთელი ძალები შევწირე ყოველივეზედ მშვენიერს სამყაროში — ბრძოლას კაცობრიობის განთავისუფლებისათვის.

ნ. ოსტროვსკი

1165

სიკვდილის შემდეგ ადამიანი ცოცხლობს მხოლოდ დედამიწაზე.

ა. ბარბიუსი

1166

ყველა ადამიანი მონაწილეობს ისტორიის შექმნაში, მაშასადამე თითოეული ჩვენთაგანი, თუნდაც მცირეოდენი წილით, ვალდებულია ხელი შეუწყოს მის სილამაზეს და ხელი შეუშალოს მის მეტის მეტ უმსგავსობას.

ჯ. ლეზეტრი

1167

ადამიანი თავის ბუნებით—ხელოვანია. ის ყველგან, ასე თუ ისე, მიისწრაფვის ცხოვრებაში სილამაზე შეიტანოს.

მ. გორკი

1168

რა სარგებლობაა იმაში, რომ ღრმა მოხუცებულობაში და უსახელობის სიბნელეში დაამთავრო ხანგრძლივი სიცოცხლე. კეთილი საქმეებით მაღალი ქების მწვერვალზე ასასვლელად და სახელოვანი სიკვდილისათვის დაბადებულა ადამიანი.

ფ. ლომონოსოვი

1169

.... ვისაც უქმად ეს სიცოცხლე უტარებია,
მისგან იმდენი დარჩენილა კვალი ამ ქვეყნად,
რამდენსაც კვამლი ან ზღვის ქაფი დასტოვებს ხოლმე.

დანტე

1170

ქვეყნის ურგებსა, უსაქმურს კაცსა, —
ვიტყვი დიაცებრ: მეხი კი ეცა!

ვაჟა ფშაველა

1171

ბევრი დადის არა კაცი,
მეტხორცი და ტყვილი ბარგი,
ხალხისათვის უვარგისი,
ამ ქვეყნიდან ასაბარგი.
ტყვილად სცვეთავს სიცოცხლესა,
არა გააკეთა კარგი,
იქ, მიწაში, მკვდრებს აკლიათ,
ცოცხლებშია დასაკარგი.

იეთიმ გურჯი

1172

სკოლამ ყმაწვილი ცხოვრებისათვის უნდა მოამზადოს.

ი. გოგებაშვილი

1173

ჩვენ არ ვიწამებდით სწავლას, აღზრდას და განათლებას,

რომ ის მხოლოდ სკოლაში ყოფილიყო ჩაკეტილი და მშფოთვარე ცხოვრებას მოწყვეტილი.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 354.

1174

... ორივე სქესის ბავშვებისა და მოზარდი ახალგაზრდობის საზოგადოებრივი წარმოების დიდ საქმეში ჩაბმა,—ჩვენ პროგრესულ, ჯანსაღ და კანონიერ ტენდენციად მიგვაჩნია...

კ. მარქსი
კ. მარქსი, „ინსტრუქცია დრ. ცენტრ. საბჭოს ტელეგატებს". M. Э. Соч. XIII. ნაწ. I, გვ. 198, 1936.

1175

საღი, პრაქტიკული აზრის მქონე ადამიანი უფრო სწრაფად იპოვის გამოსავალს არსებობისათვის ბრძოლაში, ვიდრე ის, ვისი თავიც უამრავ ენციკლობედიური ცოდნითაა გაჭედილი.

(—)

1176

განათლება მარტო მაშინ არის კარგი და მხოლოდ იმისთანა განათლება არის კარგი, რომელიც აღამაღლებს და გააკეთილშობილებს კაცსა ყოველის მხრით, და არა მხოლოდ ერთსა თუ გინდ უმაღლესსა მისსა ბუნების მხარესა.

გაბრ. ქიქოძე

1176-ა

ცხოვრებისა და პრაქტიკის თვალსაზრისი შემეცნების თეორიის ძირითად და უპირველეს თვალსაზრისად უნდა იქცეს.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 14, გვ. 241.

1177

პრაქტიკა — ჭეშმარიტების კრიტერიუმია.

ვ. ვილიამსი

1178

მე ვერ წარმომიდგენია წმინდა აკადემიური მეცნიერება, — ისეთი, რომლის გამოყენება არ შეიძლებოდეს პრაქტიკაში.

ვ. ვილიამსი

1179

ადამიანმა პრაქტიკაში უნდა დაამტკიცოს თავისი აზროვნების ჭეშმარიტება, ე. ი. სინამდვილე და ძალა, მისი გამოღმურობა. კამათი პრაქტიკიდან გამოთიშული აზროვნების რეალობის და არარეალობის შესახებ წმინდა სქოლასტიკური საკითხია...

კ. მ ა რ ქ ს ი
„თეზისები ფეიერბახის შესახებ".
რჩ. ნაწ., გვ. 422.

1180

მეცნიერება — კაპიტანია, პრაქტიკა კი — ჯარისკაცები.

ლ ე ო ნ ა რ დ ო დ ა ვ ი ნ ჩ ი

1181

... თეორიული მუშაობა, მხოლოდ პასუხს იძლევა იმ კითხვებზე რომლებსაც პრაქტიკა აყენებს.

ვ. ლ ე ნ ი ნ
თხზ., ტ. 1, გვ 352.

1181-ა

თეორია თავისთავად არაფრის მაქნისია, ის საჭიროა იმდენად, რამდენადაც გვარწმუნებს მოვლენათა კავშირში.

ვ. გ ო ე თ ე

1182

ცოდნა მხოლოდ მაშინ არის მაორგანიზებელი და გადამწყვეტი ძალა, როცა იგი კომპლექსურ ცოდნას წარმოადგენს, ე. ი. ახსნის ცხოვრების ყველა ფაქტისა და მოვლენის მიზეზებს, კავშირს, ურთიერთმოქმედებასა და აზრს.

მ. გ ო რ კ ი

1183

როდესაც ცოდნაში სარგებლობა არაა, მაშინ არც ცოდნაა სასიხარულო.

ს ო ფ ო კ ლ ე

1184

დიდი ჭკუა და მაღალი ნიჭი ყოვლად გამოუსადეგარია, თუ ადამიანი კეთილად არ ხმარობს! რუსთაველს რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ არ ეანდერძებია ჩვენთვის, მას გენიოსობა ისე ჩაჰყვებოდა საფლავში, როგორც დაჰყვა თან და ემსგავსებოდა იმ საიგავო მონასა, რომელმაც მინიჭებული მისდამი ქანქარი მიწაში ჩამარხა უსარგებლოდ.—დიახ, კაცს განყენებული ჭკუა და ნიჭი კი არ ამაღლებს ქვეყნის თვალში, მხოლოდ შრომა და ნაღვაწი კეთილად მოძღვნილი ერისათვის, ესე იგი ქვეყნისათ-ვის.

ა. წერეთელი

1185

ვინც სიცოცხლით ქვეყანას არაფრით არ არგია,
გულით არვინ იტირებს!.. ის ეშმაკის ბარგია!..

ი. კრილოვი

1186

ჩემის აზრით უვარგისია ის ნიჭი, რომლისგანაც ქვეყანას სარგებლობა არა აქვს, თუნდ ზოგჯერ ის ქვეყანას კიდეც აოცებდეს!

ი. კრილოვი

1187

... ნიჭი, ქვეყნისთვის ურგები,
ჭკნება დღითი-დღე დასუსტებული,
როს ეუფლება მას სიზარმაცე
და არ საზრდოობს მოღვაწეობით.

ი. კრილოვი

1188

არაფრის წარმომშვები მეცნიერი ემსგავსება ღრუბელს, რომელიც წვიმას არ იძლევა.

აღმოსავლური თქმა

1189

ვინც შეიძინა ცოდნა და ვერ შესძლო მისი გამოყენება, ის ემსგავსება გლეხს, რომელმაც მოხნა ყანა და ვერ დათესა.

ალიშერ ნავოი

1190

ორმა ვინმემ ამაოდ იშრომა: ერთმა, რომელმაც სიმდიდრე შეიძინა და მით ვერ ისარგებლა: მეორემ, რომელმაც ცოდნა შეიძინა და საქმეში ვერ გამოიყენა.

საადი

1191

კაცი, რომელსაც მეტად ჭკვიანად მოაქვს თავი, მაგრამ არავითარი ნიჭი არ გამოუჩენია, ემსგავსება კაცს, რომელიც თავის კეთილშობილ წარმოშობას ამტკიცებს და არა აქვს საამისო დამადასტურებელი საბუთები. საზოგადოება სცნობს და პატივსა სცემს მხოლოდ იმ ღირსებებს, რომლებიც დამტკიცებულია საქმით.

კლ. პელვეციუსი

1192

სულ ამაოა ცოდნა და სწავლა,
თუ არ ეღირსათ გამოჩინება.

საადი

1193

ოსტატობის დამადასტურებელი—მხოლოდ ნამოქმედარია.

ფ. ებნერ-ეშენბახი

1194

საქმენმან შენმან გამოგაჩინოს.

ქართული ანდაზა

1195

ძნელია არ გადაგავიწყდეს ის ცნობები, რომელთაც გამოყენება არა აქვთ.

პლინიუს უმცროსი

1196

უვიცობა ღამეა გონების,
ღამე უმთვარო და უვარსკვლავო.

ციცერონი

1197

უვიცობა — ქვეყნიერების ერთ-ერთი
უდიდესი უბედურებათაგანია.

მ. გორკი

1198

არაფერი არ აბრკოლებს ცხოვრების
ნაკადს ისე, როგორც უვიცობა.

ნ. ლობაჩევსკი.

1199

ძირს უვიცობის ბორკილები!

ვ. მაიაკოვსკი

1200

კაცობრიობის მეგობარი ყველგან
ნაღვლით ამჩნევს უვიცობის მომაკვდი-
ნებელ სამარცხვინოებას

ა. პუშკინი

1201

რა ძლიერია ჯერ კიდევ სიბნელის ძალა, რა შორსაა ჯერ კიდევ ადამიანი იმისაგან, რომ სავსებით ღირსი იქნეს თავისი მაღალი წოდებისა! აი საკითხი, რომელიც აღიზიანებს მგრძნობიარე ადამიანის იარებს.

მ. ნალბანდიანი

1202

რამდენადაც უფრო სრულყოფასთან ახლოა არსი,
მით უკეთა ჰგრძნობს ბოროტებას და სიკეთესა.

დანტე

1203

ვაი ჭკუისაგან.

ა. გრიბოედოვი

1204

დარდს რომ ცეცხლივით კვამლი სდიოდეს,
ბნელს მიეცემა ქვეყანა მარად.
ვერ ნახავ ჭკვიანს, რომ დადიოდეს,
და არ ჩიოდეს დარდსა და ვარამს.

შაჰიდ ბალხელი

1205

სწავლულობა სიძნელეებს ჰქმნის.

კვინტილიანე

1206

დიდ სიბრძნეს მუდამ თან ახლავს დიდი უკმაყოფილებაც: ვინც თავის ცოდნას ადიდებს, ის ამით თავის ტანჯვასაც ადიდებს.

სოლომონ ბრძენი

1207

შორსმჭვრეტელი და ბრძენი იყო ეს ადამიანი [ლენინი], ხოლო „დიდ სიბრძნეში დიდი დარდია".

მ. გორკი

1208

ვინც მეტი იცის, ის მეტადაც იტანჯება. ხე მეცნიერებისა ხომ არ არის ხე სიცოცხლისა?

ჯ. ბაირონი

1209

საბრალო არის ვისაც აქვს
ჭკუა, გრძნობა და გონება...

ა. წერეთელი

1210

ვერას გიშველის შენ ამაო ოხვრა-გოდება,
შეგნებულ პირებს ქვეყნად ტანჯვა არ აშორდება.

ომარ ხაიამი

1211

ვინც ერისთვის სტირის, გლოვობს,
მას ცრემლი არ შეაშრება...

იეთიმ გურჯი

1212

კარგია, გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არ სძინავს ქვეყნის უბედურობით გულაღტკინებულსა!

ი. ჭავჭავაძე

1213

ყოველთვისა და ყოველგან, ყოველ ხალხში შეუგნებელი და უმეცარი მეტია შეგნებულზე და ბევრჯელ-კი ამ უმეტესობის დაუთანხმებლად საქმე არა სწყდება. საჭირო არის ხოლმე მოფიქრებულის თავშეკავებულობითა და ნელ-ნელა მისი მომზადება.

ა. წერეთელი

1214

ყოველ ქვეყანაში და ყოველ დროში მოაზროვნე ადამიანთა რიცხვი მეტად განსაზღვრული იყო.

ა. ფრანსი

1215

ცოდნას, გარდა უვიცობისა, სხვა მოძულე არა ჰყავს.

ფრანგული ანდაზა

1216

იცოდეთ, რომ უგნურს ასჯერ უფრო მეტად ეზიზღება ჭკვიანი, ვიდრე ჭკვიანს უგნური.

საადი

1217

ყველა გონებაშეზღუდული ადამიანი მუდამ სცდილობს სახელი გაუტეხოს საფუძვლიანი და ფართო გონების ადამიანებს.

კლ. ჰელვეციუსი

1218

სწავლა და ცოდნა, რაც კი ამ ქვეყნად
ჰკუა გონების განაწონია,
ბრბოს სათვალთმაქცო და საგრძნეულო
მიუწვდომელი რამე ჰგონია.

ა. წერეთელი

1219

საშინელება იქნებოდა, რომ უვიცობა და პატივმოყვარეობა გონიერებაზე უფრო ძლიერი აღმოჩენილიყო.

მარკუს ავრელიუსი

1220

არაფერი არ ვნებს კაცს ისე, როგორც უვიცობა.

სოფოკლე

1221

უმეცრებაა ჩვენი საშინელი მტერი.

ი. ჭავჭავაძე

1222

მიზეზთა მიზეზი ყოველ უბედურებისა ეგ უვიცობაა, ეგ ცოდნის უქონლობაა.

ი. ჭავჭავაძე

1223

ჩვენს დროში კაცი, მოკლებული სწავლასა, საცოდავ კაცად ითვლება, ხოლო უმეცრება — ყოველივე ბოროტების წყაროდ.

გაბრ. ქიქოძე

1224

უვიცობა — ყველა ბოროტებათა დედაა.

მ. მონტენი

1225

არა ზღვები ჰყოფენ ხალხებს, არამედ უვიცობა, არა ენის სხვაობა, არამედ მტრული ურთიერთობა.

ჯ. რიოსკინი

1226

ტომებსა და ხალხებს არაფერი არ თიშავს ისე, როგორც უვიცობა.

ი. გოგებაშვილი

1227

უთანხმობაა მიზეზი საერთო უძლურებისა,
და უძლურება — ნაყოფი პირუტყვულ უმეცრებისა.

ი. კრილოვი

1228

უცოდნოდ კაცი იგივეა, რაც ჯარისკაცი უდაშნოდ, ან ყანა უწვიმრად; ის ემსგავსება უბორბლო ურემს, უკალმო მწერალს.

აბრაჰამ ა სანქტა კლარა

1229

თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.

დ. გურამიშვილი

1230

უცოდინრობა ავია, მაქვს მისი გამოცდილობა,
ჩემსავით სიცხით ნუ იწვით, მონახეთ ნიავ-ჩრდილობა.

დ. გურამიშვილი

1231

სიბრძნეს ეცადე, სიბრძნითა პატივი მოიგებიან,
უცოდინარნი ჭაბუკნი ჩალად არ ეღირებიან.

ქილილა და დამანა

1232

საქმეს ვერ წასწევს ბევრი ცრემლი და მწუხარება,
სევდა მას დასძლევს, ვინაც ცოდნას არ ეკარება.

ომარ ხაიამი

1233

კაცმან საქმე მოაგვაროს, ვეჭვ * ჭმუნვასა ესე სჯობდეს.

რუსთაველი

1234

ქვეყანა — მშვენიერი წიგნია. მაგრამ უსარგებლო მისთვის, ვინც კითხვა არ იცის.

კ. გოლდონი

1235

როგორ შეუძლია სამეცნიერო წიგნების უცოდინარ კაცს

* ვ ე ჭ ვ — ეფიქრობ, გუმანში მაქვს.

გაარჩიოს მადლი ცოდვისაგან? განა ბრმას უნარი აქვს გამოიცნოს სად არის სილამაზე და სად სიგონჯე?

„შუქასაპტატი"

1236

დიდი და მცირე სწორად უჩს* უმეცარსა, ვითა ბრმისა თუალსა დღე და ღამე სწორე არს.

„ვისრამიანი"

1237

სინათლის წყარო — მზე ამ ქვეყნად მანათობელი,
ღამურის თვალში არის მხოლოდ მახინჯი, ბნელი.

საადი

1238

რადგან ღამურა დღისით არის თვალდაბურვილი,
განა იმაში მზის თვალს რამე ბრალი ედება?!

საადი

1239

თვალით უსინათლო სჯობია თავით უგუნურსაო.

ქართული ანდაზა

1240

ვინც სიბნელეს ვერ ამჩნევს, ის არასოდეს სინათლისაკენ პირს არ იზამს.

ჰ. ბოკლი

1241

უვიცს ყველაფერი შესაძლებლად მიაჩნია.

ქრ. ვილანდი

1242

თუ ყველაფერი იოლად ჩანს, ეს უცდომლად ამტკიცებს, რომ მუშაკი ძალიან ნაკლებად არის დახელოვნებული და რომ სამუშაო მის გაგებას აღემატება.

ლეონარდო და ვინჩი

---

* უჩს — ეჩვენება, მიაჩნია.

1243

ვინც არაფერი არ იცის, მას ყველაფერი უნდა სწამდეს.

მ. ებნერ-შენბახი

1244

ვინც არაფერი არ იცის, მას ყველაფერი სჯერა.

იტალიური ანდაზა

1245

მხოლოდ ისაა თავისუფალი, ვინც დამოუკიდებლად აზროვნებს და არ იმეორებს სხვის სიტყვებს, რომელთა აზრი მას არ ესმის.

ბ. აუერბახი

1246

...ტვინთხელობა, რომელიც საკუთარ ტვინს მოკლებულია, სხვითი სცხოვრობს და მარტო ბაძვით სულდგმულობს.

ი. ჭავჭავაძე

1247

საკუთარი ჭკვიანური სიტყვის მოფიქრება და თქმა მეტად ძნელია, სხვისი სიტყვის განმეორება, მისი აზრის მიუხვედრელადაც კი, — მეტად ადვილი.

ა. პისემსკი

1248

ვინც სხვის სიტყვებს (შეუმოწმებლად) გაიმეორებს დაბეჯითებითა და სარწმუნოდ, ის ან უიმედოა საკუთარ ჭკუაგონებაზე და ან განზრახ იმეორებს და ცუდი კაცია.

ა. წერეთელი

1249

სხვისი სიტყვებით დიდის ცოდნით ვერ აღივსები.
სხვის სამოთხეში გინდ შესულხარ, გინდ ნუ იქნები.

ომარ ხაიამი

1250

ბევრი ადამიანი ემსგავსება ძეხვს: რითაც მათ გამოსტენიან, ისინიც მას ატარებენ ხოლმე თან.

კოზმა პროტკოვი

1251

ბრიყვი, მაშინაც კი, როდესაც ახველებს, ვინმეს ბაძავს.

ვ. კრაჩკოვსკი

1252

ბრძენი სიზმარსაც ბრძნულს ნახულობს, სულელი კი ძილშიაც სულელურად იქცევა.

ვ. კრაჩკოვსკი

1253

უვიცი არ გრძნობს, რომ ის იკვებება მეცნიერებათა ნაყოფებით, და დაბრმავებული ლანძღავს მეცნიერებას, სწავლას და მეცნიერულ შრომებს.

ი. კრილოვი

1254

უბადრუკი ადამიანი ლანძღავს ყველაფერს, რაც კი მის გონებას აღემატება.

ფრ. ლაროშფუკო

1255

ყველაზედ მკაცრი კრიტიკოსები ისინი არიან ხოლმე, რომელთაც თვით არასოდეს არაფერი არ დაუწერიათ, ან რომელთა ნაწარმოებებმა მარცხი განიცადა.

უ. პეზლიტი

1256

მწერალი, რომლის ნაწარმოებებს წარმატება არ ხვდა, ადვილად ხდება ღვარძლიან კრიტიკოსად: ასევე სუსტი და უგემური ღვინო შეიძლება საუცხოო ძმრად იქცეს.

(—)

1257

კრიტიკა თითქმის ისეთივე მეცნიერებაა, როგორც მათემატიკა, და თხზულების გაკრიტიკებაც იგივეა, რაც ამოცანის ამოხსნა; განა შეიძლება მათემატიკოსი ეწოდოს მას, ვინც არასწორად ხსნის ამოცანას, და კრიტიკოსი მას, ვინც არაობიექტურად აფასებს თხზულებას?

ნ. ბესტუჟევი

1258

ბევრი ზიანი მოაქვს, როდესაც უვიცი არა თავის საქმეში ეჩრება და მეცნიერის შრომების გასწორებას ჰკიდებს ხელს.

ი. კრილოვი

1259

როდესაც რომელიმე სულელს სურს გაჭირვებიდან გამოიყვანოს გენიოსი, — ამაზე უფრო სასაცილო და უშვერი არაფერია.

დ. დიდრო

1260

პირუტყვია, თუ გამაგრდა კაცის შუბლზედ კანი,
ნეტა სწავლას რით იჩემებს, ვისაც უჭირს „ანი“?

ა. წერეთელი

1261

მეტად არასაკადრისია, როდესაც ყმაწვილები ასწავლიან მოხუცთ, უვიცები — სწავლულთ, სულელნი — ბრძენთ.

ვარდან აიგეკაცი

1262

უცები * რასაც გიმოყვრებს, ვით ბზე ნარევი მტვერია,
უნდა თუ გარგოს, რას გარგებს? თუ გარგო, არაფერია!

„ქილილა და დამანა“

1263

რა არის მეცნიერება? რომ დარწმუნდეთ მისი უარყოფის სრულ უაზრობაში, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ მეცნიერება არის მხოლოდ და მხოლოდ ცოდნის უმაღლესი განვითარება. ამრიგად, თუ უარვყოფთ მეცნიერებას, მასთან ერთად უნდა უარვყოთ ყოველგვარი ცოდნაც.

ჰ. სპენსერი

1264

უვიცობას ყოველთვის უფრო მეტი გულდაჯერებულობა აქვს, ვიდრე ცოდნას, და მხოლოდ უვიცებს შეუძლიათ დარწმუ-

* უ ც ე ბ ი — უმეცარი, უცოდნელი, უჰკუო.

ნებით მტკიცება, რომ მეცნიერებანი ვერასოდეს ვერ შესძლებენ ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტას.

ჩ. დარვინი

1265

უმეცრებასავით თამამი არა იქნება რა.

ვაჟა ფშაველა

1266

არიან ხოლმე ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩინებულად იცნობენ ფრინველს, თუ მათ უნახავთ კვერცხი, საიდანაც ეს ფრინველი გამოიჩეკა.

ბ. ბაინე

1267

ყოველი გიჟი და ჭკუასუსტი დარწმუნებულია, რომ კეთილგონიერი ადამიანები, რომლებიც მათ გებულობენ და ჭიცხავენ, — სულელები არიან.

ფ. ნორდაუ

1268

ადამიანში მე ეგ სენი ყოველთვის მძულდა,
სხვები ჭგონიათ ხშირად შემცდარი,
საქმეს რომ ჭიდებს ხელს უმეცარი,
ორწილად მეტად აფუჭებს მუდამ.

ი. კრილოვი

1269

ჩვენ კარგად ვიცით, რომ შეცდომებს უფრო ადვილად იპოვი სხვების ნაწარმოებებში, ვიდრე საკუთარში, და ხშირად, როდესაც კიცხავ სხვების მცირე შეცდომებს, შენ ველარ ხედავ შენს დიდს შეცდომებს.

ლეონარდო და ვინჩი

1270

სხვის მომზირალი თავისას ავს ვერას დაინახავსა.

არჩილი

1271

თავის მარცხს კაცნი ვერ ვიტყვით,
ჩქარა ვიუბნებთ * სხვისასა.

ვაჟა ფშაველა

1272

ურცხვინო არის, ვინ სიტყვა მოყვისისა არ დაიმარხოს**,
თვისი აუგი *** არად სჩნდეს და სხვისა მალ დაინახოს.

არჩილი

1273

უფრო ადვილია მცდარობის გაგება, ვიდრე ჭეშმარიტების აღმოჩენა; პირველი ზედაპირზეა და მას ადვილად დასძლევ, მეორე კი ღრმადაა ჩამალული და მისი გამოკვლევა ყველასათვის არაა მისაწვდომი.

ვ. გოეთე

1274

მცდარობა ისე ახლოს მეზობლობს ჭეშმარიტებასთან, რომ ბრძენი უნდა უფრთხოდეს ესოდენ სახიფათო სიახლოვეს.

ციცერონი

1275

სიბრძნე ერთია, მისი მსგავსება კი — უამრავი.

მირზა-შაფი

1276

კრიტიკა ადვილია, ხელოვნება კი — ძნელი. ****

ფ. დეტუში

1277

შეცდომათა ქექვაში ჰკარგავენ დროს, რომელიც შესაძლოა გამოეყენებინათ ჭეშმარიტების აღმოსაჩენად.

ვოლტერი

1278

უმჯობესია ჰკიცხო საკუთარი შეცდომები, ვიდრე სხვისი.

დემოკრიტე

---

* ვიუბნებთ — ძვ. ვლაპარაკობთ, ვამბობთ.
** დაიმარხოს — დაიმახსოვროს.
*** აუგი — ცოდვა, მანკი, ნაკლი, საძრახავი რამ.
**** ამ ციტატს ხშირად შეცდომით მიაწერენ ხოლმე ნ. ბუალოს.

1279

უვიცს დიდი უპირატესობა აქვს განათლებული ადამიანის წინაშე: ის მუდამ კმაყოფილია თავის თავით.

ნაპოლეონ I

1280

თვითკმაყოფილება და თავის თავზე დიდი წარმოდგენა — უბედურებაა: ისინი გვაქცევენ ჩვენ სულელებად.

კ. ლიბკნეხტი

1281

კმაყოფილება კაცის მომადუნებელი სენია...

ი. ჭავჭავაძე

1282

რაც უფრო ნაკლები იცი, მით უფრო ნაკლებად ეჭვობ; რაც უფრო ნაკლები აღმოაჩინე, მით უფრო ნაკლებს ხედავ აღმოსაჩენს.

ა. ტიურგო

1283

ადამიანის ცოდნა ყოველთვის საკმაოა, თუკი მას არაფრის გაკეთება არ შეუძლია.

ა. დე კიუსტინი

1284

ცოტა ცოდნა კი არაა საჭირო სხვების წინაშე საკუთარი უცოდინარობის დასაფარავად.

მ. ებნერ-ეშენბახი

1285

ადამიანი, რომელსაც შეუძლია თავისი სისულელის დაფარვა, სჯობს ადამიანს, რომელსაც სურს თავისი სიბრძნის გამოჩენა.

აღმოსავლური თქმა

1286

უვიცი ემსგავსება დოლს, რომელიც დიდ ხმაურს თავისი სიცარიელის გამო წარმოშვებს ხოლმე.

ჰინდური თქმა

1287

ორმოცკოკიანი ჭური ცარიელი კაცმა ნახა;
რაც ჩასძახა, მოვჰკარ ყური, რომ ჭურმაც ის ამოსძახა.
და მაშინვე მომაგონდნენ ზოგიერთი ყმაწვილები,
რასაც კი გაიგონებენ, ჰყვირიან დალოცვილები!..

ა. წერეთელი

1288

ცარიელი ჭურჭელი უფრო ხმიანებს.

ინგლისური ანდაზა

1289

დანჟღრეული ბორბალი უფრო ხმამაღლა ჭრიალებს.

რუსული ანდაზა

1290

რა-კი ნალი ჟღარუნებს, მაშასადამე, მას ლურსმანი აკლია.

ესპანური ანდაზა

1291

უვიცს მნიშვნელოვნად მიაჩნია ყველაფერი ის, რაც მან იცის, და სურს იგი ყველას უამბოს.

ჟ-ჟ. რუსო

1292

უნახავმა ნალი ნახა, — ოჰ, რა სანახავიაო!

ქართული ანდაზა

1293

სულწასულობა უგუნურების ნიშანია.

ა. წერეთელი

1294

უვიცს უკვირს, რომ საგანი ისეთია, როგორიც ის სინამდვილეშია, — და ასეთი გაკვირვება ცოდნის დასაწყისია; ბრძენი კი, პირიქით — გაოცდებოდა, რომ საგანი ყოფილიყო სხვანაირი და არა ისეთი, როგორიც ეს მან იცის.

არისტოტელე

1295

რაც უფრო უვიცია ადამიანი, მით უფრო მოუთმენლად ცდილობს ის საჯოს.

ე. კონდილიაკი

1296

ბრიყვი უწინ იტყვისო.

ქართული ანდაზა

1297

...გონიერი, ჰხამს,
როდეს არ აჩქარდეს...

რუსთაველი

1298

სიტყვა მცდარმან და უცებმან, ცუდი თქვას სიტყვა ამაყმან.

არჩილი

1299

ენა უკლიტოდ მორბედი * ჭირია ულხინებელი.

ვახტანგ VI

1300

ენისა დაუმჭირავსა ყური აქვს მოუსმენია. **

ვახტანგ VI

1301

არ არსებობს იმაზედ უცუდესი უგუნური, ვიდრე ის, ვინც ლაპარაკში თავის შეკავება არ იცის.

ფ. როხასი

1302

თუ არ გაქვს ნიჭი, თანაც ცოდნა ვერ შეითვისე,
შენც პირში ენაჩაკეტილი ჩუმად იყავი;
რადგან კაცს ენა უხეირო შეარცხვენს ისე,
როგორც უტვინოს გაამჟღავნებს სულელი თავი.

საადი

1303

უჭკუო კაცმა, ბევრად აჯობებს,
რომ სრულებით ხმა არ ამოიღოს,
მაგრამ რომ იგი ასე მოიქცეს —
ამისთვის უნდა ჭკვიანი იყოს.

საადი

---

* მორბედი — მორბენალი; აქ: შეუკავებელი ენა.

** მოუსმენია — მოუსმენელი. ითქმის გაუგონარ, ჯიუტ ადამიანზე.

1304

რამდენი დრო ესაჭიროება ჭკვიანს სალაპარაკოდ მანამდე, ვიდრე დაუჯერებენ, რომ ის ჭკვიანია! სულელისათვის კი საკმაოა მხოლოდ დუმილი და ყველა მას ჭკვიანად სთვლის!

მ. საფირი

1306

ზოგჯერ უვიცთან ლაპარაკი უფრო მეტს გვასწავლის ხოლმე, ვიდრე სწავლულთან საუბარი.

(—)

1307

განა შეიძლება იყოს მისთანა ჭკუიანი. რომ ხანდახან სულელურიც რამ არ წასცდეს? და ან მისთანა სულელი, რომ ზოგჯერ, უნებურად ჭკუიანურიც არა წამოროშოს რა?

ა. წერეთელი

1308

ზოგჯერ სულელს თავის უვიცობით მოსწრებული სიტყვაც წამოსცდება.

ბერძნული ანდაზა

1309

საზოგადოდ, ცოტას მცოდნენი ლაპარაკობენ ბევრს, ბევრის მცოდნენი კი, — ცოტას.

ჟ-ჟ. რუსო

1310

ბევრს ლაპარაკობენ ის ადამიანები, რომლებმაც ცოტა იციან; მცოდნენი კი სდუმან.

აღმოსავლური თქმა

1311

უმჯობესია საკუთარი ჭკუის გამოჩენა დუმილში, ვიდრე ლაპარაკში. დუმილი კეთილგონიერების თანაარსია.

(—)

1312

მდუმარება თანმხლებია სიდიადისა.

დ. დიდრო

1313

ენის სიჩუმე თავის სიჭკვიანეზე მიუთითებს.

ინგლისური ანდაზა

1314

ბევრი ისმინე, ცოტა ილაპარაკე.

ინგლისური ანდაზა

1315

ორი ყური და ერთი პირი იმიტომ გვაქვს, ბევრი მოვისმინოთ და ცოტა ვილაპარაკოთ.

ქართული ანდაზა

1316

გიყვარდეს მეტის მოსმენა, ვიდრე ლაპარაკი.

კლეობულო

1317

ნუ დააჩქარებ თქმას, რადგან ეს სისულელეს ამჟღავნებს.

ბიასი (ბიანტი)

1318

კაცი ბრძენი დუმს ჟამამდე, სხვას უსმენს წადიერებით, * მრავლის-მეტყველი საძულელ იქნეს მკლე ** გონიერებით.

არჩილი

---

* წადიერებით — მოწადინებით, მონდომებით.

** მკლე — მოკლე. მცირე უკმარი.

1319

ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას,
ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

რუსთაველი

1320

როცა რამის თქმა გსურდეს, საქმე გასინჯე კარგად,
თორემ რასაც შენ იტყვი, იქნებ არაფრად ვარგა!

საადი

1321

ნუ დაუშვებ, რომ შენმა ენამ გაუსწროს შენს ჭკუას.

ქილონი

1322

გაკვირვება მოწმობს ხოლმე ჩვენს ცოდნათა შეზღუდულობას და ხშირად ამტკიცებს არა იმდენად საგნების უნაკლობას, რამდენადაც ჩვენი გონების არასრულობას.

ფრ. ლაროშფუკო

1323

უჭკუო კაცს ცოტაც გაუკვირდებაო.

ქართული ანდაზა

1324

სულელი მუდამ პოულობს უფრო მეტ სულელს, რომელიც ოცდება ხოლმე მით.

ნ. ბუალო

1326

სულელსა და უვიცს აქვთ ხუთი ნიშანი: გული მოსდით უმიზეზოდ; ლაპარაკობენ დაუჭირვებლად; იცვლებიან, არავინ უწყის რისთვის; ერევიან მასში, რაც მათ სრულებით არ ეხებათ და არ იციან გარჩევა, თუ ვის სურს მათთვის სიკეთე და ვის ბოროტება.

პინდური თქმა

1327

სადაც ჭკუა არ არის, იქ არც ჭკუამახვილობა შეიძლება იქნეს.

მ. სერვანტესი

1328

ჭკვიანია ადამიანი, მანამ ის ცოდნას ეძებს, მაგრამ როგორც კი წარმოიდგენს, რომ ცოდნა იპოვა, ის ჭკუიდან იშლება.

არაბული ანდაზა

1329

კაცს, რომელიც სიბრძნეს ეძებს, შეიძლება ეწოდოს ჭკვიანი, მაგრამ თუ ის ფიქრობს, რომ სიბრძნეს მიაღწია, ის გიჟია.

სპარსული თქმა

1330

...თავის თავის ბრძნად წარმოსახვა, ეს, — სიგიჟის პირველი საფეხურია.

ფ. როხასი

1331

არ იცოდე—სირცხვილი არაა. სირცხვილია—არ ისწავლო.

აზერბაიჯანული ანდაზა

1332

იქონიეთ მხედველობაში, რომ არცოდნა არასოდეს) არ წარმოშვებს ბოროტებას; დამღუპველია მხოლოდ მცდარობა. სცდებიან კი ადამიანები არა იმიტომ, რომ არ იციან, არამედ იმიტომ, რომ თავიანთი თავი მცოდნედ წარმოუდგენიათ.

ჟ-ჟ. რუსო

1333

უვიცობა უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე ცრურწმენა.

ფრანგული ანდაზა

1334

გეშინოდეს უვიცობის, მაგრამ უფრო მეტად გეშინოდეს ყალბი ცოდნის.

ინდური თქმა

1335

თავის თავზე დიდი წარმოდგენა — მოკლე ჭკუის ერთ-ერთი ნიშანია.

სოფოკლე

1336

უკიდურესი სულმდაბლობა და უკიდურესი მედიდურობა თავისი თავის უკიდურესი უცოდინარობაა.

ბ. სპინოზა

1337

მედიდურობა წარმოიშობა არასაკმაო ჩაფიქრებისა და თავისი თავის არცოდნისაგან. ცოდნა ჩვენ სიდარბაისლესთან ერთად გვევლინება.

ჟ. ადისონი

1338

სულის სილამაზე იზრდება ასაკთან ერთად სხეულის სილამაზის გაქრობის კვალობაზე.

ა. პერესი

1339

შეიძლება იქნე სწავლული მედიდურობისა და ამპარტავნობის გარეშეც.

სენეკა

1340

თუ ბევრი იცი და მცოდნედ არ მოგაქვს თავი — ეს ზნეობრივი აღმატებულობაა. თუ ცოტა იცი და მცოდნედ მოგაქვს თავი — ეს ავადმყოფობაა. მხოლოდ ამ სნეულების გაგებით შეგვიძლია ჩვენ მისგან თავის დაღწევა.

ლაო-ცზე

1341

ცოდნის წარმოსახვითი სიმდიდრე — მისი სიღარიბის მთავარი მიზეზია.

ფრ. ბეკონი

1342

შეცდომის მიზეზი — უკეთესის უცოდინარობაა.

დემოკრიტე

1343

უვარგისი დაიწუნეთ საჯაროდ, ნუ შეგრცხვებათ. სირცხვილი და ცოდვა ის არის, როცა ადამიანი ჭირსა ჰმალავს. გამომჟღავნება თავისი შეცდომისა იგივე გმირობაა.

ვაჟა ფშაველა

1344

დაე, ნუ შეგაშფოთებს შეცდომა და ყალბი ხერხები. არაფერი ისე არ გვასწავლის ჩვენ, როგორც საკუთარი შეცდომის შეგნება. ეს თვითაღზრდის ერთ-ერთი მთავარი საშუალებათაგანია.

თ. კარლაილი

1345

გუშინდელი დღის შეცდომების ანალიზით ჩვენ ვსწავლობთ შეცდომების თავიდან აცილებას დღესა და ხვალ.

ვ. ლენინი
თხზ, ტ. 26, გვ. 43

1346

არის ისეთი მცდარობაც, რომელსაც ჩვენ მაგრად ჩავსჭიდებივართ ცხოვრებაში და რომლის შემოწმებას ვერ ვბედავთ იმის შიშით, რომ არ დავრწმუნდეთ, თუ რა დიდი ხნის მანძილზე გვრწამდა სიცრუე და ვიცავდით მას.

(—)

1346-ა

შეცდომებიც სასარგებლოა, სანამ ჩვენ ახალგაზრდები ვართ, ოღონდ სიბერემდი არ ვათრიოთ ისინი.

ვ. გოეთე

1347

მორცხვობას შეიძლება ყველგან ექნეს ადგილი, ოღონდ არა თავისი საკუთარი შეცდომების აღიარების საქმეში.

გ. ლესინგი

1348

პატიოსან კაცს ყოველგვარ პირობებში რჩება ხელშეუვალი უფლება გულახდილად აღიაროს თავისი შეცდომები.

ჰ. ჰაინე

1349

ვინც თავისი შეცდომა აღიარა, მან დაამტკიცა, რომ უფრო ჭკვიანი გახდა.

ა. პოპი

1350

დაშვებული შეცდომა გამოასწორე.

პერიანდრე

1351

ვინც შეცდომას არ უშვებს, ის არც აკეთებს რამეს.

ინგლისური ანდაზა

1352

შეცდომები—ადამიანის თვისებაა (Errare humanum est).

ლათინური თქმა*

1353

... ადამიანის თავზე... შეუცდომლობა გადუალია! მაგრამ გულწრფელი და გონიერი კაცი რომ გამოიცდება, ჭკუას ისწავლის და აღარ გაიმეორებს შეცდომას.

ა. წერეთელი

1354

შეცდომა ყოველი ადამიანის თვისებაა, მაგრამ ვინც სცდება, მას არამც და არამც არ შეიძლება ეწოდოს გაუსწორებელი სულელი, თუ კი ის, შეცდომის დაშვების შემდეგ, ცდილობს მის გამოსწორებას და არ ჯიუტობს.

სოფოკლე

1355

შეცდომების გზით ჭეშმარიტებამდე მიღწევა — ბრძენთა საქმეა; მცდარობაში უდარდელად გაფიჩხება კი — უგუნურთა საქმე.

პინდური თქმა

---

* ამ აფორიზმის შინაარსი მოდის სოფოკლედან და ევრიპიდედან, ხოლო მისი ლათინური ფორმა ეკუთვნის იერონიმე ნეტარს.

1356

მე ვეძებ ჭეშმარიტებას, რომლისგანაც ჯერ არავის არასოდეს არ მოსვლია ზიანი. ზიანი კი მოსდის მას, ვინც ჟინიანობს თავის მცდარობაში და უვიცობაში.

მარკუს ავრელიუსი

1357

არა ჭეშმარიტების ფლობა, არამედ მისკენ მისწრაფება ავითარებს ადამიანის სულიერ ძალებს და ხელს უწყობს მის გასრულადებას.

გ. ლესინგი

1358

არამც თუ თვით ჭეშმარიტება იძლევა რწმენას, არამედ მარტო მისი ძიებაც კი იძლევა სიმშვიდეს.

ბ. პასკალი

1359

ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვისას დედაარსი მდგომარეობს არა იმაში, რომ ის იპოვო, არამედ იმაში, რომ ის ეძებო. საკმარისია, როდესაც ვინმე პატიოსნად ეძებს მას.

მ. ნორდაუ

1360

სადაც იწყება ჭეშმარიტების ძიება, იქ მუდამ იწყება სიცოცხლეც; როგორც კი წყდება ჭეშმარიტების ძიება — წყდება სიცოცხლეც.

ჯ. რიოსკინი

1361

საუკეთესო გზა ჭეშმარიტებისაკენ არის საგნების შეცნობა ისე. როგორც ისინი სინამდვილეშია, და არა ისე, როგორც ჩვენ გვასწავლეს ისინი შეგვეცნო.

ჯ. ლოკი

1362

ყოველ ადამიანს შეუძლია შესცდეს, მაგრამ მცდარობაში ჯიუტობა შეუძლია მხოლოდ სულელს.

ციცერონი

1363

ბრძენს ცოდვას თვისი გონება, ამხილებს, შეანანებსა, უგბილი* უმეცრებითა ვერ ხედავს, თვის თავს ავნებსა.

ა რ ჩ ი ლ ი

1364

ვინც მოქმედობს, იღწვის, შეცდომას ვერასდროს ვერ ასცდება. გარნა** გონიერი მოქმედი, შეიგნებს რა თავის შეცდომას, ჯიუტურად როდი შეჩერდება მასზედ, იგი სცდილობს, რაც შეიძლება გაასწოროს თავისი შეცდომა და საქმე კეთილად წარმართოს.

ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი

1365

მეტად ბევრი [ადამიანი] ფიქრობს, რომ თუ კი ისინი ერთხელ გამოტყდნენ თავიანთ შეცდომაში, აღარ არის საჭირო ხელი აიღონ ამ შეცდომებზე.

მ. ე ბ ნ ე რ - ე შ ე ნ ბ ა ხ ი

1366

შეცდომა არ გვხდის ჩვენ უფრო ჭკვიანად, რადგან ახალი შეცდომა ყოველთვის სხვა სახით გვევლინება.

ბ. ჩ ე ლ ი ნ ი

1367

ყოველ შეცდომას მიდრეკილება აქვს განმეორებისა.

ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი

1368

ათას გზას მივყავართ მცდარობისაკენ. ჭეშმარიტებისაკენ კი — მხოლოდ ერთს.

ქ.-ქ. რ უ ს ო

---

* უ გ ბ ი ლ ი — უხეში, თავხედი, უმეცარი.
* გ ა რ ნ ა — მაგრამ, მხოლოდ.

1369

მცდარობა კი არ ეწინააღმდეგება ჭეშმარიტების პროგრესს, არამედ დონდლობა, ჯიუტობა, ჩამორჩენილობის გუნება, ყველაფერი რასაც კი უმოქმედობისაკენ მივყავართ.

ა. ტიურგო

1370

გონებას მოკლებული ჭკუა—ეს უბალასტო და უსაჭო გემია.

ვ. უიჩერლი

1371

ჭკვა უხმარ არს ბრიყვთათვის,
ჭკვა ცოდნით მოიხმარების.

დ. გურამიშვილი

1372

ცოდნა უნდა ყოველ საქმეს...
მარტო შრომა არა კმარა!

ი. კრილოვი

1373

კარგია, როცა გამბედაობა და ცოდნა ერთად არიან.

ა. აბაშელი

1374

მოწადინება, თუ მას ცოდნა არ ახლავს, გაქცეული ცხენია.

ინგლისური ანდაზა

1375

... თუ ცურვასა არ ისწავლით,
ვერ გაუხვალთ წყალთა ღრმათა...

დ. გურამიშვილი

1376

ფლეიტაში ბერვა კიდევ არ ნიშნავს დაკვრას: საჭიროა თითების მოძრაობის ცოდნაც.

ვ. გოეთე

1377

ფორტეპიანოზე დაკვრა—თითების მოძრაობაა, ფორტეპიანოზე შესრულება კი—სულის მოძრაობა. ჩვეულებრივად... ჩვენ მხოლოდ პირველი გვესმის.

ა რუბინშტეინი

1378

აბსოლუტური უვიცობა სრულიადად არ არის ყველაზე დიდი ბოროტება, რომლისაც ყველაფერზე მეტად უნდა გვეშინოდეს: ცუდად მონელებული ცოდნათა დაგროვება უფრო უარესია.

პლატონი

1379

ვისაც ნაკლები ცოდნა აქვს, ის უვიცია.

ნ. ჩერნიშევსკი

1380

მცირე ცოდნა სახიფათო რამ არის.

ინგლისური ანდაზა

1381

გონებრივი სიმახინჯის საფუძველია—გონების სიზარმაცე. მისი უსურველობა ისწავლოს, იცოდეს, მისი თვითკმაყოფილება ან დაკმაყოფილება უმნიშვნელო ცოდნით. ამ სიმახინჯეს ჩვეულებრივ ერთი სიტყვა ეწოდება—სიბრიყვე.

მ გორკი

1382

განსაკუთრებით აბეზარნი არიან ჭკუის ოდნავი ჩანასახის მქონე სულელები.

ფრ. ლაროშფუკო

1383

ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე საშიშარი ის უგუნურები არიან, რომლებიც ასეთებად მხოლოდ ნახევრად არიან ხოლმე.

პ. ბუასტი

1384

უგუნურის წაყვანა ადვილია, ორმაგად ადვილია ჭკვიანის წაყვანა, მაგრამ ჭკუანაკლებს დასტურ თვით ბრაჰმაც* კი ვერ წაიყვანს.

„ბჰარტრიჰარი"

1385

ვერავინ ვერ მგვრის მე შიშს ისე ძლიერ, როგორც სულელი, რომელიც შეპყრობილია ჭკვიანად გახდომის სურვილით.

ვ. გოეთე

1386

იმდენად სახიფათო არაა ბელებწართმეული ძუ-დათვის შეხვედრა, როგორც შეხვედრა სულელისა თავისი თანამგზავრი სისულელით.

სოლომონ ბრძენი

1387

ჭკუა კიდევ არის შერჩენილი იმ რეგვენში, რომელიც თავის სისულელეს გრძნობს, მაგრამ უდავოდ აღარ აქვს ჭკუა მას, ვინც მტკიცედაა დარწმუნებული თავის სიბრძნეში.

პინდური თქმა

1388

კაცს ეგონოს თავი ბრძენი,
თუნდა იყოს, ბევრს დასცდება.

ვახტანგ VI

1389

ვინც სხვების გასაგონად [თავისი] ცოდნის შესახებ ლაპარაკობს, ის უცოდინარად ჩაითვლება.

საადი

1390

ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი სწავლულობით ტრაბახობენ... სინამდვილეში ძლიერ ცუდ სწავლულებად აღმოჩნდებიან ხოლმე.

ნ. ჩერნიშევსკი

---

* ბრაჰმა — ერთ-ერთი უმაღლესი ღვთაებათაგანი პინდურ რელიგიაში, იგი ითვლება სამყაროსა და ყველა არსებათა შემქმნელად.

1391

ვისაც კამათი და ლაპარაკი უყვარს, ის ვერ შეისწავლის რაც საჭიროა.

დემოკრიტე

1392

კაცია, ვისაც შეუძენია
საჭირო ცოდნა და განათლება
უმეცარს ერთით მოულხენია:
უყვარს თავისი ხოტბა და ქება.

საადი

1393

მთელს სიცოცხლეს გაატარებს სულელი ბრძენის გვერდით და ოდნავადაც ვერ შეიცნობს ჭეშმარიტებას, ისევე როგორც კოვზი ვერასოდეს ვერ გაიგებს საჭმლის გემოს.

პინდური თქმა

1394

ვინც განვლო წუთისოფელი და ვერ მიაღწია სრულყოფას, ემსგავსება მას, ვინც აბანოდან გამოვიდა და ჭუჭყიანი დარჩა.

ალიშერ ნავოი

1395

ცუდი რკინისგან ხმალსა ფხიანს ვინ გამოსჭედავს?
არაკაცისგან სწავლით ბრძენი არა გამოვა,
თუმცა ვერავინ დაიწუნებს წვიმის ღირსებას,
ბაღში ყაყაჩო, ხრიოკზე კი — ეკალი მოვა.

საადი

1396

ის ვერ შეიძენს ბრძენთა ღირსებას,
ვინაც თვით არის ბუნებით მდარე.
მას სწავლა ისე არ ეთვისება, —
ვით კედელს თხილი რომ შეაყარე.

საადი

1397

ცერცვი კედელსა, სწავლა რეგვენსა.

ქართული ანდაზა

1398

არაკუნე კედელიო — დაარიგე რეგვენიო.

ქართული ანდაზა

1399

[ვინც [ფიქრობს] ჭკუა დაარიგოს იმას, ვისაც თავისი თავი ჭკვიანი ჰგონია, ამაოდ იხარჯება.

დემოკრიტე

1400

ბრმას სინათლე ვერ უშველის,
სულელს ბრძენის დარიგებაო.

ქართული ანდაზა

1401

ჭეშმარიტება სულელთათვის იგივეა, რაც ჩირაღდანი, ნისლში; ის ანათებს, მაგრამ ნისლს ვერ ფანტავს.

პ. ბუასტი

1402

უგუნურნი ვერაფერს ვერ სწავლობენ მთელი თავიანთი სიცოცხლის განმავლობაში.

დემოკრიტე

1403

ცხოველ სიტყვას ბრიყვის ყურში სძინავს.

უ. შექსპირი

1404

ჭკვიანურ სიტყვას რეგვენის ყურში სძინავსო.

ქართული ანდაზა

1405

თუნდ ასი სიბრძნეც წაუკითხო ბეჯითად სულელს,
მის ყურებს ისე ჩაუქროლებს, როგორც ზღაპარი.

საადი

1406

რკინა ოსტატმაც ვერ გახადოს მჭრელ-მოელვარე,
თუ კი ღირსებით თვითონ რკინა იქნება მდარე.

საადი

1407

ცდა,—უხამს ადამიანზე დახვეწილი სიტყვებით იმოქმედო, იგივეა, რაც სამართებლით ლოდის რანდვა.

ა. პოპი

1408

ავ-გუნება და უგვაროს კაცის გაწვრთნა და გაწყობა თავისის პირის წყალთა გაშვება არის და თავისისა საქმიანობისა საბელთა წვერთა დაკარგვა.

ვახტანგ VI

1409

რაცა მლაშესა ადგილსა დათესო, თესლისგანაცა უნაწილო დარჩე და ნაყოფისგანაცა.

-ვისრამიანი"

1410

ჩიტთა და ყვავილთ ისმინეს სიტყვა ჭეშმარიტებისა, მაგრამ აბა მითხარით, ვის მოუვა აზრად ჭეშმარიტება უქადაგოს ქვეწარმავალთ, გველთა, ბაყაყთ, მხეცთ!

ჭ. ლომთათიძე

1411

ვირს ასწავლიდა ერთი ვინმე. თვით გაუწვრთნელი,
ამას შესწირა მან სიცოცხლის მრავალი წელი.
ბრიყვს ბრძენმა უთხრა: ეხ, რად გინდა იტკინო თავი?
არ განათლდება სწავლით ვირი მოუხეშავი,
ბევრიც ასწავლო, ლაპარაკი არ შეიძლება,
სჯობს, ამ ვირისგან თვით ისწავლო შენ მდუმარება.

საადი

1412

თვით პესტალოცის პედაგოგიკურ ხერხებსაც კი არ შეუძლია სულელად დაბადებულისაგან მოაზროვნე ადამიანის შექმნა; ის სულელად დაბადებულა და სულელადვე უნდა მოკვდეს.

(—).

1413

რამდენიც არ ასწავლო სულელს, ის მაინც თავისას იჟინებს.

აზერბაიჯანული ანდაზა

1414

ცუდად სიტყვას ნუ დახარჯავ, ვერ შეიგნებს ბრიყვი კაცი.

ქართული ანდაზა

1415

სულელისათვის სწავლება და მკვდრისათვის წამლობა ერთია.

ქართული ანდაზა

1416

გინდ რეგვენისთვის გისწავლებია, გინდ მკვდრისათვის გიწამლებია.

ქართული ანდაზა

1417

თუნდა მზეში სანთელი აგინთია, თუნდა უგუნურისათვის კეთილი გითქვამს.

ქართული ანდაზა

1418

ბრიყვისათვის რჩევის მიცემა და ბრმისათვის სარკის მიწოდება, — ერთი და იგივეა.

რუსული ანდაზა

1419

სულელისათვის რჩევა იგივეა, რაც ბრმისათვის სარკის მიწოდება.

ჰინდური თქმა

1420

ვინც რჩევას არ იღებს, იმას არც არაფერი ეშველება.

გერმანული ანდაზა

1421

სულელს დარიგება რად უნდა, ან შავს საპონი?

ქართული ანდაზა

1422

ბრიყვი არ დაჭკვიანდება
გინდ გადავლოს ლიხი *.

ა. წერეთელი

1423

სულელი მუდამ დარჩება სულელად და ყეყეჩი — ყეყეჩად, თუნდაც ისინი იყვნენ ჯამოთხეში და გარსშემოხვეულნი ჰურიებით**.

ა. შოპენჰაუერი

1424

თუ თქვენ შეგიძლიათ ასწავლოთ ადამიანს სიკეთე და არ იქმთ ამას,—თქვენ ჰკარგავთ ძმას; თუ ადამიანი განწყობილი არაა მიიღოს თქვენი სწავლება და თქვენ მაინც ასწავლით მას—თქვენ ჰკარგავთ სიტყვებს. ბრძენი ადამიანი არ ჰკარგავს არც ძმას, არც სიტყვებს.

ჩინური თქმა

1425

ბრძენი უნდა მიდიოდეს სულელთან, სხვარიგ ნაყოფს არ მოგვცემს სიბრძნე; განა სულელი თვით წავა ოდესმე ბრძენთან?

მირზა-შაფი ვაზეხი

1426

არა სიტყვა, არამედ უბედურებაა სულელთა მასწავლებელი.

დემოკრიტე

1427

ბრიყვი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა.

ქართული ანდაზა

1428

თუ თავში ჭკუა არ გვეყრება, ჭირი ჭირზე შეგვეყრება.

ქართული ანდაზა

---

* ლიხი — ლიხის მთა.

** ჰურიები — (არაბ. „შაკთვალანი") — ყურანის მიხედვით მარადყრეა ტურა ქალწულნი, პუსლიმანური სამოთხის მკვიდრნი.

1429

ჭკვიანის ერთი დღე სულელის მთელ სიცოცხლედ ღირს.

არაბული ანდაზა

1430

სულელის სიცოცხლე სიკვდილზე უმწარესია.

იესო ძე სირახისა

1431

მიცვალებული იტირეთ შვიდ დღეს, სულელი და უნამუსო კი — მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე.

იესო ძე სირახისა

1432

ჩვენ იმ შვილს ვიტირებთ ვაი და ვიშით,
რომ დადის თავცარიელი.

კ. ხეთაგათი

1433

სულელი ეკითხება თავის თავს—სადაა ცეცხლი, სანამ ის არ ანთებულაო, სად მიდის, როდესაც ქრებაო?

მ. გორკი

1434

ერთი სულელი ჩააგდებს ჭაში ქვას, ასი ბრძენი ვერ შესძლებს მის ამოღებას.

აზერბაიჯანული ანდაზა

1435

სულელს შეუძლია ერთ საათში უფრო მეტი კითხვა დასვას, ვიდრე ჭკვიანი შვიდ წელიწადში გასცემს პასუხს.

ინგლისური ანდაზა

1436

უჭკვიანეს ფილოსოფოსსაც კი გაუჭირდება პასუხის გაცემა სულელურ კითხვაზე.

ქილონი

1437

სულელურ კითხვებზე პასუხის გაცემა ადვილი არაა.

ჰ. ანდერსენი

1438

ადამიანის ჭკუის შესახებ მსჯელობა უფრო ადვილია მისი კითხვების, ვიდრე მისი პასუხების მიხედვით.

ჟ. ლევისი

1439

ვინცა სიბრძნითა მეტია, რად ჰკითხავს ვინცა რეტია.

ვახტანგ VI

1440

იმისათვის, რომ სულელთ და რეგვენთ თქვენი ჭკუა აჩვენოთ, არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება: — ხმა არ გასცეთ მათ.

ა. შოპენჰაუერი

1441

იგი ხელია, * ვის ცოდნით არა აქვს მხიარულება.

ვახტანგ VI

1442

უვიცობა—სიღატაკის ყველაზე სამწუხარო და ცუდი სახეა.

ფ. პაოლეტი

1443

უვიცებად რჩებიან მხოლოდ ისინი, ვისაც ასეთებად დარჩენა გადაუწყვეტიათ.

პლატონი

1444

პირუტყვს კაცი სჯობია ბრძნულ სიტყვის უნარით,
მაგრამ ჭკუით ღარიბსა სჯობს პირუტყვი მდუმარი.

საადი

1445

უკვდავი ხარ—ცნობა გმართებს,
პირუტყვად გაქ გან ** ეგ სული?

თეიმურაზ I

1446

ყველასათვის ცნობილია, რომ კაცი, რომელსაც არაფერზე

---

* ხელი — გიჟი, უპკუო, შეთი.
** გაქ გან — გაქვს განა.

არავითარი წარმოდგენა არა აქვს,—პირუტყვია და პირუტყვზე უფრო უარესი.

ი. იაკუშკინი

1447

ვირი—ვირია, სულელი გადამეტია.

ქართული ანდაზა

1448

სულელი ვერ გრძნობს შეურაცხყოფას; ხორცმეტი ვერ გრძნობს ნეშტარს.

ძველი ებრაული

1449

ვისაც სიტყვისა არ ესმის, იმას ჯოხით აგონებენო.

ქართული ანდაზა

1450

ვიზედაც სიტყვა არ მოქმედობს, მასზე ჯოხიც არ იმოქმედებს.

სოკრატე

1451

თუ გონივრულად დარიგება შენს ყურს არ ხვდება,
თავშიც რომ გცემონ, არ გაბედო ხმის ამოღება.

საადი

1452

ისეთი ხელოვნება არ არსებობს, სულელი რომ ბრძნად აქციოს.

ინგლისური ანდაზა

1453

ყველაფერს ჰკარგავს ადამიანი დროთა განმავლობაში: სიყრმეს, სილამაზეს, ჯანმრთელობას, პატივმოყვარეობის აღტყინებას, მაგრამ სისულელე არ სტოვებს მას.

ლ. არიოსტო

1454

ყველაფერს საზღვარი აქვს, მხოლოდ ადამიანის სისულელეა უსაზღვრო.

გ. ფლობერი

1455

რაც განსაკუთრებით საწყენია,—ეს ისაა, რომ ადამიანის ჭკუას თავისი საზღვრები აქვს, მაშინ, როდესაც ადამიანის სისულელე უსაზღვროა.

ა. დიუმა (შვილი)

1456

გონებავ! როდისღა დასრულდება შენი ესოდენი ხანგრძლივი არასრულწლოვანება.

უ. პეზლიტი

1457

სისულელეს ღმერთებიც კი ამაოდ ებრძვიან.

ვ. გოეთე

1458

სულელები მხოლოდ ზღაპრებში არიან ბედნიერნი.

მ. გორკი

1459

რეგვენთან ნუ გსურს საუბარი, ნურცა კამათი.
მოდი, ჭკვიანებს დაუჯერე, გწამდეს ამათი.
შხამიც დალიე ჭკვიან კაცის შემოძლეული,
სულელისაგან მორთმეული არ სვა შარბათიც.

ომარ ხაიამი

1460

ჭკვიან ადამიანთა ვარაუდი უფრო ძვირფასია, ვიდრე სულელთა რწმენა.

ხამადანი

1461

შეგნებულთან ჭირი სჯობია, შეუგნებელთან ლხინსაო.

ქართული ანდაზა

1462

ბრძენთან ქვები ზიდე. სულელთან კი ფაფასაც ნუ სჭამ.

აზერბაიჯანული ანდაზა

1463

უფრო სასიამოვნოა ბრძენისაგან მხილების მოსმენა, ვიდრე სულელის სიმღერა.

სოლომონ ბრძენი

1464

მცოდინარე მტერი უცოდინარეს მოყვარეს გიჯობსო.

„ქილილა და დამანა"

1465

რა სარგებელი მოგხვდების მოყვრისა უმეცარისა,
თვით არ იცოდეს ავ-კარგი, წაღმა ვლა სიცანცარისა? *

„ქილილა და დამანა"

1466

დიდს ჭირსა თუცა შეგაბამს შენ მტერი გონიერია,
უჭკოს მოყვარეს ისივ სჯობს, ჭკუის მყოფელი მტერია!

„ქილილა და დამანა"

1467

ჭკუა-ნაკლე კაცი საბრალოა, ზნეობა-ნაკლე კი—საზიზღარიც!... მაგრამ თუ ერთსა და იმავე დროს ორივე ერთად აქვს გარისხებული ადამიანს, მაშინ კი შორს და მშვიდობით!... მისი დაახლოვება ჭირის გადაკიდებაა!..

ა. წერეთელი

1468

ნამდვილი მეგობარი, ყველასათვის კარგია,
მაგრამ საქმის დაჭერა სულელთან არ ვარგია.
დროს დაკარგვაა მასთან რჩევა და საუბარი,
და ღმერთმაც აგაშოროს უჭკუო მეგობარი.

ი. კრილოვი

1469

ცუდთა კაცთა საუბარი კაცთა მეტად დააჭმუნვებს.

რუსთაველი

1470

ულხენსა ჭირსა შემოგყრის უმეცრის ბაასებანი,
სასმენად საწყინარია უგვანთა სიტყვის გებანი.

ვახტანგ VI

---

* სიცანცარე — უსაქმოდ სიარული.

1471

სჯობს მონა ბრძენი უგუნურს მეფესა მოხუცებულსა,
არ ეთხოვება კეთილი კაცსა ცრუ, ცნობა-ვნებულსა.

არჩილი

1472

სჯობს... ჰაერს ქვეშ დგომა ბრძენთ თანა,
უგუნურთ სახლსა შესვლასა.

არჩილი

1473

სჯობს იქნე ბრძენის მსახური, ვიდრე სულელის ბატონი.

აზერბაიჯანული ანდაზა

1474

ერთი გონიერი ადამიანის მეგობრობა ჯობს ყველა უცოდინართა მეგობრობას.

დემოკრიტე

1475

მცირე სიბრძნე დიდ სისულელეზე გაცილებით მეტი პატივისცემის ღირსია.

დემოკრიტე

1476

უმეცარს კაცსა გულით ნუ მიენდობი.

ს.-ს. ორბელიანი

1477

... რამდენი ცხოველი დაღოღავს ჩვენს პლანეტაზე, მაგრამ ჩვენს მოკავშირეებად ისინი ვერ გამოდგებიან!

ა. აბაშელი

1478

სისულელეცა და სიბრძნეც ისევე ადვილი შესაყრელია, როგორც გადამდები სნეულებანი, ამიტომ შეირჩიე შენთვის ამხანაგები.

უ. შექსპირი

1479

ისარგებლე ბრძენ ადამიანთა საზოგადოებით.

ა ე რ ი ა ნ დ რ ე

1480

.... ვინც რომ შრომაში, სწავლაში
ბეჯითია და ვარგია,
იგი ყველასთან ყოველთვის
ამხანაგადაც კარგია.

ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი



სწავლა

1481

ცოდნის შესაძენად საჭიროა სწავლა. ცოდნა სწავლით შეიძინება.

ხალხური

1482

რომ იცოდე, უნდა ისწავლო, ისწავლო და კიდევ ისწავლო, როგორც მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადმა ვ. ი. ლენინმა თქვა.

მ. გორკი

1483

ისწავლეთ და გაისარჯეთ...
მხოლოდ სწავლით გაიმარჯვებთ.

ა. აბაშელი

1484

გონივრულად, გააზრებულად, წარმატებით რომ მიიღო მონაწილეობა რევოლუციაში, საჭიროა სწავლა.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 26, გვ. 387.

1485

სწავლა, სწავლა და სწავლა. *

ვ. ლენინი

---

* ლოზუნგი, რომელიც წარმოიშვა ვ. ლენინის წერილის „უმჯობესია ცოტა და კარგი“-ს (თხზ., ტ. 33. გვ. 577) იი ადგილიდან, სადაც ლაპარაკია სახელმწიფო აპარატის განახლების შესახებ (იხ. ქვევით 1486).

1486

... ელემენტები ცოდნისა, განათლებისა, სწავლისა... ყველა სხვა სახელმწიფოსთან შედარებით სასაცილოდ ცოტა მოგვეპოვება... ჩვენი სახელმწიფო აპარატის განახლებისათვის რადაც უნდა დაჯდეს ამოცანად უნდა დავისახოთ: ჯერ-ერთი — სწავლა, მეორე—სწავლა და მესამე—სწავლა და შემდეგ შემოწმება იმისა, რომ მეცნიერება ჩვენში არ დარჩეს მკვდარ ასოდ ან მოდურ ფრაზად (ეს კი, ცოდვა რა დასამალია, ძალიან ხშირად გვემართება), რომ მეცნიერება ნამდვილად სისხლსა და ხორცში გაგვიჯდეს, სავსებით და ნამდვილად ყოფა-ცხოვრების შემადგენელ ელემენტად გადაიქცეს.

ვ. ლ ე ნ ი ნ ი
თხზ., ტ. 33. გვ. 577.

1487

... ის [ლენინი] ამბობდა: „საჭიროა სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლაო.“

ა. ლ უ ნ ა ჩ ა რ ს კ ი

1488

ჩვენ ღატაკი და უკულტურო ადამიანები ვართ. არა უშავს რა. ოღონდ შეგნება იყოს იმისა, რომ საჭიროა სწავლა. ოღონდ ხალისი იყოს სწავლისა, ოღონდ ნათლად შევიცნოთ, ის, რომ ახლა მუშასა და გლეხს სწავლა ესაჭიროებათ არა იმისათვის, რომ „სარგებლობა“ და მოგება მოუტანონ მემამულეებსა და კაპიტალისტებს, არმედ საკუთარი ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ვ. ლ ე ნ ი ნ ი
თხზ., ტ. 33, გვ. 287.

1489

ბეჯითი. გულმოდგინე და შეუპოვარი სწავლა — აი ერთადერთი საიმედო გზა ცოდნის მწვერვალების დასაუფლებლად.

(—)

1490

მხოლოდ დაუცხრომელი და შეუპოვარი სწავლით შეიძინება ცოდნა, რომლის კაშკაშა მწვერვალებიდან იშლება ახალი, თვალუწვდენელი ჰორიზონტები, იხსნება უსაზღვრო შესაძლებლობანი ბუნებაზე ადამიანის ბატონობისა, მისი ძალების დამორჩილებისა და ადამიანთა საკეთილდღეოდ მათი გამოყენებისათვის.

(—)

1491

ჩვენი საქმეა ვისწავლოთ და ვისწავლოთ, ვეცადოთ ვაგროვოთ რაც შეიძლება მეტი ცოდნა.

ა. ჩეხოვი

1492

სწავლა! სწავლა!—ეს იყო კატეგორიული იმპერატივი, რომელსაც იგი [მარქსი] ხშირად ჩაგვძახებდა ხმამაღლა და რომელიც მის პირად მაგალითში და უკვე თვით ამ მუდამ მძლავრად მომუშავე დიადი გონების მხოლოდ დანახვაში იყო მოცემული.

ვ. ლიბკნეხტი

1493

კატეგორიული იმპერატივი ერთია და სახელდობრ: მოიქეცი ხოლმე მხოლოდ იმ მაქსიმას * თანახმად, რომელიც შენ გსურს ყოფილიყო საყოველთაო კანონად.

ე. კანტი

1494

ამხანაგო! იცოდე და გწამდეს, რომ შენ ყველაზე უფრო საჭირო ადამიანი ხარ დედამიწაზე... შენ დაიწყე ნამდვილად ახალი ქვეყნის შენება. ისწავლე და ასწავლე.

მ. გორკი

1495

ამხანაგებო, მე არ შეიძლება მექნეს სხვა სურვილები, ისე როგორც თქვენ ყველას, გარდა იმისა, რომ თქვენ ისწავლოთ

* მაქსიმა [ლათ.—maxima (sententia)—ძირითადი წესი, პრინციპი]—მოკლე ფორმულაში გამოთქმული ზოგიერთ მორალური მოთხოვნა, ლოგიკური ან ეთიკური პრინციპი.

კარგად. ეს საერთო სურვილია, სურვილია მამებისა და დედების, სურვილია მთავრობის, პედაგოგებისა, უფროსი თაობის.

მ. კალინინი

1496

მე ვიცი, რომ არავითარ რჩევას არ შეუძლია შესცვალოს პირადი გამოცდილება, მაგრამ შესაძლოა ის დაგეხმაროს შენ, რომ ძალ-ღონის ნაკლები დახარჯვით მიაღწიო წარმატებას, დაგიცვას არასწორ საქციელისაგან და შეცდომებისაგან... დაჟინებით დაეუფლე კაცობრიობის განკარგულებაში არსებულ ცოდნის მთელ მარაგს... დ ა ე უ ფ ლ ე ა დ ა მ ი ა ნ თ ა მ თ ე ლ ი ც ო დ ნ ი ს მ ა რ ა გ ს დ ა ა რ ჩ ა ი კ ე ტ ო ე რ თ ვ ი წ რ ო ს პ ე ც ი ა ლ ო ბ ა შ ი. — ა ი პ ი რ ვ ე ლ ი, რ ა ც მ ე... მ ი ნ დ ა გ ი რ ჩ ი ო შ ე ნ.

... ი ს წ ა ვ ლ ე შ ე უ პ ო ვ რ ა დ, ი ს წ ა ვ ლ ე ყ ო ვ ე ლ ი ვ ი ს, — ა ი მ ე ო რ ე, რ ა ც მ ე მ ი ნ დ ა გ ი რ ჩ ი ო შ ე ნ.

ნ. ზელინსკი

1497

თავისუფალი დროის ყოველი წუთი ადამიანმა სწავლას უნდა მოახმაროს.

კ ო ნ ფ უ ც ი

1498

ისწავლე მანამდე, სანამ არ გეცოდინება, და ,თუ დავუჯერებთ ანდაზას,—სანამ ცოცხალი ხარ.

ს ე ნ ე კ ა

1499

სანამ ცოცხალი ხარ— ისწავლე გამუდმებით. ნუ დაელოდები, რომ სიბერემ მოგიტანოს სიბრძნე.

დ ე მ ო კ რ ი ტ ე

1500

განათლებული ადამიანი ვერასოდეს ვერ ძღება სწავლით თავის შემეცნებაში და თავს არ ანებებს სწავლას თუნდაც ნათესალას* ასაკსაც გადასცდეს.

თ. პ რ ო კ ო პ ო ვ ი ჩ ი

* ნ ა თ ე ს ა ლ ა — სახელია ბიბლიური ზღაპრული პირისა. რომელსაც თითქოს ყველა ადამიანზე დიდხანს ეცოცხლოს.

1501

მე ვბერდები, მაგრამ თავს არ ვანებებ ბეჯითად სწავლას.

სოლონი

1502

ნურასოდეს ნუ ჩასთვლი, რომ შენ ყველაფერი იცი, რომ შენ უკვე აღარაფერი გაქვს სასწავლი. მე ვსწავლობდი მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე, განვაგრძობ სწავლას ახლაც და ვისწავლი მანამდე, სანამ ამისათვის მეყოფა ძალა.

ნ. ზელინსკი

1503

მე მინდა სიკვდილმა მომისწროს შრომაში.

ოვიდიუსი

1504

მეცნიერი ვალდებულია ისწავლოს. ისწავლოს, მიუხედავად ყველა თავისი წარმატებებისა. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, კუბოს ფიცრამდე. ცოდნის რომელ დარგშიაც არ უნდა მუშაობდეს ახალგაზრდა მეცნიერი, მან უნდა იკითხოს ბევრი. იკითხოს ყურადღებით და კრიტიკულად, მან უნდა იცოდეს რამდენიმე ენა, სხვარიგ მისთვის დაფარული იქნება ბევრი რამ, ზოგჯერ მეტად მნიშვნელოვანიც.

ს. ვავილოვი

1505

მეცნიერება, როგორც ცნობილია ყველასათვის, ვინც კი სერიოზულად ჩაბმულია კვლევით მუშაობაში, — შრომის სრულიად განსაკუთრებული სფეროა, რომელიც თავისკენ იზიდავს დაუძლეველი ძალით. თავის კვლევით მოღვაწეობას მეცნიერი თითქმის ყოველთვის სიკვდილის პირამდე ეწევა. მეტად იშვიათია შემთხვევა, როდესაც მოხუცებული მეცნიერნი კვლევით მუშაობას თავს ანებებდეს და „მოსასვენებლად“ მიდიოდეს.

ს. ვავილოვი

1506

თუ ჩვენ კმაყოფილი ვართ იმით, რასაც სხვებმა მიაღწიეს,

ან თვით ჩვენ მივაღწიეთ ცოდნის ძიებაში, ეს მხოლოდ ჩვენი უნარიანობის სისუსტით აიხსნება: უფრო მეტად ცნობისმოყვარე გონების მქონე ადამიანი ვერ იქნება კმაყოფილი... ჩვენს ცნობისმოყვარეობას აღსასრული არა აქვს: აღსასრული საიქიოსაა. გონების დაკმაყოფილება მისი შეზღუდულობის, ან და დაღლის ნიშანია.

მ. მონტენი

1507

თავისი თავით უკმაყოფილება ყოველი ჭეშმარიტი ნიჭის ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა.

ა. ჩეხოვი

1508

უკმაყოფილება ყოველგვარი პროგრესის მიზეზია.

მ. ნორდაუ

1509

[სრული დაკმაყოფილება]... ძლიერებისა და მისწრაფებათა მომაკვდინებელია.

მ. ნალბანდიანი

1510

კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია; ბედნიერია ახალი თაობა, თუ მართლა კმაყოფილება არა აქვს. იმედი თუა სადმე. ამაში უნდა იყოს.

ი. ჭავჭავაძე

1511

აწმყოთი კმაყოფილი ადამიანი აღარ იფიქრებს მომავალზე.

მარციალი

1512

მხოლოდ პირუტყვი... არ ფიქრობს მომავალზე და მარტო აწმყოთია კმაყოფილი.

ა. წერეთელი

1513

რაც უფრო მეტს სწავლობ, მით უფრო მეტად გრძნობ სწავლის მოთხოვნილებას.

შ. მონტესკიე

1514

როგორც ძუნწი ოქროთი ვერ გაძღება, ისე სწავლის მწყურვალი — სწავლითა.

ქართული ანდაზა

1515

სიბრძნე უსასრულოა,—რაც უფრო წინ მივდივართ მასში, მით უფრო საჭირო ხდება ის.

ლ. ტოლსტოი
(აღმოსავლურიდან)

1516

სწავლა სიბერემდეო.

ქართული ანდაზა

1517

სწავლისათვის არავინ არ არის მოხუცი.

გერმანული ანდაზა

1518

ადამიანი სწავლას ვერასოდეს ვერ გაათავებს.

გერმანული ანდაზა

1519

კაცს სწავლა სიბერემდი არ მოსჭარბდებაო.

ქართული ანდაზა

1520

მე მოხუცებულობაშიაც მუდამ ბევრს ვსწავლობ ხოლმე.

სოლონი

1521

ზოგს სირცხვილად მიაჩნია
სიყმეს უკან კითხვა, სწავლა,
მაგრამ ბრძენთა სახელად სჩანთ *
სიკვდილამდი მაშიგ წავლა. **

ვახტანგ VI

1522

სწავლა სიკვდილამდეო.

ინგლისური ანდაზა

---

* სჩანთ — მიაჩნიათ.
** წავლა — ყოფნა.

1523

ძე ბრძენი მამის სწავლასა
კვალად და კვალად ინებსა. *

არჩილი

1524

იცოცხლე და ისწავლე.

ინგლისური ანდაზა

1525

საუკუნე იცოცხლე, საუკუნე ისწავლეო.

ძველი რუსული ანდაზა

1526

იცხოვრე სწავლისათვის და ისწავლე ცხოვრებისათვის.

(—)

1527

საცა სწავლაა, ქალაქიც იქ არის, თვით უდაბნოც სწავლის ძალით უნივერსიტეტად გარდაიქმნება.

ვაჟა ფშაველა

1528

სწავლა თესლია ცოდნისა და ცოდნა ბედნიერებაა.

ქართული ანდაზა

1529

სწავლიდან ცოდნა იბადება და ცოდნიდან კეთილიო.

ქართული ანდაზა

1530

სწავლა მადლის დედაა, ბედის გასაღები.

ქართული ანდაზა

1531

სწავლა გონების საზრდოა და ჭკუის წარმატება.

ქართული ანდაზა

---

* ინებსა — ინებებს, ინდომებს, ისურვებს.

1532

სწავლა სინათლეა, უსწავლელობა კი, — სიბნელე.

ბ. ბელინსკი

1533

სწავლა—არა მარტო სინათლეა, ხალხური ანდაზის მიხედვით, ის აგრეთვე თავისუფლებაცაა.

ი. ტურგენევი

1534

...სიმდიდრე—სიკეთეა, მაგრამ ის დამოკიდებულია შემთხვევაზე. სახელის მოხვეჭა—კეთილშობილი, მაგრამ უიმედო მისწრაფებაა. სილამაზე—საუცხოო, მაგრამ ხანმოკლე ღირსებაა. კარგი ჯანმრთელობა—განძია, მაგრამ ადვილად იშლება. ძალ-ღონე — სახარბიელო თვისებაა, მაგრამ მას არყევენ სნეულებანი და სიბერე. მხოლოდ სწავლულობაა ღვთაებრივი, შეურყეველი განძი. უზენაესი უპირატესობანი, რომლებითაც დაჯილდოებულია ადამიანის ბუნება, ესაა — გონება და მეტყველების ნიჭი.

ალუტარქე

1535

სწავლა წყარო არს ცხოვრების.
სიბრძნე — მისი ნაკადული,
და ნაყოფი მათი ერთად —
შვება, ლხენა, სიხარული.

ა. წერეთელი

1536

პირველ სწავლა საწყინოა, ბოლოდ ლხინი შენ და სხვისა.

ვახტანგ VI

1537

სწავლა გავს წყალსა წმიდასა რუულად* მომდინარესა.
რა მოხვდეს კარგსა სათესსა, დროსა, ჟამსა და არესა,

* რუულად — ე. ი. როგორც რუ. რუ — სარწყავად გაყვანილი პატარა არხი.

აღმოაცენებს ნაყოფსა ასწილად შესაწყნარესა.
მორწყული ქვიშა ანასდად გაიდენს, გაიტარებსა.

ვახტანგ VI

1538

...მოსწავლე სწავლასა რა სრულყოფს, განისვენებსა.

დ. გურამიშვილი

1539

სწავლა ყრმას მისცემს სიფხიზლეს,
ნუგეშს სცემს ბერის გულებსა.
გლახას სიმდიდრეს, მდიდარსა
შვენებას გაუსრულებსა.

ვახტანგ VI

1540

სიბრძნე გიყვარდეს, ისწავლე,
ძვირფასი არი სახისა,
დაცემულთ მაღლა ამწევი,
მადიდებელი გლახისა.

ვახტანგ VI

1541

ისწავლე... შვილო: მეცნიერება ჩვენ გვიმოკლებს სწრაფ-მსრბოლი ცხოვრების გამოცდებს.

ა. პუშკინი

1542

შვილო, შენს მამასა, ნუ მიზამ ამასა, რომ არ ისწავლო.

დ. გურამიშვილი

1543

მეცნიერება ჭაბუკთ ასაზრდოებს, მოხუცთ ანიჭებს ლხენას, ბედნიერ ცხოვრებაში გვამშვენებს, უბედურ შემთხვევაში გვიცავს, შორეულ მგზავრობაში არ გვაბრკოლებს; შინაურ სიძნელეებში გვართობს.

მეცნიერება გვმკურნალობს ყველგან, ხალხთა შორის და უდაბნოში, ქალაქის ხმაურში და მარტოობაში; ტკბილია იგი მყუდროებაშიაც და შრომაშიაც.

მ. ლომონოსოვი

1544

სწავლა, ამხანაგო, ყოველთვის საჭიროა, მთელი სიცოცხლის მანძილზე, ეს — კარგი საქმეა, და იგი ბევრ სიხარულს ანიჭებს ადამიანს.

მ. გორკი

1545

კაცსა სწავლა გაანათლებს, ვითა მთვარე ღამე-ბნელსა.

ვახტანგ VI

1546

ბედში სწავლა გამოდგების, დააშვენებს უბედობას...

ვახტანგ VI

1547

ვითა კლდე — ტინი* მაგრად სდგას
და უძლებს ქართა ქროლასა,
ისე ჭკვიანი სწავლული
ამა საწუთროს რჩოლასა.

ი. ჭავჭავაძე

1548

საჭირო არის წრთვნა, სწავლა,
ვითა ფარ-ხმალი ბრძოლასა,
სჯობს ყოლა უწვრთნის ძაღლისა
უწვრთნელი შვილის ყოლასა.

ი. ჭავჭავაძე

1549

სწავლისაგან გამდიდრება სიმდიდრეზედ უმდიდრეა.**

ვახტანგ VI

1550

სწავლა სიკვდიმდე*** შენია, მუდამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი.
სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი;
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.

დ. გურამიშვილი

---

* ტინი — მაგარი კლდე.

** უმდიდრეა — უმდიდრესია.

*** სიკვდიმდე — სიკვდილამდი.

1551

სწავლა კაცს აძლევს მის უმაღლეს საჭიროებას:
პურს — უპუროსა და მონასა — თავისუფლებას.

ვ. ორბელიანი

1552

სჯობს ყოვლს სიმდიდრეს, ქონებას, სწავლითა გამდიდრებანი,
არც ქურდი რასმე მოჰპარავს, არც გზირისაგან ვნებანი,
ვერც მძლავრსა ძალუც* ძალითა მისი მიღება, კლებანი,
უმჯობესია ყოვლისა სამუდმოდ მისი ხლებანი.

ვახტანგ VI

1553

არ ივიწყებდეთ მამების
ნათქვამს და განაგონებსა:
„ხერხი სჯობია ღონესა,
თუ კაცი მოიგონებსა!"
ეს ხერხი მხოლოდ სწავლაა,
მომავლის გზა და ხიდია!
არც მოიშლება ბრძანებით,
არც ფულად გასაყიდია!

ა. წერეთელი

1554

სიბრძნე, ჭკუა და გონება
ქვეყნად ედემის ბაღია,
სწავლა და გამოცდილება
სულ საწყო-იარაღია,
უგნური დადის ბორკილით,
სახეზე აზის დაღია,
სწავლულს წინ უძევს გზა ხსნილი,
კარები სრული და ღია.
უსწავლელობა ბნელია,
სწავლა ნათელი და დღეა.

ა. წერეთელი

---

* ძალუც — ძალუძს, შეუძლია.

1555

...სწავლა და მეცნიერება
ვისაც სწამს და ვინც დაეძებს,
მოელის ბედნიერება!
და ვისაც არ სწამს... არ სჯერა...
ამღვრეული აქვს გლახ-გული,
რაღა თქმა უნდა, რომ იმას,
მალე ჩაყლაპავს უფსკრული.

ი. კრილოვი



1556

სწავლა, განათლება,—ერის გაბედნიერების, კეთილ-დღეობის ბურჯია.

ი. გოგებაშვილი

1557

რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო სასარგებლოა იგი თავისი სამშობლოსათვის.

ა. გრიბოედოვი

1558

მეცნიერება უნდა იქნეს ყველაფერზე უფრო ამამაღლებელი განსახიერება სამშობლოსი, რადგან ყველა ხალხს შორის პირველი ყოველთვის იქნება ის, რომელიც აზრისა და გონების მოღვაწეობის დარგში წინ გაუსწრებს სხვებს.

ლ. პასტერი

1559

რასაც კი ვაკეთებ, მუდამ ვფიქრობ, რომ ამით რამდენადაც ძალ-ღონე შემწევს, უპირველეს ყოვლისა ვემსახურები ჩემს სამშობლოს, ჩემს რუსულ მეცნიერებას, და ეს არის ჩემი უძლიერესი გულის წადილი და ღრმა დაკმაყოფილება.

ი. პავლოვი

1560

ჩემი სიცოცხლე, მთელი ჩემი ძალები და ცოდნა ეკუთვნის ჩემს სამშობლოს.

ი. გოგებაშვილი

1561

ჩემი მოღვაწეობის მთელი ორმოცდახუთი წლის განმავლობაში ერთხელაც არაფერი მითქვამს ისეთი, რაც სასტიკად არ შეესაბამებოდა ეროვნულ მიმართულებასა და პროგრამას.

ა. გოგებაშვილი

1562

და მე, როგორც კაცობრიობის გაზაფხულს
ვუმღერ სამშობლოს, ჩემს რესპუბლიკას,
შობილს შრომაში, ბრძოლაში.

ვ. მაიაკოვსკი

1563

საერთო სარგებლობისათვის, განსაკუთრებით სამშობლოში მეცნიერების განმტკიცებისათვის, ღვიძლი მამის წინააღმდეგაც ამხედრებას ცოდვად არ ვთვლი.*

მ. ლომონოსოვი

1564

ჩვენ გვჭირდება ცოდნა, რათა ჩვენი ქვეყანა გადავაქციოთ კიდევ მრავალჯერ უფრო მდიდარ, ორგანიზებულ ქვეყნად, რათა მიღწევები გავხადოთ ყველასათვის კიდევ უფრო დამაჯერებელი: ჩვენ გვჭირდება ცოდნა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

ნ. კრუპსკაია

1565

ემსახურეთ კაცობრიობას, მაგრამ ნუ დაივიწყებთ დედამიწის იმ კუთხეს, რომელიც თქვენს სამშობლოს წარმოადგენს.

ლ. პასტერი

1566

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა.

---

* სწავლას მოწყურებული თვით მ. ლომონოსოვი 19 წლის ასაკში მამისაგან ნამალავად გაიპარა მამის ოჯახიდან მოსკოვს სწავლის მისაღებად.

და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე
არ შემიძლია მეც განა?

ა. წერეთელი

1567

ქვეყანა ტაძრად, სიყვარული კი სალოცავად
მაქვს და მსოფლიო — სამშობლოა, სამშობლო ჩემი.

კ. ხეთაგური

1568

სწავლა... ძალა და იარაღია. როგორც უღონო და უიარაღო ლაშქრობის დროს ხდება მსხვერპლად ძლიერისა და დაიარაღებულისა, ისე უსწავლელმა უნდა დაუტოვოს ცხოვრებაში თავისი ადგილი, გზა დაუთმოს სწავლულსა, და მოუდგეს უკან და გახდეს მისი შემაცქერალი. პირველი ბატონია, მეორე ყურმოჭრილი ყმა. გონებით ბატონყმობა, რომელსაც სწავლა და უსწავლელობა აწესებს ხოლმე ადამიანთა შორის, ბევრად უფრო ცუდია იმ ბატონყმობაზედ, რომელიც ჩვენში უკვე მოისპო, * ამას ვერ შეიპოვებთ და ვერ მოსპობთ ვერც კანონით და ვერც რაიმე განკარგულებით. ამიტომ ყოველი ხალხი, სწავლას მოკლებული, და იმ ხალხის თვითარსებობა, ყოფა, სიცოცხლე ყოველთვის განსაცდელშია, ნამეტნავად მაშინ, როცა სხვა უფრო განათლებულს ტომს შეხვდება ხოლმე ისტორიის გზაზედ. ამისთანა ხალხი აუცილებლად ჩავარდება ხოლმე სხვის ხელში და შეიქმნება ბევრად თუ ცოტად მონა უფრო განათლებულის ტომისა.

ი. გოგებაშვილი

1569

ეჭვს გარეშეა, რომ ხალხი თვით უნდა ღებულობდეს აქტიურ მონაწილეობას თავის განათლებაში. თუ მას არა აქვს თავისი ცოდნის სარგებლობის ღრმა შეგნება და გამბედაობა, რომ მის შესაძენად რაიმე მსხვერპლი გაიღოს, მაშინ მისთვის არც აღზრდის დიადი მიზნის მისაღწევი გონივრული გზაც არ არსებობს.

ჰ. ბრუგჰამი

---

* ი. გოგებაშვილს მხედველობაში აქვს რუსეთსა და საქართველოში ბატონყმობის ოფიციალური გაუქმება (1864 წ.).

1570

თვით უპატრონეთ თავის თავს,
ნუ იმედოვნებთ სხვებზედა.

ჯაჯა ფშაველა

1571

სწავლა გვეჭირვება და განათლება, რომ სიზარმაცესა და დაუდევრობას თავი როგორმე დავაღწიოთ, თორემ ტყუილია ჩვენი საქმე.

ა. წერეთელი

1572

თუ სწავლით თვით ვერ ამაღლდი,
მამულს ჩირქს ისე ვერ მოჰბან.

ა. წერეთელი

1573

გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება, —
შრომა და ტანჯვა ნუ გეზარება,
თუ შენი შრომა და შენი ტანჯვა
სამშობლოს რადმე გამოადგება...

გ. ჭალადიდელი

1574

ისწავლე და დაინახე
სიყვარულს გაუღე გული!
და უკვდავად დაისახე
საქართველოს სიყვარული.

ა. წერეთელი

1575

დაირაზმეთ, წინ იარეთ,
ისწავლეთ და გაისარჯეთ.
თქვენი საქმე წიგნი არი,
მხოლოდ სწავლით გაიმარჯვებთ.

ა. აბაშელი

1576

თუ ერს სურს იარსებოს ქვეყანაზე, იცოცხლოს და ბედს ეწიოს, იგი უნდა იცავდეს, ავითარებდეს და აღორძინებდეს თა-

ვისი ქვეყნის ენასა, ეროვნულს განათლებასა, ეროვნულ ლიტერატურასა, თეატრსა, ეროვნულს კულტურასა... რათა საპატიო ადგილი მოიპოვოს ერთა შორის და გახდეს თავისებური და მნიშვნელოვანი ნაწილი კაცობრიობისა.

ი. გოგებაშვილი

1577

თითოეული დიდი რუსი ადამიანის ისტორიული მნიშვნელობა იზომება მისი დამსახურებით სამშობლოს წინაშე, მისი ადამიანური ღირსება — მისი პატრიოტიზმის შემძლეობით.

ნ. ჩერნიშევსკი

1578

...სამშობლოსადმი სიყვარული ეთავსება მთელი მსოფლიოსადმი სიყვარულს. ცოდნის სინათლის შეძენით ხალხი არ აყენებს ზიანს თავის მეზობლებს. პირიქით, რაც უფრო განათლებულია სახელმწიფოები, მით უფრო მეტს აუწყებენ ისინი ურთიერთს იდეებს და მით უფრო მატულობს მსოფლიო გონების ძალა და მოქმედება.

კ. ჰელვეციუსი

1578–ა

რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილ-გონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას.

ვაჟა ფშაველა

1579

გიყვარდეს შენი სამშობლო — ეს იმას ნიშნავს, რომ მხურვალედ გსურდეს იხილო მასში კაცობრიობის იდეალის განხორციელება და შენი შეძლებისამებრ ხელს უწყობდე ამას.

ბ. ბელინსკი

1580

ცხოველი, უშრეტი პატრიოტიზმი სწორედ იმით განირჩევა, რომ ის გამორიცხავს ყოველგვარ საერთაშორისო შუღლს, და ასეთი პატრიოტიზმით აღფრთოვანებული ადამიანი მზადაა

იშრომოს მთელი კაცობრიობისათვის, თუ კი შეუძლია მისთვის სასარგებლო იქნეს.

ნ. დობროლიუბოვი

1581

ნამდვილი პატრიოტიზმი ყველა პირად ურთიერთობაზე და ინტერესზე უფრო მაღლა დგას და უმჭიდროეს კავშირშია კაცობრიობისადმი სიყვარულთან.

ნ. დობროლიუბოვი

1582

გარდა ოჯახური კავშირისა არსებობს სხვა უფრო მაღალი კავშირი — კავშირი ადამიანთა სოლიდარობისა, რომელიც უნდა აერთიანებდეს ყველა მშრომელს, ყველა ერს, ყველა ენას, ყველა რასას.

ა. ლინკოლნი

1583

თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში.

ვაჟა ფშაველა

1584

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელი თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობდა, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და

ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. აგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ვაჟა ფშაველა

1585

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო — მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა.

ვაჟა ფშაველა

1586

გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს აქვს თავისი საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება.

ვაჟა ფშაველა

1587

ყველაფერი საუკეთესო, რაც კი ადამიანის მიერ იქმნება, არ შეიძლება [მიჩნეული] იქნეს ერთი რომელიმე ხალხის კუთვნილებად, არ შეიძლება შეედაროს ბოქლომით ჩაკეტილ ძუნწის განძეულობას.

რ. თაგორი

1588

ჩვენ ყველანი ხალხი ვართ და ყველაფერი ის საუკეთესო, რასაც კი ვაკეთებთ, სახალხო საქმეა.

ა. ჩეხოვი

1589

ადვილი არ გახლავთ ერის სიყვარულის მოხვეჭა... ამ დიდი სიყვარულის მოხვეჭა... მხოლოდ დიად ადამიანს, გენიოსს

შეუძლიან, რომელიც ღვიძლი შვილია თავის ერისა, მისი სულის, სისხლის და ხასიათის წარმომადგენელია, რომელშიაც მთელს ერს, მის კულტურულ ავლადიდებას, როგორც ფოკუსში, მოუყრია თავი; იგი იმავე დროს სარკეა თავის ერისა არა ჩვეულებრივი, არამედ ცოცხალი, მისი ნაწარმოებიც მუდამ ცოცხალია, სადაც იგი თავის თავსა ხედავს, თავის „მე"-ს, თავის ვინაობას შესტრფის და შესტრფის იმასაც, ვინც ეს სარკე ისე მოაწყო, რომ ერმა ამ სარკეში ჩახედვით იცნო თავისი თავი.

ვაჟა ფშაველა

1590

შენ გინდა უსაძირკვლოდ ააშენო სახლი? ცეცხლის დაუნთებლად გამოაცხო პური? გინდა რომ ლამპარმა უპატრუქოდ გინათოს? ცომი უდედოდ არ ამოვა... თუ განიზრახავ მოუხვნელი ყანის დათესვას, ჩიტები ხომ აჰკენკენ მთელს მარცვალს. ჯერ მოხანი, ჩასდგი საძირკველი, აუხილე ხალხს თვალი, დააყენე ის სწორ გზაზე, აჩვენე მას შენი სიყვარული, — და მაშინ ვნახოთ — გეტყვის ის მადლობას თუ არა.

ხ. აბოვიანი

1591

ნუ ეძებ დაფასებას, აგრეთვე ჯილდოს და ქებას შენი საქმისათვის. იმუშავე ხალხისათვის და ის გამოგყვება შენ და დაგაფასებს. ამისათვის კი ჯერ დაიმსახურე მისი ნდობა.

ჰ. ზარდაბი

1592

ქვეყნის გულის მოგება უჭკუობა არ არის! და შემცდარია ის, ვინც [ამას] გვერდს უვლის.

ა. წერეთელი

1593

გენიოსის სახელი მილიონია, იმიტომ, რომ ის თავის გულში ატარებს მილიონთა ტანჯვებს, სიხარულს, იმედებსა და მისწრაფებებს. და აი რაში მდგომარეობს საყოველთაობა

მისი იდეებისა და იდეალებისა: ისინი ეხებიან ყველას, ისინი არსებობენ არა რჩეულთათვის, არა ამა თუ იმ წოდებისათვის. არამედ მთელი ხალხისათვის და ამის მეშვეობით კი მთელი კაცობრიობისათვისაც.

ბ. ბელინსკი

1594

რაც უფრო მაღლა დგას გენიოსი, მით უფრო შვილია ის თავისი დროისა და მოქალაქე თავისი ქვეყნისა.

ბ. ბელინსკი

1595

თუ ჩემს ცხოვრებას... რაიმე აზრი ჰქონდა, ეს იმისაგან წარმოსდგება, რომ ჩემსა და ეპოქას შორის გარკვეული ნათესაობა არსებობს.

ჰ. იბსენი

1596

დიადი ადამიანი მუდამ ნაციონალურია, ისე როგორც მისივე ხალხი, რადგან ის სწორედ იმიტომაა დიადი, რომ თვით წარმოადგენს თავის ხალხს.

ბ. ბელინსკი

1597

ხალხი არა მარტო ძალაა, რომელიც ჰქმნის ყველა მატერიალურ ღირებულებებს, — არამედ ის სულიერ ღირებულებათა ერთადერთი და დაუშრეტელი წყაროა, ის დროის, სილამაზისა და გენიალობის მიხედვით პირველი ფილოსოფოსი და პოეტია.

მ. გორკი

1598

ყოველ სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს.

ი. ჭავჭავაძე

1599

ყველა მსოფლიო გენიოსები უმხურვალესი მამულიშვილები იყვნენ. მათ სხვებზედ მეტად უყვარდათ თავისი სამშობლო, როგორც საუკეთესო შვილს მეტობით უყვარს თავისი ღირსეული დედ-მამა.

ი. გოგებაშვილი

1600

...ჭეშმარიტი ადამიანი და სამშობლოს შვილი ერთი და იგივეა...

ა. რადიშჩევი

1601

რამდენ ნიჭი გაქვთ მომეტებული,
იმდენ უმეტესს მოგთხოვსთ მამული
და არ სხვების თქვენ თანასწორად.

მამია გურიელი

1602

სამშობლო შვილსა ერთგულსა
ითხოვს ყოველთვის, ყოველგან...

ა. წერეთელი

1603

სამშობლოს უფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე მშობლებს.

პლატონი

1604

სხვადასხვა აქვთ ადამიანებს ადათი: ერთს ერთი მიაჩნია კარგად, მეორეს—მეორე, მაგრამ, რაც საუცხოოა ყველასათვის, ეს თავისი მშობლიურის პატივისცემა და მოფრთხილებაა.

პლუტარქე

1605

ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ჰბადავს ძლიერს სიყვარულს კაცობრიობისას. მსოფლიო ტალანტები, გენიოსები—

დიდი პატრიოტები, იმავე დროს დიდი მოყვარულნიც იყვნენ კაცობრიობისა... ნელთბილი კოსმოპოლიტობა ჰბადავს ნელთბილ მამულიშვილობასა, და ეს ნელთბილობა... სრულიად უნაყოფოა, როგორც სამშობლოსათვის, ისე კაცობრიობისათვის.

ი. გოგებაშვილი

1606

მხოლოდ საერთო კეთილდღეობაში შეუძლია თითოეულ პატრიოტს საკუთარი კეთილდღეობის ხილვა.

ფრ. გენცი

1607

გავაკეთე რამე საზოგადო კეთილდღეობისათვის? მაშასადამე მე მოვუტანე სარგებლობა ჩემს თავს. ნურასოდეს ნუ მოიშორებ ამ აზრს და ნურავითარ მდგომარეობაში ნუ აიღებ მასზე ხელს.

მარკუს ავრელიუსი

1608

ჯერ ერთი: არ უნდა მოიქცე განუსჯელად და უმიზნოდ, მეორეც ის, რომ საჭიროა შეფარდება მხოლოდ ერთ მიზანთან — საზოგადო კეთილდღეობასთან და არა სხვა რამესთან.

მარკუს ავრელიუსი

1609

როგორც შენ თვით შედიხარ სამოქალაქო საზოგადოებაში, სწორედ ისევე ყოველი შენი მოქმედება უნდა შედიოდეს სამოქალაქო ცხოვრების შემადგენლობაში.

მარკუს ავრელიუსი

1610

ზნეობისათვის მე მხოლოდ ერთი საზომი მაქვს, და მგონია უმკაცრესი: მპირდება თუ არა ჩემი მოქმედება, თუ ის საზოგადოებრივია, კარგ ან ცუდ შედეგებს ქვეყნისათვის.

ფრ. შილერი

1611

...ზნეობა ადამიანისა, როგორც საზოგადოების წევრისა, მდგომარეობს იმაში, რომ, ყველგან, ყოველთვის და რაც არ უნდა მოხდეს იმოქმედოს მოყვასისა და მთელი საზოგადოების უდიდეს სიკეთის მოთხოვნათა თანახმად.

ა. გერცენი (შვილი)

1612

...ვინც გამსჭვალულია ადამიანისადმი სიყვარულით, ის ამ კეთილშობილურ გრძნობას ახორციელებს პირველ ყოვლისა თავის სამშობლოსა და თვისტომთა მიმართ, რომელიც უფრო ახლოა მასთან და, მაშასადამე, არის ჭეშმარიტი პატრიოტი. მაგრამ ამავე დროს ის სიყვარულით და სამართლიანობით ეპყრობა სხვა ერებსაც და, ამგვარად ემსახურება საყოველთაო ძმობის მაღალი ცნების განხორციელებას.

ი. გოგებაშვილი

1613

ჭეშმარიტად პატიოსანმა ადამიანმა თავის თავს უნდა ამჯობინოს ოჯახი, ოჯახს — სამშობლო, სამშობლოს კაცობრიობა.

ჟ. დალამბერი

1614

საუკეთესო საგვარტომო ნუსხა — ეს სამშობლოსათვის და კაცობრიობისათვის გაწეული სამსახურია.

ჟ. დელილი

1615

ხელს უწყობდე მამულისა და კაცობრიობის არა წარმავალს, არამედ მარადიულ დიდებას — რა შეიძლება იქნეს ამაზე უფრო მაღალი და უფრო სანუკვარი?!

ა. ჩერნიშევსკი

1616

არ შეიძლება ემსახურო საკუთარ სამშობლოს, თუ სხვა ხალხის მიმართ უსამართლო ხარ. განა სახელმწიფოს ეგოიზ-

მი ისეთივე ძანკი ამ არის. როგორც ცალკეული ადამიანის ეგოიზმი? განა სამართლიანობა უკვე აღარ ჩაითვლება სათნოებათ, თუ მას სხვა ხალხის მიმართ გამოვიყენებთ?

ლ ბერნე

1617

ჩვენ, კომუნისტებს, გვიყვარს ჩვენი ხალხი. კაცობრიობა ხომ არ შეიძლება იქნეს თავისუფალი, მისი შემოქმედებითი ძალებს ხომ არ შეუძლია თავისუფლად განვითარება, მტკიცე ვშვიდობიანობა ხომ ვერ იქნება უზრუნველყოფილი მანამდე, ვიდრე თუნდ ერთი ხალხი იქნება დაჩაგრული...

ჩვენ არ ვზოგავთ ძალ-ღონეს და არ გვეშინია მსხვერპლის ვაღების მისი სრული განთავისუფლებისათვის, იმისათვის რომ მან თავისუფლად იცხოვროს მსოფლიოს თავისუფალ ხალხთა შორის, როგორც ტოლმა ტოლთა შორის.

ი. ფუჩიკი

1618

მე... სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი ხალხი ქვეყნად არ არის დაჯილდოებული რაიმე უპირატესი უნარით სხვა ხალხთა წინაშე.

გ. ლესინგი

1619

... სამშობლოსადმი ნამდვილი სიყვარულის გარეშე კაცობრიობისადმი ნამდვილი სიყვარული არ არსებობს.

ა. ფრანსი

1620

... ვინც არ ეკუთვნის თავის სამშობლოს, ის არ ეკუთვნის კაცობრიობასაც.

ბ. ბელინსკი

1620-ა

სამშობლოსადმი სიყვარული განუყრელი უნდა იქნეს კაცობრიობისადმი სიყვარულთან.

ბ. ბელინსკი

1621

მოქალაქე არ უნდა სპობდეს ადამიანს და არც ადამიანი მოქალაქეს: ერთშიც და მეორე შემთხვევაშიც გამოდის უკიდუ-

რესობა; ყოველგვარი უკიდურესობა კი განსაზღვრულობის ღვიძლი დაა. სამშობლოსადმი სიყვარული უნდა გამომდინარეობდეს კაცობრიობისადმი სიყვარულიდან ისე. როგორც კერძო გამომდინარეობს ზოგადიდან.

ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი

1622

განა ჩვენ უარს ვიტყვით ინგლისელიდან ჭეშმარიტების მიღებაზე მხოლოდ იმიტომ რომ საფრანგეთში დავიბადეთ? ეს გრძნობა მეტად არასაკადრისი იქნებოდა ფილოსოფოსისათვის. მოაზროვნე ადამიანისათვის არ არსებობს არც ფრანგი, არც ინგლისელი. ვინც ჩვენ გვანათლებს — ის ჩვენი თანამემამულეა.

ვ ო ლ ტ ე რ ი

1623

ადამიანთა შორის უფრო ღრმა, უფრო მკვეთრი განსხვავება არსებობს, ვიდრე ეროვნებათა შორის, — არსებობს აშკარა, ჭეშმარიტად გაუვალი უფსკრული ერთ და იმავე ხალხის ადამიანთა შორის, მათ შორის, ვინც შრომობს და იტანჯება და ვინც ამ შრომით მდიდრდება; მათ შორის, ვინც აიძულეს ყველაფერი შეეწირათ, ბოლომდი მიეცათ მთელი თავიანთი ღონე, თავიანთი წამებული სიცოცხლე და მათ შორის, ვინც მათ სთელავს, ალაჯებს მათ გვამებზე და წარმატებას აღწევს.

ა. ბ ა რ ბ ი უ ს ი

1624

მე არ მსურს, რომ ჩემი სახლი ყოველი მხრიდან კედლით იყოს გარშემოზღუდული და ჩემი ფანჯრები იყოს დახშული. მე მსურს, რომ ყველა ქვეყნების კულტურა თავისუფლად აღწევდეს ჩემს სახლში. მაგრამ მე არ მსურს, რომ ფეხქვეშ ნიადაგს მაცლიდნენ.

მ. გ ა ნ დ ი

1625

სხვა ერებისადმი კეთილშობილური და პატიოსანი მოპყრობა აუცილებლად მსოფლმხედველობის საერთო პროგრესიულობას უერთდება.

ჯ. სტ. მ ი ლ ი

1625-ა

სომეხი, ფრანგი, თათარი, ოსი,
ყველა ძმა არის, ვინც კი მოგვცემს ხელს
და საზიარო ჭირსა და ლხინში
იწამებს მოძმედ მოკეთე ქართველს!

ა. წერეთელი

1626

და თუ შეგხვდეთ ცხოვრებაში
უცხო — ლეკი, გინდ სპარსელი, —
დაჩაგრულს და გაჭირვებულს
გაუწოდეთ ძმურად ხელი.

სილ. ხუნდაძე

1627

გიყვარდეთ ადამიანთა მოდგმა.

მარკუს ავრელიუსი

1628

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ დავამყაროთ მშვიდობა და სიყვარული სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შორის.

ჟ. ზარდაბი

1629

პატრიოტიზმი... განსაკუთრებული ძალით ვითარდება იმ ქვეყნებში, სადაც თითოეულ პიროვნებას ეძლევა მეტი საშუალება შეგნებულად მოუტანოს სარგებლობა საზოგადოებას და მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში.

ნ. დობროლიუბოვი

1630

სამშობლოსადმი სიყვარული არა განყენებული ცნებაა, არამედ რეალური სულიერი ძალა, რომელიც მოითხოვს ორგანიზებას, განვითარებას და კულტურას.

ა. ტოლსტოი

1630-ა

... ყოველი კეთილშობილი პიროვნება ღრმად გრძნობს თავის სისხლიურ ნათესაობას, თავის სისხლიერ კავშირს თავის სამშობლოსთან.

ბ. ბელინსკი

1631

... საუკეთესო საშუალება ჩაუნერგო ბავშვებს სამშობლოსადმი სიყვარული მდგომარეობს იმაში, რომ ეს სიყვარული ჰქონდეთ მამებს.

შ. მონტესკიე

1632

... სათნოების ყველაზე უდიდესი გმირობანი ჩადენილი იყო სამშობლოსადმი სიყვარულით.

ჟ-ჟ. რუსო

1633

მხდალსაც კი მამაცად ხდის სიტყვა „სამშობლო."

ლუკიანე

1634

პატრიოტი ის არის, ვინც სამშობლოსათვის ყველაზედ უმძიმეს პირობებში ყველაზედ უმძიმეს საქმეებს ჰკიდებს ხელს.

პ. პავლენკო

1635

ჩვენთვის ძვირფასნი არიან მშობლები, ძვირფასნი არიან ბავშვები, მახლობლები, ნათესავები; მაგრამ ყველა წარმოდგენა რაიმესადმი სიყვარულის შესახებ შეერთებულია ერთ სიტყვაში „სამშობლო." რომელი პატიოსანი ადამიანი დაიწყებს ყოყმანს თავი შესწიროს სამშობლოს, — თუ ამით შეიძლება სარგებლობა მოუტანოს მას?

ციცერონი

1635-ა

თუ გსურს სამარადისოდ იქნე პატიოსანი ადამიანი, მთელი შენი სიცოცხლე უნდა შესწირო სამშობლოს.

დ. ფონვიზინი

1636

იყავი შვილი შენი სამშობლოსი, ღრმად შეიგრძენ შენი კავშირი მშობლიურ მიწასთან, შვილურად მოეპყარ მას, ასჯერად დაუბრუნე მას, რაც მისგან მიგიღია.

კ. უშინსკი

1637

ხალხის ცხოვრების იმ ეპოქებში, რომლებიც გარდამავალ [ეპოქების] სახელს ატარებენ—მოაზროვნე ადამიანის, თავისი სამშობლოს ნამდვილი მოქალაქის საქმეა — წასვლა წინ, მიუხედავად სიძნელეებისა; ტალახიც იყოს გზაში მაინც წასვლა, ისე რომ წუთითაც არ უშვებდეს მხედველობიდან იმ ძირითად იდალებს, რომლებზედაც აგებულია მთელი ყოფა საზოგადოებისა, რომლის წევრადაც ის ითვლება.

ი. ტურგენევი

1638

ზეშთაგონებულ პიროვნებებს სულ ჰგონიათ, რომ მათ კიდევ ცოტა გააკეთეს თავიანთთვის და ქვეყნისათვის; მათ სურთ, რომ თითოეულ წუთში, თითოეულ თავის ამოსუნთქვით ჰქმნიდნენ ბედნიერებას, განამტკიცებდნენ ქვეყნად რაიმე ამაღლებულ იდეას.

ბ. აუერბახი

1639

დიდი ხელოვნებაა უნერგავდე ადამიანთ მშვენიერ იდეებს, რომლებიც გვასწავლიან ადამიანთა ბედნიერებისათვის ყველაფრის შეწირვას.

ფრ. სტენდალი

1640

სამშობლოსადმი სიყვარულმა საფეხურები არ იცის: ვინც მისთვის ყველაფერს არ აკეთებს, ის არაფერს აკეთებს; ვინც მას არა ყველაფერს აძლევს, ის მას ყველაფერში უარს ეუბნება.

ლ. ბერნე

1640-ა

არასაკმაოა გაკეთებული სამშობლოსათვის, თუ ყველაფერი არ არის გაკეთებული მისთვის.

მ. რობესპიერი

1641

ვინც მთელი თავისი არსებით არ არის თავდადებული სამშობლოს სარგებლობისათვის, მას არავინ და არაფერი არ შეიძლება უყვარდეს გარდა თავისი სარგებლობისა.

ბ. კახოვსკი

1642

არ არსებობს იმაზე უფრო სახიფათო ადამიანი ვიდრე ის, ვისთვისაც უცხოა ადამიანური [გრძნობა], ვინც გულგრილია მშობლიური ქვეყნის სვე-ბედისადმი, მოყვასის სვე-ბედისადმი, ყველაფრისადმი, გარდა მოსაგებად გაღებულ გროშისადმი.

მ. სალტიკოვ-შჩედრინი

1643

ვინც სამშობლოსა უყო კეთილი,
ჩვენი მამაცა მხოლოდ ის არი.

ა. წერეთელი

1644

„ვინ არის შენი საუკეთესო მეგობარი?" — ჰკითხეს ბრძენს. და მან უპასუხა: „ჩემი საუკეთესო მეგობარი ისაა, ვინც ჩემი ხალხის საუკეთესო მეგობარიაო"-ო.

ჩინური ანდაზა

1645

არ არსებობს ბედნიერება სამშობლოს გარეშე. თითოეულმა გაიდგი ფესვები მშობლიურ ნიადაგში.

ი. ტურგენევი

1645-ა

...იქნებ არსებობს ადგილნი უფრო მეტად იშვიათი და საუცხოო, მაგრამ მე ჩემს სამშობლოს არ გავუცვლი არვის.

ვ. ნეზვალი

1646

ბევრია მსოფლიოში, გარდა ჩვენი ქვეყნისა, ყოველგვარი სახელმწიფოები და მიწები, მაგრამ ერთი ჰყავს კაცს ღვიძლი დედა, ერთი აქვს მას სამშობლო.

კ. უშინსკი

1647

მეგობარს განშორებული ტირის შვიდ წელს, სამშობლოს განშორებული — მთელ თავის სიცოცხლეში.

უზბეკური ანდაზა

1648

...უმჯობესია საცოდავ გლახაკად იცხოვრო შენს სამშობლოში, ვიდრე იმეფო სხვის ქვეყანაში.

ნიზამი განჯელი

1649

უსამშობლო ადამიანი — საზიზღარი გამონათქვამია. მისი სიცოცხლე ეს, — ქსოვილიდან ამოგლეჯილი, ყოვლად უვარგისი ძაფია.

კ. კლაუზევიცი

1650

კაცი არ ვარგა სოფელში უმამულო და ეული.

ქართული ანდაზა

1650-ა

ტანი უსულო და უგრძნობარე
თუ გინდ შინ იყოს და თუნდა გარე.
მაგრამ როგორღაც. დედაშვილობამ,
სანატრელია სამშობლო მხარე.

გ. ჭალადიდელი

1651

კვამლიც კი არის სამშობლოსი ჩვენთვის ტკბილი და საამო.

ა. გრიბოედოვი

1652

მსოფლიო პოეზიას სამართლიანად ადარებენ ღვთაებრივ ჩანგს, რომლისთვისაც თითოეული ხალხი თითქოს განსაკუთრებული სიმია. ააჟღერო შენი ქვეყანა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი და სხვებისაგან განსხვავებული ხმით, და იმავე დროს ააჟღერო ისე, რომ მისი ხმა ჰარმონიულად უერთდებოდეს სხვა ქვეყნების ხმებს და ჰქმნიდეს ერთიან მსოფლიო მელოდიას, — იქნებ, სწორედ ასეთია. ეროვნული... პოეტის მაღალი დანიშნულება.

ვ. ბრიუსოვი

1653

ვისაც სამშობლო არა სწამს, ვისაც მშობელი, ნაშობი, თანშობილი არ უყვარს და თავს მითი მართლულობს რომ მე გაურჩევლად მთელი მსოფლიო მწამს და მთელი კაცობრიობა განურჩევლად მიყვარსო, ის შემცდარია.

ა. წერეთელი

1654

ვისაც არ უყვარს თავისი ხალხი, ის ვერ შეიყვარებს სხვის ხალხსაც.

ოსური ანდაზა

1655

მხოლოდ ქარაფშუტა ადამიანები არ განიცდიან სამშობლოს [სიყვარულის] საუცხოო და ამამაღლებელ გრძნობას.

ი. პავლოვი

1655-ა

მშობლიურ ნიადაგზე თუ არა დგას კაცი, მისი შუქი ბევრს ვერც გაანათებს და ვერც ვერავის გაათბობს.

ა. წერეთელი

1656

ის ვერ მისცემს ქვეყანას სიხარულს, ვისაც თვით ქვეყანა არ უყვარს.

ბ. აუერბახი

1657

ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს.

ვაჟა ფშაველა

1658

კოსმოპოლიტიზმი — სისულელეა, კოსმოპოლიტი — ნულია, ნულზე უფრო უარესი; ხალხურობის გარეშე არც ხელოვანი, არც ჭეშმარიტება, არც სიცოცხლე, არაფერი არ არის.

ი. ტურგენევი

1659

ის ადამიანები, რომლებიც ხელს იღებენ თავიანთ სამშობლოზე, ამით ისინი ხელს იღებენ თავიანთ სინდისზე.

ი. გალანი

1660

ნაწილი ერისა, რომელიც მოშორდა საერთო ეროვნულს ნიადაგსა, სწრაფად მიდის უკან-უკან, სუსტდება, ველურდება და ხდება მსხვერპლად გამხრწნელი პროცესისა.

ი. გოგებაშვილი

1660-ა

ყმაწვილო, თუ გსურს გიყვარდეს
შენი სამშობლო ძალიან,
ჯერ წიგნი უნდა ისწავლო...
პირველი ასო არის: ა.

ა. წერეთელი

1661

კითხვა და წერა, ძვირფასო ბავშვებო, სხვა არა არის რა, თუ არა ლაპარაკი ასოების საშუალებით. დაიდეთ წმინდა წესად არც ერთი ასო. არც ერთი სიტყვა არ იკითხოთ უმისოდ, რომ კარგად არ გაიგოთ ისინი.

ხ. აბოვიანი

1662

დედა-ენა პირველადვე
სიბრძნისაა ერთი დარგი,
ტკბილი ტკბილად გასაგონი,
ყრმათა წვრთნისთვის დიდი მარგი...

ი. ჭავჭავაძე

1663

ეცადე ძლიერ და გქონდეს სმენა, —
კარგია, შვილო, სწავლის შეძენა, —
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო,
არ დაივიწყო სამშობლო ენა.

მერწმუნე, რომა გამოცდილია, —
თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია!

გ. ჭალადიდელი

1664

რაც უფრო კეთილშობილია ცალკეული პიროვნება ან ხალხი, მით უფრო დაინტერესებულია ის იმაში, რომ წავიდეს პროგრესის გზით, და უფრო მეტი თავგამოდებით და გულითადად ჰკიდებს ხელს ამ ღვთაებრივ საქმეს.

ო. თუმანიანი

1665

დედა ენა არის უდიდესი მოძღვარი ერისა.

კ. უშინსკი

1666

ენა ხალხისა არის საუკეთესო და დაუმჭკნარი ყვავილი იმის სულიერის ცხოვრებისა, რომელიც იწყება შორს, ისტორიის საზღვარს იქით. ენაშია შთაბერილი სული მთელის ხალხისა და მთელის იმის დედა-ქვეყნისა.

კ. უშინსკი

1667

ხალხის სულიერი თავისებურებანი და ენის აგებულობა ისე ღრმად არიან შერწყმული ერთმანეთში, რომ ერთი რომ

გაქვს, მეორეს მისგან გამოიყვან... ხალხის ენა არის მისი სული და ხალხის სული არის მისი ენა.

ვ. ჰუმბოლტი

1668

ენა არ შეიძლება გამოყოფილი იქნეს თავის სოციალურ გარემოდან და ასახავს თითოეულ ცვლილებას, რომელიც ხდება ადამიანის არსებაში და იმ გარემოში, სადაც ის ვითარდება.

პ. ლაფარგი

1669

...ხალხის ენის ნათელსა და გამჭვირვალე სიღრმეში მოჩანს არა მარტო დედა-ქვეყნის ბუნება, არამედ სრული ისტორია ხალხის სულიერი ცხოვრებისა... თავის სულიერი ცხოვრების ნაყოფს ერი მოწიწებით ინახავს დედა-ენაში.

კ. უშინსკი

1670

ერის ცხოვრება,
მისი დიდება,
მის ისტორია დაცულ არს ენით.

გრ. ორბელიანი

1670-ა

ენის მრავალსიტყვაობა* ერის მრავალაზროვნებას მოასწავებს.

ი. ჭავჭავაძე

1671

ქართულ ენას დიდი სიტყვის კონა აქვს, მისი ლექსიკონი ისე ვრცელია, რომ ბევრჯელ მთელი აზრი ერთს სიტყვაში მოთავსდება ხოლმე.

ა. წერეთელი

1672

ენის გამდიდრება სხვისი სიტყვებით ერს არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს.

ი. ჭავჭავაძე

---

* ნაგულისხმევია ენის ლექსიკის სიმდიდრე.

1673

ენები მხოლოდ იმდენად მდიდრდებიან საჭირო სიტყვებით, რამდენადაც ისინი იდეებით მდიდრდებიან.

ჟ. ბერნარდენ დე სენ-პიერი

1674

ენა არის სრული და სარწმუნო მატიანე ხალხის სულიერ და მრავალ საუკუნე გავლილ ცხოვრებისა და იგივეა ხალხის უდიდესი მოძღვარი. ბავშვი ითვისებს დედა-ენას და მასთან ერთად ითვისებს აზრისა და გრძნობის ნაყოფს ასისა და ათასის განვლილ თაობისას, რომელნიც დიდი ხანია, რაც გახრწნილან დედამიწაში. ბავშვი აკვირდება ქვეყნიერებას და ყოველივე ნახული, ნაცადი, ნაგრძნობი და ნაფიქრი იმ აურაცხელ ჩამომავლობათა გადაეცემა მას ადვილად, უშრომლად და, როცა სწავლობს იგი დედა-ენას, შედის ცხოვრებაში უძლეველის ძალით შეჭურვილი.

კ. უშინსკი

1675

იმ წრეს, სადაც ბავშვი პირველ ხანიდანვე ტრიალებს, დიდი გავლენა აქვს მთელს ადამიანის მერმისზე.

ი. ჭავჭავაძე

1675-ა

ბავშვი არა სწავლობს დედა-ენას, როგორც უბრალო ნიშნებს და სიტყვებს, — ის სწოვს სულიერ ცხოვრებას დედა-ენის მკვებავ ძუძუდან. იგი უხსნის, უმარტებს მას ბუნებას ისე, როგორც ვერც ერთი ბუნების მეცნიერი ვერ განუმარტებდა, იგი აცნობებს მას ადამიანთა ხასიათს, ხალხსა, საზოგადოებას, მის ისტორიას, მის მისწრაფებას ისე, როგორც ვერც ერთი ისტორიკოსი ვერ გააცნობდა; იგი უხსნის მას ხალხის რწმენას და მის პოეზიას ისე, როგორც ვერც ერთი ესთეტიკოსი ვერ აუხსნიდა; იგი ისეთს ნათელსა ჰფენს მის მსჯელობასა და

ფილოსოფიურ შეხედულებას, როგორც ვერც ერთი ფილოსოფოსი ვერ მოახერხებდა.

კ. უშინსკი

1676

...უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია.

ი. ჭავჭავაძე

1677

...არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული — ენაა.

ი. ჭავჭავაძე

1678

ენა, ლიტერატურა არის უმდიდრესი სალარო, რომელშიაც მრავალთა თაობათა ძვირფასის განძივით შეუნახავთ საუკეთესო ნაწარმოები ხალხის გონებისა, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობანი გულისა.

ი. გოგებაშვილი

1679

ენა — ავლადიდებაა, რომელიც ყოველივეზედ მეტად ეკუთვნის ხალხს, ყოველივეზედ მეტად ცოცხალი გამომხატველია მისი ხასიათის, ყოველივეზე მეტად ენერგიული კავშირია მისი საერთო კულტურისა.

ი. ბლუნჩლი

1680

„კოკასა შინა რაცა სდგას. იგივე წარმოსდინდების". ენა გრძნობა-გონების გზა და ხიდია და სიტყვიერება მისივე უტყუარი სახე.

ამ კანონს კერძოდ თვითეულ კაცად-კაცადის გარდა საზოგადოდაც, მსოფლიოდ, ერებიც ექვემდებარებიან. გინდა შეისწავლო ისტორიულად რომელიმე ხალხი? გამოიკვლიე და გაარკვიე მისი ენა.

ა. წერეთელი

1680-ა

ჯერ შრომა, ხოლო შემდგომ და მასთან ერთად ენა — აი ის ორი უმთავრესი სტიმული, რომელთა ზეგავლენით მაიმუნის ტვინი თანდათან ადამიანის ტვინად იქცა, რომელიც, მიუხედავად მაიმუნის ტვინთან მთელი მსგავსებისა, ბევრად აღემატება ბაა სიდიდითა და სრულქმნილობით.

ფრ. ენგელსი
„შრომის როლი მაიმუნის გადამიანების პროცესში", 1945.

1681

სამშობლო მიწა-წყალი, ენა, ისტორია და ერთნაირი თავგადასავალი და არა სარწმუნოება ჰქმნის ერს... ეს დღეს საანბანო ჭეშმარიტებაა...

ა. წერეთელი

1682

ენის ისტორია განუყრელია იმ ხალხის ისტორიასთან, რომელიც ამ ენაზე ლაპარაკობს.

(—)

1683

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათამყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედა-ენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავ წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, — რძე საზრდოდ, ნანა — მოსასვენებლად.

ვაჟა ფშაველა

1683-ა

ყველა ხალხს მშობლიური ენა მიაჩნია განათლების და განვითარების დედა-ბოძად და მის ფართო დაყენებაზე სკოლებში დაუცხრომლად ზრუნავს.

ი. გოგებაშვილი

1684

ხალხი, ერი დედაა ენისა. იგი ჰბადებს და ზრდის ენას, როგორც დედა შვილს.

ვაჟა ფშაველა

1684-ა

ხალხია ენის კანონის დამდები.

ი. ჭავჭავაძე

1685

რა ენა წახდეს.
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!..

გრ ორბელიანი

1685-ა

ენა, რომელზედაც მეცნიერება არ არსებობს, დიდხანს ვერ იცოცხლებს, თუნდაც ბლომად ჰქონდეს ლექსები და მოთხრობები. ხოლო მეცნიერება მაშინ იბადება და იზრდება რომელისამე ენაზე, როცა ამ ენაზე მიმდინარეობს საგნების სწავლება ყოველსგვარს სასწავლებელში. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომელიც ყოველ განვითარებულს ადამიანს და ყოველ კულტურულ ერს კარგად აქვს შეგნებული.

ი. გოგებაშვილი

1686

კრულ იყოს მისი საბელი.
ვინც მთა ვასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დანწუნებელსა
ჭირი მოუვა კარზედა!
ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა,
და ნუ სცვლის დედა-ენასა,

თორემ ბოლო დროს მოიმკის
მდუღარე ცრემლთა დენასა!
გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია!
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!

ა. წერეთელი

1686-ა

კრულია მისი ხსენება,
ვინც დაჰგმობს დედა-ენასა,
თვის ტომს ჰღალატობს და მითი
თვით ფიქრობს მაღლა ფრენასა!..

ა. წერეთელი

1687

სამშობლო ყველას გიყვარდეთ,
ვისაც რო ღმერთი კი გწამსო,
სამშობლოს დამვიწყებელი
მაღალმა ღმერთმა დაამსო.
ვის დედა-ენა არ მოსწონს,
მას ეშმაკები სწამსო,
ცოცხალ იქნება დევნილი,
მკვდარსაც მატლები დახრავსო.
სოფელს ცუდად ეყვედრება
ვითომ თუ შვილი ჰყავსო...

ი. დავითაშვილი

1687-ა

„ბავშვს ჯერ დედა-ენა უნდა ასწავლო და მერე უცხო ენა, ერთი მეორის შემდეგ. თუ ერთ დროს დააწყებინე [ორივე] ენის სწავლება, ბავშვს გონებას დაუბნევ," — ამბობს პედაგოგთა მამა-მთავარი კომენიუსი.*

ი. გოგებაშვილი

---

* კომენიუსი (Comenius) — გალათინებული კომენსკი, თან ქმისი.

1688

„მშობელი, რომელიც მოინდომებს თავის შვილებს ასწავლოს უცხო ენა, ვიდრე ისინი განმტკიცდებოდნენ დედა-ენის ცოდნაში, იქმს იმისთანავე საოცარს სისულელეს, როგორსაც ჩაიდენდა ადამიანი, რომელიც ჯერედ ფეხაუდგმელს ბალღს ცხენზედ ჯდომას დააწყებინებდა“. — ამბობს კომენიუსი.

ი. გოგებაშვილი

1689

ერთი ძირითადი კანონი პედაგოგისა ამბობს: ერიდე შეცდომასო. ისე საჭირო არასდროს არ არის ამ კანონის დაცვა, როგორც სწავლის დასაწყისში.

ი. გოგებაშვილი

1690

ბავშვი, რომელიც გავარჯიშებულია — ყოველი აზრი გამოსთქვას თავისს დედა-ენაზედ შესაფერის სიტყვებითა და ფრაზებით, რომელსაც მეტყველების ნიჭი გახსნილი, გალესილი აქვს, ყოველს უცხო ენაზედ უფრო ადვილად ეჩვევა თავის აზრი სწორად, მკაფიოდ გამოსთქვას. გარნა, თუ იგივე ბავშვი ააცდინეს თავის ღვიძლ მეტყველებას, ვერასოდეს ვერ შეითვისებს უცხო ენის მარჯვედ ხმარებასა. მეტყველი დედა-ენაზედ ადვილად შეიქნება მეტყველი უცხო ენაზედაც. მუნჯი ღვიძლს ენაზედ, მეტ-ნაკლებობით მუნჯი იქნება სხვა ენაზედაც...

ი. გოგებაშვილი

1691

ზურგის შექცევა დედა-ენისა დიდად ვნებს ხალხსა, აქვეითებს და უკან სწევს [მას].

ი. გოგებაშვილი

1692

მშობლიური ენის და წიგნის უარყოფა, გამოუსადეგ რამედ ჩათვლა, თავის თავის უარყოფაა, თავისი თავის გათახსირებაა.

ი. გოგებაშვილი

1693

ხალხის ენაზე თავდასხმა მის გულზე თავდასხმას ნიშნავს.

პ. ლაუბე

1694

მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის.

ი. ჭავჭავაძე

1695

ვინც რამდენი ენა იცის, ის იმდენჯერ ადამიანია.

კარლოს V ჰაბსბურგი

1696

კაცმა რამდენი რამე იცი, იმდენი რამე ხარო.

ქართული ანდაზა

1697

როდესაც შენ კიდევ ერთ ახალ ენას სწავლობ, შენში შენს პატიმარ სულს ბორკილებს უმსხვრევ.

ფრ. რიუკერტი

1698

მრავალი ენების ცოდნა — ერთი ბოქლომისათვის მრავალი გასაღების ქონას ნიშნავს.

ვოლტერი

1699

ენები — ეს გასაღებია ანუ შესავალია მეცნიერებაში და მეტი არაფერი. პირველთა შეძაგება მეორეზე ვრცელდება.

ჟ. ლაბრუიერი

1700

„უცხოური ენა — საარსებო ბრძოლის იარაღიაო"—ხშირად უყვარდა ამ ფრაზის განმეორება მას [მარქსს].

პ. ლაფარგი

1701

რა თქმა უნდა, ბრძოლაში ლაპარაკისათვის არ გვცალია, მაგრამ უნებურ მტერთან საუბრისათვის დრო მაინც მოიძებნება. ამიტომ კომკავშირმა უცხო ენები უნდა იცოდეს.

მ. გორკი

1702

ვნაწობ, რომ ზაფხულში არ ვისარგებლე ფრანგებთან ყბედობით ფრანგული წარმოთქმის სისტემატური შესწავლისათვის, — ახლა, ფონეტიკის ზოგიერთი წიგნი რომ ავიღე, ვხედავ, რამდენად სუსტი ვარ ამაში.

ვ. ლენინი

ვ. ლენინის წერილიდან მ. ი. ულიანოვისადმი 2 იანვ. 1910 წ. თხზ., ტ. 37, გვ. 447

1703

ცოდნის რომელ დარგშიაც არ უნდა მუშაობდეს მეცნიერი... მან უნდა იცოდეს რამდენიმე ენა, სხვარიგ მისთვის დაფარული იქნება ბევრი რამ, ზოგჯერ მეტად მნიშვნელოვანიც.

ს. ვავილოვი

1704

მხოლოდ მტერს შეუძლია ურჩიოს ქართველებს შეაქციეთ ზურგი უცხო ენასა და დარჩით მარტო დედა-ენის ამარაო. ეს იქნება მეორე უკიდურესი უკულმართობა, არა ნაკლებ მავნებელი პირველის უკულმართობისა. მისი მიუცილებელი შედეგი იქნებოდა; სიღარიბე ქართული აზრისა, სიღატაკე ქართული მეცნიერებისა, სივიწროვე გონების ჰორიზონტისა, შეჩერება პროგრესისა, წარმატებისა, დამყარება უძრავის ცხოვრებისა.

ი. გოგებაშვილი

1705

... ისწავლეთ, რაც შეიძლება ღრმად და ზედმიწევნით ევროპული ენები და სვით ევროპიული მეცნიერება ხარბად და გაუმაძღრად... მაგრამ ამასთან არას დროს არ უნდა

დაივიწყოთ, რომ ყოველი ევროპიელი ჯერ საფუძვლიანად ითვისებს თავის მშობლიურს ენასა და მხოლოდ მას უკან შეუდგება ხოლმე უცხო ენის ცოდნის შეძენას.

ი. გოგებაშვილი

1706

...რუსულ ენასა ჩვენთვის, ქართველებისათვის, მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს. იგი არის, პირველად სახელმწიფო ენა... მეორედ, იგი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპიულს განათლებას და. რომელსაც მიუცილებლად მოელის მნიშვნელობა ერთის მსოფლიო ენისა; მესამედ, იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეაერთა ბედი საქართველოსი. ამიტომ რუსული ენა მიუცილებლად უნდა მისდევდეს ქართულ ენასა, როგორც სკოლაში, ისე სახლობაში, და ქართველნი უნდა ვცდილობდეთ სრულად შევითვისოთ ეს ენა და მისი ლიტერატურა.

ი. გოგებაშვილი

1707

ჩვენ... ვიცით, რომ ტურგენევის, ტოლსტოის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის ენა დიადია და მძლავრი. ჩვენ... გვსურს, რომ რუსეთში მოსახლე უკლებლივ ყველა ერის ჩაგრულ კლასთა შორის დამყარდეს რაც შეიძლება მჭიდრო ურთიერთობა და ძმური ერთიანობა. და ჩვენ, რა თქმა უნდა, იმის მომხრენი ვართ, რომ რუსეთის ყოველ მცხოვრებს შესაძლებლობა ჰქონდეს შეისწავლოს დიადი რუსული ენა.

ჩვენ არ გვსურს მხოლოდ ერთი რამ: ი ძ უ ლ ე ბ ი ს ელემენტი. ჩვემ არ გვსურს კეტით ვერეკებოდეთ ვინმეს სამოთხეში". ჩვენ ვფიქრობთ, დიად და მძლავრ რუსულ ენას არ სჭირდება, რომ მას ჯ ო ხ ი ს შ ი შ ი თ სწავლობდეს ვინმე.

ვ. ლ ე ნ ი ნ ი
თხზ., ტ. 20, გვ. 72.

1708

ისინი, ვისაც თავისი ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გამო რუსული ენის ცოდნა სჭირდება, მას უჯოხოდაც შეისწავლიან. ხოლო ძალდატანება (ჯოხი) მხოლოდ ერთ რამეს გამოიწვევს: იგი დააბრკოლებს დიადი და მძლავრი რუსული ენის გავრცელებას სხვა ეროვნულ ჯგუფებში და, რაც მთავარია, — გაამწვავებს მტრობას, შექმნის ათასგვარ ახალ უთანხმოებას, გააძლიერებს შუღლს, ურთიერთგაუგებლობას და სხვა.

აი რატომ ამბობენ რუსი მარქსისტები, რომ აუცილებელია: — სავალდებულო სახელმწიფო ენის ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ა, ამასთან მოსახლეობისათვის სკოლებში ყველა ადგილობრივ ენაზე სწავლების უზრუნველყოფა...

ვ. ლ ე ნ ი ნ ი
თხზ., ტ. 20, გვ. 72—73.

1709

... ახალი ენის შესწავლის დამწყები ჯერ ყოველთვის თავის დედა-ენაზე სთარგმნის იმ ენიდან, ხოლო ახალი ენის არსს ის მხოლოდ მაშინ შეითვისებს და მხოლოდ მაშინ შესძლებს იმ ენის საშუალებით თავისუფლად აზროვნებას, როდესაც მას თარგმნისათვის მიუმართავად გამოიყენებს...

კ. მ ა რ ქ ს ი
„თერამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა", გვ. 9, 1932.

1710

ვინც დედა-ენის გარდა არც ერთი ენა არ იცის, მან რიგიანად არც ეს დედა-ენა იცის.

ვ. გ ო ე თ ე

1711

კაცი, რომელიც აპირებს გაემგზავროს იმ ქვეყანაში, რომლის ენა მან არ იცის, არსებითად მიემგზავრება სკოლაში და არა მოგზაურობაში.

ფრ. ბ ე კ ო ნ ი

1712

ერების დამაკავშირებელი ცემენტი არის საერთო აზრი. ხალხები მხოლოდ მაშინ შედუღდებიან, როდესაც მათ საერთო ენა ექნებათ, როდესაც ერთი და იგივე სიტყვები, როგორც გონების მონეტა *, იტრიალებს ხალხში და შეადგენს საერთო კუთვნილებას. ხოლო ენის მოძრაობას, სიტყვების მიმოქცევას, აზრის განზოგადებას უწინარეს ყოვლისა იძლევა ხელოვნება, პოეზია, ლიტერატურა.

ვ. ჰიუგო

1713

ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობს ხალხთა შერევას და მათ ნიჭთა და უნართა საერთო განუყრელ კავშირში შერწყმას, ადამიანთა მოდგმისათვის უდიდეს სიკეთეს წარმოადგენს.

ჯ. სტ. მილი

1714

შეისწავლეთ ათი ენა, მაგრამ საკუთარი დაიცავით მტკიცედ.

ხ. აბოვიანი



1715

ისმინე, სწავლის მძებნელო! მოყევ დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა.

დ. გურამიშვილი

1716

„რადგან გწადს სიტკბო — მან ** მითხრა —
ჯერ ნახე უგემებია, ***
ქვენარის **** თაფლი უეკლოდ
არავის უგემებია“. *****

ვახტანგ VI

---

* მონეტა — ლითონის ფული.
** მან — ე. ი. ბრძენმა.
*** უგემებია — უგემური.
**** ქვენარი — ფუტკარი.
***** უგემებია — უნახავს გემო.

1717

სწავლის ძირი მწარე არის,
კენწეროში გატკბილდების.

დ. გურამიშვილი

1718

სწავლის ფესვი მწარეა, მისი ნაყოფი კი — ტკბილი.

საადი

1719

სწავლის ძირი მწარე არის,
ნაყოფს მოგცემს ბოლოს ტკბილსა.

ვახტანგ VI

1720

თუ შემოუცდი ისრიმსა, სიტკბოსა მომცემელია.

ვახტანგ VI

1721

მწარე თუ არ სჭამე, ტკბილის გემოს ვერ გაიგებ.

ქართული ანდაზა

1722

ვისაც მწარე არ უგემია, მან არ იცის რა არის ტკბილი.

ინგლისური ანდაზა

1723

რაც უფრო მწარეა წარსული, მით უფრო ტკბილია აწყმო.

უ. შექსპირი

1724

მძიმეა სწავლაში — ადვილია ლაშქრობაში;
ადვილია სწავლაში — მძიმეა ლაშქრობაში.

ა. სუვოროვი

1725

ტვირთი, ბოლოს სასარგებლო,
მძიმეც მჩატედ გვეჩვენება!..
ვისაც მწარე უჭამია,
იცის სიტკბოს გემოვნება.

ა. წერეთელი

1726

მაშინ იხარებს მწიდნავი, *
ოდეს მოისთვლის მტევნებსა,
ეგრეთ მოსწავლე სწავლასა
რა სრულყოფს, განისვენებსა.

დ. გურამიშვილი

1727

შეაჩვიეთ თქვენი თავი თავდაჭერილობას და მოთმინებას, ისწავლეთ მეცნიერებაში შავი სამუშაოს კეთება. შეისწავლეთ, ერთმანეთს უპირისპირეთ, აგროვეთ ფაქტები! სრულყოფილია ფრინველის ფრთა, მაგრამ ის ვერასოდეს ვერ აიტანს ფრინველს ჰაერზე დაუყრდნობლად. ფაქტები — ეს მეცნიერის ჰაერია, მათ გარეშე თქვენ ვერასოდეს ვერ შესძლებთ აფრენას. მათ გარეშე თქვენი „თეორიები" — უბადრუკი წადილია.

მაგრამ შესწავლის, ექსპერიმენტირების, დაკვირვების დროს ეცადეთ არ დარჩეთ ფაქტების ზედაპირზე. არ გადაიქცეთ ხოლმე ფაქტების არქივარიუსებად. შეუპოვრად ეცადეთ ჩასწვდეთ მათი წარმოშობის საიდუმლოებას. დაჟინებით ეძებეთ კანონები, რომლებიც მათ მართავენ.

ი. პავლოვი

1728

ფაქტები — ეს აგურებია, რომლებისგანაც შენდება ადამიანის გამოცდილება, ეს თქვენი იარაღია შემოქმედებაში. დაუცხრომლად ეძებეთ ფაქტები, აგროვეთ ისინი ბუნებაში და წიგნებში. იკითხეთ კარგი წიგნები თავიდან ბოლომდე.

ვ. ობრუჩევი

1729

ცხოვრება ფართოა, და ადამიანის ძალ-ღონის გამოყენება თითქმის უსაზღვროა. საჭიროა სწავლა, საჭიროა შეუპოვარი შრომა — მუქთად არაფერი არ გვეძლევა, ვინც კი შეუპოვარია

* მწიდნავი — ეაზის გარდამფლველი.

შრომაში და არ არის დაავადებული თავბრუდახვევით წარმატებებისაგან, მის წინ ყველაფერი გაშლილია, შორეთი ნათელია და არაფერი არ არის დაუძლეველი.

ვ. კომაროვი

1730

ვერასფერით ვერ ისწავლი ოსტატის და დიდის ცდითა,
თუ მომთმინე არ შეიქენ გასინჯვით და გამოცდითა.

ვახტანგ VI

1731

ყოვლის სიბრძნის საფუძველად მოთმინება დაუდვიათ.

ვახტანგ VI

1732

საქმე ყოველი ძნელია,
თუ არ ხარ მისი ოსტატი.

ნიზამი განჯელი

1733

საქმე ყოველი ძნელია,
მაგრამ იქცევა ადვილად,
თუ გულით მოეკიდები,
თუ მოინდომებ ნამდვილად.

ნიზამი განჯელი

1734

საჭიროა საკუთარ თავში აღვზარდოთ და განვავითაროთ სიყვარული სწავლისადმი, რომ სწავლა ისეთივე სასიამოვნო იყოს, როგორც თამაშია.

მ. გორკი

1735

მწვრთნელი თუ რისხვით გეტყოდეს,
შენს სასარგებლოს სწავლათა,
მოთმენა მწარობს, ხილს ისხამს
უტკბესსა შაქრის ალვათა.

„ქილილა და დამანა"

1736

მოთმინება მწარეა, მისი ნაყოფი კი ტკბილი.

საადი

1737

დარიგება მწარეა, ნაყოფი — ტკბილი.

აზერბაიჯანული ანდაზა

1738

შვილს არას აწყენს მშობელის
დარიგებისა ძლევაო.

ვაჟა ფშაველა

1739

ჭკვიანი — უმისოდაც ჭკვიანია, დარიგება რეგვენს უნდა.

აზერბაიჯანული ანდაზა

1740

გონიერსა მწვრთნელი უყვარს,
უგუნურსა გულსა ჰგმირდეს.

რუსთაველი

1741

მასწავლებლისადმი ნდობის გარეშე არ შეიძლება იქნეს წარმატება.

პ. ჩაიკოვსკი

1742

სოფელსა კაცი ამით იქს თავისა გამოჩენასა,
თავი არ რიდოს გარჯასა, სწავლისა აღმოცენასა.

ვახტანგ VI

1743

გაურჯელად არ იქნება არას კარგის მოსწავლობა.

ვახტანგ VI

1744

ნასწავლი კაცის ლაპარაკი ისმინე უდიდესი ყურადღებით, თუნდაც მისი მოქმედებები მის მოძღვრებას არ შეეფერებოდეს. ადამიანმა უნდა ისწავლოს, თუნდაც ეს სწავლა კედელზედაც რომ იყოს დაწერილი.

საადი

1745

კაცი, კედელზეც რამე ბრძნული თუ ეწერება,
დიდ გულისყურით წაიკითხავს და ცოდნას იძენს.

საადი

1746

უნდა გულდასმით მოუსმინო ბრძენს ქადაგება,
თუნდ ცხოვრებაში არ მისდევდეს ის თავის სიბრძნეს.

საადი

1747

კარგია ისწავლო იმათგან, ვინც საქმეზე ლაპარაკობს.

სოფოკლე

1748

ბრძენი ადამიანი არ აწერს მნიშვნელობას კაცს მისი სიტყვებისათვის და არ უგულველყოფს სიტყვებს მარტოოდენ იმიტომ, რომ ისინი უმნიშვნელო ადამიანის მიერ არის წარმოთქმული.

ჩინური თქმა

1749

ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისთვისაც კი ოსტატია.

ი. ჭავჭავაძე

1750

ბევრნი, რომელთაც არაფერი გონიერი არ უსწავლიათ, მიუხედავად ამისა, მაინც გონივრულად ცხოვრობენ.

დემოკრიტე

1751

უმოკლესი გზა სახელის მოსახვეჭად ის არის, რომ კარგი იყო.

ჰერაკლიტე

1752

ჰმართებს, კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდმოიღოს, უგბილმან* და უგუნურმან ვერა რამე წამოიღოს.

თეიმურაზ I

1753

უნდა იქნე კარგი ადამიანი, ან ბაძავდე კარგს.

დემოკრიტე

1754

გზა კეთილისა კაცისა ნიადაგ გქონდეს სავალად.

„ქილილა და დამანა"

1755

ბრძენი არ იქს კაცთა ბაძსა, მაგრამ კარგსა მიბაძავსა.

ვახტანგ VI

1756

კარგ საქმეზედა მიბაძვა არა რა დასაძრახია!
სმენა, თქმა, კარგის ძიება მოძებართაგან ახია! **

დ. გურამიშვილი

1757

კარგია ჭკუაც თუ ახლავს, მიბაძვა წამხედურობა!
და უჭკუოდ-კი მხოლოდ-ღა საფრთხე და უბედურობა.

ი. კრილოვი

1758

რაც მხოლოდ წამხედურობით კეთდება და არა შეგნებული მოთხოვნილობით, ის, ყოლიფერი, სასაცინოა და საუკეთ-მართო.

ა. წერეთელი

---

* უგბილი — ურჩი, დაჟინებული.

** ახია — მცრთებულია.

1759

ამ მოწყალე ბუნებამ ისე იზრუნა, რომ სამყაროში მუდამ იპოვი რაიმე მისაბაძს.

ლეონარდო და ვინჩი

1760

არ უნდა იფრთხიალო ცხოვრების ზედაპირზე, უნდა იყო მაგალითის მიმცემი... და მუდამ იღებდე მაგალითს იმ ადამიანებისაგან, რომელნიც ყველაზე უფრო მეტს მუშაობდნენ კაცობრიობის სასარგებლოდ.

კ. ლიბკნეხტი

1761

მეტად სასიამოვნოა ისწავლო იმ ადამიანისაგან, რომელიც კეთილ რჩევას იძლევა, მეტადრე, თუ ის რჩევა სასარგებლოა.

სოფოკლე

1762

მხურვალე ქების ღირსია ის, ვინც ყველაფერში თვით არის თავისი თავის მრჩეველი; მეორე მხრივ საუცხოოდ იქცევა ისიც, ვინც კეთილ რჩევებს უჯერებს.

ჰესიოდე

1763

შენი თუ არ იცოდე, სხვისი უნდა დაიჯეროო.

ქართული ანდაზა

1764

ითათბირე მუდამ ვინმესთან, თუნდაც საკუთარ მუხლთან.

იაპონური ანდაზა

1765

კაცი თუ არა გყავდეს. კერიას გამოელაპარაკეო.

ქართული ანდაზა

1766

სჯობს ათჯერ ჰკითხო, ვიდრე ერთხელ წახვიდე მცდარად.

ინგლისური ანდაზა

1767

ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს. *

რუსთაველი

---

* გივაზიროს — გირჩიოს.

1768

შენ გმართებს ხელმძღვანელობდე საკუთარი ჭკუით.

ციცერონი

1769

ვინც კითხულობს იმის შესახებ რაც არ იცის, — ბრძენია, ვინც კი სიამაყით არ კითხულობს, ის — თავის თავის მტერია.

ალიშერ ნავოი

1770

რჩევა ჰკითხე, მაგრამ გადაწყვეტაში იყავი ფრთხილი.

უ. შექსპირი

1771

საკუთარი გამოგონებული სისულელე არასოდეს არ უნდა ამჯობინო სხვის საქმიან რჩევას.

სოკრატე

1772

კაცს თუ ჭკუა აქვს, არ უნდა ერცხვინებოდეს ბეჯითად ისწავლოს, ან არ იყოს მეტისმეტად ჯიუტი. შენ ხედავ, ხეები, რომლებიც დიდი ნიაღვრის დროს მიწისკენ იზნიქებიან, ამით თავიანთ ტოტებს გადაარჩენენ ხოლმე; გამართულად დამდგარნი კი ძირფესვიანად ამოგლეჯილნი იღუპებიან.

სოფოკლე

1773

გახსოვდეს, რომ საკუთარ შეხედულებათა შეცვლა და დათანხმება მასთან, ვინც სწორ გზას გიჩვენებს, სრულიადაც არ ამცირებს შენს თავისუფლებას.

მარკუს ავრელიუსი

1774

ბრძენი იცვლის ხოლმე თავის გადაწყვეტილებებს, სულელი კი, — ჯიუტობს.

ფ. როხასი

1775

ნამდვილ ფილოსოფოსს ჭეშმარიტება უფრო უყვარს, ვიდრე თავისი სისტემა.

ფრ. შილერი

1776

პლატონი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია (Amicus Plato, sed magis amica veritas).

ლათინური თქმა
მ. სერვანტესის ფორმულირებით

1777

პლატონი ჩემი მეგობარია, სოკრატე ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უნდა ვამჯობინო.

მ. ლუთერი

1778

დაე ჩემთვის ძვირფასი იყოს მეგობრები * და ჭეშმარიტება, მაგრამ მოვალეობა მიბრძანებს უპირატესობა ჭეშმარიტებას მივაკუთვნო.

არისტოტელე

1779

როდესაც მე მომდევ, ნაკლებად იფიქრე სოკრატეზე და მეტად ჭეშმარიტებაზე. **

სოკრატე

1780

იყავით პრინციპიალურნი. ჩვენ გვესაჭიროება ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება, ნუ ეცდებით აამოთ მეგობრებს... არავის არ აწყენინოთ. ამ გზით თქვენ, შეიძლება ჰპოოთ მშვიდობა და კეთილდღეობაც კი, მაგრამ ვერ მოიტანთ ვერავითარ სარგებლობას. ნუ შეგეშინდებათ ავტორიტეტების. და თუ თქვენს შორის არიან მომავალი გეოლოგები, რომლებიც არ დაეთანხმებიან აკადემიკოს ობრუჩევს (სასურველი კი იყო, რასაკვირველია, რომ ასეთები ნაკლები ყოფილიყვნენ!),—თამამად გამოდით მის წინააღმდეგ, თუ თქვენ გაქვთ მონაცემები, რომლებიც აბათილებენ მის დასკვნებს.

ვ. ობრუჩევი

---

* აქ არისტოტელე გულისხმობს პლატონს, რომელთანაც მას პოლემიკა ჰქონდა. (რედ.).

** ამ სიტყვებს სოკრატეს მიაწერს პლატონი (რედ.).

1781

სოლომონ ბრძენი სიბრძნითა
თავი არს ყოვლის ბრძნებისა,
ბევრი რამ კარგი დასწერა
წიგნები ღვთის ბრძანებისა;
ერთი იმასაც მოუხდა
გატეხა რამე მცნებისა,
თუ გიჯობთ ნურცა მას უსმენთ,
სიტყვა დამირთავს ნებისა...

დ. გურამიშვილი

1782

გამბედაობა ჭეშმარიტების ძიებაში ფილოსოფიური კვლევის პირველი პირობაა.

გ. ჰეგელი

1783

... მე არ ვამბობ, რომ არ უნდა უსმინოთ არისტოტელეს, პირიქით, მე ვაქებ მათ, ვინც აკვირდება და გულმოდგინედ სწავლობს მას. მე ვკიცხავ მხოლოდ მიდრეკილებას იმდენად ჩავარდეთ არისტოტელეს გავლენის ქვეშ, რომ ბრმად აწეროთ ხოლმე ხელი თითოეულ მის სიტყვას და, სხვა საბუთების პოვნის უიმედობის გამო, მისი სიტყვები ურღვევ კანონად ჩათვალოთ.

გ. გალილეი

1784

ჭეშმარიტმა მეცნიერებამ არ იცის არც სიმპათია და არც ანტიპათია: მისი ერთადერთი მიზანი — ჭეშმარიტებაა.

უ. გროვი

1785

არ არსებობს ჭეშმარიტება, გარდა მეცნიერულისა; მეცნიერების გარეშე, ბოროტების გამოუყენებლად, შეუძლებელია ამ სიტყვის (ჭეშმარიტება) ხმარება.

ფ. ანტე

1786

უმჯობესია და უპატიოსნესი, რომ კაცმა უდაბნოში ჭეშმარიტების ღაღადში სული დალიოს, ვიდრე ქალაქში სადმე ჭეშმარიტების წინააღმდეგად, ანუ სიჩუმით, მაშინ როდესაც ბეედავს ცხადს ბოროტებას საზოგადოებაში...

ა. წერეთელი

1787

უმჯობესია ჭეშმარიტების სიყვარულით იტანჯებოდე, ვიდრე სიცრუით ნეტარებდე.

ნ. ოგარიოვი

1788

უვარგისი დაიწუნეთ საჯაროდ, ნუ შეგრცხვებათ. სირცხვილი და ცოდვა ის არის, როცა ადამიანი ჭირსა ჰმალავს.

ვაჟა ფშაველა

1789

მართალია, მძრახველს ძრახვა
თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა
ქვეყანას არ მოუხდების!
წამხდენელთა და მბაძველთა
კიდევ სხვაც რამ წაუხდების;
ძრახვავე სჯობს საძრახავთა,
ძრახვას კაცი მოუფრთხვების.

დ. გურამიშვილი

1790

ამად სძრახვენ ვინც ავს ჩადის,
კულავ* აღარ ჩაიდინოს;
სხვა გაფრთხილდეს, მისებრ ცრემლი
თვალთა აღარ ჩაიდინოს.

დ. გურამიშვილი

1791

კიცხვავე უკეთესია ცუდ ხოტბის მელულობასა.

არჩილი

---

* კ უ ლ ა ვ — კვლავ, განმეორებით, ხელახლა

1792

ჩვენი ახალგაზრდობა ვალდებულია, როდესაც ხალხში ხედავს უსინიდისო და, მაშასადამე, უკანონო საქმეს, ვითარცა საზოგადოების და სახელმწიფოს წევრმა, იყვიროს დაუფარავად.

ა. წერეთელი

1793

... შეჩვენებული იყოს ის ახალგაზრდა, რომელიც ხედავს საზოგადოებაში ცუდს, მავნებელ რასმე მოვლინებას და არ ამხილებს უშიშრად და დაუფარავად!

ა. წერეთელი

1794

პირველი და უკანასკნელი, რაც გენიოსს მოეთხოვება, — ესაა ჭეშმარიტების სიყვარული.

ვ. გოეთე

1795

ჭეშმარიტება ყოველი გენიალობის მთავარი საწყისია.

ლ. ბერნე

1796

სწავლის მსურველთ ხშირად თავიანთივე მასწავლებელთა ავტორიტეტი ვნებს ხოლმე.

ციცერონი

1797

ვინც ავტორიტეტთა წინაშე ქედს იხრის, ის იშვიათად სჯობნის ხოლმე მათ.

ფრ. ბეკონი

1798

მართალია ბავშვებმა, — სანამ ისინი ბავშვები არიან — უნდა იხელმძღვანელონ ავტორიტეტით, მაგრამ მათ ისიც უნდა ისწავლონ, რომ სამუდამოდ არ დარჩნენ ბავშვებად.

ქრ. ვილანდი

1799

განა შვილი ყველგან
მამის კვალზე დარბის [?]...

კ. ხეთაგური

1800

მოწაფე ვერასოდეს ვერ აჯობებს მასწავლებელს, თუ მასში ხედავს მაგალითს და არა მეტოქეს.

ბ. ბელინსკი

1801

საცოდავია ის მოწაფე, რომელიც ვერ სჯობნის თავის მასწავლებელს.

ლეონარდო და ვინჩი

1802

ცუდია ის ჯარისკაცი, რომელიც არ მიისწრაფვის გენერალი გახდეს.

რუსული ანდაზა

1803

ნუ შეგეშინდებათ ავტორიტეტებისა.

ვ. ობრუჩევი

1804

ჭეშმარიტება ყველა ავტორიტეტებზე უფრო ძვირფასია ქვეყნად.

ბ. ბელინსკი

1805

მხოლოდ ჭეშმარიტებაშია სიბრძნე.

ვ. გოეთე

1806

თქვენ არ უნდა გეშინოდეთ სულის მუშაობის, ვინაიდან ნამდვილია მხოლოდ ის ენთუზიაზმი, რომელიც არწივის მსგავსად არ უშინდება სპეკულაციის მოღუშული ღრუბლებისა და აბსტრაქციის მაღალ ფენების გაუხშოებულ ჰაერს ნაშინ, როდესაც საქმე ეხება ჭეშმარიტების გზისაკენ სრბოლას.

ფრ. ენგელსი
„იმერმანის მოგონებანი".
M. Э., Соч., П, 88.

1807

იქნე ენთუზიასტი — ყველაზედ კეთილშობილური და საუცხოოა ყველა იმათში, რადაც კი მოკვდავი შეიძლება იქნეს.

ქრ. ვილანდი

1808

ჭეშმარიტება ინასკვება და იბადება მოპირდაპირე აზრთა დუღილში.

კლ. ჰელვეციუსი

1809

აზრთა შეჯახებაში იბადება ჭეშმარიტება.

ფრანგული ანდაზა

1810

საკუთარ წინააღმდეგობათა გზა—ჭეშმარიტების გამოცნობის გზაა.

ა. დე კიუსტინი.

1811

მე არ შემხვედრია ისეთი ადამიანი, რომლისგანაც რისამე შესწავლა არ ყოფილიყოს შესაძლებელი.

ა. დე ვინიი

1812

პირველი განმასხვავებელი თვისება კეთილი და ბრძენი ადამიანისა მდგომარეობს შეგნებაში, რომ მან იცის მეტად ცოტა, რომ არიან მასზე გაცილებით უფრო ჭკვიანი ადამიანები, ამასთანავე მას მუდამ სურს ისწავლოს და არა ასწავლოს.

ჯ. რიოსკინი

1813

სოციალური ევოლუცია დიდად მოიგებდა სისწრაფეში და ჰუმანურობაში, ადამიანები კი გახდებოდნენ უფრო ორიგინალურნი, რომ ისინი ნაკლებს ასწავლიდნენ და მეტს სწავლობდნენ.

მ. გორკი

1814

ჭკვიანს უყვარს სწავლა, სულელს სწავლება.

რუსული ანდაზა

1815

მხოლოდ ჭეშმარიტი სწავლულები განაგრძნობენ სწავლას; უვიცთ სხვების სწავლება ურჩევნიათ.

(—)

1816

ყურადღებით მოეპყარი სხვა ადამიანთა სიტყვებს და ეცადე შეძლებისამებრ ღრმად ჩასწვდე მათ ლაპარაკს.

მარკუს ავრელიუსი

1817

კარგი სიტყვა ბავშვისაგანაც კი უნდა მოისმინო.

„შუქასაპტატი"

1818

ვინ არის ბრძენი? ვინც ყველასაგან რამეს სწავლობს.

ძველი ებრაული

1819

ბრძენი როგორცა თავისას,
სხვათ აგრე ცდილობს სწავლასა.

ვახტანგ VI

1820

თუ ჩვენ სამნი შევიკრიბებით, ამით მე უთუოდ ორ მასწავლებელს შევიძენ. კეთილ ადამიანს ვეცდები მივბაძო, ხოლო გარყვნილ ადამიანის ნაკლოვანებებზე დაკვირვებით კი,—ვეცდები გამოვსწორდე.

ჩინური თქმა

1821

ბევრი რამ ვისწავლე ჩემი მასწავლებლებისაგან, კიდევ უფრო მეტი — ჩემი ამხანაგებისაგან, მაგრამ ყველაზე უფრო მეტი — ჩემივე მოწაფეებისაგან.

ძველი ებრაული

1822

როდესაც ვასწავლით, თვით ვსწავლობთ (Docendo discimus).

სენეკა

1823

თუ მასწავლებელი თავის თავს ნებას აძლევს არცოდნაში გამოტყდეს, მაშასადამე მან საქმე იცის!

მ. გორკი

1824

მასწავლებელი, თუ ის პატიოსანია, მუდამ უნდა იქნეს ყურადღებიანი მოწაფე.

მ. გორკი

1825

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ის ადამიანები, რომლებიც ყველაზედ მაღლა დგანან გონებით და, რომელთაც ყველაზე მეტი გააკეთეს თანამედროვეთა განათლებისათვის, იშვიათად სთვლიან თავიანთ თავს პროგრესის ხელმძღვანელებად. მაგრამ უკეთესია, როდესაც ისინი, რომელთაც ჩირაღდანი მიაქვთ, იმავე დროს გზასაც ეძებენ.

ი. ეტვეში

1826

ასწავლო — ნიშნავს ურთიერთს გაუზიაროთ გამოცდილება.

მ. გორკი

1827

ბავშვი უფრო ხალისით სწავლობს საყვარელ დამრიგებლებთან, შენ კი გამოიჩინე ვაჟკაცობა და ისწავლე იმ ადამიანებისაგანაც, რომელთაც პატივს არა სცემ.

ჰინდური თქმა

1828

სწავლა შეიძლება მტრისაგანაც (Fas est et ad hoste doceri).

ოვიდიუსი

1829

ჩემთვის ძვირფასია მეგობარი, მაგრამ მტერიც არა ნაკლებ სასარგებლოა: თუ ერთი შეაფასებს ჩემს ძალას, მეორე მომაგონებს ჩემს მოვალეობას.

ფრ. შილერი

1830

„ისწავლეთ მტრებისაგან".

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 10, გვ. 54.

1831

ცხოვრება ისე სასაცილოდაა მოწყობილი, რომ ადამიანის საუკეთესო აღმზრდელი არის ხოლმე მისივე მტერი.

მ. გორკი

1832

მე მთელი სიცოცხლის მანძილზე მასწავლიდნენ და ახლაც განაგრძობენ სწავლებას. მასწავლიდნენ შექსპირი და სერვანტესი, ავგუსტ ბებელი და ბისმარკი, ლევ ტოლსტოი და ვლადიმერ ლენინი, შოპენჰაუერი და მეჩნიკოვი, ფლობერი და დარვინი, სტენდალი და ჰეგელი, მასწავლიდა მარქსი და აგრეთვე ბიბლია, მასწავლიდნენ ანარქისტები: კროპოტკინი, შტირნერი და „ეკლესიის მამები", ფოლკლორი და დურგლები, მწყემსები, ფაბრიკის მუშები და ათასი სხვა ადამიანი, რომელთა შორის მე ჩემი შეგნებული ცხოვრების ნახევარი საუკუნე გავატარე.

მ. გორკი

1833

ჩვენი მტრები — ყველაზედ უკეთესი მჭედლები არიან ჩვენი ბედნიერებისა.

ა. ფრანსი

1834

რკინას რომ ცეცხლში შეაგდებ,
ის მაშინ გაფოლადდება...
თუ მტრები არ ჰყავს მიწის შვილს,
როგორღა გაფოლადდება?

ა. წერეთელი

1835

იმისათვის, რომ საქმის ცოდნით ასწავლონ თავიანთ ვაჟებს, მშობლებმა ჯერ თვით უნდა ისწავლონ.

ა. გერცენი (შვილი)

1836

იმისათვის, რომ ასწავლო, ძალიან ბევრი უნდა ისწავლო.

მ. გორკი

1837

... აღმზრდელი თვით უნდა აღიზარდოს.

კ. მარქსი
„თეზისები ფეიერბახზე“.
რჩ. ნაწერები, გვ. 422.

1838

სამოძღვროდ გამოსვლა და ქვეყნის დარიგება ადვილი საქმე არ არის!.. ნათქვამია, ცულის აღება ბრძენსაც შეუძლია და რეგვენსაცო, მაგრამ მოხმარება კი სულ სხვადასხვანაირი იქნებაო!...

ა. წერეთელი

1839

არაფერი არ გამოვა როდესაც მასწავლებლად გახდომა სურს მას, ვინც არასოდეს მოწაფედ არ ყოფილა.

ფ. როხასი

1840

ვინც მოწაფედ არ ყოფილა, ის მოძღვარი არ იქნების.

ვახტანგ VI

1841

მოძღვარი, მასწავლებელი ისევე ითვლება საზოგადო მოღვაწედ როგორც მწერალი...

ფრ. ენგელსი
„წერილები ვუპერტალიდან“.
М. Э. Соч., II, 25

1842

მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია.

ი. ჭავჭავაძე

1843

დიდი რამ არის ოსტატის მოხერხებულობა, ყოფა-ქცევა, მაგალითი, სიფრთხილე, წინდახედულობა... ერთი... ჭკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედებს ბავშვის გაადამიანებაზედ, ვიდრე სამისა და ოთხი წლის ზეპირება გრამატიკისა თუ სხვა რისამე ამისთანისა.

ი. ჭავჭავაძე

1844

ყოველგვარი სწავლების წარმატება მასწავლებლის პირად ღირსებაზეა დამოკიდებული.

კ. ცახარია

1845

სახალხო მასწავლებელი ჩვენში ისეთ სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ, რომელზედაც იგი არასოდეს არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს.

ვ. ლენინი
თხზ. ტ. 33, გვ. 547.

1846

ვერც ხელოვნებასა და ვერც მეცნიერებას ვერ ეზიარებ სწავლის გარეშე.

დემოკრიტე

1847

დალიეე * სიბრძნის წამალი, დაღვარე სიშმაგენია.

დ. გურამიშვილი

1848

ბევრის შესწავლის უდიდესი ხელოვნება, — ეს უცებ ცოტასათვის ხელის მოკიდებაა.

ჯ. ლოკი

1849

ერთი ძირითადი კანონი პედაგოგიისა ამბობს: ერიდე შეცდომას. ისე საჭირო არას დროს არ არის ამ კანონის დაცვა, როგორც სწავლის დასაწყისში.

ი. გოგებაშვილი

---

* დალიეე — დალიე. შესვი.

1850

ერთი უმთავრესი კანონი პედაგოგიისა ამბობს: თითოეულერ თითო სიძნელეო.

ი. გოგებაშვილი

1851

მსწავლელი მოსწავლეებსა
სასწავლოს არ გაუძნელებს,
მცირედ-მცირედის სწავლებით,
ძნელს საცოდნს გაუადვილებს...

არჩილი

1852

ვით ახალ მორჩი * ვაზისა
ხელს მიყვეს საფურჩნელადა,
ეგრედ ახალი მოზარდი
ყრმა ოსტატს — გასაწვრთნელადა.

დ. გურამიშვილი

1853

მასწავლებელს მართებს მოწაფის უვიცობაზე გაჯავრება მხოლოდ იშვიათად და ისიც დარიგებით, რადგან მეცნიერება თავისი ბუნებით უნდა გადადიოდეს ერთი ადამიანიდან მეორეზე და მისი შეთვისება ერთბაშად ძნელია.

ფ. როხასი

1854

ვერაფერს ვერ მიაღწევ ნახტომებით (Nihil per saltum).

ლათინური ანდაზა

1855

დიდ მანძილს კაცი ჭენებით ვერ გაივლის. დიდ მანძილს ზომიერი და მტკიცე ნაბიჯი უნდა.

ი. ჭავჭავაძე

1856

„ქათამი თითო მარცვალს ჰკენკს და მაძღარია ხოლმე", ** ბევრ „ცოტასაგან" ერთი დიდი „ბევრი" გამოდის.

მ. სერვანტესი

---

* მორჩი — ნორჩი.

** აქ მ. სერვანტესს ციტირებული აქვს ესპანური ანდაზა.

1857

ბევრი პატარა მარცვლიდან გროვა შედგება.

გერმანული ანდაზა

1858

მრავალი მცირე ქმნის დიდს.

ინგლისური ანდაზა

1859

დოქიც კი ივსება ვარდნილ წვეთისაგან.

ჰინდური თქმა

1860

ათასმილიანი გზა ერთი ნაბიჯით იწყება.

ინგლისური ანდაზა

1861

ბევრი ნაკადული დიდ მდინარედ იქცევა.

გერმანული ანდაზა

1862

თვით ოკეანო
ერთად თავმოყრილი წვეთით შემდგარა.

ი. ჭავჭავაძე

1863

წვეთი ვარდნით კლდეს ხვრეტს (Stillicidi casus lapidem cavat).

ლუკრეციუსი

1864

წვეთი ქვას ხვრეტს (Gutta cavat lapidem).

ოვიდიუსი

1865

განმეორება — შესწავლის დედაა (Repetitio est mater studiorum).

ლათინური ანდაზა

1866

განმეორება — ცოდნის დედაა.

ქართული ანდაზა

1867

ჭაბუკები გამუდმებით უნდა ვარჯიშობდნენ საქმიანობაში; მხოლოდ ამის შემდეგ გამოვლენ ისინი ნამდვილი ოსტატები, თუკი სათანადო ჩვევებს შეიძენენ. მართლაც, სხვანაირად ვერ შესძლებ თავი აარიდო შეცდომებს, თუ ხშირად არ შეცდები და არ შეიცნობ, და არ გამოასწორებ ამ შეცდომებს: ვერავინ ოსტატი ვერ გახდება, თუ ოსტატობაში არ ივარჯიშა.

ი. ა. კომენსკი

1868

ადამიანთა უმეტესობა ვარჯიშით უფრო ხდება მცოდნე, ვიდრე ბუნებრივი მონაცემებით.

დემოკრიტე

1869

არ უნდა მთლიანად ბუნებაზე დანდობა, არამედ ყველაფერში საჭიროა აგრეთვე აუცილებელი ვარჯიშისა და მუყაითობის გამოყენება.

ოლომპიანი

1870

თეორიიდან პრაქტიკაზე გადასვლისას გახსოვდეთ ოსტატობაზე, დახელოვნებაზე.

ვ. მაიაკოვსკი

1871

ოსტატად არავინ არ იბადება.

გერმანული ანდაზა

1872

ოსტატი ციდან არ ჩამოვარდება.

გერმანული ანდაზა

1873

ვარჯიში კაცს ოსტატად აქცევს.

გერმანული ანდაზა

1874

ვისაც უნდა ოსტატი გახდეს, ადრიდანვე ვარჯიშობს.

გერმანული ანდაზა

1875

ვინც ოსტატი უნდა გახდეს, ადრე დაიწყებს განვითარებას.

ფრ. შილერი

1876

ვარჯიში ყველაფერს ძლევს.

პერიანდრე

1877

ჩვენს მაღალ გრძნობებსაც იგივე ემართება, რაც საერთოდ ყველა ჩვენს უნარიანობას. თუ ჩვენ არ ვავარჯიშებთ მათ, ჩვენ უკვე ვეღარ ვამჩნევთ მათ არსებობას ჩვენში. ადამიანები, რომლებიც თავიანთ უნარს არასოდეს არ ავარჯიშებენ, ხდებიან მათი არსებობისადმი უგრძნობელნი.

(—)

1878

გაბედეთ! ხელი მოჰკიდეთ დიდ საქმეებს, თუ თქვენ სერიოზულად ჰკიდებთ ხელს საქმეს. უნარი, ისევე, როგორც კუნთები, იზრდება წვრთნაში. დიდი აღმოჩენები არა ყველას ძალუძს, მაგრამ გაუბედავი უთუოდ ვერაფერს ვერ აღმოაჩენს.

ვ. ობრუჩევი

1879

არც ერთი დიდი საქმე არ შეუსრულებიათ გაუბედავ ადამიანებს, რომლებიც უზრუნველი გამარჯვებისაკენ მიისწრაფოდნენ.

ჯორჯ ელიოტი

1880

... გაბედულად გაკაფეთ თქვენი ცხოვრების გზა, არ გადაუხვიოთ გზას. ყოველთვის წინ—სწორი გზით, როგორიც არ უნდა იყოს ის, მსუბუქი თუ მძიმე.

კ. ლიბკნეხტი

1881

კარგია, როცა გამბედაობა და ცოდნა ერთად არიან.

ა. აბაშელი

1882

... ხშირად გამბედაობას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ უდიადეს ჭეშმარიტებათა აღმოჩენისათვის და... შესაძლებელ შეცდომათა შიშმა არ ანდა აგვაღებინოს ჩვენ ხელი ჭეშმარიტების ძიებაზე.

კლ. პელვეციუსი

1883

შიში ცუდი მრჩეველია.

ა. ფრანსი

1884

ვინც შეშინებულია, ის ნახევრად დამარცხებულია.

ა. სუეროვი

1885

გაბედულება — გამარჯვების საწყისია.

პინდარე

1886

გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში.

ი. ჭავჭავაძე

1887

ვერა, მხდალნი ვერ დაისაკუთრებენ ქვეყანას.

ჭ. ლომთათიძე

1888

„ადამიანთა დიდი უმრავლესობის სულიერი განვითარება" — ამბობს ა. სმიტი, — „აუცილებლად მისი ყოველდღიური საქმიანობით განისაზღვრება. ადამიანს, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს მცირეოდენი მარტივი ოპერაციების შესრულებას ანდომებს... არა აქვს შემთხვევა განავითაროს თავისი გონება...

საერთოდ იგი იმდენად გონებაჩლუნგი და უვიცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია ადამიანისათვის".

კ. მარქსი
„კაპიტალი". ტ. I. გვ. 460, 1954.

1889

ტვინი — შემეცნების უნარი — ვარჯიშით, ტრენირებით ისევე აღიზრდება, როგორც კუნთები.

მ. გორკი

1890

გონებაც, ისევე, როგორც ხელი, ვარჯიშს თხოულობს.

მ. გორკი

1891

ფრთები ფრენისაგან იზრდება.

რუსული ანდაზა

1892

ტვინი თუ ნაჩვევი არ არის თვითმსჯელობასა, თუ თავით თვისით ნავარჯიშები არ არის, თუ მის პატრონს დაბადებითვე ნათხოვრობით გამოუზრდია, „ვერ .მოგართვის" მეტს ვერას ეტყვის გაფითრებულს პატრონსა.

ი. ჭავჭავაძე

1893

მეხსიერება უმოქმედოდ ჩლუნგდება.

ციცერონი

1894

მეხსიერება—ეს ასოებით დაფარული სპილენძის დაფაა, რომელსაც დრო შეუმჩნევლად აგლუვებს. თუ ის დროგამოშვებით არ იქნა განახლებული საჭრისით.

ჯ. ლოკი

1895

მეხსიერება გონებაშეზღუდულ ადამიანისათვის კაპიტალია, რომელსაც მისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

ტრ. ლალი-ტოლენდალი

1896

სწავლა უფიქრელად უსარგებლოა, მაგრამ ფიქრიც უსწავ-ლელად სახიფათოა.

კონფუცი

1897

ჯერ ისწავლე, შემდეგ კი დამოუკიდებლად იაზროვნე.

ინგლისური ანდაზა

1898

მალე ნასწავლი მალე გვავიწყდება.

ინგლისური ანდაზა

1899

... კაცობრიობის მომავალი დამოკიდებულია მთლიანად მოზარდი თაობის აღზრდაზე...

აღზრდის სახით ჩვენ გვესმის სამი რამ: პირველი: **გონებ-რივი აღზრდა**, მეორე: **ფიზიკური აღზრდა**... მესამე: **ტექნიკური სწავლება**.

კ. მარქსი
ინსტრუქცია დრ. ცენტრ. საბჭოს დელეგატებს",
M. Ə. Соч., XIII, ნაწ. I. 199.

1900

აღზრდას მხედველობაში აქვს ფიზიკური და სულიერი განვითარება და საზოგადოებრივი ცხოვრება.

ფრ. ენგელსი
„უახლეს დროში აღმოცენებული კომუნისტური კოლონიების აღწერა", M. Ə. Соч., III, 266.

1901

ზნეობრივი აღზრდისათვის დადებულია ერთი წესი: სხვებს ნუ უზამ იმას, რაც არ გინდა, რომ შენ გიყოს, ე. ი. ის (ზნეობ-

რივი აღზრდა) დაყვანილია სრული თანასწორობისა და ძმური სიყვარულის გატარებამდე.

ფრ. ენგელსი
(იქვე)

1902

ნუ უზამ სხვებს მას, რაც არ გინდა, რომ შენ გიყონ.

პილელი

1903

რაცა შენთვის არ გინდოდეს,
ნუ გზადიან იგი სხვისთვის.

ვახტანგ VI

1904

ბრძენი ადამიანი არ უზამს სხვებს მას, რაც არ უნდა, რომ მას უყონ.

კონფუცი

1905

ზნეობის საფუძვლები, მსგავსად გეომეტრიის აქსიომებისა, უცვლელი ჭეშმარიტებანია.

ვ. კუზენი

1906

ჭეშმარიტად ზნეობრივი მოქმედება არის ის, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს ყოფაქცევის საერთო წესად.

ა. ა. გერცენი (შვილი)

1907

აღზრდის მთავარი დანიშნულება უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ სრულად მოგვამზადოს ცხოვრებისათვის.

ჰ. სპენსერი

1908

სასწავლო და სააღმზრდელო ასაკის ხანაში სწავლა და აღზრდა უნდა შეადგენდნენ მთავარ ინტერესს ადამიანის ცხოვრებაში.

კ. უშინსკი

1909

საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 348.

1910

ადამიანებად ჩვენ გვხდიან დედა და მამა, ადამიანურად კი, — აღზრდა.

კ. ვებერი

1911

მხოლოდ აღზრდას, მოქალაქეთა განათლებით და გაუმჯობესებით, შეუძლია ნამდვილი დემოკრატიის სამეფოს დამყარება. მასში უნდა ვეძებოთ ჩვენ ამოხსნა იმ საკითხებისა, რომლებიც გვაღელვებს; საზოგადოების ღონისძიება ეს, — აღზრდის საშუალებით პიროვნების აღორძინებაა.

ე. ლაბულე

1912

ადამიანის აღზრდა იწყება მის დაბადებიდანვე: ის ჯერ არ ლაპარაკობს, ის ჯერ კიდევ არ ისმენს, მაგრამ უკვე სწავლობს. გამოცდილება წინ უძღვის სწავლას.

ჟ.-ჟ. რუსო

1913

აზროვნების, ზრახვათა და ზნე-ჩვეულებათა შექმნის მეთოდი — აი რა იმსახურებს აღზრდის სახელს და არა სწავლება.

ი. პერდერი

1914

ადამიანის აღზრდა უნდა იწყებოდეს არა ზნე-ჩვეულებათა გაუმჯობესებით, არამედ აზროვნების შეცვლით და ხასიათის განმტკიცებით.

ო. მირაბო

1915

ადამიანის მორალური აღზრდა უნდა დაიწყოს აზროვნების წყობილების გარდაქმნით და ხასიათის შექმნით.

ი. კანტი

1916

აღზრდა — უდიდესი საქმეა: მით წყდება ადამიანის ბედი.

ბ. ბელინსკი

1917

პირველთა ცნობათა და ჩვეულებათა, რომელთა მიიღებს მცირე წლოვანი ყრმა სახლსა შინა მამისა თვისსა, აქვს უდიდესი მნიშვნელობა მრთელსა მისსა სიცოცხლესა შინა.

გაბრ. ქიქოძე

1918

... ჩვენ მთელი ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში ვრჩებით ისეთები, როგორიც აღგვზარდეს სიყრმის დროს.

ი. ა. კომენსკი

1919

ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა.

ი. ჭავჭავაძე

1920

ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივე ადამიანია...

ი. ჭავჭავაძე

1921

ყრმა სწავლაში მომშვიდდების,
რკინა ცეცხლში გარბილდების.

დ. გურამიშვილი

1922

ყრმავ, გონება უგუნური აგონიერეო,
თავს ნუ გახდი უღონოდა, აღონიერეო.

დ. გურამიშვილი

1923

ახალგაზრდობაში სწავლა — ქვაზე ამოჭრაა, მოხუცებულობაში სწავლა კი, — ქვიშაზე ამოჭრა.

ძველი ებრაული

1924

ვით ძნიად* წნორი** ბერ-ფუყი***
დაიგრიხების წნელადა,
აგრეთვე კაცი მხცოვანი
განისწავლების ძნელადა.

დ. გურამიშვილი

1925

დასტურ თქმულა, სიკვდილამდის
კაცი ცოდნას ხამს იწვრთიდეს,
მაგრამ მოუძლურებული
ჭაბუკისდენს ვით შესმიდეს?
თუ უცოდნი დაიწვართოს,
ზოგი წვრთნილი დაავიწყდეს.

არჩილი

1926

სიყმაწვილის შთაბეჭდილებანი უკვდავია ადამიანის გულში საერთოდ, მით უფრო ნიჭიერი ადამიანისა, და ნიჭის სათავე და დასაწყისიც სწორედ იქ არის.

ვაჟა ფშაველა

1927

ყმაწვილების ნორჩი გულიც
ჯერ უხმარი ჭურჭელია —
მყრალი რამე თუ ჩაასხი,
რომ არ დარჩეს შიგ ძნელია!

ა. წერეთელი

---

* ძნიად — ძნელად. ** წნორი — ხე.
*** ბერ-ფუყი — დაბერებული, დაყრუებული.

1928

თუ წყალი სათავეშივე აიმღვრა, ბოლომდინ მღვრიედ ივლის...

ი. ჭავჭავაძე

1929

ყმაწვილის გული ბოსტანიაო, რასაც დასთეს ის მოვაო.

ქართული ანდაზა

1930

იმ წრეს, სადაც ბავშვი პირველ ხანიდანვე ტრიალებს, დიდი გავლენა აქვს მთელს ადამიანის მერმისზედ.

ი. ჭავჭავაძე

1931

მრავალი დედა დღემდეც კი ისე ცხოვრობს, რომ მას არ სცალია, რომ შვილს მოეფეროს და ძალიან ხშირად იძულებულია ხელი ჰკრას მას. შვილების სიყვარული — ეს ხომ ქათამსაც შეუძლია. მაგრამ შეგეძლოს მათი აღზრდა — ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი საქმეა, რომელიც ნიჭსა და ცხოვრების ფართო ცოდნას საჭიროებს. ბავშვს თუ მის შეკითხვაზე უთხარი „მოითმინე, გაიზრდები — გაიგებო" — ეს ნიშნავს ჩაახშო მისი მისწრაფება ცოდნისადმი. ბავშვის შეკითხვაზე აზრიანი პასუხის გაცემა — დიდი ხელოვნებაა, და ის სიფრთხილეს საჭიროებს.

მ. გორკი

1932

რას ღებულობენ ბავშვები იმ ოჯახში, სადაც ისინი პატარაობიდანვე ჩხუბისა და კინკლაობის მოწმენი არიან, სადაც ისინი ხშირად უფრო უარესს ხედავენ, ვიდრე დედ-მამის ჩხუბია?

მუშაობისაგან არაქათგამოლეულნი, ცხოვრების დიდი მარცხისაგან და ათასგვარი უბრალო წვრილმანისაგან გაღიზიანებული მშობლები თავისი განწყობილების მონაწილედ.

მწარე წუწუნის მსმენელად ხდიან შვილებს. ბავშვებს კი დიდად არ უყვართ მოწუწუნენი და მარცხგანცდილები.

მ. გორკი

1933

ბავშვის ასაკი — ის ასაკია, როდესაც ყველა შთაბეჭდილებანი აღიქმება ხოლმე განსაკუთრებით მახვილად და ღრმა კვალს სტოვებს მთელს სიცოცხლეში.

ნ. კრუპსკაია

1934

არავის არ შეუძლია განთავისუფლდეს ყმაწვილობის დროის შთაბეჭდილებებისაგან.

ვ. გოეთე

1935

რაც ერთხელ ცხოვლად გულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გადაეცემის.

ნ. ბარათაშვილი

1936

ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი.

ნ. ბარათაშეილი

1937

კაცს შეუძლია გამოიცვალოს ჰავა, მგრამ არა ძვალ-რბილში გამჯდარი ხასიათი.

მ. სერვანტესი

1938

...შვილის კაცად გამოყვანა უწმინდაესი და უდიდესი ვალია მშობლებისა. გაზრდა შვილისა ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ნაწვავ-ნადაგი. ყოველივე ამაგი და უფროს-ერთი დრო ამას უნდა შევა-

ხმაროთ... ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ. მშიერ-მწყურვალი იარე, და ნუ ჩასდგები კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, — აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს. რომელსაც მამაშვილობას ეძახიან.

ი. ჭავჭავაძე

1939

ხილთა მყნობა ბაღს ამშვენებს,
შვილთა აღზრდა დედ-მამასო.

ქართული ანდაზა

1940

გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ მარტო მეცნიერებით შემკული ანუ განათლებული გონება არ ჰქმნის კარგსა და ნამდვილ მოქალაქეს... ყ ო ვ ე ლ ი ბ ო რ ო ტ ე ბ ი ს ა და ს ი კ ე თ ი ს ფ ე ს ვ ი — ა ღ ზ რ დ ა ა... ამ უდაო წესის დაცვით, რჩება მხოლოდ ერთადერთი საშუალება — აღზრდით შეიქნას, ასე ვსთქვათ, ახალი მოდგმა, ანუ ახალი დედები და მამები, რომლებიც შესძლებდნენ თავიანთ ბავშვებში სწორი და საფუძვლიანი წესების ჩანერგვას, რომ ბავშვებმა შემდეგში ეს წესები თავიანთ ბავშვებს გადასცენ.

(—)

1941

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოოფადი.
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,—
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,

ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს შენგან დარგულს,
და მოგვცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.

ი. ჭავჭავაძე

1942

დედაკაცს დიდი ძალა აქვს ოჯახში დიდზე და პატარაზე: შვილების პირველდაწყებითი აღზრდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, დედის ხელშია; დედაა გადამწყვეტი შვილების ბედ-იღბლისა, შვილის მომავალი უსათუოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ დედამ რა შთაბეჭდილებებით ასაზრდოვა შვილის ნორჩი, მაგრამ ღრმად აღმბეჭდი გული და გონება... ამიტომ საჭიროა ყოველი დედა იყოს განათლებული, განვითარებული, რათა შინ ოჯახში და გარეთ საზოგადოებაში სთესდეს თესლს კეთილისა. დიაღ ესმოდეს დედაკაცს, შვილი როგორ აღზარდოს შინ, ოჯახში და, გარეთ საზოგადოებაში, რა აზრები გაავრცელოს, რას ემსახუროს, ვინაიდგან მას შეუძლია დაამხოს ერი და კიდეც აღადგინოს.

ვაჟა ფშაველა

1943

როგორც დღეს, ისე მომავალში დედაკაცი უმთავრესად უნდა ემსახურებოდეს ოჯახს და შვილების აღზრდას. თუ ამას ღირსეულად შეასრულებს დიდს, ძალიან დიდს საქმეს გააკეთებს, დიდს ამაგს დასდებს თავის ქვეყანას.

ვაჟა ფშაველა

1944

დედაკაცი შვილების გაზრდით ფასდებაო.

ქართული ანდაზა

1945

ვისურვოთ, რომ მალე გამრავლებულიყოს ჩვენში ნამდვილი მამულისშვილები! და ეს ადვილად ასრულდება, თუ კი ჩვე-

ნი დედები მოინდომებენ და თავის პაწაწა შვილებს ძუძუსთან ერთად შეაწოვებენ მამულის სიყვარულს და ერთგულებას და თუ მამებიც უფრო სწორ განათლების გზაზედ დააყენებენ...

ა. წ ერ ე თ ე ლ ი

1946

ოჯახურ ანუ დედის მიერ აღზრდაშია მომავალი ერის ბედი.

მ. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი

1947

ბავშვების დედა არის ოჯახის დედა, მაგრამ ოჯახის დედები იმავე დროს არიან ერის დედებიც.

მ. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი

1948

ქალიშვილის აღზრდა იგივეა, რაც საზოგადოების აღზრდა. რადგან საზოგადოება გამომდინარეობს ოჯახიდან, რომლის სული ქალია.

ქ. მ ი შ ლ ე

1949

...რომ მეტი ყურადღება ქალებს მივაქციოთ და უფრო მეტად შევუწყოთ ხელი მათ განვითარებას, არ იქნება ურიგო... სწორედ იმ გზით უნდა წავიდნენ ჩვენი ქალები, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ განსვენებულმა იაკობ გოგებაშვილმა და ისე, როგორც მოგვითხრობს მისი წიგნაკი „ბურჯი ეროვნებისა", მაშინ ჩვენი დედები გასტკეპნიან ეროვნულ გზას და არა თუ თვითონ გამობრუნდებიან, ვაჟებსაც გამოაბრუნებენ.

ა. წ ერ ე თ ე ლ ი

1950

ქალია საზოგადოდ „ქვეყნის მარილი" და ეროვნებაში კი ეკალიცა და ყვავილიც, ბორკილიცა და გვირგვინიც. ეს იმაზეა დამყარებული, თუ რომელ გზაზე დგანან: საწალმართოზე თუ საუკუღმართოზე? საჭიროა იმათი აღზრდა, რომ დედებად ივარგონ და „ხე ნაყოფისაგან საცნაურ იქნეს".

ა. წ ერ ე თ ე ლ ი

1951

როდესაც აღზრდას აძლევთ ვაჟს, ამით თქვენ ანათლებთ ადამიანს. ქალიშვილის აღზრდით კი — ანათლებთ მთელს ოჯახს.

ჟ. სიმონი

1952

ადამიანები მუდამ იქნებიან ისეთნი, როგორებადაც მათ ჰქმნიან ქალები, ამიტომ თუ თქვენ გსურთ შეჰქმნათ დიადი და სათნო ადამიანები, შთააგონეთ ქალებს თუ რა არის სიდიადე და სათნოება.

ჟ.-ჟ. რუსო

1953

მისცეთ ქალს მეცნიერული განათლება, განამტკიცოთ მისი მსჯელობა, მიაჩვიოთ დისციპლინას მისი წარმოსახვა, — აი უტყუარი საშუალება იმისათვის, რომ ხელი შეუწყოთ ოჯახისა და საზოგადოების შინაგან მშვიდობიანობას.

(—)

1954

სამართლიანობის იდეა და საერთო კეთილდღეობა მოითხოვენ, რომ ქალებს მიეცეს მათი უნარის ყოველმხრივი განვითარების ყოველგვარი შესაძლებლობა.

ე. ლეგუვე

1955

ჩავაბათ ქალი საზოგადოებრივ-მწარმოებლურ შრომაში, ხელიდან გამოვგლიჯოთ იგი „შინაურ მონობას", გავანთავისუფლოთ იგი დამაჩლუნგებელი და დამამცირებელი მორჩილებისაგან, სამზარეულოს და საბავშვო ოთახის მუდმივი და განსაკუთრებული გარემოსაგან — აი მთავარი ამოცანა.

ეს ხანგრძლივი ბრძოლაა, რომელიც მოითხოვს როგორც საზოგადოებრივი ტექნიკის, ისე ზნე-ჩვეულებების ძირეულ გადაკეთებას, მაგრამ ეს ბრძოლა კომუნიზმის გამარჯვებით დამთავრდება.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 30, გვ. 491—493

1956

რასაკვირველია ქალს შეუძლია ითამაშოს სოციალური და პოლიტიკური როლი, მაგრამ მან არამც და არამც არ უნდა იკისროს ისეთი მოვალეობა, რომელიც მას ჩამოაშორებს თავის ბუნებრივ ამოცანას, ოჯახისადმი სიყვარულს.

ჟორჟ სანდი

1957

ქალის ოჯახური დანიშნულება არამც და არამც არ უშლის ხელს მის საზოგადოებრივ დანიშნულებას.

ა. გერცენი (შვილი)

1958

ქალები გვმართავენ ჩვენ. მაშ შევეცადოთ ავიყვანოთ ისინი სრულქმნილებამდე: რაც უფრო მეტი ეცოდინებათ მათ, მით უფრო მეტად სრულქმნილი ვიქნებით ჩვენც. ქალის გონების განვითარებაზეა დამოკიდებული მამაკაცის სიბრძნეც.

რ. შერიდანი

1959

როდესაც მე მსოფლიო ისტორიას ვკითხულობ და რომელიმე საგმირო საქმე, ან რომელიმე მოვლენა მაოცებს, მე განწყობილი ვარ ზოგიერთ მათგანში ვიპოვო ქალი, როგორც ფარული მამოძრავებელი ძალა (როგორც მეშვეი ან უმეშვეო აგენტი). ქალები მართავენ ქვეყნიერებას, ისინი ადგენენ ისტორიას, თუმცა ისტორიკოსმა მხოლოდ მამაკაცის სახელები იცის.

ჰ. პაინე

1960

ქალების თანაგრძნობა ძლიერი სქესის დიად მისწრაფებებისადმი მუდამ იყო ცივილიზაციის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა.

ჯ. გარიბალდი

1961

მამაკაცს შობს დედაკაცი, და ამიტომ, ყველაფერი, რაც კი დედაკაცს სურს — სასარგებლოა მამაკაცისათვის.

ემ. ჟირარდენი

1962

ქვეყნის ცივილიზაცია იზომება იმით, თუ რას ფიქრობენ და რა იციან ქალებმა, რომლებიც ახალ თაობას თავიანთ აზრებსა და ცრურწმენებს გადასცემენ ხოლმე.

ე. ლაბულე

1963

მოგვეცით უკეთესი დედები და ჩვენც უკეთესი ადამიანები ვიქნებით.

ჟან პოლი

1964

ამერიკის გამოცდილებამ აშკარად დაამტკიცა, რომ ქალს უფრო მომეტებული ნიჭი აქვს სწავლებისა და აღზრდისა ბუნებისაგან მინიჭებული, ვიდრე ვაჟსა. უმეტესი ნაწილი ამერიკული სკოლებისა ქალების ხელშია.

ი. გოგებაშვილი

1965

წესრიგისადმი ალღოს წყალობით ქალები მეტად უნარიანნი არიან ადმინისტრაციულ მოღვაწეობისათვის.

ჟ. მიშლე

1966

ქალები მომეტებულ შემთხვევაში მარდნი და გაბედულნი არიან.

მ. სერვანტესი

1967

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას: ქალებს სულიერი ინსტიქტი აქვთ.

მ. ლერმონტოვი

1968

როდესაც კი ქალებს შესაძლებლობა ჰქონიათ თავიანთი

უნარი სრულიად თავისუფლად გამოეყენებიათ, ისინი ყოველთვის მამაკაცზე უფრო მაღლა აღმოჩენილან ხოლმე.

შ. ფურიე

1969

კარგი ქალები ყოველთვის კარგ მამაკაცებზე უფრო უკეთესნი არიან.

ნაპოლეონ I

1970

დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.

ი. ჭავჭავაძე

1971

ყველაზე მოკრძალებულს და ყველაზე ღარიბს ისე შეუძლია შევიდეს დიად მოაზროვნეთა საზოგადოებაში, რომ მას არ ჩასთვლიან დაუპატიჟებელ სტუმრად. წერაკითხვის თვითეულ მცოდნეს გონების სამეფოში შესვლის უფლება აქვს.

ს. სმაილსი

1972

სწავლული თავის სამშობლოში — მაღაროში ჩაფლული ოქროა.

არაბული ანდაზა

1973

ნასწავლი კაცი წმინდა ვერცხლი და ოქრო არის,
სადაც კი წავა, მისი ფასი ყველგან იციან.

საადი

1974

სწავლულები დედამიწაზე — ეს იგივეა, რაც ვარსკვლავები ცაზე. გონება და ცოდნა — ეს სიცოცხლის გული და თვალის

ლამპარია: ვინც გონებასა და ცოდნას სწირავს სიცოცხლეს, ის არ კვდება.

არაბული თქმა

1975

ნასწავლი კაცი ცხოვრებას განაგრძობს, თუნდაც სტოვებდეს კიდეც ამ ქვეყანას, უვიცი კი — ქვეყნისათვის მკვდარია, თუნდ მრავალ წელსაც რომ იცოცხლოს.

ძველი ებრაული

1976

სიკვდილის შემდეგ ადამიანი ცოცხლობს მხოლოდ დედამიწაზე.

ა. ბარბიუსი

1977

მიცვალებულთა დიადი სული ეხლაც ბრძანებლობს ჩვენზე — სოკრატე, პლატონი, დეკარტი და ლოკი განაგრძობენ სიცოცხლეს ფილოსოფიაში; ჰომეროსი, ვერგილიუსი, დანტე, შექსპირი — პოეზიაში, არისტოტელე, გალილეი, ნიუტონი და ლავუაზიე — მეცნიერებაში მაშინ, როდესაც მათი თანამედროვე ხელისუფალნი, კონსულები, პრეზიდენტები და მათი მსგავსნი უკვე დიდი ხანია დავიწყებულნი არიან.

ს. სმაილსი

1978

ალექსანდრე დიდისაგან * მხოლოდ სახელი და ხსოვნა დარჩა, მაშინ როდესაც პლატონი, არისტოტელე, ჰომეროსი, ჰორაციუსი თვით ცოცხლობენ ჩვენს შორის და უშუალოდ ახდენენ ჩვენზე გავლენას.

ა. შოპენჰაუერი

1979

კარლოს მეხუთე **, როდესაც ის თავისი მიწების სივრცით ტრაბახობდა, ამბობდა ხოლმე: ჩემს სამფლობელოში მზე არასოდეს არ ჩადისო, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანთა

* მხედველობაშია ალექსანდრე მაკედონელი.
** მხედველობაშია კარლოს V ჰაბსბურგი.

პროგრესის ისტორიაში კარლოს მეხუთეს მიწებს? არა სიმაღლე და ფიზიკური ძალა ხდის ადამიანს დიადად.

კ. ფლამარიონი

1980

ასწონე ჰანიბალი: რამდენს იწონის ამ დიდი სარდლის ნეშტი? აი სულ ის, რაც დარჩა იმ ადამიანისაგან, ვისაც მთელი აფრიკაც კი ვერ იტევდა.

იუვენალი

1981

მეცნიერების მეგობარი, სიკვდილის შემდეგაც, როცა მისი ძვლებიც კი მიწაში დალპა, ცოცხლობს მარადიულად; უვიცი კი, თუმცა დედამიწაზე დადის და ცოცხლებში ითვლება, მაინც მკვდარია, იმდენად არარაობაა ის.

არაბულიდან

1982

ნაწერი სიტყვა მის დამწერზე ბევრით მეტს იცოცხლებს, დამწერი მიწაში განისვენებს, მისი ნაწერი კი ცოცხლობს.

ძველი არაბული ლექსი*

1983

სწავლული და მცოდნე კაცი ყველას არგია,
უსწავლელი, ჩემო კარგო, ქვეყნის ბარგია.

სილ. ხუნდაძე

1984

ნასწავლი კაცი სოფლისათვის კარგია, უსწავლელი კი ბარგია.

ქართული ანდაზა

1985

გონიერი კაცი ქვეყანას ამშვენებს და უგუნური დედამიწას ამძიმებს.

ქართული ანდაზა

---

* ეს წარწერა გაკეთდა ჰ. ბოკლის საფლავის მარმარილოს ძეგლზე ქ. დამასკოში (სირიის დედა-ქალაქი), სადაც ის გარდაიცვალა და დაკრძალულია.

1986

გონიერი ბრიყვი სჯობს უგუნურ ბრძენს.

უ. შექსპირი

1987

სწავლული კაცი მალ ნახავს, რა რაზე მისდევს სხვისასა,
ვერ ხედავს გაუსწავლელი ვერც სხვასა, ვერცა მისასა.

ვახტანგ VI

1988

სწავლულმა იცის, რა არის უვიცი, რადგან ის ოდესღაც თვით იყო ასეთი, მაგრამ უვიცს არ ესმის სწავლულის მდგომარეობა, რადგან ის არასოდეს არ ყოფილა სწავლული.

აღმოსავლური თქმა

1989

საოცარი მოვლენაა. სწავლა, განათლება, ცოდნა ყველგან და ყველას უვითარდება გონებასთან გულსაც, სინიდისსაც, ნამუსიანობასაც, კაცთმოყვარეობას უძლიერებდა და ადამიანობა მასში მაღლა აჰყავდა. მეორე მხრივ უსუსტებდა და უფხვრიდა დაბალს, პირუტყვულ ინსტიქტებსა, ვიწრო ეგოიზმსა და უკულტურო სულიერს კულტურულ არსებად გადააქცევდა ხოლმე.

ი. გოგებაშვილი

1990

იმდენად ველური არავინ არ არის, ვინც ვერ შესძლებდა
მოლბობას,
თუ სწავლებას თავის ყურთ მოთმინებით მიაპყრობდა.

ჰორაციუსი

1991

ზნედაცემული ხალხი მაშინაც კი წააგებს ბრძოლას არსებობისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ არის მოკლებული. იმპერატორების .დროის რომი ბევრით სჯობდა ცოდნით ძველს

რომსა, მაგრამ პირველი მუდამ იმარჯვებდა უძლიერეს მტრებზე იმის გამო, რომ სპეტაკი ზნით ბრწყინავდა; მეორე — კი უვიცმა, ველურმა ხალხებმა ფეხქვეშ ჩაიგდეს, გათელეს და შემუსრეს, იმიტომ, რომ ზნეობრივი გახრწნილობით იყო შეპყრობილი.

ი. გოგებაშვილი

1992

თუ ის ხალხი, რომელმაც დაიპყრო, დამარცხებულ ხალხზე უფრო კულტურულია, მაშინ დამპყრობი თავს ახვევს მას თავის კულტურას, ხოლო თუ პირიქითაა, მაშინ ისე ხდება, რომ დამარცხებული თავის კულტურას თავს ახვევს დამპყრობს.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 33, გვ. 337.

1993

ჩემთვის ყველაზე სათნო ადამიანი ყველაზე დიდია.

ვოლტერი

1994

პროგრესი შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც ზნეობა და გონება თავის განვითარებაში მოძრაობენ მწყობრად, და რაც უფრო მჭიდროა მათი კავშირი, მით უფრო მეტი გავლენა აქვთ მათ კაცობრიობის წინსვლაზე.

ჰ. ბოკლი

1995

პიროვნების განვითარება ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად, საზოგადოებრივ ფორმებში ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის განხორციელება — აი მოკლე ფორმულა, რომელიც შეიცავს ყველაფერს, რასაც კი შეიძლება პროგრესი ეწოდოს.

(—)

1996

ჩვენი ზნეობრივი გრძნობები ისეა გადახლართული ჩვენს გონებრივ ძალებთან, რომ ჩვენ არ შეგვიძლია შევეხოთ პირველთ, რომ არ შევეხოთ მეორეებს.

ჯ. რიოსკინი

1997

მხოლოდ მასების ზნეობა არის ცივილიზაციის მტკიცე საძირკველი.

ა. ამიელი

1998

ზნე-ჩვეულების შეცვლა და ერის ამაღლება თუ დამცირება — ეს მთავრობის საქმეა.

ვოლტერი

1999

... ზნეობა — ეს ისაა, რაც ემსახურება ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების დანგრევას და ყველა მშრომელის გაერთიანებას პროლეტარიატის გარშემო, რომელიც კომუნისტთა ახალ საზოგადოებას ჰქმნის.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 351.

2000

კომუნისტურ ზნეობას საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის. აი რა არის კომუნისტური აღზრდის, განათლებისა და სწავლის საფუძველიც.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 354.

2001

ჩვენთვის არ არსებობს ზნეობა, აღებული ადამიანთა საზოგადოების გარეშე; ეს მოტყუებაა. ჩვენთვის ზნეობა ემორჩილება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 350.

2002

ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ... ზნეობას, რომელიც აღებულია გარეშეკაცობრიული, გარეშეკლასობრივი ცნებიდან ... ჩვენი ზნეობა სავსებით ექვემდებარება პროლეტარიატის კლა-

სობრივი ბრძოლის ინტერესებს. ჩვენი ზნეობა გამოიყვანება პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებიდან.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 349.

2003

ერთადერთი რამ, რითაც ყოველი პატიოსანი ადამიანი თავის საქციელში უნდა ხელმძღვანელობდეს — ესაა, სამართლიანია თუ უსამართლო ის, რასაც ის აკეთებს, და კეთილი თუ ბოროტი ადამიანის მოქმედებაა ეს.

სოკრატე

2004

... ცალკეული ადამიანის ზნეობა მდგომარეობს იმაში, რომ ყველგან, ყოველთვის და რაც არ უნდა მოხდეს, იმოქმედოს თანახმად საკუთარი შინაგანი რწმენისა.

ა. გერცენი (შვილი)

2005

... ზნეობა ადამიანისა, როგორც საზოგადოების წევრისა, მდგომარეობს იმაში, რომ ყველგან, ყოველთვის და რაც არ უნდა მოხდეს იმოქმედოს მოყვასისა და მთელი საზოგადოების უდიდეს სიკეთის მოთხოვნათა თანახმად.

ა. გერცენი (შვილი)

2006

არსებობს მხოლოდ ერთი ზნეობა, ეს — სიმართლეა და მხოლოდ ერთი უზნეობა — სიცრუე.

ე. ფეიხტერსლებენი

2007

ისწავლე და თან გახსოვდეს,
რომ მარტო ცოდნაც არ კმარა:
ნეტავი იმას, სწავლასთან,
ვინც ზნეობითაც დამტკბარა!

სილ. ხუნდაძე

2008

ადამიანს ეს ამშვენებს
კარგი ცოდნა, კარგი სული,
ვინც ამ ორი განძით ბრწყინავს,
იგი არის კაცი სრული.

სილ. ხუნდაძე

2009

... ერთსა მარტო სწავლასა, თვინიერ კეთილ ზნეობისა, არა აქვს დიდი ფასი... ერთი მხოლოდ ცოდნა, ანუ განათლება მოუტანს საზოგადოებას და თვით სწავლის შემძენსაც უმეტესად ვნებას, ვინემ სარგებლობასა.

გაბრ. ქიქოძე

2010

სჯობია კაცი უსწავლელი იყოს, სხვადასხვა მეცნიერება არ იცოდეს და საქმით კარგი იყოს, ვიდრე ღა სწავლული და საქმით ცუდი. გარნა ყველაზე უმჯობესი და უმშვენიერესი ის არის, თუ კაცი გონებითაც განათლებულია და საქმენიც, ყოფაქცევაც განათლებული, კეთილი აქვს.

გაბრ. ქიქოძე

2011

თუ გული სიბრძნით განათლებულა,
კეთილ საქმეში თავს ისახელებს.

ასარ თებრიზი

2012

რაც უფრო მაღლა დგას ადამიანი გონებრივ და ზნეობრივ განვითარების მხრივ, 'მით უფრო მეტს სიამოვნებას ანიჭებს მას ცხოვრება.

ა. ჩეხოვი

2013

არ არსებობს სასიამოვნო ცხოვრება გონივრული, ზნეობრივი და სამართლიანი ცხოვრების გარეშე და არც გონივრული, ზნეობრივი და სამართლიანი ცხოვრება სასიამოვნო ცხოვრების გარეშე.

ეპიკურე

2014

აწ ბრძენი უნდა სოფელში
ეგრეთ, ვით წმინდა ბერია,
ცხოვრობდეს, ერთ ასწავლიდეს,
გახადოს მეცნიერია;
ბრძენმან არ უნდა იკადროს
ურიგო რაც რომ ფერია,
ბრძენის ურიგოდ ქცევითა
ბაძით წახდების ერია.

დ. გურამიშვილი

2015

თუცა არა გაქვს სიმართლე, სიბრძნეა დიაღ ცუდია.

ვახტანგ VI

2016

რა იწადო სიბრძნის სწავლა,
უწინ ბოროტს განეშორე.

ვახტანგ VI

2017

სულსა ბოროტ ხელოვანსა შინა არა შევიდეს სიბრძნე.

სოლომონ ბრძენი

2018

კეთილს ვერ შეჰქმნის დაცემული ნიჭიერება.

ომარ ხაიამი

2019

აზროვნების პატიოსნება უფრო იშვიათი მოვლენაა, ვიდრე ყოფა-ცხოვრების პატიოსნება.

ლ. ბერნე

2020

ვისაც კეთილშობილი აზრები არა აქვს, ის ცუდი ადამიანია.

ნ. ჩერნიშევსკი

2021

ნათელი მხოლოდ სათნო ადამიანშია დამკვიდრებული, ბოროტის სულში კი წყვდიადია.

დ. დიდრო

2022

ბრძენი ის არის, ვინც სიგლახეს არიდებს თავსა,
და არა ვინაც კარგს გვასწავლის და სჩადის ავსა.

ს ა ა დ ი

2023

ყოველი ჭეშმარიტება, რაც უნდა უეჭველი არ იყოს ის, თუ არ ხორციელდება მისი წარმომთქმელის საქმეებში და საქციელში, არის მხოლოდ სიტყვა, ცარიელი სიტყვა, იგივე სიცრუე.

ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი

2024

იცხოვრე ისე, როგორც სწერ და სწერე ისე, როგორც ცხოვრობ; სხვარიგ შენი ჩანგის ყველა გამოძახილი ყალბი იქნება.

კ. ბ ა ტ ი უ შ კ ო ვ ი

2025

ჭეშმარიტი დიდება იმაში მდგომარეობს, რომ აკეთო ის, რაც აღწერის ღირსია, და სწერო ის, რაც წაკითხვის ღირსია.

პ ლ ი ნ ი უ ს უ მ ცრ ო ს ი

2026

ჭკუა ის არის — მოქმედებდე სიტყვის თანახმად

ჯ ა ლ ა ლ ე დ ი ნ ბ ა ლ ხ ი (რუმი)

2027

სიტყვა მხოლოდ მაშინ ღირს ძვირად,
როს მთქმელი თვითონ ბრწყინავს ზნეობით.

სილ. ხ უ ნ დ ა ძ ე

2028

თუ თქვენ გსურთ ადამიანი დაარწმუნოთ იმაში, რომ ის ცუდად ცხოვრობს, თვით იცხოვრეთ კარგად, მაგრამ ნუ დაუწყებთ მას დარწმუნებას სიტყვებით. ადამიანებს სწამთ ის, რასაც ხედავენ.

ჰ. თ ო რ ო

2029

ზნეობრივი საქმე უნდა კეთდებოდეს ზნეობრივი გზით გარეშე იძულებისა და ძალის დაუხმარებლად. არაფერი არ შეიძლება იქნეს იმაზედ უფრო მეტად მავნებელი, ვიდრე ზნეობრივ საკითხებში უხეში ძალისა და ზეგავლენის გამოყენება.

მ. ნალბანდიანი

2030

ვერავის ვერ დაარწმუნებ, თუ თვით არ ხარ გულის სიღრმეში დარწმუნებული.

ჟ. დალამბერი

2031

კეთილი საქმისადმი მოწოდება ძნელია დარიგებებით, ადვილია მაგალითით.

სენეკა.

2032

მორალის გზა გრძელია, მოკლე და საიმედო — მაგალითების გზაა.

სენეკა

2033

დიადი მაგალითი იწვევს მიბაძვას და მომავალ თაობებს უკარნახებს უზენაეს კანონებს.

ფრ. შილერი

2034

აჩვენე შენით მაგალითი ყველა ნაკლებშეგნებულთ.

ვ. მაიაკოვსკი

2035

საკმარისი არაა ნაკლოვანებების აღმოჩენა, და არც არავის ამის უფლება არა აქვს, თუ იმავე დროს მას უკეთესის მისაღწევ საშუალებებზე მითითება არ შეუძლია.

ვ. გოეთე

2036

ადვილია ავტორის გაკრიტიკება, მაგრამ ძნელია მისი შეფასება.

ლ. ვოვენარგი

2037

„ასე არ უნდა“-ო — გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე მითითება: „აი, ასე უნდა“-ო.

მ. გორკი

2038

ჭკუა-ნაკლე კაცი საბრალოა, ზნეობა-ნაკლე კი საზიზღარიც!.. მაგრამ თუ ერთსა და იმავე დროს ორივე ერთადა აქვს გარისხებული ადამიანს, მაშინ კი შორს და მშვიდობით! მისი დაახლოება ჭირის გადაკიდებაა.

ა. წერეთელი

2039

უმაღლესი ქმნილება ადამიანია და უმდაბლესი კი ძაღლი, მაგრამ, ბრძენთა საერთო აზრით, გაწვრთნილი ძაღლი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ზნედაცემული ადამიანი.

საადი

2040

ლუკმა კაცისგან ბოძებული ძაღლს ახსოვს მუდამ,
ლუკმის მიმცემმა თუნდაც შემდეგ სულ ქვები სროლოს.*
უზნეოს, ოხერს უსასრულოდ ეფერე თუნდაც,
თუ მოუკელი, იგი ლანძღვას დაგიწყებს ბოლოს.

საადი

2041

ჭკვიან კაცს უჯობს ცოლმა შობოს წიწილი გველის,
ვიდრე მას შვილი შეეძინოს ზნე-საშინელი.

საადი

2042

უშვილოდა სჯობს სიკვდილი
უკეთურთ შვილთა ყოლასა...

არჩილი

---

* სროლოს — ესროლოს.

2043

უმჯობესია შვილი სხვისი იყოს და კარგი, ვიდრე საკუთარი და წამხდარი.*

პეტრე I

2044

სათნოებას მოკლებული სწავლულობა იგივეა, რაც მარგალიტი ნეხვის გროვაში.

მ. სერვანტესი

2045

მეტად სამწუხაროა, რომ ნიჭი ასე იშვიათადაა შეთავსებული მშვენიერ სულიერ ღირსებებთან.

მ. ებნერ-ეშენბახი

2046

არას გარგებს სწავლულობა,
თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა.

რუსთაველი

2047

ვინც წინ მიდის სწავლაში, მაგრამ უკან რჩება ზნეობაში, ის უფრო უკან მიდის, ვიდრე წინ.

არისტოტელე

2048

ზნეობრივი გარდაქმნის გარეშე შეძენილი ცოდნა მხოლოდ ყინულზე დაცემული მთვარის სინათლეა.

ო. შტეინბერგი

2049

რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია.

რუსთაველი

* თვით პეტრე I შვილის ალექსის (1690—1728) მამის წინააღმდეგ შეთქმულებაში აქტიური მონაწილეობისათვის საგანგებო სასამართლოს მიერ მიესაჯა სიკვდილით დასჯა. თანახმად არსებული ვერსიისა ის 26 ივნისს ღამით დახრჩობილი (გაგუდული) იქნა პეტრეპავლეს ციხე-სიმაგრეში.

2050

დავადარო გასწავლული გაუსწავლსა
დაუმდარად.
მკურნალი. და ავადმყოფი სამსგავსოა
შესადარად.

„ქ ი ლ ი ლ ა და დ ა მ ა ნ ა“

2051

ჰგავს უხორთუმოს სპილოსა
ჭკვიანი კაცი ბრიყვია.

დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

2052

ვით უსაჭურლოდ მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს,
გაცოფებული გულ-ბრაზად ვეფხვი უკლანჭოდ ომობდეს,
ვერ აღასრულოს საწადი, რაც ნებავს, მისთვის ღონობდეს.
ეგრეთ ჭკვიანი უწვრთნელი ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს.

დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

2053

უსწავლელი გონიერი მიჯაჭვული ლომიაო.

ქ ა რ თ უ ლ ი ა ნ დ ა ზ ა

2054

სულელი კაცი ბუნებითად უნიჭო, მაგრამ ნასწავლი და გაწვრთნილი კაჭკაჭსა ჰგავს და თუთიყუშს, სხვის ნათქვამს იმეორებს და ფრენის დროს ქარი აქეთ-იქით აფარფატებს. აგრეთვე ბუნებითად ნიჭიერი და ჭკუიანი კაცი, თუ სწავლა არ მიუღია და უწვრთნელია, ჯაჭვით დაბმულ ლომს ჰგავს: ძალ-

ღონე აქვს, მაგრამ ვერ ხმარობს. სასარგებლო და საქები მაშინ არის კაცი, როდესაც ბუნებითი ჭკუა და სწავლა ორივე ერთად აქვს.

ა. წერეთელი

2055

ბუნებითად ძლიერი ჭკუის, მაგრამ უმეცარი კაცი ჯაჭვით დაბმული ლომია: შორს ვერ მისწვდება, მაგრამ სანამდისაც კი მიუშვებს საბმელის წვერი, თვისი ძლიერებაც თან მიაქვს. ბუნებითად ჭკუა-უძლური, მაგრამ ნასწავლი კაცი კი მფრინავი კაჭკაჭია: გზა ხსნილი აქვს, აქაც არის და იქაც: ხან მარჯვნივ გააქანებს ქარი და ხან მარცხნივ, დაფარფატობს და ყველგან გაისმის მისი უსიამო და უაზრო ჩხავილი.

ღმერთმა ყველას აშოროს ერთიცა და მეორეობაც, მაგრამ თუ კაცის თავზე ღვთის რისხვა გადუვალია, მოფარფატე კაჭკაჭობას ისევ დაბმული ლომობა სჯობია.

ა. წერეთელი

2056

სწავლა და ცოდნა გრძნობა-გონების მასალაა!... თუ გრძნობა-გონება არ იქნებიან, მასალა რაღა გამოსადეგია?.. კარგი ის არის, როცა ჭკუა და ცოდნა ორივე ერთად შეკავშირდებიან!

ა. წერეთელი

2057

ქვეყანაზე ცხოვრება ქარბუქი და ბურია,
სწავლას ჩამორჩენილი ყველა ბედის მდურია.

იეთიმ გურჯი

2058

ვერ დაინახავს უსწავლი
თავისას, ვერცა სხვისასა.

ვახტანგ VI

2059

უსწავლელი ქვაზედ დაჰჯდეს, —
ქვა ქვაზედა დაემატოს.

ვახტანგ VI

2060

ბრიყვი ვინმე გაუზდელი
კაცი ნახა* ქვაზე მჯდომი,
გაეცინა, სხვათა უთხრა:
ქვა ქვაზედა ყოფნის მდგომი.

ვახტანგ VI

2061

საჭირო არის წვრთნა, სწავლა,
ვითა ფარ-ხმალი ბრძოლასა,
„სჯობს ყოლა უწვრთნის ძაღლისა
უწვრთნელი შვილის ყოლასა“. **

ი. ჭავჭავაძე

2062

სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა
უწვრთელი შვილის ყოლასა,
ძაღლი უწვრთელი პატრონსა
ასეთს რას დაუშავებსა,
რომ შვილი ბრიყვი უცები,
დედმამას განათავებსა?
უცოდინრობით ასეთსა
საქმეეებსა იქმს ავებსა,
გვარსა და ნათესავებსა
სირცხვილი სჭრიდეს თავებსა.

დ. გურამიშვილი

2063

მშობელთა შვილი უწვრთელი
არდეს მოსცემს ლხენასა,
სულთა წარწყმენდას და ხორცთა
მიუთხრობს მით შერცხვენასა.

დ. გურამიშვილი

---

* კაცი ნახა დიოგენემ.

** ციტატი დ. გურამიშვილიდან.

2064

ვისაც უნდა შვილი შვილად,
სოლომონსა* დაუჯეროს,
სწავლისათვის ნურას რიდებ,
ჯერი იყოს, ან უჯეროს,
თვარამ ბოლოს გაგიხდება
სამწუხაროდ, მტრის სამტეროს.

ვახტანგ VI

2065

ამას ვამბობ და ვღაღადებ,
ისმინეთ ჩემი თხრობილი,
ნუ არიდებთ შვილს სასწავლოდ,
რა ხელს მოგცემთ უწვრთი შვილი!..
ქვანიცა ჰყრიან მინდორად,
უხმარი და განაწბილი.

ი. ჭავჭავაძე

2066

არიდებ შვილსა სასწავლოდ,
სათუთად გინდა ზრდილია:
ქვანიცა ჰყრიან მინდორად,
უხმარი გასაწბილია.

„ქილილა და დამანა"

2067

ნებივრად გაზრდილს აღარ აქვს ცოდნის უნარი,
არმცოდნე არის წინამძღოლად დასაწუნარი.

საადი

2068

ფუფუნებაში აღზრდილი არც თავს არგებს და არც სხვასაო.

ქართული ანდაზა

2069

შენი ჭირიმეთი შვილი არ გაიზრდება.

ქართული ანდაზა

---

* ნაგულისხმებია სოლომონ ბრძენი.

2070

ვინც სწავლა-სიბრძნეს ბავშვობის დროს არ ეკარება,
ბედნიერება სიბერის დროს გაეპარება.

ს ა ა დ ი

2071

ვინც ბავშვობისას არ გამოცდის სწავლის სიმწარეს,
ცხოვრების გარეთ დარჩენილი მუდამ იწვალებს.

ს ა ა დ ი

2072

უსწავლელი ვაჟიკაცი სიბერის დროს გაწბილდების,
რიკ-ფაინის* დრო გარდუა,
ველარ გაჰკრავს, ჩაჰბილდების. **

დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

2073

არას ისწავლი, რაც გმართებს,
და ისე ცუდად ირები, ***
დაგიმძიმდების სიცოცხლე,
გახდები გლახა, მწირები.

ვ ა ხ ტ ა ნ გ VI

2074

ვინც თვალი თვისი თუნდ ოდნავ სწავლით გასარჯა, მან იცის რომ სიკვდილი საშიშარია მხოლოდ უვიცთათვის.

ა ს ა რ თ ე ბ რ ი ზ ი

2075

მოხუცებულობა უვიცთათვის ზამთარია, სწავლულთათვის — მკის დრო.

ო. შ ტ ე ი ნ ბ ე რ გ ი

2076

უვიცთათვის სიბერე მეტად მძიმეა.

მ. დ ი უ დ ე ფ ა ნ ი

---

* რ ი კ-ფ ა ი ნ ი — ჩილიკა ჯოხი, რიკტაფელა. სათამაშო ჯოხი.
** ჩ ა ჰ ბ ი ლ დ ე ბ ი ს — დარბილდების, ე. ი. დასუსტდება.
*** ი რ ე ბ ი — იარ. იცლი.

2077

უსწავლელობა არს წარსაწყმენდი.

დ. გურამიშვილი

2078

ჭკვიანი ადამიანები სწავლობენ იმისათვის, რომ იცოდნენ; არარაობანი კი იმისათვის, რომ მათ იცნობდნენ.

აღმოსავლური თქმა

2079

სულელი დგება წინ, რომ მას ხედავდნენ, ჭკვიანი კი დგება უკან, რომ თვით ხედავდეს.

კარმენ სილვა

2080

სიბრძნეს სურს მოწონება მხოლოდ იმისათვის, რომ დარწმუნდეს იმაში, რომ ის კარგად მოიქცა, პატივმოყვარეობა კი მოითხოვს შექებას.

პ. ბუასტი

2081

...ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი სწავლულობით ტრაბახობენ... სინამდვილეში ძლიერ ცუდ სწავლულებად აღმოჩნდებიან ხოლმე.

ნ. ჩერნიშევსკი

2082

ნუ უცქერ სწავლულობას, როგორც გვირგვინს, რომ მით იპრანჭო და ნურც, როგორც ცულს, რომ მით საზრდო იშოვო.

ძველი ებრაული

2083

ერთისათვის ის [მეცნიერება] ამაღლებული, ზეციური ქალღმერთია, მეორისათვის კი — მეწველი ფური, რომელიც მას კარაქით ამარაგებს.

ფრ. შილერი

2084

მეცნიერება — ოკეანეა, რომელიც გახსნილია, როგორც ფრეგატისათვის, * ისე ნავისათვისაც. ერთი მასზე ეზიდება ოქროს ზოდებს, მეორე კი მასში ქაშაყს** იჭერს.

ედ. ბულვერი

2085

სიტყვა „სწავლული" შეიცავს მხოლოდ ცნებას შესახებ იმისა, რომ ვიღაცამ ისწავლა ბევრი, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მან შეისწავლა რამე. გ. ლიხტენბერგი

2086

მრავალია, რომ დიდად განსწავლულია, მაგრამ ჭკუა არა აქვს.

დემოკრიტე

2087

ადამიანმა შეიძლება ისწავლოს, ისწავლოს და მაინც სულელად დარჩეს.

ინგლისური ანდაზა

2088

ვიდრე ერთ ბრძენს წააწყდებოდე, ათას სწავლულს იპოვი.

მ. კლინგერი

2089

სიბრძნე ერთია, მისი მსგავსება კი — უამრავი.

მირზა შაფი

2090

მცდარობა ისე ახლოს მეზობლობს ჭეშმარიტებასთან, რომ ბრძენი უნდა უფრთხოდეს მათ ესოდენ სახიფათო სიახლოვეს.

ციცერონი

2091

სწავლული, რომელიც თავის სწავლას საქმეში არ იყენებს ემსგავსება კაცს, რომელიც ხნავს და არა სთესს.

არაბული თქმა

---

* ფრეგატი — სამანძიანი, იალქნიანი, სწრაფმავალი სამხედრო ხომალდი.

** ქაშაყი (Glupea, сельдь, селёдка) — სამრეწველო მნიშვნელობის იაფფასიანი თევზი. ბინადრობს როგორც ოკეანეში და ზღვაში, ისე მდინარეშიაც.

2092

თქმულა, საუნჯე უხმარი
არა-რად გამოსაყენად!

დ. გურამიშვილი

2093

ბეკრი სწავლული ემსგავსება ბანკის მოლარეს: მის ხელში ბევრი ფულია, მაგრამ ფული მას არ ეკუთვნის.

ლ. ბერნე

2094

სწავლული კაცი, უმოქმედო, სწავლაუხმარი.
იგივ ბრმა არის, რომ უჭირავს ხელში ლამპარი.

საადი

2095

უსაქმო სწავლული უნაყოფო ხეა.

საადი

2096

თუ ხე უნაყოფოა, შეშად უნდა მოიჭრას.

მანასი

2097

ცოდნას თუ საქმე არა აქვს მისი რიგისა მდებარე.
ვით გვამი სულის გაყრილი, ცუდად ძეს უქმად მდებარე!
ცოდნა ხეა და საქმენი—ხილი, მას ესხას ზე ბარე.
ხეს ხილისათვის დანერგვენ, ამისთვის შვრება მებარე.
ხეს თუ ნაყოფი არა აქვს რისაღა ა მომგებარე? *
თვარა, მოჰკვეთონ. დაურთონ სადა ცეცხლია მგზნებარე.

ქილაღა და დამანა

2098

ერთ კაცს ჰკითხეს: უმოქმედო სწავლული რას წარმოადგენსო. უპასუხა: უთაფლო ფუტკარსაო.

საადი

2099

უქნარა ტვინი ეშმაკის სახელოსნოა.

ინგლისური ანდაზა

---

* რისაღა ა მომგებარე? — რა მოგება. რა სარგებელია ამისგან?, რა სასარგებლოა ის?

2100

უნიჭო სწავლული ემსგავსება იმ საცოდავ მოლას, რომელმაც დაიმედებულმა, რომ მაჰმადის არსით აღივსებოდა, დასჭრა და შესჭამა ყურანი.*

ა. პუშკინი

2101

ზოგიერთ სწავლულზე შეიძლება ითქვას იგივე, რაც კარგ წიგნებზე, რომლებიც ისეთი სქელი მტვერითაა დაფარული, რომ ხელის გაუსვრელად სახიფათოა მათი შეხება.

ი. ოქსენშერნა

2102

სწავლულებს მოსდით ისე, როგორც მოგზაურებს, თუ მოგზაურს საუბედუროდ გზა დაებნა, რაც უფრო წინ მიდის, მით უფრო შორდება ის დანიშნულ ადგილს.

ნ. მალბრანში

2103

უკუღმართ გზაზე რაც უფრო ჩქარა მიდიხარ, მით უფრო იბნევი.

დ. დიდრო

2104

პირველი ნაბიჯი თუ უკუღმართად გადაიდგა, წაღმა სიარული შეუძლებელია, და წყალი თუ სათავეში აიმღვრა, ბოლოში ვეღარა გასწმენდს რა!

ა. წერეთელი

2105

თუ წყალი სათავეშივე აიმღვრა, ბოლომდინ მღვრიედ ივლის...

ი. ჭავჭავაძე

2106

თუ კაცი ერთხელ წაიქცა, ერთხელ თუ გზები აებნა,
სულ ურვა მოვა მის კარზე, სულ ვარამი და ვაება.

ნიზამი განჯელი

---

* ყურანი, ანუ ალ-ყურანი (არაბ. „კითხვა"— Coran)—მუსლიმანთა ძირითადი „საღმრთო წიგნი" არაბულ ენაზე.

2107

ყველასათვის ცნობილია, რომ ადამიანმა თუ ერთხელ დაიწყო დაცემა, ნიუტონის კანონის თანახმად, ვარდება სულ უფრო და უფრო მეტი სისწრაფით.

ჯ. ჰაინე

2108

გაჩერება შეიძლება მაღლა ასვლისას, მაგრამ არა ვარდნისას.

ნაპოლეონ I

2109

არიან ისეთებიც, რომლებიც თუმცა გრძნობენ თავიანთ გადამცდარობას, მაგრამ სიამაყით და მედიდურობით არ ტყდებიან მასში და ვარდებიან უფრო უკიდურეს გადამცდარობაში.

(—)

2110

მტერი მტერსა და მოძულე მოძულეს ვერას უზამს ისეთს, რასაც კაცს თავისივე მცდარად მიმართული აზრი უზამს.

პინდური თქმა

2111

ძნელია, თუ კაცს გზა აერევა: უკან დაბრუნება უძნელდება და წინ წასვლაც ვეღარ მოუხერხებია.

ი. ჭავჭავაძე

2112

ძლიერი გონების ადამიანთა შეცდომები სწორედ იმითაა სახიფათო, რომ ისინი მრავალ სხვა ადამიანთა აზრებად ხდებიან.

ნ. ჩერნიშევსკი

2113

არაფერი არაა ისე გადამდები, როგორც მცდარობა, რომელსაც ზურგს უმაგრებს განთქმული სახელი.

ჟ. ბიუფონი

2114

ცბიერთ სწავლა სძაგთ, მდაბიონი მის წინაშე მუხლს იდრეკენ, ბრძენნი მით სარგებლობენ.

თ. მაკოლეი

2115

ნამდვილი ობოლი ისაა, ვისაც სწავლა არ მიუღია.

ოსმალური ანდაზა

2116

ვინც იყოს ჭკუით ღარიბი, საბრალო გებრალებოდეს.

ვახტანგ VI

2117

უსწავლელად ულამაზესი ქალიც კი ბევრით არა სჯობს მორთულ დედოფალას.

ს. სმაილსი

2118

ვერავითარი სილამაზით ვერ აუნაზღაურებს ქალი თავის ქმარს თავის უშინაარსობას.

ა. ჩეხოვი

2119

არავითარი გარეგნული სილამაზე არ შეიძლება იქნას სრული, თუ ის შინაგანი სილამაზით არაა გაცხოველებული. სულის სილამაზე, მსგავსად იდუმალი შუქისა, ზეეფინება სხეულის სილამაზეს.

ჰ. პიუგო

2120

არა სილამაზე, არამედ ღირსება უნდა გვირგვინდებოდეს დიდებით.

მოპასანი

2121

ღირსეულს უნდა ეკუთვნოდეს ღირსი ალაგი.

უ. შექსპირი

2122

ნურავინ დაიჩემებს გულგრილობას მაშინ, როდესაც მის წინ სდგას ლამაზი ქალი, რომლის თვალებშიაც ღრმა ჭკუა იხატება და სახეზე მაღალი გრძნობა.

ა. წერეთელი

2123

სილამაზე — ეს ღია სარეკომენდაციო ბარათია. რომელიც წინდაწინვე იპყრობს გულს.

ა. შოპენჰაუერი

2124

სათნოებასა და სილამაზეს ერთად და ცალ-ცალკე შეუძლიათ გამოიწვიონ მათდამი სიყვარული... მტერთა მხრივაც კი.

მ. სერვანტესი

2125

როდესაც ადამიანში სწავლულობა შეთავსებულია განათლებასთან, მე აღარ ვკითხულობ მისი სქესის შესახებ, მე თაყვანს ვცემ ასეთ ადამიანს.

ჟ. ლაბრუიერი

2126

უფრო საიმედოა ენდო ლაგამამოუდებელ ცხენს. ვიდრე სულელ ქალს.

თეანო

2127

თუ ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ
აქვს გარეგნული შეხედულება.
იგივე არის თუნდა ყოფილა
კედელზე მისი მოხატულობა.

საადი

2128

... უგონებოდ ხომ სურათნი ვართ,
ან უფრო მხეცნი. პირუტყვნი.

უ. შექსპირი

2129

სხეულის სილამაზე. თუ მას ჭკუა არ ახლავს, მხოლოდ პირუტყვობაა.

დემოკრიტე

2130

... როდესაც სილამაზეს სილამაზე გამოპყავს დამცველ ფარად, მაშინ იქ. იმ ადგილას ეთხრება მას სამარე.

ჟ. ლომთათიძე

2131

ყველაზე უსიხარულოა სიბერე იმ ქალებისა, რომელთაც ახალგაზრდობაში შესძლეს მხოლოდ ლამაზნი ყოფილიყვნენ.

ბ. ფონტენელი

2132

სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების,
და ვით ყვავილი თავის დროზე მსწრაფლად დაჭკნების.

ნ. ბარათაშვილი

2133

ხშირად აღტაცებაში მოდიან ყოველივე გამომეტყველებას მოკლებული მხოლოდ პორტრეტული სილამაზით, რადგან ამ სარკეში, მისი პატრონის სრულიად უსულდგმულობის გამო, სხვა არაფერი არ აირეკლება.

მულტატული

2134

სულელური სილამაზე — არ არის სილამაზე. ჩააცქერდით ღრმად სახის თითოეულ ნაკვთს, მის ღიმილს, გამოსახვას და ასეთი მისი სილამაზე ნელ-ნელა საოცარ სიგონჯედ იქცევა.

ი. გონჩაროვი

2135

სილამაზე, სათნოება და სხვა ასეთები დასაფასებელია, თუ ისინი სიამოვნებას გვანიჭებენ: თუ არა და მათ უნდა გამოვეთხოვოთ.

ეპიკურე

2136

ვაფურთხებ სილამაზეს და იმათაც, ვინც მას ამაოდ თაყვანსა სცემს, თუ იგი არავითარ სიამოვნებას არ გვანიჭებს.

ეპიკურე

2137

ორსავ სოფელს საბრალოა.
როსაც კაცსა სწავლა სძულსა.

ვახტანგ VI

2138

უბედურნი და უმეცნი სწავლასა დაერიდიან *.

„ქილილა და დამანა"

2139

სწავლაზე ურჩი და მორცხვი
თვალით არ დასანახია.

დ. გურამიშვილი

2140

ძალ-მოკლებული არს მცონარი
ვითა მდინარი მდორია;
მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან,
განხეთქოს მთა და გორია.

დ. გურამიშვილი

2141

მცონარს სოლომონ აძაგებს,
ჭინჭველი მოსწონს ქებითა.

ს.-ს. ორბელიანი

2142

ფუტკრისა და ჭიანჭველის შრომა კაცსაც შრომას ასწავ-
ლისო.

ქართული ანდაზა

2143

ბრიყვს მასწავლებელი სძულსო.

ქართული ანდაზა

2144

ვინც არ უსმენს თავის მასწავლებელს, ის იტირებს სისხლის
ცრემლებით.

აზერბაიჯანული ანდაზა

2145

ვინცა მოყვრისა სწავლასა
ყურს არ მიუპყრობს მიდებით,
სინანულითა მრავალ-ჯერ
თითს ექმნას კბილ მოკიდებით.

„ქილილა და დამანა"

---

* დაერიდიან — ერიდებიან, გაურბიან.

2146

კაცი ბრძენისა მოყვრისა
სიტყვათ ყურ-მიუპყრობელი,
მტერის გულისად გახდება,
რომ სწყეოს თავის მშობელი.

ს.-ს. ორბელიანი

2147

უგბილთ* სწავლება ცუდია, ბრძენნი აშრობენ ენასა.

ს.-ს. ორბელიანი

2148

თუცა მსმენელი სწავლასა ყურს არა უპყრობს სმენასა,
მძიმესა რადღა იტვირთავ, თავსა რად უზამ შენასა?
წესია, უთხრა შეჯდომა ბედის ტაიჭთა რბენასა,
გზის შრომისაგან განერას, ვანად მივიდეს მენასა.
თუ არ გისმინოს მიუშვი კლდეზედა გარდაფრენასა,
მაშინღა იცნობს შეტყობით მისსა გულსა და ენასა!

„ქილილა და დამანა"

2149

ურჩი მიუშვი ნებასა თვით შეეყრება სნებასა.

ქართული ანდაზა

2150

ჭკუა დიდი საქონელია, ბრიყვისთვის მიუწვდომელი,
ფიქრი და აზრი კეთილი არს მისთვის მიუხვდომელი.

ვაჟა ფშაველა

2151

უმეცარნი აგრე სჯიან:
ფასი რისიც არ იციან —
ყველა ფუჭად მიაჩნიათ.

რ. ერისთავი

---

* უგბილი — ბრიყვი, ჭკუანაკლები.

2152

უგნური კაცი ღორსა ჰგავს;
ჰგმობს სწავლა-მეცნიერებას,
და ვერ მიმხვდარა: რა აძლევს
ამ ქვეყნად ბედნიერებას.

ი. კრილოვი

2153

ვისაც საჭმელი აქვს და ჰქონია,
მას უნდა ჰქონდეს ფიქრიც კეთილი,
მაგრამ ზოგიერთს ასე ჰგონია,
მარტო ჭამისთვის არის შექმნილი.

საადი

2154

უქმად ბევრისა მჭამელი
გაუმაძღარი ღორია.

დ. გურამიშვილი

2155

ცუდი ადამიანები ცხოვრობენ იმისათვის, რომ ჭამონ და სვან, სათნო ადამიანები კი ჭამენ და სვამენ იმისათვის, რომ იცხოვრონ.

სოკრატე

2156

არც ერთს, თავის კუჭისა და ყელის მოყვარულ ადამიანს, არაფერი ჭეშმარიტად მშვენიერი არ შეუქმნია.

პ. სკარონი

2157

სავსე მუცელი უხალისოდ სწავლობს.

გერმანული ანდაზა

2158

თუ სწავლულია განცხრომაში ტანით და სულით,
სხვისთვის სიკეთეს ვერ იფიქრებს. ჩანს დაღუპული.

საადი

2159

მარტო მუცლისათვის არ უნდა ზრუნვიდეს კაცი: სულსაც უნდა თავისი საზრდო; სულის საზრდო არის სწავლა, ნუგეში, განათლება.

გაბრ. ქიქოძე



განათლება

2160

განათლება -- აი გზა ბედნიერებისაკენ.

ბ. ბელინსკი

2161

საძირკველი განათლებისა არის წერა-კითხვის ცოდნა.

ი. გოგებაშვილი

2162

განათლება — ორლესული იარაღია, რომლის გამოყენება შეიძლება ადამიანთა სასარგებლოდაც და საზიანოდაც. საქმე იმაშია, თუ ვის უჭირავს იგი ხელში და რა მიმართულებით ხმარობს ის ამ იარაღს.

(—)

2163

მნიშვნელოვანია არა ადგილი, რომელიც ჩვენ გვიჭირავს, არამედ მიმართულება, საითკენაც ჩვენ ვმოძრაობთ.

ო. ჰოლმსი

2164

სწავლა არის ორპიროვანი იარაღი: შეიძლება კაცმა მოიხმაროს ის კეთილ საქმეზედაც და ბოროტზედაც, სასარგებლოდ და საზარალოდ თავისა თვისისა და სხვათა. საქმე უმაღლესია სიტყვაზე. ცხოვრება უძვირფასესია სწავლაზე. სწავლამ, განათლებამ უნდა გააუმჯობესოს ყოველნი საქმენი ჩვენნი, მთელი

ჩვენი ცხოვრება. რა სასარგებლოა, როდესაც კაცის გონება სავსეა მრავალგვარი ცოდნითა, ხოლო მისი საქმე და ცხოვრება სრულებით არ განსხვავდება უსწავლელ კაცთა საქმისა და ცხოვრებისაგან.

გაბრ. ქიქოძე

2165

სკოლა ორპირი ხანჯალია; აუკეთესებს და ასპეტაკებს ხალხს, თუ იგი გონივრულად არის მოწყობილი; აუგუნურებს და აველურებს, თუ უკუღმართობის გზაზედ არის დაყენებული.

ი. გოგებაშვილი

2166

აღვილია სწორედ გაჰყვე იმას, ვინც წინ სწორად მიდის, და „როგორიცაა წინამძღოლი, ისეთივეა საწინაამძღოლებიც". ბედნიერია ხალხი, რომელიც ღებულობს დარიგებებს მრავალრიცხოვან და გონივრულად მოწყობილ სკოლებში!

ი. ა. კომენსკი

2167

„გაანათლე ხალხი" — იყო პენის პირველი შეგონება მის მიერ დაარსებულ კოლონიისათვის. „გაანათლე ხალხი" — იუწყებოდა ვაშინგტონის ანდერძი მის მიერ ხსნილ ერისათვის.

თ. მაკოლეი

2168

ცივილიზაციის წარმატება გონებრივ განვითარებაზეა დამოკიდებული.

ჰ. ბოკლი

2169

ცივილიზაციის ისტორია შეიძლება გამოითქვას ექვს სიტყვაში: რაც მეტი იცი, მით მეტი შეგიძლია.

ედ. აბუ

2170

ჰკვიანის ნიჭი და მისწრაფება
წუთშიც გაიგო, ეს შეიძლება,
სადაც კი წავა, ერთი აქვს მცნებად,
სურს შეიძინოს მან განათლება.

საადი

2171

განათლებული ადამიანი მუდამ მაღლდება გონებაში და შორსმჭვრეტელობაში; გაუნათლებელი ადამიანი კი მუდამ ქვევით ეშვება უვიცობაში და სიბილწეში.

ჩინური სიბრძნე

2172

ჩვენი დროის დიად ამოცანად ხდება მასების გონებრივი ემანსიპაცია... ჩვენი აღზრდის სკოლა — ხალხია. აღმზრდელი კი — განათლებული უმცირესობა.

დ. პისარევი

2173

უბრალო ხალხის აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ მასში შეგნებულობის დანერგვით. შეგნებულობა კი გამომდინარეობს განათლებიდან. განათლება — აი უდიდესი და დიდებული ამოცანა, რომელიც უნდა ამოხსნას ყველამ, ვისაც საამისო შეძლება * აქვს და აგრეთვე განათლებულებმა. ** არაფერი არაა ქვეყნად სიბნელეზედ მეტად შემაძრწუნებელი. ეს საშინელი ფარდაა, რომლის უკან ადამიანთ უფლება აქვთ ივარაუდონ სიკვდილიც კი.

მ. ნალბანდიანი

2174

... ხალხს საერთო განათლება ესაჭიროება იმისათვის, რომ ის გახდეს შეგნებული. ამა თუ იმ სპეციალურ დისციპლინებს არა აქვთ ის გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომელსაც მათ ზოგნი მიაწერენ.

მ ნალბანდიანი

2175

რაში მდგომარეობს ჩვენი ხალხის ბედნიერება? მხოლოდ ერთს განათლებაში, რომ ჩვენი ხალხი ზნეობით ამაღლდეს!

ა. წერეთელი

---

* სიტყვა „შეძლება" მ. ნალბანდიანს ნახმარი აქვს როგორც ქონება, სიმდიდრე, მატერიალური დოვლათი, რადგან ის ამ სიტყვებით მიმართავს სომეხთა შეძლებულ ნაწილს, მის ბურჟუაზიას.

** განათლებულებში მ. ნალბანდიანი გულისხმობს ინტელიგენციას.

2176

განათლება — აი ადამიანის არსი. თვით სიტყვა განათლება განმარტავს თავის დანიშნულებას. სიბნელიდან სინათლისაკენ ლტოლვა ადამიანის ზნეობრივი ბუნების დამახასიათებელია. ის არის უკვდავი სულის წყურვილი. ვინ მოისურვებს უვიცობას? ვინ მოისურვებს სიბნელეს? როგორც მზე არის ყველასათვის, ისევეა განათლებაც ადამიანისათვის. გაუგებარია შიში განათლების წინაშე, ეს უდრის შიშს სინათლის წინაშე, მაგრამ ჭეშმარიტებას არ ეშინია სინათლის, და მხოლოდ სიცრუე ეძებს სიბნელეს.

მ. ნალბანდიანი

2177

ცრუ სიბრძნე ბჟუტავს და იფუჭება გონების უკვდავი მზის წინაშე. გაუმარჯოს მზეს და გაჰქრეს წყვდიადი!

ა. პუშკინი

2178

შენ უნდა შეიგნო, რომ განსაზღვრულია დრო შენი ცხოვრებისა, და თუ შენ არ ისარგებლებ ამ დროით შენი განათლებისათვის, ის გაჰქრება შენსავით და არ დაბრუნდება არასოდეს.

მარკუს ავრელიუსი

2179

განათლება — საგანძურია, შრომა კი — მისი გასაღები.

პ. ბუასტი

2180

აჰ, შრომისმოყვარეობას რომ განათლება მიემატოს, განათლებას კი შრომისმოყვარეობა!

ა. ჩეხოვი

2181

შრომა ცოდნისათვის ჩვენ უნდა სიტკბოებად ვაქციოთ. აი ჩვენი, მატერიალისტების, რევოლუციონერების, ლენინელების მიზანი.

მ. გორკი

2182

ცალკეული დიდი მოაზროვნენი ყოფილან და შეიძლება კიდევ იყვნენ გონებრივი მონობის საერთო ატმოსფეროში, მაგრამ არასოდეს ამ ატმოსფეროში არ შეიძლება იქნეს გონებრივად გამრჯელი ხალხი.

ჯ. სტ. მილი

2183

წერა-კითხვის გავრცელებასთან ერთად ჩვეულებრივად ვითარდება შრომისუნარიანობაც, და მაშასადამე, მცირდება მუქთახორათა და მათხოვართა რიცხვიც. ასეთ გაუმჯობესებათა ხელის შეწყობა — თითოეული პატიოსანი მოქალაქის მოვალეობაა.

დ. პისარევი

2184

მივაღწიოთ წერა-კითხვის საყოველთაო ცოდნას; არავითარ შემთხვევაში არ დავჯერდეთ ამას, რადაც უნდა დაჯდეს წავიდეთ უფრო შორს და ევროპისა და ამერიკის მეცნიერებიდან გადმოვიღოთ რაც კი ნამდვილად საგულისხმოა: — აი ჩვენი უპირველესი და უმთავრესი ამოცანა.

ვ. ლენინი

თხზ., ტ. 33. გვ. 434.

2185

წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი პოლიტიკის გარეშე დგას, მას ჯერ ანბანი უნდა ვასწავლოთ. უამისოდ პოლიტიკა შეუძლებელია, უამისოდ არის მხოლოდ ხმები, ჭორები, ზღაპრები, ცრურწმენა და არა პოლიტიკა.

ვ. ლენინი

თხზ., ტ. 33, გვ.72.

2186

ერთეული, თუნდაც დიდად განათლებული, ადამიანებიც კი წინ ვერ წასწევენ ვერც საზოგადოებას, ვერც ერსა და ვერც კაცობრიობას და მათი, თუნდაც მგზნებარე, სიტყვა დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", თუ მათი მსმენელთა უმრავლესობა მოკლებული იქნება წერა-კითხვის ცოდნას.

(- -)

2187

... რამდენი ცხოველი დაღოღავს ჩვენს პლანეტაზე, მაგრამ ჩვენს მოკავშირეებად ისინი არ გამოდგებიან!

ა. აბაშელი

2188

... მარტო წერა-კითხვით შორს ვერ წახვალ. ჩვენ გვესაჭიროება კულტურის უდიდესი ამაღლება. საჭიროა, რომ კაცმა საქმით გამოიყენოს წერისა და კითხვის ცოდნა... უნდა მივაღწიოთ იმას, რომ წერა-კითხვის ცოდნა კულტურის ამაღლებას ემსახურებოდეს...

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 33, გვ. 68.

2189

განათლება პროლეტარიატისათვის იგივეა, რაც თავისუფლება მონისათვის: უკანასკნელი ათავისუფლებს სხეულს, პირველი კი — გონებას.

ე. ქირარდენი

2190

განათლებული გონება შესდგება, ასე ვთქვათ, ყველა წინამავალ საუკუნეთა გონებებიდან.

შ. ფონტენი

2191

განათლება, სწავლა იმაშია, რომ ვისარგებლოთ, ავითვისოთ მთელი ის სულიერი მემკვიდრეობა, რომელიც წინაპრებმა დაგვიტოვეს.

ლ. ტოლსტოი

2192

...სწავლა, აღზრდა და განათლება უნდა გამომდინარეობდეს იმ მასალიდან, რომელიც ძველმა საზოგადოებამ დაგვიტოვა.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 339

2193

რა არის... განათლება? განათლება არის არა მარტო სხვების მიერ მოპოებულ და აღმოჩენილ ცნობათა და ცოდნათა მიღება და ათვისება. განა შეიძლება ეწოდოს განათლებული იმ კაცს, რომელსაც თავი მხოლოდ ცნობებით გამოუჭედია? არა, ეს კიდევ არ კმარა. ეს კიდევ არაა განათლება. ასეთ შემთხვევაში ადამიანი ემსგავსება [წიგნების] კარადას, და რა სარგებლობა აქვს კარადას იმისაგან, რომ ის შეიცავს თავისი სწავლულობითა და ჭეშმარიტებებით აღვსილ ძვირფას წიგნებს [?]. განა შეიძლება ამ კარადას ეწოდოს განათლებული [?]. ამრიგად საკმარისი არ არის მხოლოდ სხვების მიერ მოპოებული სხვადასხვა ცოდნათა და ცნობათა მიღება და მითვისება. საჭიროა მათ მიღებასთან და მითვისებასთან ერთად თვით ადამიანში მოხდეს რევოლუცია — გარდაქმნა. მას აუცილებლად ესაჭიროება საკუთარი მუშაობა ამ ცოდნათა ასათვისებლად, შესაფასებლად და დასაუფლებლად. საჭიროა აზრის შემოქმედებითი ძალა. საჭიროა, რომ ეს ცნობები, ეს თესლი დათესილ იქნეს არა ქვიშაზე, არამედ იწვევდნენ მოძრაობას და იძლეოდნენ ნაყოფს.

მ. ნალბანდიანი

2194

განათლების დევიზია: ეცადე ისარგებლო საკუთარი ჭკუით.

ი. კანტი

2195

... განათლებული კაცი ეწოდება იმას, ვინც შეიძინა ბევრი ცოდნა, და გარდა ამისა, მიჩვეულია სწრაფად და სწორად მოიაზროს, თუ რა არის კარგი და რა ცუდი, რა უსამართლო და რა სამართლიანი, ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, მიჩვეულია „აზროვნებას“.

ნ. ჩერნიშევსკი

2196

აზროვნება — ყველა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანის მოვალეობაა.

მ. გორკი

2197

არც ცოდნა, არც აზროვნება არ იწყება სრული ჭეშმარიტებებით... აზროვნება არ იქნებოდა საჭირო, რომ მზა ჭეშმარიტებანი არსებულიყო.

ა. გერცენი (მამა)

2198

... პირველი და უდიდესი მნიშვნელობის საქმეა ასწავლოთ ადამიანს ჭეშმარიტების გარჩევა მცდარობისაგან.

რ. ოუენი

2199

შენ მეკითხები რა გზით მიაღწიო თავისუფლებას? ამისათვის თვით, და არა ბრბოს მითითებით, უნდა ისწავლო კეთილის გარჩევა ბოროტისაგან.

სენეკა

2200

ნასწავლი ისაა, ვინც ბევრი იცის წიგნებიდან, განსწავლული ის, ვინც შეითვისა თავისი დროის ყველაზე უფრო გავრცელებული მოძღვრებანი და ხერხები, განათლებული კი ის, ვისაც თავისივე ცხოვრების აზრი ესმის.

ლ. ტოლსტოი

2201

დიდი სიბრძნეა კაცისა, ცნობა თავისი თავისა.

არჩილი

2202

... თვითშემეცნება სიბრძნის პირველი პირობაა.

კ. მარქსი

М. Э. Соч., I, 66.

2203

თავი იცანი! თუ გაქვს ცნობა შენ შენი თავის,
ცნობა გექნება საკუთარი კარგის და ავის.

ნასირ ხოსროვი

2204

იცან შენი თავი.*

წარწერა აპოლონის ტაძრის (დელ-ფოში) შესასვლელი კარის თავზე.

2205

რა განსხვავებაა სწავლულსა და განათლებულ ადამიანს შორის? ის რომ მეცნიერება სწავლულს სდებს პატივს, განათლებული კი პატივს სდებს მეცნიერებას.

ნ. ბესტუჟევი

2206

პირველყოფილ მდგომარეობაში საცხოვრებლად საკმარისი იყო ინსტიქტი, განათლებული გონება კი ადამიანს ესაჭიროება მხოლოდ საზოგადოებაში საცხოვრებლად.

ჟ.-ჟ. რუსო

2207

სწავლა ჭკუისათვის იგივეა, რაც ქანდაკება მარმარილოს ლოდისათვის. ყველა დიდი ღირსებები, რომლებიც ფილოსოფოსს, ორატორს, სახელმწიფო მოღვაწეს ასხვავებს, ხშირად უბრალო გლეხში იმალება: მათი გამომჟღავნება შეუძლია განათლებას.

ჯ. ადისონი

2208

მეცნიერება ავარჯიშებს ჭკუას, სწავლა ამახვილებს მეხსიერებას.

კოზმა პრუტკოვი

2209

უბედნიერესი ბუნებრივი ნიჭიერებანი საჭიროებენ მეცნიერებებით განათლებას.

ნ. ჩერნიშევსკი

2210

განათლება საფუძვლიანია იმდენად, რამდენადაც ის თავისუფალი და დამოუკიდებელია: განათლების ყლორტებს არ შეუძლია მონობაში იხაროს.

მ. ნალბანდიანი

* ამ აზრს ავითარებდა სოკრატე (რედ.).

2211

რამდენი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის ფორმებიც არ უნდა არსებობდეს, მეცნიერებაში მუდამ იყო და იქნება მხოლოდ ერთი ფორმა: თავისუფლება.

ფრ. ბეკონი

2212

სკოლის სარგებლობა უნდა გამომდინარეობდეს მისი მიმართულებიდან: სინდისისა და აზრის თავისუფლების გარეშე განათლება არ არსებობს.

მ. ნალბანდიანი

2213

ვერავინ გახდება განათლებული აღზრდისა და კულტივირების გარეშე, ე. ი. ბეჯითი სწავლისა და ზრუნვის გარეშე.

ი. ა. კომენსკი

2214

მათში, ვისაც აღზრდის კეთილმყოფელი გავლენა არ შეხებია, შეიძლება დიდი ღირსებებიც იფარებოდეს, მაგრამ მათი გონება მქრქალია, როგორც გაუთლელი ალმასი.

კ. ფელტონი

2215

როგორც არ არის ისეთი ბედკრული მინდორი, რომელმაც დამუშავების შემდეგ არ აითვისოს ესა თუ ის თესლი და არ მოგვცეს ნაყოფი, ისევე თითქმის არ შეიძლება უნაყოფო იყოს, ნიჭიც, თუ ის დამუშავებული იქნება გულმოდგინედ, თუ ის მიიღებს ყოველგვარ დახმარებას, როგორიც კი შესაძლებელია.

ი. ა. კომენსკი

2216

ღრმა კვალს დააჩენს სწავლა ნიჭსა, თუკი ბუნებაც
ამ ნიჭს ხალისით გასაფურჩქნად ესალბუნება.

საადი

2217

ნიჭი, შჩედრინისა არ იყოს, ცარიელი ბოთლია. როგორც ცარიელი ბოთლი სასარგებლო ხდება ადამიანისათვის მხოლოდ მის შემდეგ, როცა გაივსება რაიმე შემრგო სასმელით, ისე ნიჭიერს გონებას კეთილი ნაყოფი მოაქვს ჭეშმარიტის

სწავლის შეძენის შემდეგ. ტყუილად კი არ უთქვამს გურამიშვილსა: „ნიჭი უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების“.

ი. გოგებაშვილი

2218

ნიჭი წინასწარ იგულისხმება, მაგრამ ის უნდა ცოდნად გადაიქცეს.

ვ. გოეთე

2219

... ნიჭის სრულქმნილება უნდა იქნეს ჩვენი მისწრაფების მთავარი მიზანი.

ი. ა. კომენსკი

2220

ნიჭი იშვიათად გვხვდება, საჭიროა სისტემატურად და ფრთხილად ხელს ვუწყობდეთ მას.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 35, გვ. 87.

2221

ნიჭს წახალისება უნდა.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 33, გვ. 133.

2222

შექება — საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ ადამიანი წააქეზოთ საქებარ მოქმედებისაკენ. დაუმსახურებელი ქებაც კი წახალისებაა.

კ. ცახარია

2223

ადამიანს რომ ნიჭი უქო და იმედიანი მომავალი დაუსახო, კი არ აწყენს, გაამხნევებს, და იგი ეცდება გაამართლოს. ნიჭსა სწყენს გაზვიადებული ქება მისი ნაწარმოებისა, ქმნილებისა, და ისიც სუსტს ნიჭსა. ნამდვილი ნიჭი კი ძალაა, რომელიც ემორჩილება თავის შინაგან მოწოდებასა და რომელსაც ვერ შეაფერხებს ვერც ქება და ვერც ძაგება.

ი. გოგებაშვილი

2224

ნდობა უმეტეს შემთხვევაში საპასუხო პატიოსნებას იწვევს

ტიტუს ლივიუსი

2225

თუ კაცმა ერთს რომელსამე საქმეში გაიმარჯვა, შემდეგისათვის უფრო გახალისდება, გამხნევდება.

ვაჟა ფშაველა

2226

ადამიანის სიცოცხლის ნამდვილი სტიმული არის ხვალინდელი სიხარული.

ა. მაკარენკო

2227

... ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისი ნიჭის სრული განვითარებისა...

ფრ. ენგელსი
„ელბერფელდის სიტყვიდან".
M. Э. Соч., III, 282.

2228

მიეცით ნიჭსა გზა ფრთო, თაყვანის-ცემა ღირსებას:
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას!

გრ. ორბელიანი

2229

თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა.

ხალხში გავრცელებული
რუსთაველის სახელით.

2230

ზოგი კაცი იტყვის — კაი გვარი ვარ,
მაშინ ტირიფიც იტყვის: კვარი ვარ!

საიათნოვა

2231

სრული და აბსოლუტური წაუქეზებლობა აქრობს ნიჭიერების ალის უკანასკნელ ნაპერწკალსაც კი.

მულტატული

2232

ბედნიერება იმაშია, რომ დაუბრკოლებლად ავარჯიშო შენი ნიჭი. როგორიც არ უნდა იყოს იგი.

არისტოტელე

2233

ვინც მოწოდებულია თავისი გონების ბეჭედი დაასვას მთელ კაცობრიობას, მისთვის არსებობს მხოლოდ ერთი ბედნიერება: ექნეს თავისი ნიჭის განვითარების შესაძლებლობა,— და ერთი უბედურება: არ ექნეს ასეთი შესაძლებლობა.

(—)

2234

ყველა საგნები, რომლებსაც კი სკოლაში გადიან, დიდი დაგვიანებით და შრომით იქნება შეთვისებული ჩვენი ბავშვების მიერ, თუ ისინი თქვენგან სასურველ აღზრდას არ მიიღებენ.

მ. ნალბანდიანი

2235

მხოლოდ ადრეული საერთო განათლება მიახვედრებს ბავშვს საზოგადოების მიზნებს, გახდის მას საზოგადოების სასარგებლო წევრად და შეჰქმნის მისგან „ახალ ადამიანს".

რ. ოუენი

2236

აღზრდა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ. აღზრდის უქონლობაა ყოველგვარი ბოროტების დედა.

ა. პუშკინი

2237

დღეევანდელი ჩვენი უვარგისობა დამახინჯებული აღზრდის ბრალია, რომელსაც მომავლისათვის ბოლო უნდა მოეღოს.

ა. წერეთელი

2238

ამოავსეთ უვიცობის უფსკრული და თქვენ დანაშაულთა ბუნაგს მოსპობთ.

ვ. ჰიუგო

2239

გსურთ აღმოფხვრათ დანაშაულობანი? გაავრცელეთ ხალხში განათლება.

(—)

2240

... უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანებიც კი დამნაშავეებად ხდებიან.

ა. ფრანსი

2241

მოსპეთ დანაშაულებრივ ხასიათთა შექმნის ხელისშემწყობი პირობები და დანაშაულობაც აღარ იქნება.

რ. ოუენი

2242

ის კი გამიგონია, რომ კაცს ჰაუზი გაეკეთებიოს; შიგ ხელოვნებით თევზები ჩაესხას და მერე თვითო-თვითოდ დაეჭიროს ხოლმე, ან და ნესვი ან კიტრი დაეთესოს და მერე მოეკრიფოს, რადგანაც ამას საჭიროება მოითხოვს და ანგარიში; მაგრამ რა სარგებელი გვაქვს, რომ ჯერ უმიზეზოდ გავამრავლოთ ავაზაკები და ცუდ-კაცები და მერე ვსდიოთ დასაჭერად?!

ა. წერეთელი

2243

აღზრდა, რამდენადაც ეს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს მოქმედებებზეა დამოკიდებული, არის ქვეყნად არსებულ ყოველგვარი კეთილისა და ბოროტების, ბედნიერებისა და უბედურების უპირველესი წყარო.

რ. ოუენი

2244

...ყოველი ბოროტებისა და სიკეთის ფესვი — აღზრდაა.

(—)

2245

ადამიანის გრძნობების განვითარება მისივე გონების განვითარების საფუძველია.

ი. მოლეშოტი

2246

საზოგადოებრივი და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, — აი აუცილებელი წინასწარი პირობა განათლების გავრცელებისა და ზნე-ჩვეულების გაუმჯობესებისათვის.

ნ. ჩერნიშევსკი

2247

მხოლოდ მაშინ შეიძლება ხალხის შეხედულებათა შეცვლის იმედი ვიქონიოთ, როდესაც შეცვლილი იქნება მისი კანონმდებლობა... ზნე-ჩვეულებათა რეფორმა დაწყებული უნდა იქნეს კანონების რეფორმით.

კლ. პელვეციუსი

2248

ჩვენ ვართ მხოლოდ ისეთნი, როგორადაც გარემო პირობები გვხდიან.

კლ. პელვეციუსი

2249

უკეთუ ადამიანის ხასიათი იქმნება გარემოებათა მიერ, მაშინ საჭიროა გარემოებანი გავხადოთ ადამიანური.

კ. მარქსი
„წმინდა ოჯახი“,
M. Э. Соч., III, 160.

2250

კაცობრიობის განათლება დამოკიდებულია ახალგაზრდა თაობის განათლებაზე.

ნ. ჩერნიშევსკი

2251

კაცობრიობის მომავალი დამოკიდებულია მთლიანად მოზარდი თაობის აღზრდაზე.

კ. მარქსი
„ინსტრუქცია დრ. ცენტრალური საბჭოს დელეგატებს“,
M. Э. Соч., XIII, ნაწ. I, 199.

2252

ქვეყნის მყოფადი დამოკიდებულია იმ მდგომარეობაზედ, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას.

ი. ჭაჭავაძე

2253

...ჩვენი მომავალი, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, დამოკიდებულია მოზარდ თაობაზე.

ფრ. ენგელსი
„იმერმანის მოგონებანი“,
M. Э. Соч., II, 88.

2254

...ახალ-თაობა მარტო ერთის დგმით კი არ თავდება, გადადის განუწყვეტარის კავშირით შემდგომ, მომავალ თაობაზედ თითქმის ქვეყნის დასასრულამდე...

ა. წერეთელი

2255

ბავშვები — დედამიწის ცოცხალი ყვავილებია.

მ. გორკი

2256

...ყველაზე ლამაზი ყვავილები ბავშვები არიან.

ო. უაილდი

2257

ახალგაზრდობა თავისი კეთილშობილური ენთუზიაზმით, თავისი მოუსვენარი მისწრაფებებით პატიოსნისადმი, სამართლიანისადმი, საზოგადოებრივ სიმართლისადმი — პროგრესის ერთ-ერთი უდიდესი ძალაა.

ნ. შელგუნოვი

2258

არსებითად — ახალგაზრდობის მისწრაფებანი მუდამ უანგარო და პატიოსანია.

ი. ტურგენევი

2259

ახალგაზრდობა მუდამ იქნება გაბედული, ცხოველი იდეების, ახლის ძიების მატარებელი. ის გულის სიღრმეში მუდამ იქნება რევოლუციონური, მუდამ იბრძოლებს წარსულის წინააღმდეგ. ის წინ მიდის ზოგჯერ მეტის-მეტი სიფიცხით, ზოგჯერ გადამეტებული გამბედაობით, მაგრამ ის მუდამ იქნება ახლის ძიებაში და მის პოვნაში.

ახალგაზრდობა მუდამ იბრძოლებს ყველაფრის იმის წინააღმდეგ, რაც თავისუფლებასა და სიმართლეს ემუქრება.

ა. ფერსმანი

2260

კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია: ბედნიერია ახალი თაობა, თუ მართლა კმაყოფილება არა აქვს. იმედი თუა სადმე, ამაში უნდა იყოს.

ი. ჭავჭავაძე

2261

... შვილებმა უნდა იცოდნენ მამებზე უფრო მეტი.

მ. გორკი

2262

... შვილებმა მამებზე უფრო მეტიც უნდა იცოდნენ და უფრო ღრმადაც.

მ. გორკი

2263

განა შვილი ყველგან
მამის კვალზე დარბის [?]...

კ. ხეთაგათი

2264

ის ურჩევნია მამულსა.
რომ შვილი სჯობდეს მამასა.

ი. ჭავჭავაძე

2265

რაც ჩვენ წვა და დაგვა მიგვიღია, რაც სისხლის ოფლით და ცწარე ცრემლებით მოგვიპოვებია, დღეს იმას ჩვენ სიხარულით და ადვილად გადავსცემთ შემდეგ დგამს და იმიტომაც შემდეგის დგომისაგან მეტს მოვითხოვთ და მამულისშვილობაც მით მეტი უნდა გამოიჩინონ! ჩვენისთანაობა მათ აღარ შეჰფერისთ და ჩვენი ხელობა აღარ არგებსთ.

მომავალმა დრომ უნდა მოგვცეს ნამდვილი მამულისშვილები ყოვლის უნაკლულოდ.

ა. წერეთელი

2266

რასაც დღესა ვსჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არის ხოლმე...

ა. წერეთელი

2267

ის, რაც სავსებით ვარგისი იყო ასი წლის წინათ, არ შეიძლება ასევე ვარგისი იყოს დღესაც...

თ. დრაიზერი

2268

შვილები თავიანთ მშობლებში ხედავენ წარსულს, მშობლები კი — თავიანთ შვილებში ხედავენ მომავალს; და თუ მშობლებში ვხედავთ უფრო მეტ სიყვარულს შვილებისადმი, ვიდრე შვილებში სიყვარულს მშობლებისადმი, ეს სამწუხაროა, მაგრამ იმავე დროს ბუნებრივიცაა. ვის არ უყვარს უფრო მეტად თავისი იმედები, ვიდრე თავისი მოგონებები.

ი. ეტვეში

2269

ყველა მამების კეთილი სურვილია განახორციელონ თავიანთ ვაჟებში ის, რაც მათ თვით აკლიათ.

ვ. გოეთე

2270

ძველთ უძველესი არს ესე წესი:
რაც ვერ ჰქნეს მამათ, ისი ჰქმნან შვილთა!

გრ. ორბელიანი

2271

ახალგაზრდობა — ჩვენი ერთგული თანაშემწეა აწმყოში და ჩვენი იმედია მომავალში.

ი. სვერდლოვი

2272

კრება მოზარდი თაობისა... ერთ და იმავე დროს სიხარულიცაა და იმედიც ქვეყნისა.

ი. გოგებაშვილი

2273

შვილისა სიკეთისაგან იხარებს მამა ძლეული...

არჩილი

2274

ჩვენ უკვდავნი ვართ ჩვენი ბავშვებით, ისე როგორც ჩვენი წინაპრები ცოცხალნი არიან ჩვენით. გახსოვდეთ თქვენი ეროვნულობა და თქვენი ბავშვის მომავალი.

მ. ნალბანდიანი

2275

...რომ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალ-ყური ვადევნოთ დროთა ვითარებას. საჭირო არის, რომ ვეცადოთ ჩვენი შვილების გამოზრდას... მივცეთ გზა განათლებას, და შემდეგ იმათ ენერგიას და ცოდნას მამებმაც დავახმაროთ ჩვენი გამოცდილება და ისეთ შეერთებულად ვიღვაწნოთ, რომ ჩვენ წინაპრებთან პირშავად არ დავრჩეთ!..

ა. წერეთელი

2276

ცოდნა მოხუცის — ღონე ახალგაზრდის.

აზერბაიჯანული ანდაზა

2277

...მრწამს და მოველი, რომ მეცხრამეტე საუკუნის დანაკლისს მეოცე საუკუნე შემივსებს. მართალია, მე თვითონ ველარას მოვესწრები, მაგრამ ჩემი შვილები ხომ ეღირსებიან და ესეც კარგი ღვთის წყალობა და დიდი სანუგეშო იმედია. ტყუილად კი არ უთქვამთ ჩვენს ძველებს: „მამა შვილისაგან ითავსებაო"*. მეც ისინი ჩამომძახებენ საფლავში და მიმახარობლებენ საფლავში ჩანაყოლ სურვილის განხორციელებას. ამ თავითვე ასე მეჩურჩულება ოცნება და მომავლის იმედი დღევანდელ ჩემს წყლულს მალამოდ ედება.

ა. წერეთელი

2278

გამარჯვება თქვენი, ახალ მომავალნო! მე უკვე მიმავალი, გეთხოვებით და ვწუხვარ, რომ საგულისხმო ანდერძად ვერას გიტოვებთ, გარდა მარტო ხვეწნა-ვედრებისა: გიყვარდეთ თქვენი სამშობლო, თქვენი ერი, როგორც პირველი საფეხური კაცო-

* ითავსება — მაგიერობას სწევს.

ბრიობის მისწრაფებისა, რადგანაც სიყვარულშია ადამიანის ბედნიერება! მაგრამ იმისთანა სიყვარულში კი, რომელსაც სარჩულად სიმართლე და გულწრფელობა უდევს, უამისოდ ყოველგვარი შრომა ამაოა!*

ა. წერეთელი

2279

ახალგაზრდებო, სალამი თქვენდა!..
მჯერა, ჩვენს დიდ გზას რომ არ ასცდებით,
და ძველ თაობას, სახელმოხვეჭილს,
თქვენ ღირსეულად შეენაცვლებით.

ა. აბაშელი

2280

რომ არ მრცხვენოდეს, მეგობრებო,** ჭაღარა წვერის,
მე თქვენს ხელმძღვანელს მივსწერდი წერილს:
ვითხოვდი კავშირის წევრად მიღებას...
გული თქვენი მაქვს,
მაგრამ თეთრ თმას ვინ შემიღებავს?!..

ა. აბაშელი

2281

სწავლულთა რიცხვზე, პატივისცემაზე, რომელსაც მათდამი გრძნობენ, თავისუფლებაზე, რომელსაც მათ ანიჭებენ, ღირსებაზე, რომელსაც მათ გარს ავლებენ, დამოკიდებულია განათლების გავრცელება საზოგადოების უფართოეს ფენებში.

ლ. გამბეტა

2282

ყველაზე უფრო განათლებულს, ყველაზე უფრო თავისუფალს, ყველაზე უფრო ბრძნულად მართულს და, ბოლოს, ყველაზე უფრო ნაკლებად ცრუმორწმუნე ერებს ეყოლებათ სათნო

* ფირფიტაზე ჩაწერილი სიტყვა. გაზ. „თემი" № 113, 1913 წ.
** ამ სიტყვებით ა. აბაშელი მიმართავს კომკავშირელთ.

ქვეშევრდომთა ყველაზე მეტი რაოდენობა. ცუდი მეფეები მუდამ რყვნიან ხალხებს.

პ. პოლბახი

2283

მეფე, რომელიც თავის ირგვლივ ყველა ნიჭიერ და ღირსეულ ადამიანებს არ იკრეფს — უჯარო სარდალია.

ვ. გოეთე

2284

ღირსეულს უნდა ეკუთვნოდეს ღირსი ალაგი.

უ. შექსპირი

2285

სიდიადე ერისა, ხომ კარგად მოგეხსენებათ, იმ გარემოებით განიზომება და განისაზღვრება, თუ თავის ისტორიული ცხოვრების განმავლობაში რამდენი და რა შესანიშნავი კაცები ჰყოლია.

ვაჟა ფშაველა

2286

როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოვლთ უწინარეს ამას იკითხავს. — რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი.

ი. ჭავჭავაძე

2287

როგორც ვარსკვლავები შეადგენენ ცის მშვენებას, ისე დიადი ადამიანებიც წარმოადგენენ თავიანთი სამშობლოს და მთელი დედამიწის მშვენებას.

ჰ. ჰაინე

2288

ცივილიზაციის ყველაზე უტყუარი საზომი არის არა მოსახლეობის რაოდენობა, არა ქალაქების სიდიდე, არა ჭირნახულის მოსავალი, არამედ ღირსება იმ ადამიანთა, რომელთაც ქვეყანა წარმოშობს ხოლმე.

რ. ემერსონი

2289

მნიშვნელოვან ნაციონალურ კაპიტალს წარმოადგენს ხალხის ზნეობრივი ძალისა და გონებრივი განვითარების მარაგი.

ნ. ჩერნიშევსკი

2290

კაცი თუ გონიერია — სოფელი ღონიერია.

ქართული ანდაზა

2291

ის კი ნამდვილად ვიცით, რომ კაცის ნიჭის განვითარება მთელი საზოგადოების ზნეობრივ და გონებრივ განვითარებაზეა დამოკიდებული.

ჯ. ბოკლი

2292

ხალხის სიდიადე არ განიზომება მისი რაოდენობით, ისე, როგორც კაცის სიდიადე არ განიზომება მისი ტანის სიმაღლით; ამისათვის ერთადერთი საზომი მისი გონებრივი განვითარება და ზნეობრივი დონეა.

ჟ ჰიუგო

2293

ადამიანის ფიზიკური სიმაღლე განისაზღვრება მანძილით მიწიდან იმისი თავის თხემამდე, მისი ზნეობრივი სიმაღლე კი — მანძილით მისი თავიდან ზეცამდე.

შ. პიერმონი

2294

ნამდვილი განვითარება შეიძლება ეწოდოს მხოლოდ ისეთ განვითარებას. რომელსაც მივყავართ ზნეობრივ სრულყოფისაკენ.

დ. პისარევი

2295

სწავლა, განათლება თავის თავად კარგია და სასარგებლო, რადგან აღამაღლებს და გაამდიდრებს კაცის გონებას, მაგრამ მაინც არ შეიძლება ვთქვათ, რომ იგი თვით იყოს მიზნად თავისა თვისისა. არა! იმან უნდა მიიყვანოს კაცი მეორე და უმაღლესი მიზნისადმი, და ეს უმაღლესი მიზანი არა სხვა რაიმე არს. გარნა ზნეობითი განვითარება და გაუმჯობესება კაცისა.

გაბრ. ქიქოძე

2296

განათლება მარტო მაშინ არის კარგი და მხოლოდ იმისთანა განათლება არის კარგი, რომელიც აღამაღლებს და გააკეთილებს კაცსა ყოველის მხრით, და არა მხოლოდ ერთსა, თუ გინდ უმაღლესსა, მისსა ბუნების მხარესა.

გაბრ. ქიქოძე

2297

თვითგასრულქმნილება არის მუშაობა ერთდროულად შინაგანიც და გარეგანიც. ადამიანს არ შეუძლია გასრულქმნილდეს ადამიანებთან ურთიერთობისა და ადამიანებზე ზეგავლენის გარეშე.

ლ. ტოლსტოი

2298

საუკეთესო ის ადამიანია, რომელიც ყველაზედ მეტად ცდილობს გასრულქმნილდეს, უბედნიერესი კი არის ის, ვინც ყველაზედ მეტად გრძნობს, რომ ის ნამდვილად სრულქმნილდება.

სოკრატე

2299

... გასრულქმნილდი, რამდენადაც ძალღონე შეგიწყობს ხელს.

კ. გუცკოვი

2300

რამდენადაც მავნებლები არიან ერისათვის ის პირნი, რომელნიც თავისი უნიჭობით და ზნეობრივი გახრწნილობით სახელს უტეხენ თავის დამბადებელს ერს სხვათა ერთა შორის, იმდენად დიდ სამსახურს უწევენ თავიანთ სამშობლო ქვეყანას ის პირნი, რომელთაც მდიდარი ნიჭით, დაუმჭკნარი ენერგიით, პრინციპიალური მიმართულებით და ზნეობრივი სიწმინდით მაღლა აპყავთ მთელი ქვეყნის თვალში სახელი მათი დამბადებელი ერისა.

ი. გოგებაშვილი

2301

ერს არ ეპატიება დავიწყება იმისა, თუ რით არის ის დავალებული ზოგიერთი თავისი შვილის მიერ.

რ. როლანი

2302

გენიალური ადამიანები არიან კაცობრიობის სამარადისო კეთილისმყოფელნი, რომელთა სახელები და სამშობლოც კი არასოდეს არ იქნებიან დავიწყებულნი.

ჟ. კონდორსე

2303

დიდი სახელმწიფო ადამიანია ხოლმე ის, ვის შემდეგაც სამშობლოს დიადი და სასარგებლო მემკვიდრეობა რჩება.

ა. ბოვი

2304

დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარი ისტორიისანი არიან. ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა სულდგმულობდეს.

ი. ჭავჭავაძე

2305

ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულსა... თავის ხატსა და მაგალითს... [ისტორიული დიდი პიროვნებები] ერის გულის ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნია, რომელიც ამის გამო თითქოს შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა.

ი. ჭავჭავაძე

2306

არა ფულის კმარობა, არამედ ადამიანთა და ნიჭიერ ადამიანთა უკმარობა ხდის სახელმწიფოს სუსტად.

ვოლტერი

2307

ღონე ქვეყნისა მარტო ნიჭიერი და მხნე კაცია. უფულობა და უქონლობა კი არა, ნიჭიერ და მხნე კაცთა უყოლობა ქმნის ერსა, უღონოდაო. — ამბობს ვოლტერი.

ი. ჭავჭავაძე

2308

ხალხის ღონე და შველა მის ინტელიგენციაშია, იმ ინტელიგენციაში, რომელიც პატიოსნად აზროვნებს, გრძნობს და რომელმაც იცის მუშაობა.

ა. ჩეხოვი

2309

სად არის მებაღე? ვინ არიან ხუროთმოძღვრები? ვინ და ინტელიგენცია. ამათ ხელშია... ჩვენი ქვეყნის ავ-კარგი.

ა. წერეთელი

2310

ინტელიგენცია — ეს ხალხის ყოველი უკმაყოფილების საფუარია და პირველი ქვა ყოველი ახალი მშენებლობის საძირკველში. სოკრატე, ჯორდანო ბრუნო, გალილეი, რობესპიერი, ჩვენი დეკაბრისტები, პეროვსკაია და ჟელიაბოვი, — არიან იმათთან ერთად, ვინც სამართლიანობისათვის საბრძოლველად მზადებაში, ამაღამ ზის წიგნის კითხვაზე... ყველა ეს — ცხოვრების უცხოველესი ძალაა, მისი ყველაზედ მგრძნობიარე და მახვილი იარაღია.

ვ. კოროლენკო

2311

კაცობრიობამ თავისი ისტორიის შექმნა დაიწყო იმ დღიდან, როდესაც პირველი ინტელიგენტი გაჩნდა; მითი პრომეთეზე — ეს მოთხრობაა იმ ადამიანზე, რომელმაც გამონახა ცეცხლის მოპოების საშუალება და მით უცებ განაცალკევა ადამიანი ნადირისაგან.

ვ. კოროლენკო

2312

ყოველგან და ყოველთვის ერის ძალა ინტელიგენცია ყოფილა და იქნება. იგი ბელადია, სარდალი და, ხომ მოგეხსენებათ,

სარდლის ნიჭსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული გამარჯვება, მტრის დამარცხება.

ვაჟა ფშაველა

2313

მჭიდრო სულიერი კავშირი ინტელიგენციასა და ხალხს შორის ითვლება ერთ-ერთ დედა-ბოძად ქვეყნის წარმატებისათვის.

ი. გოგებაშვილი

2314

მეცნიერების ადამიანები თავის მოვალეობის მეტად უმნიშვნელო წილს ასრულებენ, როდესაც ერთი მეორეს იცავენ. მათ ნამდვილ დიდებად უნდა იყოს სუსტთა დაცვა ძლიერთაგან, ღარიბთა დაცვა მდიდართაგან. ეს უნდა იყოს მათი სიამაყე, მათი სახელი. და მე ვისურვებდი, რომ თითოეულ ქოხში ყოფილიყო ცნობილი, რომ ინტელიგენცია თანაუგრძნობს არა მაღალს, არამედ დაბალ კლასებს.

ჰ. ბოკლი

2315

ერი, რომელსაც წინ არ მიუძღვის და არ უკაფავს ცხოვრების გზას რაზმი მძლავრისა და მრავლის ინტელიგენციისა, ადრე თუ გვიან წააგებს საარსო ბრძოლასა და დაჰკარგავს თავის ადგილს ერთა შორის.

ი. გოგებაშვილი

2316

ვაი იმ ერს, რომელსაც სჯერა, რომ დღევანდელი ჩვენი მოძღვრები და გმირები უკანასკნელები არიანო! მისი წარმატება შეფერხებულია, — როგორც ყოველი ერი, რასაკვირველია, ჩვენც უნდა მოველოდეთ ჩვენის მომავლისაგან უკეთესს მოძღვრებსა და გმირებს!..

ა. წერეთელი

2317

ჩვენს ქვეყანაში მეცნიერება და ტექნიკა ვითარდება ისე სწრაფად, როგორც არასოდეს უწინ კაცობრიობის ისტორიაში. თითოეული დღე ადიდებს ჩვენს ძალას ბუნებაზე, დღითი

დღე სულ ახალი და ახალი სტიქიები ხდება ადამიანის მორჩილ მსახურებად. ამ ძალების მართვა, მომავალი კომუნისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად გახდომა შეუძლიათ მხოლოდ ფართოდ განათლებულ ადამიანებს.

ნ. ზ ე ლ ი ნ ს კ ი

2318

ნუ ჩაიკეტებით ერთი ამორჩეული სპეციალობის ვიწრო ჩარჩოებში. ეხლანდელი ექიმისათვის და აგრონომისათვის ხშირად არამცთუ სასარგებლოა, არამედ საჭიროცაა თავისი სპეციალობის ღრმა ცოდნასთან ერთად ჰქონდეთ ცოდნათა მინიმუმი ელექტროტექნიკაშიაც, ასტრონომიაშიც. დიდად შეუძლია ხელი შეუწყოს მუშაობაში მათემატიკოსსა და ფიზიკოსს ბოტანიკისა და გეოლოგიურ მეცნიერებათა ცოდნას.

კ. ზ ე ლ ი ნ ს კ ი

2319

იმ ამოცანების ამოსახსნელად, რომლებსაც ჩვენს წინაშე სოციალისტური მშენებლობა სვამს, ჩვენ გვესაჭიროება პროლეტარული საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის ახალი კადრების შექმნა.

ა. ბ ა ხ ი

2320

მეცნიერებისა და ტექნიკის ახალმა აღმავლობამ მოიცვა მთელი კულტურული სამყარო, მაგრამ სრულიად განსაკუთრებული და მასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ახალ ტალღას საბჭოთა კავშირისათვის... საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი, მეტად დიდი ზრდისა და განვითარებისათვის საჭიროა ბევრი, მაგრამ უპირველეს ყოვლისა საჭიროა ახალი ადამიანები, სხვადასხვა კვალიფიკაციის ახალი მეცნიერული მუშაკები.

ს. ვ ა ვ ი ლ ო ვ ი

2321

ლაპარაკია არა ნიჭიერ ადამიანთა სიდიადეზე, არამედ სულისკვეთებაზე, მიმართულებაზე, მსოფლმხედველობაზე... ერთ შემთხვევაში გაბატონებული ფენების ცხოვრება, მეორეში —

ხალხის ცხოვრება. ერთ შემთხვევაში მაყურებელთა როლში ხალხები არიან, მეორეში — მეფეები.

ო. თუმანიანი

2322

მაღალ-ნიჭიერნი გვამნი ნამდვილად დემოკრატები იყვნენ და არიან. როგორც მაღალი ფსიქიურის აგებულების მქონნი, იგინი სხვებზედ მეტად გრძნობდნენ იმ სოციალურს უსამართლობას და უთანასწორობას. რომლის წყალობით ზემო კლასები ყარან სიმდიდრისაგან, მშრომელი ხალხი კი ყარს სიღატაკისაგან. გრძნობდნენ და მედგრად ქადაგებდნენ ამ უსამართლობის მოსპობას, გათანასწორებას, ძმობას, ერთობას.

ი. გოგებაშვილი

2323

რაში მდგომარეობს... ახალგაზრდა მკვლევარის განსაკუთრებული ძალა და აქტიურობა? უთუოდ იმაში, რომ ის ტრადიციებს, მემკვიდრეობას, რომელსაც ის წარსულისაგან ღებულობს უცქერს ახალი თვალებით, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შეჩვეული საყოველთაოდ მიღებულ ტრაფარეტს. ახალგაზრდა მეცნიერულ გენიოსსა და ტალანტს თითქმის ყოველთვის შემოაქვთ გარდატეხა, რევოლუცია, ახალი თვალსაზრისი, ავყავართ ახალ მწვერვალზე, საიდანაც იშლება არნახული ჰორიზონტები შემდგომი კვლევისათვის. ამაში იფარება ახალგაზრდა კვლევითი გონების განსაკუთრებულობა და უპირატესობა, ამაშია ერთ-ერთი სპეციფიკური მიზეზი ჩვენი სურვილისა,—მივიზიდოთ მეცნიერული კვლევისათვის რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდები.

ს. ვავილოვი

2324

როგორც არ უნდა იყოს ახალგაზრდა სპეციალისტის პროფესია, — იქნება ის მუშა, თუ ინჟინერი, პედაგოგი, აგრონომი. ექიმი თუ მეცნიერული მუშაკი, — მნიშვნელოვანია, რომ ის იქნეს შემოქმედი ადამიანი. შემოქმედ ადამიანს მოეთხოვება. ერთის მხრივ — თავისი სპეციალური საგნის ღრმა დაუფლება, მეორეს მხრივ — ცოდნა იმ აზრების საუნჯისა, რომლებიც სა-

ჭიროა ყოველი განათლებული ადამიანისათვის, განათლებულის ჩვენი, საბჭოთა თვალსაზრისით. გარდა ამისა, საჭიროა მისი სპეციალობის მოსაზღვრე საგანთა ცოდნა. ასე, თანამედროვე ბიოლოგი არ შეიძლება არ იქნეს განათლებული ფიზიკისა და ქიმიის დარგებში. თანამედროვე ქიმიკოსი არასავსებით შეეფერება თავის დანიშნულებას, თუ მან არ იცის ფიზიკა და ბიოლოგია და ა. შ.

(—)

2325

მშრომელ ადამიანებს, რომლებიც ერთ წუთსაც არ ჰკარგავენ უსარგებლოდ, თავიანთ გამოგონებებით და მეცნიერული წარმატებებით ქვეყნიერება წინ მიჰყავთ.

ს. სმაილსი

2326

ჩემი ცხოვრების ძირითადი მოტივია — არ განვლო ცხოვრება ამაოდ, თუნდ ოდნავ მაინც წინ წავწიო კაცობრიობა.

კ. ციოლკოვსკი

2327

... საზოგადოება მეტ ნაყოფს ღებულობს განათლებული ხალხისაგან, ვიდრე უვიცი წევრებისაგან და... მხოლოდ განათლებულ მუშათა კლასისაგან შეიძლება ველოდოთ სიმშვიდეს და კეთილგონიერებას, რაც აუცილებელია საზოგადოების მშვიდობიანად გარდაქმნისათვის.

ფრ. ენგელსი

„ელბერფელდის სიტყვიდან“,

M. Э. Соч III 282.

2328

მიეცით ხალხს გონივრული აღზრდა და ის თავს დაიჭერს გონივრულად; მიეცით გონივრულად აღზრდილ ადამიანებს პატიოსანი და სასარგებლო შრომა და ისინიც გადაჭრით ამ-

ჯობინებენ ასეთ სამუშაოს დანაშაულებრივ და საზიანო ხელობას. ძნელია გამოანგარიშება ყველა იმ სარგებლობისა, რომელსაც მთავრობა მიიღებს შედეგად ამ ღონისძიებებისა, მით უფრო რომ ისინი ადვილად განსახორციელებელია.

რ. ოუენი

2329

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ხალხში ზნე-ჩვეულებათა ჩანერგვა, ვიდრე მისთვის კანონებისა და სასამართლოების მიცემა.

ო. მირაბო

2330

მთავრობის ნამდვილი ამოცანაა აღზარდოს ხალხი და აამაღლოს მისი ზნეობრივი დონე.

ს. კიუსტინი

2331

მხოლოდ საყოველთაო აღზრდისა და შრომის უფლებას შეუძლია შეუქმნას ადამიანს ბედნიერი და გონივრული არსებობა.

რ. ოუენი

2332

სახელმწიფო არ შეიძლება იქნეს მტკიცე და ძლიერი, თუ მასში არ არიან კარგად მომზადებული და თავის დროზე ღაწინაურებული ადამიანები

(—)

2333

ყოველი მთავრობის მოვალეობაა — დაიცვას პიროვნება და საკუთრება. მთავარი საშიშროება კი, რომელიც პიროვნებასა და საკუთრებას ემუქრება, — ეს ხალხთა მასების უვიცობაა. ამიტომ, იმისათვის რომ მართო, საჭიროა ხალხში განათლების გავრცელება.

თ. მაკოლეი

2334

მთავრობა, რომელსაც სურს საქმე იქონიოს ადამიანებთან და არა პირუტყვებთან, არამც თუ აბრკოლებს ხალხის გონებ-

რივ განვითარებას, არამედ აქეზებს მას ყოველგვარი სკოლების გახსნით.

ჰ. სპენსერი

2335

ხალხის ფართო განათლების გარეშე სახელმწიფო დაინგრევა ისე, როგორც ცუდად გამომწვარი აგურისაგან აშენებული სახლი.

ა. ჩეხოვი

2336

ბედი ტერიტორიისა და ხალხის განათლებისა მჭიდროდ არის ერთმანეთთან შეკავშირებული. მიწა-წყლის სიმცირით შევიწროებული ხალხი ადვილად გაიფართოებს თავის უძრავს საკუთრებას, დაიბრუნებს სახნავ-სათესსა, ტერიტორიასა, თუ მის შორის მზრუნველნი ხელნი გაამრავლებენ კერებს ნამდვილი განათლებისასა. წინააღმდეგ ამისა, ხალხს, მოკლებულს სწავლასა და ცოდნასა და სიბნელეში მყოფსა, ადვილად გამოაცლიან ხელიდან მიწა-წყალსა გარეშე ელემენტები, მეზობლად დასახლებულნი, თუ ესენი შეიარაღებული არიან ცოდნით. თან და თან მიისაკუთრებენ მისს უძრავს ქონებასა, სახნავ-სათესსა და ცარიელზე დასვამენ დიდი ხნის მკვიდრთა.

ი. გოგებაშვილი

2337

მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს, ხმება, ისე ერი იღუპება, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია.

ი. გოგებაშვილი

2338

უკეროდ ყოფნა მხოლოდ ცრემლია,
და ძველთაგანაც ნაამბობია,
რომ ვისაც კერა ჩანაცრებია,
მას მისი წილი მზეც ჩაქრობია.
აღგვილა იგი ქვეყნის პირიდან,
გამქრალა მისი წუთისოფელი.

კერის გაქრობა ვინც აირიდა,
მზეც მას უნათებს გაუქრობელი.

ა. აბაშელი

2339

იმ ხალხს, რომელსაც წარსული არა ჰქონია, კულტურული კვალი არა უნიშნავს-რა და არც აწმყო. უვარგა, უფლება არა აქვს, რომ მომავალზე საკუთრად იფიქროს. ის მომაკვდავია როგორც ერი და უნდა სხვას შეუერთდეს, გადარჯულდეს...

ა. წერეთელი

2340

ყოველი ხალხი, რომელმაც კი თავი დააღწია ველურ და ეხეცურ მდგომარეობას და დარჩა გაუნათლებელი... ადრე თუ გვიან დამონებული იქნება.

კლ. ჰელვეციუსი

2341

ეროვნულობა უფრო პირველადია, ვიდრე კაცობრიობა, და- ითოეული ადამიანი კაცობრიობაში შედის. თავისი ნიშანდობ- ლივი ეროვნულობით. ყალბია ის განათლება, რომელიც შეთვი- სებული უნდა იქნეს სხვის ენაზე. კაცობრიობას მეტად ხშირად ჰქონდა ამის დამამტკიცებელი მწარე გამოცდილება. ერის სულსა და გულს თავისი თვისებისა და ღირსების წმინდად შე- ნარჩუნება შეუძლია მხოლოდ ეროვნული ენის გავლენის ქვეშ ჩამოყალიბებით. ვინც ხელს იღებს ამ ჰეშმარიტებიდან, ის ხელს იღებს ეროვნულობიდანაც.

მ. ნალბანდიანი

2342

როგორც ტოტი, მოწყვეტილი ხისაგან. ჭკნება და ხმება, ისე... ყმაწვილი მოშორებული ორგანიულს კავშირს თავის ერის სულთან და გულთან, იჩაგრება გონებით, ჭკნება გულით და ჩამოდის მეტად დაბალს ეთიკურ საფეხურზე.

ი. გოგებაშვილი

2343

თითოეული ერის განათლება უნდა მიმდინარეობდეს მის

ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ. ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ.

Ⲙ. ᲜᲐᲚᲑᲐᲜᲓᲘᲐᲜᲘ

2344

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ. ᲗᲕᲘᲗ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲛᲝᲡᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘ ᲫᲐᲚ-ᲦᲝᲜᲘᲗ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲒᲘ ᲐᲦᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ — ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲡᲘᲥᲘᲣᲠᲘ. ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ ᲛᲗᲔᲚ ᲔᲠᲖᲔ. ᲔᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲖᲘᲗ.

Ⲓ. ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

2345

ᲰᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲬᲣᲠᲗᲕᲜᲘᲚᲘᲡ ᲖᲜᲔ-ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲨᲔᲣᲦᲚᲔᲑᲐᲐ ᲒᲐᲜᲣᲧᲠᲔᲚᲐᲓ.

Ⲓ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ

2346

ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲝᲑ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐ ᲘᲛᲐᲨᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲬᲝᲜᲘᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲐᲦᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲖᲜᲔ-ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡᲐᲪ.

Ⲓ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ

2347

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ: ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲝᲑᲐᲪ, ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘᲪ, ᲡᲣᲚᲘᲪ ᲓᲐ ᲐᲖᲠᲔᲑᲘᲪ.

Ⲁ. ᲩᲔᲮᲝᲕᲘ

2348

ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲔ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲣᲛᲬᲘᲙᲕᲚᲝ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲐᲓ.

Ⲁ. ᲩᲔᲮᲝᲕᲘ

2349

გული. ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან.

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

2350

ადამიანები დაანაწილეთ არა მათი სიმდიდრისა და მდგომარეობის მიხედვით, არამედ მათი ზნეობრივი ღირსებების მიხედვით.

მ. რ ო ბ ე ს პ ი ე რ ი

2351

... განათლება ლმობიერ გრძნობებს უვითარებს ადამიანს.

ვ ა ჟ ა ფ შ ა ვ ე ლ ა

2352

იმდენად ველური არავინ არ არის, ვინც ვერ შესძლებდა
მოლბობას,
თუ სწავლებას თავის ყურთ მოთმინებით მიაპყრობდა

ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

2353

თუ გული სიბრძნით განათლებულა,
კეთილ საქმეში თავს ისახელებს.

ა ს ა რ თ ე ბ რ ი ზ ი

2354

კარგი ბუნების ადამიანებს განათლება ესაჭიროებათ იმისათვის, რომ დავიცვათ ისინი გახრწნილებისაგან; განათლება საჭიროა გახრწნილთათვისაც, რომ გამოვასწოროთ მათი ბუნებრივი ნაკლოვანებანი.

ი. ა. კ ო მ ე ნ ს კ ი

2355

წაართვი სულს განათლება და შენ დაინახავ, რომ ადამიანები, თუმცა საჭმლით მარაგდებიან და მათ მუცელი უსუქდებათ, მაგრამ ღატაკდებიან სულით; ჯანიანი ხდებიან სხეულით, მაგრამ სუსტდებიან სულით, კანი უბრწყინავთ, მაგრამ სინიდისზე ჭუჭყი ედებათ.

ი. ა. კ ო მ ე ნ ს კ ი

2356

სასარგებლოა განათლება?
 რაღა თქმა უნდა.
მხოლოდ ჩვენ სწავლა-განათლებას ვეძახით მუდამ;
მდიდრულ განცხრომით, ფუფუნებით ბრიყვულ ცდუნებას,
 ხან კიდევ შერყვნილ ზნე-ჩვეულებას.
ამიტომ როცა ადამიანებს
ვაცლით სიტლანქის მოუქნელ ქერქსა, —
უნდა გავერკვეთ, მივმართოთ ხერხსა,
რომ ქერქთან ერთად კეთილზნიანებს
არ დავუკარგოთ კარგი თვისება,
არ შევუბღალოთ სული, ღირსება.
აღზრდა ზერელე, ბრწყინვა, ლაპლაპი,
სახელის ნაცვლად, მათ გასვრის ლაფით.

ი. კრილოვი

2357

განათლება მხოლოდ ავითარებს ზნეობრივ ძალებს, მაგრამ არ იძლევა მათ.

ბ. ბელინსკი

2358

თუ კაცმა იცის კითხვა ლათინურად ან წერა ინგლისურად, ან საზოგადოებაში თავის დაჭერა, აქედან არავითარ შემთხვევაში რა გამომდინარეობს, რომ ის განათლებულია; განათლებულად ადამიანი შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ბედნიერია, გამრჯელია, თუ ის ემსახურება კეთილს და მოაქვს სარგებლობა.

ჯ. რიოსკინი

2359

განათლებული ადამიანი არის ის, რომელმაც იცის თავის დანიშნულება და, რამდენადაც ძალუძს, ცდილობს შეასრულოს ის.

ლ. ტოლსტოი

2360

ავი კაცი რამოდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო საშიშარია, უფრო დიდად მავნებელია.

ი. ჭავჭავაძე

2361

...გონების მოქმედება თუ შეუერთდა ძალმორჭმულობას და სიავეს, ადამიანი ვეღარ შეიძლებს ვეღარაფრით დაიცვას თავი.

დანტე

2362

სახიფათო და საშინელი შეიძლება აღმოჩნდეს არა ის, ვინც მძინვარედ გამოიყურება, არამედ ის, ვინც ჭკვიანია [ბოროტი და მავნე] ადამიანის ტვინი უფრო საშიშარი იარაღია, ვიდრე ლომის კლანჭები.

(—)

2363

მართალია, განათლებამ, ცივილიზაციას რომ ვეძახით, სწორედ საკვირველი მოქმედება გამოიჩინა სხვადასხვა ასპარეზზე, ხოლო ზნეობის სამფლობელოისა კი რა მოგახსენოთ. არაო, მეტყვიან—ზნეობრივადაც ბევრით წინ წავიდა კაცობრიობაო. შეიძლება, არც ამაზე აგიხირდებით, ხოლო მე კი იმას ვიტყვი, რომ ამ მხრივ იგი ისევ პირუტყვად დარჩა, დარჩა კი არა, პირუტყვთა საერთო, საყოველთაო თვისება, რომელსაც გრძნობა თავის დაცვისა ჰქვიან, უფრო ძლიერად სჩქეფს დღეს მის გულში. ეს იქნება არც დასაძრახისი იყოს და განათლებას უნებლიეთ თან სდევდეს.

ვაჟა ფშაველა

2365

ჩვენი დროის ვითომითი ცივილიზაცია ხშირად მარტოოდენ დახვეწილი ბარბაროსობაა ხოლმე.

პ. პუასტი

2366

ბარბაროსობა არის ორგვარი: ერთი წინ უძღვის განათლების საუკუნეებს, მეორე კი მათ მოსდევს.

ბ. კონსტანი

2367

განათლებული ველურობა—ყოველ ველურობაზე უარესია.

კ. ვებერი

2368

განათლება, კაცთ-მოყვარეობითი მიმართულება, ჰუმანიური პრინციპები ჯერეთ დაწინაურებულს კაცობრიობის ნაწილსაც კი მხოლოდ ენაზედ ადგია და ძვალ-რბილში არ ჩაუტანებია. ახლანდელი კაცობრიობა უფრო მხეცთა გროვას წარმოადგენს, მანამ სათნო ადამიანთ საზოგადოებასა. ჯერეთ მის მოქმედებას და ნებას მართავს ძველი დევიზი „ვაგლახი ძლეულთა". * ჯერეთ იგი ფიქრობს ისევე. როგორც ფიქრობენ ბარბაროსები: რაკი მოგერიე და ხელში ჩაგიგდე. თვალსაც მოგთხრი, ტვინსაც ამოგწოვ და ძაღლივით დაგახრჩობო.

ი. გოგებაშვილი

2369

ყველგან ძლიერნი ჰქმნიდნენ კანონებს უძლურთა და ჩაგრულთათვის, და, თუ ოდესმე ისინი ანგარიშს უწევდნენ საზო-

---

* ვაი ძლეულთა! Vae victis — ლათინური თქმა; გალთა წინამძღოლის ბრენის წამოძახილი დამარცხებულ რომაელთა მისამართით. ლათინურ ამ თქმას, თავის პირწავარდნილი ცინიზმით არ ჩამოუვარდება ო. ბისმარკის შემდეგი ფრაზა: „დამარცხებულთ ჩვენ ვუტოვებთ მხოლოდ ცრემლებს, რომ შეეძლოთ იტირონ".

გადოების ინტერესებს, მაშინ ისინი ივიწყებდნენ კაცობრიობის ინტერესებს.

ა. ტიურგო

2369-ა

ძლიერის უფლებამ წარმოშვა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სხვანაირად, მონობად წოდებული. მევახშეობა, გამარჯვებულთა მიერ დამარცხებულ მტერზე დადებული ხარკი და მრავალრიცხოვანი გადასახადები, საბატონო ბეგარები, მეათედები, იჯარები და მრ. სხვ., რომლებიც საკუთრებას შეადგენენ.

პ. პრუდონი

2370

... საზოგადო კანონია: თუ ერთხელ კაცმა თავი დაიმდაბლა, მაშინ იმას თავში ადვილად ჩაუკაკუნებენ, ე. ი. დაბალ ღობეს ადამიანი ადვილად გარდახტება.

გ. ჰალადიდელი

2371

ოჰ, რა უბედური ყოფილა ის, ვინც სუსტია, ვისი ოთახის კლიტე სხვის ხელშია, ის ვინც დამარცხებულია.

ჰ. ლომთათიძე

2372

ადამიანო! შენივ ბრალია, რაც საწუთროში სისხლი იქცევა,
თვარა ქვეყანა, დღეის გალია, ხვალვე სამოთხედ გადაიქცევა.

სილ. ხუნდაძე

2373

ნუთუ უცხოდ და მიუწვდომლად დარჩება ჩვენთვის სიყვარულის ნათელი გრძნობა, ნუ თუ არ შეგვიძლია ჩვენ დავუახლოვდეთ ერთმანეთს, ვუცქიროთ ერთმანეთს კეთილის თვალებით, ვნახოთ ერთი მეორეში კარგი? არ არსებობს ხომ ადამიანი, რომელსაც დადებითი მხარეები არ ჰქონდეს.

ო. თუმანიანი

2374

განათლება მხოლოდ მაშინ მიაღწევს სრულყოფილობას, როდესაც ადამიანებს ადამიანთა დახოცვის შესაძლებლობა მართლმსაჯულებისთვისაც კი აღარ ექნებათ.

პ. ბუასტი

2375

არასრულქმნილი კაცობრიობა აღზრდის წყალობით შორეულ მომავალში გარდაიქმნება ადამიანთა ახალ რასად. ასეთია აღზრდის სიძლიერე.

რ. ოუენი

2376

ყველაზედ საიმედო, მაგრამ იმავე დროს ყველაზედ უძნელესი საშუალება ადამიანთა გასაუმჯობესებლად არის აღზრდის სრულყოფილობამდე აყვანა.

ეკატერინე II

2377

სრულყოფა ის მიზანია, რომლისკენაც კაცობრიობა მიისწრაფვის... ყველა ხალხთა ისტორია ამის დამადასტურებელია.

კ. რიღეევი

2378

... მთელი ისტორია ადამიანის ბუნების განუწყვეტელ გარდაქმნას წარმოადგენს მხოლოდ.

კ. მარქსი

„ფილოსოფიის სიღატაკე", გვ. 220. 1931.

2379

„ბუნებამ შეჰქმნა ცხოველები, ადამიანი კი — პროგრესის ნაყოფია". ასე გადასჭრა ადამიანის სიბრძნემ და მეცნიერებამ.

ო. თუმანიანი

2380

ჩვენი საუკუნე არის საუკუნე რევოლუციისა ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით — არა მატერიალური, არამედ ზნეობრივი რევოლუციისა. მუშავდება საზოგადოებრივი წყობილებისა და ადამიანის სრულქმნილების უმაღლესი იდეა. ჩვენ ვერ მოვესწრებით მკის დროს, მაგრამ რწმენით თესვა უდიდესი ბედნიერებაა.

უ. ჩანინგი

2381

მოვლენ ახალი მწერლებიც, რომელთა გულებსაც არ ექნება მიყენებული ჭრილობები: ისინი დაინახავენ თავისუფალ, მხნე

ხალხს, განმტკიცდებიან მისი ფაქიზი და ცხოველი. სუნთქვით, ხმამაღლა და მხიარულად აჟღერდება მათი ხმები მთელი სამყაროს წინაშე.

ო. თუმანიანი

2382

სამშობლოს ვადიდებ, რომელიც არის,
მაგრამ სამმაგად, რომელიც იქნება.

ვ. მაიაკოვსკი

2383

დიდხანს ეძებდნენ ადამიანები თავიანთი ყოფის აზრს და კიდევ დიდხანს მოუნდებიან მის ძებნას, მაგრამ დადგება ბოლოს დრო... როდესაც ადამიანები შეიცნობენ თავიანთ ნამდვილ დანიშნულებას და იპოვიან მას სამშობლოსადმი სიყვარულში, მის კეთილდღეობისადმი მისწრაფებაში და თავიანთი თავისა და ყველაფრის მის სასარგებლოდ შეწირვაში.

ი. იაკუშკინი

2384

მთავარია — გადავატრიალოთ ცხოვრება... და იქნება მაშინ აქ უზარმაზარი, დიდმშვენიერი სახლები, საუცხოო ბაღები, შადრევნები არაჩვეულებრივი, შესანიშნავი ადამიანები.

ა. ჩეხოვი

2385

... დადგება დრო — მე ღრმად მრწამს ეს, დადგება დრო, როცა არავის აღარ დასწვავენ, არავის აღარ მოჰკვეთენ თავს... როდესაც აღარ იქნება უაზრო ფორმები და წესჩვეულებები... აღარ იქნებიან მდიდარნი, აღარ იქნებიან ღარიბნი, არც მეფეები და ქვეშევრდომები, არამედ იქნებიან ძმები, იქნებიან ადამიანები.

ბ. ბელინსკი

2386

აღარ იქნება მტერი, მოძულე,
იქნება შვილი, იქნება დედა,
და იქნებიან კაცნი ამ ქვეყნად.

ტ. შევჩენკო

2387

სატრფოვ, არ დაეცე სულით! იცოდე, რომ დადგება დრო და ამობრწყინდება დედამიწაზე სიყვარულისა და კეთილის გარიჟრაჟი. სიმართლე, თავისუფლება და ცოდნა გახდება ადამიანთა სათაყვანოდ და მისი უსასრულო კაშკაშით გათბება გულიც.

ს. ნადსონი

2388

დიადი ძალით აძგერდება ამაყი გული,
ფრთებს გაშლის აზრი, გაბრწყინდება სიცოცხლით თვალი,
სულს გაახარებს სათნოება და სიყვარული
და დაიქუხებს ძლევის ჰანგი თავისუფალი.

კ. ხეთაგური

2389

... მე მრწამს, რომ შორს არ არის ის დღე, როდესაც მშვიდობიანობა და ხალხთა ძმობა გაიმარჯვებს დედამიწის ზურგზე.

ო. თუმანიანი

2390

არსებობს ერთი დიადი საქმე, — ესაა კეთილი ურთიერთობა ხალხთა შორის.

ო. თუმანიანი

2391

... დადგება ჟამი, რომ ადამიანები შეეხაროდენ ერთმანეთს, რომ ყოველი ადამიანი მეორისათვის ვარსკვლავი იყოს! მაშინ ცხოვრება კი არ იქნება, არამედ იქნება სამსახური ადამიანისადმი, მისი სახე ზეამობრწყინდება. დიადნი იქნებიან ამა ცხოვრების ადამიანები.

მ. გორკი

2392

ბრძოლების შემცველად მოვა მეცნიერული აღმოჩენები: ხალხები კი აღარ დაიპყრობენ [ურთიერთს], არამედ გაიზრდებიან და განათლდებიან; აღარ იქნებიან მეომარნი, არამედ იქნებიან მშრომელნი: დადგება დრო მეცნიერულ ძიებათა

სწავლისა, გამოგონებათა; აღარ შემოსავენ ქება-დიდებით ურთიერთგაჟლეტას. ასე, მკვლელთა შემცვლელად მოვლენ შემოქმედნი.

ვ. პიუგო

2393

დადგეს დრო განახლებულ მთელ ქვეყანაში,
ზიზღით დააგდონ დანა, რომ სწვეთს სისხლი ღვარული,
და ნუ მაყვედრით ჩემმა ჩანგმა ადიდოს მაშინ
თავისუფლების ლაღი ყოფნა და სიყვარული.

კ. ხეთაგათი

2394

მე მტკიცედ მრწამს, რომ მეცნიერება და მშვიდობიანობა გაიმარჯვებენ უვიცობაზე და ომზე, რომ ხალხები მიაღწევენ შეთანხმებას არა ურთიერთის გაჟლეტის, არამედ აშენების მიზნით და რომ მომავალი ეკუთვნით მათ, ვინც უფრო მეტს გააკეთებს წამებული კაცობრიობისათვის.

ლ. პასტერი

2395

მოვა დრო, როდესაც ადამიანები შეიგნებენ ომიანობის უგუნურებას. ადამიანები შეიცნობენ, რომ მათ აქვთ უფრო საჭირო საქმეები, ვიდრე ურთიერთზე თავდასხმა; რომ მათი საერთო მტრები — სიღატაკე, უვიცობა და სნეულებებია; და რომ მთელი მათი ძალღონე მიმართული უნდა იქნეს ამ საშინელ უბედურებათა წინააღმდეგ და არა მათი ბედშავობის მოზიარეთა წინააღმდეგ.

შ. რიშე

2396

მხოლოდ გონებას შეუძლია უზრუნველგვიყოს უშფოთველი სიმშვიდე.

ციცერონი

2397

დადგება დრო, როდესაც ყველაზედ უშორესი ხალხები გახდებიან ერთიმეორისათვის ღვიძლ ძმებად და უბედურებაში დაეხმარებიან ერთმანეთს.

ნართული ეპოსიდან

2398

ხალხები შუღლს დაივიწყებენ და ერთ დიდ ოჯახად შეერთ-დებიან.

ა. პუშკინი

2399

დადგება დრო, როდესაც მზე გააშუქებს ქვეყნიერებას, და-სახლებულს მხოლოდ თავისუფალი ადამიანებით, რომლებიც არავის არ იცნობენ ბატონად, გარდა თავისივე გონებისა.

ჯ. ჰაინე

2400

მალე ინათებს... გათავდება ეს ღამეც ალბათ,
ქვეყნად ქურდობის, ძალადობის ღამე რომ ჰქვია,
და აეხსნება სამუდამოდ შავბნელი ფარდა
უსამართლობას, გარყვნილებას, გიჟურ ორგიას...
და დამყარდება, მწამს, მშვიდობა ნაპოვნი ძვირად.
გადვისვრით დანას დავიწყების უძირო ზღვაში.

კ. ხეთაგათი

2401

რაც უფრო გრძელი ღამეა ქვეყნად,
რაც უფრო ბნელა, წყვდიადი გვფარავს,
მით უფრო დილა იქნება ტკბილი,
მით უფრო მზის სხივს ექნება ძალა.
წარსულს ჩაბარდეს ოხვრა და დარდი,
განსაცდელი და ვარამი მძიმე,
ახალ განთიადს სინათლეს შევხვდეთ,
ახალ განთიადს — ნუგეშს და იმედს.

კ. ხეთაგათი

2402

დადგება უფრო ბედნიერი ხანა.

ლუკანი

2403

ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას...
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი

შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების!

ი. ჭავჭავაძე

2404

ადამიანნი თავის თავს
დღესა, ხვალე თუ გვიანა,
მოუძებნიან წამალსა,
რამაც კი დააზიანა.

ვაჟა ფშაველა

2405

წუთი-სოფელი ესეა:
ღამე დღეს უთენებია,
რაც მტრობას დაუქცევია —
სიყვარულს უშენებია.

ი. ჭავჭავაძე

2406

დაე გაჰქრეს განათლების ბოროტად გამოყენება და მხოლოდ სასარგებლო დარჩეს მისგან!..

ი. ა. კომენსკი

2407

ბოროტება წარმავალია, სიკეთე, — უკვდავი.

ჯ. კანინეი

2408

ბოროტსა სძლია კეთილმან — არსება მისი გრძელია.

რუსთაველი



წიგნები, ლიტერატურა

2409

ყველაფრისათვის, რაც კი რამაა ჩემში საუკეთესო, მე წიგნებს უნდა ვუმადლოდე. გიყვარდეთ წიგნი — ცოდნათა წყარო.

მ. გორკი

2410

ყველაფერი, რაც კი ძვირფასია ჩემში მხოლოდ და მხოლოდ თვითგანვითარებით მიგიღე.

ჩ. დარვინი

2411

იმ წიგნებიდან ვისწავლე ბევრი რამ, რაც არ ვიცოდი.

ა. წერეთელი

2412

გზა კომუნიზმისაკენ—წიგნი და ცოდნა.

ვ. მაიაკოვსკი

2413

სინათლით გასხივოსნდებოდა მთლიანად, მასობრივად ყოველი ხალხი, თუ საკმაო რაოდენობის კარგი წიგნებით იქნებოდა იგი უზრუნველყოფილი.

ი. ა. კომენსკი

2414

ხალხთა უკეთესად დასაახლოებლად და შესაცნობად და მათში ურთიერთ სიყვარულისა და პატივისცემის განსავითარებლად არ არსებობს იმაზედ უფრო მადლიანი ნიადაგი და იმაზედ უფრო დიადი კავშირი, ვიდრე ლიტერატურა, რომელშიაც მჟღავნდება მათი საუკეთესო თვისებები, მათი ეროვნული გენია და სულისკვეთება.

ო. თუმანიანი

2415

მხოლოდ მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება ამოავსებენ ხალხთა გამთიშველ უფსკრულს, მხოლოდ ისინი შეჰქმნიან უკეთეს ცხოვრებას და ჰეშმარიტ ადამიანს.

ო. თუმანიანი

2416

ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარება მუდამ იყო და იქნება უშორეს ხალხთა საუკეთესო დამაკავშირებელი.

ლ. ბეთჰოვენი

2417

იმისათვის, რომ ხალხებმა კარგად გაიცნონ ერთმანეთი, რომ განვავითაროთ მათში ურთიერთპატივისცემა და სიყვარული, არ არსებობს ლიტერატურაზე უფრო მადლიანი ნიადაგი.

ო. თუმანიანი

2418

ერების დამაკავშირებელი ცემენტი არის საერთო აზრი. ხალხები მხოლოდ მაშინ შედუღდებიან, როდესაც მათ საერთო ენა ექნებათ, როდესაც ერთი და იგივე სიტყვები, როგორც გონების მონეტა, იტრიალებს ხალხში და შეადგენს საერთო კუთვნილებას. ხოლო ენის მოძრაობას, სიტყვების მიმოქცევას, აზრის განზოგადოებას უწინარეს ყოვლისა იძლევა ხელოვნება, პოეზია, ლიტერატურა.

ვ. ჰიუგო

2419

ახ მეგობრებო, რომ შეიძლებოდეს თავისი ფიქრების სწორად გადაცემა, რამდენი ადამიანი დაძმობილდებოდა ამ ქვეყნად!

ჭ. ლომთათიძე

2420

ქვეყანაზე მისთანა არა არსებობს რა, რომ თავისი თავგადასავალიც არ ჰქონდეს... და ყველას რომ შეეძლოს გამოთქმა... ყველას რომ გავიგებდეთ! მაშინ ქვეყნიერება წინ იქნებოდა.

ა. წერეთელი

2421

ხმალი იმოდენს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო.

ი. ჭავჭავაძე

2422

სიტყვები — ეს საგნებია, და როდესაც მელნის მცირეოდენი წვეთი, მსგავსად ნამისა, ეპკურება აზრს, ის ახდენს იმას, რომ აიძულებს იფიქროს ათასს, შეიძლება მილიონ ადამიანსაც კი.

ჯ. ბაირონი

2423

... სიტყვა ხმალზედ უფრო უკეთ სჭრის და ზარბაზანზედ უფრო ძლიერ მოქმედობს... სიტყვა ძალაა და ძლიერება.

ი. ჭავჭავაძე

2424

სტამბას დიდი ძალა აქვს და ნაბეჭდი სიტყვა მკითხველს ხშირად სახარების ჭეშმარიტებად მიაჩნია.

ა. წერეთელი

2425

სწრაფად ავრცელებს რა მთელს მსოფლიოში ერთხელ გაგითქმულ აზრს, ბეჭდვითი სიტყვა ჩვენს დროში გახდა პროგრესის, მეცნიერებისა და ცივილიზაციის უმძლავრეს იარაღად.

ა. ფრანსი

2426

თავისუფალი ბეჭდვითი სიტყვა — ეს ხალხის სულის გამჭრიახი თვალია... ის — სულიერი სარკეა, რომელშიაც ხალხი თავის თავს ხედავს, თვითშეგნება კი — სიბრძნის პირველი პირობაა.

კ. მარქსი
M. Э. Соч., I, 66.

2427

ძველად სოფისტები მიმართავდნენ ხოლმე ადამიანთა მცირე რაოდენობას, დღეს კი მათ პერიოდული ბეჭდვითი სიტყვა საშუალებას აძლევს შეცდომაში შეიყვანონ მთელი ერი.

პ ბალზაკი

2428

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების სიკეთე იმდენად ნათელი და იმდენად საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბევრით აღემატება ზიანს მისი ბოროტად გამოყენებისაგან.

ჯ. კანინგი

2429

საჭიროა მასების ხელახლა აღზრდა, ხოლო მათი ხელახლა აღზრდა შეუძლია მხოლოდ აგიტაციას და პროპაგანდას.

ვ. ლენინი
თხზ. ტ. 31, გვ. 455.

2430

განათლების, ლიტერატურის, პოეტისა და მწერლის მოვალეობაა გაწმინდოს ხალხის შეგნება, გაპფანტოს ცრურწმენათა და ცრუმორწმუნეობათა წყვდიადი.

მ. ნალბანდიანი

2431

მწერალი—ერის სიამაყე, სინიდისი, ნამუსი და პატიოსნებაა.

(—)

2432

ხალხის უდიდეს დიდებას, მისი მწერლები წარმოადგენენ.

ბ. ჯონსონი

2433

როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა. ყოვლთ უწინარეს ამას იკითხავს, — რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი.

ი. ჭავჭავაძე

2434

დიდი მწერლები მუდამ ხალხთან ერთად ცოცხლობენ, რადგან მათ ნაწერებს ხალხი უფრთხილდება, როგორც ფასდაუდებელ საუნჯეს.

ბ. ბელინსკი

2435

რამდენადაც დიდი ნიჭის პატრონია მწერალი, მით უფრო მჭიდროდ არის იგი დაკავშირებული ცხოვრებასთან, მის მწვავ საკითხებთან.

ვაჟა ფშაველა

2436

თითოეული დიდი ხელოვანი ვალდებულია იქნეს თავისი ეპოქის წარმომადგენელი.

რ. როლანი

2437

თუ ჩემს ცხოვრებას... რაიმე აზრი ჰქონდა, ეს იმისაგან წარმოსდგება, რომ ჩემსა და ეპოქას შორის გარკვეული ნათესაობა არსებობს.

ჰ. იბსენი

2438

ამბობენ, რომ მე კარგად ვწერ. თუ ეს ნამდვილად ასეა, აქას მე ავხსნი [იმით, რომ]. . მე ბევრს ვუგდებდი ყურს ხელოსნებისა და ხალხის წრიდან გამოსულ ადამიანთა ლაპარაკს. ენას ჩვენ ისინი გვასწავლიან. და პირიქით, მაღალი საზოგადოების ადამიანები და მასწავლებლები ხელოვნურ და ყალბ ენაზე ლაპარაკობენ.

ა. ფრანსი

2439

ენა, ლიტერატურა არის უმდიდრესი სალარო, რომელშიაც მრავალთა თაობათა ძვირფასის განძივით შეუნახავთ საუკეთესო ნაწარმოები ხალხის გონებისა, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობანი გულისა.

ი. გოგებაშვილი

2440

ხალხია ენის კანონის დამდები.

ი. ჭავჭავაძე

2441

ჭეშმარიტი და უტყუარი ლიტერატურა სარკეა, რომელშიაც გამოხატულია ერის ცხოვრება.

მ. ნალბანდიანი

2442

ლიტერატურა, თუ მას უნდა იქნეს მტკიცე და სამარადისო, აუცილებლად უნდა იქნეს ხალხური.

ბ. ბელინსკი

2443

პოეტი ორივე ფეხებით უნდა იდგეს მშობლიურ ნიადაგზე და მხოლოდ მაშინ იყღერს მისი ხმა მთელი ძალით.

ო. თუმანიანი

2444

პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს.

ი. ჭავჭავაძე

2445

სხვის მხარეში გაზრდილ ყვავილს არ შეიძლება ექნეს თავისი ქვეყნის სურნელება და ბრწყინვალება... კაცს, რომელსაც თავისი ქვეყანა არ უნახავს, არ შეუძლია მისი ნამდვილი სურათის მოცემა.

ო. თუმანიანი

2446

ფოლკლორის ცოდნას მოკლებული მწერალი — ცუდი მწერალია.

მ. გორკი.

2447

ლიტერატურა არა მარტო სარკეა, და თუ სარკეა, მაშინ ის საოცარი და ჯადოსნური სარკეა. ის არა მარტო არეკლავს ხოლმე დროს, მოვლენებსა და სახეებს, არამედ ცხოვრებას აძლევს თავის სითბოს და თავის სინათლეს.

ო. თუმანიანი

2448

წერასთანაა დაკავშირებული, წერას ეყრდნობა ყველა დიადი აზრთაწყობა. სადაც მწერლობა არ იყო, იქ საერთოდ არც უმაღლესი განვითარება ყოფილა.

ჰ. ვეტკე

2449

წიგნის კითხვა — მაღალი სიამოვნებაა კულტურული ადამიანისათვის: მე ვაფასებ წიგნს — ის ჩემი ძვირფასი ჩვეულებაა.

მ. გორკი

2450

[ჩემი] საყვარელი საქმე — წიგნების ქექვაა.

კ. მარქსი

„Исповедь", „Воспоминания о Марксе и Энгельсе, стр. 274, 1956.

2451

წიგნის კითხვა, შეგონება, დაუდვიათ დია * სარგად,
ზღაპარი და ყბედი სიტყვა სანახავად დასაკარგად.

ვახტანგ VI

---

* დია — დიდად, ფრიად.

2452

ვინც პოოს სიბრძნე, ამისთვის
დავითც თქვა ნეტარებანი,
გიყვარდეს წიგნის კეთილის
კითხვა და გაგონებანი.

ვახტანგ VI

2453

როდესაც მე ვკითხულობ პატიოსან, გაბედულ წიგნებს. მე ვგონია — სიმართლის მხურვალე მზე ამოდის.

მ. გორკი

2454

რომ ჩემ ფეხებთან, ნაცვლად ჩემი წიგნებისა და მათი კითხვის ჩემი სიყვარულისა, მსოფლიოს ყველა სამეფოთა გვირგვინები დააწყონ, მე უკუვაგდებდი ყველა გვირგვინებს.

ფრ. ფენელონი

2455

წიგნებს უნდა ვუმადლოდეთ იმ მთავარ მადლთა მონიჭებისათვის, რომლებიც გამომდინარეობენ მაღალი გონივრული მოქმედებიდან.

რ. ემერსონი

2456

მე... არ შემიძლია გადმოცემა იმ კეთილისმყოფელ გავლენისა, რომელიც ჩემზე ჰქონდა... წიგნის კითხვას.

ლ. ტოლსტოი

2457

წიგნი — ჩვენი დროის ცხოვრებაა. მას საჭიროებს ყველა— ჭიხუციც და ყრმაც, საქმიანიც და უსაქმოც; აგრეთვე ბავშვებიც.

ბ. ბელინსკი

2458

წიგნები — ჩვენი ჭეშმარიტი მეგობრებია.

ჯ. ლებოკი

2459

გიყვარდეთ წიგნი — ცოდნის ეს წყარო, მხოლოდ ცოდნა წარმოადგენს მხსნელს, მხოლოდ მას შეუძლია გვაქციოს სუ-

ლით ძლიერებად, იმ პატიოსან, გონივრულ ადამიანებად, რომელთაც უნარი შესწევთ გულწრფელად უყვარდეთ ადამიანი, პატივი სცენ მის შრომას და სულითა და გულით დასტკბენ მისი განუწყვეტელი დიადი შრომის მშვენიერი ნაყოფით.

მ. გორკი

2460

წიგნი — ცხოვრების ისეთივე მოვლენაა, როგორც ადამიანი, ისიც — ფაქტია, ცოცხალი, მოლაპარაკე ფაქტი და იგი უფრო ნაკლებად არის „ნივთი", ვიდრე ყველა ის დანარჩენი ნივთები, რომლებიც შექმნილია და იქმნება ადამიანის მიერ.

მ. გორკი

2461

წიგნი, შეიძლება ყველაზე რთული და დიადი სასწაულია ყველა სასწაულთა შორის, რომლებიც შექმნილია კაცობრიობის მიერ მისი ბედნიერებისა და მომავლის ძლიერების გზაზე.

მ. გორკი

2462

წიგნი — ადამიანთა პროგრესის ერთ-ერთი უდიდესი საშუალებათაგანია, პოლიტიკური ბრძოლის მძლავრი იარაღია, კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის მთელი მარაგის დაუფლების ფაქტორია.

Б. Сов. Энц.,
т. 21, стр. 465, 1953

2463

თითოეული წიგნი — დიდი კოლექტიური შრომის შედეგია, და ამ შრომას მოფრთხილება უნდა.

ნ. კრუპსკაია

2464

წიგნი — ეს ერთი თაობის სულიერი ანდერძია მეორისათვის, მომაკვდავი მოხუცის რჩევაა ცხოვრების დამწყები ყრმისათვის, დასასვენებლად მიმავალი გუშაგის ბრძანებაა მისი შემცვლელი გუშაგისათვის. კაცობრიობის მთელი ცხოვრება თანმიმდევრობით ილექებოდა წიგნში: ტომები, ადამიანები, სახელმწიფოები ქრებოდნენ, წიგნი კი რჩებოდა. ის იზრდებოდა კაცობრიობასთან ერთად, მასში კრისტალდებოდა ყველა

მოძღვრებები, რომლებიც არყევდნენ გონებებს, და ყველა გზნებები, რომლებიც აძრწუნებდნენ გულებს; მასშია ჩაწერილი კაცობრიობის მშფოთარე ცხოვრების ის უდიდესი აღსარება, ის უდიდესი ავტოგრაფია, რომელსაც მსოფლიო ისტორია ეწოდება, მაგრამ წიგნებში არა მარტო წარსულია: ის შეადგენს დოკუმენტს, რომლითაც ჩვენ შევდივართ აწმყოს სამფლობელოში, ზოგჯერ სისხლიანი ოფლით მორწყული ტანჯვებით მოპოებულ ყველა ჭეშმარიტებათა და ძალვათა მთელი ჯამის სამფლობელოში: ის — მომავლის პროგრამაა. მაშ, პატივს ვსცემდეთ წიგნს!

ა. გერცენი (მამა)

2465

წიგნები ისეთსავე სამსახურს უწევენ კაცობრიობას, როგორც მეხსიერება ცალკეულ ინდივიდუუმს. წიგნები შეიცავენ ადამიანთა რასის ისტორიასა და მორალს; ისინი — ყველა ცოდნათა, აღმოჩენათა, ცდათა და კაცობრიობის მიერ ათასწლეულ მანძილზე მოპოებულ ჭეშმარიტებათა კრებულია.

(—)

2466

ყველაფერში, რაც კი გაკეთებულია და რაც ადამიანის მიერ კეთდება, ყოველ ნივთში ადამიანის სული არის ჩაქსოვილი: ყველაზე მეტი ამ პატიოსანი სულისა მეცნიერებაში, ხელოვნებაშია; ყველაზე უფრო მკვეთრმეტყველურად და გასაგებად იგი — წიგნებში მოჩანს.

მ. გორკი

2467

ჩემი რწმენის ღრმა დაჯერებით ვეუბნები ყველას: „გიყვარდეთ წიგნი, ის გაგიადვილებთ ცხოვრებას, მეგობრულად დაგეხმარებათ გაერკვეთ აზრების, გრძნობების, მოვლენების ჭრელსა და ბობოქარ არევ-დარევაში. წიგნი გასწავლით პატივსცეთ ადამიანსა და თქვენსავე თავს, იგი გონებასა და გულს აღაფრთოვანებს სამყაროსა და ადამიანებისადმი სიყვარულის გრძნობით“.

მ. გორკი

2468

დაე, წიგნი მტრულად იყოს განწყობილი თქვენი რწმენისადმი, მაგრამ თუ იგი კეთილსინიდისიერად, ადამიანთა სიყვარულით, მათთვის სიკეთის სურვილით არის დაწერილი — ეს მაშინ შესანიშნავი წიგნია!

მ. გორკი

2469

ჩემთვის წიგნი სასწაულია, მასში დატყვევებულია მისი დამწერის სული; როდესაც წიგნს ვშლი, მე ვათავისუფლებ ამ სულს და ის იდუმალად მელაპარაკება.

მ. გორკი

2470

ყოველივე მასალის შესწავლას საფუძვლად ედება წიგნზე მუშაობა. კაცობრიობის თანამედროვე ცხოვრებისათვის... წიგნს აქვს უდიდესი მნიშვნელობა: „კაცობრიობის კულტურა დამყარებულია ერთი თაობიდან მეორეზე გამოცდილების, ცოდნის, გამოგონებების გადაცემაზე და დაგროვებაზე. რომ არ ყოფილიყო ეს გადაცემა, რომ თითოეული თაობა დარჩენილიყო მოკლებული ამ მემკვიდრეობას, დაეწყო ხოლმე ყველაფერი თავიდან, კაცობრიობა შორს ვერ გასცდებოდა პირველყოფილ ველურობას. გამოცდილებისა და ცოდნის ეს გადაცემა კი ხდება წიგნის მეშვეობით. სწორედ წიგნშია ჩამოყალიბებული ცოდნის ის კაპიტალი, რომელიც, გადიდებული თითოეული თაობის მიერ, გადაეცემა თაობიდან თაობას, რომელიც სულ სწრაფად და სწრაფად მზარდი, შესაძლებელს ხდის კაცობრიობის კულტურის სულ უფრო და უფრო აჩქარებულ პროგრესს“ (ა. ა. პოკროვსკი, „საბიბლიოთეკო საქმე“, გვ. 6).

ნ. კრუპსკაია

2471

წიგნები — ეს კაცობრიობის ჭკუის თაობიდან თაობისათვის გადასაცემად ნაანდერძევი ქონებაა, სასარგებლოდ იმათთვის, ვინც მომავალში დაიბადება.

ჯ. ადისონი

2472

წიგნები ემსგავსებიან ცეცხლს ჩვენს კერაში, ამ ცეცხლს ჩვენ ვართმევთ სხვებს და ვაძლევთ სხვებს; ის ყველას ეკუთვნის.

ვოლტერი

2473

წიგნი ემსგავსება ზღვას, რომლის სიღრმიდან მყვინთავებს ძვირფასი მარგალიტი ამოაქვთ.

(—)

2474

ბიბლიოთეკები, ეს — ლუსკუმებია *, რომლებშიაც ინახება დიად წმინდანთა ნეშტები.

ფრ. ბეკონი

2475

ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე სასახელო ლუსკუმა, ეს— კარგი წიგნია.

პ. ბუასტი

2476

თუ თქვენ გსურთ ურღვევი ძეგლი დაიდგათ, ჩააქსოვეთ თქვენი სული კარგ წიგნში.

ჰ. ჰაინე

2477

არა სიტყვები და არა მათში ჩაქსოვილი აზრი მოქმედებს ხალხზე, არამედ სულისკვეთება, რომლითაც ისინია გაცხოველებული.

ა. მიცკევიჩი

2478

კარგი წიგნების კოლექცია — იგივე უნივერსიტეტია.

ჯ. ლებოკი

2479

ბიბლიოთეკა პატარა ფართობზე აურაცხელ სიმდიდრეს შეიცავს.

ქრ. მარლო

---

* ლუსკუმა — ძველად — ქვის კუბო (სარკოფაგი).

2480

შრომის რამდენი დღე, რამდენი უძილო ღამე, გულმოდგინე შესწავლის რამდენი ხანგრძლივი სიცოცხლეა ჩამოსხმული აქ სტამბის წვრილ შრიფტებში და გაჭედილი ჩვენს ირგვლივ აღმართული თაროების ვიწრო ფართობზე!

ჰ. სმიტი

2481

ერთადერთი საშუალება ადამიანთა გასათანაბრებლად — წიგნებია, ერთადერთი სალარო, რომელიც ღიაა ყველა მომსვლელთათვის — ბიბლიოთეკაა.

(—)

2482

როგორც ტაძარში, შემოვდივართ აქ * მოწიწებით,
სადაც წინაპართ დიდი სიბრძნის შუქი ანთია.
რამდენი თავი შეუმოსავს ამ შუქს დიდებით,
რამდენი ბნელი უმეცრება გაუფანტია!

რჩეულ აზრების და გრძნობების სალარო დიდი
სავსეა სიტყვის ფერადოვან ძვირფას თვლებითა.
ყოველი წიგნი ზის ბუდეში, მტრედივით მშვიდი,
შეარხევ — ელვას გამოანთებს გაშლილ ფრთებიდან.

და როგორც სკაში ითაფლება ყვავილთ ნექტარი,
ფუტკრის მანანად უჯრედებში მოოქროვილი,
ისე იზრდება ხალხთა სულის ნამოქმედარი
და ათას წიგნში ინახება აქ მოგროვილი.

თუ პოეტის შუბლს ქვეყნის მადლი გადაეფინა,
იმაზე მეტი ჯილდო მან რა ინატროს,
რომ მისმა სიტყვამ იქ იპოვოს ბრწყინვალე ბინა,
სადაც მსოფლიოს უნათლესი აზრი ბინადრობს!

ა. აბაშელი

2483

... მოდით... ბიბლიოთეკაში: იცოდეთ, რომ იქ მრავალ საუკუნეთა მანძილზე გროვდებოდა ყველაფერი საუკეთესო,

* აქ — წიგნთსაცავში.

ყველაზედ სასარგებლო, რასაც კი კაცობრიობამ ჭეშმარიტებისა და სილამაზის შეცნობაში მიაღწია. ნუ ჩასთვლით თქვენს თავს დაუპატიჟებელ სტუმრად ბრძენთა ლხინში. დაიკავეთ იქ თქვენთვის შემონახული ადგილი. და მაშინ, ყველა დროისა და ხალხთა პოეტების, მეცნიერთა, მსახიობთა, ისტორიკოსთა საუცხოო ქმნილებათა წინაშე პირისპირ დამდგარნი, თქვენ სწორად შეაფასებთ თქვენს ნიჭს, და თქვენს თვალთახედვას გაეხსნება ახალი, ვრცელი, უცნობი ჰორიზონტები... მოდით ბიბლიოთეკაში, ცოდნის სამყოფელოში. ნუ შეგეშინდებათ მეცნიერების თვალუწვდენელ სამფლობელოებისა. *

2484

წიგნები—ეს ხალხთა მატიანეა. ისინი გადასცემენ საუკუნიდან საუკუნეში მთელი კაცობრიობის მიერ დაგროვებული გამოცდილების აურაცხელ სიმდიდრეს. ისინი მიმართულია არა მხოლოდ მეცნიერთადმი, რომლებიც მათში პოულობენ საზრდოს თავიანთ ამაღლებულ და ნაყოფიერ ფიქრებისათვის. ისინი ეხმარებიან თითოეულ ჩვენთაგანს, ისინი ამსუბუქებენ სამუშაოს ყოველ ასპარეზზე. წიგნებს შეუძლია ყოველი წყურვილის მოკვლა. **

2485

მე მიყვარს ბიბლიოთეკები, მიყვარს იქ დიდხანს ჯდომა, ვიცი იქიდან დროზე წასვლაც... უნდა იქნე ბიბლიოთეკის მკითხველი და არა ბიბლიოთეკის ვირთხა.

ა. ფრანსი

2486

სანამ წიგნები იარსებებს, წარსული არ არსებობს.

ე. ბულვერი

---

* ციტირებულია ა. ფრანსის მიერ ორლეანელ ბიბლიოთეკარის, ვინმე კანიელის, „ბიბლიოთეკის ქების სიტყვიდან“.

** იმავე წერილიდან.

2487

არ არსებობს გასართობი, წიგნების კითხვაზე უფრო იაფი, და სიამოვნება, წიგნების კითხვაზე უფრო ხანგრძლივი.

მ. მონტეგიუ

2488

კითხვა — ეს საუკეთესო სწავლაა. დიადი ადამიანის აზრების შესწავლა — ყველაზე უფრო გასართობი მეცნიერებაა.

ა. პუშკინი

2489

გიყვარდეს წიგნების კითხვა, ეს — ცხოვრებაში აუცილებელი მოწყენილობის საათების წარმტაც საათებზე გაცვლაა.

მ. მონტესკიე

2490

მე მყავს მეგობრები, რომელთა საზოგადოება მე განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს. ისინი ეკუთვნიან ყოველ ასაკს და ყოველ ერს. ზოგმა მათგანმა სახელი გაითქვა, როგორც სარდლებმა, სხვებმა, როგორც სახელმწიფო მოღვაწეებმა, ზოგმაც მაღალ პატივს თავიანთი მეცნიერული შრომებით მიაღწიეს. მათთან მისვლა ადვილია: ისინი მუდამ მზად არიან სამსახური გამიწიონ მე. მე მათ ვპატიჟებ ჩემთან, როდესაც მომესურვება და ვისტუმრებ, როდესაც ისინი აღარ მესაჭიროებიან. ისინი არასოდეს და არაფრით არ მიშლიან მე ხელს და დაუყოვნებლივ მაძლევენ პასუხს ყველა ჩემს შეკითხვაზე. ერთნი მათგანნი მე მომითხრობენ წარსულ საუკუნეთა ამბებს, მეორენი კი ბუნების საიდუმლოებებს მიხსნიან. ერთნი მასწავლიან მე, თუ როგორ უნდა ვიცხოვრო, მეორენი კი, თუ როგორ უნდა მოვკვდე. ზოგნი მათგანნი იმდენად თავშესაქცევნი არიან, რომ გაპფანტავენ ხოლმე ჩემს სევდას და ჩემს გულში მხიარულებას ამკვიდრებენ, სხვები განამტკიცებენ ჩემს გონებას და მასწავლიან, თუ როგორ ავლაგმო საკუთარი სურვილები და, რომ მე სავსებით მხოლოდ საკუთარი თავის იმედი მქონდეს. ისინი მე მიხსნიან ყველა გზებს მეცნიერებისაკენ და ხელოვნებისაკენ, და მე, ცხოვრების ყოველგვარ პირობებში, შემიძლია

დავეყრდნო მათ მიერ მოწოდებულ ცნობებს. ყველა ამ გაწეული სამსახურისათვის, ისინი თხოულობენ მხოლოდ ერთს: რომ მე მათ ჩემი ღარიბი ბინის ისეთ კუთხეში მივსცე თავშესაფარი, სადაც მათ შეეძლებათ სრული მყუდროებით დასტკბნენ, რადგან ჩემი მეგობრები მყუდროებასა და სიწყნარეს უფრო უპირატესობას ანიჭებენ, ვიდრე ხმაურიან საზოგადოებას.

ფრ. პეტრარკა

2491

წიგნები თან მახლავს მე მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე და მე მათთან ურთიერთობა მაქვს ყოველთვის და ყოველგან. ისინი მართობენ მე ჩემს მოხუცებულობაში და ჩემს განმარტოებაში... იმისათვის, რომ თავიდან მოვიშორო აბეზარი და აუტანელი აზრები, ჩემთვის საკმარისია შევუდგე წიგნის კითხვას. ის ადვილად იპყრობს ჩემს ყურადღებას და განდევნის ხოლმე ასეთ აზრებს. ამასთან ერთად წიგნები მუდამ მემორჩილებიან მე და არ გულისობენ იმის გამო, რომ მე მათ მივმართავ მხოლოდ მაშინ, როდესაც ვეღარ ვპოულობ სხვა, უფრო შინაარსიან, ცხოველ და ბუნებრივ გასართობს. ისინი მუდამ მეგებებიან მე ერთი და იგივე გულითადობით... არასოდეს, არც მშვიდობიანობისა და არც ომის დროს, მე არ გავემართები გზას, რომ თან არ წავიმძღვანო წიგნები... არ მყოფნის სიტყვები გამოვთქვა, თუ რამდენად ვისვენებ და ვმშვიდდები მე, როდესაც ვიცი, რომ ისინი მუდამ ჩემს გვერდით არიან, რომ სიამოვნება მომანიჭონ...

მ. მონტენი

2492

... ძალიან კარგად მახსოვს, რომ კითხვის ან სამუშაოს შეცვლა — თარგმნისა კითხვით, წერისა გიმნასტიკით, სერიოზული კითხვისა ბელეტრისტიკით—ძალიან შველის. ზოგჯერ გაუარესება განწყობილებისა, — რომელიც საპყრობილეში საკმაოდ ცვალებადია — უბრალოდ დამოკიდებულია ერფეროვანი შთაბეჭდილებებით ან ერთფეროვანი მუშაობით დაღლაზე, და საკმარისია ამ მუშაობის შეცვლა, რომ ნორმაში ჩადგე და ნერვები

დაიმორჩილო. სადილის შემდეგ, საღამოობით დასვენებისათვის, მახსოვს regelmässig* ვკიდებდი ხელს ბელეტრისტიკას და ისე ვერსად ვერ ვატანდი მას გემოს, როგორც საპყრობილეში.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 37, გვ. 306.

2493

წიგნები ჩვენი დამრიგებლები და მასწავლებლებია, რომლებიც ჩვენ გვანათლებენ ისე, რომ არც წკეპლს, არც ლანძღვას არ მიმართავენ, რომლებიც არასოდეს არ გამოდიან მოთმინებიდან და არ საჭიროებენ არც ფულებს, არც ტანსაცმელს. მათ არ სძინავთ, როდესაც თქვენ მათთან მიდიხართ; არაფერს არ გიმალავენ, როდესაც თქვენ მათ კითხვებით მიმართავთ; არ ბუზღუნებენ, როდესაც თქვენ ვერ გებულობთ; და არ დაგცინიან, როდესაც თქვენ არაფერი არ იცით.

(—)

2494

სწავლა ჩემთვის საუკეთესო საშუალება იყო ცხოვრებაში ყოველ უსიამოვნებათა წინააღმდეგ; არ ყოფილა ისეთი დარდი, რომელიც ერთი საათის განმავლობაში წიგნის კითხვას არ გაექარვებინოს.

შ. მონტესკიე

2495

გონებრივი მუშაობა ისეთსავე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ადამიანზე, როგორსაც მზე ახდენს ბუნებაზე; ის აქარწყლებს დაღვრემილ განწყობილებას, თანდათან ამსუბუქებს, ათბობს, ამაღლებს სულს მძლავრ სიმშვიდემდე.

ვ. ჰუმბოლტი

2496

დიდი ნუგეშია ადამიანთათვის წიგნი, თუ ის გონების სიმაღლიდანაა დაწერილი.

მ. გორკი

---

* Regelmässig—რეგულარულად (რედ.)

2497

არა ხამს* გულებში მოწყენის ხემ გაიდგას ფესვი,
მოდით, ვიკითხოთ წიგნი, გულში სიამის მთესი.

ფირდოუსი

2498

წიგნი ჩემთვის მუდამ იყო მჭევრმეტყველი და მშვიდი ნანუგეშებელი; მე ვინახავდი მის სიმდიდრეებს უფრო მნიშვნველოვანი შემთხვევებისათვის, არასოდეს არ მქონდა სურვილი საჩქაროდ ამომეწურა ისინი.

ჟორჟ სანდი

2499

... წიგნები მე სხვა ცხოვრებაზე მიჩურჩულებდნენ, უფრო ადამიანურზე, ვიდრე ის ცხოვრება იყო, რომელსაც მე ვიცნობდი... წიგნები მიმითითებდნენ ჩემს ადგილზე ცხოვრებაში, აღაფრთოვანებდნენ ჩემს გონებასა და გულს; ისინი დამეხმარნენ იმ დამპალ ჭაობს ავშორებოდი, სადაც მე, უთუოდ, დაგიხრჩობოდი, გავიგუდებოდი სისულელითა და სიბინძურით. წიგნები სულ უფრო აფართოებდნენ ჩემს წინაშე სამყაროს საზღვრებს და იმის შესახებ მომითხრობდნენ, თუ რარიგ დიადი და წარმტაცია ადამიანი უკეთესისაკენ მისწრაფებაში, რა ბევრი რამ გააკეთა მან დედამიწაზე და რა გაუგონარ წამებად დაუჯდა ეს.

მ. გორკი

2500

მე ვუმადლი ადამიანის სულის საღმრთო წერილს — წიგნებს, რომლებიც ადამიანის მზარდი სულის უდიდეს წამებასა და წვალებას ასახავენ, ვუმადლი მეცნიერებას — გონების პოეზიას, ხელოვნებას — გრძნობის პოეზიას. წიგნები ჩემს წინაშე ახლის გადმოშლას განაგრძობდნენ.

მ. გორკი

2501

... წიგნებმა აღზარდეს ჩემში პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ცხოვრების მთელ ბოროტებაზე და რელიგიური თაყ-

* არა ხამს — არ შეეფერება, არ შეჰფერის.

განისცემა გამოიწვიეს ადამიანის გონების შემოქმედებითი ძალის წინაშე.

მ. გორკი

2502

თუ წიგნის კითხვა ამაღლებს თქვენს სულს და ჩაგაგონებთ კეთილშობილურ და ვაჟკაცურ გრძნობებს, ნუ ეძებთ სხვა საფუძველს ნაწარმოების შესაფასებლად. ის კარგია და დაწერილია ოსტატის მიერ.

ჟ. ლაბრუიერი

2503

წიგნი მე მიმჟღავნებს ჩემს სუსტ მხარეებს და ნაკლოვანებებს და მასწავლის თუ როგორ განვითავისუფლო თავი მათგან: ის მისაყვედურებს მე მასში, რაზედაც გადაკვრითაც კი ვერავინ ვერ გამიბედავს თქმას.

ხ. ა. კონდე

2504

წიგნები ჩვენ გველაპარაკებიან უპირფეროდ და უშიშრად.

ალფონს X ასტრონომი

2505

ადამიანის ყველაზე სასარგებლო, ყველაზე გულწრფელი, ყველაზე უანგარო და ერთგული მეგობარი და დამრიგებელი არის კარგი წიგნი.

ედ. როდი

2506

ბავშვობაში, ახალგაზრდობის პირველ ხანაში, კაცი სწავლობს სკოლაში. დამრიგებელთა გაკვეთილებს ის მიზანი აქვს, რომ ჭაბუკი გახადოს განათლებულ ადამიანად. მაგრამ, როდესაც ის სკოლიდან გამოდის და აღარ სწავლობს, მისი განათლება მტკიცდება და სრულქმნილდება წიგნების კითხვით, ესე იგი, ნაცვლად წინანდელ დამრიგებელთა, რომელთაც ვაჟი და ქალი უსმენდა, მოწიფულ ადამიანს ჰყავს ერთი დამრიგებელი — ლიტერატურა.

ნ. ჩერნიშევსკი

2507

სკოლაში სწავლა არ გამორიცხავს თვითგანათლების საჭიროებას: მარტო სკოლას არ შეუძლია მისცეს ყველაფერი ის, რაც განათლებულ კაცს სურს იცოდეს. საერთო განათლება, რომელსაც სკოლა იძლევა, არ შეიძლება იქნეს სრული და ამიტომ მოსწავლეებმა თავიანთი ცოდნა უნდა შეიძინონ არა მარტო სახელმძღვანელოებიდან და სასკოლო სწავლებიდან, არამედ წიგნების დამოუკიდებელი კითხვიდანაც.

უმაღლეს განათლებას, ჩვეულებრივად სპეციალური ხასიათი აქვს; უნივერსიტეტის ფაკულტეტებიც კი თავისებური სპეციალური სკოლებია. ამიტომ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებმაც, რომლებსაც თავიანთი ცოდნის გაფართოება და თავიანთვის მეცნიერული, მორალური და სოციალური Ესოფლმხედველობის გამომუშავება სურთ, უნდა მიმართონ თვითგანათლებას.

ბოლოს ის ადამიანები, რომელთაც სერიოზული კითხვის ჩვევა გამოიმუშავეს, უმაღლესი სკოლის კურსის შემდეგაც, მეცნიერული წიგნების კითხვით, არსებითად თვითგანათლებით სწავლას განაგრძობენ.

ნ. კ ა რ ე ე ვ ი

2508

სასწავლებელში სწავლა არ გამორიცხავს თვითგანათლების საჭიროებას. ამა თუ იმ სასწავლებელს არ შეუძლია ყველაფრის იმის მიცემა, რის ცოდნაც განათლებულ ადამიანს ესაჭიროება, ამიტომ ის პირები, რომელთაც თავიანთი ცოდნის გაფართოება სურთ, თვითგანათლებას მიმართავენ.

Б. Сов. Энц.,
т. 38, стр. 18, 1956.

2509

თითოეულ ადამიანს ორი განათლება აქვს: ერთი — სხვებისაგან მიღებული, მეორე კი, უფრო მნიშვნელოვანი, მის მიერვე შეძენილი.

ედ. გ ი ბ ო ნ ი

2510

უნდა სკოლაში სწავლა, მაგრამ გაცილებით უფრო მეტი უნდა სწავლა სკოლიდან გამოსვლის შემდეგ.

დ. პისარევი

2511

ზოგს სირცხვილად მიაჩნია სიყრმის უკან კითხვა, სწავლა, მაგრამ ბრძენთა სახელად სჩანს სიკვდილამდე მაშიგ წავლა.

ვახტანგ VI

2512

სასკოლო კურსის დასრულების შემდეგ ყოველი ქართველი თავისს წმინდა მოვალეობად უნდა სთვლიდეს იქონიოს საშინაო ქართული ბიბლიოთეკა, რომელსაც უნდა ამშვენებდეს საუკეთესო თხზულებანი ქართველის ავტორებისა — ძველისა და მეტადრე ახლისა.

ი. გოგებაშვილი

2513

კარგი წიგნების კოლექცია — იგივე უნივერსიტეტია.

ჯ. ლებოკი

2514

კულტურული ადამიანის აღზრდას ყველაზე მეტად ხელს უწყობს ორი ძალა: ხელოვნება და მეცნიერება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გვერდით არანაკლებ — თუ არა მეტად — ადამიანის გონებასა და ნებისყოფაზე ზემოქმედების მძლავრ საშუალებას მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენს.

მ. გორკი

2515

ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები.

ი. ჭავჭავაძე

2516

წიგნების კითხვას და კლასიკურ ნაწარმოებთა შესწავლას არა მარტო შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ყველა კლასიკური ნაწარმოები დაწერილია უდიდესი აღმაფრენით, უდიდესი გზნებით, რომელიც გადაედება ხოლმე ახალგაზრდა მკვლევარს

და აღუძრავს ცოდნისადმი სიყვარულსა და ინტერესს, ურომ-ლისოდაც შეუძლებელია რაიმე შემოქმედებითი მუშაობა.

კ. ბიკოვი

2517

მეცნიერულ ნაწარმოებებიდან უპირატესად იკითხეთ უახ-ლესი, ლიტერატურულიდან კი—უძველესი, კლასიკური ლიტე-რატურა სიახლეს არ ჰკარგავს.

ე. ბულვერი

2518

მხოლოდ ძველ კლასიკოსთა კითხვა უზრუნველყოფს გუ-ლის სიყმაწვილეს.

მ. ებნერ-ეშენბახი

2519

წარსული, რომელმაც ბევრი რამ ჭკუის ყასწავლი დაგვი-ტოვა, გვარწმუნებს, რომ დრო — ლიტერატურის ყველაზედ უფრო მიუდგომელი და ყველაზედ უფრო ულმობელი კრიტი-კოსი და დამფასებელია. დროთა მსვლელობაში მეტად ბევრი რამ ჰკარგავს თავის მომხიბვლელობას, სახელს და საბოლოოდ ლიტერატურაში გამოჩენილ პიროვნებათა თანავარსკვლავედში თითოეული პოულობს თავის ადგილს: ზოგი უფრო ბრწყინვა-ლეს, ზოგიც უფრო მცირეს.

ო. თუმანიანი

2520

ხელოვნების ჭეშმარიტად მშვენიერ ნაწარმოებს დრო ვერა-ფერს აკლებს. რომ ეს ასე არ იყოს, ვერ დავსტკბებოდით ვერც ჰომიროსით, დანტეთი და შექსპირით, ვერც რაფაელით, ტიცი-ანით და პუსენით, ვერც პალესტრინათი, ჰენდელით და გლიუკით.

ა. სეროვი

2521

კულტურის ამაღლება — ეს პირველ რიგში მხატვრული ლი-ტერატურის ცოდნაა. ის ყველაზე მეტად ამდიდრებს ადამიანს,

აძლევს შესაძლებლობას... ადამიანს იზრდებოდეს, უფრო გაიგოს ადამიანები.

მ. კალინინი

2522

დიალ, უმთავრესი და საუკეთესო ღონისძიება ენის შესწავლისათვის გახლავთ: ხალხის გონების ნაწარმოები, პოეზია და სიტყვა-კაზმული პროზა, ერთი სიტყვით ლიტერატურა. ლიტერატურა არის ერთადერთი ცხოველი წყარო ენის სიმდიდრის შეთვისებისათვის.

ი. გოგებაშვილი

2523

... [მხატვრულ] ლიტერატურაში მეტი მნიშვნელობა აქვთ იმ მწერლების ქმნილებათა, რომლებიც განირჩევიან განსაკუთრებული აღმზრდელი ხასიათით, ზედმოქმედებით, გავლენით.

ი. გოგებაშვილი

2524

წიგნს აქვს უნარი მიმტკიცოს ადამიანის შესახებ ის, რასაც მე ვერ ვხედავ, რაც არ ვიცი მის შესახებ.

მ. გორკი

2525

წიგნებთან მოპყრობა ადამიანებთან მოპყრობისათვის გვამზადებს. ერთიცა და მეორეც თანაბრად საჭიროა.

ნ. კარამზინი

2526

შეადარეთ იმ ბავშვების სწავლის წარმატება, რომლებიც ბევრს კითხულობენ, იმ ბავშვების სწავლის წარმატებას, რომლებიც გარდა სახელმძღვანელოსა არავითარ წიგნს არ იღებენ ხელში. თქვენ მეტად დიდ განსხვავებას ნახავთ წიგნიერებაში. მკითხველი ბავშვები ეჩვევიან დამოუკიდებლად სწავლას წიგნებიდან, უკეთესად გაგნებას მათში, მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხის პოვნას. წიგნი არანაკლებ ესაჭიროება მოზარდ თაობას, ვიდრე სკოლა.

ნ. კრუპსკაია

2527

კაცობრიობის პროგრესი მიდიოდა თვითგანვითარების გზით. საუკეთესო შედეგების მისაღწევად ცალკეული გონების პროგრესიც რამდენადმე იმავე გზით უნდა წავიდეს. თვითნასწავლი ადამიანები ზოგჯერ საუცხოო წარმატებებს აღწევენ *.

ჰ. სპენსერი

2528

ყველაფერი რაც კი ძვირფასია ჩემში, მივიღე მხოლოდ და მხოლოდ თვითგანვითარებით.

ჩ. დარვინი

2529

ვინც მეტს კითხულობს, მან მეტიც იცის.

რუსული ანდაზა

2530

ლიტერატურა, ძველთაგან ადამიანების ერთგული მეგობარი და თანაშემწეა მათ შრომითს ცხოვრებაში.

მ. გორკი

2531

კარგი წიგნი სასიამოვნო თანამოსაუბრეა, გულახდილი მეგობარი და მოუსყიდავი მრჩეველი.

ალფონს X ასტრონომი

2532

ვისაც წიგნის კითხვა უყვარს, მას მუდამ გვერდით ჰყავს ერთგული მეგობარი, მხიარული თანამოსაუბრე, ბრძენი მრჩეველი და დამრიგებელი.

ის. ბაროუ

2533

კეთილ მეგობრად იყო ჩემთვის წიგნი ჩემი სიყრმისა და სიჭაბუკის ხანაში.

მ. გორკი

---

* მაგალ.: — ა. ბებელი, მ. გორკი, ჩ. დიკენსი, ი. დიცგენი, თ. ა. ედისონი, მ. კალინინი, ი. კრილოვი, ი. მიჩურინი, ა. პოპი, ბ. ფრანკლინი, კ. ციოლკოვსკი და მრ. სხვ.

2534

საუკეთესო ის წიგნია, რომელიც მეტ ჭეშმარიტებებს შეიცავს.

ჰ. ბუასტი

2535

რანაირადაც მეგობარს ირჩევ, მწერალიც ისე ამოირჩიე.

ინგლისური ანდაზა

2536

ეძებეთ ადამიანები, რომლებთანაც საუბარს ჰქონდეს კარგი წიგნების წაკითხვის ფასი, და წიგნები, რომელთა წაკითხვას ჰქონდეს ფილოსოფოსებთან საუბრის ფასი.

ჰ. ბუასტი

2537

ჩვეულებრივად ადამიანის გამოცნობა შეიძლება იმ წიგნების მიხედვით, რომლებსაც ის კითხულობს, და იმ საზოგადოების მიხედვით, რომელთანაც მას ურთერთობა აქვს; არსებობს წიგნების საზოგადოება ისევე, როგორც არსებობს ადამიანთა საზოგადოება და ჩვენთვის ჯეროვანი იქნებოდა მუდამ ვცდილობდეთ ვიცხოვროთ როგორც წიგნების, ისე ადამიანთა საუკეთესო საზოგადოებაში.

ს. სმაილსი

2538

წიგნებში ჩვენ ვგებულობთ საუკეთესო და გენიალურ ადამიანთა ყველაზე რჩეულ აზრებს. წიგნები ჩვენთან ლაპარაკობენ ყოველგვარ მიდგომის, პირფერობისა და შიშის გარეშე.

ჯ. ლებოკი

2539

არასოდეს არ არის მარტო ის, ვინც წიგნების საშუალებით საუბრობს საუკეთესო ადამიანებთან, ვისაც თან ახლავს მათი ნაწარმოებებიდან შეძენილი კეთილშობილი აზრები.

ფ. სიდნეი

2540

საუკეთესო წიგნები საგანძურია კარგი სიტყვებისა და ოქროს აზრებისა, რომლებიც გვაგონდება და გვიყვარს, და ამით ჩვენი ამხანაგები ხდებიან.

ს. სმაილსი

2541

წიგნებში ჩაქსოვილი სული ცხოვრობს მარადიულად. წიგნი ცოცხალი ხმაა; ეს — გონებასთან მოლაპარაკე მეორე გონებაა.

ს. სმაილსი

2542

ამქვეყნიური სამოთხე კარგ წიგნებშია და სპეტაკ სინიდისში.

პ. ბუასტი

2543

კარგი წიგნების კითხვა ჩვენივე საკუთარ სულში დაფარულ აზრებს გვიმქღავნებს.

(—)

2544

საუკეთესო ის წიგნია, რომლის შესახებ მკითხველი ფიქრობს, რომ მას შეეძლო მისი დაწერა. მხოლოდ იმითაა ბუნება საუცხოო, რომ იგი მარტივია და ყველასათვის მისაწვდომი.

ბ. პასკალი

2545

საზოგადოებას ყველაზედ მეტად უყვარს ის მწერლები, რომელთა ნაწარმოებებში მას თავისი საკუთარი სიბრძნე აკვირვებს.

ი. ეტვეში

2546

ყველაზე სასარგებლო ის წიგნებია, რომელთა ნახევარს თვით მკითხველი ჰქმნის; ის ავითარებს აზრებს, რომელთა ჩანასახს მას აწვდიან; ის ასწორებს მას, რაც მას მცდარად მიაჩნია; ის ამთავრებს თავის შენიშვნებით მას, რაც მისი აზრით სუსტია.

ვოლტერი

2547

მსმენელი მეტად ბევრს აძლევს ამხსნელს — ის ხშირად აღაფრთოვანებს მას. მოლაპარაკეცა და მსმენელიც აკეთებენ ერთ საზოგადოებრივ საქმეს, ერთი — გონივრული გადაცემით,

მეორე — გონივრული მიღებით. მათ აერთიანებს ერთი საზოგადოებრივი იდეა, რომელიც გამოდის ერთიდან და იმსჭვალება მეორეში, და ამით ათანაბრებს ბუნებრივ უთანასწორობას. ეს კავშირი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, არსებობს ავტორსა და მკითხველს შორის.

მ. ნალბანდიანი

2548

ენა — აზროვნების იარაღია. ენა ის ჯადოსნური ტალღაა, რომლის მეშვეობით ხელოვანი, მწერალი, პოეტი გადამცემიდან, რომელიც მის მხრებზეა მოთავსებული*, გადასცემს მიმღებს — მკითხველს — თავის გრძნობებს, თავის პლასტიკურ ზმანებებს, თავის იდეებს. წარმოთქმული თუ მონახაზი სიტყვებით ხელოვანი თითქოს უკრავს თავისი მკითხველის თუ მსმენელის ტვინის კლავიატურაზე.

ა. ტოლსტოი

2549

ენა ისეთი ჭურჭელია, რომლის საშუალებით ადამიანი თავის აზრს გადასცემს ხოლმე მისივე მსგავს [არსებას], ეს — ხიდია, რომლის გამოყენებით თავისუფლად შეიძლება აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მ. ნალბანდიანი

2550

სიტყვა სანახევროდ ეკუთვნის მას, ვინც ლაპარაკობს, სანახევროდ კი მას, ვინც ისმენს.

მ. მონტენი

2551

კითხვა გონებისათვის — ივივეა, რაც ვარჯიში სხეულისათვის.

რ. სტილი

2552

წიგნის კითხვა ამდიდრებს ადამიანის გონებას, ლაპარაკში ვარჯიში ხდის მას საზრიანად, წერის ცოდნა კი მას სიზუსტეს ასწავლის.

მ. ნალბანდიანი

---

* იგულისხმება ადამიანის თავი, — ქალა ტვინით.

2553

კითხვა და წაკითხულზე ჩაფიქრება — ეს ვარჯიშია. სავარჯიშო დარბაზიდან მოვარჯიშეს თან არ მიაქვს სავარჯიშო იარაღები, მაგრამ მას იქიდან გამოაქვს ღონე და მოქნილობა, რომლებსაც მას ვარჯიში აძლევს. ასევე ხდება კითხვის დროსაც, იმდენად მნიშვნელოვანი ის კი არ არის, თუ რა გამოგვაქვს ჩვენ წიგნიდან და რას ვიმახსოვრებთ, რამდენად ძალა და დახელოვნება, რომლებსაც ჩვენ წიგნის კითხვით ვავითარებთ.

ო. მარდენი

2554

კითხვა მე მარტოოდენ იმისათვის მემსახურება, რომ ჩემი თვალთახედვის გაფართოებით აღვიძოს ჩემი აზრი, რომ დამიტვირთოს გონება და არა მეხსიერება.

მ. მონტენი

2555

როდესაც თქვენ რაიმე თხზულებას კითხულობთ, დაე ეს ხდებოდეს არა იმისათვის, რომ ეკამათოთ ავტორს, ან ედაოთ მას, არა იმისათვის, რომ მისი შეხედულება შეუმოწმებლად მიიღოთ და სიტყვაზე ერწმუნოთ მას, ან იმისათვის, რომ სხვებთან საუბრის დროს გამოიჩინოთ თავი, არამედ იმისათვის, რომ ისწავლოთ აზროვნება, მსჯელობა, კვლევა.

ფრ. ბეკონი

2556

არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაო გრძელი არ არის.

ი. ჭავჭავაძე

2557

... უგუნურებას ჩაიდენს ის მასწავლებელი, რომელსაც ცოცხალი სიტყვისათვის წელი სწყდება [და] მარტო წიგნზედ არის მინდობილი...

ი. გოგებაშვილი

2558

მასწავლებელი, რომელიც წიგნის ანაბარა დაარჩენს მოწაფეებსა და თავის ცოცხალ სიტყვასა კი არ ამოქმედებს, ბინძურ მოჯამაგირეზედ უარესია და ოც-და-ოთხს საათს უნდა ჩამორთმეული ჰქონდეს მას ის მაღალი და წმინდა თანამდებობა, რომელიც მას აბარია.

ი. გოგებაშვილი

2559

შემეცნების პირველდაწყებითი და ნამდვილი წყარო — არა წიგნებია, არამედ ცხოვრება, გამოცდილება, საკუთარი აზროვნება, მგრძნობიარობა და მოქმედება.

ჯ. ბლეკი

2560

წიგნებიდან ჩვენ ვიძენთ ცოდნას, ვსწავლობთ სხვა ადამიანთა გამოცდილებას, მაგრამ ეს ცოდნა უფრო უკეთესად იქნება ჩვენ მიერ შეთვისებული, თუ მათ ჩვენი საკუთარი გამოცდილებით შევამოწმებთ.

ნ. კრუპსკაია

2561

გამოცდილება — აზრის შვილია, აზრი კი — მოქმედების შვილი. ჩვენ არ შეგვიძლია ადამიანთა შესწავლა [მარტო] წიგნებით.

ბ. დიზრაელი

2562

ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა.

ი. ჭავჭავაძე

2563

ნუ წაიკითხავ ისეთ რამეს, რაც არ გინდა დაიმახსოვრო, და ნუ დაიმახსოვრებ მას, რის გამოყენებასაც არ აპირებ.

ჯ. ბლეკი

2564

იკითხეთ უპირველეს ყოვლისა უკეთესი წიგნები, თორემ თქვენ სრულიადაც ვერ მოასწრებთ მათ წაკითხვას.

ჰ. თორო

2565

ზოგ წიგნს მხოლოდ გემო უნდა გაუსინჯო, ზოგიც გადაყლაპო და მხოლოდ ცოტა მათგანი უნდა გადაღეჭო და მოინელო.

თ. მაკოლეი

2566

კარგ წიგნს ისეთივე ხვედრი აქვს, როგორც ყოველივე კარგ რამეს: კარგი წიგნი, რაც უფრო დიდია, მით უფრო უკეთესია.

პლინიუს უმცროსი

2567

წიგნის მოცულობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როდესაც ის შინაარსიანია.

ბ. ნორდაუ

2568

წიგნებსაც თავიანთი ბედი აქვთ (Habent sua fata libelli).

ლათინური ანდაზა

2569

წიგნებსაც თავიანთი ბედი აქვთ, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ღებულობს მას მკითხველი.

ტერენციანე მავრე

2570

წიგნი კარგია, თუ ავტორი მასში გამოთქვამს ყველაფერს, რაც საჭიროა, მხოლოდ მას, რაც საჭიროა, და ისე, როგორც საჭიროა.

არისტოტელე

2571

სტილი შეიძლება განიმარტოს ასე: სათანადო სიტყვები სათანადო ადგილზე.

ჯ. სვიფტი

2572

სტილი მხოლოდ წესრიგი და მოძრაობაა, აზრებისათვის მიცემული.

კლიმენტი XIV

2573

ხასიათში, მანერებში, სტილში, ყველაფერში ყველაზედ მშვენიერი — ეს სიმარტივეა.

ბ. ლონგფელო

2574

გამოთქვა ყველაფერი, რაც ჩვენს აზრს სიცხადეს ანიჭებს, — აი ამაშია უნაკლო სტილის საიდუმლოება.

ი. ეტვეში

2575

სტილზეა დამოკიდებული ნაწარმოების გამძლეობა და პოეტის უკვდავება. ლამაზი გამოთქმა ამშვენებს და ინახავს ლამაზ აზრს. ეს, ერთსა და იმავე დროს, სამკაულიცაა და იარაღიც. სტილი იდეისათვის იგივეა, რაც მინანქარი კბილისათვის.

ვ. ჰიუგო

2576

სტილი აბალზამებს ლიტერატურულ ნაწარმოებს.

ა. დოდე

2577

თუ კარგად სწერ, — ეს ნიშნავს, რომ იმავე დროს კარგად აზროვნებ, კარგად გრძნობ და კარგად გადასცემ; ეს ნიშნავს რომ გაქვს გონება, გრძნობა და გემოვნება.

ჟ. ბიუფონი

2578

შოპენჰაუერი ამბობს: „ვინც ნათლად აზროვნებს, ის ნათლად გამოგვცემს"-ო, მე ვფიქრობ, რომ ამაზედ უკეთესი მას არაფერი უთქვამს.

ვ. ლენინი
М. Горький, „В. И. Ленин",
Собр. соч., т. 17, стр. 21, 1952.

2579

აზრის სინათლე და გამოთქმის სინათლე ჩვეულებრივად ერთად გვხვდება ხოლმე. ბუნდოვანობა და ღვლარჭნილობა — სტილის ორი უდიდესი ნაკლია.

თ. მაკოლეი

2580

გოეთე ოდნავადაც არ ცდილობს იყოს ლამაზი, ის არ ეძებს ღვლარჭნილსა და ზვიადს, რადგან ის თვით არის ბუნებით ლამაზი.

ბ. აუერბახი

2581

ჭეშმარიტად დიადი ადამიანები მუდამ გულწრფელნი არიან: მათი საქმიანობისათვის უცხოა ხელოვნურობა და შელამაზება.

ფრ. კლინგერი

2582

სიტყვა, რომელიც ჭეშმარიტებაზე ზრუნავს, უნდა იქნეს მარტივი და შეულამაზებელი.

სენეკა

2583

ვისაც გულწრფელად სურს ასწავლოს ადამიანებს, ის ელაპარაკება მათ ნათლად, დაუფარავად, ამცნობს მათ რაც იცის ან რასაც ფიქრობს. ჭეშმარიტების ენა მრტივია და ყველასთვის გასაგები, სიცრუის ენა კი, — მუდამ ბუნდოვანია.

პ. ჰოლბახი

2584

მაშ ვინ ლესავს თავის სიტყვებს, თუ არა ის, ვისაც მიზნად ღვლარჭნილად ლაპარაკი დაუსახავს?

სენეკა

2585

მიზეზი, რომლის გამოც მე, შესაძლოა, გვარიანად ვწერდე იმაში მდგომარეობს, რომ მე არასოდეს არ ვცდილობდი შემელამაზებინა ჩემი ენა და მუდამ მივისწრაფოდი ზუსტად გამომეთქვა ჩემი აზრი.

ა. ფრანსი

2586

...ნათელი ენა ნათელი აზროვნების შედეგია, ნათელი აზრი კი აუცილებელი პირობაა ნათელი ფორმისა.

ვ. ლიბკნეხტი

2587

კარგი მთქმელი ის არის, ვინც თავის ნათქვამს სხვებს შეასმენს.

ა. წერეთელი

2588

ხელს ნუ მოჰკიდებ კალამს მანამდე, სანამ ყველაფერი ისეთი სიცხადითა და წესრიგით არ დალაგდება თავში, რომ ბავშვმაც კი შესძლოს გაიგოს და დაიმახსოვროს ყველაფერი.

ნ. გოგოლი

2589

როდესაც საქმის არსი წინასწარ არის მოფიქრებული, სიტყვები თავისთავად მოდის.

ჰორაციუსი

2590

აზრები არასოდეს არ საჭიროებენ სიტყვებს, პირიქით: სიტყვები უფრო საჭიროებენ აზრებს. როგორც კი აზრმა სისრულეს მიაღწია, საჭირო სიტყვაც წარმოიშვება და შემოსავს ხოლმე მას.

ტ. ჟუბერი

2591

როდესაც სული აღვსილია საქმის არსით, სიტყვებიც თან ახლავს მას.

სენეკა

2592

იმისათვის, რომ დასწერო კარგი წიგნი, საჭიროა მხოლოდ: აიღო კალამი, ჩაუწო ის მელანში და გადმოიღო შენი სული ქაღალდზე.

ლ. ბერნე

2593

ის, რაც ხელოვანს არ ჰყვარებია და არ უყვარს, მან არ უნდა სწეროს და ვერც შესძლებს დასწეროს.

ვ. გოეთე

2594

წერე ისე, როგორც ლაპარაკობ, და შენ კარგად სწერ.

გ. ლესინგი

2595

წერე ისე, როგორც ლაპარაკობ და ილაპარაკე ისე, როგორც სწერ.

ნ. კარამზინი

2596

იცხოვრე ისე, როგორც სწერ და წერე ისე, როგორც ცხოვრობ: სხვარიგ შენი ჩანგის ყველა გამოძახილები ყალბი იქნება.

კ. ბატიუშკოვი

2597

ცხოვრებას აცისკროვნებს
სული საქმით მეტყველი.

ი. ჭავჭავაძე

2598

მე არ მიყვარს ის ხელოვანი, რომლის ცხოვრება ეწინააღმდეგება მის შემოქმედებას.

რ. შუმანი



2599

უამრავ სისულელეთა შორის, რომელთაც ჩვენ ჩვენი პატივმოყვარეობა გვაკეთებინებს, ყველაზედ მნიშვნელოვანი, თუმცა ყველაზედ ნაკლებად შემჩნეული, ცუდი წიგნებია ხოლმე.

პ. ბუასტი

2600

როდესაც მე ხელახლა ვკითხულობ ხოლმე ჩემს თხზულებებს, მე მრცხვენია დაწერილის გამო, რადგან ბევრს ისეთ რამეს ვპოულობ, რაც თვით შემთხზველის აზრითაც კი უნდა წაშლილი ყოფილიყო.

ოვიდიუსი

2601

შეიძლება არ გქონდეს დიდი ჭკუა და სწერო ისე, რომ დაწერილის გასაგებად სხვას დიდი ჭკუა დასჭირდეს.

გ. ლიხტენბერგი

2602

არა ერთი მწერალი არწმუნებს თავის თავს იმაში, რომ ჩააფიქრა მკითხველი, მაშინ, როდესაც ოფლში გასწურა ის.

ა. რივაროლი

2603

მეტაფიზიკოსი ფიქრობს, რომ კარგად შეასწავლა თავის მკითხველებს, მაშინ, როდესაც შაკიკი შეჰყარა მათ.

პ. ბუასტი

2604

მეტაფიზიკა ისაა, როდესაც მსმენელი ვერაფერს ვერ გებულობს და არც მთქმელს გაეგება მასზედ მეტი.

ვოლტერი

2605

სიტყვის ძალა მდგომარეობს ცოტა სიტყვებით ბევრის გამოთქმაში.

პლუტარქე

2606

მოკლე სიტყვა — სულია ჭკუისა,
გრძელი სიტყვა კი მხოლოდ მისი სამოსელია.

უ. შექსპირი

2607

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი.

რუსთაველი

2608

წერის ხელოვნება — ეს შემოკლების ხელოვნებაა.

ა. ჩეხოვი

2609

[სიტყვის] სიმოკლე — ნიჭიერების დაა.

ა. ჩეხოვი

2610

სადაც აზრი არ არის, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია... აზრი, და მხოლოდ ერთი აზრი, აძლევს ენას ენის მნიშვნელობას.

ი. ჭავჭავაძე

2611

ბევრი კარგი მწერალი ბეჯითად იკლებს თავის ძილს, რომ მით სხვები დაასაჩუქროს.

მ. საფირი

2612

მოსაწყენ წიგნს ის უპირატესობა აქვს, რომ ის კრიტიკოსებსაც აძინებს.

მ. ებნერ-ეშენბახი

2613

ვერიდოთ მეტისმეტად კარგად წერას. ეს წერის ყველაზედ ცუდი მანერაა. ენა — თვითნებური მოვლენაა, მთელი ხალხის საქმეა. მას თვით აქვს ძლიერი სურნელება და არაფერს არ იგებს გასურნელების ცდისაგან.

ა. ფრანსი

2614

ვისაც გამხდარი ტანი აქვს, ის დაბამბულ სათბურს იცვამს; ვისაც უბადრუკი მასალა აქვს, ის მას სიტყვებით ბერავს.

მ. მონტენი

2615

სადაც ბევრი ღვარძლია, იქ ცოტა ხორბალია; სადაც ბევრი სიტყვებია, იქ ცოტა აზრებია.

არაბული ანდაზა

2616

სიტყვები ემსგავსებიან ხის ფოთლებს: ხე, რომელიც ბევრ ფოთოლს ისხამს, ძლიერ ცოტა ნაყოფს იძლევა.

ა. პოპი

2617

როდესაც არ ძალუძთ აზრით ზეფრენა, მაშინ მაღალფარდოვან სტილს იშველიებენ ხოლმე.

პ. ბუასტი

2618

ჩვენი მრავალსიტყვაობა მხოლოდ და მხოლოდ იქიდან წარმოსდგება, რომ აზრების გამოთქმა არ ვიცით.

რ. ვარნაგენ ფონ ენზე

2619

ყველაზედ საშიშარი ხაფანგი, რომელიც კი ეშმაკს შეუძლია კაცს დაუგოს, ესაა—ჩააგონოს მას აზრი, რომ მას შეუძლია დასწეროს წიგნი, რომელიც მას მოუტანს იმდენსავე სახელს, რამდენსაც ფულს და იმდენსავე ფულს, რამდენსაც სახელს.

მ. სერვანტესი

2620

ლიტერატურა — ეს ტაძარია, რომელშიაც შესვლა შეიძლება მხოლოდ სპეტაკი ზრახვებით და კეთილშობილური მისწრაფებებით. როდესაც კი ადამიანები ამ ტაძართან წვრილმანი, პატივმოყვარე სურვილებით, ანგარებიანი მიზნებით და მოსატყუებელი განზრახვებით მიდიან, — ეს ხალხის წინაშე ჩადენილი უდიდესი ბოროტმოქმედებაა.

ო. თუმანიანი

2621

ის ადამიანი, რომლის შინაგანი შინაარსი გარეშე ზეგავლენათა მეშვეობით იცვლება, ჩემის აზრით, მიუღებელია ლიტერატურისათვის.

მ. გორკი

2622

იცოდეთ: დიდი საქმეა მუდამ ერთი და იგივე ადამიანი იყო.

სენეკა

2623

ავტორობა, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ეწევიან მას, შეიძლება იქნეს სამარცხვინოება, გარყვნილება, მოჯამაგირეობა, ხელოსნობა, ხელოვნება, სათნოება.

ა. შლეგელი

2624

თუ იდეალი მწერლისა
მხოლოდ პური და გროშია,
რა არის, თუ არ წუპაკი,
პურისთვის მყეფი გოშია?

ა. წერეთელი

2625

მას მგოსანი არა ჰქვიან,
ვინც დაეძებს გამორჩენას,
საქმით სხვაა, სიტყვით სხვაა,
ორლესულად * ხმარობს ენას,
პირმოთნეობს უფროსებთან,
ერიდება დიდთა წყენას,
თვალს არიდებს დაჩაგრულსა,
მის ოხვრას და ცრემლის დენას.

ა. წერეთელი

2626

ყოველ წიგნს, ისევე როგორც ბავშვს, უნდა ექნეს თავისი საკუთარი ზრდა. ყველა, საჩქაროდ, რამოდენიმე კვირეში დაწერილი წიგნი ჩემში იწვევს რაღაც წინასწარ შეგონებას ავტორის შესახებ.

ჯ. პაინე

2627

მხიარული წიგნი ოქროზე უფრო ძვირფასია.

ძველი ინგლისური სიმღერიდან

2628

სახელმძღვანელოები უნდა იყოს მიმზიდველი; ეს იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ცოდნის ყველაზედ მხიარულ და მისაწვდომ მასალას მისცემენ.

ვ. გოეთე

---

* ორლესულად — ორაზროვნად.

2629

[სახელმძღვანელოს უნდა ჰქონოდა] რაც კი შეიძლება მომეტებული მიმზიდველი ძალა ბავშვებისათვის, რომ იგი ყოფილიყო მათთვის სავსე ინტერესითა და, მეორე მხრით — მის შინაარსს წარმოედგინა არა ღარიბი მასალა ბავშვის გონების გახსნისათვის და განვითარებისათვის. [არამედ შეეერთებინა] სასიამოვნო სასარგებლოსთანა.

ი. გოგებაშვილი

2630

მხოლოდ იმ წიგნებს მოაქვთ ჩვენთვის სარგებლობა, რომლებიც ჩვენ სიამოვნებას გვანიჭებენ.

ჯ. ლებოკი

2631

საბავშვო წიგნი — აღზრდის მძლავრი იარაღია. ბავშვის ასაკი — ის ასაკია, როდესაც ყველა შთაბეჭდილებანი აღიქმება ხოლმე განსაკუთრებით მახვილად და ღრმა კვალს სტოვებს მთელ სიცოცხლეზე.

ნ. კრუპსკაია

2632

საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყრმო ნაწარმოებით, საყმაწვილო ლიტერატურით; იგი მაგრა ადგამს ნაბიჯებს წინ, მკვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მისს მოზარდ თაობას უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც მისი ყრმანი გარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებითა.

ი. გოგებაშვილი

2633

საბავშვო წიგნები იწერება აღსაზრდელად, აღზრდა კი — დიდი საქმეა: მით სწყდება ადამიანის ბედი.

ბ. ბელინსკი

2634

გონება ძლიერდება და სუსტდება კითხვით სწორედ ისევე, როგორც სხეული კარგი ან გაფუჭებული ჰაერით.

ჯ. რიოსკინი

2635

ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბოროტება და უბედურება, რაც ჩვენ ძველი კაპიტალისტური საზოგადოებისაგან დაგვრჩა, — ეს არის წიგნის სრული გათიშვა ცხოვრების პრაქტიკისაგან, ვინაიდან ჩვენ გვქონდა წიგნები, სადაც ყველაფერი საუცხოოდ იყო შეფერადებული, და ეს წიგნები, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენდნენ უსაზიზღრეს თვალთმაქცურ სიცრუეს, რომელიც ყალბად გვიხატავდა კაპიტალისტურ საზოგადოებას.

ვ. ლენინი
თხზ., ტ. 31, გვ. 340

2636

ცუდ წიგნებს ისევე შეუძლია ჩვენი გარყვნა, როგორც ცუდ ამხანაგებს.

ჰ. ფილდინგი

2637

წიგნები დ ხელოვნების ნაწარმოებები ძლიერ მოქმედებენ მასებზე. იქიდან იძენს ესა თუ ის ეპოქა თავის ეთიკურ და ესთეტიკურ იდეალებს. როდესაც წიგნები განუსჯელი და ანტისაზოგადოებრივია, ისინი თავგზას უბნევენ მთელ თაობას და ამახინჯებენ მის მსოფლმხედველობას.

ჟ. ნორდაუ

2638

რომ არ მოსტყუვდე ადამიანებში, ნუ დაენდობი ნურც სახელს, ნურც ტახსაცმელს, რომ არ მოსტყუვდე წიგნებში, ნუ დაენდობი ნურც სათაურს, ნურც გარეკანს.

„მერკურ დე ფრანს"

2639

ის წიგნები, რომელთა ღირსება მხოლოდ მათ სიახლეშია, ემსგავსებიან ცხელ ქადებს, რომლებიც გაცივებისას უმალ ჰკარგავენ გემოს.

ს. სეგიური

2640

რაც ერთხელ მეტად არ ღირს წასაკითხავად, ის სრულიად არ ღირს წაკითხვად.

კ. ვებერი

2641

არ არსებობს ისეთი წიგნი, რომლისგანაც კაცს არ შეეძლოს არ დაისწავლოს რაიმე კარგი.

ვ. გოეთე

2642

არ არსებობს არც ერთი ისეთი წიგნი, რომლისგანაც არ შეიძლებოდეს რისამე შესწავლა.

პლინიუს უმცროსი

2643

არ არსებობს ისეთი ცუდი წიგნი რომელშიაც არ მოიძებნებოდეს რაიმე ჭკუის სასწავლი.

მ. სერვანტესი

2644

ცუდი წიგნები ურიცხვი რაოდენობით წავიკითხე, მაგრამ ისინიც სასარგებლონი იყვნენ ჩემთვის. ცხოვრებაში ცუდი ისევე კარგად უნდა იცოდე, როგორც კარგი. გამოცდილება, რაც უფრო მრავალმხრივია, მით უფრო ამაღლებს იგი ადამიანს, მით უფრო ფართო ხდება მისი მხედველობის არე.

მ. გორკი

2645

წიგნები კეთდება წიგნებიდან.

ვოლტერი

2646

ერთი მცირე ალით შეიძლება ათასი სანთელი აინთოს; მაგრამ მაინც საჭიროა, რომ თითოეულ მათგანის ალს თავისი საკუთარი საწვავი მასალა კვებავდეს.

ბ. აუერბახი

2647

მისთვის, ვინც მხოლოდ დროს გასატარებლად კითხულობს, არც ერთი თხზულება არაა მოსაწყენი.

ჯ. ბოკაჩიო

2648

უწიგნო ოთახი იგივეა, რაც უსულო სხეული.

ციცერონი

2649

საკმარისი არაა ბიბლიოთეკის ქონა, საჭიროა აგრეთვე მისი მოხმარების ცოდნაც.

ჯ. ლებოკი

2650

რამდენია ისეთი ვაჟბატონები, რომელთა ბიბლიოთეკებზე შეიძლებოდა მიკროდა წარწერა „გარედან სახმარებლად" — ისე, როგორც აფთიაქის შუშებზე.

ა. დოდე

2651

ზოგი ნასწავლი ქალი ისევე სარგებლობს თავისი წიგნებით, როგორც საათით, რომელსაც ატარებს მხოლოდ სხვების დასანახვებლად, თუნდაც ის არც კი მუშაობდეს, ან არ აჩვენებდეს ზუსტ დროს.

ი. კანტი

2652

რაც უფრო მეტს კითხულობთ ჩაუფიქრებლად, მით უფრო რწმუნდებით,რომ ბევრი იცით, და რაც უფრო მეტს ფიქრობთ კითხვის დროს, მით უფრო აშკარად ხედავთ, რომ ჯერ კიდევ ცოტა იცით.

ვოლტერი

2653

ჩვენ ვეკუთვნით მცოხნავ ცხოველთა ჯგუფს და არ კმარა მხოლოდ თავისი თავის დატენა წიგნების სხვადასხვა კოლექციებით: თუ ჩვენ ყველაფერი კარგად არ გადავლეტეთ, წიგნები ვერ მოგვცემენ ძალასა და საზრდოს.

ჯ. ლოკი

2654

საჭიროა ხელი მოჰკიდო ისეთ სამუშაოს, რომელიც შენს ძალას არ აღემატება: აუცილებელია ისეთი წიგნის კითხვა, რომელიც გასაგები ენით არის დაწერილი. მოუმზადებლად მიზანშეწონილი არ არის სპეციალური ლიტერატურის კითხვა. შეუფერებელი ლიტერატურის კითხვა დროისა და ძალღონის უნაყოფოდ გაფლანგვას უდრის.

ნ. კრუპსკაია

2655

წაიკითხო როგორც საჭიროა თხზულება... სრულიადაც არ არის უბრალო რამ: ამისათვის საჭიროა დიდხანს მისი შესწავლა.

ნ. გოგოლი

2656

უმჯობესია ნაკლები წაიკითხო წიგნები, მაგრამ მეტი იფიქრო მათ შინაარსზე, ამ წიგნებში გამოყვანილ ადამიანთა ხასიათებზე, შეეცადო შეაფასო წიგნი — ჩაიწერო მის შესახებ შენს უბის წიგნაკში.

მ. კალინინი

2657

გადაჭარბებით ბევრის კითხვა საზიანოა აზროვნებისათვის. უდიდესი მოაზროვნენი, რომლებიც მე მეცნიერთა შორის შემხვედრიან, რომლებსაც მე ვსწავლობდი, სწორედ უფრო ნაკლებად ნაკითხნი იყვნენ.

გ. ლიხტენბერგი

2658

ჩვენ გაცილებით უფრო ნაკლები ცუდი წიგნები და გაცილებით უფრო მეტი კარგი წიგნები გვექნებოდა, რომ თვით უფრო მეტს ვფიქრობდეთ.

გ. ლიხტენბერგი

2659

იმით კი არ ცხოვრობს ადამიანი, რასაც სჭამს, არამედ იმით, რასაც ინელებს. ეს დებულება თანაბრად სამართლიანად შეეხება როგორც სხეულს, ისევე გონებას.

ბ. ფრანკლინი

2660

არაფერი არ აკვდინებს შემოქმედებითს უნარს ისე, როგორც მეტისმეტი ნაკითხაობა, მეტადრე მაშინ, როდესაც გვიხდება არა არჩევა, არამედ მიღება აშკარად ზედმეტი საჭმლისა, რომლის უმეტესი ნაწილის ათვისება შეუძლებელია.

რომ. როლანი

2661

ოდესღაც წიგნის სიიშვიათე ვნებდა ცოდნის პროგრესის წარმატებას; დღეს კი მისი მეტისმეტი სიმრავლე თავგზას გვიბნევს და გვიფერხებს საკუთარ აზროვნებას.

კ. ვებერი

2662

თვით ბუნებამ ბრძნულად იზრუნა, რომ ადამიანთა სისულელენი წარმავალი ყოფილიყო, წიგნები კი მათ უკვდავად ხდიან.

შ. მონტესკიე

2663

როდესაც ჩვენ სისულელეს ლითონის შრიფტში ვასხამთ, ამით თითქოს ვაკეთილშობილებთ მას.

მ. მონტენი

2664

სტამბას დიდი ძალა აქვს და ნაბეჭდი სიტყვა მკითხველს ხშირად სახარების ჭეშმარიტებად მიაჩნია.

ა. წერეთელი

2665

დიდი ბიბლიოთეკა უფრო აბნევს, ვიდრე ასწავლის მკითხველს. გაცილებით უმჯობესია რამდენიმე ავტორით დაკმაყოფილდე, ვიდრე ბევრი იკითხო და ღრმად არ ჩასწვდე.

სენეკა

2666

მიზეზი იმისა, რომ ადამიანები ასე ცოტას იმახსოვრებენ წაკითხულიდან, მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ძლიერ ცოტას ფიქრობენ წაკითხულზე.

გ. ლიხტენბერგი

2667

ილაპარაკე არა იმაზე, თუ რა წაიკითხე, არამედ იმაზე, თუ რა გაიგე.

აზერბაიჯანული ანდაზა

2668

ბევრია ქვეყნად კარგი წიგნები, მაგრამ ეს წიგნები კარგია მხოლოდ მათთვის, ვინც იცის მათი კითხვა. კარგი წიგნების კითხვის ცოდნა სრულიადაც არ უდრის წერა-კითხვის ცოდნას.

ა. გერცენი (მამა)

2669

ცოტანი როდი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც წიგნებს კითხულობენ მხოლოდ იმისათვის, რომ განთავისუფლდნენ საკუთარი გონების გარჯისაგან.

გ. ლიხტენბერგი

2670

ზოგნი წიგნებს აფასებენ მათი მოცულობის მიხედვით, თითქოს წიგნები ხელების და არა ჭკუის სავარჯიშოდ იყოს დაწერილი.

ბ. გრასიან ი მორალესი

2671

ცოტანი როდი არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც წიგნები უყვართ როგორც ავეჯი, — უფრო თავიანთი ოთახების დასამშვენებლად, ვიდრე თავიანთი გონების გასამდიდრებლად.

(—)

2672

რა სარგებლობა აქვს [წიგნების] კარადას იმისაგან, რომ ის შეიცავს თავისი სწავლულობითა და ჭეშმარიტებებით ძვირფას წიგნებს [?]. განა შეიძლება ამ კარადას ეწოდოს განათლებული [?].

მ. ნალბანდიანი

2673

უამრავი წიგნი ბიბლიოთეკაში ხშირად მისი პატრონის უვიცობის მოწმეების გროვაა ხოლმე.

ი. ოქსენშერნა

2674

ზოგს წიგნები უყვარს, მათი ავტორები კი არა; არც გასაოცარია: თაფლის ყველა მოყვარულს როდი უყვარს ფუტკარი.

(—)

2675

როგორც იქნა მივხვდი, რომ წიგნებმა შეიძლება გამხადონ მე სწავლულად, მაგრამ არასოდეს ისინი არ გამხდიან მე ადამიანად.

გ. ლესინგი

2676

წიგნები შეიძლება ნამდვილად არ ხდიან ადამიანს კარგად ან ცუდად, მაგრამ უკეთესად ან უცუდესად ისინი მუდამ ხდიან მას.

ჟან პოლი

2677

იქ, სადაც პიონერები მხოლოდ მარშით დადიან და მღერიან და არ კითხულობენ, — იქ საქმე არასწორადაა დაყენებული. პიონერები — ნორჩი ლენინელები — წიგნის მეგობრები უნდა იყვნენ.

ნ. კრუპსკაია

2678

დაირაზმეთ, წინ იარეთ,
ისწავლეთ და გაისარჯეთ.
თქვენი საქმე წიგნი არი,
მხოლოდ სწავლით გაიმარჯვებთ.

ა. აბაშელი

2679

ის უღირსია, ვისიც არ არის
წიგნების სწავლა შემამკობელი.

„რამაიანა"

2680

რა სარფაა წიგნში მისთვის, ვისაც საკუთარი ჭკუა არა აქვს? განა სარკე შველის ბრმას?

ჰინდური თქმა

2681

იმ კაცს, რომელიც ცოტას კითხულობს — დიდი მოქნილობა სჭირდება მოსაჩვენებლად, რომ მან იცის ის, რაც არ იცის.

თ. მაკოლეი

2682

დამიფარე, უფალო, ადამიანისაგან, რომელსაც წაუკითხავს მხოლოდ ერთი წიგნი!

ი. დიურინგსფელდი

2683

ვიდრე მწერალს უსაყვედურებდე ბუნდოვანობას, საჭიროა ანალიზი გაუკეთო საკუთარ ჭკუას და გამოარკვიო, მასში ხომ არაა გაუგებრობის მიზეზი. ბინდში მსხვილი შრიფტიც კი ძნელი წასაკითხია.

ჯ. გოეთე

2684

თუ თავი და წიგნი ერთიმეორეს ეჯახებიან და ცარიელი სხეულის ხმა გამოისმის, განა ყოველთვის წიგნია დამნაშავე?

გ. ლიხტენბერგი

2685

წიგნს რად კითხულობ, თუ იქნება ეს მოუხმარი,
თუნდ იყო დიდად განსწავლული, ხარ უმეცარი.
როგორ გახდება მართლმსაჯული განათლებული,
თუა ოთხფეხი ზურგზე წიგნებაკიდებული;
არ გაეგება თავ-უტვინოს, რა აქვს სათრევი,
მისი საპალნე შეშაა, თუ ვაჭრის დავთრები.

საადი

2686

წიგნებით დატვირთულ ვირს ვერ ეწოდება მეცნიერი.

დანიური თქმა

2687

არიან ხოლმე ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც ლათინურის ცოდნა მაინც არ უშლის ხელს ვირებად დარჩნენ.

მ. სერვანტესი



ბოლოსიტყვის მაგიერ

ჰა, მთლად აღმოვთქვი ყველა რჩევა-დარიგებანი,
ამას შევწირე მე სიცოცხლის საკმაო ხანი;
რა ვქნათ ზოგიერთთ თუ არ მოსწონთ სიტყვები სადა, —
მქადაგებელმა თავის ვალი ხომ მოიხადა.

საადი

ეს წიგნი ბრძენთა ნათელი, სხივით და შუქით მზიანი,
ყურითა ტკბილად სასმენი, სულით ვარდი და იანი,
მკითხველთა სარგო მრავალი, არათი არა ზიანი...

ვახტანგ VI

მეც რაცა მმართებს, გასწავლით, გამცნებთ რაც საცოდნარია:
იქთ, თუ არა იქთ—თქვენ იცით, ჭკვათაგან საპოვნარია.

ვახტანგ VI

მე გავაწყე ბრძენთა სიტყვა არ თუ მათი საფერისად,
სევდა თავსა მოვიშორე, ნდომა მქონდა რაცა ვისად,
ვინცა იტყვით ამის უკეთ, არ იქნება ჩემთვის მქისად...*

ვახტანგ VI

ვინც უკეთ იტყვით, არ გიშლი, არც არას მეწყინებისა...
სხვა მეტი ვერა გავაწყევ თქმა ქების, გინდ გინებისა.

ვახტანგ VI

თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგმობთ... და თუცა ვინმე უკეთ
იტყვით, არ გიშლი და კარგსა იქთ.

ვახტანგ VI

---

* მ ქ ი ს ი, მ ქ ი ს ე — მკვახე, უხეში, უკმეხი, უზრდელი.

მოკლე ცნობები წიგნში დასახელებულ პირთა და ლიტერატურულ წყაროთა შესახებ*

შეისწავლეთ ისტორიულ პირთა ცხოვრება... შეისწავლეთ მათი შეცდომები და ერიდეთ მათ, შეისწავლეთ მათი სათნოებანი და, თუ შეიძლება, მიბაძეთ მათ.

ი. გონჩაროვი

ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანვე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ... მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნებოდა, თუ იმათ ცხოვრებიდან ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ.

ი. ჭავჭავაძე

წარსულისაკენ უკან მოხედვა საჭიროა, ისტორია ცუდი მასწავლებელი არაა.

მ. გორკი

ყოველგვარი ცოდნა სასარგებლოა, სასარგებლო არის გონების ცთომილების, გრძნობის შეცდომის ცოდნაც.

მ. გორკი

ცხოვრებაში ცუდი ისევე კარგად უნდა იცოდე, როგორც კარგი.

მ. გორკი

განათლებულმა ადამიანებმა ადამიანთა ყოველ მცდარობაში რაიმე ჭკუის სასწავლებლის პოვნა იციან.

ლოპე დე ვეგა

აბაშელი. ალექსანდრე (ისაკ ბესარიონის ძე ჩოჩიას ფსევდონიმი; ადრინდელი ფსევდონიმი — ი. პარნასელი, 1884—1954) — ცნობილი ქართველი პოეტი და მწერალი. რევოლუციონურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის 1905 წელს დაპატიმრებული და გადასახლებული იყო სოლვიჩეგოდსკში (ვოლოგდის გუბ.), სადაც დაპყო 1908 წ-დე.

აბოვიანი ხაჩატური (1805—48) — დიდი სომეხი მწერალი, განმანათლებელი და პედაგოგი, ახალი სომხური ლიტერატურისა და ახალი

* წიგნის ეს ნაწილი რედაქტირებულია გრ. ნადარეიშვილის მიერ.

ლიტერატურული ენის ფუძემდებელი, ეთნოგრაფი და საბავშვო მწერალი. დააარსა პირველი სომხური სკოლა, რითაც აიმხედრა და მტრად გადაიკიდა ეკლესიის მსახურნი. ტრაგიკულად დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

ა ბ რ ა ჰ ა მ ა ს ა ნ ქ ტ ა კ ლ ა რ ა (საკუთრივ ჰ ა ნ ს უ ლ რ ი ხ ზ ე გ ე რ ლ ე, 1644—1709) — გერმანელი მოქადაგე და სატირიკოსი, ავგუსტინელი ბერი. მქადაგებლური ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენელი.

ა ბ უ, ე დ მ ო ნ ფ რ ა ნ ს უ ა ვ ა ლ ე ნ ტ ი ნ ი (1828—85) — ფრანგი ბელეტრისტი-რეალისტი, პუბლიცისტი და არქეოლოგი. საფრანგეთის აკადემიის წევრი.

ა დ ი ს ო ნ ი, ჯ ო ზ ე ფ ი (1672—1719) — ინგლისელი პოეტი, ბურჟუაზიული მეცნიერი-განმანათლებელი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი-ჰუმორისტი, დრამატურგი, სატირიკოსი, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე.

ა ვ გ უ ს ტ ი ნ ე (კათოლიკური ეკლესიის მიერ აღიარებული „ეკლესიის მამად“ და წოდებული „ნეტარად“) ა ვ რ ე ლ ი უ ს ი (354—430) — ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული თეოლოგი, ეპისკოპოსი პიპონიდან (ჩრდ. აფრიკა). კათოლიკური ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე, მოქადაგე და მწერალი. გარდა მრავალი სასულიერო შინაარსის და რელიგიური ხასიათის შრომისა, მას ეკუთვნის სპეციალური თხზულება მუსიკაზე, ტრაქტატი ესთეტიკაზე და საუცხოო ავტობიოგრაფიული თხზულება „აღსარება“. ავგუსტინეს მოძღვრებამ დიდი გაელენა იქონია ლათინურ ქრისტიანობის მთელს მსოფლმხედველობაზე, სქოლასტიკურ ღვთისმეტყველებაზე და ფილოსოფიაზე.

ა ვ რ ე ლ ი უ ს ი მ ა რ კ უ ს ი, წოდებული ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ა დ (ნამდვილი სახელი: — მ ა რ კ უ ს ა ნ ი უ ს ვ ე რ უ ს ი, მამობილით — ა ნ ტ ო ნ ი ნ ე, 121—180) — რომის იმპერატორი (161—180), სტოელთა სკოლის უკანასკნელი გამოჩენილი ფილოსოფოსი, რომის „განათლებული აბსოლუტიზმის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. თუმცა თვით ავრელიუსი ქადაგებდა ადამიანისადმი სიბრალულსა და სიყვარულს, ეს მას ხელს არ უშლიდა სასტიკად დაეცხრო მონების აჯანყება და შეუბრალებლად გასწორებოდა პირველ ქრისტიანებს. თავისი ფილოსოფიური შეხედულებანი გადმოცემული აქვს თავის დღიურში — „მარტოდ თავის თავთან“. ავრელიუსი სწერდა ბერძნულ ენაზე.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა კ ე დ ო ნ ე ლ ი (356—326 ჩვ. წ-დე) — მაკედონიის მეფე (336 წ-ან ჩ. წ-დე), ძველი დროის გამოჩენილი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე. არისტოტელეს მოწაფე. შემუსრა სპარსეთის იმპერია, დაიპყრო მცირე აზია, პალესტინა, ფინიკია, ეგვიპტე, მესოპოტამია, შუა აზია, ბაქტრია, სოგდიანა (ახლანდელი უზბეკეთის სსრ და ტაჯიკეთის სსრ და თურქმენთა სსრ ზოგიერთი რაიონების ტერიტორიები). გაილაშქრა ინდოეთზე და ბელუჯისტანზე (ახლა ირანისა და პაკისტანის ნაწილები), მაგრამ ჯა-

რის უკმაყოფილებისა და წინააღმდეგობის გამო იძულებული იყო დაბრუნებულიყო უკან. მის მიერ შექმნილი უდიდესი სახელმწიფო, რომლის საზღვრები დასავლეთში ებჯინებოდა მდ. დუნაის, ხოლო აღმოსავლეთში მდ. პინდს, თუმცა მისი სიკვდილის შემდეგ დაირღვა, მაგრამ მის დაპყრობებს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხმელთაშუა ზღვის ირგვლივ მდებარე ყველა სახელმწიფოსათვის და ახლო აღმოსავლეთისათვის; მით ძველ ისტორიაში, იწყება ახალი, ელინიზმის პერიოდი.

ალიშერ ნავოი (იხ. ნავოი ალიშერი).

ალფონს X, წოდებული ასტრონომად და ბრძენად (1226 – 84) — ლეონიისა და კასტილიის მეფე (1252 წლიდან). პოეტი. მწერალი. ასტრონომი და ფილოსოფოსი. ესპანური პროზის შემქმნელი და ესპანური ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი.

ამიელი, ანრი ფრედერიკი (1821—81) — შვეიცარიელი ენრანგი მწერალი და მორალისტი. ფილოსოფიის პროფესორი ჟენევის უნივერსიტეტში.

„ამირან-დარეჯანიანი" — ქართული საგმირო-ფანტასტიკური პოემა (მოთხრობათა კრებული), შედგენილი მე-11 ს. დასასრულს ქართველი პოეტის მოსე ხონელის მიერ სპარსული საგმირო პოემის „Kisai Hamza"-ს მიხედვით.

ანანია შირაკაცი (ე. ი. შირაკელი. 610—635)—უდიდესი სომები ფილოსოფოსი, ბუნებისმეტყველი. ასტრონომი, მათემატიკოსი და გეოგრაფი.

ანდერსენი, ჰანს ქრისტიანი (1805—75) — სახელგანთქმული დანიელი პოეტი-მეზღაპრე და რომანტიზმის დემოკრატიული მიმართულების დრამატურგი და რომანისტი.

ანენსკი, ნიკოლოზ თეოდორეს ძე (1843—1912) — რუსი ბურჟუაზიული პუბლიცისტი და ეკონომისტი-სტატისტიკოსი, ხალხისნურ მოძრაობის ცნობილი მოღვაწე.

ანიჩკოვი, დიმიტრი სერგის ძე (1733—98)—რუსი ფილოსოფოსი-განმანათლებელი და მათემატიკოსი, მე-18 ს. 60—70-იან წლების რუსული თავისუფალი აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი; ლოგიკის, ფილოსოფიისა და მათემატიკის პროფესორი მოსკოვის უნივერსიტეტში. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მისი შრომა: «Философическое рассуждение о начале и происшествии богопочитания у разных, а особливо у невежественных народов», რომელმაც დიდი აურ-ზაური გამოიწვია უნივერსიტეტის კონფერენციაზე და, რომელიც დეკანოზ ალექსეევის დაბეზღების შედეგად. საჯაროდ იქნა დამწვარი ჯალათის ხელით (იხ. პელვეციუსი), როგორც „მავნე" და „მაცდუნებელი".

ანტონიუსი, მარკუსი (83—30 ჩვ. წ-დე) — რომაელი პოლიტიკური მოღვაწე და სარდალი, იულიოს კეისრის ნათესავი და უახლოესი თანამოღვაწე. ახალგაზრდობიდანვე თავაშვებული მოქეიფე, ის ჩაჯარდა ვალებში, დაეშალა მევალეებს და ერთ ხანს ცხოვრობდა საბერძნეთში, სა-

დაც თითქოს დაიწყო ფილოსოფოსებისა და რიტორების მოსმენა. იულიოს კეისრის დაღუპვის შემდეგ შეეცადა გამხდარიყო მის მოადგილედ და დაიწყო ახალი სამოქალაქო ომი. ციცერონის დაჟინებით ხალხის მტრად გამოცხადებული, ის მალე შეუთანხმდა ოქტავიანესა (ავგუსტი) და ლეპიდუსს და მათთან ერთად გახდა მე-2 ტრიუმვირატის * წევრი. იმპერიის ხელახალა გაყოფისას მიიღო სამფლობელოდ აღმოსავლეთი და დაუახლოვდა ეგვიპტეს. მოხიბლულმა ეგვიპტის დედოფლის კლეოპატრას სილამაზით, შეირთო ის ცოლად და მიეცა ქეიფსა და დროსტარებას. საბოლოოდ კლეოპატრას გავლენის ქვეშ ჩავარდნილმა ანტონიუსმა უხვად დაასაჩუქრა კლეოპატრას ვაჟი (იულიუს კეისრისაგან) ცეზარიონი და გახადა ის დედის თანამმართველად, ხოლო კლეოპატრასაგან შეძენილ თავის შვილებს დაურიგა რომის ზოგიერთი აღმოსავლეთის პროვინციები. ამან საბაბი მისცა ოქტავიანეს ომი გამოეცხადებია ანტონიუსისათვის და ეგვიპტისათვის. ჯარისა და ფლოტის ღალატის შედეგად აქციუმთან ბრძოლაში და კლეოპატრას ვითომითი სიკვდილით ** შეძრწუნებულმა თავი მოიკლა ეგვიპტეში (თვით წამოეგო თავის ხმალს; იხ. ბრუტუსი). ანტონიუსის და კლეოპატრას მუმიები ინახება ბრიტანეთის მუზეუმში ლონდონში (იხ. კლეოპატრა).

ა რ ი ო ს ტ ო, ლ ო დ ო ვ ი კ ო (1474—1533) — აღორძინების ხანის უდიდესი იტალიელი პოეტი და დრამატურგი, რომლის სახელი უმთავრესად დამყარებულია მის პოემაზე „მძვინვარე როლანდი“.

ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე (384—322 ჩვ. წ-დე)—ანტიკური სამყაროს და ყველა დროის უდიდესი და გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი, მეცნიერი-ენციკლოპედისტი და უდიდესი დიალექტიკოსი. პლატონის მოწაფე და ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი, ანტიკური მონათმფლობლური საზოგადოების იდეოლოგი, „ძველი დროის უდიდესი მოაზროვნე“ (კ. მარქსი), რომლის თხზულებები მოიცავენ მისი დროის ცოდნათა ყოველ დარგს: ლოგიკას, ფსიქოლოგიას, ბუნებისმეტყველებას, ისტორიას, პოლიტიკას, ეთიკას, ესთეტიკას. — ათვალწუნებული და შეძულებული ათენის მმართველი წრეების მიერ მაკედონიისადმი თავისი ადრინდელი სიმპათიისათვის და ბრალდებული უღმერთოებაში, 62 წლის მოხუცი არისტოტელე, რათა მასაც არ სწვეოდა თავისი მასწავლებლის ბედი (იხ. პლატონი), იძულებული იყო გადახვეწილიყო ათენიდან.

ა რ ი ს ტ ო ფ ა ნ ე (მიახლ. 446—388 ჩვ. წ-დე) — უდიდესი ათინელი პოეტი-სატირიკოსი და დრამატურგი-კომედიოგრაფი, „კომედიის მამა. მკაფიოდ გამოვლინებული ტენდენციური პოეტი“ (ფრ. ენგელსი). ძველი ბერძნული პოლიტიკური კომედიის ბრწყინვალე წარმომადგენელი.

---

* ტ რ ი უ მ ვ ი რ ა ტ ი — ძველ რომში — სახელმწიფოს მმართველობის ფორმა, დამყარებული სამი პირის შეთანხმებაზე.

** კლეოპატრამ, რომელმაც ბრძოლის დასაწყისშიევ პირველმა დასტოვა ბრძოლის ველი და უკან დაბრუნდა თავისი ფლოტით, თვით გააგზავნა ხმები თავისი სიკვდილის შესახებ.

ა რ ქ ი ლ ო ქ ე პ ა რ ო ს ე ლ ი (VII ს. ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის გამოჩენილი პოეტი-ლირიკოსი და სატირიკოსი. ძველად მას აყენებდნენ ჰომეროსის გვერდით.

ა რ ქ ი მ ე დ ე (აგრ. — ა რ ქ ი მ ე დ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი. ე. ი. სირაკუზიდან, მიახლ. 287—212 ჩვ. წ-დე) — ძველი დროის უდიდესი მათემატიკოსი და მექანიკოსი, რომლის ბიოგრაფია არაა ცნობილი. „ზუსტი და სისტემატური კვლევის“ ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი *. თავის გენიალურ თეორიულ აღმოჩენებს ათავსებდა შესანიშნავ გამოგონებებთან საინჟინრო დარგში. მგზნებარე პატრიოტი, რომელმაც თავისი უდიდესი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა მექანიკაში გამოიყენა მე-2 პუნიკურ ომში ალყაშემორტყმული მშობლიური სირაკუზის დასაცავად. ვერაგულად იქნა მოკლული ქალაქში შემოჭრილი რომაელი ჯარისკაცების მიერ (იხ. საიათნოვა) მეცნიერული მუშაობის დროს.

ა რ ჩ ი ლ ი (გამაჰმადიანების შემდეგ — შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ხ ა ნ ი. 1647—1713) — ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, მეფე ჯერ იმერეთის, შემდეგ კახეთის (1661-75), პოეტი, ლიტერატორი და ისტორიკოსი; ისტორიულ-ნაციონალური მიმართულების საუკეთესო წარმომადგენელი ქართულ ლიტერატურაში. ტახტის რამდენჯერმე დაკარგვისა და დაბრუნების შემდეგ სამუდამოდ გადასახლდა რუსეთში, სადაც განაგრძობდა ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ა ს ა რ თ ე ბ რ ი ზ ი (ე. ი. თებრიზელი) — XIV ს. აზერბაიჯანელი პოეტი. სწერდა სპარსულ ენაზე. გარდაიცვალა ქ. თავრიზში (ახლა თებრიზი) 1390 წ.

ა უ ე რ ბ ა ხ ი, ბ ე რ თ ო ლ დ ი (1812—82) — გერმანელი (ტომით ებრაელი) პოეტი და მწერალი, გერმანული ხალხსნური ბელეტრისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ბ ა ი რ ო ნ ი. ჯ ო რ ჯ ნ ო ე ლ გ ო რ დ ო ნ ი (1788—1824) — უდიდესი ინგლისელი პოეტი-რომანტიკოსი, რომლის პოეზია ეკუთვნის უდიდეს მოვლენათა რიცხვს მსოფლიო ლიტერატურაში და რომელმაც „ბაირონიზმის“ სახელწოდებით მოიცვა მე-19 ს. პირველი ნახევრის ევროპის საზოგადოება და ღრმა კვალი დასტოვა თითქმის ყველა ქვეყნის ლიტერატურაზე. ჯ. ბაირონმა მონაწილეობა მიიღო ბერძნების განმათავისუფლებელ ბრძოლაში (იხ. ფ. სიდნეი) და გარდაიცვალა გაცივებისაგან (იხ. ფ. ბეკონი, პეტრე I, ნ. პრეევალსკი) თურქების მიერ ალყაშემორტყმულ ქ. მისოლუნგში (ახლა — მესოლონგიონი), სადაც მისი გული შენახული იყო მავზოლეუმში ვერცხლის ურნაში **, ხოლო ტანი გაგზავნილ იქნა ინგლისში. რადგან პოეტის მოძულეთა და ეკლესიის მსახურთა მეცადინეობის წყალობით ინგლისის მთავრობამ ნება არ დართო დაეკრძალათ ის „პოეტთა

---

* იხ. Энгельс Фр, „Диалектика природы“, 1949. стр. 145.

** ეს ურნელი 1826 წ. დაიკარგა ოსმალეთთან ომის დროს, ხოლო მავზოლეუმის ადგილზე შემდეგში დადგმულ იქნა ძეგლი.

კუთხეში" ვესტმინსტერის საბატონოში (ლონდონი), ამიტომ ჰირისუფლებმა მისი ნეშტი დაკრძალეს სოფლის საყდარში (იხ. ვოლტერი) საგვარეულო აკლდამაში ნიუსტენდის საბატონოს ახლო.

ბ ა ლ ზ ა კ ი, ჰ ო ნ ო რ ე დ ე (1799—1850) —გამოჩენილი ფრანგი რომანისტი, რეალისტური რომანის შემქმნელი და მისი უდიდესი წარმომადგენელი, თავისი დროის მატერიალისტური ტენდენციების და ბურჟუაზიული საფრანგეთის სულისკვეთების შესანიშნავი გამომხატველი. დიდებისა და სახელის მოპოვების მანიით შეპყრობილი * და სიმდიდრის შეძენით გატაცებული ო. ბალზაკი სიღარიბისა და მუდამ გადაუხდელი ძველი ვალებისაგან თავის დასაღწევად, მთელი თავის სიცოცხლის მანძილზე მუშაობდა განუწყვეტლივ და დაძაბულად. რის შედეგად გარდაიცვალა ტვინის გათხევადებით და გულის მანკით, რომელიც გაურთულა ძილისაგან თავის შესაკავებლად ჭარბად და გამუდმებულად შავი ყავის სმამ. ბალზაკმა დასტოვა უდიდესი ლიტერატურული მემკვიდრეობა. მის კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი რომანი და ნოველა (იხ. კ. გოლდონი, ფ. ლოპე დე ვეგა, სოფოკლე).

ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ნ ი კ ო ლ ო ზ მ ე ლ ი ტ ო ნ ი ს ძ ე (1817—1845) — დიდი ქართველი პოეტი, რომანტიზმის ფუძემდებელი და მისი უნიჭიერესი წარმომადგენელი ქართულ ლიტერატურაში, მოაზროვნე, რომლის შემოქმედება დაფასებულ იქნა მრავალი წლის შემდეგ მისი გარდაცვალებიდან, როდესაც პირველად გამოიცა მისი ლექსები (იხ. ლეონარდო და ვინჩი, ხ.-ა. კონდე).

მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა (27 წელი), ნ. ბარათაშვილმა წარუშლელი კვალი დასტოვა ქართულ პოეზიაში (იხ. ს. ნადსონი).

ბ ა რ ბ ი უ ს ი, ა ნ რ ი (1873—1935) — გამოჩენილი ფრანგი მწერალი, პუბლიცისტი და რევოლუციონური მოღვაწე-კომუნისტი. ფაშიზმისა და მის დამცველთა წინააღმდეგ მგზნებარე და დაუღალავი მებრძოლი, შესანიშნავი ანტიმილიტარისტული პროპაგანდისტი, მთელ რიგ ანტიფაშისტურ კონგრესების ერთ-ერთი ორგანიზატორი, საბჭოთა კავშირის მეგობარი (იხ. რ. როლანი, ჯ. ჯერომი).

ბ ა რ ო უ (ანუ ბ ა რ ო ვ ი), ი ს ა ა კ ი (1630—77) — სახელგანთქმული ინგლისელი მათემატიკოსი, ფიზიკოსი, თეოლოგი და მწერალი. კემბრიჯის უნივერსიტეტის ბერძნული ენისა და მათემატიკის პროფესორი და ბოლოს ამავე უნივერსიტეტის კანცლერი. ი. ნიუტონის მასწავლებელი და მისი წინამორბედი უნივერსიტეტის კათედრაზე.

ბ ა ტ ი უ შ კ ო ვ ი, კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ძ ე (1785—1855) — ცნობილი რუსი პოეტი-ლირიკოსი, ა. პუშკინის უშუალო წინამორბედი და მასწავლებელი.

ბ ა ხ ი, ა ლ ე ქ ს ი ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ძ ე (1857—1946) — გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი-ქიმიკოსი და რევოლუციონერი მოღვაწე. ორიგინა-

---

* ო. ბალზაკმა თვით მიიმატა თავის გვარის წინ თავსართი de, რაც ნიშნავს თავადის ჩამომავლობას, თუმცა, არც მის მამას, და არც თვით მას, არასოდეს არავითარი საამისო საბუთი არ ჰქონიათ.

ლური თეორეტიკოსი და ექსპერიმენტატორი-მკვლევარი, საბჭოთა ბიოქიმიის სკოლის დამაარსებელი.

ბებელი, ფერდინანდ ავგუსტი (1840—1913) — გამოჩენილი გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი, გერმანიის სოც.-დემოკრ. პარტიისა და მე-2 ინტერნაციონალის დამაარსებელი და ბელადი. შესანიშნავი ორატორი, პროფესიით ხარატი (იხ. მ. კალინინი, თ. პენი). ა. ბებელმა დაამთავრა მხოლოდ დაბალი სახალხო სკოლა და შემდეგ „მან, თვითონ მუშამ, დამოუკიდებლად გაიკაფა გზა მტკიცე სოციალისტური რწმენისაკენ ივი გახდა მუშათა ბელადის ნიმუში...“ (ვ. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 352).

ბეკონი, როჯერი (მიახლ. 1214—94)—შუა საუკუნეების სახელგანთქმული ინგლისელი ფილოსოფოსი და ბუნებისმეტყველი, ფრანცისკანელი ბერი, ოქსფორდის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების პროფესორი, თანამედროვეთა მიერ წოდებული „საკვირველ მასწავლებლად“ („Doctor mirabilis“) ცოდნისა და მეცნიერების გაბედული ქომაგი. სქოლასტიკის, ფეოდალური წესწყობილებისა და ზნე-ჩვეულებათა თამამი მამხილებელი. სასულიერო წოდებისა და განსაკუთრებით ბერ-მონაზონთა პრივილეგიების, თავაშვებული და გარყვნილი ცხოვრების წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი. თავისუფალი აზროვნებისათვის აკრძალა მეცნიერული მოღვაწეობა, განიცადა მრავალი დევნა და რომის პაპების განკარგულებით თითქმის 14 წელი დაპყო საპყრობილეში.

ცნობილი და დაფასებული იქნა გარდაცვალებიდან თითქმის ხუთი საუკუნის შემდეგ თავისი შრომებით, რომლებშიაც მან დიდი ხნით ადრე განსჭვრიტა მისი დიდი თანამეგვარის, მატერიალისტის ფრენსის ბეკონის მიერ XVI—XVII სს. განვითარებული ბევრი იდეა.

ბეკონი, ფრენსისი (აგრ. — ფრანციზკო. 1561—1626) — გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი-მატერიალისტი, მრავალმხრივი მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე. „ინგლისური მატერიალიზმის და ახალი დროის მთელი საცდელი მეცნიერების ფუძემდებელი“ (კ. მარქსი), შესანიშნავი ორატორი, რომლის მოძღვრება მიმართული იყო რელიგიის, ეკლესიისა და სქოლასტიკის წინააღმდეგ. გარდაიცვალა ხორცის გაყინვის ცდაზე მუშაობის დროს გაცივების შედეგად (იხ. პეტრე I).

ბელინსკი, ბესარიონ გრიგოლის ძე (1811—48) — უდიდესი რუსი ლიტერატურული კრიტიკოსი, პუბლიცისტი და ფილოსოფოსი, რუსული ლიტერატურული კრიტიკის ფუძემდებელი, გაბედული და მამაცი რევოლუციონერი-დემოკრატი. მგზნებარე პატრიოტი. გარდაიცვალა ჭლექით უკიდურეს სიღარიბეში.

ბერნარდენ დე სენ-პიერი, ჟაკ ანრი (1737—1814) — ცნობილი ფრანგი მწერალი-სენტიმენტალისტი და ბუნებისმეტყველი, რუსოს იდეების ვულგარული პოპულარიზატორი, საფრანგეთის აკადემიის წევრი. პარიზის ბოტანიკური ბაღის დირექტორი, განათლებით ინჟინერი.

ბერნე, კარლ ლუდვიგი (ქრისტ. სარწმუნოების მიღებამდე — იეგუდა ლეიბ ბარუხი, 1786—1837) — სახელგანთქმული გერმანელი (ტომით ებრაელი) მწერალი, პუბლიცისტი, ლიტერატურული კრი-

ტიკოსი და პამფლეტისტი. გერმანული ბურჟუაზიულ-ოპოზიციონური პუბლიცისტიკის კლასიკოსი, 1848 წლის რევოლუციის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. ჰ. ჰაინესთან ერთად „ახალგაზრდა გერმანიის იდეოლოგი და ბელადი, პიროვნების თავისუფლების დამცველი, გერმანიის გაერთიანების ქომაგი და ვიწრო ნაციონალიზმის მტერი. მაგრამ იმავე დროს სოციალიზმისადმი მტრულად გაწყობილი მოღვაწე.

ბ ე ს ტ უ ჟ ე ვ ი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ძ ე (ლიტ. ფსევდონიმი — მ ა რ ლ ი ნ ს კ ი, ე. ი. მარლელი* 1797—1837) — რუსი მწერალი-რომანისტი და კრიტიკოსი, რუსული პუბლიცისტური კრიტიკის ფუძემდებელი; რუსის ჯარის ოფიცერი (გვარდიის შტაბს-კაპიტანი). დეკაბრისტი, კ. რილეევის შემდეგ დეკაბრისტთა თვალსაჩინო ლიტერატურული ძალა, კ. რილეევთან ერთად ალმანახის «Полярная звезда»-ს გამომცემელი. დეკაბრისტთა აჯანყებაში აქტიური მონაწილეობისათვის მიესაჯა 20 წლის კატორღა, რომელიც წელიწადნახევრის პატიმრობის შემდეგ შეეცვალა უბრალო ჯარისკაცამდე დაქვეითებით და კავკასიაში გადაგზავნით. თბილისში ყოფნის დროს დაუახლოვდა ქართველ და აზერბაიჯანელ მწერლებს (ნ. ბარათაშვილი, მირზა ფატალი ახუნდოვი, აბას კული ბაკიხანოვი და სხვ.), რომელთაც აცნობდა რუსული საზოგადოების მოწინავე იდეებს. დაიღუპა მთიელებთან შეტაკების დროს შავი ზღვის სანაპიროზე ადლერის მახლობლად. ცხედარი ვერ იპოვეს.

ბ ე ს ტ უ ჟ ე ვ ი, ნ ი კ ო ლ ო ზ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ძ ე (1791—1855) — ცნობილი რუსი მეცნიერი, მწერალი, მხატვარი, ტექნიკოსი და ეკონომისტი. დეკაბრისტი. უფროსი ხუთ-ძმა დეკაბრისტთა შორის. გარდაიცვალა გადასახლებაში, რომელიც მას მიესაჯა 1825 წ. დეკაბრისტთა აჯანყებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ბ ე თ ჰ ო ვ ე ნ ი (უფრო სწორი — ბეეტჰოვენი (Beethoven), ლ ი უ დ ვ ი გ ვ ა ნ ი (1770—1837)—გენიალური გერმანელი (ტომით ფლამანდიელი) კომპოზიტორი, უდიდესი სიმფონისტი დასავლეთ ევროპის მუსიკაში და ერთ-ერთი უდიდესი ფიგურა მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში, მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების კლასიკოსი, დიდი რევოლუციონური დემოკრატი და რესპუბლიკანელი, ხალხის ინტერესების ქომაგი და დესპოტიზმისადმი შეურიგებელი ხელოვანი-მოქალაქე.

8 წლის ასაკში გამოვიდა საჯარო კონცერტით ვენაში, ხოლო 11 წლის ასაკში იმოგზაურა კონცერტებით ჰოლანდიაში, 12 წლის ასაკში დაიწყო საკომპოზიციო მოღვაწეობა და 13 წლის ასაკში დაინიშნა კარის ორგანისტად (იხ. მ. მოცარტი, ა. გ. რუბინშტეინი, ვ. ჰენდელი)**.

იმის გამო, რომ ბეთჰოვენის ლოთი მამა ცდილობდა მეტი გამორჩენა ჰქონოდა შვილის ნიჭიდან, ის ადრიდანვე იძულებული გახდა ეზრუნა და ებრძოლა არსებობისათვის და ვერ მიიღო სათანადო მუსიკალური განათლება.

---

* მ ა რ ლ ი (Марли)—ადგილი პეტერგოფში (ახლა—პეტროდვორეცი), სადაც იდგა დრაგუნთა ესკადრონი, რომელშიაც ა. ბესტუჟევი მსახურობდა იუნკრად.

** ვინც ოსტატი უნდა გახდეს, ადრე დაიწყებს განვითარებას (ფრ. შილერი).

1797 წლიდან, ყურის სკლეროზის შედეგად, დაწყებული სმენის შესუსტება ბეთჰოვენს დაუმთავრდა სმენის საბოლოოდ დაკარგვით, რაც მისი ცხოვრებისათვის გადაიქცა საბედისწერო ტრაგედიად: ის გახდა დაღვრემილი და ფიცხი, მაგრამ ამან ვერ იმოქმედა მის შემოქმედებაზე, რომელიც დარჩა კვლავინდებურად მხნე, ოპტიმისტური და ცხოველმყოფელი პათოსით აღნიშნული (იხ. ნ. ოსტროვსკი, პ. სკარონი, ჯ. მილტონი). თავდაპირველად ნაპოლეონით აღტაცებულმა ბეთჰოვენმა მას უძღვნა „საგმირო სიმფონია". ხოლო შემდეგ, როდესაც გაიგო, რომ მოქალაქე ნაპოლეონი იქცა იმპერატორად, მან უკან დაიბრუნა ეს მიძღვნა.

ბიასი (ანუ ბიანტი, VII ს. ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი შვიდბრძენთაგანი ქ. პრიენიდან (იონიაში). სახელი ჰქონდა მოხვეჭილი თავის სიბრძნით სასამართლოს განაჩენებში. მას მიაწერენ რამდენიმე ლირიკულ ნაწყვეტს და ბრძნულ თქმებს.

„ბიბლია" (ბერძ.—„წიგნები") — იუდეელთა და ქრისტიანთა „საღმრთო წიგნი", რომელიც შეიცავს ორ ნაწილს: „ძველ აღთქმას" და „ახალ აღთქმას". ქრისტიანი და იუდეელი ღვთისმეტყველები პირველი ნაწილის ავტორობას მიაწერენ მითიურ მოსეს, ხოლო მეორე ნაწილის ავტორობას — ასეთივე მითიური ქრისტეს მოწაფეებს.

ბიკოვი, კონსტანტინე მიხეილის ძე (1886—1959) — გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი-ფიზიოლოგი. აკადემიკოსი. ი. პავლოვის უახლოესი მოწაფე და მიმდევარი. ექსპერიმენტალურად განავითარა ი. პავლოვის მატერიალისტურ-დიალექტიკური თეზისი ცხოველურ (ცოცხალ) ორგანიზმში მიმდინარე ყველა პროცესებზე თავის ტვინის ქერქის მეშვეობით გარეშე ფაქტორთა გავლენის შესახებ.

ბისმარკი, ფონ შენჰაუზენი, ოტო ედუარდ ლეოპოლდი, თავადი, ჰერცოგი ლაუენბურგი (მეტსახელი—„რკინის კანცლერი", 1815—98)—პრუსიისა და შემდეგ გერმანიის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე და გამოჩენილი დიპლომატი. პრუსიის ჰეგემონიის ქვეშ გერმანიის გამაერთიანებელი და იუნკერულ-ბურჟუაზიული გერმანიის იმპერიის დამაარსებელი, გერმანიის პირველი კანცლერი, რეაქციონულ-მონარქისტულ იუნკერთა იდეოლოგი, „რკინისა და სისხლის" პოლიტიკის დაცველი, სოციალისტების წინააღმდეგ მიმართული „განსაკუთრებული კანონების" ავტორი და გერმანიის კოლონიალური პოლიტიკის წამომწყები, „დიდი პრაქტიკული ჭკუისა და არაჩვეულებრივი გაქნილობის ადამიანი" (ფრ. ენგელსი*), ნიჭიერი ორატორი.

ბიუფონი, ჟორჟ-ლუი ლეკლერკი (1707—88)—გამოჩენილი ფრანგი ბუნებისმეტყველი-მატერიალისტი და განმანათლებელი. საფრანგეთის აკადემიის წევრი, პარიზის ბოტანიკური ბაღის დირექტორი. ბუნებისა და განსაკუთრებით ორგანულ სამყაროს განვითარების შესახებ მოძღვრების ერთ-ერთი ფუძემდებელი, ევოლუციონიზმის წინამორბედი, რომელმაც ხელი შეუწყო თეოლოგიისა და ბუნებისმეტყველების გამიჯვნას.

---

* კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, თხზ., ტ. 16, ნაწ. 1, გვ. 471.

ბიჩერ-სტოუ. პარიეტ ელისაბედი (მამით — ბიჩერი. ქმრით—სტოუ. 1811—96) — სახელგანთქმული ამერიკელი მწერალი-ქალი, ყოფილი მასწავლებელი ქალთა სკოლაში. მსოფლიოში სახელმოხვეჭილი რომანის „ბიძია თომას ქობი"-ს ავტორი. ეს რომანი, რომელშიაც მხატვრულად და დიდი გრძნობით ნაჩვენებია იმდროინდელი ამერიკის მონათმფლობელური სისტემის საშინელებანი, გადათარგმნილი და მრავალჯერ გამოცემულია ყველა კულტურულ ენაზე. რუსეთში რევოლუციონურ-დემოკრატიული წრეების (ნ. ჩერნიშევსკი, „Современник") მიერ ის გამოყენებული იყო ბატონყმობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბლანკი, ლუი ოგიუსტი (1805—81)—გამოჩენილი ფრანგი რევოლუციონერი. სოციალისტი და უტოპისტი-კომუნისტი. მატერიალისტი და ათეისტი; ფრანგ მატერიალისტთა პელვეციუსისა და პოლბახის მოწაფე. მთელ რიგ პოლიტიკურ საზოგადოებათა ორგანიზატორი და „პროლეტარული პარტიის ერთადერთი ჰეშმარიტი ბელადი" (კ. მარქსი). საფრანგეთის ყველა ამბოხებების და რევოლუციების სულისჩამდგმელი და მონაწილე 1830-71 წწ. მანძილზე. თავის 76 წლის სიცოცხლის 37½ წელი დაპყო საპყრობილეში, სადაც დასწერა ასტრონომიული თხზულება (იხ. დ. დეფო, ო. მირაბო, თ. პენი).

ბლეკი, ჯონ სტიუარტი (1809—95) — ინგლისელი (ტომით შოტლანდიელი) ფილოლოგი, პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე; ბერძნული ენისა და ლიტერატურის პროფესორი ედინბურგის უნივერსიტეტში. შოტლანდიელი პატრიოტი.

ბლუნჩლი, იოჰან კასპარი (1808—81)—შვეიცარიელი გერმანელი ბურჟუაზიული იურისტი და საზოგადო მოღვაწე, ციურიხის, ჟენევისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტების პროფესორი, სახელმწიფო და საერთაშორისო უფლებისა და უფლების ისტორიის სპეციალისტი.

ბოდენშტედტი. ფრიდრიხი (1819—92)—ცნობილი გერმანელი პოეტი, ორიენტალისტი და მოგზაური, თბილისის I გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი; შემდეგ მიუნქენის უნივერსიტეტის პროფესორი. ევროპაში სახელი მოიხვეჭა აღმოსავლეთის პოეტების ფიზულის, ომარ ხაიამის, ჰაფიზის და, განსაკუთრებით, აზერბაიჯანელი პოეტის მირზა-შაფი ვაზეჰის ლექსების თარგმანებით.

ბოგიპ. — წარსული საუკ. დასასრულის ინგლისელი პოეტი.

ბოკაჩიო, ჯოვანი (1313—75)—ადრინდელი აღორძინების ხანის უდიდესი იტალიელი პოეტი-ლირიკოსი, პროზაიკოსი და ჰუმანიზმის პირველი წარმომადგენელი; იტალიური პროზის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სატირული რომანის მამამთავარი და ნოველის კლასიკოსი. ცნობილია აგრეთვე, როგორც მეცნიერული თხზულებების და მორალურ-პოლიტიკური შინაარსის ეკლოგების ავტორი.

ბოკლი, ჰენრი თომასი (1821—62)—გამოჩენილი ინგლისელი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი, კულტურის ისტორიკოსი და სოციოლოგი-პოზიტივისტი. პროგრესის საკითხში ვულგარულ-ევოლუციონური მოძღვრების მომხრე და ისტორიულ განვითარებაში ნახტომების უარისმყოფელი. ჰ. ბოკლი განირჩეოდა არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობით; თავის კაპიტალურ

თხზულებაზე „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“ ის მუშაობდა 17 წლის მანძილზე (იხ. ფრ. რაბლე, ფ. რდოუსი) დღეში 10 საათის განმავლობაში.

ბ ო ლ ი ნ გ ბ ო რ კ ი, პ ე ნ რ ი ს ე ნ ტ-ჯ ო ნ ი (1678—1751) — ინგლისელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი-მორალისტი და პამფლეტისტი; მსხვილ მემამულეთა იდეოლოგი. ცნობილი იყო თავისი უმაგალითო ბიწიერებით და გარყვნილი ცხოვრებით, რომელიც გაოცებას და აღშფოთებას იწვევდა იმდროინდელი მაღალი საზოგადოების გარყვნილი ცხოვრების დროსაც კი. პოლიტიკური მტრების მიერ სახელმწიფო ღალატში ბრალდებულმა, სიკვდილით დასჯისაგან თავი გადაირჩინა გაქცევით და რამდენიმე ხნით საფრანგეთში თავის შეხიზნვით.

ბ ო რ კ ი (აგრ. — ბ ი ო რ კ ი), ე დ მ უ ნ დ ი (1729—97)—ინგლისელი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, ლიბერალური არისტოკრატიის, მიწათმფლობელ ოლიგარქიისა და სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის თვალსაჩინო იდეოლოგი.

ბ ო ს ტ რ ე მ ი, ქ რ ი ს ტ ო ფ ი ა კ ო ბ ი (1797—1866) — გამოჩენილი შვედი ფილოსოფოსი, შვედური ფილოსოფიის მამამთავარი, რაციონალისტური იდეალიზმის სკოლის დამაარსებელი შვეციაში, ფილოსოფიის პროფესორი ქ. უსალას უნივერსიტეტში.

ბ რ ი უ ს ო ვ ი, ვ ა ლ ე რ ი ი ა კ ო ბ ი ს ძ ე (1873—1924) — რუსი პოეტი, მთარგმნელი და ლიტერატურის მკვლევარი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ძველი კულტურის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, რომელიც ამაღლდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სიდიადის შეგნებამდე და აღფრთოვანებით მიესალმა მას (იხ. კ. ტიმირიაზევი).

ბ რ უ მ ი, პ ე ნ რ ი (ლორდი ბ რ უ გ ჰ ა მ ი და ვ ო, 1778—1868)—ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე და იურისტი. სახელგანთქმული ორატორი. სახალხო განათლებისათვის ერთ-ერთი თავგამოდებული მებრძოლი.

ბ რ უ ნ ო, ჯ ო რ დ ა ნ ო (აგრ.—ფ ი ლ ი პ ო, 1548—1600)—უდიდესი იტალიელი მოაზროვნე, ფილოსოფოსი-მატერიალისტი და ათეისტი, აღორძინების ხანის გამოჩენილი მოღვაწე, სქოლასტიკურ მეცნიერებისა და რომის კათოლიკური ეკლესიის გაბედული კრიტიკოსი და მათ წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი, მატერიალისტური მსოფლმხედველობის მგზნებარე პროპაგანდისტი.

ეკლესიის მსახურთა მიერ დევნილმა ჯ. ბრუნომ დასტოვა მშობლიური იტალია და ცხოვრობდა შვეიცარიაში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში. სამშობლოში დაბრუნებისას იქნა დაპატიმრებული და 8 წელი დაპყო საპყრობილეში. ინკვიზიციის სასამართლოს მიერ ერეთიკოსობაში და თავისუფალ აზროვნებაში მსჯავრდადებულმა უარი თქვა თავისი იდეების ყალბად აღიარებაზე (იხ. ლ. ტოლსტოი) და დამწვარი იქნა კოცონზე ქ. ნეაპოლში. ჯ. ბრუნოს დაღუპვის 300 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით 1889 წელს სწორედ იმ ადგილზე (მოედანი კ ა მ პ ო), სადაც ის დასწვეს, დადგმული იქნა ძეგლი (იხ. ა. წერეთლის აზრი 659, გვ. 111).

ბ რ უ ტ უ ს ი, მ ა რ კ უ ს ი უ ნ ი უ ს ი (85—42 ,ჩვ. წ-დე) —:რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, გარეგნულად თითქოს რესპუბლიკისათვის მებრძოლი, ნამდვილად კი არისტოკრატიის ინტერესების დამცველი. იულიოს კეისრისა და პომპეუსის ბრძოლაში ჯერ ემხრობოდა პომპეუსს, ხოლო ამ უკანასკნელის დამარცხების შემდეგ მიემხრო იულიოს კეისარს, რომელმაც მას მისცა მაღალი თანამდებობები. განუდგა რა კეისარსაც, კასიუსთან (იხ.) ერთად გახდა კეისრის წინააღმდეგ შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური და მისი მკვლელობის უშუალო მონაწილე. კეისრის დაღუპვის შემდეგ ვერ მიიმხრო ხალხის მასები, გაიქცა რომიდან აღმოსავლეთ პროვინციებში, შეუერთდა მაკედონიაში, მასავით რომიდან გაქცეულ კასიუსს და მასთან ერთად დიდძალი შეერთებული ჯარით გაილაშქრა ტრიუმვირების ანტონიუსისა (იხ.) და ოქტავიანეს წინააღმდეგ. პირველ შეტაკებაში გაიმარჯვა ოქტავიანეზე, მაგრამ მალე თვით განიცადა სასტიკი დამარცხება და მოიკლა თავი (თვით წამოეგო საკუთარ ხმალს). ქმრის დაღუპვის ამბის გაგებაზე თავი მოიკლა მისმა მეუღლემაც — პ ო რ ც ი ა მ.

ბ უ ა ლ ო (სრულად — ბ უ ა ლ ო-დ ე პ რ ე ო), ნ ი კ ო ლ ა (1636 — 1711) — ცნობილი ფრანგი პოეტი, კრიტიკოსი და კლასიციზმის თეორეტიკოსი, ლუი XIV ისტორიოგრაფი. საფრანგეთის აკადემიის წევრი.

ბ უ ა ს ტ ი, პ ი ე რ კ ლ ო დ ვ ი ქ ტ ო რ ი (1765—1824) — ფრანგი ლექსიკოგრაფი და ფილოსოფოსი. ცნობილია მეტად მდიდარი, ორიგინალური და მრავალფეროვანი აფორიზმებით. შეადგინა აგრეთვე ფრანგული კაზმული სიტყვიერების და ფრანგული ენის უნივერსალური ლექსიკონები.

ბ უ ლ ვ ე რ ი (აგრ. ბ უ ლ ვ ე რ-ლ ი ტ ო ნ ი), ე დ უ ა რ დ ჯ ო რ ჯ ჩ ა რ ლ ზ ი (1803—79)—ცნობილი ინგლისელი მწერალი-რომანისტი და პოლიტიკური მოღვაწე, რომლის მოღვაწეობას როგორც პოლიტიკაში, ისე ლიტერატურაში ახასიათებს საოცარი მოქნილობა და გაბატონებულ ვითარებასთან შეგუების არაჩვეულებრივი უნარი.

ბ ჰ ა რ ტ რ ი ჰ ა რ ი (VII ს.) — ინდელი პოეტი, გრამატიკოსი და ფილოსოფოსი. მოუსვენარი და არტისტული ბუნების მქონე, ის შვიდჯერ აღიკვეცა ბერად და შვიდჯერვე დაუბრუნდა საერო ცხოვრებას. ბჰარტრიჰარის ლირიკული ლექსები და ბრძნული თქმები დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ინდოეთში.

გ ა ი ბ ე ლ ი, ე მ ა ნ უ ე ლ ი (1815—84)—გამოჩენილი გერმანელი პოეტი-ლირიკოსი და დრამატურგი; 1848 წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ „ნეიტრალური, წმინდა ხელოვნების“ წარმომადგენელი.

გ ა ლ ი ლ ე ი, გ ა ლ ი ლ ე ო (წინაპართა თავდაპირველი გვარი — ბ ო ნ ა ე უ ტ ი 1564—1642) გენიალური იტალიელი მეცნიერი, მწერალი და პოეტი, უდიდესი ფიზიკოსი, მექანიკოსი და ასტრონომი, ზუსტი ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი დამაარსებელი, მუსიკოსი, მხატვარი, ხელოვნების მოყვარული და ბრწყინვალე ლიტერატორი; იტალიური მეცნიერული პროზის ფუძემდებელი. კ ო პ ე რ ნ ი კ ი ს მოძღვრების მხარდაჭერისათვის განიცადა დევნა და თითქმის ერთი წელი დაპყო ინკვიზიციის სამსჯავროს საპყრობი-

ლეში, მოხუცებულობაში დაბრმავდა, მაგრამ არ შეუწყვეტია მეშაობა სიკვდილამდე. (იხ. ნ. ლობაჩევსკი, მილტონი, ნ. ოსტროვსკი. პ. სკარონი).

გამბეტა, ლეონ მიშელი (1838—82) — გამოჩენილი ფრანგი ლიბერალურ-ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე. ბურჟუაზიულ რესპუბლიკანელთა ერთ-ერთი ლიდერი და საუკეთესო ორატორი საფრანგეთში, მე-2 იმპერიის შეურიგებელი მტერი და მე-3 იმპერიის ერთ-ერთი დამაარსებელი. პროფესიით ვექილი. თავი ისახელა პარიზში რამდენიმე პოლიტიკურ პროცესზე დაცვის ბრწყინვალე სიტყვებით.

„**განთიადი**" — ლეგალური ყოველდღიური გაზეთი ქართულ ენაზე. რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის თბილისის გაერთიანებული კომიტეტის ორგანო. გამოდიოდა 1906 წ. 5-ან 11 მარტამდე. სულ გამოვიდა 5 ნომერი.

გარიბალდი, ჯუზეპე (1807—82) — იტალიის ეროვნული და რევოლუციონურ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი უდიდესი ბელადი. ავსტრიისა და საფრანგეთის უღლისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლის სახელმოხვეჭილი გმირი, რომელმაც „რევოლუციით... ფაქტიურად გააერთიანა იტალია" (ფრ. ენგელსი); მგზნებარე პატრიოტი. ჯ. მაძინის თანამებრძოლი. ყოფილი მეზღვაური, განსაკუთრებული სიმამაცის მქონე, უაღრესად კეთილშობილი და მიმზიდველი ადამიანი. ლიტერატურაში ცნობილია თავისი „ავტობიოგრაფიული მემუარებით", რომელიც დაიბეჭდა მისი გარდაცვალების შემდეგ.

გენცი, ფრიდრიხი (1754—1832) — ავსტრიელი (ტომით გერმანელი) სახელმწიფო მოღვაწე და პუბლიცისტი; ჯერ ე.-ე. რუსოსა და ი. კანტის თაყვანისმცემელი, შემდეგ. საფრანგეთის რევოლუციის დამარცხების გავლენით, — ლიბერალი და ნაციონალისტი და ბოლოს რეაქციონერი (იხ. კ. გუტკოვი, ეკატერინე II, ს. კოლრიჯი, რ. სოუთი).

გერცენი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (1839—?) ა. ი. გერცენის (ისკანდერის) შვილი. ცნობილი ფიზიოლოგი: ფლორენციისა და ლოზანის უნივერსიტეტების პროფესორი. იტალიურ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში ახალი მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე. ფიზიოლოგიაში საპატიო სახელი მოიხვეჭა გამოკვლევებით ტვინის შემფერხებელი ცენტრების შესახებ.

გერცენი (უფრო სწორი — **ჰერცენი***; ნამდვილი გვარი — **იაკოვლევი**; ფსეუდონიმები—**ისკანდერი, ოგურჩიკოვი**), **ალექსანდრე ივანეს ძე** (1812—70) — დიდი რუსი რევოლუციონერი-

---

* ა. ი. გერცენის მამა ივანე ალექსის ძე იაკოვლევი იყო მდიდარი რუსი მემამულე, დედა ლუიზა ჰაგი კი — გერმანელი ქალი ქ. დრეზდენიდან; რადგან მათი ქორწინება არ იყო ოფიციალურად გაფორმებული, ა. გერცენი ატარებდა მამის მიერ შერქმეულ სახელს Herzen, რომელიც წარმოდგება გერმ. სიტყვიდან —Herz— გული; ჰერცენი ჩვენებურად — გულიკო.

დემოკრატი, ფილოსოფოსი-მატერიალისტი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, უნიჭიერესი მსოფლიო ნემუარისტი, რუსული რევოლუციონური აზროვნების ერთ-ერთი უგამოჩენილესი და უბრწყინვალესი წარმომადგენელი, რუსული თავისუფალი (უცენზურო) ბეჭდვითი სიტყვის დამაარსებელი და რუსული პოლიტიკური ემიგრაციის ფუძემდებელი, რომელმაც თავისი მოღვაწეობით უდიდესი როლი შეასრულა რუსეთის რევოლუციის მომზადებაში.

გ ი ბ ო ნ ი, ე დ უ ა რ დ ი (1737—1794) — ინგლისელი ბურჟუაზიული ისტორიკოსი-იდეალისტი და პოლიტიკური მოღვაწე, განათლების ხანის ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

გ ი უ ი ო, ჟ ა ნ მ ა რ ი (1854—88) — ფრანგი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი-იდეალისტი, სოციოლოგი და პოეტი, ფრანგული იდეალისტური ევოლუციონიზმის წარმომადგენელი. კონდორსეს ლიცეუმის პროფესორი პარიზში.

გ ლ ი ნ კ ა, მ ი ხ ე ი ლ ი ვ ა ნ ეს ძ ე (1804—57)—დიდი რუსი კომპოზიტორი, რუსული კლასიკური მუსიკის ფუძემდებელი, რომელმაც რუსული მუსიკა აამაღლა ეროვნულ კულტურის უდიდეს მიღწევათა სიმაღლემდე და განამტკიცა მისი წამყვანი მსოფლიო როლი.

გ ლ ი უ კ ი, ქ რ ი ს ტ ო ფ-ვ ი ლ ი ბ ა ლ დ ი (1714—87)—დიდი გერმანელი კომპოზიტორი და დირიჟორი, რომელსაც ფრანგები სთვლიან „თავისად", რადგან მისი სახელოვანი მოღვაწეობა დაკავშირებულია პარიზის ოპერასთან, რომლისთვისაც მან ფრანგულ სიტყვებზე დაწერა თავისი საუკეთესო ნაწარმოებები.

გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, ი ა კ ო ბ ს ი მ ო ნ ი ს ძ ე (აქედან მისი ფსევდონიმი—ი. ს ი მ ო ნ ი ძ ე, 1840—1912)—დიდი ქართველი პედაგოგი-კლასიკოსი, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი, ი. ჭავჭავაძესთან ერთად რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელთაგანი. პედაგოგიური მოღვაწეობის დასაწყისშივე განიცადა გაფთრებული დევნა თავის მატერიალისტური შეხედულებებისათვის და თავისუფალი აზრისა და სიტყვისათვის, რომელიც საშიშარი იყო ეკლესიისა და მეფის მთავრობისათვის. თბილისის სემინარიის ინსპექტორად ყოფნის დროს, მასწავლებლის მუნდირებში შემოსილმა მეფის მოხელეებმა ისიც კი მოუწყვეს მას, რომ „დაიკარგა" სკოლის შემოსავალ-გასავლის დავთარი, რომ ამით ჩირქი მოეცხოთ მის უმწიკვლოებასა და უანგარობისათვის, და მძიმე ავადმყოფს წაართვეს სამსახური და სახაზინო ბინა. ამ საზიზღარი ვერაგობით შეძრწუნებული იაკობი, თავის დახრჩობის მიზნით, გადავარდა მტკვარში, საიდანაც ის გადაარჩინა მისი მეგობრის ნიკო ცხვედაძის ძმამ ს ა ნ დ რ ო ც ხ ვ ე დ ა ძ ე მ. საავადმყოფოდან გამოსულმა იაკობმა, იმისათვის რომ ერთხელ და სამუდამოდ გაეწყვიტა ყოველგვარი კავშირი ოფიციალურ სამსახურთან, დასწვა ყველა თავისი საბუთები და მებრძოლისა და პოლემისტის მთელი გრძნებით შეუდგა საზოგადოებრივ-პედაგოგიურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას. ი. გოგებაშვილის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი შრომა სწავლასა და აღზრდაზე.

გ ო გ ო ლ ი, ნ ი კ ო ლ ო ზ ვ ა ს ი ლ ი ს ძ ე (მამის გვარი—გოგოლიანოვსკი, თავდაპირველად—იანოვსკი; ფსევდონიმი — Янов Г. 1809—59)— გამოჩენილი რუსი (წარმოშობით უკრაინელი) მწერალი, რუსულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი და ჰუმორისტული მიმართულების წარმომადგენელი. რელიგიურ-მისტიკურად განწყობილმა და ფსიქიურად და ფიზიკურად დაავადებულმა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მეორედ დასწვა თავისი ცნობილი თხზულების „მკვდარი სულების" მეორე ნაწილის რამდენიმე თავი, რომლებიც მას არ აკმაყოფილებდა. ნ. გოგოლი იყო აგრეთვე პუბლიცისტი და ნიჭიერი მხატვარი (იხ. უ. თეკერეი, ვ. მაიაკოვსკი, ა. მონიე, ვ. ჰეკელი).

გ ო ე თ ე, ი ო ჰ ა ნ ვ ო ლ ფ გ ა ნ გ ი (1749—1832) — უდიდესი და მსოფლიოში სახელმოხვეჭილი გერმანელი პოეტი და მწერალი, გერმანული კლასიკური ლიტერატურის ბუმბერაზი წარმომადგენელი, მაღალი ეროვნული და საკაცობრიო ჰუმანური იდეალების მატარებელი მოაზროვნე და პრაქტიკული მოღვაწე, მრავალმხრივი მეცნიერი-ბუნებისმეტყველი და ხელოვნებათმცოდნე, რომლის კალამს მაღალ მხატვრულ და პოეტურ თხზულებებთან ერთად ეკუთვნის მრავალი შრომა ფილოსოფიაში, ფიზიკაში (ოპტიკა), ფიზიოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, გეოლოგიაში, მინერალოგიაში, მეტეოროლოგიაში და სხვ.

გ ო ლ დ ო ნ ი, კ ა რ ლ ო (1707—93) — გამოჩენილი იტალიელი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე, იტალიურ ეროვნულ-რეალისტური კომედიის შემქმნელი და თეატრის რეფორმატორი, სცენიური რეალიზმის ფუძემდებელი, „იტალიური მოლიერი". ყოფილი ვექილი. გოლდონი განირჩეოდა არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობით და ნაყოფიერებით (იხ. ფ. ლოპე დე ვეგა, სოფოკლე). მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა შეიცავს 267 პიესას, რომელთა შორის უმეტესი (155) კომედიაა ვენეციის ცხოვრებიდან.

გ ო ნ ჩ ა რ ო ვ ი, ი ვ ა ნ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ძ ე (1812—91) — გამოჩენილი რუსი მწერალი-რომანისტი, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი.

გ ო რ კ ი, მ ა ქ ს ი მ ე (ა ლ ე ქ ს ი მ ა ქ ს ი მ ე ს ძ ე პ ე შ კ ო ვ ი ს ფსევდონიმი, 1868—1936) — უდიდესი რუსი მწერალი, პუბლიცისტი, ლიტერატურული კრიტიკოსი, გამოჩენილი მეცნიერი-მოაზროვნე და რევოლუციონერი მოღვაწე, თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი, საბჭოთა მშენებლობის აქტიური მონაწილე, პროლეტარული ლიტერატურის წინამორბედი და ფუძემდებელი, საბჭოთა ლიტერატურის პირველი კლასიკოსი, უდიდესი ჰუმანისტი და. პატრიოტი, სიტყვის გენიალური ოსტატი, რომელიც თავისი თემებით, მტკიცე სოციალისტური პოზიციებით და უშუალო ნიჭით დგას მსოფლიო მწერალთა პირველ რიგში.

მამით ადრე დაობლებულ მ. გორკის არ მიუღია არავითარი სისტემატური სასკოლო განათლება და ლიტერატურისა და მეცნიერების უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია მხოლოდ უდიდესი და მძიმე შრომით, ცოდნისა და სწავლის სიყვარულით და თვითგანათლებით (იხ. ა. ბებელი, ჩ. დიკენსი, მ. კალინინი, ი. კრილოვი, ი. მიჩურინი, ა. პოპი, ბ. ფრანკლინი, კ. ციოლკოვსკი).

გ რ ა ს ი ა ნ-მ ო რ ა ლ ე ს ი (აგრ. **გ რ ა ს ი ა ნ ი**), **ბ ა ლ ტ ა ს ა რ ი** (1601—58)—ცნობილი ესპანელი მწერალი და ფილოსოფოსი, მოაზროვნე და მორალისტი. არაგონელი ბერი-იეზუიტი.

გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ე რ გ ი ს ძ ე (1795—1829)—დიდი რუსი დრამატურგი, პოეტი, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი. 1819—23 წწ. რუსეთის საელჩოს მდივანი სპარსეთში. 1827—28 წწ. სპარსეთთან ომის მონაწილე; 1829 წ. რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრი ქ. თეირანში. სახელი მოიხვეჭა კომედიით „ვაი ჭკუისაგან". მოკლულ იქნა თეირანში მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკით აღშფოთებული და გამძვინვარებული ბრბოს მიერ საელჩოს სხვა თანამშრომლებთან ერთად. დასაფლავებულია თბილისის მთაწმინდის პანთეონში.

გ რ ო ვ ი, უ ი ლ ი ა მ რ ო ბ ე რ ტ ი (1811—96)—ცნობილი ინგლისელი ფიზიკოსი (განათლებით იურისტი, ყოფილი ვექილი), ფიზიკის პროფესორი ლონდონის ინსტიტუტში, რომლის მოღვაწეობას ფრ. ენგელსმა მაღალი შეფასება მისცა თავის „ბუნების დიალექტიკა"-ში.

გ რ ო ტ ი, ჯ ო რ ჯ ი (1794—1871) — ცნობილი ინგლისელი ბურჟუაზიული ისტორიკოსი, რომლის კაპიტალურმა შრომამ „საბერძნეთის ისტორია" დიდი გავლენა იქონია ძველი საბერძნეთის ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაზე და რომლის ცალკეული დებულებები კ. მარქსმა და ფრ. ენგელსმა სასტიკად გააკრიტიკეს.

გ უ ნ ო, შ ა რ ლ ფ რ ა ნ ს უ ა (1818—93) — გამოჩენილი ფრანგი კომპოზიტორი, სახელგანთქმული ოპერის „ფაუსტის" ავტორი, საფრანგეთის აკადემიის წევრი და საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი. შ. გუნოს შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია ფრანგულ ლირიკული ოპერის შემდგომ განვითარებაზე (კერძოდ ჟ. ბიზეზე). ლიტერატურაში ცნობილია თხზულებით „მსახიობის მემუარები".

გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დ ა ვ ი თ გ ი ო რ გ ი ს ძ ე (1705—92)—დიდი ქართველი პოეტი-ლირიკოსი, განმანათლებელი და მორალისტი-მისტიკოსი, ისტორიულ-ნაციონალური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი ქართულ ლიტერატურაში, პოეტი-მოაზროვნე და პატრიოტი, ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში და პოეზიაში ახალი მიმართულების ფუძემდებელი, ოსმალეთთან, პრუსიასთან და შვეციასთან რუსეთის ომების მონაწილე. გარდაიცვალა უკრაინაში. დასაფლავებულია ქ. მირგოროდში.

დ. გურამიშვილს ეკუთვნის აგრეთვე, მის მიერ გამოგონებული სარწყავი წყლის დაბალ დონიდან მაღალ დონეზე ამყვანი დანადგარის და წყლის წისქვილის პროექტები, რომელთა ნახაზები შესრულებულია მის მიერვე.

გ უ რ გ ა ნ ი, ფ ა ხ რ ი დ ი ნ ა ს ა დ ი. — მე-11 ს. ტაჯიკი პოეტი. რომლის ცხოვრების შესახებ ცნობები თითქმის არ არის შემონახული. გურგანი ავტორია ფალაური ორიგინალიდან გალექსილი რომანისა „ვისი და

რამინი" („ვის-ო-რამინ"), რომელმაც დიდი გავლენა იქონია მთელს აღმოსავლურ პოეზიაზე (იხ. „ვისრამიანი").

გ უ რ ი ე ლ ი, მ ა მ ი ა (მ ა მ ი კ ო ნ) დ ა ვ ი თ ი ს ძ ე (ფსევდონიმი — მ. ფ ა ზ ე ლ ი, 1836—91)—ცნობილი ქართველი პოეტი-ლირიკოსი, ბაირონის, პუშკინის, ლერმონტოვისა და ნადსონის ლექსების მთარგმნელი, 1853—65 და 1876—77 წწ. რუსეთ ოსმალეთის ომების მონაწილე.

გ უ ტ ე ნ ბ ე რ გ ი (მამით — **გ ე ნ ს ფ ლ ა ი შ ფ ო ნ ზ ო რ გ ე ნ ლ ო ხ ი**; გუტენბერგი დედის გვარია (იხ. ა. ფეტი) **ი ო ჰ ა ნ ე** (1400—68)— გამოჩენილი გერმანელი გამომგონებელი, მოძრავი ასოებით წიგნის ბეჭდვის ევროპული ხერხის შემქმნელი; მასვე ეკუთვნის ე. წ. პუნსონების გამოგონებაც. მანამდე თლიდა ნახელარაძვირფას ქვებს და ამზადებდა სარკეებს.

გ უ ც კ ო ვ ი, კ ა რ ლ ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი (ფსევდონიმი — **ბ ე ლ ვ ე რ ი**, 1811—78) — ცნობილი გერმანელი მწერალი, პოეტი, დრამატურგი, რომანისტი და ჟურნალისტი-სტირიკოსი; ლიტერატურული მიმართულების „ახალგაზრდა გერმანია"-ს მთავარი წარმომადგენელი, გერმანული ბურჟუაზიული დრამის ფუძემდებელი; სახელგანოვანებული დრამის „ურიელ აკოსტა"-ს ავტორი. 1848—49 წწ. რეაქციის დაბარცხების შემდეგ შეურიგდა რეაქციას (იხ. ფ. გენცი, ს. კოლრიჯი). გარემომცველ წესწყობილებით და პიროვნებით უკმაყოფილების, მუდმივ სულიერ დაძაბულობისა და დიდი შრომით გადაქანცვის ნიადაგზე განიზრახა თვითმკვლელობა; სიკვდილს გადარჩენილმა რამდენიმე ხანს დაპყო სულითდაავადებულთა საავადმყოფოში. განკურნილმა განაგრძო მუშაობა, მაგრამ დაიღუპა ტრაგიკულად: გაიგუდა ხანძრის დროს.

დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ებ ე ლ ი (მიახლ. 1073—1125) — საქართველოს მეფე (1089 წ-დან) ბაგრატიონთა სამეფო გვარეულობიდან. გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. საბოლოოდ განდევნა საქართველოდან სელჯუკები, დასძლია ფეოდალთა წინააღმდეგობა სახელმწიფოს გაერთიანებაში და შეუქმნა საქართველოს ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქია, საეკლესიო და ადმინისტრაციული რეფორმებით ეკლესია დაუმორჩილა სახელმწიფოს, ჩაატარა ჯარის რეორგანიზაცია და ფეოდალურ ლაშქართან კრთად შეუქმნა უშუალოდ მეფის ხელქვეითი ჯარი. თავის დროისათვის ფრიად განათლებული და კულტურული ადამიანი, დავითი დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურის, მეცნიერების, სწავლისა და განათლების გავრცელებას და სამოქალაქო მშენებლობას. მის დროს გელათის მონასტერთან დაარსდა აკადემია, რომელმაც თავის ირგვლივ შემოიკრიბა საქართველოს საუკეთესო მეცნიერული ძალები. მის დროს აშენდა ძრავალი საკულტო და საზოგადოებრივი შენობა და ნაგებობა, გზები, ხიდები, სასახლეები და სხვა.

დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ი ო ს ე ბ ი (1850—87)—ქართველი მუშა-პოეტი-ლირიკოსი, ხელობით ხარატი—ხეზე მეჩუქურთმე (იხ. ა. ბებელი, მ. კალინინი) გლეხებისა და ხელოსნების ქომაგი.

დ ა ლ ა მ ბ ე რ ი (ანუ **დ'ა ლ ა მ ბ ე რ ი**, მამით—**დ ე ტ უ შ ი** *), **ჟ ა ნ ლ ე რ ო ნ ი** (**უ ფ რ ო ს წ ო რ ი — ჟ ა ნ ლ ე რ ო ნ ი**, 1717—1783) — ფრანგი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი, „განათლების ხანის" გამოჩენილი მოღვაწე, დ. დიდროსთან ერთად „ენციკლოპედიის" დამაარსებელი და გამომცემელი. პარიზის, პეტერბურგის და სხვა აკადემიების წევრი. ვეღარ გაუძლო რეაქციის მხრივ დევნას და ჩამოშორდა „ენციკლოპედიის" გამოცემას.

დ ა ნ ტ ე, ა ლ ი გ ი ე რ ი [დანტე სახელია, რომლითაც ის უფროა ცნობილი (იხ. რაფაელი, ტიციანე) და რომელიც წარმოდგება მონათვლის დროს მიღებული სახელიდან **დ ი უ რ ა ნ ტ ე**, ხოლო **ა ლ ი გ ი ე რ ი** — გვარია, 1265—1321] — უდიდესი იტალიელი პოეტი, მოქალაქე, მოაზროვნე და პოლიტიკური მოღვაწე, იტალიური პოეზიისა და პროზის მამამთავარი, პაპებისა და ფეოდალური ანარქიის შეურიგებელი მტერი. თავის დროის უგანათლებულესი ადამიანი. პოლიტიკური პარტიების ბრძოლის შედეგად სამუდამოდ იქნა განდევნილი მშობლიური ფლორენციიდან. თავისი სახელმოხვეჭილი „ღვთაებრივი კომედიის" უდიდესი ნაწილი მან დასწერა განდევნაში (იხ. ვ. პიუგო).

დ ა ნ ტ ე კ ი, ფ ე ლ ი ქ ს ი (იხ. **ლ ე დ ა ნ ტ ე კ ი, ფ ე ლ ი ქ ს ი**).

დ ა რ ვ ი ნ ი, ჩ ა რ ლ ზ რ ო ბ ე რ ტ ი (1809—82)—გენიალური ინგლისელი მეცნიერი-ბუნებისმეტყველი; თანამედროვე ევოლუციონური მოძღვრების — „დარვინიზმის" შემქმნელი, მეცნიერულ-ევოლუციონური ბიოლოგიის ფუძემდებელი, თავის მსოფლმხედველობით სტიქიური მატერიალისტი და ათეისტი, რომლის დიდი დამსახურება იმაშია, რომ მან, თავის მოძღვრებით, ხელი შეუწყო მატერიალიზმის იდეალიზმზე გამარჯვებას ცოცხალი ბუნების შეცნობაში.

დ ე ვ ი ნ ი ი (იხ. **ვ ი ნ ი ი, ა ლ ფ რ ე დ ვ ი ქ ტ ო რ დ ე**).

დ ე კ ა რ ტ ი, რ ე ნ ე (გალათინებული **რ ე ნ ა ტ უ ს კ ა რ ტ ე ზ ი უ ს ი** **** ფსევდონიმი, 1596 — 1650) — უდიდესი ფრანგი ფილოსოფოსი; მათემატიკოსი და მეცნიერი. ახალი დროის მეცნიერული მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ და მეცნიერულ რაციონალიზმის ფუძემდებელი და მამამთავარი, თანამედროვე მატერიალისტური ბუნებისმეტყველების (ფიზიკა, ფიზიოლოგია) შემქმნელი.

დ ე ლ ი ლ ი, ჟ ა კ ი (1738—1813) — ფრანგი პოეტი და მთარგმნელი. საფრანგეთის აკადემიის წევრი. მღვდელი. რევოლუციური დღესასწაულების

---

* დალამბერი იყო სამხედრო ინჟინრის **დ ე ტ უ შ ი ს** ღა ცნობილი სალონის დიასახლისის **ტ ა ნ ს ე ნ ი ს** ქორწინებისგარეშე შვილი. მშობლების მიერ ქუჩაში მიგდებული და პოლიციელის მიერ ნაპოვნი უსუსური ბავშვი აღმზარდა ღარიბი მეშუშის ოჯახში, სადაც დალამბერმა დაპყო თავის აღმზრდელ-დედობილთან 40 წელზე მეტი.

** **კ ა რ ტ ე ზ ი უ ს** — აქედან ტერმინები: **კ ა რ ტ ე ზ ი ა ნ უ ლ ი ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა** — დეკარტის ფილოსოფია და **კ ა რ ტ ე ზ ი ა ნ ე ლ ე ბ ი**—დეკარტის მიმდევრები.

აქტიური მონაწილე. 9 თერმიდორის (1794 წ. 27 ივლისი) გადატრიალების შემდეგ იძულებული იყო გადახვეწილიყო საშშობლოდან.

დ ე მ ო კ რ ი ტ ე ა ბ დ ე რ ე ლ ი (460—370 ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი-მატერიალისტი, ატომისტური ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ღრმა და მრავალმხრივი მეცნიერი, მახვილგონიერი მოაზროვნე, გამოჩენილი ბიოლოგი.

დ ე მ ო ფ ი ლ ე (V—IV ს. ჩვ. წ-დე) — ძველი ბერძენი ისტორიკოსი, ისტორიკოს **ე ფ ო რ ო ს კ ვ ი მ ე ლ ი ს** (მცირე აზია) შვილი. დაასრულა მამის შრომა „ისტორია“, რომლის 30 წიგნიდან მან დასწერა უკანასკნელი, მე-30 წიგნი.

დ ე ტ უ შ ი (საკუთრივ — **ნ ე რ ი კ ო**), **ფ ი ლ ი პ ე** (1580—1754). ფრანგი დრამატურგი, ყოფილი მოარული მსახიობი, „მეშჩანური დრამის“ საუკეთესო წარმომადგენელი, პუმორითა და გონებამახვილი აზრებით აღვსილი კომედიებისა და ეპიგრამების ავტორი. პარიზის აკადემიის წევრი.

დ ე ფ ო (იგივე—**დ ე ფ ო უ**. მამით—**ფ ო უ**. საკუთრ.—**ფ ო ე**). **დ ა ნ ი ე ლ ი** (1660—1731) —გამოჩენილი ინგლისელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, ინგლისური ბურჟუაზიული რეალისტური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ეკონომისტი-რეფორმატორი, ჟურნალისტი-სატირიკოსი, და პამფლეტისტი, ინგლისში პირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის დამაარსებელი და გამომცემელი. სახელმოხვეჭილი რომანის „რობინზონ კრუზოს“ ავტორი. ოფიციალური ანგლიკანური (ინგლისური) ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ანონიმური გესლიანი პამფლეტისათვის იქნა დაპატიმრებული. საპატიმროში დაიწყო სატირული „მიმოხილვის“ წერა.

დ ი დ რ ო, დ ე ნ ი (1713—84) — უდიდესი ფრანგი მოაზროვნე-ენციკლოპედისტი, ფილოსოფოსი-მატერიალისტი და ათეისტი, მეცნიერი და პუბლიცისტი, გამოჩენილი მწერალი, დრამატურგი, რომანისტი, პოეტი, ხელოვნების თეორეტიკოსი; ფრანგული განათლების ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, ჟ. დალამბერთან ერთად „ენციკლოპედიის“ დამაარსებელი, მისი რედაქტორი და გამომცემელი. ენციკლოპედისტთა მეთაური. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის და სამხატვრო აკადემიის წევრი.

დ ი ზ რ ა ე ლ ი (შემდეგში—ლორდი **ბ ი კ ო ნ ს ფ ი ლ დ ი**). **ბ ე ნ ჯ ა მ ე ნ ი** (1804—81) — ინგლისელი (ტომით ებრაელი) სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი-რომანისტი. ჯერ ლიბერალი და „ახალგაზრდა ინგლისის“ პარტიის დამაარსებელი, შემდეგ კონსერვატორთა იდეოლოგი და ლიდერი, რომლის სახელთან დაკავშირებულია იმპერიალიზმის აყვავების დასაწყისი.

დ ი კ ე ნ ს ი, ჩ ა რ ლ ზ ი (1812—70) — სახელგანთქმული ინგლისელი ეროვნული მწერალი-რომანისტი, მე-19 ს. რეალისტური რომანის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი უდიდესი პუნორისტი. ჩ. დიკენსს არ მიუღია არავითარი სისტემატური განათლება (სკოლაში დაპყო მხოლოდ ორ წელს) და მთელს თავის წარმატებას

ცხოვრებაში მიაღწია მხოლოდ პირადი შრომით, მუყაითობით და თვითგანათლებით (იხ. მ. გორკი, ი. მიჩურინი, ბ. ფრანკლინი) თეატრში ნახული უ. შექსპირის პიესით აღტაცებულმა 6 წლის ჩ. დიკენსმა თვით დასწერა ტრაგედია „მისმარი—ინდოეთის სულთანი", რომელსაც დგამდა სახლში თავის ტოლ-ამხანაგებთან ერთად (იხ. ფ. ლოპე დე ვეგა, ს. ნადსონი, ა. პუშკინი).

დ ი ო ნ ი ს ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი (აგრ.—დ ი ო ნ ი ს ე I, უ ფ რ ო ს ი, მიახლ. 431—367 ჩვ წ-დე)—სირაკუზის ტირანი (მმართველი; 406 წ-დან ჩვ. წ-დე). აქტიური დამპყრობლური პოლიტიკის მატარებელი, უპრინციპო დესპოტი-პოლიტიკოსი; მამაცი და გაბედული, ჭკვიანი და გონებამახვილი, მაგრამ, იმავე დროს, ძალაუფლების, პატივისა და დიდების მოყვარული, ულმობელი და ცბიერი, იჭვიანი და მიუნდობელი, მოღალატე და მძარცველი, დევნისა და ღალატის მანიით გამსჭვალული ადამიანი, რომელიც ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის არ თაკილობდა არავითარი საშუალების გამოყენებას. დემაგოგიური მოსაზრებებით მიემხრო ღარიბ მოსახლეობას და მიაღწია სტრატეგობას *; შექმნა მძლავრი არმია და ფლოტი და ებრძოდა კართაგენსა და საბერძნეთის ქალაქებს სიცილიაში და სამხრ. იტალიაში; ბევრი მათგანი დაანგრია და აოხრა, მოსახლეობა კი შემუსრა და გაპყიდა მონებად. ვერ ითმენდა რა თავისუფალი აზრის ოდნავ გამოვლინებასაც კი, მან, შეურაცხყოფილმა ფილოსოფოს პლატონის პირდაპირი და თავისუფალი სიტყვებით, განდევნა ის (სხვა წყაროებით — გაპყიდა მონად). — განდიდების მანიით შეპყრობილ დიონისეს სურდა აგრეთვე თავი ესახელებია როგორც პოეტსა და მწერალსაც (იხ. ნერონი). გაგზავნა საბერძნეთში ბრწყინვალე საელჩო და რაფსოდები **, რომელთაც უნდა ემღერნათ ოლიმპიადაზე მისი ლექსები, მაგრამ მისი საგუნდო სიმღერები ბერძნების მიერ გამოსტუმრებული იქნა სტვენითა და დაცინვით. — გარდაიცვალა უზომოდ დათრობით ქეიფზე, რომელიც გახარებულმა გამართა იმის გამო, რომ ათენელებმა ლენეის დღესასწაულზე პირველი ჯილდო მიანიჭეს მის ტრაგედიას.

დ ი ო გ ე ნ ე ლ ა ე რ ტ ე ლ ი (ე. ი. ქ. ლაერტიდან), ანუ დ ი ო გ ე ნ ე ლ ა ე რ ტ ი. — მე-3 ს. ძველი ბერძენი მეცნიერი, ფილოსოფიის ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსი და ცნობილი კომპილატორი, რომლის თხზულება „ფილოსოფიაში განთქმულ ადამიანთა ცხოვრება და მოძღვრება", მიუხედავად იმისა, რომ მასში ბევრი წინააღმდეგობა და არასიზუსტეა, წარმოადგენს ძვირფას წყაროს ძველი ბერძნული ფილოსოფიის გასაცნობად, რადგან მასში შემონახულია ციტატები ფილოსოფოსთა ისეთ ნაწარმოებებიდან, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

---

* ს ტ რ ა ტ ე გ ი — ძვ. საბერძნეთში ჯარის მთავარსარდალი, რომელიც განაგებდა აგრეთვე სახელმწიფოს საგარეო საქმეებს და ნაწილობრივ ფინანსებსა და სასამართლოს.

** რ ა ფ ს ო დ ე ბ ი — ძველ საბერძნეთში მოხეტიალე მომღერლები. ხალხური სიმღერების შემკრებნი და ეპიკური პოემების შემსრულებელნი.

დიუ, დეფანი, მარი ანა (ქამით — **დე ვიში შამრონი**, 1697—1780) — პარიზის ცნობილი სალონის დიასახლისი, რომელმაც თავისი Ძდიდრად დაჯილდოებული ბუნების თვისებებისა და ნიჭის წყალობით თავის ირგვლივ შემოიკრიბა მე-18 ს. მეცნიერულ აზროვნებისა და განმანათლებელ მოძრაობის უგამოჩენილესი წარმომადგენლები: ვოლტერი, შონტესკიე, დიდრო, დალამბერი, ბიუფონი, ტიურგო, იუმი, პარლამენტის პრეზიდენტი ენო, ინგლისელი მწერალი ჰორას უოლპოლი. ლიტერატურაში ცნობილია თავის მიწერ-მოწერით ბევრ მათთან.

დიურინგსფელდი, იდა (1815—76) — გერმანელი პოეტი, მწერალი-რომანისტი და ენათმცოდნე ქალი.

დობროლიუბოვი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (ფსევდონიმები: **იაკობ ხამი, ანდრეი კრიტსკი**, ბოვი, 1836—61) — დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატი, ლიტერატურული კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მეცნიერი და ფილოსოფოსი-მატერიალისტი, რუსეთში რევოლუციონურ მარქსიზმისა და მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის წინამორბედი. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პოლიტიკური და ლირიკული ლექსები.

დოდე, ალფონსი (ფსევდონიმი—**გასტონ მარი**, 1840—97)— რეალისტური სკოლის ცნობილი ფრანგი წერილბურჟუაზიული მწერალი-რომანისტი, Ძხატვრული პროზის საუცხოო ოსტატი. ყოფილი მასწავლებელი.

დოსტოევსკი თედორე მიხეილის ძე (1821—81) — ცნობილი რუსი მწერალი-რომანისტი, ფსიქოლოგიური რომანის გამოჩენილი წარმომადგენელი.

დრაიზერი, თეოდორი (1871—1945) — გამოჩენილი ამერიკელი (ტომით გერმანელი) მწერალი-რეალისტი და საზოგადო მოღვაწე. სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა პროპაგანდისტი, მსოფლიო რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი.

„დროება“ — ქართული გაზეთი. ქართული ბურჟუაზიული ინტელიგენციის პროგრესული მიმართულების, „მეორე დასის“ ორგანო. გამოდიოდა 1866 წ-დან 1885 წ-დე. ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა დროს მისი რედაქტორები იყვნენ: გ. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ჭავჭავაძე და ი. მაჩაბელი. 1868 წ-დე „დროება“ გამოდიოდა ყოველკვირეულად, შემდეგ 1877 წ-დე — კვირაში სამჯერ, ხოლო 1877 წლიდან კი — ყოველდღიურად. პროგრესული იდეების გავრცელებისათვის „დროებამ“ განიცადა მრავალი დევნა და შევიწროება და ბოლოს, 1885 წელს, მეფის მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით მისი გამოსვლა იქნა შეწყვეტილი.

ებნერ-ეშენბახი (Ძამით — **ფონ დუბსკი**). **მარი** (1830—1916) — პოპულარული ავსტრიელი მწერალი ქალი. ბელეტრისტი. ყოფილი მსაᲑიობი.

ედისონი, თომას ალვა (1847—1931) — გამოჩენილი ამერიკელი (ტომით პოლანდიელი) ელექტრო-ტექნიკოსი, გამომგონებელი და დიდ

ელექტრო-ტექნიკურ საწარმოთა და კომპანიების დამაარსებელი ამერიკასა და ევროპაში. მის შემოქმედებასთან დაკავშირებულია კაპიტალისტური ტექნიკის განვითარების უდიდესი ზოლი. მიიღო მხოლოდ პირველდაწყებითი განათლება, რის შემდეგ 12 წლის ასაკიდან იყო გაზეთის დამტარებელი და ტკბილეულობის გამყიდველი მატარებელში; შემდეგ, 15 წლის ასაკიდან, საკუთარი პატარა გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი, მთავარი თანამშრომელი, ასოთამწყობი და გამყიდველი, 16 წლის ასაკიდან — ტელეგრაფისტი და ცნობილი გამომგონებელი (იხ. ი. მიჩურინი, ბ. ფრანკლინი, კ. ციოლკოვსკი).

ეკატერინე II (პროტესტანტობიდან მართლმადიდებლობაში გადასვლამდე—სოფია-ფრედერიკა-ავგუსტა, მამით — ანჰალტ-ცერბსტი*, 1729—96) — რუსეთის იმპერატორი-ქალი, პეტრე III-ის მეუღლე (ტომით გერმანელი) და მისი ტახტის მემკვიდრე; რუსეთის აბსოლუტიზმის ყველაზედ ტიპიური წარმომადგენელი. გამეფების დასაწყისში ფრანგ განმანათლებელთა ფილოსოფიით გატაცებული, იყო მათთან მიწერ-მოწერაში და მატერიალურად ხელს უწყობდა მათ (ვოლტერი, დიდრო), შემდეგ, პუგაჩოვის ამბოხებით და საფრანგეთის რევოლუციით დამფრთხალი, ხდება თავად-აზნაურული დიქტატურის მგზნებარე დამცველი (იხ. ფრ. გენცი, კ. გუცკოვი, ს. კოლრიჯი, რ. სოუთი). მის კალამს ეკუთვნის ლიტერატურული და მხატვრული თვალსაზრისით დაბალი ღირსების სატირული კომედიები, ოპერები, ერთაქტიანი პიესები და აგრეთვე პუბლიცისტური, პედაგოგიკური წერილები, საბავშვო დამრიგებლური მოთხრობები და მემუარები.

„ეკლეზიასტი“ — ებრაული სახელწოდება ძველი აღთქმის (იხ. „ბიბლია“) ერთ-ერთი ბიბლიური წიგნისა, რომლის ავტორობას ებრაული და ქრისტიანული ტრადიცია უძველეს დროიდან შეცდომით მიაწერს ისრაელთა და იუდეველთა გაერთიანებულ სახელმწიფოს მეფეს სოლომონს (იხ. სოლომონ ბრძენი). ეს სახელწოდება არის ებრაული თარგმანი ებრაული სიტყვისა კოღელეთი Koheleth; (აქედან — კაღალი — „კრებაზე მოქადაგე“).

ელიოტი ჯორჯ (იხ. ჯორჯ ელიოტი).

ემერსონი, რაფლ უოლდო (1803—62)—ცნობილი ჩრდილოამერიკელი ფილოსოფოსი-იდეალისტი, კრიტიკოსი, ესეისტი, პუბლიცისტი, პოეტი და ლექტორი, ამერიკაში მონობის მოსპობისათვის მოძრაობის მხურვალე მონაწილე.

ენგელსი, ფრიდრიხი (1820—95)—გამოჩენილი გერმანელი ეკონომისტი, ფილოსოფოსი, ლიტერატურული კრიტიკოსი, სამხედრო სპეციალისტი და მწერალი, სოციალისტი, რევოლუციონური დემოკრატი, ისტორიული მატერიალიზმის თეორეტიკოსი, მეცნიერული სოციალიზმის—კომუნიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, კ. მარქსის უახლოესი მეგობარი, თანამშრომელი და თანამებრძოლი და მისი იდეების უნივერსალური პოპულარიზატორი. თანახმად

---

* გვარი ანჰალტ-ცერბსტი წარმოსდგება საპერცოგო ანჰალტის (Anhalt) ქ. ცერბსტის (Zerbst) სახელიდან.

ენგელსის სურვილისა გარდაცვალების შემდეგ მის ცხედარს გაუკეთდა კრემაცია, ხოლო ურნა ფერფლით ჩაშვებულ იქნა ზღვაში ქ. ისტბორთან (ჩრდ.-აღმოს. ინგლისში), სადაც მას უყვარდა დასვენება.

ეპიკურე (341—270 ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი-მატერიალისტი-ატომისტი, ძველი დროის უდიდესი განმანათლებელი-ათეისტი. 306 წ. ჩვ. წ-დე დაარსა ათენში თავის დროზე მეტად პოპულარული ფილოსოფიური სკოლა ე. წ. „ეპიკურეს ბაღი", რომელმაც იარსება რამდენიმე საუკუნე.

ერაზმ როტერდამელი (აგრეთვე დეზიდერიუსი — „სანატრელი", „სანუკვარი") გერპარდ გერპარდის ფსევდონიმები; ნამდვილი გვარი — Praet (1466 — 1536). — აღორძინების ხანის გამოჩენილი პოლანდიელი ჰუმანისტი, სქოლასტიკურ მეცნიერებისა და კათოლიკურ სამღვდელოების წინააღმდეგ მებრძოლი, მრავალმხრივ განათლებული და არაჩვეულებრივად ნაყოფიერი მწერალი-პამფლეტისტი და ძველი დროის მწერლების ბრძნული თქმების კომპილატორი.

ერისთავი, რაფიელ დავითის ძე (1824—1901) — ცნობილი პოეტი და ეთნოგრაფი, მწერალი-პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი და ლინგვისტი.

ეტვეში, იოზეფი (1813—71) — ცნობილი უნგრელი (ტომით მადიარი) ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების მწერალი, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, პარლამენტის ბრწყინვალე ორატორი და სახალხო განათლების ენერგიული რეფორმატორი. 1866 წ-დან უნგრეთის აკადემიის პირველი პრეზიდენტი.

ვაზეხი, მირზა შაფი (1805—52) — აზერბაიჯანელი პოეტი ლირიკოსი და სატირიკოსი, პროგრესული მოაზროვნე და მეცნიერი-განმანათლებელი, სასულიერო წოდების, რელიგიური ფანატიზმისა და დესპოტიზმის გაბედული მამხილებელი, ადამიანის პიროვნების თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლი-ოპტიმისტი, განათლებისა და, პირველ რიგში, რუსული მოწინავე კულტურის იდეების პროპაგანდისტი. 40-ან წ-ში გადმოსახლდა განჯიდან (ახლა კიროვაბადი) თბილისში, სადაც ასწავლიდა აზერბაიჯანულ და სპარსულ ენებს სამაზრო სასწავლებელში; აქვე დააარსა ლიტერატურულ-ფილოსოფიური „სიბრძნის წრე". ევროპას, და იქიდან რუსეთს, მირზა შაფის შემოქმედება გააცნო გერმანელმა პოეტმა და მოგზაურმა ფრ. ბოდენშტედტმა (იხ.), რომელიც აქ მასთან აღმოსავლურ ენებს სწავლობდა და რომელმაც შემდეგში გერმანულად თარგმნილი მისი ლექსები „მირზა შაფის სიმღერების" სახელით ევროპის საზოგადოებას გააცნო.

ვავილოვი, სერგი ივანეს ძე (1891—1951) — საბჭოთა მეცნიერი-ფიზიკოსი, და გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი.

ვაჟა ფშაველა (ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილის ფსევდონიმი, 1861—1915) — დიდი ქართველი პოეტი, მწერალი, კრიტიკოსი

და პუბლიცისტი. მწყემსი და სოფლის მეურნე. ყოფილი მასწავლებელი. მგზნებარე პატრიოტი და ჰუმანისტი, თავისუფლებისა და სამართლიანობის მაღალი იდეების მატარებელი და შთაგონებული მომღერალი, თვითმპყრობლობის, სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ შეურიგებელი და გმირული სულისკვეთებით გამსჭვალული მებრძოლი.

ვ ა რ დ ა ნ ა ი გ ე კ ც ი* (ე. ი. აიგეკელი, XII—XIII სს.) — დიდი სომეხი იგავთმწერალი, რომლის იგავები, ანეგდოტები და ნოველები წარმოადგენს ანტიფეოდალურ და ეკლესიისა და სარწმუნოების წინააღმდეგ მიმართულ ხალხური სატირის მკვეთრ ნიმუშს.

ვ ა რ ნ ა ჰ ა გ ე ნ ფ ო ნ ე ნ ზ ე (მამით — ლ ე ვ ი ნ-მ ა რ კ უ ს ი), რ ა ჰ ე ლ ა ნ ტ ო ნ ი ა ფ რ ე დ ე რ ი კ ა, უფრო ცნობილია რ ა ჰ ე ლ ი ს სახელით (1771—1833)—გერმანელი საზოგადო მოღვაწე და ცნობილი ლიტერატურული სალონის დიასახლისი, რომლის ირგვლივ თითქმის 30 წლის მანძილზე იკრიბებოდა მე-19 ს. პირველი მეოთხედის თითქმის ყველა მოწინავე გერმანელი ადამიანები (ჰაინე, ლ. ბერნე, ფრ. შლეგელი, შამისო, ვ. ჰუმბოლტი, შელინგი, ფიხტე, გუცკოვი და სხვ.). ლიტერატურაში ცნობილია ბევრ მათთან მიწერ-მოწერით. ღრმა კვალი, რომელიც მან დასტოვა გერმანიის გონებრივ ცხოვრებაში უმთავრესად აიხსნება მით, რომ მან პირველმა გაიგო და შეაფასა გოეთე და აუწყა საზოგადოებას მისი მნიშვნელობა.

ვ ა შ ი ნ გ ტ ო ნ ი, ჯ ო რ ჯ ი (1732—99) — ჩრდ.-ამერიკის ინგლისის კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ხანის უდიდესი ამერიკელი (ტომით ინგლისელი) პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ამერიკის გამანთავისუფლებელი ჯარების მთავარსარდალი, მტკიცე და ენერგიული ადმინისტრატორი, უდიდესი ორგანიზატორი, ჰეშმარიტი რესპუბლიკანელი, მგზნებარე პატრიოტი და თავისუფლებისათვის მამაცი და თავდადებული მებრძოლი, ჩრდ-ამერიკის შეერთ. შტატების პირველი პრეზიდენტი (1789—97).

ვ ა ხ ტ ა ნ გ (ლ ე ვ ა ნ ი ს ძ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) VI. ს ჯ უ ლ მ დ ე ბ ე ლ ი (1675—1737) — საქართველოს (ქართლის) მეფე (1705—24). გამოჩენილი პოლიტიკური და კულტურული მოღვაწე, პოეტი-ლირიკოსი, მეცნიერი, მწერალი, ისტორიკოსი. მთარგმნელი და კანონმდებელი. საქართველოში პირველი ქართული სტამბის დამაარსებელი (1709); გამოსცა „ვეფხის ტყაოსანი“ თავის კომენტარებით, შეადგინა ე. წ. „ვახტანგის კანონები“. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით გამოწვეული სპარსეთთან და ოსმალეთთან შექმნილ გამწვავებულ მდგომარეობის გამო იძულებული იყო სამუდამოდ გადასახლებულიყო რუსეთს. გარდაიცვალა ემიგრაციაში ქ. ასტრახანში.

ვ ე ბ ე რ ი, კ ა რ ლ ი ო ლ ი უ ს ი (1767—1832) — გერმანელი მწერალი-რომანისტი. ისტორიული თვალსაზრისით მდარე, მაგრამ ბრწყინვალე

---

* მეტსახელი ა ი გ ე კ ც ი წარმოშობილია აიგეკის მონასტრიდან კილიკიაში (ოსმალეთი), სადაც ვ ა რ დ ა ნ მ ა დაპყო თავის სიცოცხლის მეტი ნაწილი.

პუმორით, ფართო ნაკითხობით, დაკვირვებულობით და ორიგინალობით აღნიშნული ისტორიული თხზულებების ავტორი.

ვ ერ გ ი ლ ი უ ს ი (სრულად: — პ უ ბ ლ ი უ ს ვ ერ გ ი ლ ი უ ს მ ა რ ო, 70—19 ჩვ. წ-დე) — სახელგანთქმული რომაელი პოეტი, რომელმაც თავის შემოქმედებით და დახვეწილი სტილით უდიდესი გავლენა იქონია როგორც რომაული ლიტერატურის ისე მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაზე.

ვ ერ ნ ი, ჟ ი უ ლ ი (1828—1905) — ფრანგი მწერალი, მეცნიერულ-ფანტასტიკური სათავგადასავლო რომანების ავტორი; ბელეტრისტიკაში სრულიად ახალი, სათავგადასავლო ჟანრის და მეცნიერული რომანის ფუძემდებელი, რომელიც თავისი მდიდარი ფანტაზიით ხშირად განსჯვრეტდა ხოლმე მეცნიერებისა და ტექნიკის მოსალოდნელ მიღწევებს.

ვ ი ლ ა ნ დ ი, ქ რ ი ს ტ ო ფ მ ა რ ტ ი ნ ი (1733—1813) — ცნობილი გერმანელი პოეტი, მწერალი და მთარგმნელი. ერფურტის უნივერსიტეტის პროფესორი. გერმანიაში ხელოვნებისა და ლიტერატურის პირველი ჟურნალის „Der Deutsche Mercur"-ის გამომცემელი და რედაქტორი.

ვ ი ლ ი ა მ ს ი, ვ ა ს ი ლ ი რ ო ბ ერ ტ ი ს ძ ე (1863—1939) — გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი-ნიადაგმცოდნე, თანამედროვე აგრობიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საბჭოთა მშენებლობის აქტიური და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი.

ვ ი ნ ი ი, ა ლ ფ რ ე დ ვ ი ქ ტ ო რ დ ე (1797—1863).—გამოჩენილი ფრანგი მწერალი-რომანტიკოსი, ფილოლოგი, კრიტიკოსი. ისტორიკოსი და ორატორი, ბურჟუაზიული წესწყობილებისა და მეფის აბსოლუტიზმისადმი შეურიგებლად განწყობილი პოეტი-არისტოკრატი.

„ვ ი ს რ ა მ ი ა ნ ი" — მე-11 ს. ტაჯიკურ ენაზე (ფალაური ორიგინალიდან) პოეტის ფ ა ხ რ ი დ ი ნ ა ს ა დ ი გ უ რ ჯ ა ნ ი ს (იხ.) მიერ ლექსად დაწერილი „ვისი და რამინის" („ვის-ო-რამინ") ქართული პროზაული თარგმანი, შესრულებული (ზოგიერთი მონაცემებით) ქართველი პოეტის ს ა რ გ ი ს თ მ ო გ ვ ე ლ ი ს მიერ მე-12 ს-ში. შემდეგში ეს პროზაული თარგმანი გალექსა პოეტმა ა რ ჩ ი ლ მ ა. „ვისრამიანის" ქართული ტექსტი გამოცემულია ორჯერ (1884 და 1938 წწ.).

ვ ო ვ ე ნ ა რ გ ი, ლ ი უ კ დ ე კ ლ ა პ ი ე (1715—47) — ცნობილი ფრანგი მწერალი-მორალისტი. ღრმა დაკვირვებულობით და ცხოვრების ცოდნით აღნიშნული „აფორიზმების" ავტორი. ყოფილი ოფიცერი.

ვ ო ლ ტ ე რ ი (ფ რ ა ნ ს უ ა-მ ა რ ი ა რ უ ე ს ფსევდონიმი, 1694—1778) — ფრანგული ბურჟუაზიული განათლების ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე, მწერალი-განმანათლებელი, პოეტი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, სატირიკოსი და პამფლეტისტი. საფრანგეთის აკადემიის წევრი, დ. დიდროს „ენციკლოპედიის" უახლოესი თანამშრომელი; შუა საუკუნეების გადანაშთების, კათოლიკურ ეკლესიის რელიგიურ ფანატიზმის, ბატონყმობის, ცრუმორწმუნეობისა და მანკიერ ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ შეე-

რიგებელი და გაბედული მებრძოლი; ადამიანის პიროვნებისა და ღირსების ქომაგი, თავისუფლებისა და განათლების მედროშე.

ვოლტერი გარდაიცვალა მეტის-მეტი სიხარულისა და მღელვარებისაგან (იხ. ქილონი *), რომელიც მასში გამოიწვია მრავალი წლის განმავლობაში ემიგრაციაში ყოფნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებისას არაჩვეულებრივი პატივისცემით შეხვედრამ და ბოლოს იმ უდიდესმა წარმატებამ და ოვაციებმა, რომელიც წილად ხვდა მის უკანასკნელ პიესას „ირენას“. სიკვდილის წინ კათოლიკური ეკლესიის მსახურნი შეეცადნენ გამოეტყუებინათ ვოლტერისაგან მისი ათეისტური შეხედულებების წერილობითი შენანიება (იხ. ჯ. ბრუნო, ლ. ტოლსტოი). მიუხედავად ვოლტერის ფორმალური განცხადებისა ეკლესიასთან შერიგებაზე, რაც გამოწვეული იყო შიშით, რომ მას სიკვდილის შემდეგ ეკლესია არ დასაფლავებდა, ეკლესიის მსახურებმა მაინც უარი თქვეს მის დასაფლავებაზე. ამის გამო მისი დასაფლავება დიდი ვაი-ვაგლახით მოხერხდა არა პარიზში, არამედ პროვინცია შაპანის ერთ-ერთ პატარა სოფელში (იხ. ჯ. ბაირონი) საიდანაც მისი ნეშტი რევოლუციის დროს გადატანილი და დიდი ზეიმით იქნა დაკრძალული პარიზის პანთეონში, ერთდროულად ჟ.-ჟ. რუსოს დასაფლავების დღეს. რეაქციის გამარჯვების შემდეგ ვოლტერის მოძულეებმა ააოხრეს მისი აკლდამა, მისი ნეშტი კი გაპფანტეს ქალაქის სანაგვეზე (იხ. ო. კრომველი, ჰ. მირაბო, ჟ.-ჟ. რუსო).

ვ ურ გ უ ნ ი, ს ა მ ე დ ი (ს ა მ ე დ ვ ურ გ უ ნ ი უ ს ი ფ-ო ღ ლ ი ე ქ ი ლ ო ვ ი ს ლიტერატურული სახელი, 1906—1956) — გამოჩენილი აზერბაიჯანელი საბჭოთა პოეტი, დრამატურგი და თვალსაჩინო მოღვაწე. აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აზერბ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ვ უ ტ კ ე, ჰ ე ნ რ ი (იგივე — ა ნ რ ი, 1818—76) — გერმანელი ისტორიკოსი და ლიბერალური პოლიტიკური მოღვაწე, ლაიპციგის უნივერსიტეტის პროფესორი.

ზ ე ლ ი ნ ს კ ი, ნ ი კ ო ლ ო ზ დ ი მ ი ტ რ ი ს ძ ე (1864—1953)— გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი-ქიმიკოსი, საბჭოთა ქიმიკოსების დიდი სკოლის ფუძემდებელი. აკადემიკოსი. მეფის მთავრობის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად 1911 წ., სხვა, ასზე მეტ პროფესორთან და მასწავლებელთან ერთად, დემონსტრატიულად დასტოვა მოსკოვის უნივერსიტეტი, სადაც ის იყო პროფესორად (იხ. კ. ტიმირიაზოვი, ა. ფერსმანი).

ზ ო ლ ა, ე მ ი ლ ი (1840—92) გამოჩენილი ფრანგი (მამით იტალიელი) მწერალი-რომანისტი და პუბლიცისტი-დემოკრატი, ფრანგულ ლიტერატურაში მხატვრული ნატურალიზმის მეთაური და თეორეტიკოსი, დიდი საზოგადოებრივი შეგრძნების ადამიანი, რომელიც მარტოდმარტო და გაბედუ-

---

* ჩქარად ეცეს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა მეტისმეტსა (რუსთაველი)

ლად გამოვიდა უსამართლოდ დასჯილ ა. დრეიფუსის* დასაცავად (იხ. ფრ. ლემეტრი). გარდაიცვალა უბედური შემთხვევით: მოიწამლა მხუთრით.**

თალეს მილეტელი (624—548 ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის მილეტის სკოლის „შვიდ ბრძენთა" შორის ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსი, მოაზროვნე, მეცნიერი, მათემატიკოსი, ასტრონომი და პოლიტიკური მოღვაწე; ბერძნული სტიქიურ-მატერიალისტური ფილოსოფიის ფუძემდებელი.

თამარ მეფე (მიახლ. მე-12 ს. 60-იანი წლ.—1260) — საქართველოს მეფე-ქალი (1184 წ-ან) ბაგრატიონთა სამეფო გვარეულობიდან; მეფე **გიორგი III** ერთადერთი ასული. განაგრძობდა დავით აღმაშენებლის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეობას საქართველოს გაერთიანებისა და განმტკიცებისათვის. თვით თამარი განირჩეოდა სიბრძნით და სილამაზით და ძისი პიროვნება და მეფობა ხალხურ გადმოცემებში შებურვილია პოეტური შარავანდედით.

თეანო (VI ს. ჩვ. წ-დე) — პითაგორას ჯერ მოწაფე და შემდეგ მეუღლე. ცნობილი იყო თავისი გონებამახვილი და მოსწრებული სიტყვა-პასუხებით. მას მიაწერენ რამდენიმე წერილს ბავშვთა აღზრდაზე და ზნეობრივი ხასიათის ბრძნულ თქმებს.

თეიმურაზ I (1589—1663) — საქართველოს მეფე (1605—1648 დროგამოშვებით) — გამოჩენილი ქართველი პოეტი და მწერალი, ე. წ. „აღორძინების ხანის" აღმოსავლური მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგე-

---

* **დრეიფუსი ალფრედი** (1859—1935) — საფრანგეთის გენერალური შტაბის ოფიცერი (ტომით ებრაელი), რომელსაც აშკარა ცრუ ბრალი დასდვეს გერმანიისათვის საიდუმლო სამხედრო დოკუმენტების მიყიდვაში. სამხედრო სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად დრეიფუსს მიუსაჯა სამუდამო კატორღა, თუმცა მალე გამოირკვა, რომ ნამდვილი დამნაშავე იყო სხვა პირი, ამავე შტაბის ოფიცერი, ავსტრიელი ებრაელი **ესტერჰაზი** (Esterhazi). ამის გამო ე. ზოლამ მიმართა საფრანგეთის პრეზიდენტს ფრანსუა ფელიქს **ფორს** (Faure) ცნობილი წერილით, რომელიც იწყება სიტყვებით: „მე ბრალს ვსდებ". ამ წერილში ზოლა ბრალს სდებს სამხედრო სამინისტროს, გენერალურ შტაბს და სამხედრო სასამართლოს იმაში, რომ მათ შეგნებულად დასაჯეს სრულიად უდანაშაულო ადამიანი და გაამართლეს დამნაშავე ბოროტმოქმედი. სამხედრო ხროვამ ე. ზოლას ეს გამოსვლა ჩასთვალა არმიის შეურაცხყოფად და მოახერხა გამოეტანა სასამართლოს განაჩენი ზოლას ერთი წლით დაპატიმრების შესახებ, რასაც ზოლამ თავი დააღწია ორი წლით ინგლისში გაქცევით.

** **მხუთრი** — მხუთავი, მომწამველელი გაზი; წარმოიშობა ენგზგბიდის არასრული წვისაგან.

ნელი. საუცხოო პოეტი, მთარგმნელი და მამაცი მეომარი. რამდენჯერმე იქნა ტახტმიხდილი და გაძევებული და თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა ექსორიაში, ხან ოსმალეთში, ხან სპარსეთში, ხან რუსეთში, ხან რაჯაში. გარდაიცვალა პატიმრობაში ქ. ასტრაბადში (ირანი). თანახმად მისი სურვილისა, დაესაფლავებინათ სამშობლოში, თანამემამულეებმა შაპის ნებართვით, მისი ცხედარი წამოიღეს და დიდი პატივისცემით დაკრძალეს ალავერდის მონასტერში.

თ ე კ ე რ ე ი, უ ი ლ ი ა მ მ ე ი ბ კ ი ს ი (ფსევდონიმი — მ ი ქ ე ლ-ა ნ ჯ ე ლ ო ტ ი ტ მ ა რ შ ი, 1811—1863) — სახელგანთქმული ინგლისელი მწერალი-რეალისტი, რომანისტი-სატირიკოსი, ჟურნალისტი, ფელეტონისტი და მხატვარი-კარიკატურისტი (იხ. ნ. გოგოლი, ვ. მაიაკოვსკი, ა. მონიე, ე. ჰეკელი), ევროპიული რეალისტური რომანის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული მთელი წესწყობილების მკაცრი და მიუნდობელი მამხილებელი.

„თ ე მ ი“ — ქართული ყოველკვირეული წვრილბურჟუაზიული უპარტიო გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1911 1/I—1915 18/V. სულ გამოვიდა 219 ნომერი. რედაქტორები: გრ. დიასამიძე და სოფრ. მგალობლიშვილი (1912 6/VII—10/IX). გამომცემელი სოფრ. მგალობლიშვილი. სტამბა „სორაპანი“, შემდეგ „გერმესი“. 1912—1913 წწ. გაზეთს ჰქონდა სურათებიანი დამატება ამავე სახელწოდებით (რედ.-გამომცემელი გრ. დიასამიძე).

თ ო რ ო, ჰ ე ნ რ ი დ ა ვ ი დ (აგრ. — დ ე ი ვ ი დ, 1817—62) — ჩრდილო-ამერიკელი პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი-იდეალისტი, ბუნებისმეტყველი და სოციოლოგი-უტოპისტი, ზანგთა განთავისუფლებისათვის აქტიური მებრძოლი. ჯერ იყო მასწავლებელი, შემდეგ, დაუდეგარი ხასიათის გამო, ხან დურგალი, ხან ინჟინერი და დღიური მუშაც კი. 1845 წ. აიგო ტყეში ქოხი, სადაც ცხოვრობდა განმარტოებით 2½ წლის განმავლობაში, მუშაობდა ფიზიკურად და სწერდა თავის თხზულებებს.

თ უ კ ი დ ი დ ე (მიახლ. 460—396 ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის უდიდესი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. სტრატეგი. სპარტელებთან ომის დროს ესკადრის სარდალი. განდევნილი იქნა სამშობლოდან ერთ-ერთი სამხედრო ოპერაციის დაგვიანებისათვის. გადმოცემის თანახმად, დაიღუპა მკვლელის ხელით სამშობლოში დაბრუნების დროს.

თ უ მ ა ნ ი ა ნ ი, ო ვ ა ნ ეს თ ა თ ე ვ ო ს ი ს ძ ე (1869—1923) — გამოჩენილი სომეხი პოეტი, სომხური კლასიკური პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელი და საბავშვო მწერალი; ბრწყინვალე სტილისტი და საუცხოო მთარგმნელი.

ი ა კ ო ბ ს ი, ქ რ ი ს ტ ი ა ნ-ფ რ ი დ რ ი ხ-ვ ი ლ ჰ ე ლ მ ი (1764 — 1848) — გერმანელი ფილოლოგი და ბელეტრისტი. ცნობილია მრავალი თხზულებით ანტიკური მწერლობისა და კულტურის შესახებ და განსაკუთ-

---

* უ. თეკერეი თვით ასრულებდა თავისი თხზულებების ილუსტრაციებს.

რებით ელემენტარული ქრესტომათიებით ბერძნულ და ლათინურ ლიტერატურიდან.

იაკუშკინი, ივანე დიმიტრის ძე (1793—1857) — ცნობილი რუსი თავად-აზნაურული რევოლუციონერი, დეკაბრისტი. დეკაბრისტთა ფარული საზოგადოებების: ჯერ „Союз спасения"-ს, შემდეგ „Союз благоденствия"-ს ერთ-ერთი დაარსებელთაგანი. მეფის მთავრობის მიერ მიესაჯა სიკვდილით დასჯა, რომელიც ჯერ შეეცვალა 20 წლის კატორღით, შემდეგ ეს ვადა შეუმცირდა ნახევრად და ბოლოს იქნა ამნისტირებული.

იბსენი, ჰენრიკ იოჰანე (1828—1906) — უდიდესი ნორვეგიელი დრამატურგი-რეალისტი, პუბლიცისტი და თეატრალური მოღვაწე, ნორვეგიის ეროვნული ლიტერატურის კლასიკოსი. ყოფილი მოწაფე აფთიაქში, შემდეგ თეატრის რეჟისორი ქ. ბერგენში და ბოლოს თეატრის დირექტორი ქ. ქრისტიანიაში (ახლა ქ. ოსლო).

„იგავნი სოლომონისანი" (აგრ.—„წიგნი იგავთა სოლომონისათა", ებრ.—„კოღელეთი" — Koheleth) — ძველი აღქმის ბიბლიური წიგნი, რომლის ავტორობა ხალხური გადმოცემით მიეწერება ისრაელთა და იუდეელთა გაერთიანებული სახელმწიფოს ნეფეს სოლომონს (იხ. სოლომონ ბრძენი), თუმცა ცალკეული მისი ნაწილები დაწერილია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირთა მიერ. „იგავნი სოლომონისანი" შესდგება 31 თავისაგან, შეიცავს მოკლე, გონებამახვილ ბრძნულ თქმებს და წარმოადგენს სკეპტიკურ-პესიმისტური სულისკვეთებით გამსჭვალულ პოეტურ-დიდაქტიკურ თხზულებას. პოემას, რელიგიურ-ფილოსოფიურ ტრაქტატს, ძველი ებრაული სიბრძნის ერთგვარ კოდექსს.

იეთიმ გურჯი* (**იეთიმ იბრაჰიმის ძე დაბღიშვილი**, 1875—1940) — ნიჭიერი და შთაგონებული ქართველი ხალხური მგოსანი და ძველი თბილისის უბრალო მოქალაქეთა ღირსეული შვილი და საყვარელი აშუღი. პროფესიით მუსიკალური საკრავების ხელოსანი და ხაბაზი. ქართული ლექსების გარდა სწერდა აზერბაიჯანულ ლექსებსაც, ოღონდ ქართული ასოებით, რადგან მან მარტო ქართულად იცოდა წერა.

იერონიმე ნეტარი (საკუთრივ:—**ევსევი იერონიმე სოფრონიუსი**, მიახლ. 340—420) — დალმაციელი (ტომით სლავი) ღვთისმეტყველი, დასავლეთ ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე. ბერძნულიდან ლათინურად ბიბლიის გადათარგმნისათვის კათოლიკური ეკლესიის მიერ აღიარებულ იქნა „წმინდანად" და „ეკლესიის მოძღვრად". მის კალამს ეკუთვნის მრავალი დოგმატიკური, ისტორიული და ზნეობრივი ხასიათის თხზულება.

იესო ძე სირახისა (ებრ.—**იოშუა ბენ სირა**, III ს. ჩვ. წ-დე) — იუდეელი მწიგნობარი იერუსალიმიდან. ბრძნული თქმების, პრაქ-

---

*ი ე თ ი მ ანუ ობოლი — შერქმეული სახელია, ვინაიდან მას თვითტომნი არ ჰყოლია; გ უ რ ჯ ი (ქართველი) — მისი მამისათვის ოსმალეთში ტყვეობის დროს შერქმეული სახელია.

ტიკული მორალის წესებისა და დარიგებების კრებულის „დიდი სიბრძნის“ ავტორი.

ი მ ერ მ ა ნ ი, კ ა რ ლ ლ ე ბ რ ე ხ ტ ი (1794—1840)—გამოჩენილი გერმანელი პოეტი-რომანტიკოსი, მწერალი-რომანისტი, დრამატურგი, კრიტიკოსი და თეატრალური მოღვაწე. კ. დიუსელდორფის თეატრის დამაარსებელი და დირექტორი.

ი რ ვ ი ნ გ ი (აგრ.— ე რ ვ ი ნ გ ი), უ ო შ ი ნ გ ტ ო ნ ი (1783—1859)— ამერიკელი მწერალი, პუმორისტი და ესეისტი, ჩრდ. ამერიკის ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი და რომანტიზმის პირველი წარმომადგენელი ამერიკულ ლიტერატურაში.

ი უ ვ ე ნ ა ლ ი დ ე ც ი მ უ ს ი უ ნ ი ო ს ი (მიახლ. 60—140) — გამოჩენილი რომაელი პოეტი-სატირიკოსი, რომლის სატირებში განსაკუთრებული რეალიზმით არის მხილებული მისი დროის საზოგადოების გაბატონებული ფენების, საგვარეულო არისტოკრატიისა და ფულადი კაპიტალის წარჩომადგენელთა უხამსი და გარყვნილი ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი, მათი სიძულვილი მდაბიო ხალხისადმი და ღარიბ ინტელიგენციისადმი.

ი უ ლ ი ო ს გ ა ი უ ს კ ე ი ს ა რ ი (100—44 ჩვ. წ-დე)— ძველი რომის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, შესანიშნავი სარდალი და ბრწყინვალე ორატორი; პატრიცი* იულიოსების გვარეულობიდან. თავის დიქტატურით, რომელიც იყო მიმართული მონების აჯანყების და დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ და გამიზნული რესპუბლიკის სრული გაუქმების და რომის სახელმწიფოს აშკარა მონარქიად გადაქცევისაკენ, აიმხედრა არისტოკრატია, მხედრობა და სენატის წევრები და მოკლულ იქნა შეთქმულთა მიერ მისივე აღზრდილის მარკუს ბრუტუსისა და გაიუს კასიუსის (იხ.) მეთაურობით. ლიტერატურაში ცნობილია ისტორიული თხზულებებით, ტრაგედიებით, პოემებით, პოლიტიკური პამფლეტებით, ფილოლოგიური ტრაქტატით და სხვა შრომებით.

კ ა ბ ე, ე ტ ი ე ნ ი (1788—1856) — ცნობილი ფრანგი მწერალი, ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე, უტოპიერ, „მშვიდობიანი კომუნიზმის“ თვალსაჩინო წარმომადგენელი ფრანგულ ლიტერატურაში. ყოფილი ვექილი. 1830 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე, დეპუტატი და რამდენიმე რევოლუციონური გამოცემის რედაქტორი, „კომუნიზმის ყველაზედ პოპულარული, თუმცა ყველაზედ ზერელე წარმომადგენელი“ (კ. მარქსი).

კ ა ლ ი ნ ი ნ ი, მ ი ხ ე ი ლ ი ვ ა ნ ე ს ძ ე (1875—1946)—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უგანჩოჩენილესი მოღვაწე, ძველი ბოლშევიკი. მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი ნიჭიერი და დაუღალავი პროპაგანდისტი. ყოფილი ჯერ მოჯამაგირე ბენჩამულესთან, შემდეგ — მუშა მელითონე-ხარატი (იხ. ა. ბებელი, თ. პენი).

---

* პ ა ტ რ ი ც ი ე ბ ი — ძველ რომში მოსახლეობის უმაღლესი ფენა, არისტოკრატია, ხელისუფლების მფლობელ დიდებულთა გვარის ჩამომავლობა.

რამდენიჯერ იქნა დაპატიმრებული და გადასახლებული რევოლუციონური მუშაობისათვის ცარიზმის წინააღმდეგ.

ღარიბი გლეხის შვილმა, მ. კალინინმა დაამთავრა მხოლოდ დაბალი სასოფლო სკოლა, ხოლო საშუალო და უმაღლესი სკოლის მაგიერობა მას გაუწია რუსული ლიტერატურის კლასიკოსების, რევოლუციონერი დემოკრატების თხზულებების და არალეგალური ლიტერატურის კითხვამ, რომელმაც ღრმა გავლენა იქონია მისი რევოლუციონური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

კამოენსი (აგრ.—კამოინში), ლუის ვაზდე დე (1524—80) — უდიდესი პორტუგალელი ეპიკური პოეტი და პორტუგალიის ეროვნული პოეტი-ლირიკოსი, მგზნებარე პატრიოტი, განთავისუფლებული პიროვნებისა და გრძნობების თავისუფლების მომღერალი.

კანინგი, ჯორჯი (1770—1827) — ცნობილი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე.

კანტი, იმანუილი (1724—1804) — უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსი-იდეალისტი და მეცნიერი, გერმანული კლასიკური იდეალიზმის ე. წ. კრიტიკული ფილოსოფიის ფუძემდებელი და მამამთავარი, რევოლუციისა და დემოკრატიის მედგარი მტერი; ფილოსოფიის პროფესორი კენიგსბერგის უნივერსიტეტში. მზის სისტემის წარმოშვების შესახებ ე. წ. კანტ-ლაპლასის ცნობილი ჰიპოთეზის ავტორი.

კარამზინი, ნიკოლოზ მიხეილის ძე (1766—1826) — განოჩენილი რუსი მწერალი, ლიტერატორი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი, თავად-აზნაურული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი; მხატვრულ ლიტერატურაში რუსული სენტიმენტალიზმის მამამთავარი.

კარეევი, ნიკოლოზ ივანეს ძე (1850—1934) — ცნობილი რუსი ლიბერალურ-ბურჟუაზიული ისტორიკოსი და პუბლიცისტი, რომლის ცალკეულ შრომებს კ. მარქსმა და ფრ. ენგელსმა მაღალი შეფასება მისცეს. 1905-07 წწ. კადეტთა პარტიის წევრი და ჩისი ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი; 1929 წ-დან სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი.

კარლაილი, თომასი (1795—1881) — ცნობილი ინგლისელი ბურჟუაზიულ-იდეალისტური ფილოსოფოსი, მწერალი, ისტორიკოსი, კრიტიკოსი, ლიტერატურის ისტორიკოსი და პუბლიცისტი, რეაქციული ბურჟუაზიის იდეოლოგი, რომელიც „ჩინებულად ხატავს ინგლისის ბურჟუაზიას და მის საზიზღარ გაუმაძღრობას“ (კ. მარქსი).

კარლოს V ჰაბსბურგი (1500—58)—ესპანეთის მეფე (1517—56) და გერმანია-რომის იმპერატორი (1519—56), რომლის მმართველობის ქვეშ, ჯერ ნენკვიდრეობით და შემდეგ ფუგერთა* სავაჭრო-მეკახშურ სახლის ფი-

* ფუგერები ფულადი სესხებით ხელს უმართავდნენ ავსტრიისა და ესპანეთის ჰაბსბურგებს, ხოლო ეს უკანასკნელნი აძლევდნენ მათ სხვადასხვა გადასახადების აკრეფის, ვერცხლისა და სპილენძის მაღაროების და სხვა სამთო სამადნოების დამუშავებისა და მათი ექსპლოატაციის იჯარას და მრავალ სხვა პრივილეგიას.

ნანსიური დახმარებით, გაერთიანდა „უდიდესი მსოფლიო იმპერია“ ტერ-ტორიებით ევროპაში, აფრიკაში და ამერიკაშიაც კი (კასტილიის კოლონიები). მისი მეფობა აღნიშნულია დაუსრულებელი ომებით საფრანგეთთან, იტალიასთან, ოსმალეთთან და ინგლისთან და ბრძოლით რეფორმაციისა და თავადების ,წინააღმდეგ, დაძლეულმა ერთის მხრივ პროტესტანტების მიერ და დამარცხებულმა მეორეს მხრივ, საფრანგეთთან ომში გადადგა ტახტიდან და აღიკვეცა მონასტერში. ლიტერატურაში ცნობილია თავისი ავტობიოგრაფიული მემუარებით, რომლებიც დღესაც არ არის მოკლებული თავის ისტორიულ მნიშვნელობას.

კარმენ სილვა (რუმინეთის დედოფლის ელისაბედ-პოლინა-ოტილია-ლუიზას ლიტერატურული ფსევდონიმი, 1843—1916) — გერმანელი მწერალი ქალი. ცნობილია ლექსების კრებულებით, ბელეტრისტული თხზულებებით, თარგმანებით და რუმინული ეროვნული ლექსების გერმანულად გადაკეთებით. დიდი ღვაწლი მიუძღვის რუმინეთის ხელოვნებისათვის ხელისშეწყობაში და ევროპისათვის ახალგაზრდა რუმინული ლიტერატურის გაცნობაში.

კარპინსკი, ალექსანდრე პეტრეს ძე (1847—1936) — უდიდესი რუსი მეცნიერი-გეოლოგი, რუსული გეოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი და გამოჩენილი საზოგადო ნოღვაწე. აკადემიკოსი (1896 წ-ან), რუსეთისა და უცხოეთის მრავალ მეცნიერულ და კულტურულ საზოგადოებათა საპატიო წევრი.

კასიუსი, გაიუს ლონგინი (I ს. ჩვ. წ-დე) — რომაელი პოლიტიკური მოღვაწე. იულიოს კეისრისა და პომპეუსის ბრძოლაში იბრძოდა პომპეუსის მხარეზე; ტყვედ ჩაუვარდა კეისარს, რომელმაც ის შეიწყალა და გახადა ლეგატად.* მაგრამ სთვლიდა მას არასაიმედო პიროვნებად. ბრუტუსთან ერთად კეისრის წინააღმდეგ შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური და კეისრის მკვლელობის უშუალო მონაწილე. კეისრის დაღუპვის შემდეგ ვერ მიიმხრო რა ხალხის მასები, გაიქცა რომიდან აღმოსავლეთ პროვინციებში, შეუერთდა მასავით რომიდან გაქცეულ ბრუტუსს და მასთან ერთად დიდძალი შეერთებული ჯარით გაილაშქრა ტრიუმვირების ანტონიუსისა და ოქტავიანეს წინააღმდეგ. სასტიკად დამარცხებულმა და გაუგებრობის ნიადაგზე შეცდომით დარწმუნებულმა, რომ დამარცხდა აგრეთვე მისი მოკავშირე და თანამებრძოლი ბრუტუსიც,** თავი მოაკვლევინა თავისივე გააზატებულ*** მონას.

კასტელარი ი რიპოლი, ემილიო (1832—1899)—ესპანელი პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი, ლიტერატორი და ორატორი, შემარჯვე-

---

* ლეგატი — ელჩი, დესპანი.

** ბრუტუსი, რომელიც მეთაურობდა შეერთებული ჯარების მეორე ფრთას დამარცხებული იქნა მხოლოდ 20 დღის შემდეგ.

*** გააზატებული, აზატქმნილი — თავდახსნილი, განთავისუფლებული.

ნე რესპუბლიკანელთა ბელადი. ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის პროფესორი მადრიდში. შესანიშნავი ორატორი.

კახოვსკი, პეტრე გრიგოლის ძე (1797—1826)—ცნობილი დეკაბრისტი, „ჩრდილოეთის საზოგადოების“ წევრი, საგსახურიდან გადამდგარი პორუჩიკი, 1825 წ. 14 დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, მგზნებარე პატრიოტი. მომხრე იყო გადამწყვეტი მოქმედებების და მათ შორის მეფის მთელი საგვარეულოს ამოწყვეტისა, რის შესრულებასაც თვით კისრულობდა. აჯანყების დღეს ერთ-ერთი პირველთაგანი გამოცხადდა სენატის მოედანზე, სადაც სასიკვდილოდ დასჯრა პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი მილორადოვიჩი და პოლკოვნიკი სტიულერი, ხოლო დასჯრა მეფის ამალის ოფიცერი გასტფერი. უმაღლესი სასამართლოს განაჩენით დეკაბრისტთა სხვა ოთხ ბელადთან (ბესტუჟევი-რიუმინი, მურავიოვ-აპოსტოლი, პესტელი, რილეევი) ერთად მიესაჯა სიკვდილით დასჯა შაყას კვრით* რომელიც ნიკოლოზ I მიერ „მოწყალედ“ შეეცვალა ჩამოხრჩობით. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 1826 წ. 13 ივლისს პეტრეპავლეს ციხე-სიმაგრეში (პეტერბურგში).

კეცხოველი, ლადო, (ვლადიმერ ზაქარიას ძე, 1878—1903)—ლენინურ-ისკრული რევოლუციონური სოციალ-დემოკრატიის გამოჩენილი ორგანიზატორი საქართველოში, პროფესიონალური რევოლუციონერი. გაზეთ „ბრძოლა“-ს დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. საქართველოში რევოლუციონური სტამბის პირველი ორგანიზატორი და ქართული რევოლუციონური პერიოდული ორგანოს პირველი გამომმეცემი. ვერაგულად იქნა მოკლული წინასწარ შემუშავებული გეგმით ფეტეხის ციხეში მეფის სატრაპების ნიერ, რომლებიც მასში ხედავდნენ თვითმპყრობლობისა და ტირანიის შეურიგებელსა და საშიშარ მტერს (იხ. კ. ლიბკნეხტი).

კვინტილიანე, მარკუს ფაბიუსი (მიახლ. 35—95) — გამოჩენილი ძველი რომაელი პედაგოგი და ლიტერატურული კრიტიკოსი, საორატორო ხელოვნების თეორეტიკოსი, ჩჩეკრმეტყველების სკოლის დამაარსებელი.

კიუსტინი, ასტოლფ დე (1790—1857) — ფრანგი მწერალი და ლიტერატორი. ცნობილია ინგლისში, შოტლანდიაში, შვეიცარიაში, იტალიაში, ესპანეთში და რუსეთში მოგზაურობის აღწერით. განსაკუთრებით საინტერესოა მისი „La Russie“**, რომელშიაც ის მეტად მახვილად ამჩნევს იმ-

---

* შაყას კვრა — ხელფეხისა და თავის მოკვეთა.

** ეს თხზულება თარგმნილია ქართულ ენაზე; იხ. „მარკიზ დ' კიუსტინი, „ნიკოლოზ I დროინდელი რუსეთი“, გამომც. „პოლიტკატორღელი“, თბ., 1935.

დროინდელ რუსეთის ცხოვრების ნაკლოვანობებს და იძლევა ზოგიერთ მაშინდელ მოღვაწეთა მოსწრებულ დახასიათებებს.

კლაუზევიცი, კარლ ფონ (1780—1831)—პრუსიის გენერალი და ცნობილი სამხედრო მწერალი, პრუსიის „ომის მეცნიერების" თეორეტიკოსი, გერმანულ რეაქციონულ სამხედრო იდეოლოგიის გამოჩენილი წარმომადგენელი. 1812 წ. ნაპოლეონ I რუსეთთან ომის დროს მსახურობდა რუსეთის ჯარში, ხოლო 1814 წელს დაუბრუნდა პრუსიის სამსახურს. ცნობილია ნრავალი სამხედრო-ისტორიული შრომებით.

კლემენტი XIV (ერისკაცობაში — ანტონიო, აგრ.—ლორენცო განგანელი, 1705—74)—რომის პაპი (1769—74). ლიბერალური მოაზროვნე საეკლესიო მოღვაწე. მფარველობდა მეცნიერებასა და ხელოვნებას. გააუქმა იეზუიტთა ორდენი. დააარსა ვატიკანის მუზეუმი, რომელსაც ეწოდა მისი სახელი.

კლეობულო (VI ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი „შვიდბრძენთაგანი", ქ. ლინდის (კუნძ. როდოსი) მმართველი, რომელსაც მიაწერენ პრაქტიკული სიბრძნის თქმებს და წესებს და ლირიკული სიმღერებისა და ამოცანების სამი ათასამდე ლექსს.

კლეოპატრა 769—30 ჩვ. წ-დე) — ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი (51 წ-დან ჩვ. წ-დე) პტოლემაიოსთა გვარეულობიდან. მარჯვე პოლიტიკოსი და დახელოვნებული დიპლომატი. თავისი ხელისუფლების განსამტკიცებლად და ეგვიპტის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად იყენებდა ყოველგვარ საშუალებას. მამის ანდერძის თანახმად 17 წლის ასაკში დაინიშნა თავისი 13 წლის ძმის დიონისე XII თანამმართველად და ცოლად. დინასტიური ომის დროს იქნა ტახტმიხდილი და განდევნილი, მაგრამ მისი სილამაზით მოხიბლული იულიოს კეისრის დახმარებით აღიდგინა ტახტი. ერთხანს ცხოვრობდა რომში იულიოს კეისართან, რომლისგანაც შეეძინა ვაკი (ცეზარიონი). იულიოს კეისრის დაღუპვის შემდეგ მიემხრო გამარჯვებულ ანტონიუსს, გაპყვა მას ცოლად, შეეძინა შვილები და მოიპოვა მასზე განუსაზღვრელი გავლენა. როგორც ანტონიუსის მოკავშირეს რომმა გამოუცხადა მას ომი. აქციუმთან საზღვაო ბრძოლის დროს მან პირველმა უღალატა ანტონიუსს. გამოაბრუნა თავისი ფლოტი, დასტოვა ბრძოლის ველი და შეეცადა გამარჯვებული ოქტავიანეს მოხიბვლა და გულის მოგება, მაგრამ გაწბილებულმა მოიწამლა თავი (სხვა წყაროებით — გულზე აკბენინა გველს). კლეოპატრას დაღუპვის შემდეგ ეგვიპტე გადაქცეული იქნა რომის პროვინციად. — ანტონიუსისა და კლეოპატრას ბედშავმა ხვედრმა შთაგონა უ. შექსპირი დაეწერა ტრაგედია „ანტონიოსი და კლეოპატრა".

კლინგერი, ფრიდრიხ მაქსიმილიანე (1752—1851) — „ქარიშხალისა და იერიშის" პერიოდის ცნობილი გერმანელი პოეტი, მწერალი და დრამატურგი. ერთ ხანს ცხოვრობდა რუსეთში, იყო რუსის ჯარის ოფიცერი, გახდა გენერალ-ლეიტენანტი და პაჟთა კორპუსის შეფი და ბოლოს დერპტის (ახლა — ტარტუ, ესტონეთის სსრ) უნივერსიტეტის მზრუნველი.

მისმა დრამამ „ქარიშხალი და იერიში“ სახელი მისცა მთელ ახალ ლიტერატურულ მიმართულებას გერმანიაში.

კლოპშტოკი, ფრიდრიხ გოტლიბ (1724—1803) — ცნობილი გერმანელი პოეტი-ლირიკოსი და მწერალი, ახალი გერმანული ეროვნული ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მგზნებარე პატრიოტი და საფრანგეთის რევოლუციის მხურვალე თანამგრძნობი.

კოზმა პრუტკოვი (ძმების: ალექსანდრე, ალექსი და ვლადიმერ ჟემჩუჟნიკოვების და ალ. კონსტ. ძე ტოლსტოის ლიტერატურული ფსევდონიმი) — კოზმა პრუტკოვი ნიკოლოზ I ეპოქის ბიუროკრატის ტიპია, რომელსაც წარმოუდგენია, რომ მისი აზრები, მათში ჩაესოვილი ღრმა შინაარსის გამო გამოქვეყნების ღირსია. კოზმა პრუტკოვის გონებამახვილი და ენამახვილი აფორიზმებით, აზრებით, იგავებით, ლექსებით და სხვადასხვა პოეტებზე პაროდიებით და ანეგდოტებით მისი „ოპეკუნები“ ე. ი. ძმ. ჟემჩუჟნიკოვები და ა. კ. ტოლსტოი სასტიკად ამათრახებდნენ ნიკოლოზ I დროინდელ წესწყობილების უარყოფით მხარეებს და ხელისუფლების წარმომადგენელთ.

კოლრიჯი, სამუელ ტეილორი (1772—1834) — ინგლისელი პოეტი-რომანტიკოსი, ფილოსოფოსი, კრიტიკოსი და ღვთისმეტყველი, ე. წ. „ტბის სკოლის“ ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი და თეორეტიკოსი, ლიტერატურულ მოღვაწეობის დასაწყისში საფრანგეთის რევოლუციის იდეების მგზნებარე თავყვანისმცემელი, შემდეგ კი — დარწმუნებული კონსერვატორი. (იხ. ფრ. გენცი, კ. გუცკოვი, რ. სოუთი, ჰ. ჰაინე).

კოლტონი, ჩარლზ კალები (1780—1832) — ჩრდილო-ამერიკელი (ტონით ინგლისელი) პოეტი, მოაზროვნე და მოქადაგე. სახელი მოიხვეჭა თავის დროზე მეტად პოპულარული ფილოსოფიური აფორიზმების კრებულით.

კოლუმბი (ესპან.—კოლონი), ქრისტეფორე (1451—1506)— გამოჩენილი გენუელი (იტალია) მეზღვაური. განიზრახა რა ინდოეთისა და ჩინეთისაკენ დასავლეთის მოკლე გზის აღმოჩენა, ის ესპანეთის მთავრობის დახმარებით და ხელისშეწყობით გაემგზავრა ხომალდებით დასავლეთისაკენ და უნებლიეთ აღმოაჩინა ამერიკის მატერიკი და მის მახლომდებარე კუნძულები. გარდაიცვალა დარწმუნებული იმაში, რომ მიაღწია აზიის მატერიკის დასავლეთ სანაპიროს.

კომაროვი, ვლადიმერ ლეონტის ძე (1869—1945)—გამოჩენილი რუსი მეცნიერი-ბოტანიკოსი, გეოგრაფი და მოგზაური. აკადემიკოსი.

კომენსკი (გალათინურებული — კომენიუსი —Comenius), იან ამოსი (1592—1670) — დიდი ჩეხი პედაგოგი, წოდებული „ხალხთა მასწავლებლად“ და „ახალ პედაგოგიკის მამად“, რომლის პედაგოგიური შრომები წარმოადგენს ღირსშესანიშნავ წვლილს მსოფლიო პროგრესიულ პედაგოგიკაში.

კ ო ნ დ ე, ხ ო ზ ე-ა ნ ტ ო ნ ი ო (1765—1820) — ესპანელი არაბისტი. მსახურობდა ესკორიალის* ბიბლიოთეკარად. აღმოაჩინა ამ ბიბლიოთეკის მდიდარი ფონდის ხელთნაწერებში ძვირფასი მასალები, რომლებიც გამოიყენა თავისი მთავარი შრომისათვის, ესპანეთში არაბთა ისტორიისათვის, საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი თანაგრძნობისათვის 1814 წ. განდევნილ იქნა სამშობლოდან და გარდაიცვალა უცხოეთში უკიდურეს სიღარიბეში (იხ. ჰ. ლაუბე, თ. პენი). ხელთნაწერში დარჩენილი მისი თხზულება გამოსცეს მისმა ამხანაგებმა მისი სიკვდილის შემდეგ (იხ. ნ. ბარათაშვილი, ლეონარდო და ვინჩი).

კ ო ნ დ ი ლ ი ა კ ი, ე ტ ი ე ნ ბ ო ნ ო დ ე მ ა ბ ლ ი (1715—89)— ფრანგი განმანათლებელი, ფილოსოფოსი-დეისტი, სენსუალიზმის მომხრე. მღვდელი; ლუი VI შვილის აღმზრდელი. საფრანგეთის აკადემიის წევრი. დიდი გავლენა მოახდინა ენციკლოპედისტებზე, თუმცა არ იზიარებდა მათ უკიდურეს მატერიალიზმს.

კ ო ნ დ ო რ ს ე, მ ა რ ი ჟ ა ნ ა ნ ტ უ ა ნ ნ ი კ ო ლ ა კ ა რ ი ტ ა ტ დ ე (1743—94) — გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი, ფილოსოფოსი-განმანათლებელი, მათემატიკოსი, ასტრონომი, მწერალი, ისტორიკოსი, სოციოლოგი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე. საფრანგეთის აკადემიის წევრი. საფრანგეთის დიდი რევოლუციის აქტიური მონაწილე. საკანონმდებლო ყრილობისა და ეროვნული კონვენტის წევრი და ჟირონდისტული კონსტიტუციის პროექტის ავტორი. დაპატიმრებულმა და ბრალდებულმა იაკობინელთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის, მან, საჯაროდ სიკვდილით დასჯის თავიდან აცილების მიზნით, თავი მოიკლა სატუსაღოში საწამლავის დალევით.

კ ო ნ ს ტ ა ნ ი (კ ო ნ ს ტ ა ნ დ ე რ ე ბ ე კ), ა ნ რ ი ბ ე ნ ჟ ა მ ე ნ ი (უფრო ცნობილია ბ ე ნ ჟ ა მ ე ნ კ ო ნ ს ტ ა ნ ი ს სახელით, 1767—1830)—

---

* ე ს კ ო რ ი ა ლ ი, ანუ ე ს კ უ რ ი ა ლ ი (აგრ.—ე ლ-ე ს კ უ რ ი ა ლ ი)—შესანიშნავი სასახლე-მონასტერ-პანთეონი ესპანეთში 52 კმ მანძილზე მადრიდიდან, ესპანეთის არქიტექტურის საუცხოო ძეგლი, მე-6 ს. ერთერთი უდიდესი (206×161 მ) სასახლე ევროპაში. აგებულია 1563—1584 წწ. ფილიპე II დავალებით და მისი პირადი მეთვალყურეობით თანახმად მისივე აღთქმისა, როგორც 1557 წ. საფრანგეთის ჯარებზე გამარჯვების ძეგლი, და კარლოს V ანდერძისა, როგორც მისი და მისი შთამომაელობის მავზოლეუმი. გარდა დიდი ტაძრის, „მეფეთა პანთეონის", სემინარიის, მონასტრისა და სხვა შენობებისა, რომლებშიაც დაცულია უიშვიათესი ძეგლები (სურათები, გობელენები, ჭანდაკებები) ესკორიალში არის უმდიდრესი ბიბლიოთეკა, სადაც ჯერ კიდევ 60 წლის წინ დაცული იყო 130.000 ტომი წიგნი და 4700-მდე უძველესი ხელთნაწერი, რომელთა შორის მრავალი უიშვიათესი და უმნიშვნელოვანესი, უმთავრესად არაბული, ხელთნაწერია. ამ არქიტექტურული ძეგლის სახელი მიენიჭა აგრეთვე ქალაქსაც (ესკორიალი, პროვინცია მადრიდი, ახალი კასტილიის ოლქი), რომელიც შემდეგ საუკუნეებში მის ირგვლივ გაშენდა.

გამოჩენილი ფრანგი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, მწერალი-ბელეტრისტი, სახელმწიფოს მცოდნე და პოპულარული ორატორი. ფრანგულ ლიტერატურაში რომანტიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

კ ო ნ ტ ი, ო გ ი უ ს ტ ი (სრულად—ი ზ ი დ ო რ მ ა რ ი-ო გ ი უ ს ტ ფ რ ა ნ ს უ ა ქ ს ა ვ ე რ, 1798—1857) — ფრანგი რეაქციონული ბურჟუაზიული ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და სოციოლოგი, პოზიტივიზმის ფუძემდებელი, რომელმაც „ყ ო ვ ე ლ ა თ ა ვ ი ს ი გ ე ნ ი ა ლ უ რ ი ი დ ე ე ბ ი ი ს ე ს ხ ა ს ე ნ-ს ი მ ო ნ ი ს გ ა ნ“ (ფრ. ენგელსი); პეგელთან შედარებით კ. მარქსი ო. კონტს უწოდებს „რ ა ღ ა ც ს ა ც ო დ ა ო ბ ა ს“.

კ ო ნ ფ უ ც ი (უფრო სწორი — კ უ ნ-ფ უ-ც ზ ი, ანუ კ უ ნ-ც ზ ი, მიახლ. 551—479 ჩვ. წ-დე) — ნახევრადლეგენდარული ჩინელი ფილოსოფოსი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე. ჩინეთში ერთ-ერთი ყველაზედ გავრცელებული ფილოსოფიურ ნაძღვრების — კონფუციანობის ფუძემდებელი.

კ ო რ ო ლ ე ნ კ ო, ვ ლ ა დ ი მ ი რ გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ ი ს ძ ე (1853—1921) — გამოჩენილი რუსი „ბრონგრესული მწერალი“ (ვ. ლენინი), პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, რევოლუციონურ-დემოკრატიული მიმართულების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი რუსულ მხატვრულ ლიტერატურაში; ჰუმანისტი, რომლის მთელი მოღვაწეობა დაწყებული სტუდენტობის დროიდან მიმართული იყო ბატონყმობის გადანაშთებისა და თვითმპყრობლობის წინააღმდეგ. განდევნილი უმაღლეს სასწავლებლიდან, როგორც „არასაიმედო“, ის არაერთხელ იყო დაპატიმრებული და გადასახლებული შორეულ ციმბირში მეფის მთავრობის მიერ. 1899 წ. ვ. კოროლენკო არჩეულ იქნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად „კაზმული სიტყვიერების“ ხარისხში*, ხოლო 1902 წელს ნიშნად პროტესტისა იმის გამო, რომ ნიკოლოზ II გააუქმა მ. გორკის არჩევა ამ ხარისხში, მან ა. ჩეხოვთან ერთად დემონსტრატიულად უარი განაცხადა საპატიო აკადემიკოსის წოდებაზე (იხ. ა. ჩეხოვი).

კ რ ი ლ ო ვ ი, ი ვ ა ნ ე ა ნ დ რ ი ა ს ძ ე (1769—1844) — ცნობილი რუსი იგავთ-წერალი, დრამატურგი, სატირიკოსი და პოეტი, საიგავო ჟანრის ფუძემდებელი რუსულ ლიტერატურაში. 1811 წ-ან რუსეთის აკადემიის წევრი, 1841 წ-ან ორდინარული აკადემიკოსი. — ბავშვობიდანვე მამით დაობლებულ, ღარიბი ოფიცრის შვილს, ი. კრილოვს ოჯახური ხელმოკლეობის გამო არ მიუღია არავითარი სისტემატური სასკოლო განათლება; წერა-კითხვა შეისწავლა ოჯახში, ხოლო ფრანგულ ენას დეუფლა იმ შეძლებულ ოჯახებში, სადაც მას იყენებდნენ მოახლედ და სამადლოდ ეხმარებოდნენ და ზრდიდ-

---

* „კაზმული სიტყვიერების“ ხარისხი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში დაარსებული იყო 1889 წელს ა. პუშკინის დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით. მის პირველ საპატიო წევრებად არჩეულ იქნენ: ლ. ტოლსტოი, ა. ჩეხოვი, ვ. კოროლენკო, პოეტი ა. ჟემჩუჟნიკოვი (იხ. კოზმა პრუტკოვი).

ნენ. მთელს თავის წარმატებას ცხოვრებაში ი. კრილოვმა ნიაღწია მხოლოდ წიგნების კითხვით და თვითგანვითარებით (იხ. მ. გორკი, ბ. ფრანკლინი).

კ რ ო მ ვ ე ლ ი, ო ლ ი ვ ე რ ი (1599—1658)— მე-17 ს. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწე და ბელადი, შოტლანდიისა და ირლანდიის გაერთიანებული რესპუბლიკის ლორდ-პროტექტორი. ახშობდა ერთის მხრივ მონარქიის მომხრეთა გამოსვლებს, მეორეს მხრივ დემოკრატიულ და წვრილბურჟუაზიულ ფენების მოძრაობას (სასტიკად დააცხრო ირლანდიის განმანთავისუფლებელი აჯანყება). თავის დიქტატურით გზა გაუხსნა სტიუარტების დინასტიის რესტავრაციას. მიუხედავად ამისა, მან, ძველი აბსოლუტისტური წესწყობილების დამხობით, მარქსისა და ენგელსის შეფასებით, დიდი პროგრესული როლი შეასრულა ინგლისის ისტორიაში. — სტიუარტების აღდგენის შემდეგ მისი გვამი ამოღებული იყო საფლავიდან და ჩამოკიდებული სახრჩობელაზე (იხ. ვოლტერი, ჰ. მირაბო, ჟ.-ჟ. რუსო).

კ რ ო პ ო ტ კ ი ნ ი, პ ე ტ რ ე ა ლ ე ქ ს ი ს ძ ე (1842—1921)— ცნობილი რუსი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე, მკვლევარი, გეოგრაფი, გეოლოგი და მოგზაური. გამოჩენილი რევოლუციონერი-ანარქისტი, საერთაშორისო ანარქიზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი.

კ რ უ პ ს კ ა ი ა, ნ ა დ ე ჟ დ ა კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს ა ს უ ლ ი (1869—1939)— ძველი ბოლშევიკური გვარდიის გამოჩენილი მოღვაწე, პედაგოგი; ვ. ი. ლენინის მეუღლე, მეგობარი და უახლოესი თანაშემწე, სსრკ სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე, კულტურული რევოლუციის გამოჩენილი და დაუღალავი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, სსრკ პიონერთა მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, პოლიტექნიკური განათლების ქომაგი.

კ უ ზ ე ნ ი, ვ ი ქ ტ ო რ ი (1792—1867) — ფრანგი ფილოსოფოსი-იდეალისტი და მეცნიერი, ფილოსოფიის პროფესორი სორბონაში* აკადემიკოსი. ერთხანს განათლების მინისტრი. თავის უდიდესი და ძვირფასი ბიბლიოთეკა უანდერძა სორბონას.

ლ ა ბ რ უ ი ე რ ი, ჟ ა ნ დ ე (უფრო სწორი — ლ ა ბ რ უ ი ე რ ი, 1645—96) — სახელგანთქმული ფრანგი მწერალი-სატირიკოსი და მორალისტი. საფრანგეთის აკადემიის წევრი. ყოფილი ვექილი.

ლ ა ბ უ ლ ე, ე დ უ ა რ დ რ ე ნ ე ლ ე ფ ე ვ რ დ ე (1811—83)—ცნობილი ფრანგი მეცნიერი-იურისტი, ჟურნალისტი, რომანისტი, საბავშვო მწერალი-მეზღაპრე და რესპუბლიკანელი პოლიტიკური მოღვაწე. ისტორიულ მეცნიერებათა პროფესორი. აკადემიკოსი.

ლ ა ვ უ ა ზ ი ე, ა ნ ტ უ ა ნ ლ ო რ ა ნ ი (1747—94)—გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი-ქიმიკოსი. პარიზის აკადემიის ნამდვილი წევრი და მისი

---

* ს ო რ ბ ო ნ ა — უძველესი უმაღლესი სასწავლებელი პარიზში, ამჟამად პარიზის უნივერსიტეტის ნაწილი. დაარსებულია 1253 წ. რ ო ბ ე რ ს ო რ ბ ო ნ ი ს თაოსნობით (აქედან მისი სახელწოდება).

დირექტორი. თანამედროვე ქიმიის, როგორც ზუსტი მეცნიერების, დამაარსებელი, რომელმაც „პირველად დააყენა მთელი ქიმია ფეხზე" (Маркс К. и Энгельс Ф., Соч., т. 18, 1939, стр. 15). მისმა ცდებმა საფუძველი ჩაუყარა მრავალ შემდგომ აღმოჩენას ქიმიაში. ცნობილია აგრეთვე შრომებით ფიზიკაში, მექანიკაში, მეტეოროლოგიაში, მინერალოგიაში, პაერნაოსნობაში, შუქტექნიკაში. მეცნიერული მიზნით ექვსი კვირა დაპყო სრულიად ბნელ ოთახში, რათა უფრო გაეძლიერებინა საკუთარი მხედველობის მგრძნობიარობა სინათლის ძალის სუსტი ცვლილებების შეგრძნობისათვის. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, როგორც მონარქიის მომხრე და მოსახლეობიდან გადასახადების ამკრეფი მოიჯარადრე გასამართლებული და გილიოტინირებული იქნა სხვა მოიჯარადრეებთან ერთად.

ლაიბნიცი, გოტფრიდ ვილჰელმ ფონ (1646—1717)— გამოჩენილი გერმანელი ნოაზროვნე, ფილოსოფოსი-იდეალისტი, უდიდესი მათემატიკოსი და ფიზიკოსი, პოლიტიკოსი, იურისტი, ისტორიკოსი, დიპლომატი, ღვთისმეტყველი და ფილოლოგი. ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის მაგისტრი და პრეზიდენტი, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პეტერბურგის უნივერსიტეტის დაარსების იდეის სულისჩამდგმელი.

ლალი-ტოლენდალი, ტროფიმ ჟერარი (1751—1830) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე-მონარქისტი და მწერალი. როგორც მონარქიის დამცველს ორჯერ ნოუხდა ემიგრაციაში გადახვწა. ლიტერატურაში ცნობილია პოლიტიკური ხასიათის შრომებით, გალექსილი ტრაგედიით და მემუარებით.

ლამარტინი, ალფონს მარი ლუი დე (1791—1869) — ცნობილი ფრანგი პოეტი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე. საფრანგეთის აკადემიის წევრი. 1848 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი და ფაქტიურად მთავრობის მეთაური იბრძოდა მუშათა კლასის პოლიტიკური და სოციალური მოთხოვნილებების წინააღმდეგ. ხელი შეუწყო პარიზის პროლეტარიატის 1848 წ. ივნისის აჯანყების ჩახშობას და გზა გაუკაფა ლუი ბონაპარტეს დიქტატურას.

ლამოთ ლე ვაიე, ფრანსუა დე (1588—1672) — ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი-სკეპტიკოსი. საფრანგეთის აკადემიის წევრი; როგორც ისტორიის, გეოგრაფიისა და ლიტერატურის დიდი მცოდნე მიწვეული იყო ლუი XV აღმზრდელად.

ლაო-ცზი (აგრ.—ლაო ცზე—„ძველი მასწავლებელი", ნამდვილი გვარი — ლი, გარდაცვალების შემდეგ — დანი, სახელი ბავშვობაში — ერი, მოწიფულობის ასაკში — ბო-იანი; VI ს. ჩვ. წ-დე) — ნახევრადლეგენდარული ჩინელი ფილოსოფოსი, ბუდიზმის მონათესაო მოძღვრების—დაოსიზმის დამაარსებელი; თანახმად გადმოცემისა ლაო-ცზი იყო ისტორიოგრაფი და არქივების დამცველი მეფის კარზე.

ლაპლასი, პიერ სიმონ დე (1749—1827) — უდიდესი დასწლიოში სახელმოხვეჭილი ფრანგი მათემატიკოსი, ასტრონომი და ფიზიკოსი, რომელმაც ფიზიკურ-მათემატიკური დასაბუთება მისცა ნისლიანობიდან ნზის სისტემის წარმოშობის, ე. წ. კანტ-ლაპლასის, ჰიპოთეზას. აკადემიკოსი.

ლაროში (აგრ. — ლა როში, მამით — გუტერმანი), სოფი (1731—1807) — გერმანელი მწერალი ქალი, გერმანული ე. წ. „ოჯახური რომანის“ ფუძემდებელი.

ლაროშფუკო-მარსილიაკა (შემოკლ. — ლაროშფუკო), ფრანსუა დე (1613—80) — სახელგანთქმული ფრანგი მწერალი-მორალისტი და ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე. მიუხედავად თავისი მცირე განათლებისა თავის ნიჭით და მახვილგონიერებით თავის ირგვლივ შემოიკრიბა იმდროინდელი მოწინავე ადამიანები: ბუალო, რასინი, მოლიერი, მარი სევინიე და მიაღწია საპატიო ადგილს მაღალი საზოგადოებაში. სახელი მოიხვეჭა აფორიზმების კრებულით და მემუარებით.

ლაუბე, ჰენრიხი (1806—1884) — ცნობილი გერმანელი მწერალი-რომანისტი, დრამატურგი და რეჟისორი; გერმანიისა და ავსტრიის თეატრების რეალისტური მიმართულების თვალსაჩინო მოღვაწე და „ახალგაზრდა გერმანიის“ ერთ-ერთი ბელადი. საფრანგეთის რევოლუციისადმი თანაგრძნობისათვის განიცადა სასამართლოსაგან დევნა, საქსონიიდან გადასახლება და ცხრა თვის პატიმრობა ბერლინში; მისი თხზულებები კი შეტანილი იქნა აკრძალულ ლიტერატურის სიაში (იხ. ხ.-ა. კონდე, თ. პენი).

ლაფარგი, პოლი (1842—1911) — გამოჩენილი ფრანგი სოციალისტი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე. საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, საფრანგეთის მუშათა პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ჟ. გედთან ერთად მისი მეთაური; კ. ნარქსის მოწაფე, უახლოესი მეგობარი და სიძე (მისი მეორე ქალიშვილის — ლაურას — ქმარი); „მარქსიზმის იდეების ერთ-ერთი უნიჭიერესი და უდიდესი გამავრცელებელი“ (ვ. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 361); მგზნებარე მებრძოლი-რევოლუციონერი და შეურიგებელი ათეისტი, პამფლეტის ბრწყინვალე ოსტატი. — იგრძნეს რა მოხუცებულობის მოახლოება და დაუძლურება, რაც საშუალებას აღარ აძლევდა მათ ნაყოფიერად ემუშავნათ და ებრძოლათ პროლეტარიატის საქმისათვის და ამოდიოდენ რა მცდარი შეხედულებიდან*,

---

* 70—80 წლის ასაკში ნაყოფიერ მოღვაწეობას განაგრძობდნენ:—არქიმედე, ბებელი, რ. ბეკონი, გალილეი, გარიბალდი, გოგებაშვილი, გონჩაროვი, დარვინი, დრაიზერი, ენგელსი, ჟ. ვერნი, ვილიამსი, თალეს მილეტელი, იბსენი, კანტი, ი. კომაროვი, კომენსკი, კრილოვი, ლაპლასი, ვ. ლიბკნეხტი, ლონგფელო, ლოპე დე ვეგა. მიჩურინი, ნიუტონი, ოუენი, პავლოვი, რ. როლანი, სვიფტი, კ. ტიმირიაზევი, გაბრ. ქიქოძე, კ. ციტკინი, ციოლკოვსკი, ა. ფერეთელი და მრავ. სხვ.

80—90 წლის ასაკში მოღვაწეობას განაგრძობდნენ: — ა. ბახი, ბისმარკი, ბიჩერ-სტოუ, გოეთე, გოლდონი, გურამიშვილი, დემოკრიტე, ვოლტერი, ნ. ზელინსკი, სოფოკლე, ლ. ტოლსტოი, ფრანკლინი, ომარ ხაიამი, ჰაფიზი, ჰიუგო, ა. ჰუმბოლტი და მრავ. სხვ.

90—95 წლის ასაკში კიდევ მუშაობდნენ: — ლეგვანი, ვ. ობრუჩევი და სხვ., ხოლო კლინგერი და ფონტენელი მუშაობდნენ თითქმის 100 წლამდე.

თ. ა. ედისონმა კი თავის 77 წლისთავზე, განაცხადა — „ცხოვრების უმაღლესი ფილოსოფია“—[მდგომარეობს იმაში, რომ]—„იმუშაო, გამოიცნო ბუნების საიდუმლოებანი, გამოიყენო ისინი ადამიანთა სასარგებლოდ და მხნედ უცქირო ცხოვრებას“-ო.

რომ, თითქოს, 70 წლის ასაკი ის უკიდურესი ასაკია ადამიანის სიცოცხლეში, როდესაც ადამიანი ხდება საზოგადოების უსარგებლო წევრად ბ. ლაფარგმა და მისმა თანამებრძოლმა და მეუღლემ ლაურამ, წინასწარგამომუშავებული გეგმით 1911 წ. 1/XII ერთად მოიკლეს თავი*, მათ დაკრძალვაზე რუს. სოც.-დემოკრ. პარტიის სახელით სიტყვით გამოვიდა ვ. ლენინი.

ლაფონტენი, ჟან დე (1621—95) — გამოჩენილი ფრანგი პოეტი-იგავთმწერალი. საფრანგეთის აკადემიის წევრი. სახელი მოიხვეჭა თავისი ლექსური „ზღაპრებით" და განსაკუთრებით იგავ-არაკებით (12 ტომი), რომლებიც დაუზოგავად ამათრახებდა ეკლესიის მსახურთა მანკიერებას, ფეოდალთა თვითნებობას და მოხელეთა მექრთამეობას. მის კალამს აგრეთვე ეკუთვნის რამდენიმე კომედია, რომანები და მოთხრობები.

ლებოკი, ჯონი (1834—1913) — ინგლისელი ბუნებისმეტყველი, არქეოლოგი, პოლიტიკური და ფინანსიური მოღვაწე. ევოლუციონური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, დარვინიზმის ნიჭიერი პოპულარიზატორი, რომლის სახელი დამყარებულია უმთავრესად მის ეთნოლოგიურ შრომებზე. მისი თხზულებები: „როგორ უნდა იცხოვრო" და „ცხოვრების სიხარულები" აღვსილია სენტენციებით, საყოფაცხოვრებო მორალით და საყოველდღეო წესებით.

ლეგუვე, ერნესტი (1807—1903)—ფრანგი რომანისტი და დრამატურგი, საფრანგეთის აკადემიის წევრი. სახელი მოიხვეჭა საჯარო ლექციებით ქალთა და ოჯახურ საკითხებზე, ლიტერატურულ და მხატვრულ მოვლენებზე, რომელსაც ის კითხულობდა ოცი წლის მანძილზე.

ლე დანტეკი, ფელიქსი (1869—1917) — ფრანგი ბიოლოგი-იდეალისტი.

ლემეტრი, ფრანსუა ელიჟული (1853—1914) — ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი, იმპრესიონისტული სკოლის მამამთავარი. საფრანგეთის აკადემიის წევრი. „დრეიფუსის საქმის" დროს თავი გამოავლინა, როგორც უკიდურესმა რეაქციონერმა და შოვინისტმა (იხ. ე. ზოლა).

ლენინი (ვ. ი. ულიანოვის ფსევდონიმი, მეორე ფსევდონიმი. ვ. ი. ილინი), ვლადიმერ ილიას ძე (1870—1924 — რევოლუციონური პროლეტარიატის და მთელი მსოფლიოს მშრომელი კაცობრიობის უდიადესი გენიოსი, ბელადი და მასწავლებელი, რევოლუციონური მარქსიზმის და მარქსის მერმინდელი ხანის გენიალური პოლიტიკოსი და თეორეტიკოსი, უდიდესი მეცნიერი-ეკონომისტი და ფილოსოფოსი-მატერიალისტი სკკპ ფუძემდებელი და ბელადი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს, სსრ კავშირის დამაარსებელი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი.

ლეონარდო (უფრო სწორი—ლიონარდო) და ვინჩი (ე. ი. სოფ. ვინჩიდან; ნამდვილი გვარი — პიერო), (1452—1519) — გენიალური იტალიელი მხატვარი-ფერმწერი, მოქანდაკე, არქიტექტორი, ფილოსოფოსი,

მეცნიერი, მუსიკოსი, პოეტი და ბუნებისმეტყველი, აღორძინების ხანის ხელოვნებისა და მეცნიერების ერთ-ერთი უგამოჩენილესი წარმომადგენელი, რომელიც თანაბარი გატაცებით და წარმატებით მუშაობდა ზუსტი მეცნიერების ყველა დარგში: მათემატიკაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში, მექანიკაში, ქიმიაში, გეოლოგიაში, პალეონტოლოგიაში, ფიზიოლოგიაში, ბოტანიკაში და სხვა დარგებში. — ლეონარდო და ვინჩი იყო ცაცია, სწერდა მარცხენა ხელით მარჯვნიდან მარცხნივ, რის გამო მისი ნაწერები უფრო ადვილად იკითხება სარკეში. მთელი მისი შრომები გამოიცა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ (იხ. ნ. ბარათაშვილი, ხ.-ა. კონდე, როჯ. ბეკონი).

ლერმონტოვი,* მიხეილ იურის ძე (1814—41)—დიდი რუსი პოეტი-ჰუმანისტი, თავისუფლების მომღერალი. მეამბოხე და მგზნებარე პატრიოტი, ა. პუშკინის გენიალური მემკვიდრე, რომლის მოქალაქეობრივი პათოსით, კეთილშობილური ენთუზიაზმით და მომხიბვლელი ლირიზმით გამსჭვალულმა პოეზიამ შეასრულა დიდი პროგრესული როლი. დიდი შთაგონებითი გავლენა იქონია რუსეთში ნ. ნეკრასოვზე, ი. ტურგენევზე, ლ. ტოლსტოიზე, ვ. მაიაკოვსკზე, საქართველოში ა. წერეთელზე და ი. ჭავჭავაძეზე, სომხეთში ა. ისაკიანზე, ოსეთში კ. ხეთაგათზე, ყირგიზეთში ა. ტოკომბაევზე. ლექსისათვის „პოეტის სიკვდილზე" („პუშკინის სიკვდილზე"), როგორც ოფიცერი, გამწესებული იქნა კავკასიაში**. ტრაგიკულად დაიღუპა დუელში ქ. პიატიგორსკში.

ლესინგი, გოტჰოლდ ეფრაიმი (1729—81)—უდიდესი გერმანელი პოეტი, დრამატურგი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და ფილოსოფოსი, ევროპული „განათლების ხანის" ერთ-ერთი უმთავრესი წარმომადგენელი, გერმანელ განმანათლებელთა შორის ყველაზედ მეტად გაბედული, მტკიცე და ურყევი რევოლუციონური მოღვაწე, რომელიც თავის ფილოსოფიურ და და განსაკუთრებით თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ და დრამატულ თხზულებებში ილაშქრებს სამღვდელოების, ეკლესიისა და რელიგიის ურჯულკობის წინააღმდეგ და იცავს რელიგიის მხრივ ჩარევისაგან გონებისა და მეცნიერების უფლებას, სინიდისისა და რწმენის თავისუფლებას.

ლიბკნეხტი, ვილჰელმი (1826—1900) — გერმანიისა და საერთაშორისო დემოკრატიული და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, რევოლუციონერი და პუბლიცისტი; გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი ბელადი, 1848-49 წწ. გერმანიის რევოლუციის აქტიური მონაწილე, I ინტერნაციონალის რევოლუციონური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი, II ინტერნაციონალის ერთ-

---

* ლერმონტოვის მამის, პაპის და წინაპრების გვარი იყო ლერმონოვი.

** კავკასია, სადაც მაშინ მთიელებთან ბრძოლები სწარმოებდა, რუსეთის მთავრობის მიერ ითვლებოდა გადასახლებისა და სასჯელმოსახდელ მხარედ. მაგ., კავკასიაში გადმოსახლებული იყვნენ ზოგიერთი დეკაბრისტები.

ერთი დამაარსებელი, გერმანიის სოც.-დემოკრ. პარტიის ორგანოს „Vorwärts"-ი რედაქტორი, ნიჭიერი და ბრწყინვალე ორატორი.

ლ ი ბ კ ნ ე ხ ტ ი, კ ა რ ლ ი (1871—1919)—ვილპელმ ლიბკნეხტის შვილი. გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა რევოლუციონური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი; პროფესიით ვექილი. სასამართლოში მუშების პოპულარული დამცველი. ვერაგულად იქნა მოკლული წინასწარ შემუშავებული გეგმით ქეჩაში რ. ლუქსემბურგთან ერთად გერმანელ სოციალ-შოვინისტებისაგან წაქეზებულ ოფიცერთა ბანდის მიერ (იხ. ლ. კეცხოველი).

ლ ი ვ ი უ ს ი, ტ ი ტ უ ს ი (59 ჩვ. წ-დე—17 ჩვ. წ-ის) — სახელგანთქმული რომაელი ისტორიკოსი. დიდად პატივცემული თანამედროვეთა მიერ, ლივიუსი, მიუხედავად მისი რესპუბლიკანურ შეხედულებებისა, სარგებლობდა იმპერატორის ავგუსტის კეთილგანწყობილებით; იმპერატორი მასთან მეგობრობდა და აზრდევინებდა თავის შვილებს (იხ. ფ. ფენელონი).

ლ ი ნ დ ნ ე რ ი, გ უ ს ტ ა ვ ა დ ო ლ ფ ი (1828—87)—ავსტრიელი პედაგოგი. პედაგოგიკის პროფესორი პრაღის უნივერსიტეტში. ცნობილია შრომებით, როგორც პედაგოგიკაში, ისე ფსიქოლოგიაში.

ლ ი ხ ტ ე ნ ბ ე რ გ ი, გ ე ო რ გ ი (1742—99) — „გერმანელ სკიფტად" წოდებული გამოჩენილი გერმანელი მწერალი-სატირიკოსი, კრიტიკოსი, ფიზიკოსი, მეცნიერი და პუბლიცისტი; ბურჟუაზიული განმანათლებელი. გეტინგენის უნივერსიტეტის ექსპერიმენტალური ფიზიკის პროფესორი. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მისი, როგორც მწერლის, სახელი უმთავრესად დამყარებულია მის აფორიზმებზე, კრიტიკულ შენიშვნებზე და სატირულ ნარკვევებზე.

ლ ო ბ ა ჩ ე ვ ს კ ი, ნ ი კ ო ლ ო ზ ი ვ ა ნ ე ს ძ ე (1792—1856)—დიდი რუსი მათემატიკოსი-გეომეტრი. „ლობაჩევსკის გეომეტრიის" და „არაევკლიდეს გეომეტრიის" სახელით წოდებული გეომეტრიის შემქმნელი, მოაზროვნე-მატერიალისტი, ბატონყმობის შედეგად ხალხში დამკვიდრებული უვიცობის წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი. ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი და რექტორი. მრავალ უნივერსიტეტისა და მეცნიერული დაწესებულების საპატიო წევრი. — თავისი უკანასკნელი შრომა „პანგეომეტრია" ყაზანის უნივერსიტეტის 50 წლისთავის საიუბილეო კრებულისათვის სიცოცხლის ბოლო ხანს დაბრმავებულმა ნ. ლობაჩევსკიმ უკარნახა თავის მოწაფეებს (იხ. გ. გალილეი, ჯ. მილტონი, ნ. ოსტროვსკი, პ. სკარონი).

ლ ო კ ი, ჯ ო ნ ი (1632—1704) — თვალსაჩინო ინგლისელი ფილოსოფოსი-სენსუალისტი, ფსიქოლოგი-ემპირიკოსი და პედაგოგი, „ახალი ბურჟუაზიის წარმომადგენელი ყველა მის ფორმებში" (კ. მარქსი), „კლასიკური კომპრომისის შვილი" (ფრ. ენგელსი), კანტის წინამორბედი, რომლის მოძღვრება შემდეგში გამოყენებულ იქნა როგორც მატერიალისტური, ისე იდეალისტური ფილოსოფიის წარმომადგენელთა მიერ.

ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ჭ ო ლ ა (აგრ.—ბ ი კ ე ნ ტ ი ბ ი ბ ო ნ ი ს ძ ე; ფსევდონიმი — სპ. მ ც ი რ ი შ ვ ი ლ ი, 1878—1915) ცნობილი ქართველი პოეტი-ბელეტრისტი და პოლიტიკური მოღვაწე; ყოფილი ბიბლიოთეკის მუ-

შაკი და მკინძავი სტამბაში. სოც.-დემოკრატი. 1905—07 წწ. რევოლუციის აქტიური მონაწილე, სტოკჰოლმის პარტყრილობის (1906) დელეგატი და მე-2 სახელმწიფო სათათბიროს (1907) წევრი. რევოლუციონური მოღვაწეობისათვის დაპატიმრებულს მიესაჯა 5 წლის კატორღა, რომელიც შეეცვალა 7 წლის ციხით. გარდაიცვალა გადასახლებაში (იხ. მ. ნალბანდიანი, ოვიდიუსი) ქ. სარატოვში. დასაფლავებულია იქვე.

ლომონოსოვი, მიხეილ ვასილის ძე (1711—65)—გენიალური რუსი მეცნიერი-ენციკლოპედისტი, დიდი მოაზროვნე-მატერიალისტი და პოეტი, თანამედროვე ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა აგრეთვე თანამედროვე რუსულ ლიტერატურულ ენას. მშობლიური განათლების გამოჩენილი ქომაგი. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი (აკადემიკოსი).

ლონგფელო, ჰენრი უოდსუორთი (აგრ. — ვოდსვორთი, 1807—82) — ამერიკელი (ტომით ინგლისელი) პოეტი, მთარგმნელი და ენათმცოდნე, ახალი ენების პროფესორი ჰარვარდის უნივერსიტეტში.

ლოპე დე ვეგა, ფელიქსი (სრულად — ფელიქს ლოპე დე ვეგა კარპიო, 1562—1635) — ესპანეთის ლიტერატურის ე. წ. „ოქროს ხანის" სახელოვანი დრამატურგი, პოეტი და მწერალი, ესპანეთის ეროვნული დრამატურგიის შემქმნელი და კლასიკოსი. გაოცებას იწვევს ლოპე დე ვეგას ლიტერატურული მოღვაწეობის მრავალფეროვანობა და ნაყოფიერება. გარდა 2000-მდე სასულიერო და საერო ხასიათის პიესისა მან ლექსით და პროზით დასწერა: 20 ტომამდე რომანები, ნოველები, ეკლოგები, სონეტები, ხოტბები, პოემები, ისტორიული და სხვა მრავალი თხზულება, რისთვისაც მას მისივე დიდმა თანამედროვემ მ. სერვანტესმა „ბუნების საოცრებად" უწოდა (იხ. ბ. ბალზაკი, კ. გოლდონი, სოფოკლე). — ლოპე დე ვეგამ ლექსების წერა დაიწყო 5 წლის ასაკში, ხოლო 12 წლის ასაკში უკვე კომედიებს სწერდა (იხ. ჩ. დიკენსი, ს. ნადსონი, ა. პუშკინი).

ლოყმანი (აგრ. — ლოკმანი) — ლეგენდარული არაბი ბრძენი, რომელიც თანახმად გადმოცემისა ცხოვრობდა მუჰამედზე უფრო ადრე და რომელიც მუსლიმანურ ქვეყნებში იხსენიება ან როგორც წინასწარმეტყველი, ან კიდევ როგორც აბესინელი ნონა. მას მიაწერენ ბრძნულ თქმებს, ლექსებს, ანდაზებსა და იგავ-არაკებს.

ლუთერი, მარტინი (1483—1546) — უდიდესი გერმანელი საეკლესიო რეფორმატორი, პაპების საწინააღმდეგო რელიგიურ-რეფორმატორული მოძრაობის ბელადი, პროტესტანტულ (ლუთერანულ) სარწმუნოების დამაარსებელი, პუბლიცისტი და პოეტი. ვიტენბერგის უნივერსიტეტის პროფესორი და რექტორი. საჯაროდ დასწვა რომის პაპის სიგელი ეკლესიიდან მისი გათიშვის შესახებ. ლიტერატურაში ცნობილია რომის პაპებისა და კათოლიციზმის წინააღმდეგ მიმართული მთელი რიგი პოლემიკური თხზულებებით და ლირიკული ლექსებით.

ლუკანი, მარკუს ანეუსი (39—67) — ვერგილიუსის შემდეგ უდიდესი რომაელი პოეტი-ეპიკოსი, ძლიერი და გამომეტყველი ლექსის ოს-

ტატი. სენეკას ძმის შვილი და ნერონის კარისკაცი. ჯერ სარგებლობდა ნერონის კეთილგანწყობილებით, ხოლო შემდეგ შურის ნიადაგზე ნერონმა აკრძალა მისი თხზულებების საჯაროდ კითხვა. ბრალდებული ნერონის წინააღმდეგ შეთქმულებაში და სიკვდილმისჯილი, იძულებული იყო თავი მოეკლა ვენების გადაპრით, ისევე, როგორც ორი წლით ადრე იყო იძულებული მისი ბიძა სენეკა (იხ. ნერონი და სენეკა).

ლ უ კ რ ე ც ი უ ს კ ა რ უ ს ი, ტ ი ტ უ ს ი (მიახლ. 99—55 ჩვ. წ-დე)— გამოჩენილი ძველი რომაელი ფილოსოფოსი და პოეტი. ძველი დროის დიდი განმანათლებელი, ანტიკური ატომისტური მატერიალიზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. ლუკრეციუსმა სისტემაში მოიყვანა და თავის დროის მეცნიერულ და ფილოსოფიურ მიღწევათა საფუძველზე აღადგინა ეპიკურეს მატერიალისტური ფილოსოფია, რისთვისაც მას მეტად აფასებდა ვ. ლენინი.

ლ უ ნ ა ჩ ა რ ს კ ი, ა ნ ა ტ ო ლ ი ვ ა ს ი ლ ი ს ძ ე (ფსევდონიმები: Войнов, Анютин, Антон Левый, 1875—1933) — თვალსაჩინო საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. სოციალისტური კულტურის ერთ-ერთი მშენებელი. აკადემიკოსი. გამოჩენილი ორატორი და პუბლიცისტი; მრავალმხრივ განათლებული ადამიანი. ცნობილია მრავალი შრომებით ლიტერატურის, პედაგოგიკის, ისტორიის, ფილოსოფიის, რელიგიის, ფერწერის, ეთიკის, ესთეტიკის დარგში, კრიტიკული თხზულებებით, დრამებით, პიესებით, კინოსცენარებით, თარგმანებით.

მ ა ი ა კ ო ვ ს კ ი, ვ ლ ა დ ი მ ე რ ვ ლ ა დ ი მ ე რ ი ს ძ ე (1893—1930)— დიდი ოქტომბრის სოციალისტური ეპოქის უდიდესი და უნიჭიერესი რუსი საბჭოთა პოეტი-ტრიბუნი, პოეტი-პუბლიცისტი, პოეტი-მებრძოლი, საბჭოთა პოეზიის მამამთავარი, ნიჭიერი და მეტად ნაყოფიერი მხატვარი-გრაფიკოსი (იხ. ნ. გოგოლი, უ. თეკერეი, ა. მონიე, ე. ჰეკელი). და პლაკატისტი; საბჭოთა ქვეყნის დიდი მოქალაქე ,მგზნებარე პატრიოტი. — მოქიშპეთა დევნამ და პირადი ცხოვრების რთულმა პირობებმა ვ. მაიაკოვსკი მიიყვანა თვითმკვლელობამდე.

მ ა კ ა რ ე ნ კ ო, ა ნ ტ ო ნ ს ი მ ო ნ ი ს ძ ე (1888—1930) — ცნობილი საბჭოთა პედაგოგი და მწერალი: ბავშვთა კოლექტივთან აღმზრდელობითი მუშაობის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკის შემქმნელი.

მ ა კ ი ნ ტ ო შ ი, ჯ ე მ ს ი (1765—1832)— ინგლისელი (ტომით შოტლანდიელი) პუბლიცისტი, ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე. შოტლანდიის ფილოსოფიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ახალგაზრდობაში იყო ექიმი. შემდეგ ვექილი. მსახურობდა ინდოეთში. ბოლოს პარლამენტისა და სამინისტროს წევრი. ცნობილია ისტორიული, ფილოსოფიური და პოლემიკური შრომებით.

მ ა კ ო ლ ე ი, თ ო მ ა ს ბ ა ბ ი ნ გ ტ ო ნ ი (1800—59)—ცნობილი ინგლისელი ბურჟუაზიული ისტორიკოსი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, ვიგების ოპოზიციის გამოჩენილი ორატორი პარლამენტში. როგორც ისტორიკოსმა სახელი მოიხვეჭა მრავალ ენაზე გადათარგმნილი კაპიტალური (6 ტომი) თხზულებით „ინგლისის ისტორია“.

მ ა ლ ბ ა რ ა ნ შ ი, ნ ი კ ო ლ ა (1638—1715) — ფრანგი ფილოსოფოსი-იდეალისტი, ფილოსოფიისა და თეოლოგიის გარდა კარგად იცნობდა თავისი დროის ბუნებისმეტყველებას და ფიზიოლოგიას; ის არის აგრეთვე ფიზიოლოგიური ოპტიკის ერთ-ერთი დაბაარსებელი.

„მ ა ნ ა ს ი“ — ყირგიზელი ხალხის უდიდესი ეპოსი, ხალხური ზეპირსიტყვაობის შესანიშნავი ლიტერატურული ძეგლი. „მანასის“ მთელი ეპიკური ტრილოგია, რომლის ცალკეული ელემენტების საწყისები ფეოდალიზმის წინადროინდელი ხანიდან მომდინარეობს, შეიცავს 200 ათასამდე ლექსურ სტრიქონს და ასახავს ყირგიზელი ხალხის ისტორიას, მის ცხოვრებას, ადათებსა და ზნე-ჩვეულებას. „მანასი“ ყირგიზული მითების, ზღაპრების, გადმოცემების, ლეგენდების, საწესჩვეულებო სიმღერების, ანდაზებისა და ანდაზურ თქმების ერთგვარი ენციკლოპედიაა.

მ ა ნ ი, ჰ ო რ ა ს ი (აგრ.— ჰ ო რ ა ც ი უ ს ი, 1796—1859) — ამერიკელი პროგრესული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, სასკოლო ჟურნალის გამომცემელი და რედაქტორი.

მ ა ნ ი ლ ი უ ს ი (აგრ. — მ ა ნ ლ ი უ ს ი, 1 ს. ჩვ. წ-დე) — რომაელი პოეტი, რომელიც თავის დიდაქტიკურ პოემაში „ასტრონომიკა“ უარყოფს სასწაულთა შესაძლებლობას და ამტკიცებს ბუნების კანონთა მარადიულობას.

მ ა რ ლ ი ნ ს კ ი (იხ. ბ ე ს ტ უ ჟ ე ვ ი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე).

მ ა რ ლ ო, ქ რ ი ს ტ ო ფ ე რ ი (1564—93)—შექსპირის წინამორბედი გამოჩენილი ინგლისელი პოეტი-დრამატურგი, ინგლისური ეროვნულ-ისტორიული დრამა-ქრონიკის ფუძემდებელი, აღორძინების ხანის ჰუმანიზმის ტიპიური წარმომადგენელი, რომლის შემოქმედების ძირითადი შინაარსი არის საშუალო საუკუნეების მორალისაგან პიროვნების განთავისუფლების თემა. თანახმად გადმოცემისა ქ. მარლო მოკლული იქნა მისივე ხანჯლით მეტოქის მიერ რომანის ნიადაგზე.

მ ა რ ქ ს ი, კ ა რ ლ ჰ ე ნ რ ი ხ ი (1818—83)—სახელგანთქმული გერმანელი სოციოლოგი, ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე. უდიდესი მეცნიერი და მოაზროვნე. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი და მასწავლებელი. ფრ. ენგელსთან ერთად რევოლუციონური ფილოსოფიის — დიალექტიკური მატერიალიზმის ფუძემდებელი, პირველი კომუნისტური პარტიის „კომუნისტთა კავშირის“ ბელადი, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის უდიდესი სტრატეგი და ტაქტიკოსი, რომლის იდეებმა ბრწყინვალე განხორციელება პპოვეს ჩვენს ქვეყანაში — საბჭოთა კავშირში.

მ ა რ ცე ლ ი ნ ე, ა მ ი ა ნ ე (მიახლ. 330—მიახლ. 400 ჩვ. წ-დე) — რომაელი ისტორიკოსი. ავტორი სახელმოხვეჭილი თხზულებისა „რომის სახელმწიფოს ისტორია“, რომლის 31 წიგნიდან პირველი 13 წიგნი დაკარგულია.

მ ა რ ც ი ა ლ ი. მ ა რ კ უ ს ვ ა ლ ე რ ი უ ს ი (მიახლ. 40—მიახლ. 102) რომაელი (ტომით ესპანელი) პოეტი-ეპიგრამატისტი. სახელი გაითქვა ლაკონიური და გონებამახვილი ეპიგრამებით (15 წიგნი).

„მ ა ჰ ა ბ ჰ ა რ ა ტ ა“ (ჰინდ.—„ბჰარატას დიდი ომი“) — ძველი და ყველაზედ უდიდესი ჰინდური ეპიკური პოემა, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა IV ს. ჩვ. წ-დე და IV ს. შუა და რომლის ავტორად ითვლება ლეგენდარული პოეტი ვ ი ა ს ა (Vyasa) „მაჰაბჰარატა“ შედგება 18 წიგნისაგან და წარჩოადგენს 100.000 წყვილ ლექსს, რომლებიც შეიცავენ ეპიკურ თხრობათა კომპლექსს: ზღაპრებს, მოთხრობებს, ნოველებს, იგავ-არაკებს, ლეგენდებს, ბრძნულ თქმებს, ლირიკულ-დიდაქტიკურ დიალოგებს, საღვთისმეტყველო, პოლიტიკურ და უფლებრივ ხასიათის' მსჯელობებს, კოსმოგონიურ მითებს და სხვ.

„ მ ე რ კ უ რ დ ე ფ რ ა ნ ს“ („Mercure de France“, ძველი სახელწოდება. — „ლე მერკურ გალან“ — „Le Mercure galant“) ერთ-ერთი უძველესი ფრანგული ჟურნალი; გამოდის 1672 წლიდან თვეში ორჯერ რამდენიმე ასეულ გვერდიან წიგნების სახით.

მ ე ტ ა ს ტ ა ზ ი ო, პ ი ე ტ რ ო ა ნ ტ ო ნ ი ო დ ო მ ე ნ ი კ ო ბ ო ნ ა ვ ე ნ ტ უ რ ა ტ რ ა პ ა ს ი *, (1698—1782) — იტალიელი კლასიკური პოეტი-ლირიკოსი და დრამატურგი-ლიბრეტისტი, მუსიკალური დრამის ბრწყინვალე წარმომადგენელი. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საოპერო თეატრის განვითარებაში. ვენის სასახლეში კარის პოეტის ადგილი მიიღო თავისი მეგობრის, გამოჩენილი მომღერალი ქალის ბულგარინის (იგივე—ბულგარელი) მხრივ შემოქმედებითი შთაგონების წყალობით და მისი დაბმარებით.

მ ე ჩ ნ ი კ ო ვ ი, ი ლ ი ა ი ლ ი ა ს ძ ე (1845—1916) — გამოჩენილი რუსი მეცნიერი-ბიოლოგი, შედარებითი ანატომიის, ეკოლუციონურ ემბრიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. თანჩიმდევარი დარვინისტი, პროგრესიული საზოგადო მოღვაწე-მატერიალისტი. მგზნებარე პატრიოტი. ი. მეჩნიკოვი იყო მსოფლიოს თითქმის ყველა მეცნიერებათა აკადემიების და მრავალ ინსტიტუტებისა და მეცნიერულ საზოგადოებათა საპატიო წევრი.

მ ი ლ ი, ჯ ო ნ ს ტ ი უ ა რ ტ ი (1806—73) — ცნობილი ინგლისელი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი-იდეალისტი, მოაზროვნე, პოლიტიკური მოღვაწე და ეკონომისტი, პოზიტივიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარჩომადგენელი, რომლის შეხედულებანი სასტიკად გააკრიტიკეს მარქსიზმის კლასიკოსებმა.

საინტერესოა ჯ. სტ. მილის ცხოვრების დასაწყისის ზოგიერთი ეტაპი. 3 წლის ასაკში მან, თავისი მამის, ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის, ფილო-

---

* ტ რ ა პ ა ს ი — მამის გვარია, ხოლო მ ე ტ ა ს ტ ა ზ ი ო — შემდეგ მითვისებული ბერძნული გვარი.

სოფოსისა და ეკონომისტის ჯემს მილის (1773—1836) ხელმძღვანელობით დაიწყო ბერძნული ენის შესწავლა, 6 წლის ასაკში დამოუკიდებლად სწერდა ისტორიულ თხზულებებს, 12 წლის ასაკში შეუდგა მათემატიკის, ლოგიკის და პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას, ხოლო 14 წლის ასაკში დაამთავრა იმდროინდელი უმაღლესი განათლება (იხ. ბ. პასკალი, უ. ჰეზლიტი).

მ ი ლ ტ ო ნ ი, ჯ ო ნ ი (1608—74)—ინგლისელი კლასიკური პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე, ინგლისის მე-17 ს. ბურჟუაზიული რევოლუციის თვალსაჩინო პუბლიცისტი და პამფლეტისტი; აზროვნების, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისა და პარლამენტარიზმის გაბედული ქომაგი. როგორც კრომველის მომხრეს, მას, სტიუარტების აღდგენისას, მიესაჯა საპატიმრო, სადაც დაბრმავდა. განთავისუფლებისას ბრმამ დასწერა თავისი უკვდავი „დაკარგული და დაბრუნებული სამოთხე", რომელმაც მას მსოფლიო სახელი მოუხვეჭა (იხ. გ. გალილეი, ნ. ლობაჩევსკი, ნ. ოსტროვსკი, პ. სკარონი).

მ ი რ ა ბ ო, პ ო ნ ო რ ე გ ა ბ რ ი ე ლ ი, გრაფი დ ე რ ი კ ე ტ ი (1749—91)—საფრანგეთის მე-18 ს. დასასრულის ბურჟუაზიული რევოლუციის პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, მწერალი-პამფლეტისტი, პოეტი და ანტიკური პოემების მთარგმნელი, „საფრანგეთის რევოლუციის უდიდესი ორატორი" (კ. მარქსი). ახალგაზრდობაში აღვირახსნილ და ყოველად უმსგავსო ცხოვრებისათვის რამდენიმეჯერ იქნა პასუხისგებაში მიცემული და დაპატიმრებული მისივე მამის, გამოჩენილი ფრანგი ეკონომისტი-ფიზიოკრატის მარკიზ ვიქტორ დე რიკეტი მირაბოს მოთხოვნით. საპატიმროში განაგრძობდა ნაყოფიერ ლიტერატურულ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას (იხ. ლ. ბლანკი, დ. დეფო, თ. პენი). პატიმრობიდან საბოლოოდ განთავისუფლების შემდეგ, ჯერ რევოლუციის თავგამოდებული მებრძოლი, შემდეგ კი მეფის მიერ მოსყიდული „მექრთამე" (ფრ. ენგელსი) და მეფისა და მონარქიის ქომაგი, რომლის გამცემლობა გამოამჟღავნა ჟ. პ. მარატმა მონარქიის დამხობის შემდეგ. პანთეონში დიდი პატივისცემით ჩასაფლავებული მირაბოს ნეშტი ამოღებული იქნა საფლავიდან და გადატანილი ბოროტმოქმედთა და სიკვდილმისჯილთა სასაფლაოზე (იხ. ვოლტერი, ო. კრომველი, ჟ.-ჟ. რუსო), ხოლო მის ადგილზე დაკრძალულ იქნა მარატის ცხედარი.

მ ი რ ზ ა შ ა ფ ი (იხ. ვ ა ზ ე ხ ი, მ ი რ ზ ა შ ა ფ ი).

მ ი შ ლ ე, ჟ ი უ ლ ი (1798—1874) — დემოკრატიულ-ხალხსნური მიმართულების ფრანგი ისტორიკოსი და მწერალი, ნორმალური სკოლის პროფესორი პარიზში. თავისი დემოკრატიული და ანტიკლერიკალური შეხედულებების გამო დაჰკარგა კათედრა „კოლეჟ დე ფრანს"-ში (იხ. კ. უშინსკი).

მ ი ჩ უ რ ი ნ ი, ი ვ ა ნ ე ვ ლ ა დ ი მ ე რ ი ს ძ ე (1855—1935) — გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი-ბუნებისმეტყველი, ბიოლოგი-სელექციონერი და გენეტიკოსი, საბჭოთა შემოქმედებითი დარვინიზმის ფუძემდებელი. მეხილეობის გარდამქმნელი; სსრკ მეცნიერებათა აკადემიის, ვ. ლენინის სახ. საკავში-

რო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის და ჩეხოსლოვაკიის აგრარული აკადემიის საპატიო წევრი. ი. მიჩურინმა საბჭოთა ხალხს დაუტოვა 300-ზე მეტი მის მიერ შექმნილი პირველხარისხოვანი ხილ-კენკროვანი კულტურების ჯიში.— ი. მიჩურინს არ დაუმთავრებია არამც თუ უმაღლესი, არამედ საშუალო სკოლაც კი. გიმნაზიაში, სადაც ის სამაზრო სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა, დაპყო მხოლოდ ერთი წელი, რადგან გარიცხული იქნა „უფროსებისადმი უპატივცემულობისათვის". მთელ თავის წარმატებებს და ცხოვრებაში უმაღლეს საფეხურს მან მიაღწია დაუღალავი შრომით, უშრეტი ენერგიით და თვითგანათლებით (იხ. ბ. ფრანკლინი, კ. ციოლკოვსკი).

მ ი ც კ ე ვ ი ჩ ი, ა დ ა მ ი (1798—1855) — დიდი პოლონელი ეროვნული პოეტი და პუბლიცისტი, პოლონურ განმათავისუფლებელ მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, საქშობლოსათვის თავდადებული პატრიოტი. გარდაიცვალა ხოლერით კონსტანტინეპოლში, სადაც ჩავიდა აღმოსავლეთის ქვეყნებში პოლონეთის გასათავისუფლებლად რაზმების შესაგროვებლად.

მ ო ლ ე შ ო ტ ი, ი ა კ ო ბ ი (1822—93)—ცნობილი გერმანელი (ტომით ჰოლანდიელი) მეცნიერი-ფიზიოლოგი, ე. წ. „ვულგარული მატერიალიზმის" წარმომადგენელი. ფიზიოლოგიის პროფესორი ციურიხში, ტურინში და რომში. პროფესიით ექიმი. გარდაიცვალა ხოლერით.

მ ო მ ზ ე ნ ი, თ ე ო დ ო რ ი (1818—1903) — გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი, იურისტი და ფილოლოგი. პროფესორი ლაიპციგში და ბერლინში. 1848—49 წწ. მოძრაობაში მონაწილეობისათვის განდევნილ იქნა გერმანიიდან. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი სარგებლობდნენ რა ფაქტიური მასალებით მის ზოგიერთ შრომებიდან, იმავე დროს აკრიტიკებდნენ მის ყალბ შეხედულებებს.

მ ო ნ ი ე, ა ნ რ ი ბ ო ნ ა ვ ე ნ ტ უ რ ა (1802—77)—ცნობილი ფრანგი მხატვარი-გრაფიკოსი, კარიკატურისტი, მწერალი და მსახიობი. პუმორისტული პერიოდიკისა და ალმანახების გამომცემელი. ცნობილია მეტად მახვილი კარიკატურებით პარიზის ქუჩისა და მეშჩანური ცხოვრებიდან, მოხდენილი კალმით შესრულებული ნახატებით (იხ. ნ. გოგოლი, ვ. მაიაკოვსკი, უ. თეკერეი.) ბალზაკის თხზულებათა მხატვრულ გამოცემისათვის და პიესებით. როგორც მსახიობი გამოდიოდა მხოლოდ მის მიერ დაწერილ პიესებში.

მ ო ნ ტ ე გ ი უ, მ ა რ ი ა პ ი ერ ა პ ო ნ ტ ი (მამით—ე ვ ე ლ ა ი ნ ი, 1689—1762) — ცნობილი ინგლისელი პოეტი-სატირიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე-ქალი. მისი სახელი უმთავრესად დამყარებულია მის ნატიფ წერილებზე კონსტანტინეპოლიდან, ადრიანოპოლიდან და პერადან, სადაც ის ერთხანს ცხოვრობდა თავის ქმართან, ინგლისის ელჩთან ოსმალეთში, გრაფ ვორტლეი მონტეგიუსთან. ოსმალეთში ისე, როგორც სხვა აღმოსავლურ ქვეყნებში, იმ დროს უკვე შემოღებული იყო ყვავილის აცრა და მათ აცრა გაუკეთეს თავიანთ პატარა ვაჟს, ხოლო ინგლისში დაბრუნებისას მ. მონტეგიუ მხურვალე პროპაგანდას ეწეოდა მაღალ საზოგადოებაში აცრის სასარგებლოდ და საზოგადოების დასაჯერებლად მან აცრა გაუკეთა თავის პატარა გოგონას. თავგანწირვის (მაშინდელ პირობებში) ასეთმა მაგალითმა დიდი გავლენა

იქონია საზოგადოებაზე და, მალე, მის შემდეგ, რაც მისი მიბაძვით, უელსის პრინცესამ (შემდეგში დედოფალმა კაროლინამ) ყვავილი აუცრა თავის ორ ქალიშვილს, აცრა გავრცელდა მთელს ინგლისში და იქიდან ევროპაშიაც.

მ ო ნ ტ ე ნ ი, მ ი შ ე ლ დ ე (1533—92)—აღორძინების ხანის გამოჩენილი ფრანგი მოაზროვნე, ფილოსოფოსი-მორალისტი და მწერალი-ჰუმანისტი, რომელმაც, თანახმად გავრცელებულ თქმულებებისა, „ფრანგებს შეასწავლა აზროვნება“; სკეპტიკოსი, თეოლოგიის, კათოლიკური ეკლესიის დოგმატიზმის და ინკვიზიციის სასტიკი მოწინააღმდეგე; აღზრდისა და განათლების საკითხებში პროგრესული პედაგოგიური იდეების მატარებელი და დამცველი.

მ ო ნ ტ ე ს კ ი ე, შ ა რ ლ-ლ უ ი დ ე ს ე კ ო ნ დ ა, დ ე ლ ა ბ რ ე დ ი (ფსევდონიმი — **შ ა რ ლ დ' უ ტ რ ე პ ო ნ ი**, 1689—1755)— სახელგანთქმული ფრანგი განმანათლებელი, მოაზროვნე, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, სოციოლოგი და სახელმწიფო მოღვაწე. სახელმწიფოსა და საზოგადოების თეორეტიკოსი, ევროპული ლიბერალიზმის ფუძემდებელი და ბელადი. საფრანგეთის აკადემიის წევრი.

მ ო პ ა ს ა ნ ი, ა ნ რ ი რ ე ნ ე ა ლ ბ ე რ ტ გ ი დ ე (1850—93)—საზელგანთქმული ფრანგი მწერალი-ბელეტრისტი, ფრანგულ ლიტერატურაში ერთ-ერთი უდიდესი მხატვარი-რეალისტი, უდიდესი ჰუმანისტი და მგზნებარე პატრიოტი; ბურჟუაზიული სამყაროს და მისი მორალის შეურიგებელი მოძულე და კრიტიკოსი, ადამიანის გონების გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებული ხელოვანი. — მეტისმეტად შეუკავებელი ცხოვრების შედეგად დაზიანებული და, მემკვიდრეობით შერყეული ჯანმრთელობის მკვეთრად გაუარესების ნიადაგზე, მოპასანმა, სიგიჟის შემოტევის დროს 1892 წ. განიზრახა თვითმკვლელობა, მაგრამ გადარჩა. გარდაიცვალა პროგრესული დამბლით საგიჟეთში (იხ. რ. შუმანი).

მ ო რ ლ ე ი (**უ ფ რ ო სწორი — მ ო რ ლ ი**), **ჯ ო ნ** (1836—1923) — ინგლისელი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი და პუბლიცისტი, ინგლისური ლიბერალიზმის ერთ-ერთი ბურჯი. როგორც ინგლისის მთავრობის დიდი თანამდებობის მოხელე, ატარებდა ინდოელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სასტიკად ჩახშობის პოლიტიკას.

მ ო ცა რ ტ ი, ვ ო ლ ფ გ ა ნ გ ა მ ა დ ე ი (სრულად—**ი ო ჰ ა ნ ქ რ ი ს ტ ო ფ ო ლ ფ გ ა ნ გ ა მ ა დ ე ი** (1756—91) — გენიალური ავსტრიელი (ტომით გერმანელი) კომპოზიტორი, ვენის კლასიკური სკოლის წარმომადგენელი, გერმანელი კომპოზიტორის ლეოპოლდ მოცარტის (1719—87) შვილი და მოწაფე. 4 წლის ასაკში უკვე უკრავდა კლავესინზე, 6 წლის ასაკში გამოდიოდა როგორც ვირტუოზი საჯარო კონცერტებზე ვენაში, პარიზში, ლონდონში, 8 წლისამ შექმნა პირველი სონატები და სიმფონიები, 11 წლისამ კი—ოპერა (იხ. ა. რუბინშტეინი, გ. ჰენდელი). 14 წლის ასაკში დირიჟორობდა თავისივე ოპერას და არჩეულ იქნა ბოლონიის განთქმულ ფილარმონიის აკადემიის წევრად. გარდაიცვალა დაძაბული შემოქმედებითი შრომის და არსებობისათვის მძიმე ბრძოლით დასუსტების შედეგად 35 წლის ასაკში უკიდურეს სიღატაკეში და დამარხული იქნა საერთო საფლავში ღარიბთათვის

მ უ ლ ტ ა ტ უ ლ ი (ლათ.—multatuli „ბევრი გადავიტანე“, Multatuli ჩვენებურად —„მრავალტანჯული“; ნამდვილი სახელი და გვარი — **ე დ უ ა რ დ დ ა უ ე ს დ ე კ ე რ ი**, 1820—87)—პოლანდიელი მწერალი-ჰუმანისტი, ნიდერლანდების პროგრესული ლიტერატურის ტრადიციების საუკეთესო განმგრძობი. ბურჟუაზიული საზოგადოების მესაკუთრული საფუძვლებისა და მორალის მამხილებელი. განსაკუთრებული სახელი ეწოდა ავტობიოგრაფიული რომანით „მაქს ჰაველარი“, რომელშიაც ულმობლად ამხილა ჰოლანდიის ბურჟუაზიის კოლონიური პოლიტიკა ინდონეზიაში. ედ. დეკერი (მულტატული) იყო ჰოლანდიის კოლონიალური ადმინისტრაციის პასუხისმგებელი მოხელე (ასისტენტ-რეზიდენტი) ინდონეზიაში, სადაც მან დაჰყო 18 წელი და საბოლოოდ შეუდგა მწერლობას და გამოიყენა ის მხილების საშუალებად, როდესაც დაჰკარგა სამსახური ჰოლანდიელ კაპიტალისტების და ადგილობრივი ფეოდალების მხრივ ინდონეზიელ ხალხის ძარცვის წინააღმდეგ პროტესტის შედეგად და „თავისუფალი აზროვნების“ გამო (იხ. ა. ტიურგო).

მ ხ ი თ ა რ გ ო შ ი (1130—1213) — სომეხი მოაზროვნე, სამართლის მცოდნე, ლიტერატორი და ღვთისმეტყველი (ბერი)— მე-12 ს. დასასრულის სომხური კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, შეადგინა მისივე სახელით წოდებული სახელმწიფო, სამოქალაქო და საეკლესიო კოდექსთა ვრცელი კრებული „სამართლის წიგნი“, დააარსა მონასტერი ნორ-გეტიკ-გოშავანქი (ნდ. გეტიკის ხეობაში).

ნ ა დ ს ო ნ ი, ს ი მ ო ნ ი ა კ ო ბ ი ს ძ ე (1862—87) — ცნობილი რუსი პოეტი-ლირიკოსი; შემოქმედების პირველ პერიოდში დემოკრატიული და მოქალაქეობრივი მოტივების მატარებელი, ხოლო შემდეგ, 80-იანი წლების პირველ ნახევარში გამეფებული მძვინვარე რეაქციით გულგატეხილი და პასიური ჰუმანისტი და პატრიოტი, რომელსაც ნაინც სწამს უკეთესი მომავალი და სამართლიანობის გამარჯვება. მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა (25 წელი), ს. ნადსონმა ღრმა კვალი დასტოვა რუსულ პოეზიაში (იხ. ნ. ბარათაშვილი). ნადსონმა ლექსების წერა დაიწყო 9 წლის ასაკში (იხ. ა. პუშკინი).

ნ ა ვ ო ი, ა ლ ი შ ე რ ი (ნ ა ზ ა მ ა დ ი ნ ა ლ ი შ ე რ ი ს უ ზ ბ ე კ უ რ ი ფ ს ე ვ დ ო ნ ი მ ი: სპარსული ფსევდონიმი — ფ ა ნ ი. ნავოი—უზბ. „მელოდიური“; ფანი — სპარს. — „ხრწნადი“, „წარმავალი“. 1441—1501) — გენიალური უზბეკი პოეტი, უდიდესი მოაზროვნე და განმანათლებელი, ფილოსოფოსი, მეცნიერი და გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, უზბეკეთის ლიტერატურის მამამთავარი და უზბეკური ლიტერატურული ენის ფუძემდებელი: ისტორიკოსი, ლინგვისტი, კომპოზიტორი, მხატვარი-ფერმწერი (იხ. ტ. შევჩენკო. კ. ხეთაგათი, ე. ჰეკელი). ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი, მგზნებარე პატრიოტი და საერთო-საკაცობრიო ინტერესებით გამსჭვალული ჰუმანისტი.

ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი, მ ი ქ ა ე ლ ლ ა ზ ა რ ე ს ძ ე (ფსევდონიმი—კ ო ს ო მ ო ს ე მ ა ნ უ ე ლ ი, 1829—66) — გამოჩენილი სომეხი რევოლუციონერი-დემოკრატი, მე-19 ს. მარქსამდელი მატერიალიზმის თვალსაჩინო წარმომად-

გენელი სომხეთში, რევ.-დემოკრატიული მოძრაობის ბელადი, პუბლიცისტი. ფილოსოფოსი და ლიტერატურული კრიტიკოსი. რუსეთის პროგრესულ ინტელიგენციასთან და ა. ი. გერცენის საზღვარგარეთულ ჯგუფთან მჭიდრო კავშირისათვის (იხ. ნ. ჩერნიშევსკი) დაპატიმრებული და გადასახლებული იქნა ქ. კამიშინში (სარატოვის გუბ.), სადაც გარდაიცვალა ჭლექით (იხ. ჭ. ლომთათიძე).

ნაპოლეონი (კარლოსძე) I, ბონაპარტი (1769—1821)—საფრანგეთის რესპუბლიკის პირველი კონსული (1799—1804), შემდეგ იმპერატორი (1804—14 და 1815), რომლის მეფობა წარმოადგენს განუწყვეტელ ომიანობას; ცნობილი ფრანგი (წარმოშობით კორსიკანელი) ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე და გამოჩენილი სარდალი, რომლის სამხედრო შემოქმედებამ უდიდესი გავლენა იქონია ევროპული სამხედრო აზროვნების შემდგომ განვითარებაზე. რუსეთ-ინგლის-ავსტრიის კოალიციასთან ბრძოლაში დამარცხების შედეგად იქნა ტახტმოხდილი და გადასახლებული კუნძ. ელბაზე. საიდანაც ფარულად დაბრუნდა და კიდევ იმეფა „ასი დღე". კოალიციის მიერ ვატერლოსთან მეორედ დამარცხებული ხელმეორედ იქნა ტახტმოხდილი და გადასახლებული წმ. ელენეს კუნძულზე, სადაც გარდაიცვალა. მისი ნეშტი გადატანილი იქნა პარიზში და დაკრძალული პანთეონში ინვალიდთა ტაძარში. ნაპოლეონს ეკუთვნის ისტორიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი მემუარები და დიდი (32 ტომი) მიწერ-მოწერა.

ნასირ ხოსროვ (უფრო სწორი—ნასირ-ი-ხუსრაუ), ბალხი (ე. ი. ქ. ბალხიდან, სრულად: — აბუ-მიუნ ნასირ-იბნ-ხუსრაუ იბნ-ხარისი, მოახლ. 1003—87) — გამოჩენილი ირანელი პოეტი, მოაზროვნე და მოგზაური, ისმაელელთა მოძღვრების მქადაგებელი, თავის მოძღვრებისათვის იძულებული იყო გაქცეულიყო ბადაშხანის მიუვალ ხეობაში.

ნეკრასოვი, ნიკოლოზ ალექსის ძე (1821—78) — დიდი რუსი პოეტი, რევოლუციონერი-დემოკრატი, რუსულ ლიტერატურაში დემოკრატიული პოეზიის ფუძემდებელი და სოციალისტური რეალიზმის უშუალო წინამორბედი.

ნერონი, ლუციუს დომიციუსი (მამინაცვლის, იმპერ. კლავდიუსის მიერ შვილად აღიარების შემდეგ ეწოდა: კეისარი კლავდიუს ტიბერიუს დრუზუს გერმანიკუსი, 37—68) — რომის იმპერატორი (54—68). უკანასკნელი ნაშიერი იულიოსების გვარეულობიდან. სასტიკი და გარყვნილი ტირანი. მოპკლა: თავისი დედა, ორი ცოლი. გერი-ძმა, იმსხვერპლა პოეტი ლუკანი, (იხ.), თავისი აღმზრდელი და მრჩეველი ფილოსოფოსი სენეკა, მწერალი პეტრონიუსი და მრ. სხვა გამოდიოდა საჯაროდ არა მარტო რომში, არამედ საბერძნეთშიაც, როგორც მომღერალი-დეკლამატორი, მსახიობი და სპორტულ შეჯიბრებათა მონაწილე (იხ. დიონისე სირაკუზელი). სენატის მიერ ტახტიდან გადაყენებული და სიკვდილმისჯილი, გაიქცა რომიდან და გზაში თავი მოაკვლევინა თავისივე მონას.

ნიზამ-ალ-მულკი, ჰასან იბნ-ალი (1018—92) — სელჯუკთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე (ვეზირი, ტომით სპარსელი), რომლის თხზულება „სიასეტ ნამე" („წიგნი მმართველობაზე") წარმოადგენს ახლო

აღმოსავლეთში ფეოდალიზმის ისტორიის ძვირფას წყაროს. დაარსა მუსლიმანური საღვთისმეტყველო-იურიდიული სკოლა, რომელსაც მის სახელზე დაერქვა სახელი „ნიზამიია"

ნ ი ზ ა მ ი გ ა ნ ჯ ე ლ ი (ნ ი ზ ა მ ი — ფსევდონიმია და ნიშნავს — „მარცვლების, ანუ რითმების ამსახველს" ნამდვილი სახელწოდება: ნ ი ზ ა მ უ დ ი ნ ა ბ უ-მ უ ჰ ა მ ე დ ი ლ ი ა ს ი ბ ნ-ი უ ს ე ფ ი ბ ნ-ზ ე კ ი-მ უ ა ი ი ა დ ი. 1141—1203) — გენიალური აზერბაიჯანელი პოეტი-ლირიკოსი და მოაზროვნე. ირანული პოეზიის კლასიკოსი-ჰუმანისტი, მშობლიური აზერბაიჯანის მგზნებარე პატრიოტი და აზერბაიჯანის მეზობელ ხალხთა ნეგოტრობისა და ძმობის ქომაგი.

ნ ი უ ტ ო ნ ი, ი ს ა ა კ ი (1643—1727)—უდიდესი ინგლისელი ფიზიკოსი, მექანიკოსი, მათემატიკოსი და ასტრონომი. კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ლონდონის მეფის [მეცნიერებათა] საზოგადოების პრეზიდენტი, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. თანამედროვე ანალიზური მექანიკის და თეორიული ასტრონომიის ფუძემდებელი; ჩამოაყალიბა კლასიკური მექანიკის ძირითადი კანონები, აღმოაჩინა მსოფლიო მიზიდულობის და უსასრულო-მცირედების გამოანგარიშების კანონები, დაამუშავა დიფერენციალური და ინტეგრალური გამოანგარიშება და ციური სხეულების მოძრაობის კანონები, მოგვცა ფერების მეცნიერული თეორია, ააგო პირველი სარკიანი (უკუმქცევი) ტელესკოპი. მისმა აღმოჩენებმა უდიდესი გავლენა იქონია ფილოსოფიაზე, კერძოდ მე-18 ს. ფრანგულ მატერიალიზმზე.

ნ ო რ დ ა უ, მ ა ქ ს ი (მ ა ქ ს ზ ი დ ფ ე ლ დ ი ს ფსევდონიმი, 1849—1923) — ცნობილი გერმანელი (ტომით უნგრელი ებრაელი). წვრილბურჟუაზიული მწერალი და პაციფისტური სიონისტური მოღვაწე. განათლებით ექიმი. თავის დროზე ცნობილი შეიქნა მსუბუქი, სალონური სტილით დაწერილი და პარადოქსებით აღვსილი თხზულებებით, რომლებიც არაპროგრესული მიმართულების გამო, დროთა განმავლობაში, მიეცა სრულ დავიწყებას.

ო ბ რ უ ჩ ე ვ ი, ვ ლ ა დ ი მ ე რ ა თ ა ნ ა ს ე ს ძ ე (1863—1956) — გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერ-გეოლოგი და გეოგრაფი, ციმბირისა და ცენტრალური აზიის მკვლევარი: აკადემიკოსი.

ო გ ა რ ი ო ვ ი, ნ ი კ ო ლ ო ზ პ ლ ა ტ ო ნ ი ს ძ ე (1813—77) — გამოჩენილი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატი, პოეტი, პუბლიცისტი და ფილოსოფოსი-მატერიალისტი. ა. ი. გერცენის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი. გარდაიცვალა, ისევე როგორც გერცენი, ემიგრაციაში. დასაფლავებულია გრინვიჩში (ლონდონის ოლქი).

ო დ ო ე ვ ს კ ი, ვ ლ ა დ ი მ ე რ თ ე დ ო რ ე ს ძ ე (1804—69)—ცნობილი რუსი მწერალი და მუსიკისმცოდნე, რუსული კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ო ვ ი დ ი უ ს პ უ ბ ლ ი უ ს ი (სრულიად:—პ უ ბ ლ ი უ ს ო ვ ი დ ი უ ს ნ ა ზ ო ნ ი, 43 ჩვ. წ-დე—17 ჩვ. წ-ის) — იმპერატორ ავგუსტეს დროის და რომის ლიტერატურის ე. წ. „ოქროს ხანის" ერთ-ერთი გამოჩენილი რომაელი პოეტი. ავგუსტეს განკარგულებით გადასახლებულ იქნა სამშობლოდან რომის ერთ-ერთ მიყრუებულ კოლონიაში მდ. დუნაის ნაპირზე, სადაც დაპყო სიცოცხლის უკანასკნელი 8 წელი.

ოკენი (საკუთრივ: — ოკენფუსი, შეცვლილი მის მიერვე), ლორენცი (1779—1851) — გერმანელი ბუნებისმეტყველი და ნატურ-ფილოსოფოსი-იდეალისტი, პროფესორი იენაში, მიუნქენში, ციურიხში. აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი აღმოჩენა ბუნებისმეტყველებაში, რომელთაც ფრ. ენგელსი დადებით შეფასებას აძლევს თავის „ანტი-დიურინგში". ვეიმარში სცემდა საბუნებისმეტყველო-ისტორიული ხასიათის ენციკლოპედიურ გაზეთს. ვეიმარის მთავრობამ წინადადება მისცა ხელი აეღო ან გაზეთის გამოცემაზე, ან პროფესორის თანამდებობაზე. ოკენმა არჩია გაზეთის გამოცემის გაგრძელება და დასტოვა ლექციების კითხვა (იხ. ბ. სპინოზა).

ოლომპიანი — მე-11 ს. სომეხი იგავთმწერალი.

ორბელიანი, გრიგოლ ზურაბის ძე (1800—83) — ცნობილი ქართველი პოეტი-რომანტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. ცნობილია აგრეთვე როგორც ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ი. კრილოვის და კ. რილეევის თხზულებათა ქართულ ენაზე პირველი მთარგმნელი.

ორბელიანი (აგრ. — ჯამბაკურ-ორბელიანი), ვახტანგ ვახტანგის ძე (1812—90) — ერეკლე II-ის შვილიშვილი. ცნობილი ქართველი პოეტი-რომანტიკოსი. 1832 წ. „ფარულ სამხედრო შეთქმულებაში" მონაწილეობისათვის მიესაჯა სიკვდილით დასჯა, რომელიც შეეცვალა ქ. კალუგაში გადასახლებით. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ — რუსეთის სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი.

ორბელიანი, სულხან-საბა (1658—1725) — გამოჩენილი ქართული სახელმწიფო, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, ისტორიოგრაფი, პოეტი-ჰუმანისტი, მწერალი-პროზაიკოსი, ლიტერატორი, ლექსიკოგრაფი და მოიგავე. ქართულ ლიტერატურაში მოგზაურობის ჟანრის შემომღები და დოკუმენტალური პროზის შემქმნელი; ვახტანგ VI უახლოესი თანამშრომელი. 1724 წ. ვახტანგ VI ერთად გადასახლდა რუსეთში. გარდაიცვალა სოფ. ვსეხსვიატსკში მოსკოვის მახლობლად, სადაც დასაფლავებულია.

ოსტროვსკი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1904—36) — გამოჩენილი რუსი საბჭოთა მწერალი, სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე მებრძოლი-რევოლუციონერი. ბრძოლაში მიღებული მძიმე ჭრილობის ნიადაგზე დასნეულებულმა, სახსრების გაძვალებით განუკურნავად დაავადებულმა, ლოგინზე მიჯაჭვულმა და დაბრმავებულმა ტრანსპარანტისა და ნათესავ-მეგობრებისათვის კარნახის საშუალებით დასწერა თავისი სახელმოხვეჭილი რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი" (იხ. გ. გალილეი, ნ. ლობაჩევსკი, ჯ. მილტონი, პ. სკარონი). დიდ საზოგადოებრივ ინტერეს წარმოადგენს ახალგაზრდობისადმი მიმართული მისი წერილები და სიტყვები და აგრეთვე მისი მიწერ-მოწერა.

ოუენი, რობერტი (1771—1858) — გამოჩენილი ინგლისელი სოციალისტი-უტოპისტი, რეფორმატორი, პედაგოგი, მორალისტი და ქველმოქმედი, საფაბრიკო-საქარხნო კანონმდებლობის ფუძემდებელი, ფილოსოფიური შეხედულებებით თანმიმდევრული რაციონალისტი, მე-18 ს. განმანათლებელთა ერთგული მოწაფე.

ოქსენშერნა, აქსელი (1581—1651) — გამოჩენილი შვედი სახელმწიფო მოღვაწე; კანცლერი (1612—54) და სახელმწიფოს ფაქტიური მეთაური, რომლის ხელმძღვანელობით შვეციამ განამტკიცა თავისი ბატონობა ბალტიის ზღვაზე. ლიტერატურაში ცნობილია ადმინისტრაციული კანონების კრებულით, სხვადასხვა თხზულებებით და მიწერ-მოწერით.

ოქსენშერნა, იოჰან გაბრიელი (1750—1818) — ცნობილი შვედი პოეტი. გარდა ლირიკული ლექსებისა მის კალამს ეკუთვნის პოეტური უსტარები, ზღაბრები, მილტონის „დაკარგული და დაბრუნებული სამოთხე"-ს და ტორკვატო ტასოს „განთავისუფლებული იერუსალიმი"-ს საუცხოო თარგმანები.

პავლოვი, ივანე პეტრეს ძე (1849—1936) — დიდი რუსი მეცნიერი-ფიზიოლოგი, რუსული და მსოფლიო მეცნიერების უდიდესი კორიფეი; ცხოველთა და ადამიანის უმაღლეს ნერვულ მოქმედების შესახებ მატერიალისტური მოძღვრების შემქმნელი, აკადემიკოსი.

პალესტრინა (ჯოვანი პიერლუიჯის მეტსახელი, 1524 ან 25—1594) — გამოჩენილი იტალიელი კომპოზიტორი, საეკლესიო მუსიკის ბრწყინვალე წარმომადგენელი. დაიბადა დაბა პალესტრინაში რომის მახლობლად, საიდანაც წარმოიშვა მისი მეტსახელი.

პანინი (აგრ. — პენინი; პირველი სახელი დედის საპატივცემლოდ — დაკშეია, მეორე სახელი — აპიკა, მიახლ. IV ს. ჩვ. წ-დე) — ძველი ინდოეთის უდიდესი ლინგვისტი, რომლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოიპოება მხოლოდ ლეგენდარული ცნობები; ძველი სანსკრიტული ენის კანონმდებელი, რომლის ავტორიტეტი ჰინდური ტრადიციის მიხედვით ითვლება საღმრთოდ და უდავოდ. ჩარიცხული იყო ჰინდელ ბრძენთა შორის და სარგებლობდა დიდი პატივისცემით. მისი გრამატიკა, რომელსაც ავტორის საპატივცემლოდ „პანინიამი" დაერქვა, შედგება 8 წიგნისაგან (აქედან მისი სახელწოდება — „აშტადპაი" ე. ი. „რვაწიგნეული"), შეიცავს 4000-დე ლექსურ წესს, ანუ ბრძნულ თქმას და ამომწურავი სისრულით იძლევა სანსკრიტის მთელ წყობას. — პანინის გრამატიკის გაცნობამ მე-18 ს-ში ხელი შეუწყო ევროპაში შედარებითი მეთოდის განვითარებას ენათმეცნიერებაში.

პაოლეტი, ფერდინანდი (1717—1801) — იტალიელი ეკონომისტი, ტოსკანელი მღვდელი. თავის თხზულებებში და პირადი მაგალითით ნიისწრაფოდა აემაღლებინა თავის სამშობლოში სოფლის მეურნეობა, გაეცოცლებინა თავის თანამემამულეებში ჯანსაღი ეკონომიური შეხედულებები, შეემსუბუქებინა მოსახლეობის ფინანსური მძიმე ტვირთი და დაეცვა ხალხი საეკლესიო გადასახადებისგან.

პარმენიდე (VI—V სს. ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი-მატერიალისტი, ელეის სკოლის ფუძემდებელი და მისი გაჩოჩენილი წარმომადგენელი.

პასკალი, ბლეზი (1623—62) — უდიდესი ფრანგი მოაზროვნე, გამოჩენილი მათემატიკოსი, ფიზიკოსი და მწერალი: იეზუიტების ძალმომრე-

ობისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი. საფუძველი ჩაუყარა სინთეზიურ გეომეტრიას, ალბათობისა და სითხეთა წონასწორობის თეორიებს. განსაკუთრებული სახელი კი მას მოუხვეჭა იეზუიტების პირმოთნეობის, ფლიდობისა და გამყიდველობის მამხილებელმა თხზულებებმა, რომლებიც წარმოადგენენ დამაჯერებელი და გესლიანი პროზის ნიმუშს. ბ. პასკალმა 12 წლის ასაკში შეადგინა გეომეტრიის დამოუკიდებელი სისტემა, ხოლო 16 წლის ასაკში დაწერა დიდი თხზულება კონუსური კვეთების შესახებ (იხ. ჯ.-სტ. მილი, უ. ჰეზლიტი).

პ ა ს ტ ე რ ი, ლ უ ი (1822—95) — უდიდესი ფრანგი მეცნიერი-კლასიკოსი, ბუნებისმეტყველი, ბაქტერიოლოგი და ქიმიკოსი. ქიმიის პროფესორი. პარიზის სამეცნიერო აკადემიის და საფრანგეთის სამედიცინო აკადემიის წევრი. მიკრობიოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის ფუძემდებელი, გამოჩენილი თეორეტიკოსი და ექსპერიმენტატორი. მგზნებარე პატრიოტი, რომელმაც საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა სიძულვილი დამპყრობელებისადმი და უარი სთქვა ვილპელმ II მიერ შემოძლეულ დოქტორის საპატიო ორდენის მიღებაზე, (იხ. კ. ტიმირიაზევი).

პ ე ნ ი, თ ო მ ა ს ი (1737—1809) — ამერიკელი (ტომით ინგლისელი) პროგრესული პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი, რევოლუციონური დემოკრატი, განმანათლებელი, ამერიკელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლის მხურვალე მონაწილე და ამ ბრძოლაში ჯ. ვაშინგტონის თანამოღვაწე. ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატებში მონობისა და რასიული დისკრიმინაციის მოწინააღმდეგე, რისთვისაც განიცადა დევნა ამერიკელი ბურჟუაზიისა და პლანტატორთა მხრივ. ომის დამთავრების შემდეგ ინგლისში დაბრუნებულმა ინგლისის კონსტიტუციის მკაცრი კრიტიკისა და საფრანგეთის რევოლუციის თანაგრძნობისათვის განიცადა ახალი დევნა (იხ. ხ.-ა. კონდე, ჰ. ლაუბე) და გადასახლდა საფრანგეთში, სადაც არჩეული იქნა კონვენტის წევრად. აქ მან ტაქტიკური მოსაზრებით მხარი არ დაუჭირა იაკობინელებს და ხმა მისცა მეფე ლუი XVI სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია იაკობინელებთან მისი განხეთქილება. მ. რობესპიერის განკარგულებით დაპატიმრებულს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, მაგრამ ამერიკის შუამდგომლობით განთავისუფლებული გადაურჩა სიკვდილს. — თ. პენმა სატუსაღოში 14 თვის განმავლობაში ყოფნის დროს დაწერა რელიგიური დოგმების წინააღმდეგ მიმართული თხზულება „გონების საუკუნე“ (იხ. ლ. ბლანკი, დ. დეფო, ჰ. მირაბო).

პ ე რ ე ს ი, ა ნ ტ ო ნ ი ო (1539—1611) — ესპანელი სახელმწიფო ღოღვაწე, ფილიპე II მინისტრი. ჯერ სარგებლობდა მეფის უდიდესი ნდობით, შემდეგ იქნა მის მიერ შეძულებული. სიკვდილმისჯილი, როგორც ერეტიკო-

---

* ა. პერესის თავშეუკავებელი ხასიათით და ანგარების მოყვარეობით ამხედრებულმა და გადაკიდებულმა მტრებმა გაუმეღავნეს ფილიპე II პერესის ინტიმური კავშირი მეფის საყვარელ ქალთან, ანა დე ებოლისთან. (მამით — დე მენდოზა). ეჭვიანობით და სიძულვილით შეპყრობილი ფილიპე II განკარგულებით დაპატიმრებული ა. პერესი წვალების საშუალებით გამოსტეხეს ებოლისთან ინტიმურ კავშირში და გაასამართლეს.

სი, გაიქცა საპყრობილედან და გადაიხვეწა სამშობლოდან. გარდაიცვალა პარიზში უკიდურეს სიღარიბეში. დასტოვა საინტერესო მემუარები. მისმა ჰენშავმა ცხოვრებამ შთაგონა კ. გუცკოვი დაეწერა დრამა „ფილიპე და პერესი".

პ ე რ ი ა ნ დ რ ე (625—585 ჩვ. წ-დე) — კორინთის (ძვ. საბერძნეთი) ერთ-ერთი უსასტიკესი მმართველი ჰერაკლიდების გვარეულობიდან, აყვავა ვაჭრობა და მრეწველობა, მფარველობდა მეცნიერებასა და ხელოვნებას.

პ ე რ ო ვ ს კ ა ი ა, ს ო ფ ი ო ლ ე ვ ი ს ა ს უ ლ ი (1853—81)—რუსი რევოლუციონერი ქალი თავად-აზნაურული ოჯახიდან (ნამა იყო პეტერბურგის გუბერნატორი). „Народная Воля"-ს ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეთაგანი. 1881 წ. 1 მარტს ალექსანდრე II მკვლელობაში მონაწილეობისათვის სიკვდილით იქნა დასჯილი სხვა პირველმარტელებთან (ა. ი. ქელიბოვი, ტ. მ. მიხაილოვი, ნ. ი. კიბალჩიჩი, ნ. ი. რისაკოვი *) ერთად.

პ ე ს ტ ა ლ ო ც ი, ი ო ჰ ა ნ პ ე ნ რ ი ბ ი (1746—1827) — გამოჩენილი შვეიცარიელი (ტომით იტალიელი) პედაგოგი-დემოკრატი და მწერალი-რომანისტი, დიდი ხალხსანი, „მასწავლებელთა მასწავლებელი", ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პედაგოგიკის თვალსაჩინო თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, რომელმაც პირველად შეიქმნა მშობლიური ენის, არითმეტიკისა და გეოგრაფიის დაწყებითი სწავლების მეთოდიკა და ყოველგვარად სცდილობდა აემაღლებინა სკოლაში მშობლიური ენის სწავლების მნიშვნელობა (იხ. ი. გოგებაშვილი). შესანიშნავი პედაგოგიური რომანისათვის „ლინგარდი და გერტრუდა" საფრანგეთის საკანონმდებლო ყრილობამ ი. პესტალოცის „საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქის" საპატიო წოდება მიანიჭა.

პ ე ტ ი-ს ე ნ ი, ქ ა ნ ი (1792—1870) შვეიცარიელი (ტომით ფრანგი) პოეტი-პუმორისტი, 1832-36 წწ. სცემდა გონებამახვილ პუმორისტულ ფურცელს „Le Fantastique".

პ ე ტ რ ა რ კ ა, ფ რ ა ნ ჩ ე ს კ ო (მამით — პ ე ტ რ ა კ ო, ანუ პ ი ე ტ რ ო დ ე პ ა რ ე ნ ტ ო (1304—74)—უდიდესი იტალიელი პოეტი-ლირიკოსი, ნწერალი და მეცნიერი. პუმანიზმის წინამორბედი, პოეტი-პატრიოტი და მოქალაქე. იტალიის გაერთიანების იდეოლოგი, რომის კულტურის უდიდესი პროპაგანდისტი. აღმოაჩინა ციცერონისა და კვინტილიანეს რამდენიმე უცნობი ხელნაწერი. გარდაიცვალა სისხლის ჩაქცევით თავის ბიბლიოთეკაში წიგნის კითხვის დროს.

პ ე ტ რ ე I დ ი დ ი (პ ე ტ რ ე ა ლ ე ქ ს ი ს ძ ე რ ო მ ა ნ ო ვ ი, 1672—1725) — რუსეთის (მოსკოვის) უკანასკნელი მეფე (1682 წ-ან) და შემდეგ სრულიად რუსეთის პირველი იმპერატორი (1721 წ-ან). გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და სარდალი, ნიჭიერი, ენერგიული და მიზანმსწრაფი ორგანიზატორი და სტრატეგი, ფრთხილი, შორსმჭვრეტელი და ფანატიზმს

---

* ყველა ზემოთჩამოთვლილი პირნი ჩამოხრჩობილი იქნენ 1881 წ. 3 აპრილს, ხოლო მეექვსე მათი თანამონაწილე ი. ი. გ რ ი ნ ე ვ ი ც კ ი, რომელმაც ყუმბარა ესროლა მეფის კარეტას, სასიკვდილოდ დაჭრილი, დაიღუპა ტეროორისტული აქტის დროს.

ნოკლებული დიპლომატი, თავისი დროის ერთ-ერთი მოწინავე ადამიანი, რომლის მეფობა ხასიათდება დიდი გარდაქმნებით რუსეთის ეკონომიკაში, სახელმწიფო წყობილებაში და კულტურაში და აქტიური საგარეო პოლიტიკით. მიუხედავად იმისა, რომ პეტრე I არ მიუღია სისტემატური განათლება, იგი თავისი ენერგიით და შრომისმოყვარეობით დაეუფლა დიდ ცოდნას (იხ. ბ. ფრანკლინი, ნ. ციოლკოვსკი) გემთმშენებლობაში, სანავიგაციო საქმეში, სამხედრო ხელოვნებაში და სხვა დარგებში და არჩეულ იქნა პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრად.—გარდაიცვალა ანთებისაგან, რომელიც გამოიწვია გაციებამ, როდესაც ის წელამდე წყალში ჩამდგარი შველოდა ეკიპაჟს ფინეთის ყურეში ჩაძირული ხომალდის გადარჩენაში. ლიტერატურაში ცნობილია თავისი მრავალი ბრძანებებით და რეგლამენტებით და განსაკუთრებით დიდი და ცხოველი ენით დაწერილი მიწერ-მოწერით თავის თანამშრომლებთან და ოჯახის წევრებთან.

პ ი თ ა გ ო რ ა (მიახლ. 580 — მიახლ. 500 ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის გამოჩენილი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი-იდეალისტი, მონათმფლობელ არისტოკრატიის იდეოლოგი. ცნობილია აგრეთვე როგორც ე. წ. პითაგორას თეორემის ავტორი. პითაგორამ პირველმა უწოდა თავის თავს ფილოსოფოსი, ანუ სიბრძნის მოყვარული და არა ბრძენი.

პ ი ნ დ ა რ ე (მიახლ. 518—442 ჩვ. წ-დე)—ძველი საბერძნეთის გამოჩენილი პოეტი-ლირიკოსი, საზეიმო-საგუნდო (სასიმღერო) ლირიკის კლასიკოსი, ბერძნული არისტოკრატიზმის ქომაგი. სიცოცხლეშივე დაფასებულს, მას აპოლონის ტაძარში მიუჩინეს საკუთარი სავარძელი და ქალაქის მოედანზე დაუდგეს ძეგლი.

პ ი ს ა რ ე ვ ი, დ ი მ ი ტ რ ი ი ვ ა ნ ე ს ძ ე (1840—68) — გამოჩენილი რუსი ლიტერატურული კრიტიკოსი, პუბლიცისტი და პედაგოგი, რევოლუციონური დემოკრატი, რუსული მატერიალისტური ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ ცოდნათა მგზნებარე პროპაგანდისტი, ხალხის მასის და მისი გონებრივი ემანსიპაციის ქომაგი და პატრიოტი; ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი, თავის ფილოსოფიური რწმენით „ვულგარული მატერიალიზმის“ მიმდევარი-ევოლუციონისტი, მაგრამ თვითმყრობელურ-ბატონ-ყმური წესწყობილების შეურიგებელი მტერი და დარწმუნებული ათეისტი. ვ. ი. ლენინის საყვარელი მწერალი. — ტრაგიკულად დაიღუპა 28 წლის ასაკში: დაიხრჩო რიგის ზღვის ყურეში ბანაობის დროს.

პ ი ს ე მ ს კ ი, ა ლ ე ქ ს ი ფ ე ო ფ ი ლ ა ქ ტ ს ძ ე (ფსევდონიმი: ნ ი კ ი ტ ა ბ ე ზ რ ი ლ ო ვ ი, 1821—81)—თვალსაჩინო რუსი მწერალი-ბელეტრისტი, რომანისტი და დრამატურგი-რეალისტი. რეაქციონულ-თავად-აზნაურულ ბანაკში გადასვლით და არაპროგრესული პოზიციებიდან დაწერილი რომანი. „Взбаламученное море“, რომელიც მართებულად და მკაცრად იქნა შეფასებული იმდროინდელი მოწინავე პრესის მიერ (ა. გერცენი, დ. პისარევი); ლიტერატურული მოღვაწეობით. პოპულარულმა მწერალმა უცებ დაკარგა თავისი

ძველი ლიტერატურული სახელი, გავლენა და წონა. ამის ნიადაგზე. ბუნებით ისედაც ეჭვნეულად განწყობილმა და იპოქონდრიით შეპყრობილმა ა. პისემსკიმ ხელი მიპყო სმას. საყვარელი შვილის ნიკოლოზის, ნიჭიერი და დიდი იმედების მომცემი მათემატიკოსის, გამოურკვეველი მიზეზებით. უეცარმა თვითმკვლელობამ და მეორე შვილის, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის პავლეს განუკურნებელმა ავადმყოფობამ და ამ ნიადაგზე კიდევ უფრო გართულებულმა იპოქონდრიამ და გალოთებამ, ბოლო მოუღეს ისედაც ფიზიკურად დაზიანებულსა და სულიერად დაავადებულ მწერალს.

პ ლ ი ნ ტ ე, ტ ი ტ უ ს მ ა კ ც ი უ ს ი (მიახლ 254—184 ჩვ. წ-დე)— რომაელი მწერალი-კომედიოგრაფი, რომელიც თავის შემოქმედებაში ეყრდნობოდა ძველ ბერძნულ საყოფაცხოვრებო კომედიას და აგებდა მას რომაულ სცენას.

პ ლ ა ტ ო ნ ი (ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ს მეტსახელი. 427—347 ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი-იდეალისტი, სოკრატეს უახლესი და ერთგული მოწაფე. მონათმფლობელ არისტოკრატიის იდეოლოგი და ათენის დემოკრატიის შეურიგებელი მტერი. 388 წ. ჩვ. წ-დე დააარსა ათენში აკადემია, სადაც აწავლიდა ფილოსოფიას. პლატონის ბოძღვრებაში იდეალიზმი პირველად ჩამოყალიბდა როგორც მატერიალიზმის მიმართ შეგნებულად დაპირისპირებული მსოფლმხედველობა.

პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, გ ი ო რ გ ი ვ ა ლ ე ნ ტ ი ნ ი ს ძ ე (ლიტ. ფსევდონიმები: ნ. ბელტოვი, ა. ვოლგინი და სხვ., 1856—1918) — ცნობილი რუსი ფილოსოფოსი, უდიდესი მარქსისტი და მარქსიზმის თეორეტიკოსი, პროპაგანდისტი და პოპულარიზატორი. II ინტერნაციონალის თვალსაჩინო მოღვაწე. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი. პროფესიონალური რევოლუციონერი, ბრწყინვალე და გონებამახვილი ორატორი, ნიჭიერი პუბლიცისტი, ხელოვნების თეორეტიკოსი და ლიტერატურული კრიტიკოსი, რომლის დამსახურება განსაკუთრებით დიდია ფილოსოფიის დარგში და რუს მარქსისტთა მრავალი თაობის დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიაზე აღზრდაში.

პ ლ ი ნ ი უ ს ი, კ ა ი უ ს ც ე ც ი ლ ი უ ს ს ე კ უ ნ დ უ ს, უ მ ცრ ო ს ი (მიახლ. 62 — მიახლ. 114) — ძველი რომის საბელმწიფო მოღვაწე და მწერალი. შესანიშნავი ორატორი და პროზაიკოსი. უ მ ცრ ო ს ი მას ეწოდა გამოსარჩევად მისი ბიძის (დედის მხრივ) ცნობილი ბუნებისმეტყველის პ ლ ი ნ ი უ ს უ ფ რ ო ს ი ს ა გ ან, რომელმაც ის იშვილა და აღზარდა.

პ ლ უ ტ ა რ ქ ე (მიახლ. 46—126) — ძველი საბერძნეთის გამოჩენილი მწერალი-მორალისტი, ბიოგრაფი, ისტორიკოსი და ფილოსოფოსი. ბონარეის ბოძვრე და რომის იმპერიის თაყვანისმცემელი, იმპერატორ ადრიანეს მასწავლებელი. ცნობილია 200-ზე მეტი შრომით პოლიტიკაში, რელიგიაში, ფილოსოფიაში, ეთიკაში, აგრეთვე თხზულებებით მუსიკაზე და მეტრიკაზე. ყველაზე მეტად ცნობილია მის ნიერ შედგენილი აფორიზმებისა და 46 გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიების კრებულებით.

პ ო პ ი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ ე რ ი (1638—1744) — გამოჩენილი ინგლისელი პოეტი-განმანათლებელი, კლასიციზმის წარმომადგენელი ინგლისურ ლიტერა-

ტურაში, სატირიკოსი, საგმირო ეპოსის და ლექსური აფორიზმის ოსტატი. სუსტი ჯანმრთელობის გამო ბავშვობა და სიყრმე ა. პოპმა გაატარა მშობლების ოჯახში და ვერ მიიღო უმაღლესი განათლება, მსგავსად იმდროინდელ ინგლისელ მწერლებისა, მაგრამ თვითგანათლებით და საკუთარი მუყაითობით მიაღწია დიდ წარმატებას ცოდნის სხვადასხვა დარგში (იხ. მ. გორკი, ჩ. დიკენსი, ბ. ფრანკლინი), ამიტომ მისი დიდაქტიკური, სატირული და პუბლიცისტური პოემები განირჩევა სწავლულობით, გონებამახვილობით და მსჯელობათა მოსწრებულობით.

პროკოპოვიჩი, თეოფანე (1681—1736) — გამოჩენილი რუსი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, დრამატურგი, პუბლიცისტი, მოქადაგე და პოეტი; ბერძ.-ღვთისმეტყველი. ჯერ კიევის სასულიერო აკადემიის მასწავლებელი და რედაქტორი, შემდეგ ფსკოვის ეპისკოპოსი და ბოლოს ნოვგოროდის არქიეპისკოპოსი და სინოდის ვიცე-პრეზიდენტი; პეტრე I რეფორმების თავგამოდებული მომხრე და მისი თანამებრძოლი რეაქციონულ სამღვდელოების წინააღმდეგ; განათლებული აბსოლუტიზმის იდეების გამავრცელებელი და პროგრესული ძალების ქომაგი, რუსეთის ნეცნიერებათა აკადემიის დაარსების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი.

პრომეთე (ქართულ ხალხურ ეპოსში—ამირანი)—ბერძნულ ლიტერატურაში ერთ-ერთი ტიტანი-ღვთისმებრძოლი და ადამიანთა მფარველი, რომელმაც ზეციდან მოიტაცა ცეცხლი და ასწავლა ადამიანთ მით სარგებლობა. ამისათვის დასასჯელად ის ზევსის მიერ მიჯაჭვული იყო კლდეზე კავკასიის ნთებში, სადაც მას ყოველ დღე ღვიძლს უკორტნიდა არწივი. პრომეთეს ეს წამება გრძელდებოდა საუკუნეებით, სანამ გმირმა პერაკლემ (პერკულესმა) არ მოჰკლა არწივი და გაანთავისუფლა პრომეთე.

პროტაგორა აბდერელი (480—411 ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი-სოფისტი, მონათმფლობელ დემოკრატიის გამოჩენილი იდეოლოგი, თავის მოძღვრებაში ძირითადად მატერიალისტი; უკიდურესი სუბიექტივიზმისა და ღმერთების შესახებ სკეპტიკური აზრებისათვის ათენის სასამართლოს მიერ სიკვდილმისჯილი, გაიქცა და დაიღუპა ზღვაზე გემის დაღუპვის შედეგად.

პრჟევალსკი, ნიკოლოზ მიხეილის ძე (1839—88)—გამოჩენილი რუსი მოგზაური და გეოგრაფი, ცენტრალური აზიის მკვლევარი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1878 წ-ან), გენერალ-მაიორი. გარდაიცვალა ნადირობის დროს გაციებით რუსეთ-ჩინეთის საზღვართან ქ. ყარაყოლთან (ახლა ქ. პრჟევალსკი ყირგიზეთის სსრ-ში).

პრუდონი, პიერ ჟოზეფი (1809—65)—ფრანგი მოაზროვნე, ვულგარული ეკონომისტი და წვრილბურჟუაზიული პუბლიცისტი; ანარქიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. კ. მარქსი ამხელს პრუდონის წვრილბურჟუაზიულ რეაქციონულ იდეოლოგიას და იმავე დროს აფასებს ეროვნულ ყრილობაზე გაბატონებული კლასებისა და სასულიერო წოდების მხრიჟ ხალხის ტანჯვებისადმი გულგრილობის წინააღმდეგ პრუდონის გამოსვლას, რომელიც მარქსის შეხედულებით „იმსახურებს ყოველგვარ ქებას“.

 პ ტ ო ლ ე მ ა ი ო ს ი, კ ლ ა ვ დ ი ო ს ი (II ს.) — ძველი საბერძნეთის გამოჩენილი მეცნიერი, რომლის თხზულებებს დიდი მნიშვნელობა აქონდა მრავალ მეცნიერებათა და განსაკუთრებით ასტრონომიის, გეოგრაფიისა და ოპტიკის განვითარებისათვის.

პ უ ბ ლ ი ლ ი უ ს ს ი რ ი უ ს ი (ე. ი. ს ი რ ი ე ლ ი, I ს. ჩვ. წ-დე) — რომაელი პოეტი — მიმების * მწერალი. თავდახსნილი სირიელი მონა. ცნობილია აგრეთვე როგორც მსახიობი და იმპროვიზატორი. მისი მიმებიდან, რომლებიც აღვსილია პრაქტიკული სიბრძნის აფორიზმებით და დამრიგებლური ბრძნული თქმებით, ძველ დროშივე შედგენილი იყო ანბანური (ალფაბეტური) კრებული „სენტენციები" სკოლებში სახმარებლად. ჩვენამდე შემოინახა მისი 700-დე სენტენცია.

პ უ ს ე ნ ი, ნ ი კ ო ლ ა (1594—1665) — გამოჩენილი ფრანგი ფერმწერი, მე-17 ს. ფერწერაში კლასიციზმის უფუძემდებელი და მისი უდიდესი წარმომადგენელი.

პ უ შ კ ი ნ ი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ე რ გ ი ს ძ ე (1799—1837) — გენიალური და მსოფლიოში სახელმოხვეჭილი რუსი პოეტი-რეალისტი, ახალი რუსული ლიტერატურის უფუძემდებელი და რუსული ლიტერატურული ენის შემქმნელი; თვითმყრობელობის, ბატონყმობის, პიროვნების შეკვეწროებისა და ტირანიის მგზნებარე მტერი, განათლებისა და თავისუფლების ჭეშმარიტი მეგობარი და ქომაგი, მგზნებარე პატრიოტი, ჰუმანისტი და თავისუფალი მოაზროვნე. რეაქციონული წრეების ინტრიგების შედეგად დაიღუპა დუელში. მოსალოდნელი მტრული დემონსტრაციის შიშით მეფის მთავრობამ ფარულად ღამით გადაიტანა პოეტის ცხედარი დედაქალაქიდან და დაასაფლავა სვიატოგორის მონასტერში (ფსკოვის ოლქი, რსფსრ). ა. პუშკინმა ფრანგული ლექსების წერა დაიწყო 10 წლის ასაკში (იხ. ს. ნადსონი).

ჟ ა ნ ლ ი ს ი, ს ტ ე ფ ა ნ ფ ე ლ ი ს ი ტ ე (1746—1830) — ცნობილი ფრანგი მწერალი ქალი. მეფე ლუი-ფილიპეს აღმზრდელი, ვოლტერისა და ა. სტალის შეურიგებელი მოწინააღმდეგე. რევოლუციის დროს გაიქცა საფრანგეთიდან და დაბრუნდა მხოლოდ ნაპოლეონ I გამეფების შემდეგ. ცნობილია დიდაქტიზმით, ცრემლიანი სენტიმენტალიზმით და პირმოთნეობით აღვსილი მრავალი ისტორიული და მორალისტური რომანით, ნოველებით, პიესებით და პედაგოგიკური თხზულებებით.

ჟ ა ნ პ ო ლ ი (ი ო ჰ ა ნ პ ო ლ ფ რ ი დ რ ი ხ რ ი ხ ტ ე რ ი ს ფსევდონიმი, 1763—1825) — სახელგანთქმული გერმანელი წვრილბურჟუაზიული მწერალი-ბელეტრისტი, ჰუმორისტი და სატირიკოსი, კლასიციზმის მტერი, წვრილჭანობისა და უხამსობის მამხილებელი. დემოკრატიული პრინციპებისა და აზროვნების თავისუფლების მოქადაგე მწერალი-რომანტიკოსი, რომლის შემოქმედება გამსჭვალულია ნე-18 ს. მოწინავე სულისკვეთებით და ჰუმანური იდეალებით.

---

* მ ი მ ი (ბერძნ. — მიბაძეა, მიმბაძველი) — ანტიკური თეატრის ერთ-ერთი ჟანრი, მონოლოგის ან დიალოგის ფორმის და ფარსის მსგავსი იმპროვიზებული სატირულ-პაროდიული პატარა სცენა.

ქელიაბოვი, ანდრია ივანეს ძე (1850—81) — რუსი რევოლუციონერი, რევოლუციონურ ხალხოსანთა გამოჩენილი წარმომადგენელი, პარტიის „Народная воля"-ს ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. ალექსანდრე II-ის მკვლელობაში აქტიური მონაწილეობისათვის 1881 წ. 3 აპრილს ჩამოხრჩობილ იქნა სხვა დანარჩენ პირველმარტელებთან ერთად.

ქირარდენი, ემილი დე (1806—81) — ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, ბონაპარტიზმის მოწინააღმდეგე ბურჟუაზიული ლიბერალი. საფრანგეთში ცნობილია როგორც ახალი ტიპის-იაფფასიანი, რეკლამებიანი და მრავალტირაჟიანი გაზეთის გამოცემის ინიციატორი და რედაქტორი.

ქორჯ სანდი (ამანტინა-ავრორა დიუპენის, ქმრით დიუდევანის ფსევდონიმი. 1804—76)—გამოჩენილი ფრანგი მწერალი ქალი-რომანისტი, დემოკრატიული რომანტიზმის წარმომადგენელი, უტოპიური სოციალიზმის იდეების აქტიური პროპაგანდისტი, 40-ან წლების მუშათა ლიტერატურის დამხმარე და ქომაგი.

ქუბერი, ჟოზეფი (1754—1824) — ფრანგი მორალისტი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ახლოს იდგა ენციკლოპედისტებთან, მაინც დარჩა მორწმუნე ქრისტიანი. თავის ბრძნულ თქმებში განოიჩინა მეტად მახვილი მსჯელობანი ხელოვნების, ლიტერატურისა და ცხოვრების შესახებ.

ჟუკოვსკი (მამით — ბუნინი), ვასილი ანდრეის ძე* (1783—1852) — გამოჩენილი რუსი პოეტი-ლირიკოსი და მთარგმნელი. რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი რუსულ ლიტერატურაში. განსაკუთრებული ღვაწლი ვ. ჟუკოვსკის მიუძღვის როგორც ნთარგმნელს, რომელმაც რუსულ საზოგადოებას გააცნო მსოფლიო ლიტერატურის ბევრი ნაწარმოები. — იყენებდა რა თავის დიდ გავლენას მეფის სასახლეში, სადაც მან, როგორც უფლისწულების და კერძოდ ტახტის მემკვიდრის (ალექსანდრე II) აღმზრდელმა მეოთხედი საუკუნე დაჰყო, ვ. ჟუკოვსკი ხშირად პოულობდა საშუალებას შეემსუბუქებინა ხვედრი მოწინავე მოძრაობის იმ წარმომადგენელთა, რომლებიც გახდნენ მთავრობის რეაქციონულ პოლიტიკის მსხვერპლად. ასე მაგ., მისი დახმარებით იყო შემსუბუქებული ა. პუშკინის ეადასახლების პირობები, ასევე წარმატებით შუამდგომლობდა ის ზოგიერთ დეკაბრისტთა ხვედრის შესამსუბუქებლად, თუნცა, როგორც დაჯერებული მონარქისტი ჰგმობდა მათ იდეებსა და გამოსვლას; შემდეგ ზრუნავდა კავკასიაში სასჯელის მოსახდელად გადმოსახლებულ მ. ლერმონტოვის სასარგებლოდ და ხელი შეუწყო ტ. შევჩენკოს ყმობისაგან გამოსყიდვას და განთავისუფლებას (იხ. ტ. შევჩენკო), მატერიალურად ეხმარებოდა თავისი და სახელმწიფოს სახსრებიდან ავადმყოფ ნ. გოგოლს, რომელიც მკურნალობდა და მუშაობდა მეტწილად საზღვარგარეთ.

რ ა ბ ლ ე. ფ რ ა ნ ს უ ა (მიახლ. 1494—1553) — დიდი ფრანგი მწერალი-სატირიკოსი და მეცნიერი-ჰუმანისტი, აღორძინების ხანის უდიდესი წარმოჩადგენელი. თავისი დროის შესანიშნავი ადამიანი, ფ. რაბლე იყო ბერი, ექიმი, მოგზაური, მღვდელი და გამოაქვეყნა მრავალი წიგნი ტოპოგრაფიაში, არქეოლოგიაში, იურიდიულ საკითხებზე და ანტიკურ ლიტერატურაზე. სახელი მოიხვეჭა გრანდიოზული ფანტასტიკური რომანით „გარგანტუა და პანტაგრიუელი", რომელზედაც მუშაობდა 20 წელი და რომელშიაც მან ხუმრობის საბურველის ქვეშ მოგვცა მომაკვდავ შუასაუკუნეების დაწესებულებათა და ზნე-ჩვეულებათა ღრმა და მკვეთრი, გონებამახვილი და ბრწყინვალე რეალისტური კრიტიკა. ფრ. რაბლეს შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია ფრანგული და მსოფლიო ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე.

„**რ ა მ ა ი ა ნ ა**" (სანსკრიტულად—„რამას თავგადასავალი") — „**ნ ა ჰ ა ბ ჰ ა რ ტ ა**"-ს (იხ.) შემდეგ მოცულობით მეორე ძველი ჰინდური ეპიკური პოემა სანსკრიტულ ენაზე, რომელშიაც ხოტბაშესხმულია ჰინდიელთა საყვარელი გმირის **რ ა ნ ჰ ა ს** და მისი მეუღლის **ს ი ტ ა ს** თავგადასავალი და გამარჯვებები. ინდური გადმოცემით „რამაიანა", რომელიც შეიცავს 24 ათასს მაღალმხატვრულ ინდურ შლოკს (წყვილ ლექსს) პირველად დაიმღერა ინდოეთის პირველმა მითიურმა პოეტმა **ვ ა ლ მ ი კ ი მ** (IV ს. ჩვ. წ-ღე). „რომაიანა" მუდამ სარგებლობდა და დღესაც სარგებლობს უდიდესი პოპულარობით. ის გადათარგმნილია ყველა ევროპულ ენაზე. ქართულად „რამაიანას" ნაწილი (მეორე წიგნი) პირველად პროზით სთარგმნა გერმანულიდან და 1897 წ. გამოსცა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე სარაჯიშვილმა, ხოლო ამაკე მეორე წიგნის ლექსური თარგმანი* ეკუთვნის ქართველ საბჭოთა მწერალს რაჟდენ გვეტაძეს (1897—1952).

რ ა ნ კ ე. ლ ე ო პ ო ლ დ ი (1795—1886) — ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი, პრუსიის რეაქციონულ იუნკერთა და ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი, გერმანელი ნაციონალისტი, პრუსიის მონარქიის თავგამოდებული მომხრე და ისტორიოგრაფი. ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი.

რ ა ფ ა ე ლ ი (უფრო სწორი — **რ ა ფ ა ე ლ ო**) **ს ა ნ ტ ი, ანუ ს ა ნ ც ი ო** ** (1483—1520) — დიდი იტალიელი ფერმწერი და არქიტექტორი, აღორძინების ხანის ერთ-ერთი გამორჩენილი მხატვარი, ხელოვანი-ჰუმანისტი და ნგზნებარე პატრიოტი, იტალიის ერთიანობისათვის და მისი კულტურული დამოუკიდებლობისათვის მძლავრი პატრიოტული მოძრაობის აქტიური მონაწილე. დიდი ნიჭით და გასაოცარი შრომისუნარიანობით დაჯილდოებული ოსტატი, რომელმაც მიუხედავად თავისი ხანმოკლე სიცოცხლისა (37 წელი) დასტოვა უდიდესი მაბატვრული მემკვიდრეობა (1200-ზე მეტი სურათი და ნახატი), რომელიც დაცულია მსოფლიოს მრავალ მუზეუმში.

---

* „**რ ა მ ა ი ა ნ ა**", ინდური ეპოსი სოლ. იორდანიშვილის წინასიტყვაობით, თბ. 1943 წ., II გამოც. 1951 წ.

** **რ ა ფ ა ე ლ ი** სახელია, რომლითაც ის უფროა ცნობილი, ხოლო სანტი, ანუ სანციო გვარია (იხ. დანტე, ტიციანი).

რ ა ხ ე ლ ი, ი ო ა ქ ი მ ი (1618—69) — გერმანელი პოეტი-სატირიკოსი. ყოფილი მასწავლებელი ლიფლანდიაში და რექტორი შლეზვიგში.

რ ა ჰ ე ლ ი (იხ. ვ ა რ ნ ჰ ა გ ე ნ ფ ო ნ ე ნ ზ ე, რ ა ჰ ე ლ ა ნ ტ ო ნ ი ა ფ რ ე დ ე რ ი კ ა).

რ ე ნ ა ნ ი, ე რ ნ ს ტ ქ ო ზ ე ფ ი (1823—92) — ფრანგი მოაზროვნე, რელიგიის ისტორიკოსი, სემიტოლოგი, ორიენტალისტი, ფილოსოფოსი-იდეალისტი და დრამატურგი; ებრაულ, ქალდეურ და სირიულ ენების პროფესორი პარიზში, საფრანგეთის აკადემიის წევრი. დემოკრატიისა და 1871 წ. პარიზის კომუნის აშკარა მტერი და არისტოკრატიული მართვა-გამგეობის მომხრე. თავის კაპიტალურ შრომაში „იესოს ცხოვრება" გატარებულ აზრისათვის, რომ ქრისტე იყო მხოლოდ ადამიანი და არა ღმერთი, დაიმსახურა ეკლესიის ნსახურთა სიძულვილი.

რ ი ვ ა რ ო ლ ი, ა ნ ტ უ ა ნ ი (1753—1800) — ფრანგი მწერალი, სატირიკოსი-პამფლეტისტი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე; საფრანგეთის კონტრრევოლუციის აქტიური წარმომადგენელი. იძულებული იყო გაქცეულიყო სამშობლოდან. გარდაიცვალა ბერლინში.

რ ი ლ ე ე ვ ი, კ ო ნ დ რ ა ტ ი თ ე დ ო რ ე ს ძ ე (1795—1826) — გამოჩენილი რუსი პოეტი, დეკაბრისტი, რომლის ლიტერატურული მოღვაწეობა ორგანულად დაკავშირებულია მის რევოლუციონურ მოღვაწეობასთან. როგორც 1825 წ. 14 დეკემბრის აჯანყების ერთ-ერთ მთავარ ხელმძღვანელსა და აქტიურ მონაწილეს, რილეევს ოთხ დანარჩენ „თანრიგის გარეშე" ბრალდებულთან (პესტელი, მურავიოვ-აპოსტოლი, ბესტუჟევ-რიუმინი და კახოვსკი) ერთად მეფის საიდუმლო სამსჯაროს მიერ მიესაჯა სიკვდილით დასჯა შაყას კვრით *, რომელიც ნიკოლოზ I მიერ სხვებთან ერთად „მოწყალედ" შეეცვალა ჩამოხრჩობით. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 1826 წ. 13 ივლისს პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეში (პეტერბურგში).

რ ი ო ს კ ი ნ ი, ჯ ო ნ ი (1819—1900) — ცნობილი ინგლისელი კრიტიკოსი, ხელოვნების თეორეტიკოსი, პუბლიცისტი, მორალისტი და საზოგადო მოღვაწე. ესთეტიკის პროფესორი ოქსფორდის უნივერსიტეტში. ბრწყინვალე სტილისტი.

რ ი უ კ ე რ ტ ი, ფ რ ი დ რ ი ხ ი (ფსევდონიმი—ფ რ ა ი მ უ ნ დ რ ა ი მ ა რ ი, 1788—1866) — გამოჩენილი გერმანელი პოეტი-ლირიკოსი, მთარგმნელი და ორიენტალისტი, გერმანული რომანტიზმის, ე. წ. აღმოსავლურ მიმართულების, ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი; აღმოსავლურ ენებისა და ლიტერატურის პროფესორი ერლანგენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში, მგზნებარე პატრიოტი, ნაპოლეონ I წინააღმდეგ წარმოებულ გერმანელ ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ომის მხურვალე მონაწილე.

რ ი შ ე, შ ა რ ლ ი (1850—?) — ცნობილი ფრანგი ფიზიოლოგი და მწერალი-რომანისტი. პარიზის სამედიცინო სკოლის პროფესორი; მრავალი შრო-

---

* შ ა ყ ა ს კ ვ რ ა — ხელ-ფეხისა და თავის მოკვეთა.

მის ავტორი ფიზიოლოგიაში და ფსიქოლოგიაში. ცნობილია აგრეთვე. როგორც რამდენიმე გალექსილი რომანის ავტორი.

რიხტერი, იოჰან პოლ ფრიდრიხი (იხ. ჟან პოლი).

რობესპიერი, მაქსიმილიანე მარი-იზიდორი (1758—94) — საფრანგეთის მე-18 ს. ბურჟუაზიული რევოლუციის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე. ბურჟუაზიული რევოლუციონერი, მონტანიარების პარტიის ბელადი, იაკობინელთა რევოლუციონურ მთავრობის მეთაური; ჩამოგდებულმა და დაპატიმრებულმა 1794 წ. 9 თერმიდორს (27 ივლისს) კონტრრევოლუციონური გადატრიალების დროს, სცადა თავი მოეკლა დამბაჩით, მაგრამ მხოლოდ დაიმტვრია ყბა. მეორე დღესვე (10 თერმიდორს) ის გაუსამართლებლად იქნა გილიოტინირებული რამდენიმე მის თანამებრძოლთან ერთად. მათ შორის იყო მისი ძმა **ოგიუსტენ ბენ ჟოზეფ რობესპიერიც**, რომელიც ასევე თვითმკვლელობის განზრახვით გადმოვარდა რატუშის ფანჯრიდან, მაგრამ მხოლოდ მოიტეხა ფეხი. მათმა დამ **შარლოტამ** კი, რომელიც არ იზიარებდა თავისი ძმების პრინციპებს და იყო პოლიციის მინისტრის **ჟოზეფ ფუშეს** საყვარელი დირექტორიიდან მიიღო 6000 ფრანკი პენსიად.

როდი, ედუარდი (1857—1910) — შვეიცარიელი ფრანგი მწერალი-რომანისტი და კრიტიკოსი, მსოფლიო ლიტერატურის პროფესორი ჯერ ჟენევაში, შემდეგ პარიზში. ცნობილია აგრეთვე მთელი რიგი ისტორიულ-ლიტერატურული შრომებით.

როლანი, რომენი (1866—1944) — გამოჩენილი ფრანგი მწერალი-რომანისტი, მუსიკის მცოდნე და საზოგადო მოღვაწე; ხელოვნების ისტორიის დოქტორი, ხელოვნებისა და მუსიკის ისტორიის პროფესორი პარიზში. მშვიდობიანობისა და დემოკრატიისათვის დაუღალავი მებრძოლი-ჰუმანისტი. ამსტერდამის ომის საწინააღმდეგო კონგრესის (1932 წ.) ერთ-ერთი ორგანიზატორი, დიდი ოქტომბრის გადატრიალების მხურვალე თანამგრძნობი და საბჭოთა კავშირის უანგარო მეგობარი (იხ. ჯ. ჯერომი).

როშერი, ვილჰელმ გეორგ ფრიდრიხი (1817—1894)— გერმანელი ვულგარული ეკონომისტი, პოლიტიკური ეკონომიის და ეროვნული ეკონომიკის პროფესორი გეტინგენში და ლაიპციგში, პოლიტიკური ეკონომიის ძველი „ისტორიული სკოლის" დამაარსებელი, კაპიტალისტური წარმოების აპოლოგეტი და მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის აქტიური მოწინააღმდეგე, რომლის ზერელე შინაარსის და მიუდგომლობის ნიღაბაფარებული შრომები და რეაქციონული შეხედულებები კ. მარქსმა სასტიკად გააკრიტიკა „კაპიტალის" I ტომში.

როხასი, ფერნანდო დე — ესპანელი პოეტი, რომანისტი და დრამატურგი, რომლის შესახებ ცნობილია ხხოლოდ, რომ ის ცხოვრობდა მე-15 ს. დასასრულს და სახელი მოიხვეჭა 21-აქტიანი დრამატული რომანით. პირველი ესპანური კომედიით „სელესტინა"-თი, რომელიც წარმოადგენს ესპა-

ურ ლიტერატურის შესანიშნავ ძეგლს და რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ესპანური ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე.

რუბინშტეინი, ანტონ გრიგოლის ძე (1829—94) — გენიალური რუსი პიანისტი-ვირტუოზი, გამოჩენილი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი და მუსიკალური მოღვაწე; რუსეთში მუსიკალური განათლების უდიდესი ორგანიზატორი, რუსული „მუსიკალური საზოგადოების“ და პეტერბურგის კონსერვატორიის დამაარსებელი. 10 წლის ასაკიდან უდიდესი წარმატებით გამოდიოდა კონცერტებით ევროპაში და ამერიკაში (იხ. ვ. მოცარტი, გ. ჰენდელი). გარდა მრავალ მუსიკალურ თხზულებისა მის კალამს ეკუთვნის კრიტიკული ტრაქტატი „მუსიკა და მისი წარმომადგენლები“ და „აზრები და აფორიზმები“, რომელიც შეიცავს მოკლე თქმებს ხელოვნების, ფსიქოლოგიის, მორალის, რელიგიის, პოლიტიკისა და სხვ. შესახებ.

რუდაქი, აბულჰასანი* (აგრ. — **აბუ აბდალახ ჯაფარ იბნ-მუჰამედი**, აგრ. — **აბულა სამარყანდელი**, IX ს. შუა—941) — გამოჩენილი ტაჯიკი და სპარსელი მწერალი, პოეტი-ლირიკოსი და დიდაქტიკოსი, სამანიდთა დინასტიის კარის მგოსანი, შუა საუკუნეების ტაჯიკური ლიტერატურის ფუძემდებელი. სწერდა სპარსულ ენაზე. თავის თანამედროვე პოეტებთან ერთად ჩამოაყალიბა და დახვეწა ტაჯიკთა და სპარსელთა საერთო ლიტერატურული ენა—ფარსი, ძირითადი ლიტერატურული ჟანრები (ეპოსი და ლირიკა) და საჟანრო ფორმები (რუბაიები, ყასიდები, ყაზელები, მასნავები), პოეტურად დაამუშავა შესანიშნავი ინდური ეპოსი „ქილილა და დამანა“.

სიცოცხლის ბოლო წლებში მოქიშპეთა გავლენით სასახლეში ათვალწუნებული რუდაქი შერისხული და განდევნილი იყო სასანიდთა კარიდან (იხ. ა. პერესი, საიათნოვა, ფრ. ფენელონი) და დაბრმავებულს ბარბითის (ჩანგი) დაკვრა შეუსწავლია და, რადგან კარგი ხმა და სიმღერის ნიჭიც ჰქონია, ამღერება დაუწყია.

რუსთაველი, შოთა—მე-12 ს. უდიდესი ქართველი პოეტი, უკვდავი პოემის, მსოფლიო ლიტერატურის შედევრის, „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორი; ქართული საერო ლიტერატურის ფუძემდებელი და უდიდესი ლირიკოსი-პუმანისტი, თამარ მეფის დროის ერთ-ერთი გამოჩენილი საჭელმწიფო მოღვაწე, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნას და განმტკიცებას. ჩვენამდე მოღწეული მისი ერთადერთი თხზულება, როგორც მსოფლიო პოეზიის განუმეორებელი შედევრი, სრულიად დამსახურებულად შედის ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში.

რუსო, ჟან ჟაკი (1712—78)—გამოჩენილი ფრანგი მწერალი-ბელეტრისტი, პედაგოგი, მუსიკის თეორეტიკოსი, სოციოლოგი, მოაზროვნე და

---

* **რუდაქი** ფსევდონიმია და ნიშნავს **რუდაქელს**, ე. ი. სოფ. **რუდაქი**-ან (ტაჯიკეთის სსრ, პენჯიკეთის რაიონი), საიც დაიბადა და გარდაიცვალა **აბულჰასანი**.

ფილოსოფოსი-მორალისტი, ფრანგული განათლების ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი და ფრანგული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ინგლისელ მწერალ ლ. სტერნთან ერთად საფუძველი ჩაუყარა სენტიმენტალურ მიმართულებას ლიტერატურაში. რეაქციონული ძალების მიერ დევნილი რუსო, მრავალჯერ იყო იძულებული გადასახლებულიყო ერთი ადგილიდან მეორეზე, სოლო მისი „ემილი“ საჯაროდ იქნა დამწვარი ჯალათის ხელით (იხ. დ. ანიჩკოვი. ჟ. ჟელვეციუსი). კონვენტის დროს (1792—95) რუსოს ნეშტი. იმავე წელს გარდაცვლილ ვოლტერის ნეშტთან ერთად. გადატანილი და ზეიმით დასაფლავებულ იქნა პარიზის პანთეონში ხოლო 20 წლის შემდეგ, რესტავრაციის დროს (1814—30), მისი ნეშტი ფარულად იქნა მოპარული ღამით ორი ფანატიკოსის მიერ და გადაგდებული კირის ორმოში (იხ. ვოლტერი).

ს ა ა დ ი*. ანუ **ს ა დ ი** (ნამდვილი სახელი და გვარი — **ს ა დ ი ი ბ ნ მ ო ს ლ ე ჰ-ო დ-დ ი ნ.** 1184—1291) — სახელგანთქმული სპარსელი პოეტი-ლირიკოსი და მორალისტი. პატრიოტი-დავრიში, დავრიშთა ორდენის დამაარსებელი. სპარსული კლასიკური ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელი, რომლის შემოქმედება შედის აგრეთვე ტაჯიკთა კლასიკურ მემკვიდრეობაში და ტაჯიკთა ლიტერატურაშიაც. საადის სამშობლო შირაზია (აქედან მეტსახელი—**შ ი რ ა ზ ე ლ ი**). მრავალი წლების განმავლობაში მოგზაურობდა როგორც მოხეტიალე დავრიში, მოიარა ევროპიდან აფრიკამდე. ერთხანს იყო ფრანკ ჯვაროსანთა ტყვეობაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა მწირად ქალაქგარეთ. მისი, ნატიფი ენით დაწერილი და ფილოსოფიური აფორიზმებით აღვსილი „ვოლესთანი“ გადათარგმნილია ყველა კულტურული ერის ენაზე.**

ს ა ი ა თ ნ ო ვ ა (**ა რ უ თ ი ნ ს ა ი ა დ ი ა ნ ი ს** ფსევდონიმი, 1712—95)— გამოჩენილი სომეხი პოეტი-ლირიკოსი და კომპოზიტორი-აშუღი. ხელობით— ფეიქარი. მოიხვეჭა რა პოეტისა და მუსიკოსის სახელი გახდა მეფე ერეკლე II კარის მგოსანი, მაგრამ სასახლის ინტრიგების გამო მალე გასწყვიტა კავშირი ფეოდალურ დიდკაცობასთან (იხ ა. პერსი. რუდაძე. ფრ. ფენელონი) და გახდა ჯერ მღვდელი და შემდეგ ბერი ახპატის მონასტერში. ლექსებს სწერდა სომხურ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე. თავის ლექსებში გმობდა სოციალურ უსამართლობას და უმღეროდა ადამიანის პიროვნების თავისუფლებას. მისმა შემოქმედებამ, რომელიც თავის პოპულარობას დღევანდლამდე ინარჩუნებს, დიდი გავლენა იქონია აშუღთა ხელოვნების განვითარებაზე. — საიათნოვა ვერაგულად იქნა მოკლული აღა-მაჰმად-ხანის ჯარების მიერ თბილისის აღების დროს (იხ. არქიმედე).

---

* **ს ა ა დ ი** მეტსახელია და ნიშნავს „საადის კაცს“, რადგან ის ცხოვრობდა ფარსის ათაბეგის **ს ა ა დ ი ი ბ ნ-ზ ე ნ გ ი ს** (1195—1226) შეილის **ა ბ უ-ბ ე კ რ ი ს** მფარველობის ქვეშ.

** „**გ ო ლ ე ს თ ა ნ ი**“ სპარსულიდან ქართულად თარგმნილია ა. ჭელიძის მიერ (იხ. „შეიხ მოსლეჰ-ოდ-დინ საადი“. თბ. 1948).

სალტიკოვი (სალტიკოვ-შჩედრინი), მიხეილ ევგრაფის ძე (ნ. შჩედრინი—ფსევდონიმია, 1826—89)—დიდი რუსი მწერალი-სატირიკოსი, პუბლიცისტი და განმანათლებელი, რევოლუციონური დემოკრატი, რომლის შემოქმედებამ დიდი როლი შეასრულა რუსეთში რევოლუციონური მოძრაობის და მოწინავე ლიტერატურის განვითარებაში.

სარგის თმოგველი (XII—XIII სს.) — ცნობილი ქართველი მწერალი, რომელსაც მიეწერება „ვისრამიანის" ქართული თარგმანი.

საფირი, მორიც გოტლიბ (ადრე — **მოსე**, 1795—1858)— ცნობილი გერმანელ-ავსტრიელი (ტომით უნგრელი ებრაელი) ჟურნალისტი-სატირიკოსი, პუმორისტი, პოეტი და პუბლიცისტი; სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქტორი და გამოქცემელი ვენაში, ბერლინში და მიუნქენში. ვენის გაზეთში გესლიანი წერილების მოთავსებისათვის იძულებული გახდა დაეტოვებია ეს ქალაქი. ასეთივე ბედი ხვდა მას ბერლინშიაც და მიუნქენშიაც.

სეგიური, სოფი თედორეს ასული (მამით:— **როსტოპჩინა**, 1799—1874) — ფრანგი (ტომით რუსი) მწერალი ქალი, რომლის კალამს გარდა მრავალ საინტერესო საბავშვო თხზულებებისა ეკუთვნის აგრეთვე რუსულ ზნე-ჩვეულებებზე, და ადმინისტრაციაზე დაწერილი პამფლეტი „გენერალი დურაკინი".

სეი, ჟან ბაპტისტი (1767—1832) — ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი, პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი პარიზში და ლაიპციგში ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ნამამთავარი. თავს ასაღებდა ა. სმიტის მოძღვრების გამავრცელებლად და განმმარტებლად, სინამდვილეში კი უკუაგდო ყველაფერი ძვირფასი და მეცნიერული, რაც კი რამ იყო ა. სმიტის მოძღვრებაში და გამოიყენა მისი სისტემის ვულგარული ელემენტები. უარი სთქვა ნაპოლეონ I მითითებით თავისი ტრაქტატის შესწორებაზე, რისთვისაც მოხსნილი იქნა სახელმწიფო სამსახურიდან. რომელსაც დაუბრუნდა მხოლოდ ნაპოლეონ I დაცემის შემდეგ და არჩეული იქნა საფრანგეთის აკადემიის წევრად.

სენეკა, ლუციუს ანეუსი (წოდებული **ფილოსოფოსად**. 3—65) — ციცერონის შემდეგ უდიდესი რომაელი ფილოსოფოსი-სტოელი. დრამატურგი-ტრაგიკოსი, პოეტი, ბრწყინვალე და გონებამახვილი მოაზროვნე და ორატორი. რესპუბლიკანურ იდეებისათვის განდევნილ იქნა რომიდან და ცხოვრობდა კუნძ. კორსიკაზე. 8 წლის შემდეგ დაბრუნებული, გახდა ნერონის აღმზრდელი და მრჩეველი და მიაღწია მაღალ თანამდებობებს, დიდებას და სიმდიდრეს. ბრალდებულს ნერონის საწინააღმდეგო შეთქმულების მონაწილეობაში მიესაჯა სიკვდილი და იძულებული გახდა თავი მოეკლა ვენების გადაჭრით (იხ. ნერონი და ლუკანი).

სენტ-ბევი, შარლ ოგიუსტენი (ფსევდონიმი: — **ჟოზეფ დელორმე**. 1804—69) — ცნობილი ფრანგი კრიტიკოსი, ლიტერატურის ისტორიკოსი და პოეტი. ლათინური პოეზიის პროფესორი პარიზში; კრიტიკაში ე. წ. ისტორიულ-ლიტერატურული მეთოდის შემქმნელი, რომელიც

ცდილობდა დაემყარებინა მჭიდრო კავშირი თხზულებასა და მისი ავტორს შორის.

სენტ-ევრემონი, შარლ მარგეტელ დე სენტ-დენი (1613—1703) — ცნობილი ფრანგი მწერალი-სატირიკოსი და კრიტიკოსი; აბსოლუტიზმის დროის თავად-აზნაურულ თავისუფალ მოაზროვნეთა წრის წარმომადგენელი. თავის პამფლეტებში გაბედულად ამხილა და სასტიკად გააკრიტიკა აბსოლუტიზმი, რელიგია, ეკლესია, სქოლასტიკა და დოგმატიზმი, რისთვისაც იქნა დაპატიმრებული და გაძევებული სამშობლოდან. გარდაიცვალა ინგლისში, სადაც სიკვდილამდე განაგრძობდა თავის მოღვაწეობას.

სერვანტესი დე საავედრა, მიგუელი (1547—1616) — უდიდესი ესპანელი მწერალი-ჰუმანისტი, ახალი ჰუმორისტული რომანის შექმნელი, რომლის კალამს, გარდა მსოფლიოში სახელმოხვეჭილი რომანისა „დონ-კიხოტი ლამანჩელი", ეკუთვნის აგრეთვე მრავალი საუცხოო ჰუმორისტული საყოფაცხოვრებო ნოველა, კომედია, ინტერმედია და რომანი. — მშობლების სიღარიბის გამო მ. სერვანტესმა მეტად დაბალი განათლება მიიღო, მაგრამ, სამაგიეროდ ადრე დაეწყო წიგნების კითხვას და ცნობისმოყვარეობით, დაკვირვებით და თვითგანათლებით მიაღწია ცხოვრების ღრმა ცოდნას და საპატიო სახელს (იხ. ი. მიჩურინი, ა. პოპი, ბ. ფრანკლინი).

სეროვი, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1820—71) — გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი და მუსიკის მცოდნე, რუსული მუსიკალური კრიტიკის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი.

სვერდლოვი, იაკობ მიხეილის ძე (პარტიული მეტსახელი — ანდრეი, 1885—1919) — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი და მშენებელი, ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი; ძველი ბოლშევიკი, პროფესიული რევოლუციონერი, ბრწყინვალე პროპაგანდისტი; ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი. რევოლუციონური მოღვაწეობისათვის მრავალჯერ იყო დაპატიმრებული და გადასახლებული მეფის მთავრობის მიერ.

სვიფტი, ჯონათანი (1667—1745) — სახელგანთქმული ინგლისელი (ტომით ირლანდიელი) მწერალი-პუბლიცისტი და მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი სატირიკოსი, გესლიანი ეპიგრამისტი და პამფლეტისტი, პოლიტიკური სატირის გამოჩენილი ოსტატი. განმანათლებელი-დემოკრატი, ბურჟუაზიული წესწყობილების სასტიკი კრიტიკოსი, სოციალური და პოლიტიკური ჩაგვრის და რელიგიური პნელეთის მოცილეობის გაბედული მამხილებელი, ტირანიის, სიცრუისა და პირმოთნეობის შეურიგებელი მტერი, ეროვნული ირლანდიის ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლი. ყოფილი ჯერ მღვდელი, შემდეგ ქ. დუბლინის (ირლანდია) ტაძრის დეკანი. მსოფლიოში სახელმოხვეჭილი სატირული რომანის „გულივერის მოგზაურობანი"-ს ავტორი. ადრე დაობლებულ ჯ. სვიფტს უკიდურესი სიღარიბისა და ნუდამ სხვებისაგან დამოკიდებულების დამამცირებელ გრძნობის გავლენით

უფრო მეტად განუვითარდა ბავშვობიდანვე თანდაყოლილი თვისებები — პირქუშობა, უსაზღვრო ეგოიზმი და ასეთივე პატივმოყვარეობა, ხოლო პოლიტიკურ ასპარეზზე ბრძოლის შედეგად ამ პატივმოყვარეობის დაუკმაყოფილებლობამ გახადა ის უფრო ღვარძლიანი და, თუმცა უფრო გაამახვილა მისი, როგორც სატირიკოსისა და პამფლეტისტის ენა, მაგრამ თვითონაც დააავადა უფრო მეტი გულჩათხრობილობით და მძიმე მელანქოლიით. — ბოლოს ინ ორი ქალწულის (ესტერ ჯონსონი და ესტერ ვანომრი) გარდაცვალებამ, რომელთა მიმართ ჯ. სვიფტი ერთდროულად განიცდიდა სიყვარულის გრძნობას, ის მიიყვანა მძიმე ფსიქიურ დაავადებამდე, რის შედეგად მან სიცოცხლის უკანასკნელი 10 წელი დაჰყო საგიჟეთში.

ს ი დ ნ ე ი (უფრო სწორი — ს ი დ ნ ი), ფ ი ლ ი პ ე (1554 — 86) — საპინო ინგლისელი პოეტი-ლირიკოსი, პროზაიკოსი და კრიტიკოსი; ბრწყინვალე კარისკაცი და დიპლომატი დედოფალ ელისაბედის კარზე. მისმა ტრაქტატმა „პოეზიის დაცვა" თავის დროზე გაიტაცა სხვა მწერლებიც და მათ შორის უ. შექსპირიც. გამოირჩეოდა სიმამაცით და გულადობით. დაიღუპა სასიკვდილოდ დაჭრილი ნიდერლანდების დამოუკიდებლობისათვის ესპანელებთან ბრძოლაში (იხ. ჯ. ბაირონი).

ს ი მ ო ნ ი, ჟ უ ი ლ ი (1814—96)—ფრანგი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი და ფილოსოფოსი-იდეალისტი, საფრანგეთის აკადემიის წევრი.

ს ი ს მ ო ნ დ ი, ჟ ა ნ შ ა რ ლ ლ ე ო ნ ა რ ს ი მ ო ნ ი დ დ ე (1773—1842) — შვეიცარიელი ფრანგი წვრილბურჟუაზიული ეკონომისტი და ისტორიკოსი, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი თეორიით კრიზისების შესახებ. მისმა თეორიულმა შეხედულებებმა მძლავრი გავლენა იქონია როდბერტუსზე და კ. მარქსზე, რომელიც მას აკუთვნებს საფრანგეთის პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლის ეკონომისტებს.

ს კ ა რ ო ნ ი, პ ო ლ ი (1610—60) — ფრანგი მწერალი, ფრანგული საყოფაცხოვრებო რომანის ერთ-ერთი წამომწყები. თავისი დროის შესანიშნავი აბსახველი და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართული რომანების, კომედიების, პაროდიების, სატირების, პოლიტიკური პამფლეტების, სონეტების და სხვ. ავტორი. — მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობაში მეტად უწესო და თავაშვებული დარდიმანდი ცხოვრების შემდეგ მას, 28 წლის ასაკში დამბლამ სამუდამოდ წაართვა ხელ-ფეხის მოძრაობის საშუალება და, საბსრებში მწვავე ტკივილების გამო, ის დაიკუტა და ვეღარ გამოდიოდა სასლიდან, ის მაინც ბეჯითად განაგრძობდა ლიტერატურულ მუშაობას (იხ. ნ. ოსტროვსკი) და თავის თხზულებებში იჩენდა განსაკუთრებულ გონებამახვილობას და სიმხიარულეს (იხ. ლ. ბეტჰოვენი) და ფრანგულ ლიტერატურაში ითვლება მბიარული ჟანრის ე. წ. ბურლესკას * პოეზიის ერთ-ერთ შემქმნელად.

---

* ბ უ რ ლ ე ს კ ა — (ფრანგ. — Burla — ხუმრობა) — მხიარული, სახუმარო, კომიკური, პაროდიული პოეზიის ჟანრი.

სმაილსი, სამუელი (1816—1903) — ცნობილი ინგლისელი მწერალი-მორალისტი და რომანისტი. ყოფილი ექიმი, შემდეგ გაზეთის რედაქტორი. ცნობილია როგორც გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან მოყვანილ ფაქტებით აღსავსე გასართობ რომანების და ზნეობრივ-ფილოსოფიური ხასიათის წიგნების ავტორი.

სმიტი, ადამი (1723—90)—გამოჩენილი ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და ფილოსოფოსი; ფილოსოფიისა და ლოგიკის პროფესორი გლაზგოს უნივერსიტეტში; ინგლისურ პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლის შემქმნელი, რომლის დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან პირველმა სისტემატურად დაამუშავა პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი საკითხები და მოგვცა სწორი მოძღვრება კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივი აღნაგობის შესახებ.

სოკრატე (469—399 ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის უდიდესი ფილოსოფოსი-იდეალისტი; პლატონის მასწავლებელი. ბერძნული ლოგიკის ფუძემდებელი. თვით არ სწერდა არაფერს, ხოლო თავის მოძღვრებას ასწავლიდა ქუჩებზე და მოედნებზე. მსჯელობის პირდაპირობამ, თანამედროვეთა მხილებამ, არაჩვეულებრივმა სიმამაცემ და გამბედაობამ მას შესძინა მრავალი მტრები, რომლებმაც მას ბრალი დასდვეს ახალგაზრდობის გარყვნაში და რელიგიის უპატივცემლობაში. სასამართლოს განაჩენით მიესაჯა სიკვდილით დასჯა საწამლავის დალევით.

სოლომონ ბრძენი (მეტსახელი—„მშვიდობის მოყვარული“, ებრ.— **შელომო ჰელეხ** (დიდი), ოსმალ.—**სულეიმანი**, არაბ.—**სოლიმანი**)— ისრაელთა და იუდეელთა გაერთიანებული სახელმწიფოს მეფე (მიახლ. 960—935 ჩვ. წ-დე). მეფე დავითის მეორე შვილი და მემკვიდრე, რომელსაც ბიბლიური ლეგენდა მიაწერს დიდ ბრძენობას. ხალხური გადმოცემით მას მიაწერენ „ბიბლიის“ ზოგიერთი წიგნების ავტორობას.

სოლონი (მიახლ. 638—მიახლ. 558 ჩვ. წ-დე) — ძველი ათენის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, კანონმდებელი, რეფორმატორი და ელეგიური პოეტი. მისცა ათენელებს ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილება და კანონმდებლობა. შესანიშნავია იმითაც, რომ პოეზიას იყენებდა, როგორც აღმზრდელობით საშუალებას თავისი სოციალური რეფორმების პროპაგანდისათვის.

სოუთი, რობერტი (1774—1843) — ე. წ. „ტბის სკოლის“ ცნობილი ინგლისელი პოეტი-რომანტიკოსი და მწერალი. ახალგაზრდობაში ნაპოლეონ I მოძულე და საფრანგეთის რევოლუციის აღფრთოვანებული თაყვანისმცემელი, შემდეგ კი დაჯერებული კონსერვატორი (იხ. ფრ. გენცი, კ. გუცკოვი, ს. კოლრიჯი). მიიღო ლაურეატობა და კარის პოეტის წოდება, რისთვისაც დაიმსახურა ჯ. ბაირონისაგან დაცინვა. გარდა მრავალი ისტორიული თხზულებებისა მის კალამს ეკუთვნის გონებამახვილი პარადოქსების ჭრეული და ლიტერატურული ღირსებებით საინტერესო „მიწერ-მოწერა“.

ს ო ფ ო კ ლ ე (496—406 ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის უდიდესი დრამატურგი-ტრაგიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. ე ს ქ ი-ლ ე ს თ ა ნ და ე ვ რ ი პ ი დ ე ს თ ა ნ ერთად ანტიკური ტრაგედიის ერთ-ერთი კორიფე. მას მიაწერენ აგრეთვე თეატრალური დეკორაციებისა და ნიღაბების გაუმჯობესებას. სოფოკლეს ლიტერატურული მოღვაწეობა განირჩეოდა დიდი ნაყოფიერებით. მან დასწერა 123 დრამა, რომელთაგან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ შვიდმა (იხ. ჯ. ბალზაკი, კ. გოლდონი, ფ. ლოპე დე ვეგა).

ს პ ე ნ ს ე რ ი, ჰ ერ ბ ე რ ტ ი (1820—1903) — გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი და მოაზროვნე, სოციოლოგი, ბიოლოგი და ფსიქოლოგი. სოციოლოგიაში „ორგანული სკოლის“ მეთაური, პოზიტივიზმის გამოჩენილი წარმომადგენელი. ლონდონ-ბირმინჰამის რკინიგზაზე ინჟინრად მუშაობის დროს გაჩოიგონა ე. წ. „ველოსიმეტრი“ — ორთქლმავლის მოძრაობის სისწრაფის გასაზომი ხელსაწყო.

ს პ ი ნ ო ზ ა (საკუთრივ—ე ს პ ი ნ ო ზ ა), ბ ა რ უ ხ ი (კათოლიკურ რელიგიაში გადასვლის შემდეგ—ბ ე ნ ე დ ი ქ ტ ე, 1632—77)—გამოჩენილი ჰოლანდიელი (ტომით პორტუგალიელი ებრაელი *). ფილოსოფოსი-მატერიალისტი, ბიბლიის ტექსტის კრიტიკის მამამთავარი, მე-17 ს. მატერიალისტური მოძღვრების ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი; შეჩვენებული ებრაელ რაბინთა მიერ, როგორც ათეისტი, და გაძევებული ებრაელთა თემიდან ქ. ამსტერდამში, გადასახლდა ქ. ჰაგაში, სადაც თავს ირჩენდა მასწავლებლობით და ოპტიკური შუშების დამზადებით. რათა შეენარჩუნებინა თავისუფლება, უარი სთქვა ჰაიდელბერგში შემოძღვეულ პროფესორობაზე (იხ. ლ. ოკენი). მისმა ფილოსოფიამ დიდი გავლენა იქონია მე-18 — მე-19 სს. მატერიალისტებზე, კერძოდ ჯ. ტოლანდზე და ლ. ფეიერბახზე უკანასკნელის მეშვეობით კი — კ. მარქსზე და ფრ. ენგელსზე.

ს ტ ა ლ ი (მამით — ნ ე კ ე რ ი, ქმრით — დ ე ს ტ ა ლ-ჰ ო ლ შ ტ ე ი-ნ ი), ა ნ ა ლ უ ი ზ ა ჟ ერ მ ე ნ ა (1766—1817) — ცნობილი ფრანგი მწერალი-ქალი, რომანისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი და პარიზის ცნობილი სალონის დიასახლისი; რომანტიკული სკოლის ფუძემდებელი ფრანგულ ლიტერატურაში; დესპოტიზმისა და ყოველგვარი შევიწროების წინააღმდეგ შეურიგებელი და გაბედული მებრძოლი. ოპოზიციაში ედგა ნაპოლეონ I და ბურბონთა რესტავრაციას. განდევნილმა საფრანგეთიდან ნაპოლეონ I მიერ, გაემგზავრა გერმანიაში, სადაც შეისწავლა გერმანული ლიტერატურა. შენდეგ იმოგზაურა იტალიაში, რუსეთში, შვეიცარიაში და დიდი ზეიმით დაბრუნდა სამშობლოში ნაპოლეონ I დაცემის შემდეგ.

ს ტ ე ნ დ ა ლ ი, ფ რ ე დ ე რ ი კ ი (მ ა რ ი-ა ნ რ ი ბ ე ი ლ ი ს ფსევდონიმი; მეორე ფსევდონიმი — ბ ო მ ბ ე, 1783—1842) — დიდი ფრანგი მწერალი-რომანისტი, მე-19 ს. ფრანგული რეალისტური რომანის ერთ-ერთი შემქმნელი და შესანიშნავი ოსტატი; ჯ. ბალზაკთან ერთად 30—40 წწ. კლა-

* ბ. სპინოზას პაპა მთელი ოჯახით ჰოლანდიაში გადასახლდა პორტუგალიაში ებრაელთა დევნის გამო.

სიკური რეალიზმის უდიდესი წარმომადგენელი. ნაპოლეონ I თაყვანისმცემელი და მისი ლაშქრობების მონაწილე იტალიასა და რუსეთში, საფრანგეთის ელჩი იტალიაში. თავად-აზნაურობის მოძულე და თავადურ-კლერიკალურ რეაქციის მტერი. გარდა რომანებისა და ნოველებისა მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე თხზულებები მუსიკაზე და ხელოვნებაზე და მოგზაურობების რამდენიმე აღწერა.

ს ტ ე რ ნ ი, ლ ო უ რ ე ნ ს ი (აგრ. — ლ ო რ ე ნ ს ი, 1713—58)—ცნობილი ინგლისელი (ტომით ირლანდიელი) მწერალ.-პუმორისტი, ყოფილი სოფლის მღვდელი. სენტიმენტალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი ინგლისურ ლიტერატურაში. მისმა თხზულებამ „სენტიმენტალური მოგზაურობა საფრანგეთსა და იტალიაში" სახელი მიანიჭა მთელ ლიტერატურულ მიმართულებას. გარდაცვალების შემდეგ ლ. სტერნის ცხედარი მალულად იქნა ამოღებული საფლავიდან გვამმტაცებლების მიერ და მიყიდული კემბრიჯის უნივერსიტეტისათვის სტუდენტების პრაქტიკული მეცადინეობისათვის ანატომიაში.

ს ტ ი ლ ი, რ ი ჩ ა რ დ ი (1672—1729) — ცნობილი ინგლისელი (ტომით ირლანდიელი) მწერალი-დიდაქტიკოსი, ჭორალისტი, პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, პოპულარული ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე; ინგლისურ ბურჟუაზიულ-განმანათლებელი რეალისტური ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ჯ. ადისონთან ერთად საფუძველი ჩაუყარა მე-18 ს. რეალისტურ ოჯახურ-საყოფაცხოვრებო და ზნეობის სასწავლ რომანს.

ს ტ ი ლ პ ო ნ ი (380—300 ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი ქ. მეგარიდან. ეკუთვნოდა სტოელთა სკოლის წინამორბედთ და გამოირჩეოდა უზადო ეთიკით და დახვეწილი დიალექტიკით. მისი თხზულებები არ შემონახულა.

ს უ ვ ო რ ო ვ ი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ვ ა ს ი ლ ი ს ძ ე (1720—1800) — გამოჩენილი რუსი სარდალი, სამშობლოს მგზნებარე და თავგანწირული პატრიოტი, მე-18 ს. მეორე ნახევრის რუსი ჯარების მასწავლებელი და აღმზრდელი და მათი „მამაცი ავტორიტეტი" (ფრ. ენგელსი); მოწინავე რუსული სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთი შემქმნელი. ომის დიდი ოსტატი. სამხედრო ხელოვნებაში მოულოდნელობისა და სისწრაფის მომხრე (იხ. პანიბალი). რუსეთის არმიის გენერალისიმუსი. სამხედრო ხელოვნებაში ცნობილია როგორც შესანიშნავი კრებულის „სამხედრო ხელოვნება"-ს ავტორი.

ტ ა ლ ე ი რ ა ნ ი (ტ ა ლ ე ი რ ა ნ-პ ე რ ი გ ო რ ი), შ ა რ ლ მ ო რ ი ს ი, თავადი ბ ე ნ ე ვ ი ნ ტ ე ლ ი, ჰერცოგი დ ი ნ ო (1754—1838) — გამოჩენილი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე და შეუდარებელი დიპლომატი. ყოფილი მღვდელი და ეპისკოპოსი; უპრინციპო პოლიტიკოსი და კარიერისტი. გაქნილი, ამორალური და ანგარებიანი ადამიანი, მაგრამ იმავე დროს ნიჭიერი და დახვეწილი დიპლომატიური ოინების ოსტატი. ლიტერატურაში ცნობილია ისტორიული თვალსაზრისით საინტერესო „მემუარებით", „დიპლომატიური კორესპონდენციით" და მიწერ-მოწერით ლუი XVIII-სთან.

ტერენციანე მავრე [ე. ი. მავრიტანიიდან (აფრიკის ჩრდ. დას. ნაწილი), მიახლ. II ს. ჩვ. წ-დე] — რომაელი გრამატიკოსი, რომლის სახელით ჩვენამდე მოაღწია სხვადასხვა ზომის ლექსით დაწერილმა დიდაქტიკურმა ტრაქტატმა „პორაციუსის ასოების, მარცვლებისა და საზომების შესახებ".

ტიდგე, ქრისტოფ ავგუსტი (1752—1841) — გერმანელი პოეტი. სახელი მოიხვეჭა უმთავრესად თავისი დიდაქტიკური პოემით „ურანია", რომელიც წარმოადგენს ი. კანტის ფილოსოფიის პოპულარიზაციას. ცნობილია აგრეთვე, როგორც გალექსილი რომანების ავტორი.

ტიმირიაზევი, კლიმენტი არკადის ძე (1843—1920) — დიდი რუსი მეცნიერი-რევოლუციონერი, ბუნებისმეტყველი-დარვინისტი, გამოჩენილი ბოტანიკოსი-ფიზიოლოგი, მოაზროვნე-მატერიალისტი. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი (1890 წ-ან), მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთისა და საზღვარგარეთის მრავალი უნივერსიტეტის და მეცნიერული საზოგადოების საპატიო დოქტორი და საპატიო წევრი. მეცნიერული კვლევისა და აზრის თავისუფლებისათვის რელიგიისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი, რისთვისაც მან მეფის მთავრობისაგან განიცადა დევნა და შევიწროება. სტუდენტობის დროს უარისათვის ხელი მოეწერა ვალდებულებაზე არ მიეღო მონაწილეობა სტუდენტთა შეკრებებში და ორგანიზაციებში 1862 წ. გარიცხული იქნა უნივერსიტეტიდან, რომელსაც დაუბრუნდა მხოლოდ თავისუფალ მსმენელად ერთი წლის შემდეგ. 1911 წ. ნიშნად პროტესტისა მეფის მთავრობის რეაქციონული პოლიტიკის წინააღმდეგ, მან, ასზე მეტ სხვა პროფესორ-მასწავლებელთან ერთად დემონსტრატიულად დასტოვა მოსკოვის უნივერსიტეტი (იხ. ნ. ზელინსკი. ა. ფერსმანი). კ. ტიმირიაზევი იყო ძველი თაობის ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელიც აღფრთოვანებით შეეგება ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას და მისი პირველი დღიდანვე ჩაება საბჭოთა მშენებლობის აქტიურ მუშაობაში (იხ. ვ. ბრიუსოვი), რისთვისაც დიდად დაფასებული იყო ვ. ლენინის მიერ. თავის სამშობლოს მგზნებარე პატრიოტმა კ. ტიმირიაზევმა, რუსეთში ინგლისის ინტერვენციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, 1919 წ. უარი თქვა მისთვის ადრე მინიჭებულ კემბრიჯის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებაზე (იხ. ლ. პასტერი).

ტიურგო, ანი რობერ ჟაკ დე ლ'ოლნი (1727—81) — გამოჩენილი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე და ეკონომისტი. ყოფილი მღვდელი. ფიზიოკრატების სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელსაც კ. მარქსი სთვლის ადამ სმიტის მასწავლებლად. ლუი XVI მთავრობაში ფინანსთა მინისტრად ყოფნის ღროს ჩაატარა ნნიშვნელოვანი ლიბერალური რეფორმები, რამაც გამოიწვია მმართველი წრეების უკმაყოფილება და მისი თანამდებობიდან გადაყენება (იხ. ჟ. მიშლე, მულტატული).

ტიუტჩევი, თედორე ივანეს ძე (1803—73)—გამოჩენილი რუსი პოეტი-ფილოსოფოსი და პოეტი-ხელოვანი, რუსული კლასიკური პოეზიის, ფილოსოფიური და პოლიტიკური ლირიკის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, ბუნების სურათების და ადამიანის სულიერი განცდების გად-

მოცემის საუცხოო ოსტატი, ფილოსოფიური და პოლიტიკური შეხედულებებით კონსერვატორი და პანსლავისტი.

ტ ი ც ი ა ნ ი* (უფრო სწორი—ტ ი ც ი ა ნ ო), ვ ე ჩ ე ლ ი ო (1477/78—1576) — გენიალური იტალიელი ფერმწერი, ვენეციანური სკოლის უდიდესი წარმომადგენელი, ფერწერის ხელოვნებაში ახალი ნიმართულების ფუძემდებელი. გარდაიცვალა შავი ჭირით 99 წლის ასაკში.

ტ ო ლ ს ტ ო ი, ა ლ ე ქ ს ი ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ძ ე (1883—1945) — გამოჩენილი რუსი საბჭოთა მწერალი-პატრიოტი და ჰუმანისტი, საბჭოთა კულტურის აქტიური მოღვაწე. 1939 წ-დან აკადემიკოსი.

ტ ო ლ ს ტ ო ი, ლ ე ვ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ძ ე (1828—1910)—გენიალური რუსი მწერალი-რეალისტი და უდიდესი ფილოსოფოსი და მოაზროვნე, პუბლიცისტი, რომლის მოძღვრება მიმართულია არსებული მონარქისტულ-კაპიტალისტური საზოგადოებრივი წესწყობილების, გაბატონებულ კლასთა და ოფიციალურ ეკლესიის წინააღმდეგ და გამსჭვალულია უდიდესი თანაგრძნობით მდაბიო ხალხისადმი. როგორც მწერალი-რეალისტი ის არის „გენიალური მხატვარი, რომელმაც მოგვცა არა მარტო რუსული ცხოვრების შეუდარებელი სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი თხზულებები“ (ვ. ლენინი). ოფიციალური ეკლესიის საწინააღმდეგო რელიგიურ მოძღვრებისაგის ლ. ტოლსტოი უმაღლესი სამღვდელოების მიერ შერისხული იქნა (იხ. ფრ. ფენელონი, გ. ქიქოძე).

სიკვდილის წინ ვერც „უწმინდესმა სინოდმა“ და ვერც თვით ბეფე ნიკოლოზ II ვერ დაიყოლიეს ის შეენანებია თავისი „შეცოდებანი“ და შერიგებოდა ეკლესიას (იხ. ვოლტერი). რის გამოც გარდაცვალების შემდეგ მისი ცხედარი დაკრძალულ იქნა არა „ნაკურთხ“ სასაფლაოზე. არამედ მისივე მამულში, სოფ. იასნაია პოლიანაში (იხ. ფირდოუსი). 1889 წ-ან ლ. ტოლსტოი იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი „კაზმულ სიტყვიერების“ ხარისხში.

ტ ურ გ ე ნ ე ვ ი, ი ვ ა ნ ე ს ე რ გ ი ს ძ ე (1818—83) — დიდი რუსი მწერალი-რეალისტი, რომანისტი, ნოველისტი და დრამატურგი, მე-19 ს. 40-ან წლების უდიდესი ბელეტრისტი და რუსული ენის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი, კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი, თავისი დროის საზოგადოებრივი აზროვნებისა და სულისკვეთების ბრწყინვალე გამომხატველი. მხატვრული სიტყვის შეუდარებელი ოსტატი.

ტ ურ გ ე ნ ე ვ ი, ნ ი კ ო ლ ო ზ ი ვ ა ნ ე ს ძ ე (1789—1871) — დეკაბრისტი, ცნობილი რუსი ეკონომისტი, დეკაბრისტთა მოძრაობის ერთ-ერთი ბელადი და იდეოლოგი. ფარული საზოგადოების „Союз Благоденствия“-ს დამაარსებელი, რესპუბლიკის მომხრე. ადრევე ჩაშოშორდა ამ საზოგადოებას

---

* ტ ი ც ი ა ნ ი სახელია, რომლითაც ის უფროა ცნობილი, ხოლო ვ ე ჩ ე ლ ი ო გვარია (იხ. დანტე, რაფაელი).

და 1824 წ. საზღვარგარეთ წასვლის შემდეგ სრულიად შესწყვიტა დეკაბრისტებთან კავშირი. თუმცა პირადად არ მიუღია აქტიური მონაწილეობა აჯანყებაში, ნაგრამ დეკაბრისტულ მოძრაობაში მონაწილეობისათვის მას დაუსწრებლად მიესაჯა სამუდამო კატორღა. საზღვარგარეთიდან მოსწერა მეფეს გასამართლებელი ბარათი, რომელშიაც ემიჯნებოდა დეკაბრისტთა მოძრაობის პოლიტიკურ მიზანს და შემდეგში გადავიდა ლიბერალურ პოზიციებზე. ყველა დეკაბრისტთა შორის ნ. ტურგენევმა დასტოვა ყველაზე დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა — უმეტესად ეკონომიური ხასიათის შრომები.

უაილდი, ოსკარი (ფსევდონიმი—„C. 33", 1856—1900)—ინგლისელი მწერალი, რომლის ლექსები, ზღაპრები, რომანები, კომედიები მრავალად შეიცავენ მკვეთრ აფორიზმებს და განსაცვიფრებელ პარადოქსებს.

უიჩერლი (აგრ. — ვიჩერლი), უილიამი (1640—1715) — რესტავრაციის ხანის გამოჩენილი ინგლისელი დრამატურგი-კომედიოგრაფი, ინგლისური კომედიის ბრწყინვალე ეპოქის დამწყები.

უშინსკი, კონსტანტინე დიმიტრის ძე (1824—70) — გამოჩენილი რუსი პედაგოგი და ლიტერატორი, „რუსული პედაგოგიკის მამა", რომელმაც საძირკველი ჩაუყარა რუსულ პედაგოგიკას, როგორც მეცნიერებას. თავის პედაგოგიური მოღვაწეობით, შრომებით და უამრავი წერილებით პედაგოგიურ ჟურნალებში მან პირველმა მიუთითა რუს საზოგადოებას სწავლა-აღზრდის ღრმა სასიცოცხლო მნიშვნელობაზე, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება განდევნილი იქნა იაროსლავის დემიდოვის იურიდიულ ლიცეუმის პროფესორობიდან (იხ. უ. მიშლე).

ფედრი (II ს. ჩვ. წ-დე) — ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, ეპიკურელთა სკოლის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, ციცერონის მასწავლებელი.

ფეიერბახი, ლუდვიგ ანდრეასი (1804—72)—გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი-მატერიალისტი და ათეისტი, ჰეგელის მოწაფე და მისი მოძღვრების უკიდურესი მემარცხენე სკოლის და გერმანიის ბურჟუაზიის ყველაზედ რადიკალური ფენების წარმომადგენელი, მარქსიზმის მატერიალისტური მოძღვრების ერთ-ერთი უშუალო წინამორბედი. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი მეტად მაღალ შეფასებას აძლევდნენ ლ. ფეიერბახის მოძღვრებას, მაგრამ, იმავე დროს, მკაცრად აკრიტიკებდნენ მას იმისათვის, რომ მან „ვერ გაატარა მატერიალიზმი ბოლომდე".

ფეიხტერსლებენი, ერნსტი, ფონ (1806—49)—გერმანელი მეცნიერი, ექიმი-ფსიქიატრი, მწერალი, პოეტი და კრიტიკოსი. ცნობილია სამედიცინო დისერტაციით ლათინურ ენაზე, სხვადასხვა სამედიცინო შრომებით და აგრეთვე ლექსებით, პოპულარული სიმღერებით, კრიტიკული და ესთეტიკური წერილებით. განსაკუთრებული სახელი მოიხვეჭა საყოველდღეო სიბრძნის აფორიზმებით აღვსილ პოპულარული ნარკვევებით.

ფელტონი, კორნელიუს-კონვეი (1807—62) — ამერიკელი მწერალი; ლათინური ენისა და ბერძნული ლიტერატურის პროფესორი ჰარ-

ვარდის უნივერსიტეტში; მრავალი კრიტიკული წერილის ავტორი და ბერძენ კლასიკოსთა გამომცემელი.

ფ ე ნ ე ლ ო ნ ი, ფ რ ა ნ ს უ ა დ ე ს ა ლ ი ნ ი ა კ დ ე ლ ა მ ო თ ი დ ე (1651—1715) — ცნობილი ფრანგი მწერალი-მორალისტი. პედაგოგი და საეკლესიო მოღვაწე. საფრანგეთის აკადემიის წევრი. ფრანგ განმანათლებელთა ერთ-ერთი წინამორბედი თავისუფალი მოაზროვნე. არქიეპისკოპოსი, ლუი XIV შვილისშვილების აღმზრდელი და მისი დაპყრობითი პოლიტიკის მაჭხილებელი და მოწინააღმდეგე (იხ. ლივიუსი), რისთვისაც იქნა მის მიერ შერისხული და სასახლიდან განდევნილი (იხ. ა. პერესი, რუდაქი, საიათნოვა), ხოლო ბრალდებული მისტიციზმში იქნა ეკლესიიდან გაძევებული (იხ. გ. ქიქოძე).

ფ ე რ ს მ ა ნ ი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ე ვ გ ე ნ ი ს ძ ე (1863—1945) — გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი-მინერალოგი და გეოქიმიკოსი, თავის მასწავლებელ აკადემიკოს ვ. ვერნადსკისთან ერთად გეოქიმიის ერთ-ერთი დაარსებელი. აკადემიკოსი. ლონდონის გეოლოგიური საზოგადოების წევრი. მეფის მთავრობის რეაქციონული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად 1911 წელს, სხვა, ასზე მეტ, პროფესორთან და მასწავლებელთან ერთად, დემონსტრატიულად დასტოვა მოსკოვის უნივერსიტეტი, სადაც ის იყო პროფესორად (იხ. ნ. ზელინსკი, კ. ტიმირიაზევი). სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების გამოკვლევის და შესწავლის მიზნით იმოგზაურა ურალზე, ალტაიზე, ზაბაიკალიეში, ყირიმში და აგრეთვე კუნძ. ელბაზე. შეეცალა, ნორვეგიაში, დანიაში, იტალიაში, გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, შვეიცარიაში და ბელგიაში. ხელმძღვანელობდა ექსპედიციებს კოლის ნახევარკუნძულზე, შუა აზიაში და ციმბირში. ა. ფერსმანის მეცნიერულ-ლიტერატურული მოღვაწეობა ხასიათდება არაჩვეულებრივი ნაყოფიერებით. მის 542 დაბეჭდილ მეცნიერულ შრომიდან 37 დიდი მონოგრაფიაა და 200-ზე მეტი მეცნიერულ-პოპულარული წიგნი და წერილი.

ფ ე ტ ი (უფრო სწორი — ფ ე თ ი, მამით — შ ე ნ შ ი ნ ი*), ა თ ა ნ ა ს ე ა თ ა ნ ა ს ე ს ძ ე (1820—92)—ცნობილი რუსი პოეტი-ლირიკოსი და ანტიკური კლასიკოსების მთარგმნელი. ყოფილი გვარდიის ოფიცერი, შემდეგ მდიდარი მემამულე. 60-იან წლებში ლიტერატურაში რეაქციონული ბანაკის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი, პუბლიცისტიკაში — ბატონყმობის მოქადაგე.

ფ ი ლ დ ი ნ გ ი, ჰ ე ნ რ ი (1707—54) — დიდი ინგლისელი მწერალი, დრამატურგი და ჟურნალისტი, ინგლისის განმანათლებელთა დემოკრატიული

---

* რადგან ფეტის მამის ა. შენშინის ქორწინება ლუთერანულ სარწმუნოების ქალთან შარლოტა ფეთთან (Foeth) მეფის რუსეთის კანონმდებლობით მიჩნეული იქნა არაკანონიერად, ამიტომ მათი შვილიც ჩათვლილი იქნა „უკანონოდ" და პოეტმა მხოლოდ მოხუცებულობაში, და დიდი ვაი-ვაგლახით, შესძლო აღედგინა თავისი უფლებები და მამის გვარი, ხოლო დედის გვარი ფ ე თ ი შეინარჩუნა ლიტერატურულ ფსეევდონიმად (იხ. ი. გუტენბერგი).

ფრთის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ინგლისური რეალიზმის ერთ-ერთი უგამოჩენილესი წარმომადგენელი და ევროპული რეალისტური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი, „ინგლისური პროზის მაცა“ (უ. სკოტი), „პროზის ბომეროსი“ (ჯ. ბაირონი).

ფ ი რ დ ო უ ს ი (აგრ. — ფ ი რ დ ა უ ს ი, უფრო სწორი — ფ ი რ დ ო უ ს ი ი ე. ი. „სამოთხელი“, ანუ „სამოთხიდან“), ა ბ უ ლ ყ ა ს ი მ მ ა ნ ს უ რ ი (934 და 941 შუა—1020) — უდიდესი ირანელი პოეტი, სპარსულ და ტაჯიკურ ლიტერატურათა კლასიკოსი, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი საგმირო-სარაინდო პოემის „შაჰ-ნამე“-ს („მეფეთა წიგნი“) ავტორი. ეს თხზულება, რომლის შექმნას ფირდოუსმა 30 წელი მოანდომა (იხ. ჰ. ბოკლი, ფრ. რაბლე) და რომელიც მან შაჰ მაჰმუდ ღაზნეველს (998—1030) უძღვნა, არ იყო დაფასებული არც თვით შაჰის და არც მისი თანამედროვეთა მიერ. „შაჰ-ნამე“, როგორც უდიდესი პოეტური ქმნილება შევიდა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში, ხოლო მისი ავტორი გარდაიცვალა უკიდურეს სიღარიბეში და როგორც „ერეტიკოსი“ დასაფლავებული იქნა არა მუსლიმანთა საერთო სასაფლაოზე, არამედ მისივე საკუთარ ბაღში (იხ. ლ. ტოლსტოი).

ფ ი ხ ტ ე, ი ო ჰ ა ნ გ ო ტ ლ ი ბ, უ ფ რ ო ს ი (1762—1814) — გაჩენილი გერმანელი (ტომით შვედი) ფილოსოფოსი-იდეალისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ორატორი და პუბლიცისტი. იენისა და, მისი თაოსნობით დაარსებული, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი. „უფროსი“ მას ეწოდება გამოსარჩევად მისი შვილის, გერმ. ფილოსოფოსის იმანიულ გერმან ფიხტესაგან (1796—1879), რომელსაც უწოდებენ „უმცროსს“.

ფ ლ ა მ ა რ ი ო ნ ი, კ ა მ ი ლ ი (1842—1925) — გამოჩენილი ფრანგი ასტრონომი და ბელეტრისტი — ასტრონომიის პოპულარიზატორი, ანტიმატერიალისტური ფილოსოფიური შრომების ავტორი. დააარსა პარიზის მახლობლად საკუთარი ობსერვატორია და ჟურნალი „L'Astronomie“.

ფ ლ ო ბ ე რ ი, გ უ ს ტ ა ვ ი (1821—80)—სახელგანთქმული ფრანგი მწერალი-რომანისტი და დრამატურგი, ბურჟუაზიული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი ფრანგულ ლიტერატურაში, ბურჟუაზიულ-პროვინციალური რომანის შემქმნელი, სტილის განსაკუთრებული ოსტატი; „მეშჩანობის შეურიგებელი მტერი“ (მ. გორკი), რომლის შემოქმედება წარჩოადგენს ულმობელ სატირას ბურჟუაზიულ ყოფა-ცხოვრებაზე და ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობაზე.

ფ ო ნ ტ ე ნ ე ლ ი, ბ ერ ნ ა რ ლ ე ბ ო ვ ი ე დ ე (1657—1757) — ფრანგი მწერალი, პოეტი, დრამატურგი, საოპერო კომპოზიტორი და მეცნიერი; საფრანგეთის აკადემიის წევრი და მისი უცვლელი მდივანი (1699 წ-ან). განმანათლებელი ფილოსოფიის ერთ-ერთი პიონერთაგანი, გონებამახვილი სატირიკოსი, რომელიც ალეგორიულ ფორმებში დასცინის კათოლიციზმისა და კალვინიზმის ბრძოლას და ქრისტიანულ რელიგიას.

ფ ო ნ ტ ე ნ ი, შ ა რ ლ ი (1813—88)—ფრანგი პოეტი და კლასიკური ავტორების მთარგმნელი. ცნობილია აგრეთვე თხზულებებით ერუდიციაში.

ფ ო ხ ტ ი (აგრ.—ფ ო გ ტ ი), კ ა რ ლ ი (1817—95)—ცნობილი გერმანელი ბუნებისმეტყველი და ფილოსოფოსი-ვულგარული მატერიალისტი, ბურჟუაზიული რესპუბლიკანელი. გესენის უნივერსიტეტის პროფესორი. 1848 წ. რევოლუციის აქტიური მონაწილე, ფრანკფურტის ეროვნული ყრილობის წევრი, შესანიშნავი ორატორი. რევოლუციის დამარცხების შემდეგ მიესაჯა სიკვდილით დასჯა და გაიქცა შვეიცარიაში, სადაც იყო ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორად და დაჰყო ემიგრაციაში სიცოცხლის ბოლომდე.

ფ რ ა ნ კ ლ ი ნ ი, ბ ე ნ ჯ ა მ ე ნ ი (1706—90)—გამოჩენილი ჩრდილოამერიკელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, მეცნიერი, მორალისტი, ეკონომისტი და ფიზიკოსი-გამომგონებელი. ამერიკის განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გამოჩენილი მოღვაწე და ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ერთ-ერთი ავტორთაგანი, ზანგთა განთავისუფლების ქომაგი, ამერიკელი ხალხის დემოკრატიული კულტურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ყოფილი ასოთამწყობი. მის მეცნიერულ შრომებიდან ყველაზედ მეტად ცნობილია შრომები ფიზიკაში, რომელშიაც მას აქვს ღირსშესანიშნავი გამოგონებები (მეხამრიდი, ბრტყელი კონდესატორი) და აღმოჩენები.

ბ. ფრანკლინს არავითარი სისტემატური სასკოლო განათლება არ ნიუღია, რადგან უბრალო ხელოსან მის მამას საშუალებაც არ ჰქონდა განათლება მიეცა თავისი ჩვიდმეტი შვილისათვის, რომელთა შორის ბენჯამენი ყველაზედ უმცროსი იყო. მთელს თავის წარმატებას ცხოვრებაში ბუნებით ცნობისმოყვარე ბ. ფრანკლინმა დიდი შრომით, მუყაითობით და თვითგანათლებით მიაღწია. (იხ. ა. ბებელი, მ. გორკი, ჩ. დიკენსი, თ.-ა. ედისონი, კ. ციოლკოვსკი),

ფ რ ა ნ ს ი, ა ნ ა ტ ო ლ ი (ჟაკ ა ნ ა ტ ო ლ ი თ ი ბ ო ს ფსევდონიმი, 1844—1924) — გამოჩენილი ფრანგი მწერალი-რომანისტი და ლიტერატურული კრიტიკოსი, მხატვრული სიტყვის ოსტატი. მსოფლიო ლიტერატურაში იმპერიალიზმისა და შოვინისტურ-ნაციონალისტური მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოწინააღმდეგე და კრიტიკოსი, წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის იდეოლოგი; რევოლუციონერებისა და კომუნისტების თანამგრძნობი, სსრკ მეგობარი (იხ. ა. ბარბიუსი, რ. როლანი, ჯ. ჯერომი). საფრანგეთის აკადემიის წევრი.

ფ ურ ი ე, ფ რ ა ნ ს უ ა მ ა რ ი შ ა რ ლ ი (1772—1837) — ფრანგი სოციალისტი-უტოპისტი, მეცნიერული სოციალიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი წინამორბედი, რომლის დამსახურებას კაპიტალისტური საზოგადოების კრიტიკაში კ. მარქსი და ფრ. ენგელსი აკუთვნებდნენ პირველ ადგილს.

ქ ა ი ხ ო ს რ ო — მე-17 ს. ქართული ლიტერატურის ძეგლის, „ვეფხის ტყაოსნის“ გაგრძელების, „ო მ ა ი ა ნ ი ს“ საგულვებელი ავტორი, რომელსაც არჩილ მეფე ასახელებს. პროფ. კ. კეკელიძის აზრით ეს პიროვნება უნდა იყოს „შესანიშნავი ნიჭისა და ენერგიის მხედართმთავარი“ „ქ ა ი ხ ო ს რ ო ო ნ ა ნ ი ს ძ ე ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი (აქედან — ო ნ ა ნ ი შ ვ ი ლ ი-ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი). გ. ჯაკობია კი, ფელიც „ომაიანის“ ავტორის ვი-

ნაობის საკითხს ღიად სტოვებს მაინც ვარაუდობს, რომ ეს პიროვნება უნდა იყოს ქართლის გამგე ქ ა ი ხ ო ს რ ო მ უ ხ რ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი, რომელიც ბაზალეთის ომის შემდეგ დ ი დ მ ო უ რ ა ვ თ ა ნ ერთად გარდაიხვეწა ოსმალეთში, სადაც მათ ორივეს ერთად 1629 წ. თავი მოჰკვეთეს.

„ ქ ი ლ ი ლ ა დ ა დ ა მ ა ნ ა“ — არაბული მოთხრობების კრებული, რომელიც წარმოადგენს ჩვენამდე მოღწეველ ჰინდურ იგავების კრებულის „ ფ ა ნ ჩ ა ტ ა ტ რ ა ს“ ძლიერ შეცვლილ თარგმანს. ის თარგმნილია სპარსულ, ოსმალურ, ებრაულ, ქართულ, სირიულ, ლათინურ და სხვა ენებზე. ქართულ ენაზე ის ითარგმნა სპარსული ენიდან მეფე ვახტანგ VI-ის მიერ სულხან-საბა ორბელიანის თანაავტორობით 1712—17 წლებში.

ქ ი ლ ო ნ ი (VI ს. ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი „შვიდბრძენთაგანი“ ლაკედომონიიდან (სპარტა), პოლიტიკური მოღვაწე და არაჩვეულებრივი სტილის მქონე პოეტი-ლირიკოსი, რომლის სახელი იმდენად განთქმული იყო, რომ მისი თქმა „იცან შენი თავი“ სოლონის, თალესის და სხვ. ბრძნულ თქმებთან ერთად წარწერილი იყო კედელზე აპოლონის ტაძრის შესავალ კარების ზევით. გარდაიცვალა ოლიმპიის დღესასწაულზე მისი შვილის კრივში გამარჯვებით გამოწვეული მეტის-მეტი სიხარულისა და მღელვარებისაგან (იხ. ვოლტერი).

ქ ი ქ ო ძ ე, გ ა ბ რ ი ე ლ ი (ერისკაცობაში — გ ე რ ა ს ი მ ე მ ა ქ ს ი მ ე ს ძ ე, 1825—98)—ცნობილი ქართველი პროგრესული მოაზროვნე, მეცნიერი-ფსიქოლოგი, პედაგოგი, ღვთისმეტყველი, საზოგადო და საეკლესიო მოღვაწე-მოქადაგე, მე-19 ს. 50-ან წლების ქართული ფილოსოფიის თვალსაჩინო მოღვაწე. მაგისტრის ხარისხით პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ ჯერ ინსპექტორი თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ჩაატარა მნიშვნელოვანი პროგრესული სასწავლო-აღმზრდელობითი რეფორმები, შემდეგ იმერეთის ეპისკოპოსი. ლიტერატურაში ცნობილია კაპიტალური შრომით «Основания опытной психологии», СПБ. 1858 წ., რომელმაც დადებითი შეფასება დაიმსახურა იმდროინდელ პროგრესულ პრესაში და რომლისთვისაც რუსულმა ეკლესიამ ის ერეტიკოსად გამოაცხადა (იხ. ფრ. ფენელონი). მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლია აგრეთვე მისი „ქადაგებანი“ (2 ტ.). თავის თხზულებებში გ. ქიქოძე აკრიტიკებს ანტიმეცნიერულ მიმართულებებს და ბევრ საკითხში უახლოვდება მატერიალიზმს.

„ ყ ა ბ უ ს-ნ ა მ ე“ (აგრ.—ყ ო ბ უ ს ნ ო მ ა „Kabus name“ —„დარიგებების წიგნი“)—მე-11 ს. სპარსული და ტაჯიკური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლი, შედგენილი მიახლ. 1080 წ. თაბარისტანის (კასპიის ზღვის სამხრ. სანაპირო) მთავრის ქ ე ი-ქ ა ვ უ ს ი-ს მიერ.

ყ ა ზ ა ლ ი (აგრ. — ა ლ-ყ ა ზ ა ლ ი), ა ბ უ-ჰ ა მ ი დ მ უ ჰ ა მ ე დ ი ბ ნ მ უ ჰ ა მ ე დ ი (1059—1111)—შუა საუკუნეების მუსლიმანი (ტომით სპარ-

სელი) ღვთისმეტყველი, რეაქციონულ რელიგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომლის პოლემიკური ტრაქტატები მიმართულია ისლამის დასაცავად.

ყაზბეგი, ალექსანდრე (ალექსანდრე მიხეილის ძე მოჩხუბარიძის* ფსევდონიმი, 1848—93) — გამოჩენილი ქართველი ნწერალი-პუმანისტი, ბელეტრისტი და დრამატურგი, ქართული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი და ქართული რეალისტური რომანის ერთ-ერთი ოსტატი; მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის შეურიგებელი მტერი და სასტიკი მამხილებელი, მგზნებარე პატრიოტი და მშობლიური ხალ-ხის მოსიყვარულე და ქომაგი, რომლის, ლირიკულ-რომანტიკული ელფერით აღნიშნულ, შემოქმედებას ახასიათებს ღრმა ოპტიმიზმი და უკეთესი მომავ-ლის რწმენა.

შაჰიდ ბალხელი (ე. ი. ქ. ბალხიდან**, გარდაიცვალა 936 წ.)— ირანელი პოეტი. გადმოცემის თანახმად შეადგინა პირველი სრული დივანი***. შაჰიდი სწერდა არაბულ და ტაჯიკურ ენებზე და ითვლება აგრეთვე ტაჯი-კურ ლიტერატურის კლასიკოსად.

შევჩენკო, ტარასი გრიგოლის ძე (1817—61)—დიდი უკ-რაინელი პოეტი-მოაზროვნე და მხატვარი, რევოლუციონური დემოკრატი, ცა-რიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი, კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი და რევოლუციონურ-დემოკრატიული მიმართულე-ბის მამამთავარი უკრაინულ ლიტერატურაში, რომლის შემოქმედებამ უდი-დესი როლი შეასრულა უკრაინელ ხალხის ეროვნულ და სოციალურ თვით-შეგნების და უკრაინული ლიტერატურის შემდგომ განვითარებაში. — პოეტ ვ. ჟუკოვსკის და სხვა მოწინავე ადამიანთა დიდი დახმარებით 24 წლის ტ. შევჩენკო გამოსყიდული იყო ყმობიდან მხატვარ კ. ბრიულოვის ნიერ მება-ტონე ენგელგარტისათვის შესრულებული პორტრეტის საფასურით (2500 მან.) და ჩარიცხული პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა. — აქტიური მონაწილეობისათვის ფარულ პოლიტიკურ ორგანი-ზაციაში „Кирилло-Мефодиевское общество", რომელსაც მიზნად ჰქონდა უკრაინის ეროვნულ-კულტურული ავტონომია, ტ. შევჩენკო იქნა და-პატიმრებული და 10 წლით გადასახლებული ციმბირში უბრალო ჯარისკაცად, წერისა და ხატვის აკრძალვით. — როგორც მხატვარმა ტ. შევჩენკომ დასტო-ვა ზეთით, აკვარელით და სეპიით შესრულებული მრავალი საკანრო ნაწარ-

---

* ყაზბეგის წინაპართა გვარი იყო ჩოფიკაშვილი. მისი პაპის მა-მა, ყაზიბეგ ჩოფიკაშვილი იყო სტეფანწმინდის მოურავი, ხოლო პაპა, გაბრიელ ჩოფიკაშვილი კი — უძლიერესი ფეოდალი.

** ბალხი — ახლა — ქ. ვაზირაბადი ჩრდ. ავღანისტანში.

*** დივანი — განსაკუთრებული წესით დალაგებული ლექსთა კრებული.

ზოები, პორტრეტები, პეიზაჟები და აგრეთვე ოფორტები და ნახატები. (იხ. ა. ნავოი, კ. ხეთაგათი, ე. ჰეკელი).

შ ე ლ გ უ ნ ო ვ ი, ნ ი კ ო ლ ო ზ ვ ა ს ი ლ ი ს ძ ე (1824—91)—ცნობილი რუსი ფილოსოფოსი-მატერიალისტი, პუბლიცისტი, ლიტერატურული კრიტიკოსი, ჟურნალისტი, მეტად ნაყოფიერი და მრავალმხრივი მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. პროფესორი ლისინის სამოსწავლო სატყეოში (პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტთან). ჯერ საზღვარგარეთ ა. ი. გერცენთან და შემდეგ რუსეთში რევოლუციონურ მოღვაწეობისათვის ორჯერ იყო დაპატიმრებული პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეში (პეტერბურგი) და ორჯერვე გადასახლებული შორეულ ციმბირში.

შ ე ლ ი ნ გ ი, ფ რ ი დ რ ი ხ ვ ი ლ ჰ ე ლ მ ი ო ზ ე ფ (ფსევდონიმი—ბ ო ნ ა ვ ე ნ ტ უ რ ა, 1775—1854) — ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი. გერმანული კლასიკური იდეალიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, ფილოსოფიის პროფესორი იენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში; მრავალმხრივი მეცნიერი და მწერალი, რომელმაც ღრმა კვალი დასტოვა ცოდნის მრავალ დარგში: ბუნებისმეტყველებაში, მედიცინაში, ხელოვნების თეორიაში, უფლებისა და სახელმწიფოს მეცნიერებაში და ბოლოს ღვთისმეტყველებაში.

შ ე რ ი დ ა ნ ი, რ ი ჩ ა რ დ ბ რ ი ნ ს ლ ი (1751—1816) — ინგლისელი (ტომით ირლანდიელი) დრამატურგი, პოეტი და გამოჩენილი თეატრალური მოღვაწე; ამერიკაში ინგლისის კოლონიების დამოუკიდებლობისათვის და ირლანდიაში ავტონომიისათვის ბრძოლების ქომაგი, ინგლისის კოლონიალური პოლიტიკის გაბედული მამხილებელი და რევოლუციონური საფრანგეთის ოკუპაციის მოწინააღმდეგე, პოლიტიკური მოღვაწე და პარლამენტის ბრწყინვალე ორატორი.

შ ე ფ ე რ ი, ლ ე ო პ ო ლ დ ი (1784—1862) — გერმანელი პოეტი-ლირიკოსი და ბელეტრისტი, რომლის კალამს გარდა მოთხრობებისა ეკუთვნის აგრეთვე სატირა მინისტრის ცხოვრებაზე და დიდაქტიკური ლექსები. განსაკუთრებული სახელი და პატივისცემა კი მას მოუხვეჭა მისმა გონებამახვილმა ეპიგრამებმა, მსუბუქმა დითირამბებმა და საინტერესო იგავებმა.

შ ე ქ ს პ ი რ ი, უ ი ლ ი ა მ ი (1564—1616) — უდიდესი ინგლისელი პოეტი-ჰუმანისტი და დრამატურგი, ახალი დრამის ფუძემდებელი, დედოფალ ელისაბედის კარის არისტოკრატიის იდეოლოგი; ყოფილი სუფლიორი, მსახიობი და რეჟისორი, ბოლოს თეატრის დირექტორი. თავის სახელმოხვეჭილ ტრაგედიებში უ. შექსპირმა მხატვრულ ფორმებში განასახიერა ადამიანური ყველა მისწრაფებანი, გრძნობათა და სახეთა მთელი სამყარო და, შეპქმნა მარადიული, ზოგადსაკაცობრიო ტიპები.

შ ი ლ ე რ ი, ი ო ჰ ა ნ ქ რ ი ს ტ ო ფ ფ რ ი დ რ ი ხ (1759—1805)—უდიდესი გერმანელი პოეტი და დრამატურგი, მე-18 ს. დასასრულის აღმავალ ბურჟუაზიის უნიჭიერესი წარმომადგენელი ლიტერატურაში. გოეთეს მეგობარი, ნგზნებარე პატრიოტი და კაცობრიობის მაღალი იდეალების, ჭეშმარი-

ტების, თავისუფლებისა და კაცთმოყვარეობის მგოსანი. ჯერ სამხედრო ექიმი, შემდეგ ჟურნალისტი და ბოლოს ისტორიის პროფესორი იენაში და ვეიმარში.

შირაკაცი ანანია (იხ. ანანია შირაკაცი).

შლეგელი, ავგუსტ ვილჰელმი (1767—1845) — გამოჩენილი გერმანელი ლიტერატურის ისტორიკოსი, კრიტიკოსი, ფილოლოგი-ორიენტალისტი და პოეტი-მთარგმნელი, გერმანული რომანტიზმის თეორეტიკოსი. ბონის უნივერსიტეტის პროფესორი.

შლეგელი ფრიდრიხი (1772—1829) — თვალსაჩინო გერმანელი ფილოსოფოსი, პოეტი, ფილოლოგი, მწერალი და კრიტიკოსი, გერმანიაში რომანტიზმის თეორეტიკოსი და მისი ბელადი; ანტიკურ ლიტერატურისა და ფილოსოფიის, სახვითი ხელოვნების, აღმოსავლურ ენების და ლიტერატურათა მცოდნე.

შლეიერმახერი, ფრიდრიხ დანიელ ერნსტი (1768—1839) — გერმანელი ფილოსოფოსი-იდეალისტი, ღვთისმეტყველი-კრიტიკოსი, პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწე-მოქადაგე; პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ბერლინის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და ღვთისმეტყველების პროფესორი ამავე უნივერსიტეტში.

შოპენჰაუერი, ართური (1788—1860) — გერმანელი ფილოსოფოსი-იდეალისტი.

შტირნერი, მაქსი (1806—56). გერმანელი ფილოსოფოსი-იდეალისტი, ინდივიდუალისტური წვრილბურჟუაზიული ანარქიზმის იდეოლოგი, რომლის იდეები სასტიკად გააკრიტიკეს კ. მარქსმა და ფრ. ენგელსმა თავიანთ შრომაში „გერმანული იდეოლოგია“.

შუმანი, რობერტ ალექსანდერი (1810—56) — უდიდესი გერმანელი კომპოზიტორი და გამოჩენილი მუსიკალური მწერალი. მე-19 ს. რომანტიკული ხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, რომლის გენიალურმა შემოქმედებამ თავისი ცხოველი ძალა შეინარჩუნა ჩვენს დროშიაც. ფორტეპიანოზე გადაპარბებული ვარჯიშით ხელის თითების დაავადებამ იძულებული გახადა თავი დაენებებინა დაკვრისათვის. ფსიქიურად დაავადებული, თავის დანრჩობის მიზნით, გადავარდა მდ. რეინში, საიდანაც გადაარჩინეს მეთევზეებმა. სიცოცხლის უკანასკნელი ორი წელი დაპყო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (იხ. კ. გუცკოვი, გი დე მოპასანი).

„შუკასაპტატი“ („Çukasaptati“ — „თუთიყუშის სამოცდაათი მოთხრობა“) — აღმოსავლეთის ხალხთა შორის მეტად გავრცელებული და პოპულარული ძველი ინდური ლიტერატურული ძეგლი სანსკრიტულ ენაზე, რომელიც წარმოადგენს გასართობ, თითქოს თუთიყუშის მიერ ნაამბობ, მოთხრობათა კრებულს და რომლის პირველწყარო ჯერ-ჯერობით ითვლება

დაკარგულად. „შუქასაპტატი“ შედგენილია არა უგვიანეს მე-14 ს. დასაწყისისა და გავრცელებულია ორი ვერსიით: ერთი (Textus simplicior) დაწერილი მარტივი, შეულამაზებელი ხალხური ენით, ხოლო მეორე (Textus ornation) დაწერილი ლიტერატურული ენით *.

შ ჩ ე დ რ ი ნ ი, ნ ი კ ო ლ ო ზ პ ა ვ ლ ე ს ძ ე (1858—1919) — რუსი რევოლუციონერი-ხალხოსანი, „სამხრეთ რუსეთის მუშათა კავშირის“ ერთ ერთი ორგანიზატორი. დაპატიმრებულს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, რომელიც შემდეგ შეეცვალა უვადო საკატორღო სამუშაოებით. გარდაიცვალა პატიმრობაში ფსიქიური დაავადებით.

ჩ ა ი კ ო ვ ს კ ი, პ ე ტ რ ე ი ლ ი ა ს ძ ე (1840—1893) — დიდი რუსი კომპოზიტორი, გენიალური დრამატურგი-სიმფონისტი, სახელმოხვეჭილი ოპერების („ევგენი ონეგინი“, „პიკის ქალი“, „იოლანტა“, „ქოშები“ და სხვ.) და ბალეტების („გედების ტბა“, „მძინარე მზეთუნახავი“, „შჩელკუნჩიკი“) ავტორი. მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი; თავის სამშობლოსა და მშობლიური ხალხის გატაცებით მოყვარული ხელოვანი-პატრიოტი. ლიტერატურაში ცნობილია მუსიკალურ-კრიტიკული შრომებით, ფელეტონებით, ნარკვევებით, წერილებით და აგრეთვე დღიურებით და ლექსებით.

ჩ ა ნ ი ნ გ ი, უ ი ლ ი ა მ-ჰ ე ლ ე რ ი (1780—1842) — ამერიკელი ღვთისმეტყველი და მწერალი. თავის ქადაგებებით ამერიკაში მონობის, თვითგანათლების, მუშათა კლასის აღზრდისა და სხვა ასეთი საკითხების შესახებ სახელი მოიხვეჭა არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ დასავლეთ ევროპაშიაც.

ჩ ე ლ ი ნ ი, ბ ე ნ ვ ე ნ ტ უ ტ ო (1500—71 ან 74) — გამოჩენილი იტალიელი მოქანდაკე, ოქრომჭედელი და მწერალი. ლიტერატურაში ცნობილია თავისი ტრაქტატებით ოქრომჭედლობის ხელოვნებაზე და მოქანდაკეობაზე და ავტობიოგრაფიით, რომელიც გადათარგმნილია ყველა ევროპულ ენაზე.

ჩ ერ ნ ი შ ე ვ ს კ ი, ნ ი კ ო ლ ო ზ გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ძ ე (1828—89)— „უდიდესი რუსი მეცნიერი და კრიტიკოსი“ (კ. მარქსი), „უდიდესი რუსი პეგელიანელი და მატერიალისტი“ (ფრ. ენგელსი), „რევოლუციონერი დემოკრატი“ (ვ. ლენინი). მე-19 ს. რუსული კლასიკური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენელი, მწერალი, ლიტერატურული კრიტიკოსი, პუბლიცისტი, განმანათლებელი-თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი; ფილოსოფიაში მატერიალისტი-დიალექტიკოსი, ეკონომისტი, ისტორიკოსი და სოციალისტი-უტოპისტი; 60-იან წლების რევოლუციონურ-დემოკრატიული და მარქსისტული ნოძრაობის მეთაური და სულისჩამდგმელი, მონარქიზმისა და თვითმპყრობლობის შეურიგებელი მტერი, „კაპიტალიზმის კრიტიკოსი, მიუხედავად თავისი უტოპიური სოციალიზმისა“ (ვ. ლენინი) ლონდონში მოგზაურობისა და ა. გერ-

---

* ჩვენ ვისარგებლეთ პირველი ვერსიის გერმანულიდან რუსულად თარგმნილი ტექსტით («Шукасаптати», Семьдесят рассказов попугая. М., 1960.

ცენთან პირადი კაეშირის დამყარების შედეგად იქნა დაპატიმრებული (იხ: მ. ნალბანდიანი) და პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეში 2 წლის პატიმრობის შემდეგ დასჯილი იქნა „სამოქალაქო სიკვდილით" (თავზე გადაატეხეს ხმალი) და გაგზავნილი კატორღაში, სადაც დაჰყო 20 წელი.

ჩეხოვი, ანტონ პავლეს ძე (პაპის გვარი — ჩეხი — Чех, აქედან მამის გვარი — Чехов, ე. ი. ჩეხის შვილი; ფსევდონიმები — Антоша Чехонте*. Брат моего брата. Агафонд Единщин, Человек без селезенки. Рувер და სხვ., 1869—1904)—სახელგანთქმული რუსი მწერალი-ბელეტრისტი და დრამატურგი, გენიალური პუმორისტი და სატირიკოსი, შესანიშნავი მხატვარი-ნოველისტი, მოკლე მოთხრობის შეუდარებელი ოსტატი. განათლებით და პროფესიით ექიმი. 1889 წ. ა. ჩეხოვი არჩეული იქნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად „კაზმული სიტყვიერების" ხარისხში, ხოლო 1902 წ. ნიშნად პროტესტისა, იმის გამო, რომ ნიკოლოზ II გააუქმა მ. გორკის არჩევა ამ ხარისხში, მან ვ. კოროლენკოსთან ერთად დემონსტრატიულად უარი განაცხადა საპატიო აკადემიკოსის წოდებაზე. (იხ. ვ. კოროლენკო და ლ. პასტერი).

ცახარიე, იუსტინ ფრიდრიხ ვილჰელმი (1726—77)— გერმანელი პოეტი, სატირიკოსი და იგავთმწერალი; სიტყვიერებისა და კაზმულ ხელოვნებათა პროფესორი ბრაუნშვეიგში.

ცეტკინი (მამით—ეისნერი), კლარა გოტფრიდისასული (1857—1933) — გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი გერმანელი (დედით ფრანგი) მოღვაწე ქალი, გერმანიის კომუნისტური პარტიისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთი დამაარსებელი, საერთაშორისო ქალთა მოძრაობის ორგანიზატორი და მოწინავე მებრძოლი, გამოჩენილი მწერალი, პუბლიცისტი, მგზნებარე ორატორი და ტრიბუნი. გარდაიცვალა მოსკოვში. ურნა მისი ნეშტით დაგმანულია კრემლის კედელში წითელ მოედანზე.

ციოლკოვსკი კონსტანტინე ედუარდის ძე (1857—1935) — გამოჩენილი რუსი მეცნიერი და თვითნასწავლი-გამომგონებელი, პლანეტთაშორისო მიმოსვლის თეორიის ფუძემდებელი; აეროდინამიკაში, სარაკეტო ტექნიკაში, ფილოსოფიაში და ლინგვისტიკაში მთელ რიგ აღმოჩენათა და გამოკვლევათა ავტორი, რომლის იდეებმა და განკვრეტებმა ბრწყინვალე განხორციელება პპოვეს ჩვენს ქვეყანაში — საბჭოთა კავშირში (იხ. აზრი 497, გვ. 85). — ბავშვობაში გადატანილი ქუნთრუშის შედეგად კ. ციოლკოვსკიმ თითქმის სრულიად დაკარგა სმენა, რის გამოც მას წაერთვა სკოლაში სწავლის შესაძლებლობა და სწავლობდა დამოუკიდებლად (იხ. ა. პოპი). ცოდნის უმაღლეს საფეხურებს და მთელს თავის წარმატებას მეცნიერებაში მან მიაღწია სწავლისადმი სიყვარულით, თვითგანათლებით, დამოუკიდებელი ძიებით და დაუღალავი შრომით (იხ. ედისონი, ი. მიჩურინი, ბ. ფრანკლინი).

---

* Антоша Чехонте ა. ჩეხოვს ხუმრობით შეარქვა სამღვთო რჯულის მასწავლებელმა გიმნაზიაში.

ციცერონი, მარკუს ტულიუსი (106—43 ჩვ. წ-დე)—გამოჩენილი რომაელი ორატორი, მწერალი-ფილოსოფოსი და პოლიტიკური მოღვაწე. კლასიკური საორატორო ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელი. კატილინას შეთქმულების აღმოჩენისა და ჩახშობისათვის ეწოდა „სამშობლოს მამა“. მოკლულ იქნა მაკედონიაში მისი პოლიტიკური მტრის ანტონიუსის მიერ მიგზავნილი მკვლელის ხელით. მოკვეთილი მისი თავი და მარჯვენა ხელი კი ანტონიუსის განკარგულებით საჯაროდ იქნა გამოფენილი რომში, მიჰედილი იმ ტრიბუნის თაეზე, საიდანაც გაისმოდა მისი მგზნებარე სიტყვები.

წერეთელი, აკაკი როსტომის ძე (1840—1915)—გამოჩენილი ქართველი პოეტი-ლირიკოსი, ბელეტრისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი და მთარგმნელი; ი. ჭავჭავაძესთან ერთად ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი და ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, ქართულ მწერლობაში რეალისტური მიმართულების მეთაური და ი. ჭავჭავაძესთან და ი. გოგებაშვილთან ერთად ქართული ენის ერთ-ერთი თვალსაჩინო რეფორმატორი.

ჭავჭავაძე, ილია გრიგოლის ძე (1837—1907) — უდიდესი ქართველი პოეტი, მწერალი-ბელეტრისტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, მე-19 ს. 60-ან წლების ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზედ პოპულარული მოღვაწე. ა. წერეთელთან ერთად კრიტიკული რეალიზმის დამაარსებელი და რეალისტური სკოლის მეთაური ქართულ ლიტერატურაში, ახალი, მოწინავე ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი და ახალი ლიტერატურული ენის შემოქმედი, უდიდესი პუმანისტი და მგზნებარე პატრიოტი, ქართველი ხალხის მოამაგე და ქონაგი. ვერაგულად იქნა მოკლული ქართველი ერის მტრების მიერ მოგზავნილი მკვლელების ხელით სოფ. წიწამურთან.

ჭალადიდელი გიორგი (გიორგი მაქსიმეს ძე ქოჩაკიძის ფსევდონიმი, 1827—98)—ცნობილი ქართველი პოეტი-ლირიკოსი, მგზნებარე პატრიოტი და დემოკრატი; რუსეთის ჯარის ოფიცერი, 1878 წ. რუსეთ-ოსმალეთის ომის მონაწილე.

ხაიამი (სპარს. — „კარვის მკეთებელი“) ომარ იბნ-იბრაჰიმ ნიშაბურელი (სრულად — ყაისოლდინ აბულფატ ჰომარ ბენ-იბრაჰიმ ხაიამ ნიშაბური, მიახლ. 1040—1123) — უდიდესი სპარსელი პოეტი-ლირიკოსი, ფილოსოფოსი, მეცნიერი-ვარსკვლავთმრიცხველი და მათემატიკოსი-ალგებრაისტი. ხაიამი ითვლება აგრეთვე ტაჯიკურ ლიტერატურის კლასიკოსადაც.

ხამადანი (ე. ი. ხამადანელი, ანუ ქ. ხამადანიდან; ნეტსახელი—ბადი აზ-ზამანი, არაბ.—„თავისი დროის სასწაული“; ნამდვილი სახელი—აბუ-ლ-ფაზლ აჰმედი, მიახლ. 968—1008) — გამოჩენილი არაბი პოეტი; საშუალო საუკუნეების არაბული ლიტერატურის დამახასიათებელი ჟანრის, ლექსებით შეგჩართულ ნოველების — მაკამების ფუძემდებელი.

ხეთაგათი კოსტა (ხეთაგუროვი, კონსტანტინე ლევანის ძე, 1859—1906) — ოსი პოეტი-ლირიკოსი, და საზოგადო მოღვაწე-განმანათლებელი, ოსური მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებელი, ოსური ლიტერატურული ენის რეფორმატორი და პირველი ოსი ჩხატვარი-ფერმწერი (იხ. ა. ნავოი, ე. ჰეკელი, ტ. შეჭენეკო); კაპიტალისტურ-მემამულურ წესწყობილებისა და ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი. თავისუფალი აზროვნებისათვის მუდამ განიცდიდა დევნას მეფის მთავრობისაგან. ორჯერ იქნა გადასახლებული სამშობლოდან. თავის თხზულებებს კ. ხეთაგათი სწერდა ოსურ და რუსულ ენებზე.

ხუნდაძე. სილოვან თომას ძე (1860—1929) — ცნობილი ქართველი გრამატიკოსი, ენათმცოდნე, კრიტიკოსი-პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო ჩოღვაწე და პოეტი.

ჯელალედინ (აგრ. — ჯელალ-ედ-დინ) რუმი ბალხი (ჯელალედინ—„სარწმენოების დიდება", რუმი — „მცირეაზიელი". ბალხი — ქალ. ბალხიდან; ნამდვილი გვარი და სახელი — ბექაედინ მეევლანი, 1207—73) — დიდი სპარსელი და ტაჯიკელი პოეტი, სუფიზმის პანთეისტური იდეების მოქადაგე. ღვთისმეტყველების მასწავლებელი და დაკრიში, დავრიშთა ორდენის „მეევლევის" დამაარსებელი. უკიდურესი მისტიკოსი და იმავე დროს ჰუმანისტი.

ჯემსი, უილიამი (1842—1910) — ამერიკელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი, იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგი, ანტიმეცნიერული ფილოსოფიის—პრაგმატიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და რელიგიის ქომაგი. თავის თხზულებებით დიდი გავლენა იქონია ამერიკაში პედაგოგიკურ აზროვნებაზე და სწავლების საქმის პრაქტიკულად დაყენებაზე.

ჯერომი, ჯერომ კლაპკა (1859—1927) — ცნობილი ინგლისელი ბურჟუაზიული მწერალი-ჰუმორისტი; ყოფილი მასწავლებელი და მსახიობი. დიდი ოქტომბრის რევოლუციის გაბედული ქომაგი (იხ. ა. ბარბიუსი, რ. როლანი, ა. ფრანსი).

ჯორჯ ელიოტი [მერი ანი, (აგრ. მერიენი) ევანსის ფსევდონიმი; პირველი ფსევდონიმი—გრეს ევანსი, 1819—80]—ინგლისელი მწერალი-ქალი, ჩ. დიკენსთან და უ. თეკერეისთან ერთად ინგლისური რეალისტური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ყველა ევროპელი ენების კარგად მცოდნემ, მან საგანგებოდ შეისწავლა ძველი ებრაული ენა და სთარგმნა დ. შტრაუსის „იესოს ცხოვრება".

ჰაინე, ჰენრიხი (1797—1856 წ.) — უდიდესი გერმანელი (ტომით ებრაელი *) პოეტი-ლირიკოსი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და მებრძოლი სატირიკოსი; ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პოლიტიკური პოეზიის ფუძემდებე-

---

* ქრისტიანობა (პროტესტანტული რელიგია) ჰ. ჰაინემ მიიღო მეცნიერული ხარისხის მიღების უმაღ, რათა უფრო მეტი გასაქანი ჰქონოდა ცხოვრების სარბიელზე, რომ მიეღო „შესასვლელი ბილეთი ევროპულ კულტურაში".

ლი და ნისი თვალსაჩინო წარმომადგენელი გერმანულ ლიტერატურაში. გერ-მანული ფილეტონის ერთ-ერთი ნიჭიერი შემქმნელი. განათლებული იურისტი—სამართლის მეცნ. დოქტორი. ჯერ საფრანგეთის რევოლუციის მგზნებარე თანმგრძნობი და მისი აქტიური მონაწილე, ხოლო სიცოცხლის ბოლო ხანებში, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენით, კომუნიზმის მომავალი გამარჯვებით შეშინებული და მისდამი უარყოფითად განწყობილი პესიმისტი (იხ. ფრ. გენ-ცი, კ. გუტკოვი, ს. კოლრიჯი, რ. სოუთი).—მიუხედავად იმისა, რომ ნერვულ ნიადაგზე დაავადებული, ნახევრადდაბრმავებული და დამბლადაცემული ჰ. ჰაინე სიცოცხლის უკანასკნელი 8 წლის მანძილზე მიჯაჭვული იყო ლოგინ-ზე, რომელსაც ჰ. ჰაინე უწოდებდა „ლეიბის საფლავს" და განიცდიდა საში-ნელ ტკივილებს, მან მაინც შესძლო შეენარჩუნებინა საღი აზრი, სიხალისე და შემოქმედებითი სიმძლავრე (იხ. ნ. ოსტროვსკი, ჰ. სკარონი). ჰ. ჰაინე გარ-დაიცვალა ნერვული ფსიქოზით გამოწვეული ტვინის გათხევადებით (იხ. ჰ. ბალზაკი).

ჰ ა მ ი ლ ტ ო ნ ი, უ ი ლ ი ა მ ი (1788—1856) — ცნობილი ინგლისელი (ტომით შოტლანდიელი) ბურჟუაზიული ფილოსოფოსი-იდეალისტი. ენინბურ-გის უნივერსიტეტის პროფესორი. მრავალი შრომის ავტორი ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში და ლოგიკაში.

ჰ ა ნ ი ბ ა ლ ი (მიახლ. 247—183 ჩვ. წ-დე) — გამოჩენილი კართაგე-ნელი სარდალი. ჯერ მეთაურობდა რომის წინააღმდეგ ესპანეთში მოქმედ კარ-თაგენის ჯარებს, შემდეგ მონაწილეობდა მე-2 პუნიკურ ომში, რომლითაც სწყდებოდა ხმელთაშუა ზღვის დას. ნაწილში რონისა და კართაგენის სავაჭრო კაპიტალის ბატონობის საკითხი. გადალახა ასიათასიანი ჯარით ჯერ პირე-ნეის მთები, შემდეგ ალპები (15 დღეში), გადავიდა იტალიაში, სადაც სასტი-კად დაამარცხა რომაელთა ლეგიონები და მიუახლოვდა რომს, მაგრამ რად-გან რომაელებმა დროთა განმავლობაში შესძლეს ჯერ ესპანეთში კართაგე-ნელთა მთავარი საყრდენი ბაზის ქ. ა ხ ა ლ ი კ ა რ თ ა გ ე ნ ი ს დაპყრობა და აფრიკაში თვით კართაგენისათვის საფრთხის შექმნა, ჰანიბალი გაწვეული იქნა უკან კართაგენის საშველად. დამარცხებულმა რომაელი სარდლის ს ც ი პ ი ო ნ ა ფ რ ი კ ე ლ ი ს (უ ფ რ ო ს ი ს) მიერ, გადაიხადა დიდი კონტრიბუცია, დარჩა სახელმწიფოს მეთაურად, მოაწესრიგა მართვა-გამგეობა და ფინანსები და ემზადებოდა ახალი, სარევანშო ომისათვის რომაელთა წინააღმდეგ. და-ბეზღებული რომაელთა წინაშე, მისი რეფორმებით უკმაყოფილო კართაგენის არისტოკრატიის მიერ, ჰანიბალი გაიქცა ჯერ სირიაში და შემდეგ ვიფინიაში და, აქაც გასყიდულმა, შიშით რომ არ ჩავარდნოდა ხელთ რომაელებს (იხ. ან-ტონიუსი, კლეოპატრა, ნერონი) დალია საწამლავი, რომელსაც მუდამ თან ატარებდა ამ შემთხვევისათვის. — ჰანიბალმა ღრმა კვალი დასტოვა სამხედ-რო ხელოვნების ისტორიაში რომის წინააღმდეგ ომისათვის დახელოვნებული, წინასწარ და ყოველმხრივი მომზადებით, გაბედული და მტკიცე სტრატეგიით, საომარ მოქმედებათა სისწრაფით (იხ. ნაპოლეონ I, ა. სუვოროვი). ტაქტი-კური მიზნების მისაღწევად საბრძოლო ადგილისა და თავისი საუცხოოდ გა-წვრთნილი ცხენოსანი ჯარის და აგრეთვე პოლიტიკურ საშუალებათა ოსტატუ-რი გამოყენებით.

ჰაფიზი (აგრ. ჰაფეზი ე. ი. „ყურანის ზეპირად მცოდნე", მოჰამედ შამს-ედინის ფსევდონიმი, 1300—89) — სპარსელი პოეტი-ლირიკოსი შირაზიდან. ჯერ ყურანის განმმარტებელი შირაზის ერთ-ერთ სასულიერო სკოლაში, შემდეგ დავრიში და მოხეტიალე პოეტი. ლირიკული ლექსების მომხიბვლელი სიმშვენიერისათვის მას სამშობლოში მეტსახელად შეარქვეს „შაქერლები" ე. ი. „შაქრის ბაგენი". ჰაფიზი ითვლება აგრეთვე ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსადაც.

ჰეგელი, გეორგ-ფრიდრიხ-ვილჰელმი (1770—1831) — უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსი-იდეალისტი და დიალექტიკოსი. ' ფილოსოფიის პროფესორი იენაში, ჰაიდელბერგში და ბერლინში, 1829-30 წ. ბერლინის უნივერსიტეტის რექტორი. კლასიკური გერმანული იდეალიზმის დამამთავრებელი და ობიექტიურ, აბსოლუტურ იდეალიზმის სისტემის დამაარსებელი, რომლის დიალექტიკურმა მოძღვრებამ სერიოზული გავლენა იქონია კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე, თუმცა მისი დიალექტიკა პირდაპირ ეწინააღმდეგება მარქსისტულ-მატერიალისტურ დიალექტიკას.

ჰეზლიტი (ანუ ჰაზლიტი), უილიამი (1778—1830) — ინგლისელი მწერალი და ლიტერატურული კრიტიკოსი, ინგლისური რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ევროპაში გამეფებულ რეაქციის მამხილებელი და ლიტერატურული დოგმატიზმის მტერი; შექსპირის ნიჭიერი განმმარტებელი. თავისი პირველი შრომა „სისხლის სამართლის და სამოქალაქო კანონმდებლობის ახალი პროექტი" ჰეზლიტმა დასწერა 14 წლის ასაკში (იხ. ჯ. სტ. მილი, ბ. პასკალი).

ჰეიზე, პოლ იოჰან ვილჰელმი (1830—1914) — გერმანელი მწერალი-რომანისტი, ნოველისტი, პოეტი, დრამატურგი და მთარგმნელი. 1848 წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ გადავიდა რეაქციის ბანაკში და გახდა გერმანელ ბურჟუაზიის იდეოლოგიის გამომხატველი (იხ. ფრ. გენცი).

ჰეკელი, ერნსტი (1834—1919) — გამოჩენილი გერმანელი ბუნებისმეტყველი-დარვინისტი, საბუნებისმეტყველო-ისტორიული მატერიალიზმის პოპულარიზატორი და პროპაგანდისტი, გერმანიაში მებრძოლ მატერიალიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი და კლერიკალიზმის შეურიგებელი მტერი. იენის უნივერსიტეტის პროფესორი. მთელი სიცოცხლის მანძილზე გატაცებული იყო აგრეთვე ფერწერით. ცნობილია მისი საუცხოო ალბომი „ფორმების სილამაზე ბუნებაში" და აკვარელით შესრულებული ლანდშაფტები (იხ. ა. ნავოი, ტ. შევჩენკო, კ. ხეთაგური).

ჰელვეციუსი, კლოდ ადრიენი (1715—71) — გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი-მატერიალისტი და ლიტერატორი. ფრანგული განმანათლებელი ფილოსოფიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, რევოლუციონური ფრანგი ბურჟუაზიის თვალსაჩინო იდეოლოგი. უკიდურესი სენსუალისტი, რაციონალისტი, რადიკალი და ათეისტი. მისი წიგნი „გონების შესახებ" ხელისუფლების დესპოტიზმისა და ეკლესიის წინააღმდეგ გალაშქრე-

ბისათვის საჯაროდ იქნა დამწვარი 1858 წელს ჯალათის ხელით (იხ. დ. ანიჩ-კოვი და ჟ.-ჟ. რუსო).

ჰ ე ნ დ ე ლ ი, გ ე ო რ გ ფ რ ი დ რ ი ხ ი (1685—1759) — გენიალური გერმანელი კომპოზიტორი, რომელსაც ინგლისელები სთვლიან თავისად, რადგან ი.ავისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი (50 წელი) დაპყო ლონდონში. მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია დას. ევროპის კლასიკური მუსიკის განვითარებაზე. ჰენდელი უკვე 7 წლის ასაკში თავისუფლად უკრავდა თვითნასწავლობით ფორტეპიანოზე და ორღანოზე, ხოლო 10 წლის ასაკში სწერდა საეკლესიო-საგუნდო მუსიკას (იხ. ვ. მოცარტი, ა. რუბინშტეინი).

ჰ ე რ ა კ ლ ი ტ ე ე ფ ე ს ე ლ ი, „ბ ნ ე ლ ი“ *, (მიახლ. 544/540 ჩვ. წ-დე — გარდაცვ. წელი უცნობია) — ძველი საბერძნეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი—სტიქიური მატერიალისტი და მოაზროვნე-დიალექტიკოსი, ანტიკური დიალექტიკის ფუძემდებელი და მისი ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი. დემოკრიტეს იდეური მოწინააღმდეგე. თავის დროზე მეტად დაფასებულ მის სუცხოო თხზულებას „ბუნების შესახებ“, რომელმაც ჩვენამდე მხოლოდ ნაწყვეტებში მოაღწია, ვ. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა.

ჰ ე რ დ ე რ ი, ი ო ჰ ა ნ გ ო ტ ფ რ ი დ ი (1744—1803) — გამოჩენილი გერმანელი მოაზროვნე და მწერალი, რელიგიის ფილოსოფოსი, პოეტი, მეცნიერი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, კულტურის ისტორიკოსი, ღრმა შინაარსიანი მოქადაგე და ბრწყინვალე ორატორი; ხალხური ლექსების შემგროვებელი და მთარგმნელი, „ქარიშხალისა და იერიშის“ თეორეტიკოსი, გერმანელ განმანათლებელთა ერთ-ერთი იდეოლოგი.

ჰ ე ს ი ო დ ე (VIII—VII სს. ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის პოეტი, დამრიგებლური ეპოსის შემქმნელი; აფორიზმებით, ანდაზებით, იგავებითა და ბითებით მდიდარი დიდაქტიკური პოემების ავტორი და ეპიკური სიმღერების შემსრულებელი.

ჰ ი ლ ე ლ ი — ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისის გამოჩენილი ებრაელი მეცნიერი ბაბილონიიდან; მოღვაწეობდა იერუსალიმში. სადაც სათავეში ედგა რაბინთა სკოლას. თავისი ლექციებით დიდად შეუწყო ხელი შემდგომში ებრაელთა უმაღლესი სკოლების გახსნას.

ჰ ი პ ო კ რ ა ტ ე კ ო ს ე ლ ი (ე. ი. კუნძ. კოსიდან, მიახლ. 460—377 ჩვ. წ-დე) — ძველი საბერძნეთის გამოჩენილი ექიმი, მეცნიერი-ბუნებისმეტყველი და ფილოსოფოსი-მატერიალისტი, ანტიკური მედიცინის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომლის მოღვაწეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ძველი ბერძნული მატერიალიზმის ბრძოლაში ანტიმეცნიერულ, მისტიკურ და რელიგიურ წარმოდგენებთან ადამიანის შესახებ. მრავალ სამედიცინო შრომების გარდა მის კალამს აგრეთვე ეკუთვნის „აფორიზმების“ კრებული.

---

* მეტსახელი „ბ ნ ე ლ ი“ მას შეერქვა ძნელად გასაგები ენით წერის მანერის გამო.

ჰიუგო, ვიქტორ მარი (1802—85) — დიდი ფრანგი მწერალი, პოეტი, დრამატურგი პამფლეტისტი და საზოგადო მოღვაწე; რომანტიული სკოლის მეთაური ფრანგულ ლიტერატურაში, პუმანისტი და მგზნებარე პატრიოტი-რესპუბლიკანელი. საფრანგეთის აკადემიის წევრი. აქტიური მებრძოლი ნაპოლეონ III წინააღმდეგ ვ. ჰიუგო 1851 წ. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ იძულებული იყო გადახვეწილიყო სამშობლოდან და თითქმის 20 წელი დაჰყო ემიგრაციაში, საიდანაც დაბრუნდა საფრანგეთში მხოლოდ 1870 წ. ნაპოლეონ III დაცემის შემდეგ და მხურვალე მონაწილეობა მიიღო პრუსიელთა შემოსევის წინააღმდეგ ბრძოლაში. თავის საუკეთესო თხზულებები ვ. ჰიუგომ სამშობლოდან გადახვეწაში დასწერა.

პოლბახი, პოლ ანრი დიტრიხი ფონ (1723—89) — გამოჩენილი ფრანგი (ტომით გერმანელი) ფილოსოფოსი-მატერიალისტი და ათეისტი, მე-18 ს. ფრანგი რევოლუციონერი, ბურჟუაზიის ერთ-ერთი იდეოლოგი და მატერიალიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი. დ. დიდროსა და ჟ. დალამბერის „ენციკლოპედიის“ ერთ-ერთი განყოფილების რედაქტორი. ეკლესიის მსახურთა მხრიე დევნის გამო ჰოლბახის თხზულებები იცემოდა ანონიმურად და, როგორც წესი, ყოველთვის საფრანგეთის გარეთ.

ჰომეროსი (მიახლ. X—VIII ს. ჩვ. წ-დე) —ძველი ბერძენი პოეტი, ბერძნული პოეზიის მამა, რომელიც ძველებს წარმოდგენილი ყავდათ მოხეტიალე მომღერლად და რომელსაც მიაწერენ პოემების „ილიადის“ და „ოდისეის“ ავტორობას.

ჰორაციუსი (სრულიად:—კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსი, 65—8 ჩვ. წ-დე) — ანტიკური რომის კლასიკური პერიოდის რომაელი პოეტი-ლირიკოსი და კლასიკური პოეტიკის თეორეტიკოსი.

ჰუმბოლტი, ალექსანდრე ფრიდრიხ ვილჰელმ ფონ (1769—1859) — გერმანელი მეცნიერი, ბუნებისმეტყველი და მოგზაური; თანამედროვე მცენარეთა გეოგრაფიის, გეოფიზიკისა და პიდროგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი; სტიქიური მატერიალისტი, პოლიტიკური მრწამსით ლიბერალი.

ჰუმბოლტი, კარლ ფრიდრიხ ვილჰელმ ფონ (ალექსანდრე ჰუმბოლტის უფროსი ძმა, 1767—1835). გერმანელი მოაზროვნე-იდეალისტი, მეცნიერი-ფილოლოგი და სახელმწიფო მოღვაწე; ბერლინის უნივერსიტეტის დამაარსებელი (1810).

წიგნში მოყვანილი უცხოური ანდაზა-თქმები

(ლათინური და იტალიური)

აზრი

Verire est cogitare—ცოცხლობდე—ნიშნავს აზროვნებდე 3

Cogito, ergo sum—ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ . 5

Ad augusta per angusta—მაღალ მიზნებს აღწევენ დიდ სიძნელეთა გადალახვით 268

Segui il tuo corso e lascia le genti—იარე საკუთარი გზით და დაე ხალხმა ილაპარაკოს რაც უნდა . . 715

Errare humanum est—შეცდომები—ადამიანის თვისებაა 1352

Amicus Plato, sed magis amica veritas—პლატონი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია 1776

Docendo discimus—როდესაც ვასწავლით, თვით ვსწავლობთ 1822

Fas est et ab hoste doceri—სწავლა შეიძლება მტრისაგანაც 1828

Nihil per saltum—ვერაფერს ვერ მიაღწევ ნახტომებით 1854

Stillicidi casus lapidem cavat—წვეთი ვარდნით კლდეს ხვრეტს 1863

Gutta cavat lapidem—წვეთი ქვას ხვრეტს 1864

Repetitio est mater studiorum—განმეორება—შესწავლის დედაა 1865

Vae victis!—ვაი ძლეულთა! . . . . . 2368 (სქ.)

Habent sua fata libelli—წიგნებსაც თავიანთი ბედი აქვთ 2568

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
წინასიტყვა	3
მეამდგენელისაგან	5
შესავალი	9
ცოდნა	35
სწავლა	233
განათლება	347
წიგნები, ლიტერატურა . . .	391
ბოლოსიტყვის მაგიერ	438
მოკლე ცნობები წიგნში დასახელებულ პირთა და ლიტერატურულ წყაროთა შესახებ	439
წიგნში მოყვანილი უცხოური ანდაზა-თქმები	530